



ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა


# ტყეა

გიორგაძის ახალ ნელს!



1977

გარეკანის მეორე და მესამე გვერდებზე დაბეჭდილია ახალგაზრდა მხატვრის **გურამ ლლონის** ნამუშევრები, რომლებმაც ამასწინად მოსკოვში მონაწილეობა მიიღეს „ქვეყნის სიჭაბუკე“, — მეორე პრემია და პირველი რე ხარისხის დიპლომი დაიმსახურეს.





ქართული  
ნაციონალური  
ბიბლიოთეკა

# სესია

236

გამოცემის პირველი წელი

1

იანვარი

1977

თბილისი

საქ. კვ. ცვ-ის გამოცემლობა

ლიბრატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკვ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის თრგანო

## შ ი ნ ა ა რ ს ი

**3.** სკკვ ცენტრალური კომიტეტის ვენერაბურ მდივანს ანხანავ ლ. ი. ბრეშნევს

შენს სადიდებლად —  
სამშრომლოვ ჩემო!

**5.** ენვირ ნიშარაძე — ავტობიოგრაფია. ლირიკული პოემა

**13.** თამაზ ბიბილური — ჩივილი. მოთხრობა

**65.** ირაკლი უგულავა — მსხვერპლი. მოთხრობა. (დასასრული)

„სიკვამლე და ლექსი ერთია...“

**88.** ახალგაზრდა პოეტების ლექსები

ახალი თარგმანები

**95.** უილიამ შექსპირი — ავრო ბარჯა სიხვარულისა. პოემა. გაგრძელება. ინგლისურიდან თარგმნა. ემზარ კვიციანი

60 — რევაზ მარგინანი — 60

**117.** იოსებ ნოენიშვილი — ვაჟა-ფშაველას შინაგანი

**118.** ჯანსუღ ჩარკვიანი — შორის სათიბაჟის ბოლომდე

**118.** თამაზ წიგვიანი — „ნუ დამსჯი სიხვარულისთვის“

წერილები

**120.** ნახტან ბერიძე — „აბსტრაქციზმი“

**136.** გრიგოლ ხერხეულიძე — „კახეთ-მთავარია“

**149.** რევაზ სირაძე — ალექსანდრე რენესანსული იდეალის განვითარება

მთავარი რედაქტორი  
ჯანსუღ ჩარკვიანი

სარედაქციო კოლეგია:

ბაბუა ამირეჯიბი,  
ვალერიან ბაქრაძე,  
გურამ გვირგვინი,  
გივი გუგუშვილი,  
რისკაბ გორდუნიანი,  
გიორგი გუბლია,  
ნოდარ დუმბაძე,  
მერაბ ელიოზიშვილი,  
მალაქაძე მანუჩი,  
ოტია პაპიანი  
(პასუხისმგებელი მდივანი),  
ნუგზარ წყნეთელი,  
ბერიძე მანუჩი,  
რაფი ბერიძე.

## სკკ ცენტრალური კომიტეტის ბენეკლურ პლიანს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის

დიდად პატივცემულო ლეონიდ ილიას-ძევ!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში და მინისტრთა საბჭო რესპუბლიკის ყველა კომუნისტის, ყველა მშრომელის სახელით სულით და გულით გილოცავთ და ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ თქვენი სახელოვანი 70 წლისთავის დღეს.

თქვენი ცხოვრება მკაფიოდ ასახავს ჩვენი პარტიის გამორულ ისტორიას, ხოლო თვით ამხანაგ ბრეჟნევის ცხოვრება ლენინური პარტიისადმი უანგარო სამსახურია. ისტორიაში არც ისე ბევრია ასეთი ბედნიერი შემთხვევები, როცა პოლიტიკური ხელმძღვანელის იდეები და პრაქტიკული მოღვაწეობა ესოდენ ეხმიანებოდეს მთელი ხალხის ფიქრებსა და მისწრაფებებს.

დღეს განსაკუთრებული ძალით გვაგონდება ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სიტყვები, რომელიც ამბობდა, რომ პროლეტარიატს სჭირდება დამკვიდრებული, გამოცდილი და მცოდნე პოლიტიკური ხელმძღვანელები, ყველაზე ავტორიტეტისანი, გავლენიანი, ყველაზე პასუხსაგებ თანამდებობებზე არჩეული პირნი, რომლებსაც ბელადებს ვუწოდებთ. მუშათა კლასის სწორედ ასეთი პოლიტიკური ლიდერი, ხალხის ხელმძღვანელი, პარტიული ბელადია ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევი — სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის დაუცხრომელი მებრძოლი, ლენინური ტიპის ბრძენი და შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი, გამოჩენილი მარქსისტ-ლენინელი.

ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევ!

საქართველოს ბევრი რამ აკავშირებს თქვენს სახელთან: ისიც, რომ დიდი სამამულო ომის წლებში მკერდით იცავდით კავკასიას. ისიც, რომ მშვიდობისა და შრომის წლებში საქართველოს დროშას მიაბნეოდ ლენინის ორდენი, შემდეგ კი ოქტომბრის რევოლუციის ორდენი.

მაგრამ უმნიშვნელოვანესი და უმთავრესი, რაც განსაზღვრავს საქართველოს პარტორგანიზაციის მთელი რესპუბლიკის ცხოვრების შინაარსსა და რიტმს, არის პარტიის ისტორიული XXV ყრილობა, სკკ ცენტრალური კომიტეტის სამი ცნობილი დადგენილება, სამი უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტი, რომლებიც მიღებულია თქვენი ინიციატივით, თქვენი რჩევით, თქვენი ბრძნული მითითებებით: გადაწყვეტილებანი თბილისის საქალაქო კომიტეტის შესახებ, საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი დაჩქარებული განვითარების შესახებ, თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე დადგენილ-

ბის განხორციელებისათვის რესპუბლიკის პარტორგანიზაციის მუშაობის შესახებ. ამ სამმა დადგენილებამ, თქვენმა დარიგებამ და რჩევამ, თქვენმა მუდმივმა ზრუნვამ და ყურადღებამ, რომელსაც იჩენთ საქართველოს კომუნისტებისადმი, მშრომლებისადმი, რესპუბლიკაში ჯანსაღი მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატი, ნამდვილი შემოქმედებისა და აღმშენებლობის ატმოსფერო შექმნა. მნიშვნელოვანწილად დაძლეულია რესპუბლიკის ჩამორჩენა. მეათე ხუთწლედის პირველ წელს ბევრად დაჩქარდა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის დაგეგმილი ტემპები. ასობით საწარმომ მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულა წლიური დავალებანი, შემხვედრი გეგმები, სოციალისტური ვალდებულებანი. გამოშვებულია ათეული მილიონობით მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია. სამშობლომ დამატებით მიიღო ათეულათასობით ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, მარცვლეული, ციტრუსები, ხილი, ბოსტნეული, შაქრის ქარხალი, ხორცი, რძე. მწყობრში ჩადგა ახალი სამრეწველო საწარმოები, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ობიექტები, კულტურის, მეცნიერების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებანი, ასეულათასობით კვადრატული მეტრი ბინები.

ამრიგად, ლენინის ანდერძის ერთგული საქართველოს მშრომლები თქვენს იუბილეს აღნიშნავენ ახალი შრომითი წარმატებებით, სახელობითი შრომითი საჩუქრებით და ამით გამოხატავენ თავიანთ უდიდეს პატივისცემასა და სიყვარულს, დიდ სიმათიასა და გულითად მადლიერებას.

ჩვენი ყველგან საზეიმო ვითარებაში აღინიშნება თქვენი დაბადების დღე. და დღეს რესპუბლიკაში არ არის ქალაქი თუ სოფელი, სახლი თუ ოჯახი, სადაც ადამიანები თქვენ, ძვირფასო ლეონიდ ილიას-ძევე, არ გისურვებდნენ ყოველივე იმას, რასაც უსურვებ უახლოეს და უძვირფასეს ადამიანს: ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, სიხარულსა და დიდ ბედნიერებას, ახალ ძალღონესა და ახალ ენერჯიას — ყველა საბჭოთა ადამიანის, მთელი პროგრესული კაცობრიობის სასიხარულოდ და საბედნიეროდ, ჩვენი დიადი სამშობლოს საკეთილდღეოდ, ჩვენი ლენინური პარტიის სადიდებლად, კომუნიზმის სრული და საბოლოო გამარჯვებისათვის!

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი

**ბ. შვეპარდნაძე.**

საქართველოს სსრ შიდალესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

**პ. კილაუშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე

**ზ. პატარიძე**





ენვერ ნიჟარაძე

# ავტობიოგრაფია

## ლირიკული პოეზია

ორივე ხელით გვერდზე ვწევ ფარდას,  
შემოიხედე ჩემს სამყაროში  
და დაინახე საბურველს მიღმა —  
რა ტკივილებს და რა ფიქრებს ვმალავ;  
რა მისხარია,

ან რა მაწუხებს,  
რატომ ვიციანი,  
ან რატომ ვტირი.

შენ ყველაფერი უნდა იცოდე  
შენ მძა ხარ ჩემი,  
მოყვასი ჩემი,

შენ ყველაფერი უნდა იცოდე,  
ისიც კი, რაც მე ვერ გამიგია.  
რომ არ დავშორდეთ გზაში ერთმანეთს  
ჩვენ ხომ ერთ მხარეს მივდივართ ყველა.

რამდენი წელი ვიარე უკვე  
ჩემი თაობის გაკვალულ გზებით.

სწავლის,  
შენების,  
ძიების,  
ფიქრის,

განსჯის,  
სიმღერის  
და სევდის გზებით.  
ხან უნებურად,

ქვეშეცნეულად,  
ხან გამიზნულად და დაჟინებით  
ვეძებდი ყველგან ჭეშმარიტებას  
ყველა საგანში  
და ყველა კაცში;

რასაც მივაგენ და რასაც მივხვდი  
ჩემშია იგი და არასოდეს  
არ წაიშლება, რაც უნდა მოხდეს.  
როგორც მოკვდავმა და კაცმა ზოგჯერ  
მე აკრძალული ხილიც ვიგემე  
და მილალატეს იქნებ იმიტომ,  
რომ სიყვარულის  
გამეგო ფასი,  
რომ სინანულის  
გამეგო ფასი,  
რომ სიძულვილის  
გამეგო ფასი  
და დამენახა გონების თვალთ,  
რასაც მანამდე ამაოდ ვჭვრეტდი.

●  
მე ახლა თითქმის აღარც კი მახსოვს  
როდის შემოხვეულ პირველად ჩემში.  
მანამ კი დიდხანს პარალელურად  
დიოდნენ ჩვენი ცხოვრების გზები.  
მე შენ გიცქერდი ჯერ,  
როგორც ყვავილს,  
როგორც სინათლეს,  
უცხოს, შორეულს.

მერე კი,  
მერე  
ჩვენი სავალი  
გზები მრავალჯერ გადაიკვეთნენ  
და ყველაფერი გახდა თანდათან  
ჩვეულებრივი და ბანალური...  
მას შემდეგ ხშირად,  
ძალიან ხშირად  
ვფიქრობდი,

თუ კი სხვას უხვად მისცა  
განგებამ რად არ დამაჯილდოვა  
მეც, სიყვარულის უკვდავი ნიჭით.  
ან იქნებ რწმენა და სიყვარული  
სულაც არ არის უკვდავი,  
იქნებ  
მირაჟი არის და მოჩვენება?



ფრაგმენტი პირველი

შენ ახლა გავხარ ვარსკვლავს, რომელიც  
დედამიწიდან აღარ მოჩანს  
და ასტრონომებს რომ ახსოვთ მხოლოდ.  
და ჩემი ხსოვნის ლაბირინთში  
გზადაბნეული  
ჟამიდან ჟამად თუ აენთები.  
როგორ მოგაწვდენ ამ სიშორიდან  
ხმას,

როცა გვერდით  
სულ ახლოს,  
ახლოს

გაშმაგებული გულისცემა ვერ გაიგონე.  
წვიმს,

მაგრამ ვიცი, რომ ეს წვიმა  
ცრემლი არაა  
შენს ღაწვებზე ჩამოდენილი.  
მე კი მეორედ გაფრინდებოდი ალბათ  
ამ ქვეყნად  
ერთხელ მაინც რომ გეტირა წარსულის გამო.

●  
მოგონებათა ცისფერ სარკმელში  
მოჩანს უღრუბლო ბავშვობა ჩემი.  
ამწვანებული მინდვრები,  
მთები,  
მზე,  
ვარსკვლავები,  
და მშვიდი მთვარე.  
მე არ მინახავს ომი,  
შიშნული,  
სიკვდილს,  
სიცივეს,  
სისხლსა და  
ნგრევას  
ვხედავდი მხოლოდ კინოეკრანზე  
და ვერ გამეგო ვერაფრით მაშინ,  
რატომ ესროდნენ ერთმანეთს ტყვიას,  
ადამიანებს როცა შეეძლოთ  
ჭრელი ყვავილი ეკრიფათ მინდვრად...  
მერე ვსწავლობდი მშობლიურ ენას,  
როგორც სიარულს პატარა ბავშვი  
და ღაშღამობით ვფიქრობდი ხშირად

საყვარელ წიგნის გმირების ბედზე.  
მეც ვწერდი ლექსებს  
და გულუბრყვილოდ  
ვფიქრობდი მზეზე,  
მთვარეზე,  
ცაზე,  
წვიმაზე,  
თოვლზე  
და ერთი ციციქნა  
კიკინებიან ლამაზ გოგოზე...  
ახლა იმ ლექსებს,  
იმ პირველ ლექსებს  
ჩემი მაგიდის უჯრაში სძინავთ.  
და სხვას კი არა,  
საკუთარ თავსაც  
არ ვუმხელ უკვე მათ არსებობას...  
ზოგჯერ კი, როცა მოვხვდები ხოლმე  
„რაფინირებულ ესთეტთა“ შორის,  
სადაც სიცილი და ემოცია,  
ანდა ხზამალკა ნათქვამი სიტყვა  
ჩათვლილი არის უდიერ ტონად,  
სადაც ძალიან შინაურულად



ლაპარაკობენ გალაქტიკებზე,  
და ყოველგვარი რიდის გარეშე  
ერთი წაკითხვით „არჩევნ“ ფოლკნერს  
რომელიც მეც მწამს,  
მაგრამ რატომღაც  
ვკითხულობ დიდხანს,  
დიდხანს და მიიმედ, —  
მრცხვენია ჩემი ძველი ლექსების.  
და მეჩვენება,  
ის რაც მიყვარდა,  
რასაც ვწერდი და  
რასაც ვფიქრობდი

უნისობაა და სისულელე...  
და იშვიათად, როცა დღეების  
ერთფეროვნებით გაბეზრებული  
როცა დაღლილი  
და დაქანცული  
აშლილ ნერვებით ვბრუნდები სახლში,  
დაველოდები ღამის შემოსვლას  
და როცა სახლში იძინებს ყველა —  
ვალბე საწერი მაგიდის უჯრას,  
ვფურცლავ გაცრეცილ ცისფერ რვეულებს  
და მთელი ღამე მთვარეულივით  
ჩემი ბავშვობის გზებზე დავდავარ.

### ფრაგმენტი გეორგი

ეს ფრაგმენტები,  
მივიწყების ბურუსიდან  
ამოიზიდნენ უცნაური თანმიმდევრობით,  
მაგრამ არის მათში ლოგიკა,  
როგორც იმამი,  
რომ შენ დღეს დიდი ოქროს თევზივით  
აქვარიუმში ხარ დამწყვედი  
და ნასუფრალით გაპურებენ,  
მე კი მდინარის ცივ ტალღებში  
თავად ვეძებ საკუთარ საზრდოს.

ვით ხის ფოთლები ჩამოცვენილი —  
მიძქრიან წლები  
და მე ვიზრდები.

და ნელა-ნელა დიდი ქალაქი  
უცხო ხმაურის მორევში მითრევს.  
ვერ შევამჩნიე ნაცნობ ფერებში,  
როგორ გამეფლა თანდათან რუხი,  
ხოლო ცისფერი,  
წითელი,  
მწვანე

და სექტემბერში  
მთის ფერდობებზე  
გადაქცეული აკვარელები  
მელანდებოდნენ

მხოლოდღა სიზმრად...  
წინათ მთლიანი სამყარო ჩემი,

როგორც მზის სხივი —  
ნელა გადატყდა  
ღროსი პრიზმაში  
და დაიშალა...

მერე კი,  
მერე მოულოდნელად,  
ვით მოცურავეს ოკეანეში  
შეეფეთება ზვიგენტა ხროვა —  
ათას პრობლემას  
პირისპირ შევჩრი.

მე რახანია  
მათ გვერდით ვცხოვრობ,  
ასიმეტრიულ  
თვალეზით ვუცქერ  
მოხეტიალე ღრუბლის ქარავანს,  
ტალახიანი წვიმა რომ მოაქვს  
ფერდაკარგული ზეციდან  
ჩემთვის.



აღმოგაჩინე,  
როგორც ნიჟარას ფრთხილად ვახსნიან  
და ამოაქვთ მარგალიტი  
დღის სინათლეზე.  
თვალისმომჭრელად ციმციმებდი,  
მკერდზე მეკვროდი  
და მეგონა მე ვიყავ შენი სიცოცხლის  
წყარო.  
უჩემოდ გაფერმკრთალდებოდი,  
დაილეოდი,  
შენ კი სხვისთვისაც იმ შუქით ბრწყინავ,  
რადგანაც  
თურმე სულერთია მარგალიტისთვის  
ვის მკერდზეა იგი შებმული.

თერთმეტი ბიჭი,  
ქართველი ბიჭი,  
თერთმეტი შვედი ჭაბუკის გვერდით  
ვიდექით ჩუმად  
მწვანე მინდორზე  
და სტადიონი ფეხზე ამდგარი  
სულგანაბული შემოგვყურებდა.  
მერე იელვა  
და საქართველოს  
ჰიმნი  
ცეცხლივით მოედო ძარღვებს  
და მე ვიგრძენი,  
როგორ დამასხა  
სხეულზე ოფლმა  
და დამასველა...  
მე აღარ მახსოვს, როგორ წავიდა

თამაში,  
ანდა რას ვაკეთებდი  
მინდორზე,  
მითხრეს,  
რომ უთავბოლოდ  
დავრობოდი თურმე  
აღმა და დაღმა.  
იმ დღესაც, ალბათ,  
როგორც ყველაფერს  
ქვეყნად თავისი აქვს გამართლება —  
რადგან მე მაშინ  
პირველად მივხვდი,  
რომ ეს არ იყო მხოლოდ და მხოლოდ  
ბურთის თამაში.  
რომ პატიოსან  
შერკინებაში  
უცხო ბიჭებთან  
უნდა დამეცვა ერის ღირსება.

ფრაგმენტი მართხა

აქ,  
ამ მინდორში ვიდექით ერთად,  
თავით ფეხამდე გაწუწულები  
და მდინარის ლურჯ ზედაპირზე  
დარბოდა წვიმა შიშველ კანჭებით.  
ახლა ქალაქის მცხუნვარებით  
გამრუებული  
ოთახში მტვერს წმენდ  
და დაბრმავებულს  
ანტიკვარული ნივთების ბრწყინვით,  
სასაცილოდ აღარ გყოფნის  
წვიმის წვეთების მორცხვი ციმციმი.



მერე ყამირზე მეც სხვებთან ერთად  
 ვაწყობდი მტკიცედ  
 აგურს აგურზე,  
 და ვაშენებდი ფერმებს და სახლებს,  
 რომ მომეყვანა მარილიანი  
 არსობის ჩვენის  
 საერთო პური.  
 რომ დარქმეოდა ჩემი სახელი  
 ქალაქს,  
 ან სოფელს,  
 თუნდაც შენობას  
 და ეფრიალა უდაბნოს ქარში  
 სიკეთის რწმენას,  
 ისე,  
 ვით დროშას.

იქ,  
 სიცხისაგან აღმურმოდებულ მარცხენულ  
 და უწყლობისგან დამსკდარ მარჯვენა  
 მივხვდი  
 ვინ იყო ჩემთვის ყაზახი,  
 რომელსაც დალილს ეძინა გვერდით.  
 მივხვდი  
 ვინ იყო ჩემთვის ლიტველი,  
 რომელიც ფორნით წყალს გვიზიდავდა.  
 და მერე ყველამ ერთად გავიგეთ  
 ვინ იყო ჩვენთვის ძლიერი რუსი.  
 ჩვენ ვაშენებდით სიცოცხლის კერას,  
 ვანთებდით ცეცხლს და  
 ვკიდებდით კარებს  
 და თავყვანს ვცემდით შუესა და მთვარეს,  
 რომლებიც  
 ცოდვილ დედამიწაზე  
 ერთნაირ ძალით ათბობენ ყველას.

**ზრავანტი მხუთა**

როდის წახვედი,  
 ბუნდოვნად მახსოვს!..  
 გაოგნებული დავრჩი,  
 როგორც ბავშვი,  
 რომელმაც  
 კალეიდოსკოპს თავი ახადა  
 და ჯადოსნური სამყაროს ნაცვლად  
 ფერადი შუშის ნამსხვრევები  
 კი შერჩა ხელში...  
 და დავდიოდი ფეხშიშველი  
 იმ ნამსხვრევებზე,  
 ძალიან დიდხანს,  
 დიდხანს,  
 დიდხანს,  
 რომ ტკივილთა წილ  
 შუება მეგრძნო  
 და გამართლება მეძებნა შენთვის.

როდესაც მთებში საფლავებს ვთხრიდი  
 და ისტორიის დაკარგულ ფურცლებს  
 ვეძებდი მძიშე სარკოფაგებში,  
 იქ შემეყარა მამულზე ფიქრი  
 და დარდი,  
 როგორც ციბე-ცხელეზა.  
 მე ამ მინდვრებით,  
 ტყეებით,  
 მთებით,

ცრემლით და სისხლით მორწყული მიწით  
 მთელი სიცოცხლე ვიქნები ავად!  
 ნურც ნურასოდეს  
 განმკურნოს ღმერთმა!  
 მე ვთხრიდი ფრთხილად სანუკვარ მიწას  
 ვეძებდი ოქროს,  
 ვეძებდი თიხას,  
 ვეძებდი ქვიშის სულ მცირე მარცვალს,  
 ოღონდ კი რამე მოეთხრო ჩემთვის  
 ჩვენი სამშობლოს დიად წარსულზე.

ან თამარზე და ან ჭიაბერზე  
და კიდევ,

კიდევ

უამრავ სხვაზე,

ვის სახელებსაც არავინ იცნობს,  
მაგრამ ისინი ასობით იყვნენ  
და მათ ადლიან  
ვაჟკაცურ მხრებზე  
იდგა ძლიერი ჩვენი ქვეყანა  
და ქარი, როგორც საავდრო ღრუბელს,  
აფრიალებდა ჩალისფერ დროშებს.

ჩვენ ვთხრიდით მიწას,

ცოტა ქვემოთ კი

მზისგან დამწყვარი

და გარუჯული

ბიჭები ზღუდეს უგებდნენ არაგვს.

და აშენებდნენ სოფელს მალღობზე,  
სოფელს,

რომელშიც ძველი ჟინვალი  
გადავა,

ხოლო ნასახლარებზე  
ორი არაგვი ზღვად დაგუბდებო.

მერე ჟინვალის მაღალი ჰესი  
უზარმაზარი სინათლის წრეში  
ჩაებმება და აციმციმდება.

და ჩვენი მთების

ნაქური ცრემლი

ბიჭების ოფლი,

არაგვის სისხლი

მეგობრობის და ერთობის ნიშნად

სითბოს წაუღებს

რუსეთის ველებს.

### ზრახმანი მუხრანში

მტკივნეულია საკუთარი

გულუბრყვილობის

ბურანიდან გამოფხიზლება.

რამდენი საქმე ყოფილა თურმე —  
საქართველოშიც

რამდენი საქმე!..

ასაგებია რამდენი სახლი.

რამდენი ხიდი,

რამდენი ჰესი.

შრილებს ქარში დიდი მინდორი,  
გრილებს ქვებზე ჩქარი მდინარე,  
ბრილებს ცაზე მზე და წვეთობით  
კავკასიონზე ყინული დნება...

და მე ვაშენებ

ახალ ქალაქებს,

ახალ ქალაქებს,

ქართულ ქალაქებს,

წლების მერე კი,

წლების მერე კი

დაივიწყებენ ალბათ ჩემს სახელს.

ისევე,

როგორც არავინ იცის

იმ ათასობით კაცის სახელი,

რომლებიც სისხლის

და ცრემლის ფასად,

ტანჯვით,

წვალებით

და მოთმინებით

აგებდნენ:

ხახულს,

ოშკსა და

ბანას...

აგებდნენ:

ბოლნისს,

ოპიზას,

შატბერდს...

მე ავაშენებ ახალ ქალაქებს,

ახალ ქალაქებს,

ქართულ ქალაქებს,

და უმძაფრესი დროის შესაფერის  
დავარქმევ კიდევ ალბათ სახელებს.

რა მოხდა მერე,

შთამომავალი

თუ დამივიწყებს

და არ მახსენებს,

ოღონდ ათასი ყური მოიბას!

ოღონდ ათასი თვალი მოიბას!

რომ არ ეწიოს მომავლის ტაძრებს

ხახულის,  
ოშკის,  
და ბანას ბედი!

შატბერდის,  
ხანძთის,  
ბოლნისის ბედი!



ფრაგმენტი მუშვიდა

მე გამოფხიზლდი,  
ვით ავადმყოფი  
ფხიზლდება ხოლმე ნარკოზის შემდეგ.  
და გავახილე თვალები ფრთხილად.  
მეგონა ფორმას შეიცვლიდნენ  
ირგვლივ საგნები,  
დაიცლებოდნენ  
ჩვეულებრივ შინაარსისგან,  
მაგრამ სამყარო ისევე ჰყვოდა,  
ოღონდ დაკარგეს ჩემმა თვალებმა  
პირველყოფილი სიხასხასის  
აღქმის უნარი.

ქალი,  
რომელიც მიყვარდა ერთ დროს  
და ახლაც მიყვარს და მეყვარება,  
ათასჯერ უფრო უნდა მიყვარდეს,  
ათასჯერ მეტად უნდა მიყვარდეს.

მე კი ვერასდროს  
ვერ მივცემ ალბათ  
ყველაფერს,  
რაც მას ჩემგან ეკუთვნის,  
რადგან არასდროს არ აეწყობა  
ჩემი ცხოვრება,  
ისე, ვით სხვების.

ფრაგმენტი მერვა

ეს შენ გააღე  
საიდუმლო კარები ჩემს წინ  
და მე შევედი  
სიყვარულის მაღალ ტაძარში.  
მადლობელი ვარ იმ შუქისთვის,  
იმ წუთებისთვის, —  
ზოგჯერ მგონია,  
ყველაფერი სიზმარი იყო..

ბიჭი,  
რომელიც მეზრდება და ჯერ  
გაკვირვებული თვალებით უცქერს  
ქვეყანას,  
სადაც უნდა იცხოვროს,

დიდი ხნის მერე ალბათ გაიგებს  
ადამის ძეთა გაჩენის დღიდან  
დღემდე ყველაზე უფრო პრაქტიკულ  
საუკუნეში  
რატომ არ მქონდა  
კარგად ცხოვრების შნო და ლაშათი.



მას შემდეგ ბევრმა წყალმა იდინა,  
 ბევრმა ზაფხულმა გადიბრიალა.  
 იმ კრილობამაც  
 რახანია შეიკრა პირი  
 მაგრამ ხანდახან,  
 როცა ამინდი შეიცვლება ქალაქში უცებ  
 და წვიმა შორით  
 აყვავებულ სათიბების  
 სურნელს მოიტანს,  
 ყრუდ ამტკივდება,  
 იმდენად ყრუდ, რომ  
 თითქმის ვერც ვამჩნევ.

●  
 აი, ეს არის სულ,  
 რაც კი დღემდე  
 გამოვიარე ავად თუ კარგად.  
 აი, ეს არის  
 და არაფერზე,  
 რაც იყო ადრე, არ მწყდება გული.  
 ერთ ვწუხვარ მხოლოდ,  
 რომ გალაკტიონს  
 ვერ მოვუსწარი თბილისში ცოცხალს  
 და ერთხელაც კი არა მხვდა წილად  
 გენითსისთვის თვალის შევლება...  
 ისევ შრიალებს ქარში მინდორი,  
 ისევ გრიალებს ქვებზე მდინარე,

ისევ ბრიალებს მზე და წვეთობით  
 კავკასიონზე ყინული დნება.  
 მე ამ მინდვრებით,  
 ტყეებით,  
 მთებით,  
 ცრემლით და სისხლით მორწყული მიწით  
 მთელი სიცოცხლე ვიქნები ავად!  
 ნურ! ნურასოდეს განმკურნოს ღმერთმა!  
 და თუ ამქვეყნად ჯერ რამე მითქვამს,  
 და თუ ამქვეყნად კვლავ რამეს ვიტყვი,  
 ძალიან მინდა,  
 ძალიან მინდა,  
 იყოს ნატყვამი მათზე და მათთვის!



# რიკილი



## მოთხრობა

ის უცხო კაცი ბიჭის წასაყვანად ამოვიდა.

კაცს ეშინოდა, თუ ბიჭს ვერ წაიყვან, დამიჭერენო.

ამის გაფიქრებაზე ჭირის ოფლს ასხამდა და ისედაც არაქათგამოცლილ ცხენს დაუნდობლად სცემდა აღმართებში.

სოფელში ისე შევიდა, ჭაჭანება არავინ შეხვედრია.

ან რა სოფელი იყო, მარტო ერთი კომლი ცხოვრობდა და კაცმა სწორედ იმ ერთ სახლთან შეაჩერა ცხენი. ჩამობტა, ცხენი ყორზე გამოაბა და დაიძახა:

— ჯილაურებო!

ჯილაურები სათიბში იყვნენ ასულები, მაგრამ უცხო კაცის ძახილი მაინც გაიგონეს.

„სანამ ბოლომდე სვრელს არ გავიტან, ფენსაც არ მოვიცვლი, იძახოს რამდენიც უნდაო“, — გაიფიქრა ჯილაურმა.

— ჩავიდეთ, იქნება ვინ არის, — თქვა ჯილაურის ცოლმა.

— ჯილაურებო! — მოუთმენლად იძახდა უცხო კაცი.

სხვა დროს არც მოითმენდა, ერთს ლაზათიანად შეუკურთხებდა სათიბში ასულ ჯილაურებს, შეჯდებოდა ცხენზე



და უკან გაბრუნდებოდა, მაგრამ ახლა დიდ საქმეზე იყო ამოსული, — ჯილაურების ბიჭი უნდა წაეყვანა და ბრაზობდა, რომ უკან გაბრუნება არ შეეძლო. თუ ბიჭს არ წაიყვანდა, მთელი წელწადიც რომ დასკირებოდა ლოდინი, აქაურობას ვერ მოშორდებოდა. ეს კარგად იცოდა უცხო კაცმა და რაკი თავიანთ სასლ-კარიდან აყრილ ჯილაურებს ვერაფერი შეასმინა, ცხენს უნაგირი მოხადა და იქვე, ყორესძირა ბალახზე მიუშვა, თვითონ კი ლოდზე ჩამოჯდა, ჯიბიდან გაზეთის ნაგლეჯი ამოიღო, ზედ ერთი მწიკვი თუთუნის დაყარა და პაპიროსის გახვევას შეუდგა. კარგა მოზრდილი პაპიროსი გაახვია, კვესს გაჰყარა და მოუჭიდა. იჯდა ეგრე, გარინდებული და პაპიროსის აბოლებდა. ჯერ იმ ბიჭზე ფიქრობდა, ვის წასაყვანადაც ამოვიდა, მერე მთელ ოჯახს გადასწვდა. ბოლოს გადააფურთხა და პაპიროსის ნამწვიც თან მიიყვანა. უცხო კაცს თავისი ცოლ-შვილის დარდი ჰქონდა და სხვისი მიზეზით ციხეში წასვლა არ უნდოდა.

სანამ სვრელი არ გაიტანა, ჯილაურს საქმეზე ხელი არ აუღია, მაგრამ იმ უცხო კაცის ხმის გაგონება მაინც გაუხარდა. მესამე დღე იყო უთამაშაობა აწვალეზდა. არც მგზავრს აუღვია ვინმეს და ვერც ბიჭი გაგზავნა ქვევით, თამბაქოს საშოვნელად. ისედაც არ უყვარდა ჯილაურს ბიჭის სადმე გაგზავნა, ბიჭი თუ თვალში მოაკლდებოდა, რაღაც სიცარიელე ერეოდა. ჯილაურმა არ იცოდა, რა ერქვა ამ სიცარიელეს. მარტო ის იცოდა, რომ ბიჭის თვალისაგან მოშორება არ უყვარდა და თუ დიდი რამ საქმე არ ქონდათ, ან სკოლა არ უხმობდა, ბარში არასოდეს გაუშვებდა. თვითონ კი დაფიცული იყო. ეს ფიცი გუნებაში, თავის თავთან დადო და შესარულა კიდევ: ოცი წელიწადი ისე გავიდა, ბარში აღარ ჩასულიყო. ფიცით კი იმ დღიდან დაიფიცა, ომიდან რომ დაბრუნდა. იქ, ომში, პირველი დღიდანვე მიხვდა, რომ

აღამიანი მიწის შვილი იყო და თავისი წილი მიწა ყველას ეკუთვნოდა. აღამიანი ვალდებული იყო სიყვარულით მოეგლო ამ მიწისათვის და ჯილაურმაც, როგორც კი ბენწვზე გადაჩენილი დაუბრუნდა თავის წილ მიწას, იფიქრა, კაცი მაღლიერი უნდა იყოსო და აქედან ფეხი აღარ მოუცვლია.

ომის გახსენება არ უყვარდა ჯილაურს და რაკი ისედაც მოლაპარაკე კაცი არ იყო, ცოლ-შვილმაც კი არ იცოდა, რა ტანჯვა-წვალება გამოიარა, ვიდრე თავისი სოფლის დაკიდულ ბილიკზე ხელახლა ამოვივლიდა.

შინ მობრუნებულს აღარც დედ-მამა დახვდა, აღარც საცოლე. იჯდა ჯილაური მარტოკა სახლის ბანზე და სოფელს ვასკქეროდა. სოფელი მშვიდად იყო. სასლებიდან კვამლი ამოდიოდა. ქალები ძროხებს წველიდნენ. ბოსლისა და რძის სუნი იდგა. ჯილაურს რძე მოუნდა. მაშინ ბებერმა თოთიამ, ჯილაურის პაპის ნამძობმა, იქვე, ყორეს გადაღმა რომ ცხოვრობდა, ხელი დაუქნია და დაუძახა, აქეთ გადმოდი, აქ არა ვართო? მაგრამ ჯილაურს არავისთან წასვლა არ უნდოდა, საკუთარ ეზოში, საკუთარ ბანზე ყოფნა ყველაფერს ერჩივნა. აქ ჯდომა და თბილი რძე უნდოდა. მაგრამ რძე კაცის სასმელი არ იყო და თოთიას ვერ ეტყოდა, რძე გამომიტანეო. ბებერ თოთიასაც აღარაფერი უთქვამს და თვალს მოეფარა. ცოტა ხნის მერე კი ეზოში შემოიხედა, ცალ ხელში ხელადა ეჭირა, ცალში — ბოლჩაში გამოხვეული ჭამადი. ტაბლა იქვე, ბანზე გაუშალა ჯილაურს და პირველი ჭიქაც თავისი ხელით დაუსხა...

მას შემდეგ ბევრი ხანი გაივლის, სოფელი აიყრება და ჯილაური მარტო დარჩება. ჯილაური სოფლის ფეხის ხმას არ აჰყვება, სოფელს ზურგს შეაქცევს, გატყუარდება და მარტო ხარვივით მიწის მხვნელი და პურის მთესველი გახდება. მარტო შემას მოზიდავს ტყიდან და საფქვავს ჩაიტანს ქალაში ჩადგმულ პატარა წისქვილში. სალაში დაავიწყდა-





ბა და სახეზე ყომალი გადაედება, მაგრამ არასოდეს დაივიწყებს არც იმ ერთ ქიქა ღვინოს და არც ბებერ თოთიას, რომელმაც სწორედ ის მოუტანა, რაც თურმე იმ წუთში ჯილაურს სწყუროდა — ერთი ქიქა ღვინო! მაგრამ ეს მარტო ქიქა ღვინო კი არ იყო, კაცის მიწაზე დაბრუნებას, თვითონ დედამიწას გამოხატავდა, ბებერმა თოთიამ იმ ქიქა ღვინით თითქოს მოძღვარივით აკურთხა ჯილაურის მთელი ცხოვრება, მთელი გზა, კაცს რომ უნდა გაეგლო ამ გაზაფხულის მშვიდი საღამოდან უკანასკნელ მზის ჩასვლამდე. იმ ერთი ქიქა ღვინით თითქოს სამუდამოდ დაიწერა ჯილაურის ცხოვრების წესი და ადათი. ბებერი თოთიას ხელები ძველ, დაღარულ პერგამენტს ჰგავდა, ბალღობისას, სოფლის უკლესიაში. მღვდლის ხელში რომ ენახა ჯილაურს, ტუნმოტეხილი ხელადა — გუმბათმორღვეულ ეკლესიას; ხელადიდან გაღმოდგრილი ღვინო კი ისე რეკდა, როგორც სამრეკლოს მრწემი ზარი ნიავის შემოქროლავაზე.

მაშინ ჯილაურმა პირველად გაიფიქრა, რომ ბედნიერება სრულიად უბრალო რამ ყოფილა: აი, ეს ერთი ქიქა ღვინო, ხშიადი, ხახვის ფოჩი, ეს მშვიდი, ბებერი თოთია, ბოსლის და რძის სუნი, და რაც მთავარია, სიჩუმე. ჯილაურს სწორედ სიჩუმე ენატრებოდა, მშვიდი და მომთენთავი სიჩუმე; თბილი მზე, ლურჯი ცა, სახლის ერდოზე მიკრულ ბუდესთან აწყობინებული მერცხლები. სწორედ იმ წამში გაიფიქრა ჯილაურმა, რომ რაც უნდა მომხდარიყო, ამ მშვიდ, ნეტარ თვლემასი ჩაძირულ ეზოდან ფეხს არ მოიცივლიდა, აქ იცხოვრებდა, აქ მოკვდებოდა და აქვე, ორიოდ ნახიჯს იქით დაიმარხებოდა.

გაიგლის კვლავ დიდი ხანი და ჯილაური ამ აღთქმას დაარღვევს. მაგრამ ეს იქნება დიდი ხნის მერე, როცა ცხოვრება თითქმის დასრულდება და უკვე აზრი აღარაფერს ექნება, როცა ჯილაურს ყველაფრის იმედს წაართმევენ; როცა ჯილაურის შეუბოვარი ცოლიც კარს გა-

მოიკეტავს, იქაურობას მიატოვებს და საღლატ წავა, როცა დედამიწა გაიფიქრებს, რომ მთელი დედამიწა ცოდვითაა დამძიმებული, რომ დედამიწაზე დასაძალი ადგილი აღარსად დარჩენილა და ყვირილს დაიწყებს. დიახ, ეს მოხდება დიდი ხნის მერე, სწორედ იმ დღის კვირადაა, ვიდრე ჯილაური სიკვდილს შეხვდება.

- ის უცხო კაცი კი გამოკეტულ ეზოსთან ზის და ილანძღება:
- ამოწყდით, ჯილაურებო!
- ნადირები ხართ, მამ რა ხართ!
- კაცმა ძალათ უნდა აგყაროთ აქედან და გადაგბუგოთ!
- ერთი მე ვიყო, მერე მე ვიცოდი...
- თქვენი ადგილი ტყეა და ტყეშიცა ხართ...

● ჯილაურს სოფელში საცოლვე ყავდა დარჩენილი და იმ წლებში, რაც ომში გაატარა, თავისი სოფლის გახსენება იმ საცოლის გახსენება იყო. სოფელზე სევედა საცოლზე სევედა იყო. საცოლზე ფიქრობდა იმ წუთშიც, როცა მახრიდან ამოსული ვიღაც „სტრაჟნიკი“ ელოდებოდა და აჩქარებდა, მალე გაღმოდგი ფეხი, მეფე ნიკოლოზი შენ გიცდის, გახურებული თმით. ჯილაური მაშინ ყორესთან იდგა. ყორეზე გაღმომხდარიყვენ მეზობლები, მაგრამ თითქოს ვერავის ხედავდა. იცოდა, რომ ამ ყორეს გადაღმა, ღრიქოდ დარჩენილი სახლის კარიდან გოგო იყურებოდა, მაგრამ სოფლისა ერიდებოდა, დედ-მამისა ეშინოდა და გარეთ ვერ გამოსულიყო. ჯილაური გაშტერებული იდგა, „სტრაჟნიკი“ აჩქარებდა. მაშინ სხვაზე აღრე თამაქალარა თოთია მიხვდა ყველაფერს, თოთიას კი მუდამ ხითხითა, ღობემდგარალისავით დალუღლმა და ეშმაკმა ცო-

თავაზ ზიბილუარი  
იბილი

ქალა ძალომ დაასწრო, ყორეზე მოკე-  
ცილმა ორი წინა კბილი გამოაჩინა და  
ჯილაურს დაუძახა: იგრე არ წახვიდე,  
გოგოს თუ არ აკოცე, ბიჭოო. ამის თქმა-  
ზე ჯილაური გათამამდა, ძალა მოიკრი-  
ბა, ყორეზე შეყრილ, აყაყანებულ მე-  
ზობლებს გადახედა და რიხიანად დაი-  
ძახა: აბა სად არი, დაუძახეთო! ხალხი  
უფრო აყაყანდა. ცოქალამ ხითხითით  
აიკლო იქაურობა და მიხას გადასძახა:  
მიხავ, სად არი შენი გოგო, სად გადა-  
მალეო! ამის თქმა იყო და მიხას ცოლი,  
შუბლჩამოდევნითილი კოწიწა წამოხტა:  
ჩემი გოგო რა თქვენი სახსენებელიაო?  
კოწიწას სიტყვაზე ისევ ჭაღარა თითია  
ჩაერიო, მაგრამ ეშმაკმა ცოქალამ არ და-  
ანება: ერთხელ აკოცოს, ერთი კოცნით  
რა დაუშავდებო? ყველანი ყატყატებ-  
დნენ, იცინოდნენ და მიხას შესცქეროდ-  
ნენ. მიხას თავი ჩაელუნა, ხალხს წარბებ-  
ქვემოდან გამოსცქეროდა. მერე უცებ  
დაიძახა: თუ უნდა, მე მაკოცოსო! ცო-  
ქალამ ქოქოლა მიაყარა: ნეტა როდისა  
გეყვანდი საკოცნით? ხალხი უფრო ახა-  
რხარდა. ხალხმა მხარი ამიბო, ცოქალა  
უფრო გათამამდა და ყორეზე წამოხტა:  
გოგო, აბა გარეთ გამოდი, ნუ გეშინია,  
მზე ჩავიდა, ვერ დაგინახავსო! ამის თქმა-  
ზე ისევ გოგოს ღედა, კოწიწა გაწიწმატ-  
და: აბა გამოვიდეს, თუ თმით არ ვათ-  
რიოო! მაგრამ მეზობლები აღარავის  
უსმენდნენ, სახლისკენ მიბრუნებულები-  
ყვნენ და ერთხმად იძახდნენ: გამოდი,  
გოგო, ნუ გეშინიანო! გამოდი, შე მზე-  
თუნახავოო! გამოდი, ბიჭი გელოდე-  
ბო! აქეთ მიხა დულდუნებდა: აბა ერ-  
თი ფეხი გამოდგასო! იქით კოწიწა გაი-  
ძახოდა: გამოვა და მემრე სადღა წამი-  
ვაო! მაგრამ ეტყობა, იქით გოგო გა-  
ჯიქდა, იქით გოგომ მიაყარა ყველას  
თვალში ნაცარი, კარი გააღო და გამო-  
ვიდა. ხალხი გაჩუმდა. ხმას არავინ იღებ-  
და. მიხა ყბადაღებული იდგა. კოწიწას  
თვალეები დაეწკურა, ვნახოთ ერთი, რა  
მოხდებო. გოგო ბიჭთან მივიდა. გაღი-  
მებულები იდგნენ და ერთმანეთს შეს-  
ცქეროდნენ. ხალხიც განაბულიყო. მე-

რე მოსწყინდათ ლოდინი და ისევ აყაყან-  
დნენ: ჰა, აკოცე, ვისი გეშინიანო? განა  
ვერ დაგინახეთ, საბძელთან რო ხურ-  
ჩულეზდითო,—ხითხითებდა ცოქალა,—  
მაშინ ხო არაფერი მიტყვამს, ესლა ვა-  
ბობო. აკოცე, ბიჭო, რისი გეშინიანო!  
თოთია მოტრიალდა და მხრებში ჩამძ-  
ვრალ მიხას დაუძახა: მიხავ, თვალეები  
დახუჭე, ყურში მაინც არაფერი გეყურე-  
ბო! ბიჭი იდგა და იღიმებოდა. გოგო  
მიწას ჩასცქეროდა. ხალხი კი ისევ ყა-  
ყანებდა: მარტო ღიმილი რას ეყოფა,  
ერთი კოცნაც დაურჩინე, ბიჭოო! ვერ  
გავიბედავსო! მიხასი გეშინიანო? შენ რა  
ომში უნდა წახვიდე, ღედალოო! და  
ამ ყაყანსა და წეწვა-გლეჯაში უეცრად  
გოგომ თავი აიღო, ჯილაურს აკოცა და  
შინისკენ გაიქცა... ხალხი გაგიჟდა... მი-  
ხამ სახრეს დაავლო ხელი. იმ წუთში  
ხალხიდან ჯილაურის ნაძმობი, მისი კბი-  
ლა ბიჭი — გაგა გამოვარდა და მიხას  
სახრე შუაზე გადუტეხა. ჯილაურმა სხვა  
ვედარაფერი მოახერხა და გაგას გადა-  
ეხვია. ხალხი ხარხარებდა. კოწიწა ში-  
ნისკენ გარბოდა. მიხა ფიწალს ეძებდა.

●  
უცხო კაცი იჯდა ჯილაურების ყორეს-  
თან და იფურთხებოდა:

— უ, თქვენი გამჩენი დაიქცეს, ჯი-  
ლაურებო!

— აკი ვთქვი, ქვა მაკოდინეთ და იქ  
არ გამგზავნოთ-მეთქი!

— აკი ვთქვი, მე წამიყვანეთ-მეთქი!

— რაღა მე გამამგზავნეს ამ ძაღლთა-  
პირებთან!

●  
ვერც ხეტილმა, ვერც ღედაკაცის  
მკლავზე გათუღმა ღამემ, უცებ რომ  
შემოეფეთებოდა ხოლმე დამშეულ ჯა-  
რისკაცს და უცებვე დაიკარგებოდა, ვერ  
გაუნელა საცოლეზე ფიქრი ჯილაურს.  
უცხო ღედაკაცთან წოლა მხოლოდ ვნე-  
ბისგან ცლდა ჯაროსუცს, იმ ფიქრს კი,  
ცხრა მთას იქით რომ მიდიოდა და ძილს

უფროსობდა, ვერაფერს აკლებდა. მაგრამ სანამ ჯილაური, დაფლეთილი მისართით და დახეული ჩექმებით, უცხო მიწაზე, ტალახიან გზებზე დადიოდა, ვიდრე ჯარისკაცურ გზას დასასრული არ უჩანდა, შინ დარჩენილმა ნაძმობმა საცოლელე მოსტაცა. სამმა ბიჭმა ძლიერ ჩააჩუმა ყვირილად ქცეული გოგო. ბოლოს, ვიდრე ხელ-ფეხი წნელით არ გაუკრეს და პირშიც თავისივე თავშალი არ ჩასჩარეს, ტყის გზას ვერ გაუყენეს. ჯილაურის ნაძმობს გულში ცუდი რამ არ სდებია: გოგო ცოლად უნდოდა. გოგო ჯიშინი იყო, ჯიშინი შეილებს გაუჩენდა, ოჯახსაც დედაცაცურად გაუძღვებოდა. ეს იცოდა ვაგამ, ჯილაურის ნაძმობმა და რაკი ჯილაური ამ დროს ცხრა მთას იქით იყო და მისი ასავალ-დასავალი არსაიდან ისმოდა, რაკი ჯარისკაცის დედ-მამასაც გადასწყვეტოდათ იმედი და ეგრე იმედ-გადაწყვეტილნი წასულიყვნენ იმ ქვეყანაში, გოგოს უარი გავას მარტო სიჭიუტე ეგონა და მეტი არაფერი. ნაძმობი აღარ იყო. გოგოს ხელიდან გაშვება კი აღარ იქნებოდა. სამ ღამეს ებრძოდა გავემებული ბიჭი უღრან ტყეში მოხელთებულ გოგოს, სამ ღამეს ახევედა ნაკუწ-ნაკუწ ჩითის თხელ კაბას, ამოდ ღვრიდა ქოშინით ოფლსა და ვნებას, მაგრამ გოგოს ვერაფერი მოუხერხა. ძმაბიჭები შორიასლოს ათევდნენ ღამეს და ბიჭთან მისვლას ვერ ბედავდნენ. მეოთხე დილას დაქანცული და გამოწურული ბიჭი იმ დროს დაინახეს ძმაკაცებმა, მუხლებში რომ ჩაგარდნოდა გოგოს და ნირწამხდარი, ოფლში ვაღვრილი ემუდარებოდა: ნურსად წახვალ, სოფელში თავს ნუ მომჭირი და ნურც შენ მოიჭირი თავსაო. გოგოს წინ დავარდნილი, საქციელდაკარგული და კაცობაშეღახული ბიჭი ზიზღს თუ იწვევდა, თორემ შიშს უკვე აღარ და გოგომაც უკანასკნელად გააწნა სილა. ძმაკაცებმაც ზურგი შეაქციეს ბიჭს და სოფლისკენ დაემგნენ. კაბაშემოფლეთილი გოგო შუალამისას შეიპარა სახლში და მას მერე გარეთ აღარ გამოსულა. გარეთ მხო-

ლოდ მაშინდა გამოვიდა, როცა ჯილაური დაბრუნდა. მაგრამ ეს დღისით არ მოხდა. ეს შუალამისას მოხდა. შუალამისას, როცა სოფელს ეძინა, ჯილაურმა შეალო გოგოს ქიშკარი, მოურიდებლად გააღვიდა გოგოს დედ-მამა, ლოგინიდახ აყარა ძმები და გამოუტყხადა: შინ უნდა წავიყვანოო. უარი არავის უთქვამს. ხმის ამოუღებლად შეუშვეს გოგოს ოთახში. ეგრევე ხმის ამოუღებლად; კარს მიჩერებულნი ელოდნენ ბიჭის და გოგოს გამოსვლას. კარგა ხანი გავიდა, ოთახის კარი ნელი ქრიალით გაიღო და ჯერ ჯილაური გამოვიდა, მერე თავჩაღუნული გოგო.

ჯილაური კარისკენ წავიდა.  
გოგო თან გაჰყვა.

იმ ღამეს ჯილაური დილაძე სცემდა გოგოს. გოგო გაკერპებული სდუმდა და ხმის ამოუღებლად ებრძოდა ნადირივით ბიჭს, რომელიც ბიჭს სულაც აღარ ჰგავდა, კაცი გამხდარიყო და თავისი აბორგებული ეჭვის დაცხრომას ცდილობდა. მეზობლებს არაფერი გაუგიათ და როცა გოგომ მესაედ უთხრა, შენი ლაღი ფიქრშიც არ გამივლია, იმ უბედურს რაც ეკადრებოდა, ის მიგუზღო, ჯილაური ახლა ეჭვის გორგალს იქიდანა ხსნიდა, რად გაგიბედა ტყეში წათრევა, ადვილი მოსახელთებელი რად ეგონეო.

განთიადისას ჯილაური დაცხრა. თვალი მოსტაცა კაბაშემოხეული გოგოს ქათათა სხეულმა, სიბნელეში რომ ანათებდა. გაახსენდა ის თეთრად გათენებული ღამეები, როცა მხოლოდ ამ სხეულზე ფიქრობდა, ამ ნაკერჩხლებივით ანთებულ თვალებს ხედავდა და გოგოს უბრძანა, მომიახლოვდიო.

გოგო კვლავ მზად იყო ცემისათვის და მორჩილად მიუახლოვდა.

ჯილაურმა ხელი მოჰკიდა და გვერდით მოისვა. მერე თავზე ხელი გადაუსვა,

თავზე ზივილური  
ჩივილი

ნაბაღზე გადაწვინა და ახლა გაცოფებული ვნებით დააცხრა.

გოგომ მკლავები გადაუშალა. მერე გაუბედვად მოეხვია ჭილაურის თავს და ჩაიხუტა.

გარეთ ყიოდნენ მამლები.

შორიდან ამოდიოდა ცისკრის ვარსკვლავი.

— აღარსად წახვალ? — ყურში ჩასწორჩულა დამცხრალმა ჭილაურმა და ნაბაღზე გულოდმა გადაწვა.

— არ წავალ, — ჩურჩულით უთხრა გოგომ და შიშველ სხეულზე პერანგი გადაიფარა.

— არ წახვიდე.

— არ წავალ.

— საცაა გათენდება, — თქვა ჭილაურმა.

— რამდენიც გინდა, მცემე ხოლმე, — თქვა გოგომ.

— აღარა გცემ, — დაიჩურჩულა ჭილაურმა.

გადმობრუნდა, გოგოს თავთან დაიხარა, თვალეზში ჩახედა და შუბლზე ფრთხილად აკოცა.

გოგომ თვალეზი დახუჭა.

ჭილაურმა კი მაინც დაივიწყა ეს ერთი წამი სინაზისა და ხან სიმთვრალეში, ხან სხვა რამ მიზეზის გამო, გაცოფება რომ წამოუვლიდა, კვლავ სცემდა თავის მორჩილ ცოლს. მაგრამ ერთხელ, როცა უკვე ბიჭი დაებადათ, ქალმა შუაღამისას გააღვიძა ჭილაური. ქალს ხელში ანთებული სანთელი ეჭირა და თვალეზი ანთებდა. ასეთი თვალეზი ჰქონდა მაშინაც, იმ ბნელ ღამეს, როცა ჭილაურმა პირველად წაიყვანა სახლში და პირველად სცემა.

აკვანში ბიჭი ტიროდა.

— რათ გამაღვიძე? — იკითხა ჭილაურმა.

— იცოდე, ბიჭს არ დაანახო, — თქვა ქალმა.

— რა არ დაეანახო?

— აღარა მცემო, იცოდე!

ჭილაურმა ხმა არ გასცა.

— თორემა... — თქვა ქალმა.

— რაო, თორემ?

ქალს თვალეზი უფრო უელავდნენ.

— თორემ სამუდამოდ წახვალ, — მთესმა ჭილაურს.

კაცს ხმა აღარ გაუცია. ქალმა ჩააქრო სანთელი და დაწვა. აკვანში ბიჭი ტიროდა. ქალი უხმოდ არწევდა აკვანს.

ეს იყო დიდი ხნის წინათ, როცა ჭილაური მართლა კაცი კი არა, ჯერ ისევ ბიჭი იყო და ბიჭურად უყურებდა იმ გოგოს, გოგოს კი არა, თავის საკუთრებას.

ის ბიჭი კი, ჭილაურის ნაძმობი; როგორც კი ჭილაური ჩამოვიდა, ჯერ შინიდან გარეთ აღარ გამოსულა, მერე კი სამუდამოდ გადაიხვეწა სოფლიდან. არავის უნახავს, როგორ წავიდა. დილით ლოგინი ცარიელი დახვდათ და დედ-მამამ სამუდამოდ დაიტირა წასული ბიჭი. არავინ იცოდა, რომ ბიჭიც ტირილით გამოვიდა სახლიდან, ტირილით ჩაურა-ჭილაურის სახლს და ტირილით დაადგა ბილიკს, სოფლიდან რომ ბარისკენ მიდიოდა. ბიჭს უყვარდა ჭილაური. ჭილაურსაც უყვარდა ნაძმობი და როგორც კი სოფლიდან მისი გადაკარგვის ამბავი გაიგო, გულიდან მძიმე ლოდი მოეშვა. ჭილაურმა იცოდა, თუკი ბიჭი სოფელში დარჩებოდა, სხვა გზა არ ექნებოდა, აუცილებლად მოკლავდა. მაშინაც მოკლავდა, სადმე გზად რომ შემოაპყროდა. ბიჭი გულზე მძიმე ლოდად აწვა და ჭილაურმა იცოდა: თუ ბიჭს მოკლავდა, სამუდამოდ ამ მძიმე ლოდით უნდა ეცხოვრა. და ეცხოვრა აქ კი არა, თავის კარმიდამონი, ამ მძიმე ლოდქვეშ წელში მოხრილს უნდა ევლო უცხო გზებზე. შეხვედროდა უცხო ხალხს, კარზე მისდგომოდა და ერთი ნაგლეჯი მიწა, ან ქერქვეშ ყოფნა ეთხოვდა. უცხო გზებზე ნათრევმა ჭილაურმა ისიც იცოდა, კაცს უფრო მძიმეს ვერარასასჯელს მოუტონებდა, ვიდრე თავისი კუთხიდან სამუდამოდ გადაკარგვა იყო. ჭილაური იმ უცხო ქვეყნებში მხოლოდ თავის კუთხეზე და თავის მიწაზე ფიქრობდა, და ახლა, საკუთარი მიწიდან სამუდამოდ აყრილი ის ბიჭი შეეცოდა.



იმ ღამეს ჯილაურმა თავის ცოლს სცე-  
მა...

- ხო, გინდა თუ არა, შენ წადიო!
- იმათ რა ენაღვლებათ, რა...
- მოდი და ელაპარაკე ჯილაურს.
- რაღა მგელთან გილაპარაკინა და რაღა ჯილაურთან.
- ესეც ბედია, მაშ რა არი?
- რაღა მე გამამგზავნეს? — თავის თავს ელაპარაკებოდა ყორესთან ჩამომ-  
ჯდარი უცხო კაცი.

ერთ დღეს ჯილაურის ცოლისძმა — ანჯიქო საღლაც დიკარგა. ანდო მამის თოფი და გაქრა. დიდხანს ეძებეს, მაგრამ ვერსად იპოვეს. ბოლოს თქვეს, სულ ეგეთი აჯამი იყო, მგლის ხროვას გადაწყდებოდა საღმე და ძვლებიც აღარ დაჩებოდა იმისგანაო. მაგრამ კარგა ხნის მერე, როცა ანჯიქო ყველას დააფიყდა, გაზაფხულის ერთ დღეს სოფელში ამოვიდა წვეგრგაუპარსავი, ჟანგმოდებული კაცი და იმ კაცში პირველად მხოლოდ დედამლა იცნო ათი წლის წინათ გადაკარგული ბიჭი. წვეგრი გაბარსეს, დაბანეს, დააბურეს, მაგრამ სად იყო და რა აკეთა ამ ხნის მანძილზე, ვერაფერი ათქმევინეს. მარტო მერე, ზამთრის ერთ ღამეს, ცოლისძმა რომ სიძეს ეწვია, ბლომად რომ სვეს და პირში ენა აღარ ჰქონდათ, ანჯიქომ თვალი თვალში გაუყარა ჯილაურს და თქვა:

— მოვკალი...

ჯილაური მიხვდა, ვიზეც იყო ნათქვამი, წამოდგა, ტაბლას წიხლი ჰკრა და მეორე ოთახში გავიდა. ცოლისძმა სახტად დარჩა. თუ გასამრჯელოს არა, სიძისგან მოფერებას მაინც ელოდა. ათი წელი ხუმრობა არ იყო. ვლადიკავკავში ეპოვნა ის გადაკარგული ბიჭი, და როცა შუადღისას, ბაზარში გამოეჭრა ყელი, მაშინდა მიმხვდარიყო თავისი შურისძიების მთელ უაზრობას. მიმხვდარიყო, მაგრამ გვიანდა იყო. მას შემდეგ იმალებოდა ანჯიქო, მას შემდეგ ვეღარ გამოდიოდა დღის სინათლეზე. მარტო

ათი წლის მერეღა, როცა იფიქრებდნენ ყველაფერს აფიყებს ხალხსათ, გაბრუნდა და შინ მოვიდა. მოვიდა და სწორედ იმ კაცს უთხრა, ვისიც ყველაზე მეტი იმედი ჰქონდა. ამდენ ხანს სწორედ ეს იმედოვნებდა. ამქვეყნად ეგულბოდა კაცი, რომელთანაც მივიდოდა და ყველაფერს გულახდილად ეტყოდა. ის კაცი კი გაუგებდა და აპატებდა... მაგრამ სწორედ ამ კაცმა არ აპატია სწორედ ეს კაცი ადგა, ტაბლას წიხლი უკრა, მარტო დაარჩინა და კარი მოუჭეტა. ანჯიქოც ადგა, კარს მიაწვა, მაგრამ ძვრა ვერ უყო. აღარც სიძე ჩანდა, აღარც თავისი და. სახლიდან გამოვიდა და ვარსკვლავებიან ცას შეხვდა. იმ წუთიდან ჯილაური სძულდა.

იმ წუთიდან კი ჯილაურმა მოსვენებული ცხოვრება დაკარგა. იქ, ომში, სიკვდილს ბევრჯერ შეპყრობ პირისპირ. ალბათ, კაციც იმდენი მოუკლავს, თვითონაც რომ არ იცის, მაგრამ ის სხვა სიკვდილი იყო. იმ სიკვდილისა ჯილაურს არ ეშინოდა. ის ომი ჯილაურას თვალში თვითონ ღმერთის განაღებული იყო და ის სიკვდილიც ღმერთს ბრალდებოდა. ანჯიქოსაგან მოკლული კაცი კი, ის კაცი, ვისაც ჯილაურმა სიცოცხლე აჩუქა, და აჩუქა იმიტომ, რომ ერთხელ უყვარდა, ჯილაურის სულს ცოლგაბრალში იყო გახვეული. როცა ომიდან დაბრუნდა, ტაბლას შემოუჭდა ჯილაური და მოხუცი თოთიას მოწვდელი პირველი ჭიქა ასწია, იმგვარი სიმშვიდე მოერია, ეგონა, ის სისხლიანა წარსული უკვე სამუდამოდ დამთავრდაო. თითქოს სიცოცხლე ეხლა, ბებერი თოთიას მოწვდილი ჭიქიდან, მასში ჩაღვრილი ვაზის წვენიდან იწყებოდა. სხვა დანარჩენი, ან არ ყოფილა, ან თუ იყო, საღლაც მიღმა ცხოვრებაში იყო, ერთხელ უკვე ჩაგვლილში და დამთავრებულში. იმ მიღმა ცხოვრებაში ჯილაურის მზე უკვე ჩასვენებულიყო, ჯილაურის ტანი ყუმბარით გათხრილ სამარეში ჩარჩენილი-

თამაზ ბიბილუაძე  
ჩივილი

ყო, სულს კი ფრენა ესწავლა, რომ ხელახლა მოეძებნა დედამიწაზე თავისი წილი მიწის ნაგლეჯი და ხელახლა დაეწყოს ის, რასაც მართლა ცხოვრება ჰქვია: მიწის აღერსი. მიწაზე პურის მოყვანა. მიწის გამოღვიძება. მიწის სითბო და სიცივე. თესვის გაღვივება და ჯეჯილად ქცევა. მწიფობა და დაპურება. გაზაფხულის მოუსვენრობა და შემოდგომის მთვლემარე სიმშვიდე. მაშინ ჯილაურს ეგონა, რომ ვერარა ძალა, რაკი შინ დაბრუნება ეღირსა, ვეღარ დაურღვევდა ამ სიმშვიდეს. მაშინ სჯეროდა, რომ ამქვეყნად უკვე ყველაფერს მიუზღო — სისხლსაც და სიკვდილსაც და ამიერიდან მისთვის სიმშვიდე საკუთარი ხელით მოწვეული პურივით ალალი იყო. მაშინ ჯილაურმა იფიქრა, რომ ხელში თოფს აღარასოდეს აიღებდა და თუ აიღებდა, ეს იქნებოდა სამუდამო დასასრული ჯილაურის არსებობისა. მაშინ სამუდამოდ მოკვდებოდა. მოკვდებოდა მისი ხორციც და სულიც, დედამიწაზე რომ ვეღარასოდეს დაბრუნდებოდა. ამიტომ ეშინოდა ჯილაურს იმ თოფისა, ამიტომ გაუბრბოდა ხელის ხლებას და თუ თოფი მართლა არ გადაადგო, თუ თოფი ისევ ბუხრის თავთან ეკიდა, ჯერ ერთი იმიტომ, რომ ცოლის თვალში კვლავ ძველი ჯილაური ყოფილიყო, მაგრამ უფრო იმიტომ, რომ თოფი ბუხრის თავზე ღმერთმა დააკიდინა, ღმერთმა მოუვლინა ჯილაურს ბიჭი, რომელიც მალე ვაჟაკი უნდა გამხდარიყო, ვაჟაკს კი თოფი უთუოდ დასჭირდებოდა. ახლა, როცა ცოლისძმის გამოჩენამ კვლავ დაურღვია სიმშვიდე, როცა ვეღარც სახნავში გადიოდა და ვეღარც აყოტებული ბიჭის დანახვა ჰგვირია ძველებურ ღიმილს, ჯილაური ხშირად ჯდებოდა ბუხრის პირას და გამტარებული თვლით თოფს შესცქეროდა.

— დაწევი, კაცო! — ეხვეწებოდა ქალი და შიშით უყურებდა თან ჯილაურს, თან შუალამეს, ფანჯრებთან რომ ტრიალებდა და ძილს აფრთხობდა. დრო გასულიყო, დროს ყველა წყენა

წაეშალა და ჯილაურს ახლა ისევ უყვარდა თავისი ნაძმობი. ნაძმობა ისევ ძველებური ბიჭი იყო, ფერმკრთალი და ფიქრში წასული. დრომ და სიკვდილმა ყველაფერი ამატია. სიკვდილმა ჩააქრო ჯილაურის გულში ბოღმის უკანასკნელი ნალვერდალი და ისე ფიქრობდა ბიჭზე, როგორც მაშინ, ომში წასვლისას რომ ემშვიდობებოდა.

— რაღას უყურებ, კაცო! — არ ეშვებოდა ცოლი. და იმ წუთში ჯილაურს ცოლის ხმის გავრენბაც არ უნდოდა რადგან ეს ქალიც მკვლელის და იყო თანაც მიზეზი სიკვდილისა.

და ერთ ღამეს, როცა ძილი არა და არ მიეკარა, როცა არც ცოლს ეძინა და გულის კანკალით ელოდა ქმრის ფეხზე წამოდგომას, ჯილაური უცებ წამოიჭრა სამფეხა სკამიდან, ბუხრის თავთან მივიდა და თოფი ჩამოიღო.

— საღ მიხვალ? — იკითხა ცოლმა და მოეხვია.

ცოლი ქმარს კარგად იცნობდა და იცოდა, სადაც მიდიოდა.

ჯილაურმა ხელი ჰკრა და ქალი მოიშორა.

მერე მიდიოდა სოფლის ვზაზე. წვიმა და ასველებდა ჯილაურის შუბლს, თვალებს, ლოყებს... წურწურით ჩამოსდიოდა ნიკაპზე წვიმა. გადაიარა ყორეები და სოფლის ბოლოში ჩავიდა. ჩუმად გააღო ნაცნობი ჭიშკარი, როგორც მაშინ, კარგა ხნის წინათ, ქალის წასაყვანად რომ მოვიდა. ავიდა საჩხვში და სახლის კართან გაჩერდა. თოფი იქვე მიაყუდა, კარს ფრთხილად მიაწვა და შეაღო.

— ვინა ხარ? — თითქოს ელოდაო, მაშინვე წამოიწია ანჯიქომ.

— მე ვარ. — დაიზურჩულა ჯილაური.


— ვიცოდნი... შენ იქნებოდი... კიდევ ვწვიმს?

— წვიმს.

— აღარ გადაიღო რჯულქაღლმა...

ჯილაურმა პასუხი არ გასცა.

— ეხლა რა გინდა? — იკითხა ანჯიქომ.



— უნდა წახვიდე...  
 — სად წავიდე?  
 — რა ვიცი... სადაც ვინდა...  
 — რო არ წავიდე?  
 — არ ვიცი...  
 — მე რო დაგასწრო?  
 — შეიძლება...  
 — შენ ჩამოგრვცხე სირცხვილი. — მოესმა ჯილაურს სიბნელეში — შენი საქმე გავაკეთე. ვაჟკაცი-თუ იყავი, შენ-ვე მიუზღავდი. შენ არ გააკეთე და მე გავაკეთე. ჩემი და შეარცხვინა და გავაკეთე.  
 — აჰი მივუზღე, სიკვდილზე მეტი მივუზღე.  
 — ვისა?  
 — ვისა და ვინც და მოგტაცა.  
 — ვინც ცოლი მომტაცა-თქო...  
 — ხო... ვინც ცოლი მომტაცა...  
 — შენ რომ ვაჟკაცი ყოფილიყავი, ამას ვერ გაგებდავდა.  
 — ვინც გამიბედა, მეგობარი იყო ჩემი. მეგობრის გარდა სხვა ვერაფერი გამიბედავდა.  
 — ემაგიტომ უფრო ეკუთვნოდა სიკვდილი.  
 — აჰი მოკვალი, ნაკუთარი მიწიდან გავაგდე.  
 — მერე ეს რა არი?  
 — ეს არი ყველაფერი.  
 — ყველაფერი სიკვდილია... იყო და აღარ არი. ეს არი ყველაფერი...  
 — ორივენი გაჩუმდნენ...  
 — წადი! შენთვის მაინც სულ ერთია... — თქვა ჯილაურმა.  
 — ანჯიქოს აღარაფერი უთქვამს. ჯილაური იდგა და ელოდა.  
 — კარგი, წავალ... — მოისმა სიბნელეში კარგა ხნის მერე.  
 — როდის წახვალ?  
 — როდის წავიდე?  
 — როგორც კი წვიმა გადაიღებს...  
 მეორე დილითაც წვიმა და იმ საღამოსაც. მესამე დღე და ღამეც სულ წვიმა და წვიმა. ის ორი დღე და ღამე ჯილაური იწვა და ეძინა. არც თვითონ გაუღვიძია, არც ცოლს გაუღვიძებია.

მეოთხე დილით, თვალი რომ გაახილა, ცოლს დაუძახა:  
 — ისევა წვიმს?  
 — ხო, ისევა წვიმს — უთხრა ცოლმა.  
 — წადი, ნახე შენი ძმა... — თქვა ჯილაურმა.  
 ცოლი კარგად იცნობდა ქმარს და ყველაფერი, რაც ხდებოდა, კარგად იცოდა. ისიც იცოდა, რისთვის აგზავნიდნენ და უსიტყვოდ გავიდა სახლიდან. ჯილაური იწვა და წვიმის ხმაურს უსმენდა. ბუხარის თავზე აოფი ეკიდა. ჯილაურმა იცოდა, თუ ანჯიქო არ წავიდოდა, ეს თოფი ისევე უნდა ჩამოეღო და ცოლისძმა მოეკლა. კაცის მოკვლა კი არ უნდოდა. ამ კაცის მოკვლით ჯილაური საკუთარ თავს მოაკლავდა, ამ სიკვდილით ცოდვილი გახდებოდა და უფლება წაერთმეოდა მამობისა, რადგან ცოდვილის შვილიც ცოდვილი იქნებოდა და მთელი თავისი ცხოვრება სხვისი ბრალით დაიტანჯებოდა. და ახლა, ტახტზე გადაწოლილი და გამქვარტლულ ჭერხოს მიშტერებული ჯილაური ღმერთს თუ განგებას მარტო იმას შესთხოვდა, მშვიდობიანად გასცლოდა ის კაცი, სადაც უნდოდა, იქ წასულიყო, ოღონდ ჯილაურის თვალს მოჰფარებოდა. ჯილაურს ამქვეყნად ერთი ბედნიერება უნდოდა. ეცქირა ბიჭისათვის, რომელიც უკვე ყრმობაში შედიოდა და სასულეაშეზე ღინდლი ედებოდა. ბიჭი არავის ჰგავდა, არც დედას, არც მამას და არც სხვა ვინმეს. და ჯილაურიც იმგვარი მორიდებით შესცქეროდა ბიჭს, როგორც მორწმუნე შესცქერის ხოლმე ტაძრის კედლიდან იღუმალი თვალით მზირალ ფრესკას.  
 მაგრამ ბიჭი არ ჰგავდა ფრესკას, ბიჭი უფრო დათვის ბელს ჰგავდა, დათვის ბელივით ქერა იყო, ჯან-ღონით სახეზე, კეთილი და მშვიდი. ჯილაურმა არ იცოდა საიდან გაჩნდა ამ ვადაკარგულ, მკაცრ და დაუნდობელ მთაში ამ ბიჭის მშვიდი და აუმიღვრველი ღიმი-

თავაზ ბივილური  
 ჩივილი

ლი. მაგრამ ჯილაურნი ხედებოდა, რომ მისი სიცოცხლის აზრი მხოლოდ ამ ბიჭ-ში იყო. ჯილაური ცხადად ხედავდა საკუთარ თავს და როცა ამ ბიჭს აღარებდა, კვლავ რწმუნდებოდა, რომ ბიჭი სულ სხვა იყო. და ეს „სხვა“ თავგანწირვით უყვარდა ჯილაურს. იმ ერთი ტიქა ღვინის მერე, თავის ეზოში ომი-დან დაბრუნებულს, ბებერმა თითქოს რომ მიაწოდა, ჯილაურმა თითქოს განსაწმენდელში გაიარა. იქამდე რაც იყო, იმისი გახსენებაც არ უნდოდა. იქამდე ომი იყო, დაუნდობელი, გაუგებარა და უსამართლო. მაშინ ჯილაურმა ისღა მოახერხა, რომ წარსულს ზურგი შეაქცია. გამოიყვანა ეზოდან ხარები, გამოიტანა გუთანი, გავიდა მინდორში და გააგლო ხნული. ხნულში გადააბნია მარცვალი და მერე, მთელი სამი თვე მოუთმენლად ელოდა, როდის დადნებოდა ხნულზე გადაფარებული თოვლის საბანი, როდის ამოვიდოდა ჭეჯილი, რომ მოჰფერებოდა იმ ჭეჯილს და სულ იმ ჭეჯილთან ყოფილიყო, სულ მისი მუხლის გამაგარებაზე ეფიქრა. და სწორედ მაშინ, როცა თოვლი დადნა და ჭეჯილი ამოვიდა, ცოლმა კი სამხარი ამოუტანა და თან ბალღიც ამოიყვანა, ბალღი ჭეჯილში ჩასვეს და სანამ ჯილაური ხშიადს და ხაჰოს მადიანად ჭამდა, ეგრე იჭდა ჭეჯილში, თვითონაც ჭეჯილივით ამოწვდილი და თამამი. ეს იყო ჯილაურის ბედნიერებას მეორე ციავი. და ჯილაურმა ხელი ღონივრად ჩასჭიდა ამ ბედნიერებას. ბიჭი ხელში აიყვანა და მზეს შეახედა. ეს ბიჭი მისი იყო. მისთვის შეეძლო სიცოცხლე და მისთვის შეეძლო სიკვდილი. წლების მერე, როცა ბიჭი წამოიზარდა, ჯილაური მიხვდა, რომ ბიჭი ის იყო, ვის წინაშეც ფიქრში მუხლს მოიყრიდა, როგორც მორწმუნე წმინდანის წინაშე. ეს ჯილაურმა მხოლოდ თავისთვის იცოდა, მხოლოდ ერთხელ ეფიქრა, მაგრამ ეს ნაფიქრი მთელი სიცოცხლის აზრი გამხდარიყო, მთელ მის არსებაში ფეთქავდა, როგორც ფეთქავს კაცის გული — სავეს ცხელი სისხლით და ვნებით. ამის

მერე ამ ბიჭისათვის ამოდიოდა ჯილაურის მზე. ამ ბიჭისთვის დამეორდა ჯილაურის გაზაფხული, ამ ბიჭისთვის ვირტებოდნენ ხეები. ყველაფერი, რასაც ჯილაური ფიქრობდა და აკეთებდა, ამ ბიჭით იწყებოდა და ამ ბიჭით მთავრდებოდა. მაგრამ ბიჭისთვის რომ ეს გეთქვათ, გაოცებული თვალთ შემოგხედავდით და გაგეცლებოდათ, რადგან ჯილაურს მისთვის ერთი საალერსო სიტყვაც არ უთქვამს. მათი საუბარი კაცურ საქმეს არ სცილდებოდა. მათი მამა-შვილობა უთქმელი იყო. და თუ სიყვარულზე მიდგებოდა საქმე, სიყვარული ჯილაურს უფრო ჭირდებოდა, ვიდრე ბიჭს. ბიჭი ხარებს მიუძღოდა და ფიქრში ხან სად იყო, ხან სად. მამა უკან მიჰყვებოდა, გუთნის სახელურს მაგრად ჩაბლუჯული და მხოლოდ აქ იყო, ბიჭის მსხვილ კისერს და კეფაზე ჩამომლილ წაბლისფერ თმას ხედავდა მხოლოდ და მისი ფიქრიც ბიჭის კვალს მიჰყვებოდა, გუთნისგან გავლებული ხნულივით.

— ადექი, ჭერხოში ადი! — თქვა ჯილაურმა.

ბიჭი გაოცდა და ფიქრიანი თვალებით მამას მიაშტერდა.

— ჭერხოში ცივა, — თქვა ბიჭმა.

მამა დაიბნა. არ უნდოდა ბიჭის აქ ყოფნა. არ უნდოდა ბიჭს დაენახა, როგორ ჩამოიღებდა თოფს და როგორ წავივლოდა სოფლის ბოლოში, განმარტობით მღვარი სახლისკენ.

...ის იყო, ქალმა კარი შემოაღო.

კაცი და ქალი იდგნენ და ერთმანეთს უშქერდნენ.

— წასულა! — თქვა ქალმა.

— ამ წვიმაში? — იკითხა კაცმა.

— ხო, ამ წვიმაში...

კაცი ბუხრის პარას, სამეფხა სკამზე ჩამოჯდა.

ბიჭი იდგა და კაცს თვალს არ ამორებდა.

— მოდი, გათბი! — დაუძახა კაცმა.

ბიჭი მოვიდა და ბუხართან, შორიან-ლოს ჩამოჯდა.





— შირი, მუხლებზე ღამიჯექი, —  
უთხრა კაცმა.

ბიჭი მამის მუხლებზე ჩამოჯდა. ბიჭი  
კუნძივით მძიმე იყო და მამას გაეცინა.  
ქალმა ტირილი დაიწყო და ჭერხოში  
ავიდა.

— არაფერი გინდა? — ჰკითხა ბიჭს  
ჯილაურმა.

— რა უნდა მინდოდეს? — თქვა ბიჭ-  
მა.

— რა ვიცი, იქნება გინდა რამე...

— ცხენი მინდა! — მშვიდად თქვა  
ბიჭმა.

ერთი კვირის მერე ჯილაურმა დილა-  
ადრიადად მოჰგვარა ბიჭს თუშებში ნა-  
ყიდი, ახლად გახედნილი წაბლა კვიცი,  
ეზოში დააბა და ბიჭს დაუძახა.

ბიჭმა კიბე ჩამოიარა და გაუბედავად  
მივიდა ცხენთან.

— შენია, — უთხრა ჯილაურმა.

ბიჭი ცხენს გვერდით ამოუდგა და  
ფრთხილად გადაუსვა მოკლე ფაფარზე  
ხელი.

ცხენმა მიუშვა ბიჭი.

და ასე იდგნენ: ცხენი — კობებშეკ-  
რული და ამაყი. ბიჭი — გაღიმებული  
და ბედნიერი.

— შენია, — ისევ უთხრა ჯილაურმა.  
ბიჭი დაიბნა.

— შენია, ნუ გეშინია.

ბიჭი გაუბედავად მოეხვია ცხენს.  
ცხენმა უკან მოიხედა. ბიჭმა გაუცინა,  
მერე ისევ მოეხვია და ფაფარზე გადა-  
უსვა ხელი.

— წავიდეთ! — თქვა ჯილაურმა.

— ჯილაურის გულითვინ მე უნდა  
ღამიჭირონ? — ჯავრობდა ის უცხო  
კაცი და ყორესთან მიდი-მოდიოდა.

— ეგენი რო ტყიურები იყვნენ, რა  
ჩემი ბრალია?

— ამოვიდნენ და წაიყვანონ!

— თითონ რატო არ ამოდიან?

— მე რატო გამამგზავნეს?

— დაბალი ღობე მნახეს და იმიტომ...

ცოლმა ბაკიდან ხარები გამოიხედა და  
სახნავეში წავიდნენ. მზიანი დღე დადგა.  
წვიმის ღრუბლები ქედებს იქით გადა-  
ვიდნენ. ბიჭმა ცხენი გაიგდო და ჭა-  
ლებში გადაიკარგა. შუადღის ხანს ისევ  
დაბრუნდა. კაცი თავაუღებლად ხნავდა.  
ჯილაურმა არ იცოდა, როგორ შეხვდა  
სოფელი ანჯიქოს გაქრობას, ხმის ამო-  
უღებლად, რაც უსიტყვო დასტურს  
ნიშნავდა, თუ ჩურჩულით, რაც იგივე  
იყო, კაცს რომ გაეტირო, ან წინიდან  
გადაუდგე და არსად გაუშვა. მაგრამ  
ჯილაურმა ერთი სიმართლე იცოდა —  
საკუთარი სიმართლე და იმ სიმართლეს  
ისე მიჰყვებოდა, როგორც ახლა ამ  
ხნულს, ფერდობზე გავლებულს. გუ-  
თანი ძლივს მიიწვედა აღმართში, ქვებ-  
სა და კლერტა ბალახებს ეღებოდა,  
ბორგავდა და ოფლად იღვრებოდა. ჯი-  
ლაურის სიმართლეს ასე ნულა, ბორ-  
გვითა და წვალებით იკვლევდა გზას.  
დიდი წვიმების მერე მიწას ოხშივარი  
ისლიოდა. მზე მშვიდად წვავდა ჯილაურ-  
ის შიშველ ზურგს, დედაკაცის ჯერ  
ისევ დაუშვანარ ლოყებს, ბიჭის წამო-  
ზრდილ ყვარიმალებს და დაძაბულ  
ღაწვებს. ქვემოთ ჩუჩხუხით ჩარბოდა  
დაწმენილი მდინარე. ბეჭიდან ბეჭზე  
ერთმანეთს გადასძახოდნენ გუგულები.  
მოწმენდილ ცაზე ბორიალობდა ძერა.  
მზის სითბოს და საკუთარ ფიქრებს  
თავმიციმული, გუთანს ღონივრად მი-  
წოლილი ჯილაური ფეხშიშველა მია-  
ბოტებდა ნახნავში. დილიდან სამხრო-  
ბამდე თავი არ აულია. მარტო მაშინდა,  
როცა ბიჭი და ცხენი ისევ გამოჩნდნენ,  
მზემაც უფრო დააცხუნა და შიმშილიც  
იგრონო, თავი მიანება გუთანს, ხარები  
ბალახზე გაუშვა და იქვე, ნახნავის პი-  
რას, მწვანეზე გულაღმა გადაწვა. ცო-  
ლი ადგა და სამხარი გაშალა. სამივენი  
უხმოდ შემოუხსდნენ სუფრას და ეკრევე  
უხმოდ დანაყრდნენ. ჰამას რომ მორჩა,  
ჯილაური ისევ ბალახზე ვადაწვა და

თამაზ ბიბილური  
ჩივილი



თვალი მილულა. ეგრე, თვალმილულული იწვა ცოტახანს. მერე უცებ თავი წამოსწია და თითქოს სიზმრიდან გამოერყვო, ბიჭსა და ცოლს გადახედა. ბიჭი თავისთვის იჯდა და იქვე მობალახე ცხენს შესტკეროდა. ცოლი ნასუფრაღს ალაგებდა.

— წადი, გაატარე ქალაში, — უთხრა ბიჭს.

ბიჭი უხმოდ ადგა, ცხენს ხელი მოჰკიდა და წაიყვანა.

ჯილაური ისევ გადაწვა და თვალეები დახუჭა. მერე თვალი ქურღულადა გაახილა და ქალს გახედა. ქალს უკვე აელაგებინა ქურჭელი და ხურჯინში აწყობდა.

— მოდი აქ, — ჩუმად თქვა ჯილაურმა.

ქალმა გადმოხედა.

ჯილაურმა გაუცინა.

ქალმაც გაიცინა.

ეს ღამის ჩურჩულს ჰგავდა და ქალი გაუბედავად მოდიოდა კაცისკენ.

— მოდი, — ისევ თქვა ჯილაურმა.

ქალი ფეხებთან დაუჯდა.

ჯილაურმა წამოიწია, ქალს მაჯაში წაიგლო ხელი და გულზე გადაიწვინა.

— ნუ... — ჩურჩულებდა ქალი.

— ბიჭი ქალაშია.

— სოფელი... სოფელი...

— სოფელს ჩვენთვის არა სცალია.

— აქ ნუ... ამ მზეში...

— მე აქ მინდა.

— ეხლა ნუ...

— მე ეხლა მინდა...

კაცი კამეჩივით ლოკავდა დედაკაცს. თავზემით არწივი ბორიალობდა.

ერთმანეთს გასძახოდნენ გუგულები. მზე ვარვარებდა და თონესავით წვავდა ჯილაურის შიშველ ზურგს.

დედაკაცზე დამხობილი კაცი დაკოჟრილ კუნძს ჰგავდა.

— ბიჭი! — დაიძახა უცებ ქალმა.

ჯილაური მიწას დააკვდა.

ბიჭი არსად ჩანდა.

ჯილაურმა გაიცინა.

ქალიც იცინოდა.

მერე გაოფლილი ჯილაური ისევ ველაღმა იწვა და პირისახეზე ნაბღის ქუდი ეხურა.

დედაკაცი ხარებისკენ წავიდა, ხარები გუთანში შეება და ქმარს დაუცადა.

ჯილაური იწვა და ხვრინავდა.

დედაკაცი იდგა და ელოდებოდა.

მაგრამ ჯილაურს მზის ჩასვლამდე ჯანიანად ეძინა.

მზე რომ ჩავიდა, სიგრილემ გააღვიძა, ადგა და მდინარისკენ წავიდა. ტანსაცმელი ლოდზე მიყარა; ჩანჩქერს შეუდგა და ტანი ჩამოირეცხა.

მერე ბიჭი და ცხენიც გამოჩნდნენ.

და ჯილაურმა კვლავ ის ნაცნობი სიხარული იგრძნო, რაც იმდენად ცოტა იცის კაცმა, რომ სიკვდილამდე სულ ახსოვს და რომ ჰკითხო კოდეც, რა უხაროდა იმ დღეს, რატომ დაეუფლა ღვთებრივი სიხარული, ვერაფერს გეტყვის, რადგან მიზეზი ამგვარი სიხარულისა ყოველთვის უბრალოა და ჩვეულებრივი. და ჯილაურისთვისაც რომ გვეითხათ (იმ წუთში ჯილაური ლოდზე იჯდა და უტკერდა, როგორ ამოდიოდნენ აღმართზე ბიჭი და ცხენი), რა გივსებს გულს დაირისფერი მშვიდი მუქით, ვერაფერს იტყოდა, რადგან იმ დღეს, მზის ამოსვლიდან მზის ჩასვლამდე, უჩვეულო არაფერი მომხდარა: დილაადრიაანად ბიჭს წაბლა ულსაყი მოჰგვარა. იყო მზიანი, მწველი დღე და ჯილაურის სხეულს ისეთი მხურვალეებით ავსებდა, რომ გუთანს კამეჩივით მიჰყვებოდა. მერე იმავე ღონითა და მწველი სითბოთი ხვრებდა ცოლის ალერსს. მერე მზითა და ვნებით გახურებული სხეული ცივი წყლით გაიგრილა. ეხლა კი, როცა მშვიდად ზის ლოდზე, ქალიდან აღმართს მოჰყვებიან წაბლა ცხენი და ბიჭი, ამ კაცის სისხლი და ხორცი, მარადიულობისაკენ გაწვდილი ამ კაცის ხელი. ეს იყო და ეს... სხვა მეტი არაფერი მომხდარა...

...და კაცმა რომ თქვას, ამ კაცს სხვა მეტი არც არაფერი უნდოდა.



- ჩემმა ცოლ-შვილმა რა დააშავა?
- ფიქრობდა ყორესთან მდგარი ის უცხო კაცი.
- ან მე ვის რა დავუშავე?!
- ერთი საწყენი ვინმესთვის მითქვამს?
- გადასახადსაც პატიოსნად ვიხდი, ბეგარაზეც გავდივარ.
- ეს ჭილაური ვინდაა?
- ესეც ვითომ სოფელია?
- ესეც ვითომ კომლია?
- ჭილაურთან მე რა საქმე მაქ?
- მე რად გამამგზავნეს?

ანჯიქოს დაბრუნება და ხელახლა გაქრობა იღუმალებით შეიმოსა სოფლის თვალში. სოფელმა ვერც ის გაიგო, თავდაპირველად რატომ გადაიკარგა ანჯიქო, სად იყო ათი წელიწადი, რა აკეთა, ვისთან ცხოვრობდა, მაგრამ რაკი დაბრუნდა, მისი დაბრუნება ჩვეულებრივ ამბად ჩათვალა. კაცი დაკარგული იყო და დაბრუნდა! მაშ სად უნდა დაბრუნებულიყო, თუ არა თავის სოფელში, თავის სახლ-კარში? და სოფელშიც ისე მიიღო ანჯიქო, როგორც უძღები შვილი, გზაბნეული, ნატარნატანჯი და ისევე შინ მობრუნებულნი. სოფელი ქვეყნიერებას იყო მოწყვეტილი. აქაურები აქ იბადებოდნენ და აქვე კვდებოდნენ. მარტო ქალს თუ მოიყვანდნენ სხვა მხრიდან და სხვა მხრელებიც დიდხანს აჯანჯლებდნენ საქმეს, არ უნდოდათ სადღაც გადაკარგულში ქალის გაშვება. მაგრამ თუ აქაური გულში ჩაიდებდა, ქალს მაინც თავისად გაიხდიდა და აქაურობასაც იმგვარი მომწუსხველი ძალა ჰქონდა, ცოტა ხნის მერე ძალით მოყვანილი ქალისთვის ბევრიც რომ გეხვეწნათ, აღარსად წავიდოდა. სოფელს თავისი ადათი ჰქონდა და თავისი საწყაო და არშინი. ყველაფერს თავისებურად წონიდა და ზომავდა. ქვეყნის ხმაური აქამდე გვიან აღწევდა და აქაურებიც ბარში მხოლოდ საქმეზე ჩადიოდნენ. კაცები მარილს და ნავთს

ამოიტანდნენ, ქალები ცხენებს, ხორცს, ნებს გადაჰკიდებდნენ და კაბებს, ხელბოს და ხაჭოს წაიღებდნენ გასაყიდად. ვერ სოფელში არავის ახსოვდა, რომ ვინმე წასულიყოს და ერთ-ორ დღეში ისევ უკან არ მობრუნებულიყოს, ახალი ამბებითა და ნვაჭრით. პირველი გაგაიყო, რომ წავიდა და აღარ დაბრუნებულა. მაგრამ გაგა აუცილებლად უნდა წასულიყო, უნდა გასცლოდა აქაურობას, როგორც ნაქმობის მოლაღატე და პირშავი. გაგას კი ანჯიქო მიჰყვა და სოფელმა უკვე აღარ იცოდა, რამ წიყვანა ანჯიქო, რად დატოვა აქაურობა. ანჯიქოც გაგას კვალს გაჰყვა ფეხდაფეხ. რალა მკვდარი და რალა შინმოუსვლელიო და ანჯიქოც მკვდრად ჩათვალეს. მკვდარი, თორემ აქაური კაცი ამდენი ხნით არსად წავიდოდა. ანჯიქო კი წავიდა და დაბრუნდა კიდევ. აქაურობის აღათმა მაინც გაიმარჯვა, წასული კაცი მაინც დაბრუნდა.

მაგრამ ანჯიქოს მეორედ გაქრობამ გამოუცნობ შიშში ჩაადლო სოფელი: ან რად წავიდა, ან რად დაბრუნდა. დაბრუნებით კი უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ რალად წავიდა. რა ძალა ადგას. რა ძალა დაატარებს ეგრე ოღმა-დოღმა. თუ კვლავაც დაბრუნდა, არს მოუტანს სოფელს მისი დაბრუნება... სოფელმა ნამდვილი საქმისა არაფერი იცოდა და მარტო ეს გამოუცნობი ფიქრი აწვალებდა და ტანჯავდა. და ვინდაც ყველაფერი მისხალ-მისხალ სცოდნოდა, ამით არაფერი შეიცვლებოდა: სოფელს ადვილად უჩუყდება გული და კაცის გაწირვაც ადვილად იცის. სოფელს რომ ყველაფერი სცოდნოდა, ანჯიქო მის თვალში დაჩაგრული გამოჩნდებოდა. დაჩაგრული კი სოფელს შეეცოდებოდა და მის მხარეზე დადგებოდა. ანჯიქომ კაცი მოკლა, მაგრამ შურისძიებამ მოაკვლევინა, ღვიძლი დის პატიოსნება დაიცვა! სხვა გზა არა ჰქონდა ანჯიქოს... ამ კაცმა კი, ამ პირქუშმა ჭილაურმა,

თამაზ ბიბილაძე  
წიგნი

რაც ჯარიდან ჩამოვიდა, ნერიანად წმაც რომ აზავისთვის გაუცია, არც ნათელ-მირთნი გაუჩენია და არც ვინმე ნამო-ბად გაუხდია, მადლობის მაგივრად, საწყალი ანჯიქო მოიკვეთა და სადღაც გადახვეწა. თუ ანჯიქო მოსაკვეთი იყო, სოფელი თვითონ მოიკვეთდა. ჯილაურ-მა რად იღო თავზე მთელი სოფლის საქმე, რად დაჩაგრა ისედაც დაჩაგრუ-ლი ანჯიქო, რად გადაკარგა ცხრა მთას იქით? განა ვინ წასულა აქაურობიდან, ვის უთქვამს უარი ამ სოფელზე. აქ დაიბადა ანჯიქო და აქვე უნდა დაეცა-და ღმერთისათვის, ვიდრე სიკვდილს გამოუგზავნიდა... სოფელი ბრძენი იყო, მაგრამ ჯილაურიც არ იყო უკეთუ კაცი და კარგად იცოდა: ანჯიქოს დარდით გულშეძრული სოფელი დაივიწყებდა, რომ ისიც ამ სოფლის შვილი იყო, ვი-საც ფეხდაფეხ სდია ანჯიქომ, ბოლოს სადღაც, ბაზარში წაასწროთ და დაკლა. დიას, მკვლარიც ამ სოფლის შვილი იყო, ამ მიწის მკვიდრი. მაგრამ ის უკვე მკვდარი იყო, ანჯიქო კი ცოცხალი, მართალია, ცხრა მთას იქით გადახვეწი-ლი და შინც ცოცხალი... და სოფელი, თქმა არ უნდა, ისევ ცოცხლის მხარეზე დადგებოდა...

ან კი მართლა გადახვეწილი იყო ანჯიქო? — ფიქრობდა ჯილაური. — მა-რთლა ცხრა მთა გადაიარა იმ ავდარში წახლიდან გასულმა? იქნებ აქვე, ჰალე-ბში დასუნსულებდა მშვიერი მგელივით? ესეც რომ გაეგო სოფელს, მთლად გუ-ლი აუჩვილდებოდა, პურსა და მარილს მაიწვდიდა, ანჯიქოს სიბრაალუს ცოტა შიშით დაემატებოდა, ტყეში გავარდნი-ლი კაცის შიში, და ჯილაური ვერც ვე-რაფერს მიხვდებოდა და ვერც ვერა-ფერს გაიგებდა, ისე დარჩებოდა ცალ-კე, სოფლისგან მოშორებული და განა-პირებული. განაპირებისა ჯილაურს არ ეშინოდა. თუ ასე მოხდებოდა, ნაცვლად შიშისა, მხოლოდ შეეცოდებოდა სოფე-ლი, — გულუბრველო და გაუგებარი. მაგრამ ფიქრი მაინც აწვალებდა. ფიქ-რი მაინც ღამეებს ატეხინებდა უფრო კი ის ჰქონდა საფიქრალი და ის უკვირ-

და, რად ღამეთანხმა ანჯიქო ასე აღვი-ლად, რად მიატოვა სოფელი: ურთხ თქმა-ზე, ისიც იმ ავდარში, წვიხის-გადღერ-ბას რომ აღარც კი დაუცადაო. ძველე-ბური ჯანი რომ ჰქონოდა და გული, ჯილაურს ეს არ გაუკვირდებოდა, მაგ-რამ რად უნდა შეშინებოდა ანჯიქოს იმ კაცისა, რომელიც თავადვე გრძნობდა, რომ ახალგაზრდობა ხელიდან გამოც-ლოდა, სიჭარმაგე სწევოდა და ახლა თანდათანობით, თავისი ბიჭის იმედი უფრო მეტად ჰქონდა, ვიდრე საკუთა-რი თავისა. მართლა მოკლავდა ჯილაური უარზე დამდვარ ანჯიქოს? საბოლოოდ დაიარღვევდა სულის სიმშვიდეს თუ გა-უფრთხილდებოდა აუშლვრეველ ცხოვ-რებას, ასე ტკბილად რომ დაწაფებო-და ომის სისხლიან გზებზე უიმედო ხე-ტიალის მერე?

— მოკლავდი! — ამბობდა ჯილაური.

მაგრამ ამის თქმა იყო და კვლავ ცო-ცხლდებოდა ბუნების კალთას მინ-დობილი კაცის უბრალო ბედნიერება, მზის ამოსვლის და ჩასვლის, გაზაფ-ხულის თრთოლვის და შემოდგომის სიმ-შვიდის ბედნიერება, წვიმის სევდის, თოვლის ჩურჩულის და ჭეჭილის გაღი-ვების ბედნიერება, რისი განცდაც ადა-მიანს ამქვეყნად ერთხელ და საბო-ლოოდ უწერია და ჯილაურიც ჯიუტად ეუბნებოდა თავის თავს:

— კაცის მოკვლა მართო ბუნების ნებაა!

და როცა ამას გაიფიქრებდა, ჯილა-ურის საკუთარ სიმართლეს ისევ ჯიუ-ტად გაჰქონდა თავისი ხნული, ჯიუტად მიჰყვებოდა აღმართებს, ბორგავდა და ბელტებს აბრუნებდა. მერე იმ ბელტებ-ზე ამოდიოდა ჭეჭილი...

და როცა ფიქრმა უფრო მეტად შეა-ლონა, ჯილაურმა ბებერ თოთიას დაუძა-ხა. თავის საფიქრალს სხვას ვერავის გა-უმხელდა. თოთია უყვარდა და ფიქრობ-და, როცა დავებრდები, ნეტავ მეც თო-თიას ვგავდეთ, ნეტავ მეც მომცა მაგისი აუშლვრეველი სიმშვიდე, შემოდგომის დღესავით ფიქრში წასული მოლოდი-ნია.

— თოთია, საქმე მაქვს შენთანაო! —  
უთხრა ჯილაურმა.

თოთია გადმოვიდა.

ბანზე დასდნენ და შუალამემდე სვეს.

ბოლოს თოთია ადგა და შინ წასვლა დააპირა.

ჯილაურმა ვერაფერი უთხრა.

ბებერი თოთიას ახსოვდა ჯილაურის ნათქვამი, საქმე მაქვს შენთანაო და, ეზოში რომ ჩავიდნენ, ჯილაურს მოუბრუნდა.

— რა საქმე გქონდა?

— არაფერი. დალევა მინდოდა შენთან: — უთხრა ჯილაურმა.

თოთიამ არ დაუჯერა. კარგა ხანს უყუ-  
რა და მერედა წავიდა სახლისკენ. ჯილა-  
ური იდგა და უცქერდა, როგორ მიდი-  
ოდა შინისკენ ბებერი თოთია.

— შეეშინდა! — უცებ ხმამაღლა დაი-  
ძახა ჯილაურმა.

— ვის შეეშინდა? — მოტრიალდა  
ბებერი თოთია.

— არავის, თოთია! ჩემთვის ვთქვი,  
მეც არ ვიცი, ვისზე...

თოთია ცოტა ხანს ისევ იდგა და რა-  
ღაცის თქმას აპირებდა.

ჯილაურმა დაუძახა:

— კარგად იყავი, თოთია! — და შინ  
შეტრიალდა.

შეეშინდა! ფიქრობდა ჯილაური. ან-  
ჯიქოს შეეშინდა! ანჯიქო მკვლელია და  
მკვლელს უფრო ეშინია სიკვდილისა.  
ანჯიქომ უკვე იცოდა, რა ადვილი იყო  
კაცის მოკვლა, თუკი გულში ვინმეს სიკ-  
ვლის გადაუწყვეტილი და ახლა შიშს  
გაქცა. სიკვდილის შიშს. დაიჯერა, რომ  
მოკვლავდი! და ამის გაფიქრებაზე ჯი-  
ლაურს თავადაც ისევ შიში ერეოდა,  
ისევ თვალდახელშეუა ეკარგებოდა სა-  
კუთარი სიმართლე და ისევ არ იცოდა,  
მართლა მოკვლავდა თუ არა ანჯიქოს,  
თუკი ის, წვიმა გადაიღებდა თუ არა,  
სოფლიდან არ გადაიკარგებოდა.

ჯილაური თავის ფიქრში წასულიყო  
და არ იცოდა, რომ ანჯიქოს ხელმეორედ  
გადაკარგვამ სოფელს სხვა, უფრო დი-  
დი უბედურება მოუტანა. ანჯიქოს სხვე-  
ბი მიჰყვნენ: ჯერ მეჭურჭლე წაქა, მერე

მკედელი ღუღია. ყველაფერი ისე მოხ-  
და, რომ სოფელმა ამაზე ფიქრება  
ვერც კი მოასწრო. როცა მეჭურჭლეს  
და მკედელს კიდევ სამნი გზავნენ, სო-  
ფელმა მერედა მოიხედა უკან და შე-  
ეშინდა: სოფლიდან წასვლა აღარ იყო  
ისეთი რამ, რაც შეუძლებელი ჩანდა და  
რაც თუ მაინცდამაინც მოხდებოდა, მხო-  
ლოდ თასში ერთხელ შეიძლებოდა მომ-  
ხდარიყო. სოფლიდან წასვლა ჩვეულებ-  
რივი და უბრალო რამ გახდა. ამის გა-  
ფიქრებაზე ისე შეეშინდა სოფელი, რომ  
უკან მოხედვაც ვეღარ მოასწრო, ზედი-  
ზედ გაჰყვნენ ერთმანეთს ყორეებს მიღ-  
მა ჩამწკრივებული სახლები. სახლის  
ფანჯრები ფარღალაა რჩებოდა, ბა-  
კები მოშლილ-მორღვეული და ბანები  
აჩიჩქნილი. მოაქვამამდე მოსული ხელ-  
შეუხებლობა სოფლისა შემოირღვა და  
ახლა იმ სისწრაფით ირღვეოდა, კატა-  
რომ ჩაიგდებს ხელში წინდის ძველას  
და ფეხქვეშ გაიგდებს, თავივით ათამა-  
შებს. ეს წინდის ძველაც, აღრე რომ  
სოფელი ეთქმოდა, თვალდახელშეუა ირ-  
ღვეოდა. წაბავლებული კატა ამ წინდის  
ძველას თავის ნებაზე ათამაშებდა და  
ისიც ჰა და ჰა, საცაა სულ გაილეოდა.  
ეს არ მომხდარა ერთსა და ორ დღეს;  
მაგრამ თავის ფიქრსა და საქმეში წასუ-  
ლი ჯილაურისთვის სწორედ ერთი და  
ორი დღე გამოდგა. ჯილაური ბოლოსდა  
მიხვდა ყველაფერს, ბოლოსდა შეასწრო  
თვალი გალეულ წინდის ძველას, ბო-  
ლოს, როცა მეზობლები სულ შემოე-  
ცალნენ და მარტოკა დარჩა. დანახვით  
ყველაფერს ხედავდა ჯილაური, მაგრამ  
რაკი იმას არავინ არაფერს ეკითხებო-  
და, არც თვითონ ცდილა ვინმეს წასვ-  
ლის მიზეზი გაეგო. რაკი თვითონ კარ-  
გად იცოდა, რომ აქედან ფეხსაც არ  
მოიცვლიდა, რაკი ეს სოფელი მისთვის  
მარტო სახლები და ბაჯ-ბოსელი კი არა,  
მიწაც იყო, თავი ისე ექირა, თითქოს  
ვერაფერს ხედავდა და არაფერი ესმო-  
და. მარტო მაშინდა, როცა ყველა წავი-

თამაჟ აიბილუბო  
ჩივილი

და და ბებერი თოთია, უკანასკნელი წამსვლელი ამ სოფლისა, თავისი ეზოს ყორეს მკლავებით აეფარა და აკოცა, ჯიღაურმა ვეღარ მოითმინა, თოთიასთან მივიდა და უთხრა:

— სად მიდისხარ, თოთია?

— რა ვიცი...

— დარჩი, თოთია...

— ყველა მიდის და...

— ყველა წავიდეს. შენ დარჩი.

მაგრამ თოთიას დარჩენა არ შეეძლო. თოთია იმ დარღვეულ წინდის ძველას ვეღარ გაამთვლებდა. თვითონ იყო ბაწრის უკანასკნელი ნაგლეჯი. ყველა მიდიოდა და ბებერი თოთიაც იქ უნდა ყოფილიყო, სადაც ყველა წავიდა. „ყველას“ რომ ჩამორჩენოდა, სამიზიდ აღარც ძალა მოსდევდა და აღარც წადიდა. ბებერმა თოთიამ ჯიღაურს ზურგი შეაქცია. თოთიას შერცხვა ჯიღაურისა, თვალი მოარიდა და ცახცახით ავიდა ურემზე. თოთია იჭდა ურემზე და ჩაშრეტილი თვალებიდან ცრემლები ჩამოსდიოდა. ჯიღაურს არასოდეს ენახა ატირებული თოთია და იმ წუთში, როცა ბებრის თვალებზე ცრემლები დანახა, პირველად შეეშინდა, მარტო დარჩენისა და სიბერისა შეეშინდა. მაგრამ ჯიღაური ჯერ ისევ კაცი იყო, ჯერ არ მორეოდა სიბერე და თავადაც ზურგი შეაქცია ბერიკაცს.

— მშვიდობით, სოფელო! — გაბზარული ხმით დაიძახა თოთიამ.

სოფელი აღარ იყო და პასუხი აღარავის გაუცია.

ხარებს გაუჯავრდნენ და ისევ მოესმა ჯიღაურს ბებერი თოთიას გაბზარული ხმა:

— მშვიდობით, ჯიღაურო!

ჯიღაურს არაფერი უთქვამს.

ზურგშექცეული იდგა და მარტო იმაზე ფიქრობდა, რომ ბებერი თოთია ბარამდე ვერ ჩააღწევდა.

— რად წავიდნენ? — იკითხა ბიჭმა.

— ეშინიათ, — უთხრა ჯიღაურმა.

— ვისი ეშინიათ?

— ყველასი! ყველაფრისა... — თქვა ჯიღაურმა.

ჯიღაური ბებერი თოთიაზე ფიქრობდა. თოთიამ ისე გაატარა წუთისთველად ამ სოფლიდან ყმაწვილობის დროს, როცა სულა სადმე, მერე კი აღიარა. ეხლა ავიდა ურემზე მუხლებს განკალით, მიენდო იმ ურემს მორჩილად და თვითონაც არ იცოდა, რად მიდიოდა. ჯიღაური ეხლაც საკუთარ სიმართლეზე ფიქრობდა და ნანობდა, რომ იმ დამეს, თოთიას რომ დაუძახა, ვერ გაანდო თავისი სიმართლე. კაცმა რომ თქვას, სოფელი, უნდოდა თუ არ უნდოდა, იცოდა თუ არ იცოდა, ორი გზაბნეული ბიჭის კვალს გაჰყვა და ეს კარგად უწყოდა ჯიღაურმა. ეს უნდა სცოდნოდა ბებერი თოთიასაც. მაგრამ ჯიღაური გაუფრთხილდა საკუთარ სიმართლეს და ბებერი თოთიასაც კი ვერ გაანდო. ეხლაც ბანზე იჭდა ჯიღაური და ამ სიმართლეზე ფიქრობდა. თუ მართალი ვარ, თოთია ბარამდე ვერ ჩააღწევსო! — თქვა და ცახ შეხედა. უმთვარო დამე იყო. არც ვარსკვლავები ჩანდნენ. ჯიღაური იჭდა და ელოდა. თავადაც არ იცოდა, რას ელოდა. იცოდა, მაგრამ საკუთარ თავსაც არ უტყუდებოდა. იცოდა, მაგრამ ამის ფიქრისაც კი ეშინოდა. ჯიღაური თოთიას სიკვდილს ელოდა! სიკვდილი სწორედ ამ ხახადაღებული, ჩაშავებული სახლიდან უნდა გამოსულიყო, ჯიღაურის ეზოს გადაღმა რომ მოჩანდა, ძუნძულით უნდა გაეველო ვიწრო გზა, მერე ბილიკ-ბილიკ მოკლეზე მოექრა და ზედ ქალის პირას დასწევოდა ურემზე მოკუნტულ თვალებჩაშრეტილ ბერიკაცს. შუალამე წამოვიდა და ჯიღაური მაინც ბანზე იჭდა. ცოლმა რახანია ცეცხლი დაანთო და დაუძახა, ჩამოდი, ვახშამი მზად არიო. ის ცეცხლიც ჩაქრა, მაგრამ ვახშამი მაინც არ ჩასულა ჯიღაური. მერე ცოლმა აღარაფერი ჰკითხა, დაბალ ტაბლაზე გაუშალა ვახშამი და ბანზე ამოუტანა, მაგრამ ჯიღაურს ხელი არაფრისთვის უხლია. ბოლოს კი, შუალამე რომ გადავიდა, ის იყო, ჯიღაურს ეგრევე, ზეზეულად მოერია თვლემ, რომ ქვემოდან ძახილი მოისმა. ქვემოდან ჯიღაურს ეძახდნენ:

— ჯილაური!

ჯილაურმა იცოდა, რისთვის იძახდნენ სიბნელიდან ამ განთიადის ქაშს. წამოხტა. ეზო ვადაირბინა და გზაზე გავიდა. ღამეს დააშტერდა და ძლივს გააჩნია; გზაზე ურემი მოლახლახებდა.

— გვიშველე, ჯილაური! — ყრულ გაისმა სიბნელეში, — მოდი, თოთია გადმოვასვენოთ!..

ჯილაური ურემთან მივიდა და ბებერი თოთიას ნაბადი გადახადა.

ბებერი გულადმა იწვა. ღამე თავზე გადმომხოზობდა.

იმ შუალამეს ჯილაური პირველად შეხვდა სიბერეს.

— ეხლა, მე რო მითხრან, გინდა თუ არა, გაგზავნეთ და რატო არ მიიყვანეო, მერე? — ფიქრობდა ის უცხო კაცი, ჯილაურის ყორესთან რომ იჯდა.

— მე საღადა წავიდე?

— ამ დათვმა რომ აიღოს და გადა-  
მალოს ბიჭი, მემრე რაღა ვქნა?

— წადი და ძებნე ტყეში!

— ვინ მეტყვის, შენი ბრალი არ არიო?

— რა ჩემი ბრალია?

— დედაკაცი მეუბნებოდა, რისა გე-  
შინიანო...

— თუ ის ბიჭი ვერ ჩამაიყვანე, შენ  
რათ უნდა დაგბრალდესო...

— შენ ხო გაგზავნეს და სხვა არა-  
ფერიო...

— მე რავი აბა! არკი უნდა წამოვ-  
სულიყავი და...

როცა იმ უცხო კაცმა ცხენით ბილიკი ამოიარა, ცოლ-ქმარმა მაშინვე დაინახეს. ჯილაური სათიბში გასულიყო. თვითონ ცელი ეჭირა, ცოლი თივას აგროვებდა და აბულულებდა. მზიანი დღე იყო. სიჩუმეში მარტო გუგულები ძახილი და ჯილაურის ცელის შრიალი ისმოდა. რაღა თქმა უნდა, ის ვიღაც კაცი მათი სახლისკენ მოდიოდა; ან მათ სწვე-

ოდა, ან მგზავრი იყო და გამასპინძლები სჭიროდა. აქეთ კაცი ისე არ ჩაივლიდა (ჩავლით კი იშვიათად ჩაივლიდა — ვერა-  
მე), რომ დედაკაცი გზაზე არ გადასდგომოდა, შინ არ მიეწვია და ჭამადი და სასმელი არ გამოეტანა. ჯილაური ჭირვეულობდა, საქმეზე ხელს არ იღებდა და დედაკაცი ბრაზობდა; ვინ შენა და კაცისთვის თავის არიდება, წამო, სირცხვილია, აგე, ყორესთან ჩამოჭდა და გველოდებო.

მერე კაცმა რამდენჯერმე დაიძახა. ბოლოს მოსწყინდა ძახილი და ჩრდილს შეეფარა. ჯილაურმა უკვე იცოდა, რომ კაცი სტუმარი არ იყო. სტუმარი ეგრე ძახილს არ დაიწყებდა. სტუმარი სახლის კართან ძალით არ ჩამოჯდებოდა. უცხო კაცი საქმეზე ამოსულს ჰვავდა, თანაც საჩქარო საქმეზე და მოუთმენლად იმიტომ ეძახდა ჯილაურს. ჯილაური უფრო ჭიუტობდა და სანამ ბოლომდე არ გავიდა, ცელი ძირს არ დაუგდია. მერე ცოლს დაუძახა და წყალი მოატანი-  
ნა, ხელ-პირი გადაიბანა, ცელი მხარზე მოიგდო და სახლისკენ წავიდა. დედა-  
კაცი დაწინაურდა. რაკი კაცი სახლის გზას დაადგა, ახლა დედაკაცს უფლება ჰქონდა დაწინაურებულიყო. დედაკაცს ცნობისწადილი კლავდა, რა უნდოდა იმ უცხო კაცს, ჯერ ეგრე მოუთმენლად რომ იძახდა, ახლა კი ეგრევე მოთმინებით იჯდა მათი ეზოს ყორესთან და ფეხს არ იცვლიდა. დედაკაცი გამოიქცა. უცხო კაცთან მივიდა და თავი დაუჭრა. უცხო კაცი წამოდგა, აღარაფრისთვის დაუცდია და დედაკაცს პირდაპირ უთხრა: თქვენი ბიჭი უნდა წავიყვანათ. დედაკაცმა ყურებს არ დაუჭერა, უცხო კაცს ახედ-დახედა, ვიცი ხომ არ არიო, მაგრამ კაცს ალეწილი სახე და დაღლილი თვალები ჰქონდა. ბიჭს ვერ გაგეტანო, უთხრა დედაკაცმა უცხო კაცს და ქმარს დაუძახა: მალე წამოდი, რა უნდა ამ კაცს, ვერ გავიგეო. ჯილაური მოიზღაზნებოდა. მაშინ დედაკაცმა

თამაზ ზივილური  
ჩივილი

ველარ მოითმინა, გაიქცა, ქმარს გზაში შეეგება და იქვე აღუსნა, ის უცხო კაცი ბიჭის წასაყვანად ამოსულაო. ჯიღაურს ხმა არ ამოუღია, არც კი გაჩერებულა, უცხო კაცისკენ წამოვიდა და დედაკაცს ფეხდაფეხ გამოჰყვა, ქმარის სიმშვილემ დედაკაცი გააბრაზა, ქმარს წამოეწია და ხმამაღლა უთხრა: არ გესმის, ბიჭის წაყვანა უნდაო! ქმარმა ითავილა დაყვირება და დედაკაცს მწყურალად გადმოხედა, ცული გადააგდო, ნაბდის ქუდი ხელში დაქმუჭნა და კაცისკენ წამოვიდა. ეხლა ჯიღაური მარდად მოალაჯებდა. დედაკაცს იმედი მოეცა და შორი-ახლო გაჩერდა, ვნახოთ, რა მოხდებაო. ჯიღაურმა უცხო კაცს ხელი ჩამოართვა და ჭიშკარი გაუღო.

ჩუმად შევიდნენ ეზოში და იქვე, კუნძებზე ჩამოსხდნენ.

— ბიჭი უნდა წავიყვანო, — გაბედა კაცმა.

— საღ უნდა წაიყვანო? — იკითხა ჯიღაურმა

— ჩხუბი დაიწყო...

— ვინ დაიწყო?

— ჰიტლერიმა.

— ჰიტლერი ვინა ჩემი ფეხებია?

— რა ვიცი, დაიწყო კი და...

დედაკაცმა ხმის ამოღება ველარ გაბედა. მარტო თავისთვის ფიქრობდა გამშრალი: ავი მივართვით არზა მთავრობას, სოფლების დავთრიდან ამოგვშალეთო. ვერ გაიგეს, რო აღარა ვართ, მარტოკები დავრჩით ამ მიწაზეო.

უცხო კაცმა თამბაქოს ქისა ამოიღო და გაზეთის ნაგლეჯში პაპიროსს დაუწყო მოხვევა. მერე ქისა ჯიღაურს გაუწოდა. ორივემ საგულდაგულოდ გაახვია პაპიროსი. ახლა ჯიღაურმა ამოიღო ჯიბიდან კვესი და აბედი. დამწვარი აბედის სუნი დააყენა. მოუკიდეს და უხმოდ გააბოლეს. დედაკაცი ბანზე იჯდა მოკეცილი და კაცებს თვალს არ აშორებდა. პაპიროსი რომ მოსწიეს, ჯიღაური მოტრიალდა და ცოლს დაუძახა: პური გვაჭამე, სტუმარს ეშეებაო. დედაკაცი მორჩილად ადგა, საჩეხში ჩავიდა,

ქეთლი აიღო და წყაროსკენ წავიდა. ჯიღაური კაცს მოუბრუნდა: რაკი დაიბარეს, უნდა წამოვიდესო. ტყუილად არ დაიბარებდნენო. კაცს გულზე მოეშვა და ჯიღაურს ნდობით შეხედა.

— რამდენი ხნით ვინდათ? — იკითხა ჯიღაურმა.

— ერთი-ორი კვირა და მორჩება კიდეც.

— ორ კვირაში მორჩება? მე არ ვიცი ნიკოლოზის ომში?

— მერე? ხო დაბრუნდი?

— ხო, დავბრუნდი...

— ესეც ალბათ მორჩება, მე რა ვიცი...

დედაკაცი მობრუნდა. წყლით სავსე ქეთლი მოჰქონდა. კაცები გაჩუმდნენ და დედაკაცმა იფიქრა, რაღაცას მიძალავნო. ფეხი შეანელა და შორი-ახლო გაჩერდა. ჯიღაურმა მწყურალად გადახედა და დედაკაცი საჩეხში შევიდა.

ცოტა ხნის მერე ბიჭი მოადგა ჭიშკარს.

უცხო კაცმა ბიჭს შეხედა და გული დაწყდა.

ბიჭის სიკვდილი ბრალი იქნებოდა.

— შენა ხარ გიორგი? — უცხო კაცმა ბიჭს კითხა.

— ხო, მე ვარ.

— ხო, ეგ არი... — დაილაპარაკა დედაკაცმა საჩეხიდან.

— საბჭოდან გამამგზავნეს, გიორგი, დაბარებული ხარ, — თქვა უცხო კაცმა.

— ალბათ ბეგარაზე წამიყვანენ, — ჩაილაპარაკა ბიჭმა.

— ომში უნდა წავიყვანონ, გიორგი...

— რა დროს მაგის ომია, — თქვა დედაკაცმა.


— ომი დაიწყო, გიორგი...

— ჩვენ რატო ვერაფერი გავიგეთ? — თქვა დედაკაცმა.

— ამ გადაკარგულში ვინ ამოვა, ერთი კომლი ვართ, მეტი ხო არა? — მიუბრუნდა ცოლს ჯიღაური.

— რა უნდა გავეგოთ? აქ კი არ არი, შორს არი, გერმანელები ყოფილან,





წამოსულან და მოდიან. ასი დღის სა-  
ვალნი იქნება იქამდე, — თქვა კაცმა.

— ჩემი გიორგი რაღაზე მიჰყავთ? —  
იკითხა დედაკაცმა.

— საომრად, დედი. — თქვა ბიჭმა.

— ხო, საომრად... — მიწას ჩააშტერ-  
და ჯიდაურმა. — ყველა ჭეელი ბიჭი მიჰ-  
ყავთო...

— ჩვენმა გიორგიმ კაცი უნდა მოკ-  
ლას? — გაოცდა დედაკაცი, — აქა ვარ  
მოწმე, ჯერ ხელში თოფი არა სჭერიო.  
დათვს რომა ჰგავს, ეგ ხომ არ გატყუ-  
ებთ? მერე რა, რო ტანი აიყარა? ჯერ  
ისევე ბაღლია... მიდი, კაცო, შენცა თქვი  
ერთი სიტყვა, იქნებ ჩემი არ დაიჭეორონ?

— მე რაღა უნდა ვთქვა? — თვალი  
მორიდა ცოლს ჯიდაურმა.

— კაცი შენა ხარ, შენ უნდა თქვა.

— აჟი ვთქვი, ყველა ჭეელი ბიჭი ყო-  
ფილა დაბარებულია.

— კურდღელიც კი არ მოუკლავს, —  
თავისთვის ამბობდა დედაკაცი, — ეგე,  
კაცი წაიყვანეთ. სულ ერთი არ არი?  
ქულზე კაცი არ არი დაბარებული? ხო  
ქულზე კაცი არი დაბარებული?

— ბიჭს დაბარებენ, დედა, ბიჭსა, —  
თქვა უცხო კაცმა.

— განა უცხო ხარ, ჩვენი ხარ, —  
მიუბრუნდა უცხო კაცს დედაკაცი. —  
მე ყველასა ვცნობ. შენც ვიცნობ და  
სხვასაც... ჯერ არ ავივლია აქეთ?

— როგორ არ ამივლია? ნადირობა-  
ზეცა ვყოფილვარ და ცხვარიც ამიტა-  
რებია.

— ხო და მეც მანდა ვარ, უცხო არა  
ხარ-მეთქი. ცოტა ხანიც დაგვირჩინე. ეხ-  
ლა სად უნდა წაიყვანო? ამდენი გვაქ  
გასათიბი... საქონელს ზამთარში თივა არ  
უნდა? დედა-შვილობას ნუ დაივიწყებ.  
ჩვენ ცოდვაში ნუ ჩადგები. ეს საქმე-  
ები მოვიშორეთ და მერე მე ვიცი.  
ტყუილი არ მიყვარს, არც კაცს უყვარს  
ტყუილი, ჩემი ხელით მოგგვრით, სადაც  
გინდა წაიყვანეთ...

— მე ვინა მკითხავს, დედი, — თქვა  
კაცმა.

— მაშ ვისა ჰკითხავს?

— მე რა ვიცა.

— მაშ ვინ იცის? შენ ამოხველ წა-  
საყვანად, სხვა ხომ არა?

— განა დიდხანს დარჩება? იქნებ მკა-  
შიც მოვისწროთ...

— მამასა ვკითხოთ, იქნებ მამა არ  
უშვებს? ხო არ უშვებ, კაცო!

— მთელი ჭეელი ბიჭები დაუბარე-  
ბიათ, — თქვა ჯიდაურმა.

— აჟი გეუბნები, მკაში შინ იქნება-  
მეთქი — უთხრა უცხო კაცმა დედა-  
კაცს.

— იცოდე, სიტყვა სიტყვაა!.. — თქვა  
დედაკაცმა.

უცხო კაცი მიწას დააშტერდა.

დედაკაცი ადგა, შინ შევიდა და თა-  
ღარიგს შეუდგა.

— ცხენი არ წამოვიყვანო? — იკით-  
ხა ბიჭმა.

— სადა?

— იქ, ომში.

— ცხენი არ დაგვირდება, ცხენი არ  
არის დაბარებული, — უთხრა უცხო  
კაცმა.

— მე უცხენოდ ვერ გავძლებ, —  
თქვა ბიჭმა.

— აქ არ დაგზვდება? სად წავა? —  
დაამედა კაცმა.

— ხო, აქ დაგზვდება, — ხმა ამო-  
იღო ჯიდაურმა. — სანამ არ ჩამოხვალ,  
ეგრე იქნება...

— უცხენოდ გამიჭირდება, — გაიმე-  
ორა ბიჭმა.

— აჟი ვითხარით, ჩემი ნება არ არ-  
მეთქი, — თქვა კაცმა.

ბიჭი ეხლა მხოლოდ ცხენზე ფიქრობ-  
და. ბიჭს ცხენი უყვარდა. ბიჭი და ცხენი  
მეგობრები იყვნენ. ბიჭს ცხენზე შეჭ-  
დომაც კი არ უნდოდა. ათასში ერთხელ  
თუ შეჭდებოდა. გადაუსვამდა ფაფარზე  
ხელს და დადიოდნენ ასე ერთად, ხან  
ტყეში, ხან საძოვარზე, ხან ჭალაში. რაც  
მამამ ეს წაბლისფერი ულაცი მოჰგვარა,  
მას მერე ერთი დღეც არ უცხოვრია  
უცხენოდ. ცხენით ჩადიოდა ბარშიც და  
ვიდრე ვაკვეთილს არ მორჩებოდა, სყო-

თავის ზიზილუბი  
სადილი

ლის ჰიშკართან უცდიდა ცხენი. და ამ წუთში, როცა უთხრეს, რომ უცხენოდ უნდა დადგომოდა უცხო გზას, იმ უცხო გზის შიში უცხენოდ წასვლის შიშმა დაჯაბნა. სადაც ეტყოდნენ იქ წავიდოდა ბიჭი, შიში ჯერ არ იცოდა რა იყო, მორჩილიც იყო, ოღონდ ის ცხენი გაეყოლებინათ, ოღონდ ის ჰგულებოდა გვერდით. ბიჭის წარმოსახვაში რაღაცა ბინდ-ბუნდად აირია და უცებ პირველად იგარძნო შიში, აქამდე რომ არ იცოდა რა იყო. და ბიჭმა ტუჩების ცახცახით თქვა:

— გამიჭირდება უცხენოდ...

მეგრამ ბიჭისთვის პასუხი არავის გაუცია.

კაცები ისხდნენ და ერთმანეთს თვალს არიდებდნენ.

არავის გაუგია, როგორ გაიშალა ბანზე სუფრა. დედაკაცს უკვე ჩამოედგა ტაბლაზე მწნილი, ლორი, ხახვი, ყველი, ხაჭო, არაყი და მოხარული კარტოფილი. ბიჭს არ გაუგია, როგორ შემოუსხდნენ სუფრას. ისევ ცხენზე ფიქრობდა და მარტო მაშინ აიღო თავი, როცა ბიჭით არაყი მიაწოდეს.

— არა სვამს, — თქვა ჯილაურმა.

— დალიოს, მოუხდება, — თქვა უცხო კაცმა.

ბიჭმა ჩამოართვა არაყი და უხმოდ დალია.

მერე ისევ ცხენზე დაიწყო ფიქრი და ისევ დაივიწყა ეს სუფრაც და ეს უცხო კაციც, ხმის ამოუღებლად რომ ტეხდა პურს, კარტოფილს მარილში აწობდა და არაყს სვამდა.



ბიჭი ცხენს მიჰყვებოდა...

ესხლა ბიჭი ქალზე ფიქრობდა, იმ ერთადერთ ქალზე, მარტო ერთხელ რომ ნახა. ან რა ნახვა ეთქმოდა, ბიჭი ქვემოთ, გზისპირა ქალაში ხეტიალობდა, ცხენი ნებაზე მიეშვა და არც არსად ეჩქარებოდა, არც არაფერი ადარდებდა. მზიანი დღე იყო და ბიჭს ქალი და ის მზე ერთად დაამახსოვრდა. ქალი მზეს

მიფიცებოდა. მეგონი ტიტველა იყო. მეგონი სულ არ იყო ტიტველა. ბიჭმა წამით დაინახა და გაეშეშა. ქალი ალბათ შორიახლოს აუივეკივებულ გოგო-ბიჭებს ჩამორჩენოდა, მთაში ავტობუსით ამოსულებს. მზეს მიფიცებულმა ქალმა იგარძნო ბიჭის მზერა და ბუჩქებს მოეფარა ხო, ქალი შიშველი იყო... ან შეიძლება სულ არ იყო შიშველი... მერე ბუჩქების გადაღმიდან ტოტი გადასწია, მოიხედა, ბიჭს გაუღიმა და ხელი დაუქნია. ეს იყო და ეს, მეტი არაფერი მომხდარა. ბიჭს მეტი არაფერი ახსოვდა. და კიდევ ის ახსოვდა, რომ ქალი იყო თოვლივით თეთრი და ისე იღიმებოდა, რომ გარშემო თითქოს ქვეყნიერება ჩამოხნულა, მზეც დაბნელდა და მხოლოდ ის ღიმილი აშუქებდა ყვეთელშერეულ ქალას. ეს, რა თქმა უნდა, ერთი წამით მოხდა, მზეც ერთი წამით დაბნელდა, ქალმაც წამით გაიღიმა, მერე ბუჩქებს მოეფარა და გაუჩინარდა.

ბიჭს შეეშინდა. უცებ ცხენს მათრახი გადააჰკრა და გაიქცა. თვითონაც არ იცოდა სად მიდიოდა. გულს ბაგაბუგი გაჰქონდა. უკან მოხედვისა ვერძინდა. თითქოს ქალი ფეხდაფეხ მისდევდა, მისდევდა და საცაა წამოეწყოდა.

ქედის თავზე რომ მოექცა, უკვე მზე ჩაღიოდა. ბიჭი შეჩერდა, ხეობას გადახედდა და სული მოითქვა. ქალი თითქოს ამ დევნა-დევნაში სადღაც ქვემოთ ჩამორჩენილიყო და ახლა იქიდან უხმობდა.

ბიჭმა ცხენი ბალახზე მიუშვა. იჯდა და ქალზე ფიქრობდა.

უცებ თავისი თავისა თვითონვე შერცხვა წამოხტა. ცხენს მოაჯდა და თავქვეზე დაეშვა. ახლა ერთად მოეძაღლა ქალისგან მოგვრილი შიშიც, ცნობისწადილიც და იმ თეთრ, გაღიმებულ ქალზე ბიჭური შურისძიების ვნებაც. ესხლა ყველაფერი ის ქალი იყო. შიში თითქოს გამქრალიყო და დამორჩილების ჟინს თავმიცემული ბიჭი თავქვე ისე მიშლივინობდა, როგორც მსხვერპლს დადევნებული ავაზა. ბუჩქებს ლაწალუწი გაჰქონდათ. გაფიცებული ცხენი ჰიხვი-

ნებდა. სიმხურვალეს ატანილ ბიჭს ოფ-  
ლი ღვარად ჩამოსდიოდა.

ბიჭი ტყიდან გამოვარდა და ქალას  
მიასკდა. ცხენიდან ჩამოხდა და ბუჩქებს  
შეერია. ბალახები გადაჯეჯვა. მაყვლია-  
ნები გადასხიბა.

ქალი აღარსად იყო.

ქალის ნაცვლად ბიჭის წინ ჯილაური  
იღგა.

— ვის ეძებ? — იკითხა მამამ.

— არავის, — უთხრა ბიჭმა.

— კარგად აძოვე ცხენი?

— ხო, — იცრუა ბიჭმა.

ეს იყო ბიჭის პირველი ტყუილი.

ჯილაურმა ახედ-დახედა და შინისკენ  
წაიდა.

ბიჭი კი იღგა და ახლა იმაზე ფიქრობ-  
და, ყველაფერი ცხადში მოხდა თუ სიზ-  
მარშიო. იქნებ სულ არ იყო ქალი,  
იქნებ ის იყო, რასაც ზღაპრებში ალს  
ეძახიან და თუ ტყეში ხშირად დადიხარ,  
ერთხელ მაინც უსიკვდილოდ უნდა გა-  
მოგეცხადოსო. მაგრამ ცხადი იყო თუ  
სიზმარი, ის ქალი გამოეცხადა; იმ ქალმა  
დააბნელა გარეშემო ყველაფერი, მზეც  
კი დააბნელა. იმ იღუმალ ბინდში გაუ-  
ღიმა კიდეც და ხელიც დაუჭნია. ეხლა  
ის ღიმილი იყო ყველაფერი. სხვა ყვე-  
ლაფერმა თითქოს მნიშვნელობა და-  
კარგა.

ბიჭი გულაღმა გადაწვა მოთიბულ ბა-  
ლახზე.

სწორედ აქ იწვა ქალი და ბალახს ეხ-  
ლაც ემჩნეოდა მისი სხეულის ნაკვა-  
ლევი.

ბიჭი იწვა და თვითონაც არ იცოდა  
რალას ელოდა.

ასე ლოდინში ჩამოაღამდა.

მას შემდეგ დასჩემდა ბიჭს: მოვიდო-  
და აქ, ჭალისპირა მინდორზე, გულაღმა  
დაწვებოდა და უცქერდა, როგორ მის-  
დევდნენ ლურჯ ცაზე ღრუბლები ღრუბ-  
ლებს, როგორ ეძებდა საკბილოს ძერა,  
როგორ მიუიცივებდნენ წვრილ-წვრილი  
ჩიტები. ბიჭს აქ თავისი ბიჭობა ეზიდე-  
ბოდა. აქ შიში იგრძნო. ახლა ამ შიშისა  
რცხვენოდა და საკუთარი კაცობის დამ-

ტკიცება უნდოდა, სწორედ აქ და სწო-  
რედ იმ ქალთან. მაგრამ ის ქალი აღარ  
სად იყო.

აქ, ამ მინდორზე, ბიჭს არაფერ უშ-  
ლიდა ხელს, რომ იმ ქალზე ეფიქრა.  
ეს იყო მეტად მტანჯველი და საამო  
ფიქრი, რომლის სანაცვლოც ბიჭს ჯერ  
სხვა საფიქრალი არა ჰქონდა რა. ეს  
ფიქრი მხოლოდ მარტოდმარტოს შეეძ-  
ლო, ყველასგან განრიდებულს და იმ  
წუთებში, როცა ბიჭი ფიქრის ნეტარყუ-  
ნობას მიეცემოდა, ცხენსაც ჭალაში უშ-  
ვებდა, ემალებოდა, გაურბოდა. ბიჭი  
ბორბავდა იმ შიშის გახსენებაზე, ასე  
რომ შეუკრა ხელ-ფეხი, იმავ წუთს ცხრა  
მთა გადაატარა და ბოლოს შორიდანდა  
ძლივს მოახედა, როგორც მოიხედავს  
ხოლმე სამშვიდობოს გასული დამფრთ-  
ხალი ირემი. ეს იყო და ეს... ბიჭს სხვა  
ქალზე აღარ უფიქრია. სხვა ქალზე ფიქ-  
რი ვეღარ მოასწრო. სხვა ქალი, ასე პი-  
რისპირ, სხვა დროს აღარ უნახავს. ხო,  
იმ ქალზე ფიქრი იღუმალი და შიშიანი  
ფიქრი იყო. იმ ქალზე ვერ იფიქრებდა  
მაშინ, როცა მამასთან ერთად მთაში  
ხეებს ჭრიადა და ზამთრისთვის შეშას  
იმარაგებდა. ვერც მაშინ, როცა ბა-  
ლახს თიბავდა, იქვე კი ღედა ნათიბს  
ულო-ულო აგროვებდა და მზის გულზე  
შლიდა. ის ქალი მხოლოდ ტყეს ეკუთ-  
ვნოდა ან იმ სიზმარით დარჩენილ ჭა-  
ლისპირს. ბიჭს უნდოდა ის ქალი, თავად-  
ვე რომ იმგვარი რამ აფიქრებინა, რის  
გაფიქრებასაც თავისით ვერ გაბედავდა.  
ხო, ამ ფიქრისა ეშინოდა ბიჭს, ამ ფიქრს  
მაღავდა და ახლა, თავდაც ვერ მიმზ-  
ვდარიყო, რად მოეძალა ასე მოურიდებ-  
ლად ეს ფიქრი, აქ, ამ კაცებთან, რო-  
გორც კი ერთი ჭიქა არაყი დააღწევი-  
ნეს.

— კიდეც დამისხით, — თქვა ბიჭმა  
და უცხო კაცს ჭიქა გაუწოდა.

მამამ გამომცდელად შეხედა.

ღედამაც გამოიხედა, მაგრამ არაფერი  
უთქვამს.

თამაზ ბიგიშვილი  
ჩივილი

— გეკუთვნის, უკვე კაცი ხარ, —  
თქვა სტუმარმა და ჭიქა გაუვსო.

ბიჭმა გადაჰკრა და უფრო გათამამდა.  
აქამდე არაყი არ დაელია და ტანში  
თითქოს ცეცხლმა დაუარა. იგრძნო,  
როგორ აუფეთქდა საფეთქლებში სის-  
ხლი, როგორ მოეძალა რაღაც სათქმე-  
ლი, რაც არასოდეს არავისთვის უთქვამს.  
იგრძნო და შეეშინდა, მართლა არაფერი  
ვთქვაო. წამოდგა და კიბისკენ წავიდა.

ბიჭს სჯეროდა, რომ ის თეთრი, ლა-  
მანი ქალი ოდესმე აუცილებლად დაბ-  
რუნდებოდა.

— სად მიხვალ? — იკითხა უცხო  
კაცმა.

— სანამ ჰურსა სჭამთ, დავბრუნდე-  
ბი, — თქვა ბიჭმა.

მერე ისევ გაჩერდა და კაცს მოუბ-  
რუნდა:

— ძნელი იქნება უცხენოდ.

— აჰა, ერთიც დალიე, — თქვა კაცმა.

— დავლევ, მაგრამ ძნელი იქნება.

ბიჭმა მესამე ჭიქაც დალია, მიტრიალ-  
და და გაიქცა.

ჯილაური ომში ნამყოფი იყო და ამ  
წუთში ფიქრად მარტო იმის შიში აეკ-  
ვიატა, რომ ბიჭი ომიდან აღარასოდეს  
დაბრუნდებოდა. ეს ფიქრი ისე მოური-  
დებლად და დაუნდობლად ეცა ჯილაურს,  
რომ ველარაფრის გაკეთება ვეღარ შეს-  
ძლო. ძველი ჯილაური იქვე მოკვდა. ამ  
უცხო კაცს ახლა სხვა ჯილაური ელაპა-  
რაკებოდა, — დამთოები, ყველაფერზე  
ხელჩაქნეული და ცარიელი. ბიჭის სიკ-  
ვდილი აღარ ამოვიდა გონებიდან, გაი-  
შალა და თავიდან ბოლომდე დალაგდა.  
ჯილაურს უნდოდა, როგორმე ამ ცხა-  
დადქცეულ ფიქრს გაქცეოდა და ბიჭი  
წარმოედგინა გაღიმებული, ჭიშკარს  
რომ მოადგებოდა, შინ მშვიდობით დაბ-  
რუნებული, როგორც თავად ჯილაური  
მოადგა ოცი წლის წინათ. მაშინ ჯილა-  
ური გავიდოდა და ჯერ ბაკის კარს გა-  
აღებდა, ბიჭს თავის წაბლა ცხენს გამო-  
უყვანდა, აღვირს გაუწვდიდა და ეტ-  
ყოდა: აჰა, ჩაიბარე შენი ცხენიო... და

ამის მერედა გადაჰკოცნიდა. კაცს არა-  
სოდეს უკოცნია ბიჭისთვის და ახლა ეს  
სურვილი ისე მოეძალა, <sup>ქინათამ ათვა</sup>  
და მოშორდა ტაბლას. <sup>მეჭრამ ჯილაურს</sup>  
იმავ წუთში გულმა უთხრა, რომ ეს იყო  
მოგონილი სურათი ბიჭის დაბრუნებისა  
და მოგონილი სურვილი კაცად ქცეუ-  
ლი ბიჭის გადაკოცნისა. ის ბაკის კარი  
თითქოსდა არ იღებოდა, წაბლა ცხენიც  
არა და არ გამოდიოდა ბაკიდან და თუ  
ჯილაური ჭიშკარისკენაც კარგად გაიხე-  
დავდა და ჭიშკარს თვალს გაუსწორებ-  
და, ჭიშკართანაც არავინ იღვა გაღიმე-  
ბული. მართალი სხვა რამ იყო და ჯი-  
ლაურის ფიქრში ის მართალი ჯანბინდა  
ყველაფერს, მართალი იმარჯვებდა მო-  
გონილზე. იმ მართალ სურათზე ბიჭი  
ნაღმებით დაფლეთილ შიშველ მინდორ-  
ზე ეგდო. გარშემო ერთმანეთში ახელი-  
ლიყო გაყინული მიწა და გაყინული  
სისხლი. ოღოროღორო გზაზე კი მიბარ-  
ბაცებდნენ დაჰრილებით პირთამდე სავ-  
სე მანქანები. ბიჭი ჯერ ისევ სუნთქავდა  
და კენესით ეძახდა მშველელს. მანქა-  
ნები თავის გზაზე მილახლახებდნენ.  
მშველელი არ ჩანდა და ნაცრისფერი  
ციდან მიწაზე ეშვებოდნენ ყვავები. ეს  
იყო ცხადზე უცხადესი სურათი და ვე-  
რარა ძალა, ვერარა წარმოსახვა ვერ ჯაბ-  
ნიდა ამ ნამდვილ სურათს. ამ სურათს  
შედედებული სისხლისა და ჭუჭყიანი  
სახვევების სუნი ასდიოდა.

მამამ იცოდა, რომ ბიჭს არ გაეგე-  
ბოდა, რა იყო ზიზღი. ზიზღის გარეშე  
კი — ესეც იცოდა მამამ — კაცს ვერ  
მოკლავდა. ომის კანონი კი იმგვარია, —  
და ესეც კარგად იცოდა ჯილაურმა, —  
რომ თუ შენ არ მოკლავ, მტერი დავასწ-  
რებს და მოგკლავს. მამას არ ჰქონდა  
იმედი, რომ ოდესმე ბიჭი ზიზღს ისწავ-  
ლიდა. ვიდრე ისწავლიდა, თავად ბიჭს  
მოკლავდნენ. ბიჭს ასე ერთბაშად ვერა-  
ფერი შეეცვლიდა.

ბიჭს ჰქონდა კეთილი ღიმილი და მა-  
მას ეხლა ეშინოდა ამ ღიმილისა.

მამას ახლა სძულდა ეს ღიმილი.

— შობელძაღვლები! — ჩაილაპარაკა  
და არყით სავსე ჭიქა გაისროლა. ჭიქა

გატყდა. ჯიღაური გონს მოეგო და თავი ჩაღუნა. უცხო კაცს არაფერი უთქვამს. დედაკაცი წავიდა და სხვა ჭიქა მოიტანა. ჯიღაურმა ისევ გაავსო ჭიქა.

— შეშაზე წავალ, — თქვა დედაკაცმა.

— ბიჭი რა იქნა? — იკითხა უცხო კაცმა.

ჯიღაურმა არაყი დაისხა და უთქმევლად დალია. ისევ დაისხა და დალია. მესამედაც გაივსო ჭიქა და ბოლომდე გამოცალა.

— მოკედება, — ფიქრობდა უცხო კაცი.

ჯიღაური ადგა, ბარბაცით ჩაიარა კიე, შინ შევიდა, ტახტთან მიბარბაცდა და პირქვე დაემხო. მკვდარივით დაეძინა.

ბიჭი ჯერ არ ჩანდა.

უცხო კაცი შეშინებული, მარტოკა იჯდა ბანზე, დამთვრალიყო და თავის ცოლ-შვილში ყოფნა ენატრებოდა.

— რაზე ამოველ, რაღა მე გამამგზავნეს, — ერთხელაც გაიფიქრა და გადაფურთხა. მერე მიიხედ-მოიხედა. აღარც ბიჭი ჩანდა, აღარც ჯიღაური და აღარც დედაკაცი...

— მომატყუეს, გაიქცა... — გაიფიქრა უცხო კაცმა.

ბიჭი პირველად დათვრა. როგორც კი არაყი დალია, თითქოს ცეცხლმა გაუთხო გულ-მუცელი, მოითენთა და ტირილი მოერია. ბიჭს შეეშინდა ცრემლები-სა, ამ უცხო კაცთან მართლა არ ვიტიროო და სუფერას ვაშორდა. წასვლას ისედაც აპირებდა, თავის ცხენს უნდა დამშვიდობებოდა, უამისოდ არ იქნებოდა... მაშინვე ბაკში შევიდა, ცხენი გამოიყვანა, შეჯდა და ეზოდან გავიდა. გადაივლიდა მინდორს, თვალს მოეფარებოდა ეს სახლი და მისთან ერთად მთელი ქვეყნიერებაც, და როცა ბიჭი მარტო დარჩებოდა, ერთბაშად გახდებოდა საკუთარი თავის ბატონ-პატრონი. მარტო დარჩენილს შეეძლო ის გაეკეთებინა, რასაც გული ეტყოდა, ის ყო-

ფილიყო, რაც ნამდვილად იყო, გინდა ეტირა, გინდა ეცინა. ცხენზე ვადამოტილი ბიჭი ისე ისწრაფოდა ტყისკენ თითქოს იქ ვინმე ელოდა... ტყეში ელოდა თავისუფლება. და ეს თავისუფლება ბიჭმა უფრო მტკივნეულად შეიცინო ახლა, როცა იქ, ქვემოთ, მის საკუთარ სახლში უცხო კაცი ამოსულიყო და თვითონაც არ იცოდა, სად და რისთვის მიჰყავდა ბიჭი.

ცხენზე გადამჯდარი ბიჭი ფერდობზე აღიოდა. მზე ჯერ არ ჩასულიყო, მაგრამ ჭიქებებს უკვე უახლოვდებოდა. ბიჭი ჩქარობდა და ცხენსაც აჩქარებდა. ცხენი არ იყო დაჩვეული ბიჭის ჩიჩინს და არ უჯერებდა. ბიჭი აღარ უჯავრდებოდა და თავის ნებაზე უშვებდა. აღმართი რომ მოთავდა, მინდორზე გავიდნენ. მინდორს მწვანე ბალახი მოსდებოდა, ბალახში ალაგ-ალაგ თეთრი, ცისფერი და ყვითელი ყვავილები გარეულიყო და ჩამავალი მზის შუქზე მინდორი დიდ ჭრელ ხალიჩას გავდა. ამ მინდორზე ამოჰყავდა ხოლმე საბალახოც ცხენი და ვიდრე გვარიანად დანაყრებდა, გულადმა იწვა ამ ბალახში და ცას შესცქეროდა. ბიჭს ზღვა არასოდეს ენახა და ფიქრობდა, ალბათ ასეთია ზღვაო. ბიჭმა არ იცოდა, რომ ზღვა და ცა მართლა ჰგავდნენ ერთმანეთს. როგორც ზღვა, ცაც არასოდეს არ იყო ერთფეროვანი და მოსაწყენი. ღრუბლიანი იყო თუ მოლაყვარდებული, ცის კამარაზე ყოველთვის რაღაც ხდებოდა, ახალი ფერი იქმნებოდა, ძველს წაშლიდა ან გააფერმკრთალებდა, ვიდრე ახლა სხვა ფერი არ წამოვიდოდა და თავადაც არ გაფერმკრთალებოდა. დილის. ცა არ ჰგავდა შუადღისას და არც ღრევიანდელი. ცა იყო იმგვარი, როგორც ბიჭს გუშინ ამ დროს ენახა. ცა ხან ლურჯ, უსაზღვრო უღამნოს ჰგავდა, ხან თოვლით დაფარულ მთებს. ხან საქარავნო გზად გადაიქცეოდა და ამ გზაზე ტაბათი მიდიოდნენ აქლემების ქარავნები თუ ცხვრის

თამაზ ზივილიური  
ჩივილი

ფარები. ცაზე ხან წეროების გუნდი გადაივლიდა, დედამიწამდე ყრუდ ჩამოღწეული ჟივკივით, ხან სულ დაცარიელებოდა, როგორც დაცარიელებმა ხოლმე უდაბნო და მთელი ამ უდაბნოს მეუფე ხდებოდა ერთადერთი არწივი. არწივი ირაოს არტყამდა, მერე სადღაც შორს, ქედებს იქით ჩაიკარგებოდა. როგორც კი არწივი მოეფარებოდა, გამოჩნდებოდნენ პატარა, გულწითელა ჩიტები, გუნდ-გუნდად გადაიფრენდნენ ბიჭის თავზე, ზემოთ, არწივის საუფლოში აპრას ვერ გაბედავდნენ და ზედ ტყის კენწვროებს გადაუვლიდნენ. ცოტა ხნის მერე კი ისევ წამოვიდოდა თეთრი ფარა, გადაეფარებოდა მზეს და სადღაც, ცის სათოფურივით ვიწრო სარკმლიდან გამომკრთალი მზის ერთი სხივი ტყის ერთ ბოლოს დაამუქებდა...

ეხლა ცა ლურჯი იყო, მარტო ქიუხების თავზე იწვნენ ღრუბლები.

ბიჭი ჩამოხტა და ცხენი ბალახზე მიუშვა. იფიქრა, როგორც კი ცხენი ბალახს შეჰყვება, ეგრევე, ჩუმად გავიპარებო. მაგრამ გაპარვა მაშინვე ითაკილა. ბიჭს არასოდეს მოუტყუებია ცხენი და არც ცხენს მოუტყუებია ბიჭი. ისინი ერთმანეთს არ ღალატობდნენ. და ახლა, ქურდულად, მოღალატესავით გაქცევა ბიჭის თვალში ამცირებდა განშორების სიღიადეს. განშორება კი ღღეს აუცილებლად დიადი უნდა ყოფილიყო. ჯერ ერთი, ბიჭი პირველად დათვრა და იმიტომ... და ამის გარდა, ამგვარი იყო სურვილი მთელი ამ ცადაზიდული მთებისა; პირქუში ტყეებისა, თეთრი ღრუბლებისა, დაფიქრებული, ბებერი წიფლებისა. ამას მოითხოვდა ბუნების დიდი სცენა, სადაც წვრილმანი გრძნობები და ვნებები ისე თამაშდებოდა, მთელ ამ სიღიადეში მაინც იჩაგრებოდა. აქ ყველაფერი დიადი იყო, განსაკუთრებით ეხლა, მთვრალი ბიჭის თვალში: ქუხილიც, წვიმაც, მზის ამოსვლაც და მზის ჩასვლაც. დიადი იყო ცხენის სიყვარულიც, რასაც ბიჭი კარგა ხანია მინდობოდა. და რატომ უნდა ყოფილიყო სხვისთვის გა-

უგებარი და დასაძრახისი, დამშვიდობება იგივე ცხენთან?

იმ უცხო კაცს არ ესმის, რომ ბიჭისთვის ეს ცხენი, იქნებ არც იმათ ესმით, ვინც ეს უცხო კაცი გამოგზავნა? რომ ესმოდეთ, დააბარებდნენ კიდევ, წამოვიდეს და ცხენიც წამოიყვანოსო. ცხენით წასულა ბიჭის პაპა, მეფე ერეკლეს რომ უხმია, ცხენით შეჭრილა ციხის კარებში და მეფის თვალწინ ათი ყიზილბაში აუჩხვია. ხო, ალბათ არ იციან, ალბათ დაავიწყდათ...

როცა ცხენზე ამხედრებული ბიჭი აქეთ მოდიოდა, სიღიადეზე არ უფიქრია. ბიჭს მაშინ სხვა საფიქრალი ჰქონდა: მარტო ყოფნა უნდოდა, უცხო თვალისგან მოშორებით ყოფნა, სადაც მხოლოდ ცხენი იქნებოდა, ეს მინდორი, ეს ტყეები და ახოები. მინდვრებმა და ტყეებმა კი ისედაც იცოდნენ ბიჭის და ცხენის ამბავი.

ეს დამშვიდობება რომ ბუნების დიდ სცენაზე კი არა, ნამდვილ სცენაზე გათამაშებულყო, ყველაფერი უფრო ტრაგიკულ სიღიადეს შეიძენდა, რადგან ნამდვილ სცენას ერთი უპირატესობა ექნებოდა: ნამდვილ სცენას მაყურებელი ეყოლებოდა, მაყურებელი კი მიხვდებოდა, რომ ეს დამშვიდობება საბოლოო იყო, რომ ბიჭი და ცხენი ერთმანეთს ველარასოდეს შეხვდებოდნენ.

ბიჭი მივიდა და ცხენს მოეხვია. ცხენმა თვალები დახუჭა.


— ჰქვიანად იყავი, — თქვა ბიჭმა. ამის თქმაზე ერთბაშად მოტრიალდა და ბილიკზე დაეშვა.

ცხენმა ბიჭს გამოხედა და გამოჰყვა. ჯერ შორიასლოს მოსდევდა, მერე აჩქარდა, ბიჭს წამოეწია და დაიფრუტუნა. ბიჭი გაჩერდა და მიიხედა.

ცხენიც გაჩერდა. იღგნენ და ერთმანეთს უცქერდნენ. — აქ დარჩი, — უთხრა ბიჭმა.

მივიდა, თოკში ხელი წაავლო, უკან გააბრუნა და ისევ მინდორზე აიყვანა.

— დარჩი, თორემ... — დაემუქრა ბიჭი.



და მერე დაუმატა:  
— თორემ დაგაბამ და მგლები შეგჭამენ.

ცხენი ბალახისკენ აღარ იხედებოდა. იდგა და ბიჭს შემოსცქეროდა.

— აბა, კარგად იყავი, — დაუძახა ბიჭმა და ისევ დაეშვა ფერდობზე.

ცხენიც ფეხდაფეხ გამოჰყვა.  
— არ გესმის? დარჩი-მეთქი! — დაუყვირა ბიჭმა.

ცხენი გაჩერდა.  
— ფეხი აღარ მოიცვალა! — ყვიროდა ბიჭი.

მაგრამ როგორც კი ბილიკზე დაეშვა, ისევ მოესმა ფეხის ხმა.

ბიჭი გამორბოდა და უკან მიხედვით აღარ უნდოდა.

ცხენი თავდაღმართში შეშინებული ნოჰყვებოდა.



მერე, თითქოს ციდან ზარი დაჰკრეს, ყველაფერი ერთბაშად დატრიალდა. ჯილაური იწვა და მკვდარივით ეძინა. ცოლი ანჯღრევდა, ეხვეწებოდა, თვალში მანც ვაახილე, ბიჭი მიჰყავთო. ერთი-ორი სიტყვა მაინც უთხარიო... ჯილაურს არაფერი ესმოდა. დედაკაცი გარეთ გავარდა. უცხო კაცი და ბიჭი უკვე გზაზე გასულუყვნენ. უცხო კაცს თავისი ცხენი აღვირით ეჭირა. ბიჭს თავისი ცხენისთვის გადაეხვია ხელი.

უცხო კაცმა ბიჭს ანიშნა და გზას დაიღვნენ.

ცხენმა თავი დააღერა და ბიჭს გაჰყვა. ბიჭმა დედას ანიშნა, უკან გააბრუნეო.

დედაკაცს აღარაფერი ესმოდა.

ნაწყვეტ-ნაწყვეტი ძახილი ერთმანეთში აირია.

- ბიჭო, გიორგი!
- ხო, დედი!
- აბა, შენ იცი!
- მეცოდინება, დედი!
- მამაშენისგან არაფერი გეწყინოს!
- რა უნდა მეწყინოს, დედი!

— შენც ცოტა ფხა გამაჩინე, მგელს ხახაში არ ჩაუვარდე!

— კარგი, დედი!

— თუ ზამთრამდე დაგარჩინონ, უთხარი, ბებრები მარტოკა არიან, მთაში ცული ზამთარი იცის-თქო!

— ვეტყვი, დედი!

— ნუ დაიმორცხვებ შენებურად!

— ეს ცხენი მამაშორე, დედი! ან გეყურება? ეს ცხენი მამაშორე!

— ხო, ეგრე უთხარი, ბებრები მარტოკა არიან-თქო! უთხარი და გამოგიშვებენ!

— თავი დამანებე, დედი! ემაგ ცხენს მიხედე...

— რა ვქნა, ხო არ მოვკლავ...

— აღვირში სტაცე ხელი და უკან გააბრუნე, დედი!

— წინდები ვერ მოგისწარი, მე თავ-მკვდარმა!

— არა უშავ რა, დედი!

— გული არ დაგწყდეს, ქვემოთ ჩავალ, შარაზე დავდგები და თუ ვინმე წამომსვლელი ვნახე, გამოვატან!

— ცხენს მიხედე-მეთქი, დედი! არ გეყურება?

— ბიჭო, გიორგი, ვაითუ დიდხანს დაგარჩინონ?

— რა ვქნა, დედი...

— თუ დიდხანს დაგარჩინონ, იცოდე, აქედან ფეხის მომცვლელები არა ვართ, აქ დაგიცდით!

— კარგი, დედი!

— აგრე ბრძანა მამაშენმა!

— გაბრუნდი, დედი, ნულა მოდი-ხარ!

— მშვიდობით, ბიჭო, გიორგი!

— მშვიდობით, დედი!

ბილიკი ხეობაში ჩავიდა და თვალს მიეფარა. მერე ისევ ავიდა გაღმა ფერდობზე და ისევ მიაწვდინა დედაკაცმა გაღმა გასულებს:

- ბიჭო, გიორგი!
- რა იყო, დედი!
- აბა, კარგად დამიგდე ყური!

თაბაჯ ზივილური  
ჩივილი



— მესმის, დედი!

— კარგად დაიმახსოვრე!

— მითხარი, დედი!

— თუ ვინმემ თოფი დაგიმიზნოს, შენც დაუმიზნე, იცოდე!

— დაუუმიზნებ, დედი!

— არ შეგეშინდეს, იცოდე!

— მშვიდობით, დედი, მშვიდობით!

და ბილიკი ახლა ახლში შევიდა.

დედაკაცი დადგა და ლოდინი დაიწყო.

ბილიკი ახოს ვასცდა და გორაკს შეუყვია.

დედაკაცმა თავშალი მოიხსნა, თმა ჩამოიშალა და დაიძახა:

— ბიჭო, ვიორგი!

მაგრამ წასულებს აღარაფერი გაუგიათ.

უკან არცერთს აღარ მოუხედავს.

დედაკაცი ხედავდა, როგორ მიჰყავდა აღმართებში წინ წასულ უცხო კაცს თავისი გამხდარი ცხენი. როგორ მიჰყვებოდა შორიახლოს დათვის ბელივით, მორჩილად თავდახრილი ბიჭი.

მაშინ დედაკაცი სახლისკენ გაიქცა. კიბეზე აირბინა და ბანზე ავარდა.

ბანიდან კარგად ჩანდა გორაკზე მიმავალი ბილიკიც, ის უცხო კაციც, თავისი გამხდარი ცხენით და შორიახლოს დათვის ბელივით მიმავალი ბიჭიც.

დედაკაცი ბანზე დაემხო, ზელები ცისკენ გაიშვირა და დაიძახა:

— ვინც შვილი აღარ დამიბრუნოს, დაექცეს ოჯახში!

ბიჭის წაბლა ცხენი ყორესთან ამოწვირა და ბალახს წიწკნიდა.



ინ დღიდან ჯილაურების ოჯახში დრო გაჩერდა. კაცი უფრო უკარება გახდა. დედაკაციც საქმეზე თუ იტყოდა რამეს. ცოლ-ქმარი სალაპარაკოდ ერთმანეთს გაუარბოდა. მათი სალაპარაკო ბიჭი თუ იქნებოდა. ბავშვ ლაპარაკისა კი ორივეს ეშინოდა. დედაკაცი თითქოს ცალკე ცხოვრობდა, კაცი—ცალკე, ერთ ჭერ-ქვეშ და ერთ კარ-მიდამოში. გაზაფხულს

ზაფხული მისდევდა, ზაფხულს—შემოდგომა, შემოდგომას—ზამთარს, წელიწადს—წელიწადი, მაგრამ ჯილაურების ცხოვრებაში არაფერი იცვლებოდა. მთავარი თითქოს საქმე იყო, გაზაფხულიდან მოკიდებული შემოდგომის მიწურულამდე, რასაც უღელში შებმული ხარებივით ერთგულად მისდევდნენ ჯილაურები. თითქოს ამის გარდა აღარაფერი ახსოვდათ, თითქოს ეს იყო მთელი ცხოვრების თავი და ბოლო. ეს საქმე ხვნით იწყებოდა და სარჩო-საბადებლას დაბინძურებით მთავრდებოდა... მერე კი მოდიოდა გრძელი ზამთარი, როცა აღარც გამვლელი იყო ვინმე, აღარც გამომვლელი, არც მონადირე, არც მგზავრი.


ჯილაურმა იცოდა, რომ ბიჭი აღარ იყო. ეს მაშინაც იცოდა, როცა ბიჭი მიჰყავდათ. უცხო კაცმა რომ თქვა, ბიჭი უნდა წაიყვანათ, ჯილაურს მაშინვე ბებერი თოთია გაახსენდა და როგორც თოთიაზე გაიფიქრა, ჭალებს რომ გასცდებოდა, სულს იქვე დაღვესო, როგორც ამ ფიქრმა არ მოასვენა და არ დააძინა, ვიდრე შუალამისას ქვემოდან ძახილი არ მოისმა, ჯილაურს, მოგვეშველე, თოთია გადმოვასვენოთო, ასევე გულის სიღრმეში იცოდა ჯილაურმა, რომ ბიჭი აღარასოდეს დაბრუნდებოდა.

ჯილაურს ეშინოდა ამ ფიქრისა.

ჯილაურს სძულდა ეს ფიქრი.

ბიჭმა ოცი წელიწადი მთავარი იცხოვრა — ბალახებში და ყვავილებში, ნაკადულეებში და ბებერ წიფლებში, ნორჩ თელებში და დაყუდებულ მუხებში. ჯერ კურდღელიც კი არ მოეკლა, თუმცა მთაში ყოველ წუთს შეიძლება შეპყროდა ნადირს. და როცა პირველად თოფი მისცეს, ალბათ კარგად არც კი იცოდა, რაში უნდა დასჭირებოდა ეს თოფი. ალბათ ბრძოლაში ისე გავიდნენ, ბიჭი ვერც მიხვდა, რომ ეს ნამდვილი ბრძოლა იყო და ხელშიც ნამდვილი თოფი ეჭირა. მაგრამ უცებ ბიჭის გვერდით ვიღაც დაეცა. მერე ბიჭმა პირველად დაინახა სისხლი. პირველად ჩაესმა დაჭრილის კვნესა და ბიჭი მი-





საშველელად გაიქცა, რადგან, როცა დაქრილი ვიხმობს, უნდა გაიქცე და მიეშველო. გარშემო სკდებოდნენ ნაღმები. ვილაცხები გარბოდნენ. ვილაცხები ეცემოდნენ. ბიჭს უყვიროდნენ, გამოიქციო. მაგრამ ბიჭს გაქცევა არ შეეძლო, დაქრილი შველას ითხოვდა. ბიჭმა ჯერ არ იცოდა, რა იყო შიში. მაგრამ მეთაურმა იცოდა და ბიჭს უყვიროდა, მოგვეყო... ამხანაგებიც უყვიროდნენ... მერე ჯარისკაცებმა გზიდან გადაუხვიეს და ტყეში შეცვივდნენ. როცა ბიჭმა მიიხედ-მიიხედა გზაზე მარტო თვითონდა იყო. გარშემო მკვდრები და დაქრილები ეყარნენ. მერე ბიჭიც გაიქცა... და სწორედ იმ დროს, ტყეს რომ უნდა შეფარებოდა, ბილიკზე გამოვარდა მისი ტოლი ბიჭი. ერთი წამით პირისპირ შეჩერდნენ და ერთმანეთს თვალით ზომავდნენ. მერე ერთმანეთს ზურგი შეაქციეს და ბუჩქებში შევარდნენ. და სწორედ ამ დროს ზურგსუკან გაისმა სროლა! ჯილაურის ბიჭი ჩაემხო ბალახებში. გარშემო ჩამობნელდა და სიჩუმე ჩამოდგა. ეს იყო მცირე ხნის სიჩუმე... ეს იყო ჯილაურის ბიჭის სიჩუმე... გარშემო ისევ ისროდნენ, მაგრამ ბიჭს აღარაფერი ესმოდა.

ხო, ამგვარადაც შეიძლება მომხდარიყო. ამგვარი სიკვდილიც მრავლად ყოფილა ომში. რა ჯურის სიკვდილი აღარა ყოფილა. სიკვდილი იმდენგვარი იყო, რამდენი კაციც მოკვდა. მაგრამ შეიძლება სხვაგვარადაც მოხდა. შეიძლება ბიჭმა ჯერ თვითონ მოკლა ორმოცამდე კაცი, ბოლოს კი ორმოცდამეერთედ თავადაც დაეცა. მაგრამ ამბის მომტანი არავინ გადაარჩენილა, მაცნედ არავის ჩამოუვლია, არავის უთქვამს, ჩემს გვერდით დალია სული, თვალები მე დავუხუჭეთ.

სიკვდილი სიკვდილია! და თუ ვიტყვით, ბიჭი გმირულად მოკვდაო, ამბის მთქმელიც რომ არ იყოს გადაარჩენილი. არც ამაში იქნება დიდი გაზვიადება. არც ამაში იქნება დიდი სიცრუე. ბიჭმა იქ, ბუჩქებთან თუ ტრიალ მინდორზე, მყინვარებში თუ რკინიგზის დანგრეულ

სადგურთან თავისი სიცოცხლე დატოვა და ალბათ გმირობაც ეს არამკვდურში ყველანი გმირები არიან...

ჯილაური შვილს აღარ ელოდა. ჯილაურს სხვა რამ აფიქრებდა, სხვა რამეზე აეხილა თვალი: დიდი ხნის წინათ, როცა ომიდამ დაბრუნდა და ოჯახში მოტრიალდა, ჯილაურმა თავის თავს უთხრა, რომ ადამიანი ამქვეყნად უბრალო ადამიანური ბედნიერებისათვის იყო გაჩენილი. უბრალო ცხოვრების ფასს ომში ყველაზე უფრო მწვავედ ზღვებიან. განათებული ფანჯარა, ოთახის მყუდროება, ან სიჩუმე, ჩვეულებრივი სიჩუმე, ომში ბედნიერების მიუწვდომელ ოცნებად მოჩანს. ჯილაურს აუცხადდა ეს ოცნება, უბრალო ბედნიერებაზე ოცნება და რაკი მშვიდობით დაბრუნდა, დასჯერდა უბრალო ცხოვრებას.

ამის მერე ჯილაურმა სხვა რამეც დაიჯერა. დაიჯერა ის, რომ ადამიანი თვითონვეა საკუთარი ბედის განმგებელი და არავის შეუძლია გზიდან გადაახვევის. ა. ეს სჯეროდა ჯილაურს მაშინაც, როცა ნაქმობის უკუღმართობა გაიგო, მაშინაც, როცა ქალს ყველაფერი მიუტევა და შინ მიიყვანა, მაშინაც, როცა ანჯიქოს თავადვე გამოუტანა სოფლიდან მოკვეთის განაჩენი და მაშინაც, როცა სოფელი ნელ-ნელა აიყარა და ჯილაური მარტო დარჩა. ამ რწმენით აცილებდა იგი ბებერ თოთიას და ამავე რწმენით ელოდა შუალამემდე ქალიდან ამოსულ ძახილს. თოთიას სიკვდილი იმავე დამეს, რა დამესაც თავისი კერიდან აიყარა და იმ ცხოვრებას უღალატა, ოთხმოცი წელიწადი რომ მხრებით ატარებდა, ჯილაურის რწმენის დასტური ვხვდა. ახლა ეს რწმენა უცებ დაიმსხვრა. ახლა კი არა, მაშინვე დაიმსხვრა, როგორც კი ის უცხო კაცი ამოვიდა და ბიჭი მოითხოვა. მაშინ ჯილაურმა დათმო ის, რისი დათმობაც არ შეეძლო. ჯილაურმა ბიჭი დათმო! დათმო, როცა იცოდა, რომ თუ ბიჭს წაიყვანდნენ, ველარასოდეს მობრუნდებოდა.

თამაზ ბიბილაძე  
ჩიხილიძე

ზოდა უკან. ჯილაურმა თავისი ხელით მისცა ბიჭი იმ უცხო კაცს, მისცა და მამინვე გაეზარა თავისი ნალოლიაეები რწმენა, მამინვე იფიქრა, რომ ბიჭის წასვლით ყველაფერი ილევებოდა, თვითონ კი არაფრის გაკეთება არ შეეძლო, თვითონ ვერაფერს გააწყობდა.

და მერე, როცა ყველა ფიქრი აუხდა, ჯილაური მიხვდა: მარტო ყოფილა და მარტო უცხოვრია, მაგრამ მარტო მყოფს საკუთარი ბედის მართვის უფლება არა ჰქონია. თურმე ბედს მინდობილი, ნაფოტივით ცურავდა ხახადლებული ზღვის ტალღებზე და არც კი უწყობდა. როდის ჩაიძირებოდა, ან როდის გარიყავდა ტალღა ნაპირზე. ჯილაურმა ეს არ იცოდა! ეს მხოლოდ ზეცამ იცოდა, ზემოდან რომ ყველაფერს ხედავდა და ხმას არ იღებდა.

ჯილაური მიხვდა, რომ მის ცხოვრებაში რაღაც უცხო ძალა შემოიჭრა. და არ იცოდა ეს უცხო ძალა საიდან იყო, საიდან მოდიოდა... ამ ძალას არც სახე ჰქონდა, არც ფერი, დაუკითხავად შემოდიოდა ეზოში, აღებდა კარებს, იჭვრიტებოდა სარეცელში და რაც უნდოდა, იმას აკეთებდა. ჯილაურმა იცოდა, რომ ეს არ იყო ღმერთი, არსთა გამრიგე, რომლისაც ეშინიათ, რომელსაც შესჩივიან, ან რომელსაც წყევლიან. ღმერთი შორს იყო, ძალიან შორს... ის უხილავი ძალა კი ხან აქვე იყო, აქვე დადიოდა, ჰერბოში ფხაკუნობდა, ბუხარში ჰრიტინებდა ან ღრიჭოში იჭვრიტებოდა, ხან კი უცებ გაქრებოდა, ერთი ხანობა აღარ გამოჩნდებოდა, ვიდრე ისევ არ მოვიდოდა, ისევ უცხად და მოურიდებლად. ჯილაური არ იყო ლაჩარი. და მაინც ამ უხილავი ძალის წინაშე ვერაფერს აწყობდა, რადგან ის ძალა კიდევ იყო და კიდევ არ იყო...

ეს დაიჭერა თუ არა, ჯილაურმა თავი მიუსაფრად იგრძნო.


დედაკაცი უბირი იყო და მისთვის იმ უხილავ ძალას სახეც ჰქონდა და ფერიც: ეს ის უცხო კაცი იყო, მკათათვეში რომ წამოადგათ თავზე და ბიჭი წაიყვანა. დედაკაცის ფიქრი მხოლოდ და მხოლოდ იმ

უცხო კაცს მისდევდა. დედაკაცი არ იცოდა, ვინ იყო ჰიტლერი, სად იყო გერმანია. ან რასაქმე უნდა ჰქონოდა იმ ვილაც ჰიტლერს მთავი მომწყვეტელ ჯილაურების პატარა ეზოსთან. ასი დღეც რომ იარო, იმ ვილაც ჰიტლერთან ვერც მიაღწევო... ბიჭი კი იმ ზაფხულს აქ ამოსულმა უცხო კაცმა წაიყვანა. და თუ ოდესმე დედაკაცი ბიჭის საძებნელად გზაზე გავიდოდა, ეს გზა უთუოდ იმ უცხო კაცის ნაკვალევი უნდა ყოფილიყო. დედაკაცს მარტო იმ უცხო კაცთან ჰქონდა ამქვეყნად საქმე, ვინც თავისი ფეხით ამოვიდა, ბიჭს ხელი მოჰკიდა და წაიყვანა. და ახლა, როცა დედაკაცი ბიჭზე ფიქრობდა, მის გვერდით მუდამ იმ უცხო კაცს ხედავდა. იდგა თუ იჯდა ბიჭი, იცინოდა თუ ტიროდა, შიოდა თუ სწყუროდა. თავზე მუდამ ის უცხო კაცი ედგა. ის ანიშნებდა გაჩუმდიო, ის აწვდიდა პურსა და წყალს, ის არ უშვებდა და ტყუილიც იმისი შეპირება გამოდგა, შემოდგომამდე გამოვუშვებო. ხო, აგრე იქნება, თუ დედაკაცი ოდესმე იფიქრებს, ბიჭი აღარასოდეს ჩამოვაო, ალბათ მაშინვე ადგება, გზას დაადგება და იმ უცხო კაცის საძებნელად წავა. წავა და მთელი ქვეყნიერებაც რომ შემოიაროს, ან მკვდარს იპოვის, ან ცოცხალს, ან არც ერთს, არც მეორეს, და იმ უცხო კაცის ძებნაში თვითონვე მოკვდება.

დედაკაცი ბიჭს მხოლოდ ცოცხალს ხედავდა: იმგვარად, როგორც გააცილა მკათათვის ერთ საღამოს. თუ ვინმე ბილიკზე გამოჩნდებოდა, ის ვინმეც ბიჭი იყო, ბოლოსდაბოლოს შორიგზა გამოვლილი და შინ მშვიდობით დაბრუნებული. თუ ვინმე გზაბნეული მგზავრი ბინდისას ჰიშვართან დაიძახებდა, ესეც ბიჭი იყო, დაქანცული, დაღლილი, ნაომარი, მაგრამ მაინც ნირშეუცვლელი და საღსალამათი.

ასე გაჩერდა ჯილაურების ოჯახში დრო.

თავდაპირველად დედაკაცისთვის გაჩერდა, დედაკაცს აერია სათვალავი, ვეღარ გაიხსენა, რამდენი შემოდგომა გა-



სულიყო და რამდენი გაზაფხული, რაც იმ უცხო კაცმა ბიჭი წაიყვანა და დაიბარა, შემოდგომამდე დაგიბრუნდებათო. დედაკაცი ველარ გრძნობდა, როგორ მიჰყვებოდა წელიწადს წელიწადი. მის ფიქრში ყველაფერი თითქოს გუშინ მოხდა, გუშინ იყო ის ზაფხული და დღეს თუ არა ხვალე უნდა დამდგარიყო ის შემოდგომა, როცა ის უცხო კაცი გამოჩნდებოდა და ბიჭს თავისი ხელით მოჰკვრიდა. და თუ ათასში ერთხელ, ზამთრის ღამეში, ჭილაურების ბუხართან, ამაზე მაინც ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, დედაკაცი იმას კი არ იტყოდა, „ბიჭი რატომ არ ჩამოდისო“, იმას დაიჩვილებდა, „აქამდე რატომ არ უშვებენ, რაღას უყურებენო“. ჩიოდა და უკვირდა უმადურობა იმ ხალხისა, ვინც ბიჭს არ უშვებდა. აკი ომი გაათავესო?! აკი გარეკეს ის ვილაცანი იყვნენო?! და ახლა ამის გაფიქრებაზე იმასა სწუხდა, ვაითუ კიდევ რამეს ელოდებიან, ვაითუ კიდევ ვინმეს შიში აქვთ და ბიჭიც ამისთვის ჭირდებოთო.

ამ ფიქრში ისევ გადიოდა წელიწადი. ისევ გაფრინდებოდნენ მერცხლები. ისევ იძარცვებოდნენ ხეები და თოვლი ედებოდათ მთებს.

ჭილაურების ოჯახი გარინდებაში წასულიყო. ჭილაურების ოჯახი ერთ გრძელ თვლემას მისცემოდა. გარშემო კი ცხოვრება იცვლებოდა. დროს თავისი გაჰქონდა.

და ალბათ ჭილაურების თვლემა კარგა ხანს გავრძელდებოდა, ისევ თვითონ ცხოვრებას რომ არ ამოეგლო ჭალიდან გამომძვრალ ბილიკზე და გაზაფხულის ერთ შუალამეს, როცა ცა ქუხდა და ჩამოქცევას ლამობდა, ჭილაურების კართან ძახილი არ აეტეხა.

დედაკაცმა ჭრაქი ზემოთ ასწია, საჩხეში გავიდა და წვიმიან ღამეს გასძახა:

- რომელი ხარ?!
- მგზავრი ვარ, მონადირე! — დაიძახა ვილაცამ.

ქარმა წამოუბერა და ჭრაქს წამით აფაღები დაუხუტა.

როცა ცეცხლის ენამ ისევ ამოყო თავი, დედაკაცი სახტად დარჩენილი საჩხეში ანჯიქო ასვეტილიყო.

— რაზე მოხველი? — შეეშინდა დედაკაცს.

ანჯიქო ბუხართან იჯდა და ხელებს ითბობდა.

- ვიფიქრე, გამათბობენ-მეთქი...
- არ იცოდი, სად მოდიოდი?
- რა ვიცოდი! მთაში ვიყავი! ამ წვიმაში რას გაიგებ?
- გზა დაგებნა?
- დამებნეოდა მამ რა? ვერა ხედავ, თავსხმა...

ანჯიქო ტყუოდა. დედაკაცი მიხვდა და გამომცდელად უცქეროდა. ჭილაური კუთხეში იჯდა და ხმას არ იღებდა.

— მიდი, რაზე გვაჭამე, — თქვა ჭილაურმა.

დედაკაცი ადგა, ბუხარში ცეცხლი გაღელა და შეშა მიუმატა.

ჭილაურს უკვირდა: ანჯიქოს მოსვლა გაეხარდა...

ანჯიქო მშვიდი იყო. თან მგელივით ჭამდა, თან ლაპარაკობდა. ლაპარაკს გადაჩვეული ჭილაურები თვალს არ ამორებდნენ ენად გაკრეფილ ანჯიქოს. ჭილაური არაყს უსხამდა, ან შაშხსა და ყველს მიუმარჯვებდა. ორიოდვე სიტყვას დედაკაცი თუ ეტყოდა თავის ძმას.

ბუხარი მიწავლდა. ანჯიქო მაინც იჯდა და დაძინებას არ აპირებდა. არაყმა მორიდება გაუფანტა. თანაც აღარც ჭილაური იყო ის ჭილაური. ანჯიქომ ეს მაშინვე დაინახა, როგორც კი ოჯახში ფეხი შემოდგა. წელში გამართული, კუმტი და კუნძივით ჩადგმული ჭილაურის ნაცვლად, კარგა ხნის წინანდელი რომ ახსოვდა ანჯიქოს, სახედაღარულ, წელში მოხრილ ბერიკაცს შეხვდა, იმ ბერი-

**თამაზ ზივილური**  
ჩივილი

კაცს, რომლის შიშიც არაღა აღარა აქვთ. ეს რომ დაინახა, ანჯიქო მაშინვე გათამამდა. და როცა ჭილაურმა ცოლს უთხრა, მიდი, რამე გვაჭაპუო, საბოლოოდ მოშინაურდა და ჭილაურების სახლიც მაშინვე მოლახლახებულ, ძველ ურემს დაემსგავსა, კრიალითა და ხენე-შით ძლივს რომ მიდის აღმართში. ურემი ანჯიქოს მიჰყავდა, კოფოზე ანჯიქო იჯდა, ხარებს ის უჭავრდებოდა.

— აქ რას უსხედხართ! — თქვა ანჯიქომ, — ქვეყანა გაძდა, მარტო თქვენ-ღა დარჩით, თქვენღა შეჰყურებთ აქაურობას.

— ბიჭს ველოდებით... — თქვა დედაკაცმა.

ჭილაურს არაფერი უთქვამს და დედაკაცმა დაუმატა:

— მანამ ის არ ჩამოვა, აქედან ფეხსაც არ მოვიცვლით.

ჭილაური ისევ ჩუმად იყო და ისევ დედაკაცმა თქვა:

— ეგრე გვაქ დათქმული.

დედაკაცი გაჩუმდა და ქმარს გადახედა.

ჭილაური ადგა და ბუხარი გაღვდა.

დედაკაცმა ისევ გააგრძელა:

— მემრე როგორც ბიჭი გვეტყვის... უნდაა წაგვიყვანოს, უნდაა დარჩეს... ჩვენებურად... იმის ნებაა..

ანჯიქო არყის ჭიქას დააშტერდა. მერე დედაკაცისკენ გააპარა თვალი.

დედაკაცი ანჯიქოს თვალში მისი საკუთარი და კი აღარ იყო, საიქიოდან მოულოდნელად გამოცხადებულ მიცვალებულს ჰგავდა. ანჯიქო თითქოს ამ წუთში შემოვარდა დიდი ხნის წინათ დაკეტულ სახლში, თითქოს უცებ გააღო კარი და ჩამქრალ კერასთან ორი ბებერი დაინახა. ბებრები კერასთან ისევე გაუნძრევლად ისხდნენ, როგორც ოცი წლის წინათ. და ანჯიქოს შეეშინდა.

მერე ვაეცინა და არაყი დაისხა.

— რაღა ღროს ომია, ომი რახანია გათავდა.

დედაკაცი თვალს არ აშორებდა.

ანჯიქომ არაყი გადაჰკრა და ერთბაშად თქვა:

— მომსვლელი აქამდე მოვიდოდა სიჩუმე ჩამოვარდა.

ჭილაურმა ცოლს გადახედა.

დედაკაცი ანჯიქოს თვალს ისევ არ აშორებდა.

ჭილაური წამოვიდა და ანჯიქოს წინ დაუდგა.

— აქ რაზე ამოხვევლ? — იკითხა ჭილაურმა ხმამაღლა.

ანჯიქომ უკან დაიხია.

— სანადიროდ ვიყავი...

— რა ღროს ნადირობაა? ამ ღროს ვინა ნადირობს!

— ვიფიქრე, როგორ არიან-მეთქი...

— კარგად ვართ! — უთხრა ჭილაურმა.

ანჯიქო ისევ გათამამდა.

— ეს ქალი რა არის შენი? — მიაჩერდა ჭილაურს.

— არ იცი, რა არი?

— ჩემი კი და არი, ღვიძლი და... მონადირეობა რათ მინდოდა... ამოველ... გნახეთ...

ჭილაურმა თვალი მოაშორა და გარეთ გაიხედა.

— გადაილო? — იკითხა დედაკაცმა.

— გადაუღია. — თქვა ჭილაურმა.

— მართლა გადაუღია, — კართან მივიდა ანჯიქო.

დედაკაცი ქმარს უყურებდა. მერე მორიდებით მიუახლოვდა და თვალბეში შეხედა. დედაკაცს რაღაცის თქმა უნდოდა.

— რა ვინდა? — იკითხა ჭილაურმა.

დედაკაცმა ვაბედა და დაიჩურჩულა:

— მართალს ამბობს?

— რაზე მეკითხები?

— იი, ისაო, ოცი წელიწადი. გავიდაო...

ჭილაურმა დედაკაცს პასუხი არ გასცა და ანჯიქოსთან მივიდა:

— ეხლა რა ვქნათ?

— რა უნდა ვქნათ? გამიშალეთ და დამაძინეთ...

— ლოგინი გაუშალე, — უთხრა ცოლს ჭილაურმა.

— ლოგინი რათ მინდა, — თქვა ანჯიქომ, მივიდა და ბუხართან მიგდებუ-



ლი ნაბადი აიღო, — ბანზე დაეწვებო.  
რახანია ბანზე აღარა ვწოლილვარ.

— გასცივდები, — თქვა დედაკაცმა.

— რა გამაცთებს ნაბადში. წვიმამაც  
გადაიღო... აგე, ვარსკვლავები ჩანს!

— ხო, წვიმამ გადაიღო. — დაუდას-  
ტურა დედაკაცმა.

ანჯიქო გავიდა და ნაბადი გაიტანა.

დედაკაცმა ნაკვერცხლებს ნაცარი გა-  
დააფარა.

ჯილაური დაწვა.

დედაკაცი შუა დარბაზში გახევებული  
იღვა. მერე ტახტზე მიწოლილ ქმარს  
გადახედა, მივიდა და თავზე დაადგა.  
კარგა ხანს უყურა. ჯილაურს არ ეძინა.  
გრძნობდა, რომ დედაკაცი უყურებდა  
და გვერდზე გადაბრუნდა.

დედაკაცი მივიდა და ხელი მოჰკიდა.

— რა იყო? — დაიწურჩულა ჯილაურ-  
მა.

— შემეშინდა, — თქვა დედაკაცმა.

— რისა შეგეშინდა?

— რა ვიცი...

— ნუ გეშინია.

— ის რათ გვითხრა?

— რა?

— ომი რახანია გათავდაო.

— მერე რა, გათავდეს... მამ სულ  
ომი ხო არ იქნებოდა?

ჯილაურმა თვალები დახუჭა.

მაგრამ დედაკაცი ისევ იღვა და  
თვალს არ აშორებდა.

— ან ის რაღათ გვითხრა? — დაი-  
წურჩულა დედაკაცმა.

ჯილაურმა ხმა არ გასცა.

— ან ის რაღათ გვითხრა, მომგვლე-  
ლი აქამდე მოვიდოდლო...

ჯილაური ხმას არ იღებდა.

— დაიძინე? — იკითხა დედაკაცმა.

ჯილაურმა ხმა არ გასცა.

— დაიძინე? რამე მითხარი, კაცო...

ჯილაურს არაფრის თქმა არ შეეძლო.

— მეშინია, — თქვა დედაკაცმა.

●  
ინათლა თუ არა, ჯილაური ფეხზე წა-  
მოდგა.

დედაკაცი ბუხრის კედელთან მიმდებარე  
რიყო და ეგრე ეძინა.

ჯილაური ბანზე ავიდა.

ანჯიქო იქ აღარ იყო. ანჯიქო გამქრა-  
ლიყო.

ჯილაური სულის მოსათქმელად ბანზე  
ჩამოკვდა...

თითქოს ვიღაცამ დაეძრეული ზარი  
ჩამოჰკრა.

ანჯიქო ისევ გამქრალიყო და ჯილაუ-  
რის წასვლის დროც მოსულიყო.

ჯილაურმა უკან მოიხედა. უკან წლე-  
ბი იყო, ახლა უკვე უთვალავი წლები.  
ახლა უკვე ჯილაურმაც აღარ იცოდა,  
რამდენი ხანი გავიდა, რაც ამ სოფლი-  
დან არსად წასულიყო. ახლა დამდგარი-  
ყო დრო წასვლისა. ქვეყნიერებას ვერ  
გაეძლო უჯილაურებოდ. წაუსვლელობა  
არ იქნებოდა. თუ არ წავიდოდა, ქვეყ-  
ნიერება იფიქრებდა, რომ ჯილაური  
აღარ არსებობდა. კაცი კი ყველაფერს  
აიტანს, გარდა იმისა, კაცად რომ აღარ  
ავადებენ. ჯილაური უნდა წასულიყო და  
ისევ დაემტკიცებინა თავისი კაცობა.  
ჯილაურს მაშინვე გაჰკრა ეჭვმა, ანჯი-  
ქომ რომ აივანზე მოინდომა დაძინება.  
მაგრამ ეს ეჭვი თავის თავსაც კი არ უთ-  
ხრა გულახდლად, მაშინვე დატუქსა თა-  
ვისი თავი, კაცზე როგორ ავიღე ეჭვიო.  
მაშინვე იფიქრა, დავებრებულვარო, და  
ცოლს უთხრა, მიეცი ნაბადიო. მეორედ  
და უფრო ძალუმად, ეჭვმა მაშინ გაჰ-  
კრა ჯილაურს, დილაადრიანად რაღაცამ  
რომ ხელი ჰკრა და ლოგინიდან წამოაგ-  
დო... მაშინვე ბანზე ავარდა. აღარც ან-  
ჯიქო დახვდა, აღარც ნაბადი.

ჯილაური თავლსკენ გაიქცა.

თავლის კარი ფარღალაღა დარჩენი-  
ლიყო.

თავლაში ცხენი აღარ იყო.

ჯილაურს მეხი დაეცა და ძირს დასცა.  
მერე თითქოს ძირს დაეცემულს ვი-  
ღაცამ მათრახი გადააწნა.

მერე ის ვიღაცა თავზე დაადგა და  
ფეხით შესდგა.

თამაზ ზივილური  
ჩივილი

ჯილაურმა ტკივილი იგრძნო.

— ცხენი! ცხენი! — ღრიალებდა ჯილაური.

— ცხენი! — ყვიროდა დედაკაცი...

ეხლა ცხენი იყო ყველაფერი, ჯილაურის ღირსებაც, კაცობაც, იმედიც. ცხენის დაკარგვამ ელვასავეით დაუარა და სხვა, უფრო დიდი ტკივილი გაუღვიძა. ჯილაურს უცებ შეეზიზნა თავისი წინაგრძნობა — ბიჭს რომ თვითონვე გამოუტანა სასიკვდილო განაჩენი. ბიჭის ცხენი წაიყვანეს! ცხენი უნდა დაიბრუნოს! თუ ცხენს დაიბრუნებს, ბიჭიც დაბრუნდება! ცხენის მოტაცებით ბიჭი მოსტაცეს ჯილაურს. ჯილაურს ცხენი უნდა! ცხენი უნდა იზოვოს! ცხენი უნდა იქვე მოიყვანოს, სადაც ამდენი ხანი ელოდა პატრონს! თუ ამ ცხენს არ დაიბრუნებს, ჯილაური სამუდამოდ მოკლავს ბიჭს! ფიქრში კი არა, მართლა მოკლავს, მოკლავს ერთხელ და საბოლოოდ...

კედლიდან თოფი ჩამოიღო. გარეთ გავარდა.

— სად მიხვალ, კაცი! — ყვიროდა დედაკაცი.

— არსად წახვიდე! — ეძახდა კაცი და ფერღობზე ჩაბრუნდა.

უცებ კაცი გაჩერდა. მობრუნდა და ისევ დაიძახა:

— აჰა, წაიღე!

ესა თქვა და მხრიდან თოფი ჩამოიხსნა.

— დაგჭირდება! — დაუძახა დედაკაცმა.

— არ დამჭირდება! — დაიძახა კაცი და თოფი მიწაზე დააგდო.

მერე ისევ მობრუნდა და დედაკაცს გამოსძახა:

— არსად წახვიდე!

მაგრამ კაცმა იცოდა, რომ დედაკაცი აუცილებლად წაივლიდა. წასვლის დრო უკვე ამდგარიყო.

და როგორც კი ჯილაურმა ეზოდან ფეხი გადაგა, დედაკაცი მაშინვე მიხვდა, ახლა უკვე თვითონაც ჩაიცივამდა მაგარ ქალამნებს, პაჭიკებზე შემოიხვევდა ბაწრის ტოლალებს, დაიჭერდა ხელში

იფნის ჯოხს და გზას დაადგებოდა. აქ ყოფნა აღარ იქნებოდა. ~~აქ ყოფნა აღარ იქნებოდა.~~ ლოდინი შეიძლებოდა. ~~ლოდინი შეიძლებოდა.~~ თავრდა... აქამდე დედაკაცს მხოლოდ კაცის ნება-სურვილი აჩერებდა. იცოდა, კაცი არსად გაუშვებდა. ახლა კაცი მიდიოდა და დედაკაცმა იცოდა, რომ აქ დამრჩენი არც თვითონ იყო.

კაცმა ქალა გადაიარა, გაღმა გორაკის ბილიკზე ავიდა და თვალს მოეფარა. და დედაკაცმა პირველად რაც იგრძნო, მარტოობის შიში იყო. დედაკაცი ჯერ არასოდეს დარჩენილიყო მარტო. ორმოცი წელიწადი კაცი ჰყავდა გვერდით და მარტო დარჩენაზე ფიქრიც არა ჰქონია. კაცმა მთა გადაიარა, აღარა ჩანდა, მაგრამ დედაკაცი ცხადადა ხედავდა, როგორ მიდიოდა ბილიკებზე, და რაც უფრო შორს მიდიოდა ბილიკი, დედაკაცს შიში უფრო და უფრო ეძალებოდა. ეს არ იყო შიში მთისა, არც ნადირის შიში იყო, არც ვინმეს მოხდომისა. ეს მარტოობის შიში იყო. და როგორც კი ეს იგრძნო, დედაკაცი დაფაცურდა. ჯერ წავიდა და ბალახზე გაშვებული ძროხები ჩამორეკა. მთელი ღამის ნაბალახეე ძროხებს ჩქინები გავსებოდათ. ძროხები ბაკში შერეკა, სახლიდან გობი გამოიტანა და წველა დაიწყო. ის წელანდელი შიში თითქმის გადაავიწყდა. ძროხებს ელაპარაკებოდა. ჩიქანში წველას ეძებდა. გობში ჩხრიალით ჩადიოდა თბილი რძე. მერე ხბორები მიუშვა დედებთან და ერთი ხანობა უტყუერდა, როგორ ურტყამდნენ დრუნჩს დედის დამკვნიარ ძუძუებს და დედებიც როგორ უშვებდნენ ჩიქანში ხბორებისთვის გადამალულ რძეს. მერე ხბორები დააბინავა და ძროხები ისევ ბალახზე აიყვანა. ძროხებს ველარ მოშორდა და მთელი დღე საძოვარზე გაატარა. მზე რომ ჩავიდა, ძროხები ისევ ჩამორეკა და ბოსელში დააბინავა. ცივი, უმთვარო ღამე მოდიოდა და დედაკაცმა ცეცხლი შეანთო. ცეცხლზე დიდი ქვაბი შედგა და რძე შიგ ჩაუშვა. იჯდა სამფეხა სკამზე და რძეს თვალს არ აშორებდა. რძემ ჯერ ჩურჩული დაიწყო, მერე უფრო ცხადად



აბუტბუტდა, წამოფუცდა და გადაემხო  
კვამლით შექვართლულ თანგირა ქვაბს.  
დედაკაცმა ცეცხლი გაღვია. რძე გად-  
მოდგა და დააბინავა.

როგორც კი საქმეს მორჩა, ისევ იმ ში-  
შმა შემოიხედა ბნელი კარიდან, მაგრამ  
ეს არ იყო ბნელი კარის შიში. დედაკაცს  
სიბნელისა არ ეშინოდა. დედაკაცს შე-  
ეძლო, ამ წუთში ხელში ჯოხი აედო და  
ტყის ბნელ ბილიკს დასდგომოდა. ასეც  
უვლია მრავალჯერ, ხან გზააბნეული სა-  
ქონლის მოსაძებნად, ხან ცხენის ჩამო-  
საყვანად. დედაკაცს ეხლა მხოლოდ სახ-  
ლში მოტრიალებული მარტოობისა ეში-  
ნოდა.

ცეცხლი ჩაიდველვა. ოთახში უფრო  
ჩამობნელდა და დედაკაცმა ჭრაქი აან-  
თო. ჭრაქის შუქი მშვიდად ფარფატებ-  
და და კედლებზეც ფარფატებდნენ  
თოკზე გადაფენილი ტყავის, წინდების,  
პაჭიკების და გულის ლანდები. დედა-  
კაცმა ზანდუკი გახსნა და მატყლის ფთი-  
ლები ამოიღო. ბუხრის გვერდზე კუთ-  
ხეში მიგდებული საჩიჩელი მოძებნა,  
ნაბდის ძველაზე ჩამოჯდა და ჩეჩვა და-  
იწყო.

უცებ თვლელმა მოერია და ნაბდის  
ფთილებიც ისე აფარფატდნენ, როგორც  
თოკზე გადაკიდებული ტყავი, წინდა,  
პაჭიკები და გულა.

დედაკაცმა საჩიჩელი ისევ კუთხეში  
მიადგო, ფთილები ზანდუკში ჩაყარა და  
გარეთ გავიდა.

ცა ვარსკვლავიანი იყო. მთვარე არ  
ჩანდა. ეზოში ბნელოდა. დედაკაცი ეზო-  
ში გავიდა, ბოსლის კარი შეაღო და  
ძროხებთან შევიდა. ბოსელში კარგა  
ხანი იდგა და ესმოდა, როგორ იცოხნე-  
ბოდნენ ძროხები.

დედაკაცმა ბოსლის კარი გამოიხურა.  
ციოდა და იქვე, კართან მოიკუნტა. კარ-  
გა ხანს იჯდა და ღამეს უსმენდა.

ღამე ჩუმად იყო.

დედაკაცი უცებ წამოხტა, კიბე აირ-  
ბინა, კარს მიაწვა და შინ შევარდა. კე-  
დელზე ჩამოკიდებულ თოფს ეცა. ფარ-  
ღალა კარიდან ისევ გარეთ გამოვარ-

და, ბანზე ავარდა და თოფი ქვევით  
წია.

თოფის ქუხილმა, ქედებზე გადაიარა.  
ისევ სიჩუმე ჩამოწვა. ქვეყანა თით-  
ქოს დაყრუვდა.

დედაკაცი ბანზე დაჯდა და ტირილი  
დაიწყო.

მთელ ციქვეშეთში დედაკაცი მარ-  
ტოდმარტო იყო.



დედაკაცი სოფელ-სოფელ დადის. შა-  
ვი კაბა აცვია. სახეზე შავი მოსახვევი  
ჩამოფხატია. მოსახვევს შიგნიდან ორი  
შავი თვალი ანათებს. ფეხზე ქალამნები  
აცვია. კაბის ქვემოთ წინდა და ტოლა-  
ლები უჩანს. ხელში ჯოხი უჭირავს. და-  
დის სოფელ-სოფელ დედაკაცი. მაგრამ  
სოფელი ის აღარ არის, რაც იყო და  
დედაკაცი ვეღარა სცნობს სოფელს. სო-  
ფელიც ვეღარა სცნობს დედაკაცს. ზოგს  
გიჟი ჰგონია და თვალს არიდებს, ზოგი  
გზას ასწავლის, ზოგი ფიქრობს დიდება-  
ზე დადისო და გამხმარ შოთს აწვდის.  
დედაკაცი ზოგს პასუხის ღირსადაც არა  
თვლის, ზოგს გაუჩერდება და წვრილად  
უამბობს თავის გასაჭირს. და მაინც, იტ-  
ყვის თუ არ იტყვის, სხვას გაანდობს თუ  
არ გაანდობს თავის გასაჭირს, დედაკა-  
ცი მარტოა. მარტო მიდის მტვრიან შა-  
რაზე. მიდის და სოფელი თითქოს შო-  
რიახლოს მიჰყვება, ახლო მისვლას ვერ  
ბედავს, შორიდან კითხულობს გზაზე  
გასული დედაკაცის ავ-კარგს.

— ომში წასული ბიჭებისა ხო არა-  
ფერი იცით?

— მობრძანდი, ღედი, პური გატეხე.

— რა დროს პურია, გიორგი ერქვა,  
ქერა ბიჭი იყო, ტანალი...

— რა ვიცით. დედი, ომში ბევრნი წა-  
ვიდნენ და გიორგიც ცოტას არ ერქვა.

— ის კაცი მაინც მამაძებნიეთ...

— რომელი კაცი, დედაკაცი?

— ჩვენთან რო ამოვიდა, ჯარის ბი-  
ჭებს ვინც აგროვებდა.

თამაზ ბიბილური  
ჩივილი

— ცოტა ვინმე აგროვებდა? ეგრე როგორ იქნება? ან სახელი არ ერქვა, ან გვარი მაინც არ იცი?

— ღმერთმა რო არ იცის იმისი თავი და ტანი!

— დაგიღამდა, დედაკაცო! აქეთ გადმოდი, აბა სად უნდა გაათენო დამე!

— ბარემ იმ სოფელშიც გადავალ.

— ეს სოფელი არ არი? საღდა მიღიხარ, იქ რა დაგრჩენია?

— იქნება დავიჭირო ის კაცი...

— ერთი გავაზეული ჩამოსულა, ორთავ თვალით ბრმა ყოფილა, ყველაფერი გუშინდელივით ახსოვსო. აბა იმასთან წადი, იქნება რამე გითხრას.

— იმასთანაც წავალ!

— წამსვლელი ბევრი ყოფილა, დაბრუნებული ცოტა...

— ვინც ჩამოვიდა ხო კარგი, ვინც არადა, საღდაცა ჰყოლიათ დამალულები...

— ეს ის დედაკაცი არ არი? სოფელსოფელ რო დადის და ვილაცას ეძებს?

— ხო, ის არი...

— რათა ჰყოლიათ დამალულები? ისევ გაცოცხლდება ჰიტლერიო?

— სტალინს უთქვამს, ეგ ბიჭები გაუშვიო, დედებს დაუბრუნეთ, აკი სიტყვა მივეციო...

— მაშ არ იტყოდა?

— სიტყვა რო არ მოეცათ, კიდევ ხო...

— დედაკაცო, ერთი აქეთ მოდექი. ხილი უნდა მოვაწოდო!

— განა სათხოვნელად დავდივარ, შვილს ვეძებ!

— თურმე სუყველა ერთ დღეს უნდა გამოუშვანო, დაცოლშვილებულები...

— ეგ რაღათ უნდოდათ? აქ ვერ დავაცოლშვილებდით?

— უამისოდ როგორ იქნებოდა? ბალები ხო აღარ არიან, ქალო...

— ხო, უამისოდ არ იქნებოდა...

— ყველა-ყველა და ის კაცი რაღათ გინდა, დედი?...

— რომელი კაცი? ვინც ბიჭი წაიყვანა?

— ვინც ბიჭი წაიყვანა...  
— ეგრე მითხრა, შემოდგომამდე მოვუშვებო! ანჯიქომა თქვა...

— ანჯიქო ვილაა, დედი?

— ჩემი ძმა, ის ძალღმობი! ანჯიქომა თქვა, იმის მერე ბარე ოცი შემოდგომა გავიდაო!...

— გავიდა, დედი, გავიდა!

— ანჯიქოს ტყუილები უყვარს...

— ეს აღარ არი ტყუილა, დედი...

— რა ვიცი, ღმერთმა ყველას მშვილობა მოგცეთ!

— დაღამდა, დედაკაცო, დაღამდა!

— ხო, დაღამებულა!

— შინ წადი, სახლი მოძებნე, შენი სახლი!

მაგრამ დედაკაცს არავისი არ ეყურება. მიდის გზაზე და ჰგონია, რომ უბედურება მარტო მის ოჯახს დაატყდა ვილაც უცხო კაცმა, სხვა ვერავინ დაიგულა და სწორედ ჭილაურების ბიჭს დაადგა თვალი, ამოვიდა და წაიყვანა. ის უცხო კაცი ზღვის ურჩხულივით ხმელეთზე გამოსულა და ზღაპრული მზეკაბუჯი წაუყვანია. და ახლა, კაცის ამ უსამართლობით გამწყარალი დედაკაცი საჩივრელად მიდის. მაგრამ დედაკაცმა არ იცის, ვისთან უნდა იჩივლოს, ან ვის უნდა გაანდოს თავისი სატკივარი. დედაკაცს მხოლოდ წყრომა ეწევა საით უწევდაც, მაგრამ საით, თვითონაც არ უწყის. უსამართლობა თითქოს ციდან ჩამოვიდა, დაუქცია სახლ-კარი, თავზე დაუშხო დედაბოძი, ჩაუქრო კერა და ეს მარტოდ დარჩენილი დედაკაცი, ცისა და მიწის ანაბარა. უცხო გზაზე გამოიყვანა. გამოიყვანა და ისიც კი არ ასწავლა, ვისთვის რა ეკითხა, რა გზას დასდგომოდა...

— საბჭოში წადი, დედაკაცო!

— საბჭოში მითხრეს, ქალაღი ჯერ არ მოგვსვლიაო.

— ქალაღი რად გინდა? შინ წადი, დედაკაცო, შინ!

გარშემო აღარავინა ჩანს.

გზა გრძელდება.



ჯილაური ცხენს ეძებს. ვიდრე ცხენს არ იპოვის, ცოცხალი თავით შინ არ დაბრუნდება. ცხენის უბოვნელად სიცოცხლე აღარა ღირს.

ანჯიქოს ყველა იცნობს. ანჯიქო გუშინ აქ იყო, გუშინწინ იქ. მაგრამ ესლა საღ არის ანჯიქო, არავინ იცის.

— თაობითვე ეგრე იყო, უცებ ჩაიყლაპებოდა და უცებ გამოჩნდებოდა...

— ბინა? ცოლ-შვილი?

— არც ბინა ვიცით იმისი და არც ცოლ-შვილი.

— ხო, თაობითვე აგრე იყო, ხან გამოჩნდებოდა, ხან ჩაიყლაპებოდა.

ბევრი იარა თუ ცოტა იარა, ბოლოს ანჯიქოს კვალმა თუშებთან, ომალოში აიყვანა ჯილაური. ორ დღეს იარეს მთის ბილიკებზე ჯილაურმა და ერთმა მოხუცმა მწყემსმა — ბასხაჯაურმა, ახმეტის ბაზარში რომ გამოელაპარაკა ჯილაური და ერთად წასვლაზეც შეიპირა. ჯერ სტორის ხეობა აიარეს, ფშაველში ავიდნენ და იქიდან თორღვას აბანოებისაკენ აიღეს გეზი. ის ღამე აბანოებთან გაათენეს. მეორე დღით აბანოებიდან აპყვნენ, უღელტეხილი გადაიარეს და ომალოსკენ წავიდნენ. აქა ჰქონდა ბინა მოხუც ბასხაჯაურს. მოხუცი ბასხაჯაურის ჯალაბმა ძველი ნაცნობივით მიიღო ჯილაური. თუშის ქალებმა ლაზათიანი სუფრა გაუშალეს ბარიდან ამოხვეწილ სტუმარს, ცოტას რომ ლაპარაკობდა, ცოტას ჰამდა და სვამდა, ბევრს ეწეოდა და იმასაც ნათლად ვერ აგებინებდათ, რისთვის ამოვიდა ამ მთებში, რა დაჰპარგვოდა და რას ეძებდა. მასპინძელი და მასპინძლის ჯალაბი სტუმარს ტკბილ სიტყვას არ აკლებდნენ, არაყს მალიმალ უმარჯვებდნენ, მაგრამ კრიჭაშეკრულ ჯილაურს ვერც მადა გაეხსნა, ვერც ენა ამოიდგა. შეწუხებულმა მოხუცმა ბასხაჯაურმა, როცა უკვე კარგა ღამე წამოვიდა და სუფრას მაინც არაფერი მოაკლდა, მეორე ოთახში ვილაცას გასძახა. ცოტა ხნის მერე კარი მორიდებით შემოაღო სახენათელმა შავთ-

ვალწარბა გოგომ. ახლად აწვერილს, ჯიშინსა და ფეხშიშველს მოკლე ვახუშტის მუხლსაც ვედარ უფარავდა. მთავარეული თელ სახეზე თეთრ კბილებს ისე აჩენდა, თითქოს ნამგალა მთვარე აფრქვევს ღამეულ ცაზე მიბინდულ შუქსო.

გოგოს ხელში გარმონი ეჭირა.

— დაუკარ, საბედო, — უთხრა პაპამ.

გოგო იქვე, კართან ჩამოჯდა და გარმონი გაწეა.

ჯილაურმა არაყი დალია და თვალები დახუჭა.

გოგო უკრავდა და სიმღერით ჰყვებოდა თუშის ქალების ამბავს, ქმრებს რომ ელოდებოდნენ. სიმღერა გრძელი იყო და ჩუმი სევდით სავსე. ეს სევდა ჯილაურს მთელ სხეულში ერეოდა და იმის სურვილს უღვიძებდა, რომ სიმღერა, ასე გრძელი და მდორე, არასოდეს დამთავრებულყო. სიმღერა გრძელდებოდა. ატირებული თუშის ქალები ქმრებს ელოდნენ. თუშის ქალებმა არ იცოდნენ, რომ მათი ქმრები ამქვეყნად უკვე აღარ იყვნენ... ჯილაურა ადგა, მოხუც ბასხაჯაურს სთხოვა, გარეთ გამომეყო და კარისკენ წავიდა. გოგოს ეწყინა, ჩემი სიმღერა არ მოეწონათ, სახეზე ღიმილი გაუქრა, წამოდგა და კედელს მიეყრდნო. დიდედამ დამშვიდება დაუწყეო. ჯილაურმა ყველაფერი გაიგო, გოგოსთან მივიდა, თავზე ხელი გადაუსვა და შუბლზე აკოცა. გოგომ ისევ გაიღიმა, ისევ დაჯდა და ახალი სიმღერა დაიწყო. ახლა გოგო თუშის ვაჟკაცზე მღეროდა, ათ ლეკს რომ დახვდა და ათივე მოიგერია და ეს სიმღერაც, პირველივით გრძელი იყო, მდორე და სევდიანი.

უმთავრო ღამე იყო. არც ვარსკვლავები ჩანდნენ. ხეობიდან მდინარის ხმა ამოდიოდა. სახლიდან გოგოს სიმღერა ისმოდა.

ჯილაური იდგა ამ უცხო სახლის წინ

თამაზ ზივილური  
ჩივილი

და მოხუც ბასხაჯურს მთაში ამოსვლის საიდუმლოს ანდობდა.

შუალამემდე იდგნენ კაცები ბნელში და ლაპარაკობდნენ. შუალამისას სახლის კარი გაიღო და საჩიხში გოგო გამოვიდა. გოგოს ხელში ანთებული ქრაქი ეჭირა.

მოხუცი ბასხაჯური გოგოს მიუბრუნდა და უთხრა:

— შინ შედი, დაიძინე.

გოგო შინ შევიდა.

ისევ ჩამობნელდა და მოხუცმა ბასხაჯურმა თქვა:

— თუ თუშეთში სადმე ჰკაცნებს, გინდა გომეწარში, გინდა ჩაღმა, უპოვნელი არ დაგვრჩება. ჩემი ერთგული ხალხია. ჩემი გაზრდილი მწყემსები...

ჯილაურმა ხმა ვეღარ ამოიღო. ჯილაური ეხლა მარტო ბედნიერებაზე ფიქრობდა. ბედნიერება აქ იყო, იმის წინ, ხელის გულზე გადაშლილი, უბრალო და ნაოცნებარი ბედნიერება, თავისი სახლკართ, ჯალაბით, ცეცხლით, პურის ნატეხით და ცივი წყლით, დაბოლოს ამ გაღიმებული გოგოთი, გარმონს რომ წელავდა და პატარა ზარივით რეკდა თუშის კაცების გმირობის ამბავს. რას ვეძებო, გაიფიქრა ჯილაურმა ჯა მიხვდა, რომ ცხენს კი არა, სწორედ ამ უბრალო, მაგრამ სამუდამოდ დაკარგულ ბედნიერებას ეძებდა.

მოხუცი ბასხაჯური რაღაცას ეკითხებოდა, მაგრამ გაბრუებული ჯილაური ხმას ვერ იღებდა. იდგა და იმ მოხუტულ კარს უყურებდა, სადაც ეხლა გოგო შევიდა თავისი ანთებული ქრაქით.

— უღმერთოები... — ფიქრობდა ჯილაური, — იგრე წავიდა, გოგოსთვის ერთხელ არ უკოცნია.

— მე არაფერს დამიძალავენ, — მოესმა ჯილაურს მოხუცის ხმა.

ერთი კვირა იარეს, მაგრამ ანჯიქოს კვალს ხელი ვერსად სტაცეს. ანჯიქო აქაც თითქოს უჩინმაჩინის ქუდს იხუტავდა. აქაც ყველგან იყო და არსად

არ იყო. ცამ ჩაყლაპა თუ მიწაში ვერსად გაიგეს. რომელ ბინაზეც ვერ მივიღწენ, მწყემსები ან იმას ეუბნებოდნენ, სწორედ გუშინ ჩაიარა, ყველი ეყიდა და მიჰქონდაო, ან აიშლებდნენ, ერთ კვირაში ისევ გამოჩნდება და დაუცადეთო უცდიდნენ, მაგრამ ანჯიქო არსად ჩანდა. ჯილაური გრძნობდა, რომ მწყემსებმა იმაზე მეტი იცოდნენ, ვიდრე ამბობდნენ. ანჯიქო თითქოს ყველას პირზე ხელს აფარებდა და თავის კვალს გულმოდგინედ შლიდა. არავის უნდოდა ანჯიქოს კვალზე სიარული. არავის უნდოდა იმისი სახელის ხსენება და სადაც არ უნდა მისულყვენენ, ჯილაურს მხოლოდ მღუმარება ხვდებოდა. მწყემსებმა გული არ გადაუხსნეს ჯილაურს. თავის საქმეში გართული მწყემსები ჯილაურს თითქოს ვერ ამჩნევდნენ, თითქოს სათქმელი არაფერი ჰქონდათ, თითქოს არაფერი იცოდნენ, ან თუ იცოდნენ, თქმა არ უნდოდათ და ბარიდან ამოსულ, ამოდენა გზაგამოვლილ კაცს დარცხვენინი ემალებოდნენ.

— გეტყუებენ, — შებედა ჯილაურმა მოხუც ბასხაჯურს.

მოხუციც ამას ფიქრობდა. ჯილაურის ნათქვამმა მოხუცის ეჭვი დაადასტურა.

მაშინ მოხუცი ადგა და მუხლებაკანკალეული შევიდა ბინაში.

ჯილაური იჯდა და უცდიდა. ბინაში შესვლა არ იქნებოდა. იქ შინაურები ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს, თავისი სათქმელი ჰქონდათ და თავისი საიდუმლო. ჯილაური უცხო იყო, გადმოხვეწილი, შეიფარეს, შეივრდომეს, მაგრამ კაცის გაცემა არ უნდოდათ და ახლა ჯილაურს დამნაშავესავით გაუბრუნდნენ. ახლა არ იცოდნენ, რა პასუხი გაცეათ ან იმ გადმოხვეწილისათვის, ბაკის ღობესთან რომ იჯდა და პასუხს ელოდა, ან მოხუცი ბასხაჯურისათვის, გაფითრებული რომ შემოსცქეროდათ და კაცობას უწუნებდათ.

— თუ არ იტყვით, მე შინ წამსვლელი არა ვარ! — თქვა მოხუცმა.

მწყემსებმა თავი ჩაღუნეს.



— ან ის ანჯიქო, ან მე...

ამის გაგონებაზე, მწყემსებს შორის ყველაზე ხნიერი წამოდგა, მოხუცთან მივიდა და უთხრა.

— მე თვითონ მოვქებნი.

მოხუცს სახე გაუნათდა.

— რამდენ ხანში ჩამოხვალ?

— ორ დღეში აქ ვიქნები, — თქვა მწყემსმა, მაშინვე ნაბადი მოისხა და ცხენზე შეჯდა.

ჯილაურისთვის არაფერი უთქვამთ.

ორი დღის მერე, დილაადრიანად, ჩურჩულმა გააღვიძა ჯილაური. თავზე მწყემსები წამოსდგომოდნენ.

ჯილაური წამოჯდა და მწყემსებს გაღახედა.

ეს ის მწყემსები აღარ იყვნენ, პირს რომ არიდებდნენ და ხმის ამოღება არ უნდოდათ. ჯილაურის წინ ეხლა შინაურები იდგნენ და უღიმოდნენ. შუაში მოხუცი ბასხაჭაური ედგათ. ჯილაურმა თვალები დახუჭა. მოხუცი ბასხაჭაური ბებერ თოთიას ჰკავდა. ჯილაურმა იცოდა, რომ რაღაცა მომხდარიყო. იჯდა და თვალის გახელისა ეშინოდა. ვიღაცამ მხარზე დაადო ხელი. ჯილაურმა იცოდა, ეს მოხუცის ხელი იყო.

ჯილაურმა ეზოში გაიხედა.

ბაქის ღობესთან წაბლა ცხენი ება.

იქვე, წელში მოღუნული ანჯიქო იდგა.

— ვიცი, მე დამდევ... აჰა, წაიყვანე! — დაიძახა ანჯიქომ.

ჯილაური ადგა, გარეთ გავიდა, ცხენს მიუახლოვდა და ხელი გადახვია. მერე უნაგირი მოხსნა და ანჯიქოს ფეხებთან დაუგდო.

— წაიყვა, რათ მინდა შენი ჯაგლაგი! — დაიძახა ანჯიქომ.

ჯილაურმა ცხენს გადახედა და გაშრა. ცხენი დაბერებულიყო!

აქამდე ჯილაურის თვალში ეს მარტო ბიჭის ცხენი იყო, ბიჭივით ცქვიტი, ყელმოღერებული და ამაყი. ჯილაურს მხოლოდ ის ცხენი ახსოვდა, ის ვნებიანი ულავი. ახლა ჯილაურის წინ იმ კობტა ულავის ნაცვლად მართლა ბებერი

ჯაგლაგი იდგა, გაქუცული ზურგიანი მობერილი ფერდებით და დიანი თვალებით. ჯილაურის წინ თითქოს თვითონ სიბერე იდგა. თითქოს ანჯიქოს დაეპირა ეს სიბერე, თოკი ჩაება და ბაქის ღობესთან ძალით დაება. იდგა ეხლა ეს სიბერე და ჯილაურს ჩამქრალი თვალებით შემოსცქეროდა. ჯილაურმა ცხენს თვალი მოარიდა და ახლა საკუთარ თავს შეხედა, იმ ჯილაურს შეხედა, ეს ბებერი ცხენი რომ შესცქეროდა დაწყლულებული თვალებით. და ის ჯილაურიც ცხენის წინ იდგა წელში მოღუნული, თეთრი გაფშეკილი თმითა და მეჩხერი წვერით. იდგა ჩაქანგებული, ჩაფუტურებული და დაკოჟირილი. და იმ ჯილაურსაც, ამ ცხენივით, გაქუცული წარბები, ჩაშრეტილი, ბებრული, სევდიანი თვალები ჰქონდა. ამ ჯილაურისა ახლა აღარავის შეეშინდებოდა და ალბათ არც ანჯიქოს ეშინოდა. ამ ჯილაურს ახლა მხოლოდ შეიცოდებდნენ და ჯილაურმაც მის წინ თავმოყრილ ჯან-ღონით სავსე, რაღაცაზე ვახარებულ მწყემსებშიც სიხარულთან ერთად მხოლოდ სიბრალული დაინახა. დაინახა და შერცხვა. არ უნდოდა, რომ საბრაღისი ყოფილიყო და მწყემსებს ზურგი შეაქცია. ასე იდგა ზურგშექცეული და ფიქრით ახლა იმ ქალს მისწვდა. აქ წამოსვლის წინ შინ რომ დატოვა. დარჩენილი ცხოვრების თითზე ჩამოსათვლელ ყველა დღეს დათმობდა ახლა ჯილაური, ოღონდ მის ზურგსუკან ეს მწყემსები არა მდგარიყვნენ. ოღონდ ანჯიქო აქ არა ყოფილიყო. ასე, ერთი წამით ზურგშექცეული, მიბრუნებულიყო და ამათ ნაცვლად, ის ქალი დაენახა, ვისაც ორმოცი წელიწადი გამუდმებით ხედავდა. ჯილაურს ეხლა მხოლოდ იმ ქალთან უნდოდა ყოფნა. მაგრამ აღარც ის იყო ქალი, ისიც დედაბერი გამხდარიყო, აღარაფერი შერჩენოდა იმ გოგოსი, ომის გზებზე სულ თვალწინ რომ ედგა, და მერეც, როცა ცოლად

თამაზ ბიბილური  
ჩივილი

წაიყვანა, ნაზი ქალობით ამორგებდა ხარივით დაძრულ ჯილაურს. იმავ ნაზი თითებით უფარცხნიდა თმას, კალთაში იღებდა ჯილაურის თავს და ასე შეეძლო ჯილაურის თავით მჯდარიყო მთელი გრძელი ცხოვრება. მორჩილი და ქათქათა ქალის ნაცვლად ბანზე გადმომდგარიყო მიუკარებელი, ყვავივით შავი ღეღაბერი — ლოყებზე მოღებული დამწვარი ქერქებით, ჩაშავებული კბილებით, გაციებული თვალებით.

მარტო ბიჭილა იყო ისევ ბიჭი... ბიჭი იღვა და გაღიმებული შემოსცქეროდა ბებრებს.

ანჯიქო... ისევ ანჯიქომ უთხრა სიმართლე. ისევ ანჯიქომ აუხილა თვალი... ისევ ანჯიქო ღვას ბაკის ღობესთან და თავჩაქინდრული შემოსცქერის.

გარშემო მწყემსები ყაყანებენ. რა მხიარული ხალხი ყოფილა ეს მწყემსები... ანჯიქოს ლაფში სვრიან, ანჯიქოს დასცინიან... ანჯიქო კი ღვას და ხმას არ იღებს.

რომელიღაც მწყემსს საგზალი მოაქვს. მეორე მწყემსი ჭიქით არაყს აწვდის ჯილაურს. მესამე ახალთახალ უნაგირს ადგამს ჯილაურის ცხენს. იქით მოხუცი ბასხაჯაური ემზადება. აქეთ პატარა ბიჭები ხარხარებენ.

ჯილაურს კი წასვლა უნდა. უნდა, მალე გაეცალოს აქაურობას.

ჯილაური ცხენს ხელსა ჰხვევს და მწყემსებს ზურგს აქცევს. მწყემსები ყაყანებენ და ემშვიდობებიან.

უცებ მწყემსების ყაყანს ანჯიქოს ხმა ფარავს:

— შენი წილი უკვე იცხოვრე...

ჯილაური ჩერდება.

მწყემსები ჩუმდებიან.

— რაღას ელოდები? ვიღას ელოდები? — იძახის ანჯიქო.

— არავის, — ყრუდ ამბობს ჯილაური.

— თუ არავის, ყველაფერი მორჩენილა და ეგ არი.

— მერე შენ რა გინდა?

— მე არაფერი... თუ ვაქცაი ხარ და

კარგი ცხენიცა გყავ, კარგი ბაჭისთინ უნდა გაიმეტო!

— შენა ხარ კარგი ბიჭო?

— ცოლის ძმა ვარ... მეკუთვნოდა...

მწყემსები მიტრიალდნენ და ბინამი შევიდნენ. მოხუცმა ბასხაჯაურმა ჯილაურს ანიშნა, წავიდეთო. ჯილაურმა ცხენს აღვირში ხელი წაავლო და გზას დაადგა.

მერე, თითქოს რაღაცა დარჩა უთქმელი, გაჩერდა და ანჯიქოს მოუბრუნდა:

— თუ ვაქცაი ხარ და კარგი თოფიცა გაქ, მაშინ? მაშინ რაღა უნდა ქნა?

— მე რა ვიცი... თოფიც შენა გაქ, შენ უნდა იცოდე... — დაუძახა ანჯიქომ.

— მე ვიცი... მაგრამ აბა.. ეხლა რაღა იქნება... — თქვა ჯილაურმა.

მოხუცმა ბასხაჯაურმა ისევ ანიშნა, წავიდეთო.

ბებრები დაღმართში ფრთამოტეხილი ქორებივით ჩაფარფატებდნენ.

— ეს ის ღედაკაცი არ არი, კარდა-კარ რო დადის და ვილაცას ეძებს?

— ხო, ის არი...

— დახეთ, რა მიწისფერი დასდებია თავშალსა!

— შვე მავან არ იცის და ქარ-წვიმა დადის ეგრე ეულათ.

— ხელი მაინც გავუმართოთ, ცოლოა.

— განა რამეს აიღებს?

— განა მოწყალება უნდა?

— მაშ რას დადის, კაცო?

— რავი, დადის, ვილაცას ეძებს!

— ღედაკაცო! აბა ერთი აქეთ მოდექი.

— თბილ პურს მოგაწვდით, ეხლა დაეხადეთ თონიდან.

— განა სირცხვილია, სოფელია, ადათია.

— გზას დამდგარი ღედაკაცი ხარ, როგორ დავიჭვროთ, ცხელი პური არ გინდა!

— რამე მაინც გვითხარი, იქნებ განუგეოთ?

— იქნებ გზა მიგასწავლოთ!

— ზემო სოფლებში ყოფილა და ეხლა ქვემოთ მიდის...

— მემრე სადღა წავა უბედური?

— ვიცი იქნება!

— ნეტა შენ იყო ეგეთი ვიცი!

— აბა აქეთ მაიხედე, დედაკაცო, სამი შვილის დამკარგავი ვარ, განა ერთისა!

— აბა, მოვიხედე, რაო მერე? — ფიქრობს დედაკაცი.

— ვიტყვარ და გავჩუმდი, ვის რა დავაბრალო?

— ამით ვითომ რაო, ეგ დამამშვიდებს? მე ჩემსას ვეძებ!

— შინ წადი, დედაკაცო, შინა!

— მერე რაო, თუ ერთი მყავდა? — თავის თავს ეუბნება დედაკაცი.

— ან მოკეთე არა გუაგ ან ახლობელი?

— განა ცოტაა ერთი კაცი?

— მთავრობაში გააცხადე, დედაკაცო!

— ერთ კაცს არ შევწირე მთელი ჩემი ყმაწვილქალობა?

— მკვლარს მაინც მოგიძებნიან, თუ ცოცხალს არა!

— ვაი ჩვენი ბრალა, რა ცოტა პგონებით ერთი კაცი!

ლობებზე გამოფენილი ხალხი შირაზე მიმავალ დედაკაცს ყაყანით მიაცილებდა. დედაკაცი მიდიოდა და ხმას აღარავისა სცემდა. იცოდა, ყველა, ვისთვისაც არ უნდა შეეჩივლა, ერთნაირ პასუხს მისცემდა და ერთნაირად შეიცოდებდა. დედაკაცს შეცოდება აღარ უნდოდა. შეცოდება გულს აღარ ეფონებოდა. შეცოდება აღარაფერს შევლოდა. შეცოდებამ მარტო მაშინ გაამხნევა, როცა პირველად ჩამოიარა ხეობა და პირველ ხმას გამცემს შემოეყარა. ხმა გასცა და თითქოს გულზე მოეშვა. ორიოდ ნაბიჯი გაიარა და ისევ შემოეყარა ვიღაცა, იმასაც შესჩივლა და იმანაც ის უთხრა, რაც პირველმა, ნუგეში სცა და მიასწავლა, ამა და ამ სოფელში ერთი კაცი ჩამოსულა და ყველაფერი იცის, ის კაცი მონახეო. დედაკაცმა გზა გააგრძელა და ერთ სოფელს მიაღწა. სოფელში უთხ-

რეს, ხეობის ბოლოს ერთი მკითხველი ცნობობს და გულში რა გეჭვს, ყველაფერს გეტყვისო. გულში რა ჰქონდა, დედაკაცმა ყველაზე კარგად თვითონ იცოდა და არც ის მკითხველი მოუძებნია. გზას განაგრძობდა და რაც უფრო მეტ სოფლებზე გადიოდა, მით უფრო აღარავის არაფერს ეუბნებოდა, აღარავის აღარაფერს შესჩიოდა. მიდიოდა თავისთვის, საკუთარ ფიქრებში დაყურსული, მტვრიანი, გახუნებულ და მზისგან დამწვარი. ღობეებზე მომწყდარ აყაყანებულ ხალხს აღარც სალამს იძლევა და აღარც რამეს პასუხობდა. თითქოს ვერც ვერავის ხედავსო, მარტო თავის გზას გასცქეროდა, ჯონმომარჯვებულ და თავადერილი. მიდიოდა ჩუმად, ქვეყნიერებისგან გამოთიშული, ვიღრე ყაყინმა არ იმატა, ვიღრე გარშემო არ შემოეხვიენენ, ვიღრე ვიღაცა არ მიგარდა, ხელი არა სტაცა და გზიდან არ გადაიყვანა.

— დედი, მეფცა! ურემი მოდიშ!

— მეჭურჭლე მოდის, მეჭურჭლე!

— ჭურჭელი მოდის, დედი!

— ჭურჭელი მოდის, ძალო!

— ჭურჭელი მოდის, დედაკაცო!

დედაკაცმა უკან მიიხედა.

გზაზე ურემი მოდიოდა.

— აბა ჭურჭელი, კარგი ჭურჭელი! — იძახდა თავზე ნაბდის ქუდმოფდებული კაცი და ურემს წინ მოუძლოდა.

ურმის ქალებზე ლასტები იყო აფარებული. ლასტებს შორის თვია იყო ჩაყრილი. თვიაში კი თავი ამოეყობ ხელაღმს, კოკებს, კოკურებს, საღუფრებს, კოკებს, მწნილის ქილებს და კუცებს. ქილებზე პატარა ქინძილები ზარბივით მკობდა.

ურმის კოფოზე სწვა იჭდა, თავი ზემოთ აეღერებინა. თან შარავზას გასცქეროდა, თან ჯონით კამეჩებს აფხიზლებდა.

თამაზ ზივილური

ჩივილი

— აქ დაიყე! — დაუძახა კაცმა კოფოზე მჭლარს და უღელს წინ აეფარა. კამეჩები გაჩერდნენ.

— აბა, ჭურჭელი, კარგი ჭურჭელი! — კვლავ იძახდა კაცი.

მაგრამ დაძახება აღარავის უნდოდა. ორღობებიდან და ეზოებიდან ხალხი მობრუნდა.

— აი, კოკურა! — დაიძახა კაცმა და კოკა ზევით ასწია. მერე სახრე აიღო და კოკას ჩამოჰკრა. კოკა ზარივით რეკდა.

ღედაკაცმა კაცს შეხედა.

ხალხი მისწი-მოსწია.

წინ გამოვიდა.

— დამაცათ, დამაცათ!..

— რა გინდა, ღედაკაცო?

— დამაცათ-მეთქი...

— საღ მიძვრები, ღედაკაცო, რაღა ეხლა მოგინდა!

— აბა ერთი ახლო მიმიშვით, — ამბობდა ღედაკაცი და ხალხის წრეს მუჯ-ლუგუნით არღვევდა.

— რა ჭურჭელი აგიტყდა, ღედაკაცო?

— აკი ვიღაცას ვეძებო?

— ეს ან გიყია, ან გვატყუებს!

— გაუშვით, ხალხნო, იქნებ რა უნდა?

— გაატარეთ ღედაკაცი!

ღედაკაცი კოკიან კაცთან მივიდა, ორივე ხელით ჩაებლაუჭა, ფეხის წვერებზე აიწია და თვალებში მიაჩერდა.

— რა გინდა, ღედაკაცო? — გაოცდა კაცი.

— აბა კარგად დამაკვირდი... — თქვა ღედაკაცმა.

— დაგაკვირდი, მემრე რაო?

— შენ ის არა ხარ?

— ვინ ისა ვარ, ღედაკაცო?

— შენ ის არა ხარ?

— ლენცოფა ხო არ ღალიე, ღედაკაცო, რა გინდა ჩემგან?

— შენ ის არა ხარ, ჩემი ბიჭი რომ წაიყვანე?

— ვინ ბიჭი, ღედაკაცო?

— შემოდგომამდე ჩამოვაო, რო მი-თხარი?

— როდის გითხარი, ღედაკაცო?

— რამდენი შემოდგომა გევიღო? — რატომ არ ჩამოვიდა?

— დიდება შენდა ღმერთო!

კაცი გაფითრდა და უკან დაიხია.

— აი, გეძებ და ძლივ გიპოვნე...

— დიდება შენდა ღმერთო...

— აბა მითხარი, რამდენი შემოდგომა გავიდა?

კაცი გამტერებული იდგა და ღედაკაცს შესცქეროდა.

— ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე...

— ხო, მე ვარ, რას გაიოცე?

— ისევ ცოცხალი ხარ, ღედაკაცო?

— შიცანი?

— მაშ ვერ გიცანი, ღედაკაცო!

— ხო, მე ვარ...

— აქ რას უღგებხარ, ღედაკაცო, აქ რა გინდა? ან მე რათ მეძებდი, მე რა საქებნი ვიყავი?

— ეხლა მითხარი, ვინ იყო, რო და-გაბარა?

— რა დამაბარა, ღედაკაცო?

— ჭილაურებს ბიჭი წაართვი და წა-იყვანეო.

— მე რა ვიცი, მე რა უნდა გითხრა?

— მაშინ კარგად იცოდი?

კაცმა ზურგი შეაქცია და ურმის კოფოს გადაეშხო.

— ხო, მაშინ კარგად იცოდი? — თქვა ღედაკაცმა.

კაცმა მოიხედა, ღედაკაცს ისევ დააშტერდა, ოფლი მოიწმინდა და თქვა:

— თავი დამანებე, ღედაკაცო. მე ჩემი ჭირიც მეყოფა, ჩემგან რა გინდა? მე რა შუაში ვარ? — მერე ისევ მიტრიალდა, ბიჭს გადასძახა და კამეჩებს სახრე გადაარტყა.

ღედაკაცი კამეჩებს წინ გადაუღებ, უღელს აეფარა და დაიყვინძა:

— ცოცხალი თავით არ გაგიშვებ!

— თავი დამანებე, ღედაკაცო!

— უნდა მითხრა, საღ წაიყვანე ბიჭი! ხალხმა უკან დაიხია. ერთად შეჯგუფდა. იღგნენ და თვალს არ აშორებდნენ კაცსა და ღედაკაცს.

— არ გაგიშვებ-მეთქი, — უვიროდა



დედაკაცი. — აბა გაბედე და წადი! აბა გაბედე და წადი!

კაცი დედაკაცთან მივიდა. ორივე ხელი დაუჭირა და თვალეში ჩახედა.

მერე მშვიდად თქვა:  
— რას მერჩი, დედაკაციო?

დედაკაცმა თვალი გაუსწორა და გაჩუმდა.

კაცმა ჩუმად უთხრა:  
— ჩემი არ წავიდა? ერთი კი არა, ორი წავიდა.

— მემრე მე რა?

— ყური დამიგდე, დედაკაციო... ორიდან ერთი დაბრუნდა და ის ერთიც... აბა, ნახე! გაიხარე! — ერთბაშად დაიყვირა კაცმა.

დედაკაცმა ურმის კოფოზე აიხედა. კოფოზე უსინათლო იჯდა.

უსინათლოს ორივე ხელი წინ გაეშვირა და სივრცეში იყურებოდა.

განზე გასული ხალხი ურმისკენ წამოვიდა. გაშტერებულნი იდგნენ და უსინათლოს ხმისამოუღებლად შესცქეროდნენ.

— ღმერთო! — დაიხურჩულა დედაკაცმა, — ღმერთო!..

ურმისკენ წამოვიდა და იქვე, კამეჩის ფეხთან მიწას დაემხო.

კაცი დაიხარა და მტკერში ამოგანგლული დედაკაცი წამოაყენა.

ხალხი ისევ ჩუმად იყო.  
— ვინ არი, მამი? — იკითხა უსინათლომ.

დედაკაცმა კაცს ანიშნა, არაფერი უთხრაო.

— ვინ არი-მეთქი, მამი? — ისევ იკითხა უსინათლომ.

დედაკაცი უსინათლოს მიუახლოვდა, ახედა და უთხრა,

— ერთი საწყალი დედაკაცი ვარ, კარდაკარ დავდივარ!

— სადაური ხარ, დედი? — იკითხა უსინათლომ.

— მთიდანა ვარ, გადმოხვეწილი...  
— აქეთ რამ გადმოგხვეწია, დედი?  
— შვილს დავეძებ.

— მემრე, ვერ აპოვე?

— ვერა. ისიც შენოდენა ჩაკა წავიდა და და აღარ დაბრუნდა.

— დაბრუნდება, დედი, ნუ გეშინია.

— იქნება გაიხსენო, დათვივით ბიჭი იყო.

— რა ერქვა, დედი?  
— გიორგი ერქვა.

— რალაცა არ მახსენდება...  
— ცისფერი თვალეში ჰქონდა, ქოჩორი — შუბლზე ჩამოშლილი.

— ვერ ვიხსენებ, დედი.  
— რაც არ უნდა სასაცილო რამე გეთქვა, მარტო გაიღიმებდა.

— კარგი ბიჭი ყოფილა, დედი...  
— დავიჯერო არსად შემხვედრია?

— არა, დედი, არსად შემხვედრია.  
— არც მკვდარი, არც ცოცხალი?

— რა ვქნა, დედი, ვერ მოგატყუებ.  
— შენც ხო ომში იყავი...

— ომი დიდი იყო, დედი, ძალიან დიდი.

დედაკაცი მოტრიალდა და ხალხს გადახედა. ეს რამოდენა ხალხს მოუყრია თავიო, იფიქრა და შერცხვა. გახუნებული თავსაფარი თვალეზე ჩამოიფარა, თავი ჩაქინდრა და გზას დაადგა.

კაცი გამოჰყვა და გაუბედავად დაუძახა:

— დედაკაციო!  
დედაკაცი არ გაჩერებულა.

კაცმა ფეხს აუჩქარა, დედაკაცს მოსდევდა და ეძახდა:

— დედაკაციო! სადაც არ უნდა წახვიდე არა?... ხო... სადაც არ უნდა წახვიდე, იცოდე, მე მაინც არაფერ შუაში ვარ. ვინ მოგატყუა? ვინ გითხრა, ის კაცი მოძებნე და ყველაფერი ეცოლინებაო! მე რა უნდა ვიცოდე? მე ვინა ვარ? მე ვინ ვიყავი? იცოდე, დედაკაციო, ბოლოს მაინც მოხვალ და მეტყვი, შენ არაფერ შუაში ხარო! აი, ხალხია მოწმე... მოხვალ და მეტყვი... თუ დედაკაცი ხარ, მოხვალ...

დედაკაცს ხმა არ გაუცია.

კაცი გაჩერდა. იღვა და დიდხანს უც

თამაზ ბიბილური  
ჩივილი

ქერდა, როგორ მიაფრატუნებდა წვეტიან ქალამნებს დახეთქილ შარაზე გასული დედაკაცი. წელში მოღუნული, ჯიხს აყოლილი...

— ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, კარგი შეუბოვარი დედაკაცი შენა ყოფილხარო, — გაიფიქრა კაცმა. მერე მობრუნდა, უსინათლოს სახრე მიაწოდა, თვითონ კამეჩებს გადასძახა და გზას დაადგა.

კაცი ჩქარობდა.

თითქოს ყველაფერი არა თქმულიყო, თითქოს რაღაცა კიდევ დარჩენილიყო.

იმ დედაკაცის ეგრე გაშვება არ იქნებოდა.

მაშინ თვითონ კაციც უნდა გამოსულიყო შარაზე, ეს დედაკაცი მოექებნა და მაინც ეთქვა ის, რისი თქმაც ველარ მოასწრო.

რა ჰქონდა კიდევ სათქმელი, კაცმა თვითონაც არ იცოდა.

მარტო ის იცოდა, რომ შორს, გზის ბოლოში, იმ დედაკაცს უნდა დასწოდა, ახლა პატარა, მოფარფატე შავი ყვავივით რომ მოჩანდა.

— რა გეჩქარება, მამი! — იკითხა უსინათლომ.

— იმ დედაკაცს უნდა დავეწიოთ, — თქვა კაცმა.

ურემი მიიჩქაროდა და დედაკაციც უფრო და უფრო ახლოვდებოდა. პატარა, შავად მოფარფატე წერტილი ფორმას იძენდა. და როცა დედაკაცს თავზე წამოადგნენ, დედაკაცმა მოიხედა, მოტრიალდა და ურემს წინ გაუჩერდა.

— დაჯემ, დედაკაცო! — გაუბედავად თქვა კაცმა.

დედაკაცი სიტყვის უთქმელად ავიდა ურემზე.

ისინი მიდიოდნენ მტვრიან შარაზე. ურემი მძიმე იყო და კამეჩები ნელა მიიზღაზნებოდნენ. ცხელოდა. დამშრალ ხეებში წყალი არ მოდიოდა. გზის აქეთ-იქით ჩაირიგებულ მაყვლებს მტვერი დასდებოდათ. მაყვლებს იქით მანდვრებში აქა-იქ ჰყვოდნენ მხესუმზირები. მინდვრის თავზე ჩიტბატონები მიფრია-

ნავდნენ. ტელეგრაფის მაგთულეებზე ყვავები ისხდნენ. ურემის კოჭოზე შემომჯდარი ბიჭი და დედაკაცი თავიანთ ფიქრში დაუურსულიყვნენ და ერთმანეთს არაფერს ეუბნებოდნენ. კაცი ქვეითად მიუძღოდა ურემს და უკან აღარ იხედებოდა. ურემი თითქოს წუთისმოფლის გრძელ გზას მიჰყვებოდა და არავინ იცოდა იმ სოფლის იქით კიდევ რომელი სოფელი გამოჩნდებოდა. ან დასასრული სად ექნებოდა ამ გრძელ და ბებრის ხელებივით დაშაშრულ გზას. ან თუ მიდიოდა, სად მიდიოდა ურემი. ან რამ შეყარა ეს სამინი, მაინცდამაინც ამ ურემზე, მაინცდამაინც ერთად და სოფელ-სოფელ ჩამოატარა, როგორც ბუდიდან აყრილა და ორ ბორბალზე შემდგარი ერთბეწო ოჯახი. სოფლიდან სოფლამდე ვენახები და ყანები გადაშლილიყო. სოფლიდან სოფლამდე ჩამოჩუმი არ ისმოდა. მარტო შაშვები ჭახ-ჭახებდნენ და მწყერები უხმობდნენ ერთმანეთს.

— აღარ გამოჩნდა სოფელი, მამი? — ხმამაღლა კითხულობდა უსინათლო.

— გამოჩნდება! — არცკი მოტრიალებოდა, ისე პასუხობდა კაცი.

და როცა სოფელი მართლა გამოჩნდებოდა, კაცი შორიდანვე იწყებდა ყვირილს:

— ჭურჭელი! ჭურჭელი!

— კარგი ჭურჭელი! — იძახდა უსინათლოც.

— აბა, ჭურჭელი, ჭურჭელი! — იძახდა დედაკაციც და აქეთ-იქით იყურებოდა.

მერე სამივენი ჩუმდებოდნენ. მერე სამივენი ისევ იწყებდნენ ძახილს და იმ სამ ხმაში ყველაზე უფრო დედაკაცის ხმა ირჩეოდა. დედაკაცის ხმა რეკდა, როგორც სოფლის დანგრეული საყდრის გაბზარული ზარი. ეს საყდარი თითქოს ერთ პატარა, შიშველ მომადლოზე, განმარტოებით იდგა. გარშემო სოფელი აღარ იყო და მიტოვებული საყდრის ზარს ქარი რეკდა.



მერე დალამდა. მაგრამ ურემი მაინც გზას განაგრძობდა.

შუალამისას, ერთ სოფელს რომ კარგად გასცდნენ, გზამ გეზი იცვალა და რკინიგზის პატარა ბაქანს მიადგა. ბაქანზე არავინ იყო. ფარღალალა ფარღულში მარტო ჭრიჭინები ჭრიჭინებდნენ. ლიანდაგთან კამეჩები შედგნენ და ვიღრე კაცი შეუძახებდათ, დედაკაცი ურმიდან ჩამოვიდა.

— მე აქ დავრჩები, — თქვა დედაკაცმა.

— აქ რა დავარჩენს, დედაკაცი? — უთხრა კაცმა.

— წავალ! — თქვა დედაკაცმა.

— მაინც სად მიხვალ, საით გავიწვევია?

— გზა დიდია...

— აქ მატარებელი არ გაჩერდება.

— ნუ გაჩერდება...

— რა ვიცი, აბა, შენი ნებაა ღმერთმა მშვიდობით გატაროს.

— კარგად იყავი, დედი! — დაიძახა უსინათლომ.

— ღმერთმა სიკეთე მოგცეთ!

კაცმა კამეჩებს სახრე გადაჰკრა. ურემმა რკინიგზა გადაიარა. ცოტა ხნის მერე სიბნელეში გაეხვია და ახლა დედაკაცს მარტო ურემის ჭრილია ესმოდა. მერე კაცმა და დედაკაცმა ერთმანეთს ძახილი დაუწყეს. და ეგრე, ურემის ჭრილში, სანამ რამეს გააგონებდნენ, წამსვლელი და დამრჩომი ერთმანეთს ეძახდა...

— ნუ გეშინია, დედაკაცი!

— არ მეშინიან, არა!

— გათენებისას ჩამაივლის მატარებელი!

— ხოდა, მეც წავალ!

— წადი! ღმერთმა სიკეთე მოგცეს!

— ყველა საღდაც მიდის და იქნებ მეც რამე გავიგო!

— შინ წადი, დედაკაცი, ოჯახს მიხედე, ოჯახსა!

— შინ რაო ვითომ?

ბოლოს კი, როცა ურემი ვენახებს გასცდა და მინდორზე გავიდა, დედა-

კაცს შორიდან, თითქოს საღდაც ქვესწელიდან მოესმა კაცის ხმა:

— დედაკაცი!

— რა იყო?

— შვილი არ დამიწყევლო, იცოდე! დედაკაცმა ტირილი დაიწყო.

— იცოდე, ჩემი ბრალი არ არი! — ყრუდ ისმოდა კაცის ხმა.

— ვიცი! — თავისთვის თქვა დედაკაცმა.

კაცს აღარაფერი გაუგია.

ბაქანზე არავინ იყო. დედაკაცმა ისიც არ იცოდა, რა ღროს ჩამოივლიდა მატარებელი; ან რომელ მატარებელს გაჰყვებოდა, აღმა მიმავალს თუ დაღმას. დედაკაცმა არც ის იცოდა, ვინ ეგულეზოდა იმ გზის ბოლოში, ვისთან გარბოდა, ვის ნახავდა. ან თუ ნახავდა, რას ეტყოდა. გზა გრძელი იყო. და ფიქრშიც კი არ უჩანდა თავი და ბოლო. დედაკაცს შეეძლო ფეხთაყ დასდგომოდა ამ გრძელ გზას. მაგრამ ფეხით გავლა ამ გზისა აღარ ინდობა. დედაკაცს მატარებელი ჭირებოდა. დედაკაცი შორს მიდიოდა. შორს კი მხოლოდ მატარებლით მიდიოდნენ. მატარებელმა წაიყვანა დედაკაცის ბიჭი და ახლა თვითონაც მატარებელს უნდა გაჰყოლოდა. რა ღრო გავიდა მას მერეო? დრო რა სათქმელია? დრო რას მიქვიან? ყველაფერი გუშინ მოხდა! ყველაფერი გუშინ იყო! გუშინ ამოვიდა ეს კაცი, გუშინ წაიყვანა ბიჭი და ისიც დაიბარა, შემოღვომამდე გამოგიგზავნითო. ყველანი ერთად წავიდნენ. ყველანი მატარებელს გაჰყვნენ... რამდენი შემოღვომა გავიდაო? მაინც რამდენიო? ხო! მერე ანჯიქო ამოვიდა და იმან გაახსენა, მას მერე ბევრი შემოღვომა გავიდაო, თორემ დედაკაცმა არც სათვალავი იცოდა და არც უნდოდა ამისი ცოდნა. რაზე ამოდიოდა ანჯიქო? რა უნდოდა? რა დარჩენოდა იმ თავის ნასოფლარში? გზა დავკარგეო... იმიტომ დაკარგა გზა, რომ

თავაჯ ზიზილუკი  
ჩივილი

შუალამისას მშვიერი მგელივით მოსდგო-  
მონდა კარზე და ეთქვა, განა მართლა  
გუშინ იყო, განა მართლა გუშინ წაიყვა-  
ნეს ბიჭი, მას მერე ბარე ოცქერ ჩამო-  
ყარა თოვლმა და ბარე ოცქერ მოვიდა  
გაზაფხულიო. დედაკაცმა არ იცის,  
რამდენჯერ გაზაფხულდა. მარტო ის  
იცის, რომ დრო სიზმარით გავიდა,  
ერთი დიდი სიზმარით და ბიჭის მო-  
ლოდინს კი ვერაფერი დააკლო. დედა-  
კაცმა მარტო ის იცის, რომ იყო მიწა,  
იყო ხნული, და ამ ხნულზე, ცისქვეშეთ-  
ში ჭეჯილივით ამოიწვერა მათი პატარა  
ოჯახი. მერე ეს ჭეჯილი მოლონიერდა,  
მუხლი გაიმაგრა, დათავთავდა და არა-  
ფერი უნდოდა, გარდა იმავ ხნულისა,  
მზის თვალისა და ცის ნამისა. ასე და-  
თავთავდა ოჯახი...

ქვეყანა შორს იყო და ამ პატარა  
ოჯახს იქამდე ხელი არ მრუწვდებოდა.  
მარტო ათასში ერთხელ, თუ სახლის  
კართან უცხო მგზავრი ჩაივლიდა, ოჯა-  
ხი გზაზედ მშვიერს არ გაუშვებდა, გათ-  
ჯობდა და დანაყრებდა. პური ყველას  
ყოფნიდა. მერე ერთ ზაფხულის დღეს  
მოვიდა კაცი და ბიჭი წაიყვანა. აქამდე  
დედაკაცს ეგონა, რომ ოჯახი მათი იყო.  
მარტო ცას შეეძლო გამოეგზავნა ქუ-  
ხილი, ღრუბლებს — წვიმა, მზეს — სით-  
ბო. მარტო ისინი იყვნენ თავს ზემოთ.  
ბიჭი წაიყვანეს და აღარ დაუბრუნეს...  
ვილაც კაცმა დაუკითხავად გადმოყო მათ  
ეზოში გოლიათის ხელი, ბიჭი აიყვანა  
და წაიყვანა. ის კაცი ძლიერი იყო და  
მოურიდებელი. ამის გაფიქრებაზე დე-  
დაკაცს შეეშინდა. ტყიურად გაზრდილს  
და ნაცხოვრებს შიში სძულდა. ვერც  
იმას მოითმენდა, თუ ვინმე მოტყუე-  
ბას დაუბრებდა. სადაც დედაკაცი ცხო-  
ვრობდა, გარშემო ერთმანეთს არავინ  
ატყუებდა. სწორედ დაბარებულზე იძახ-  
დნენ გუგულები „კაფე-თესეს“. სწო-  
რედ დაბარებულზე მოდიოდნენ მერ-  
ცხლები და ბუდეს აშენებდნენ. გაზაფ-  
ხული დადგებოდა და იღვიძებდნენ  
ტყეები. ხბოს მოიგებდა ძროხა. გავი-  
დოდა ფური საბალახოდ და საღამოს

უთუოდ დაბრუნდებოდა. წამოვიდოდა  
ტყიდან ცხენი და თავის სახლს შეუმც-  
დარად მოადგებოდა. ხნულში გადადუ-  
ბული თესლი ერთ კვირასი ატყილებ-  
ლად გალივდებოდა. ასე იყო თაობათვე...  
იმ უცხო კაცმა მოატყუა, რომ დაპირ-  
და, შემოდგომაზე დაგიბრუნებთ შვილ-  
სო და აღარ დაუბრუნა. მაშინ დედა-  
კაცი განრისხდა. ტყუილმა განარისხა!  
აღვა, ხელში ჯოხი აიღო და გზას და-  
აღვა. გზაზე იპოვა ის უცხო კაცი. მაგ-  
რამ ის კაცი არაფერ შეაშინა ყოფილა  
თურმე...

ახლა დედაკაცი რკინიგზის ყრუ ბა-  
ქანზე დგას. გარშემო უმთვარო ღამეა.  
სოფელი შორს არი.

— გამარჯობა! — ამბობს ვილაცა და  
სიბნელეში დედაკაცის წინ აილანდება.

— ვინა ხარ! — კითხულობს დედა-  
კაცი.

— მგზავრი ვარ.

მერე შორიდან მატარებლის ხმაური  
ისმის. ხმაური ნელ-ნელა ახლოვდება.  
ეს ხმაური დედაკაცს აფრთხობს, არ  
იცის, სად წაიყვანს ეს მატარებელი,  
ღრიალით რომ ახლოვდება. იმ წუთში  
დედაკაცი უმწეო ხდება და მაშინვე  
გაახსენდება ის ვილაც მგზავრი, წელან  
რომ ცხვირწინ აელანდა, წელან რომ  
უთხრა „გამარჯობა“.

— ჰეი! რომელი ხარ? — იძახის დე-  
დაკაცი.

მატარებელი უფრო ახლოვდება და  
ხმაურიც უფრო მატულობს.

— არ გესმის, რომელი ხარ-მეთქი!  
მაგრამ გარშემო აღარავინ არი.

— არ გესმის-მეთქი, კაცო!

მაგრამ პასუხს არავინ იძლევა.

— დაგაყრუოს მამაზეტიერმა! —  
იძახის დედაკაცი და ამ ხმას უკვე ბორ-  
ბლების ხმაური ფარავს.

მატარებელი ჩერდება. ვაგონის კარი  
იღება და დედაკაცს ეჩვენება, რომ ისევ  
იმ ვილაც თვალთუხილავმა გოლიათმა  
გალებული კარიდან უზარმაზარი ხელი  
გადმოყო, დედაკაცი აიტაცა და შიგნით  
შეათრია. დედაკაცი დაპატარავდა. თვა-

ლები უმწეოდ დახუჭა და იმ მძლავრ ხელს დანებდა. უცებ ვაგონის მკრთალ სინათლეში გაახილა თვალი.

ტამბურში გოგო-ბიჭი ერთმანეთს კოცნიდა. დედაკაცმა გვერდზე გაიხედა და კარი მორიდებით გამოაღო. იქვე, კართან ხურჭინიანი კაცი გაბოტილიყო, ქვემოთ კალათებიანი დედაბერი მოკუნტულიყო. „გამარჯობათო“, ჩუმად თქვა დედაკაცმა. ხურჭინიანმა კაცმა ხმა არ ვასცა. დედაბერმა მარტო თავი დაუქნია. დედაკაცმა მიიხედ-მოიხედა, ჩამოსაჯდომი ვერსად ნახა და გზა განაგრძო. მეორე კუბეში მღვდელი იჯდა. დედაკაცმა პირველი გადაიწერა. მღვდელმა თავი დაუქნია. დედაკაცი იდგა და მღვდელს უცქერდა. რამდენი ხანი გასულიყო, მღვდელი აღარ ენახა, ეხლა თვალს არ ამორებდა, თითქოს ამდენ უცხო ხალხში ვილაც სანდო და დიდი ხნის ნაცნობი ნახა. მაგრამ მღვდელს დედაკაცისთვის აღარ შეუხედავს, იჯდა თავისთვის, გაშეშებული და ერთ წერტილს მისჩერებოდა. მღვდლის იქით ახლაგაზრდა კაცები ღვინოს სვამდნენ, ხმამაღლა ლაპარაკობდნენ, ვილაცას ქირდავდნენ და ერთმანეთს უღალატობას ეფიცებოდნენ. აქეთ ვილაც გალუული, სევდიანი გოგო იჯდა. ისიც მღვდელს არ ამორებდა თვალს, მერე დედაკაცისკენ გამოიხედა და რაკი დედაკაციც მღვდელს უცქერდა, ახლა დედაკაცს უყურებდა გოგო. დედაკაცმა ვერც აქ ნახა ჩამოსაჯდომი და ახლა მეზობელ კუბეში გაიხედა. იქ ვილაც გოგო-ბიჭები ხმამაღლა ხორხოცებდნენ. ის ორნიც ამათები იქნებიან, კარებში რომ ეხვეოდნენ ერთმანეთსო, გაიფიქრა დედაკაცმა და ის იყო იქით დააპირა წასვლა, რომ ზურგსუკან მოესმა: „ერთი ჭიქა დაგვილიე, დედი!“ და მოქიფემ ჭიქა მიაწოდა. დედაკაცმა ზურგი შეაქცია. „რა გეწუინა, დედი, ღვინოა, წყალი ხო არა. აქ ვისაც უყურებ, ყველას ვათქმევინეთ თითო სადღეგრძელო, შენც უნდა გვითხრა“... დედაკაცმა ხმა არ ვასცა. მოქიფეები უფრო განხიარულ-

დნენ და სმა განაგრძეს. დედაკაცმა ვერ მოისვენა და სხვა კარი გამოაღო. იქით ვილაც ოთხი კაცი ცხადედ კამათობდა. დედაკაცი დადგა და ყური დაუგდო. ნათქვამისა ვერც თავი გაიგო და ვერც ბოლო. გაბედა, მიიხედ-მოიხედა და იქვე მორიდებით ჩამოჯდა. მოკამათებს არც მოუხედავთ, თავიანთი საქმე განაგრძეს და დედაკაცმა სული მოითქვა. მოპირდაპირე მხრიდან ერთი შალ-მოსხვეული ქალი გადმოიხარა, დედაკაცს კარგა ხანს უცქერა, ბოლოს გაბედა და ჰკითხა:

— სადაური ხარ?

დედაკაცმა არაფერი უთხრა.

— ქალაქში მიდიხარ? — ისევ იკითხა ქალმა.

— მე რა ვიცი, — თქვა დედაკაცმა.

ქალი გაჩუმდა. იჯდა და დედაკაცს თვალს აღარ ამორებდა. ახლა კაცებმაც მოიხედეს, მაგრამ არაფერი თქვეს. მეზობლად გოგო-ბიჭები ისევ ხარხარებდნენ და ის მოქიფეებიც ახალ სადღეგრძელოს ამბობდნენ. გოგო-ბიჭებმა უცებ გიტარა გამოაძვრინეს და სიმღერა დაიწყეს. ცუდად არა მღეროდნენ. დედაკაცი იჯდა და უსმენდა. კარგი ექენი, აქ რომ დაჯექიო, გაიფიქრა და გოგო-ბიჭებისკენ მიბრუნდა. ამღერებული გოგო-ბიჭები მოეწონა და მარტო იმათა უყურებდა. დედაკაცის ცხვირწინ მჯდარმა შალიანმა ქალმა ისევ გადმოიწია და ისევ დაიხურჩულა:

— სადაური ხარ?

— რა უნდა, რას გადამეკიდაო, — გაიფიქრა დედაკაცმა.

— მთიდანა ჩანხარ, — თქვა ქალმა.

— ხო, მთიდანა ვარ, — უთხრა დედაკაცმა.

— განა არა, ეხლა ქალამნებ ვილა იცმევს, — თქვა ქალმა.

— აღარა?

— აღარც პაჭიკებსა...

— აღარც პაჭიკებსა?

თამაზ ზივილური  
ჩივილი

— ქალაქში მიდიხარ? — ისევე იკითხა ქალმა.

— შვილის საძებნელად მივდივარ.

— გაიქცა? — თქვა ქალმა, — ახლანდელგზობი...

— გაიქცა კი არა, წაიყვანეს...

— ვინ წაიყვანა?

— მე რა ვიცი, ვიღაცა კაცი ამოვიღა და ომში წაიყვანა.

ქალი გაშტერდა.

იჭდა ქალი და დედაკაცს თვალს არ ამორებდა. მერე ხმამაღლა თქვა:

— ომი რახანია გათავდა, დედაკაციო!

ქალმა ხალხს გადახედა, აბა, ყურს გვივლებენ თუ არაო. იქით ვიღაცა წამოიღდა, აქედან ვიღაცამ გამოიხედა. ხალხმა ყური ცქვიტა.

— ომში წაიყვანაო... — ხმამაღლა ამბობდა ქალი და ხალხს უყურებდა, აბა ვინ რას იტყვისო.

გოგო-ბიჭებმა ერთმანეთი გააჩუმეს. ის მოქეიფე, წელიან რომ დედაკაცს ჭიქა მიაწოდა, ადგა და აქეთ გადმოიქცა.

— ეხლა სად მიდიხარ, დედი? — იკითხა მოქეიფემ.

— არ ვიცი, სად მივდივარ... — თქვა დედაკაცმა.

— მაშ ეგრე, არ იცი და მიდიხარ?

— ხო, მივდივარ! რა შენი საქმეა...

— გაწყრა დედაკაცი.

ხალხი ხმას არ იღებდა.

— მოდი, ამ ჭიქით, ამ ჩვენს დედის გულმარჯოს, — თქვა მოქეიფემ და ჭიქა გაავსო.

დედაკაცმა ხმა არ გასცა.

კაცმა ღვინო დალია, სხვებსაც დაალევინა და დედაკაცთან გადმოიქცა.

გარშემო სხვებიც შემოეხევივნენ და დედაკაცი შუაში მოიქციეს.

დედაკაცს შეეშინდა და მოიკუნტა.

— მაინც სად გაგიწევია, დედი, აღარ იტყვი? — არ ეშვებოდა ის მთვრალი.

— შვილი წაიყვანეს და აღარ დაბრუნდა.

— ვინ წაიყვანა, დედი, ღმერთი ხო არ წაიყვანდა?

— რა ვიცი, წაიყვანეს კი და... იქნებ ღმერთიც იყო...

— მერე ეხლა ღმერთთან მიდიხარ? — გამხიარულდა მთვრალი.

ახლა გოგო-ბიჭებიც წამოიღდნენ და ხალხს მოაწყვდნენ.

მოკამათებმაც დედაკაცისკენ გამოიწიეს.

მღვდელი ფეხს არ იცვლიდა და თავისთვის იჭდა.

— შენ მაინც რამე უთხარი, მამაო, — უფრო გამხიარულდა მთვრალი, — მატარებელში ჩამჯდარა და ღმერთთან მიდის...

— ხო, ღმერთთან მივდივარ, მერე რაო? — წამოიღდა დედაკაცი.

— საჩივლელად მიდიხარ?

— საჩივლელად მივდივარ!

— ვის უნდა უჩივლო, დედი? ის კი არადა, ღმერთიც მოკვდა. შენ ამ მღვდელმა არ მოგატყუოს... სადღაა ღმერთი? სუყველანი უღმერთოები ვართ... — ვადიხარხარა მთვრალმა.

— რა გაცინებს? — გაუკვირდა დედაკაცს.

— რა მაცინებსო? ის მაცინებს, რომ ისიც არ ვიცი, მართლა მოკვდა ღმერთი თუ ისევე ცოცხალია. აი ეს მღვდელი რომ ხმას არ იღებს, არც მავან იცის.

— მემრე? როდის ვეკითხები?

— მე ვეკითხები! — დაიძახა მთვრალმა, — თუ მართლა მოკვდა, თავისით მოკვდა თუ ვინმე დაეხმარა... თუ ცოცხალია, სად არი, რომელი გზა მიდის იმასთან, რომელი მატარებელი... აბა ერთი ჭიქა დამილიე... ყველაფერს ვარგად მიხედები. შენ კი აგიღვრია თავი და ღმერთთან მივდივარო! აბა როგორ არ გავიცინოთ? სიცილის მეტი რა დაგვრჩენია, როცა აღამიანი ღმერთთან მიდის და ისიც არ იცის, რომელს მატარებელით წავიდეს...

დედაკაცი ისევე დაჭდა და მთვრალს ზურგი შეაქცია:

მთვრალიც გაჩუმდა.

ამდენ ხალხში მომწყვდეული დედაკაცი უფრო დაპატარავდა.

ვაგონი სადღაც მიბარბაცებდა.

„ომი რახანია გათავდა!“ „მომსვლელი ჰქამდე მოვიდოდა!“... ეს სიტყვები უთ-

ხრა ანჯიქომ და ეს მთვრალი კაციც. მთასავით რომ წამომდგარიყო, ოფლში გლვარულიყო და სახეზე ღიმილი გადაჰფენოდა. ანჯიქოს ჰგავდა. მას ანჯიქო მართალი ყოფილა! მას ქვეყნიერებას ანჯიქოს სიტყვები გაუზუპირებია და ახლა დედაკაცს პირში ახლის მოურიდებლად! ქვეყანა დიდია და ეს მატარებელიც ქვეყნიერებას სერავს. მას რაღა დარჩენია დედაკაცს ამ რახრახით დაძრულ ხალხით სავეს მატარებელში? ვისა აქვს ამდენ ხალხში იმისი ჭაერი? ან ის დიდი ქალაქი, დედაკაცს რომ თვალითაც არ უნახავს, ამ ხალხით არ იქნება სავსე? და ძალიანაც რომ აუტორედეს გული, რას გააწყობს ეს ხალხი? ვის მოძებნის? ვის დააბრუნებს? ვის გააცოცხლებს? ან იქნებ ბიჭმა უკვე გაიგო, რომ აი, ამდენი წლის მერე, სულ დაცარიელდა ჯიდაურების სახლ-კარი, მამა ცხენის საძებნელად წავიდა, დედა იმ კაცის საძებნელად, ვინც ბიჭი წაიყვანა და სახლი ურდულით გამოიკეტა. იქნებ მართლა გაიგო, იქნებ გულმა უგრძნო (ღმერთი ხომ მართლა არ მომკვდარა და ყველაფერს საკუთარი თვალითა ხედავს) და უკვე დაბრუნდა. იქნებ ეხლა ბანზე ზის და ელოდება, როდის გამოჩნდებიანო. არ უნდა წამოსულიყო დედაკაცი იმ ეზო-კარიდან, არ უნდა დასდგომოდა ამ ჯოჯოხეთის გზას! აკი ქმარმა უთხრა, არსად წახვიდე, ფეხი არ მოიკვალოო. როდის იყო, რომ ქმრის სიტყვას გადავიდა. მარტო ეხლა. მარტო ერთხელ და ეხლაც სანანურად გაუხდა. ხო, ბიჭი ზის ბანზე და უკვირს კიდევ, ვინ ჯიდაურები და ეგრე დედაბუდიანად გაკრეფაო. აკი თქვეს, სანამ არ ჩამოხეალ, აქ მოვიციდით, აქედან ფეხის მომკვლელები არა ვართო. დგას ბიჭი ბანზე და ბებერი თოთიას გამძახის: „თოთიავ, გამახიდე, შენ მაინც გეცოდინება, სად გაიკრიფნენ ჩვენებიაო!“ მაგრამ თოთიას არაფერი ესმის. თოთიას ფარღალა სახლში ხმას არავინ იღებს. თოთია რახანია მოკვდა!

— ეს ანჯიქო საიდანღა გამოტყვრა? — ჭაერობს დედაკაცი.

გოგო-ბიჭები ისევ გიტარას მისწვდებიან და სიმღერას იწყებენ. ანჯიქო მხალა იმ გოგო-ბიჭებს ადღეგომელვს. დედაკაცი უკვე დაავიწყდა. იქაქანა, იმხიარულა და დაავიწყდა. თვალმც დაუდგება!.. მღვდელიც ზის ეს დალოცვილი და ხმას არ იღებს. თითქოს ამას არაფერი ეკითხებოდეს. ერთი სიტყვა მაინცა თქვას... არაფერსაც არ ამბობს...

— აქეთ დაჯექი, ბებო, ფეხზე ნუ დგეხარ, ეს მატარებელი წავაქცევს, — ჩურჩულებს პატარა გოგო და დედაკაცს კალთაზე ეჭიდება.

დედაკაცი ჯდება. ფიქრობს. ფიქრობს. ფიქრობს. და უცებ მიაგნებს ქვეშარიტებას: დედაკაცს აქამდე ჰგონებია, რომ მთელი ქვეყნიერება, მთელი ცისქვეშეთი მარტო ჭაერიანი ვულით ბორგავდა და პასუხს ითხოვდა. ქვეყნიერება კი დაარხინებულყოფილ, დახუნძლულიყო ამ აგორებულ მატარებელში და სადღაც მიდიოდა. ქვეყნიერება თითქოს აღარაფერს ნაღვლობდა. ამის გაფიქრებაზე დედაკაცი გაბოროტდა. დედაკაცმა არ იცოდა, რომ ქვეყნიერებას თავისი ჭაერი უკვე მოუნელებინა, ტკივილები უკვე მიუყრებოდა და ახლა, როცა კარგა ბლომა წლებს ჩაველო, ცუდის გახსენებას შიშით გაურბოდა. უკვე მიუყრებული ტკივილის განახლება აღარავის უნდოდა. დედაკაცში კი ეს ტკივილი არამცთუ არ მიუყრებულიყო, ახლა იზრდებოდა მთიდან წამოსული ზვავით და ბარისკენ მიჰქროდა. იმედის გაქრობასთან ერთად ზვავი უფრო და უფრო იზრდებოდა. უიმედობის აჩრდილი გამოდიოდა ტყიდან და მშვიდად ამბობდა: „ბებერი თოთია რახანია მოკვდა!“

და ახლა დედაკაცს ქვეყნიერებაზე აღარაფერი უნდოდა. ყველაფერი დასრულდა. დედაკაცს მოერია ძილისმომგვრელი, მომთენთავი თვლემა იმ სიცარიელისა, ყველაფერის დასასრულს რომ მოჰყვება ხოლმე. დამთავრდა წუთისო-

თავაზ ზიზილუში  
ხიზილი

ფლის მოკლე დღე, მზე ჩავიდა და თვალმილულულ, დაქანცულ დედაკაცს მშვიდი ადვილი უნდოდა დალილი ძვლების მოსასვენებლად.

მატარებელი მღეროდა. მატარებელი ღვინოს სვამდა და სადღეგრძელოებს ამბობდა. მატარებელი ხარხარებდა.

ეს უღარდელი მხიარულება დედაკაცს უღროო დროს, წარაფში გამოვარდნილი ტყუირივით შემოეფეთა და დედაკაცი ცახცახმა აიტანა. ამ დაბინდული შუქით განათებულ ვაგონში ჯერ თითქოს თვალში ნაცარი შეაყარეს და ნაცარმა წამით დაუბნელა თვალი, დაუბინდა გონება, მერე თვალი ვაახილა, ბინდი გადაიყარა და დედაკაცს ღიმილი მოერია. მთაში მომწყვედელი ჯილაურების ერთბეწო სახლ-კარაი მთელი ქვეყნიერება ყოფილა. უბედურება, მარტო თავისი რომ ეგონა, სხვების წილსვედრიც გამოდგა. ოღონდ სხვებს ადრე გაუგიათ და ადრე დაუჯერებიათ. დედაკაცს კი ამისი არც ვაგონება სდომებია და არც დაჯერება. ესლა უკვე დაიჭურა და შერცხვა. უცებ ცხადდ დაიანახა უაზრობა გზაზე გამოსვლისა. სოფელ-სოფელ კარდაკარ სიარულისა და კითხვა-კითხვისა, საკუთარ ტყვიულზე საქვეყნოდ ლაპარაკისა.

— ღმერთო, მაპატიე! — დაიხურჩულა და მღვდელს გადახედა.

მღვდელი თავისთვის იჭრა.

სამყარო უცებ ვაიზარდა. ჯილაურების პატარა ეზოს ღობე მოშალა.

დედაკაცს თითქოს შესცივდა. თითქოს ვიღაცამ ტამბურის კარი გააღო და გარედან შემოდგომის ცივი ქარი შემოიქრა.

დედაკაცს გააქროლა.

— ნუ გეშინია, ბებო... — დაიხურჩულა პატარა გოგომ.

— არ მეშინია, — თქვა დედაკაცმა და წამოდგა.

ყველაფერი დასრულდა. დედაკაცი ეხლავე, ამ წუთში ისევ იქ უნდა წავივიდეს, საიდანაც წამოვიდა, სადაც ამდენი ხანი იცხოვრა და სადაც ღვთის განგებით სიკვდილს უნდა შეხვედროდა.

უცებ დედაკაცს თვალწინ დაუდგა ყველაზე მართალი და ყველაზე ნამდვილი, რაც კი ამ ქვეყანაზე კიდევ გააჩნდა: დედაკაცს მოენატრა სწავლათაო ქმარი. ამ წუთში მხოლოდ იმას, იმ კაცს შეეძლო დედაკაცის სულის გათბობა, როგორც ათბობდა, ვინ იცის, როდინდლიდან და დედაკაცი მაშინ ამას კარგად ვერც კი ხვდებოდა. ახლა უკვე ყველაფერი გასაგებია, ყველაფერი ნათელი... ამის გაფიქრება იყო და დედაკაცი უცებ წამოდგა.

— გაჩერეთ მატარებელი!

ხალხი წამოიშალა.

ყაყანი მიწყდა.

გოგო-ბიჭებმა სიმღერა შეწყვიტეს.

სიჩუმე ჩამოდგა და ამ სიჩუმეში მართო მატარებლის რახრახილა ისმოდა.

— გააჩერეთ, ხალხი არა ხართ? გააჩერეთ!

გარეთ ღამეა და ისევ მიპქრის მატარებელი ბნელში, როგორც ეს დედამიწა უსასრულო სამყაროში. აქ ჩასვლა არ შეიძლება! აქ ვერავინ ჩავალთ, სანამ ყველანი ჩვენ-ჩვენს სადგურს არ მივადგებით. გვინდა თუ არ გვინდა, გაჩერების უნდა დაგუცადოთ... შენ კი ვინა ხარ, რომ მატარებლის გაჩერებას თხოულობ? განა რა მოხდა ისეთი? შვილი ვის აღარ დაუქარგავს? მილიონები დაიხოცნენ! მილიონები დაწვეს, აწამეს, გაგულდეს... შენ კი მომდგარხარ და ერთ შვილს მისტირა... ქვეყნიერების ბედზე აღარა ფიქრობ! დაჯექი ემანდ შენთვის და ხალხს მოსვენებას ნუ უფრთხობ! ამ გოგო-ბიჭებს სიმღერა უნდა. იმ კაცს სადღეგრძელო აქვს მოსათავებელი. ხალხი ისმენს, ერთობა... ხალხს სადღაც ეჩქარება.. ხალხს ცხოვრება უნდა! ჩქარა, ჩქარა უნდა მოშორდეს ამ გაფიქრებულ მატარებელს! იცოდეს მიანიც, სად მიდის ეს მატარებელი, რისთვის მიდის და რისთვის მიპყავს ეს ამოდენა ხალხი... გააჩერეთ და დედაკაცმა მერე თვითონ იცის... ჩავა სადმე მიყრუებულ მინდორზე და მერე ისევ უკან გამობრუნდება. ისევ იმ მტკიანი შარას დაადგება, რკინიგზას რომ



გვერდივერდ მიჰყვება და წამოეწევა, მამ რა იქნება, სადმე მაინც წამოეწევა იმ მეჭურჭლის ურემს, იმ უსინათლო ბიჭს, თვალი რომ სადღაც მიუშტერებია და ხელები კი უაზროდ გამოუწვდია. წამოეწევა და დაუძახებს: მოიხედეთ, ერთი წუთით მოიხედეთ, კარგად დამიგდეთ ყურით... მეჭურჭლე ურემს გააჩერებს. დედაკაცი მივა, ურმის წინ დადგება და ორივეს ერთად, მეჭურჭლესაც და იმის უსინათლო ბიჭსაც, ეტყვის: მაპატიეთ... მაპატიეთ... მეჭურჭლე გააოცებს. მაგრამ დედაკაცი მეტს აღარაფერს იტყვის. აღარავის აღარაფერს ეტყვის, აღარავის შესჩივლებს — არც შინაურს და არც გარეულს. რადგან უკვე ყველაფერი დასრულდა. დასასრულის მერე კი აღარავინ აღარ ლაპარაკობს.

როგორც კი ეს მოხდება, დედაკაცი მთაში წავა, სადაც ქმარი ელოდება. და სადაც ოდესმე ბიჭს უნდა შეხვდეს...

მაგრამ ეს მატარებელი მიჰქრის და გაჩერებას აღარ აპირებს.

— გამიჩერთ! არ გეყურებთ, ხალხნო?

— რა გინდა, დედი? — კითხულობს ის მთვრალი კაცი და დედაკაცს ბარბაცით უახლოვდება.

— თავი დამანებე! — ყვირის დედაკაცი და მღვდლისკენ მიიწევის.

მღვდელთან მივა და მუხლებში ჩაუვარდება.

— გააჩერე, მამაო, შენ მაინც გააჩერე!

— მოითმინე, ცოტაც მოითმინე, — ამწვიდებს მღვდელი.

მაგრამ მოითმინება აღარ შეიძლება!

— გამიჩერთ! — ყვირის დედაკაცი.

— გაგიჩერო? — მწვიდად ამბობს მთვრალი კაცი, — ამ წუთში დედი, მაგაზე ადვილი რა არი?

კაცი სამუხრუჭე სახელურისკენ მიბარბაცებს.

დედაკაცი კარისკენ გარბის.

კარი ჯანანით შემოასკდება.

დახუთულ ვაგონში ხრიალი შემოიქრება.

პატარა გოგო შეჰკივლებს და თვლებზე ხელებს აიფარებს. **მღვდელი პირჯვარს იწებს** მატარებელი წამით შებარბაცდება და ხრიალით განაგრძობს გზას.

ქვიშაზე პირქვე გართხმული დედაკაცი აღარ არი...



ჯილაური ცხენიდან ჩამოვიდა. დელეში დაისვენა, პირზე ცივი წყალი შეისხა და გამოცოცხლდა. ერთი აღმართიღა დარჩა, იმ აღმართს აივლის, ცოტა ხანს ქედზეც ჩამოჯდება. ქელიდან კი სოფელი გამოჩნდება, ჯილაურების სახლი. მერე სახლამდე ერთი ჩარბენაღა... უცებ ჯილაურის სულს სიხარული მოერია. ჯილაურმა არ იცოდა, რა იყო ეს სიხარული, ან საიდან მოდიოდა. ალბათ ამდენი წანწალის მერე შინ რომ მოვდივარ, საკუთარ სახლშიო, გაიფიქრა ჯილაურმა და სცადა ამ სიხარულისათვის უბრალო და გასაგები სათავე ეპოვნა, შინ დაბრუნების სათავე. მაგრამ სიხარული უფრო დიდი ჩანდა, ვიდრე ამდენი ხეტიალის მერე საკუთარ სახლ-კარში დაბრუნებაა. ჯილაურს გულში ნათელი უფრო მეტად ეღვრებოდა, მომხდარი და გადატანილი უფრო და უფრო ფერმკრთალდებოდა და ეს ცხენზე ამხედრებული კაცი წამით დიდინის წინანდელ სიძაბუქეს უბრუნდებოდა. ეს ის სიხარული იყო, რომელიც, თითქოს ისარი ჰკრესო, მოულოდნელად ისევ ქრება და კაცი ძველებურზე უფრო გულნატკენი უბრუნდება სინამდვილეს. ჯილაურმა იცოდა, რომ ეს მატყუარა სიხარული კარგა ხანს არ გაჰყვებოდა და აჭლა ცხენს უჰავრდებოდა, ცხენზე გადაჰქონდა მთელი თავისი ფიქრი. ფიქრი კი ჯიუტობდა და არარსებულ სინამდვილეში გადადიოდა. ჯილაურს სახლი ელოდა, საკუთარი სახლი, თავისი ეზოთი, ბაქით, საქონლით, დედაკაციით და ბიჭით... ჯილაურმა იცოდა, ქვემოთ სახლი იყო.

თამაზ გივილიური  
ჩივილი

სახლი არ შეიძლება არა ყოფილიყო. ოთხმოცი წელიწადი იდგა ეს სახლი და ახლაც უნდა მდგარიყო. და რაკი სახლი იყო, დედაკაციც და ბიჭიც უნდა ყოფილიყვნენ. დედაკაცს ძროხები უნდა ეწველა, ყველი ამოედო, წინდები მოექსთვა, ნაბადი მოეთელა, ბიჭი კი ან იქვე მჯდარიყო და დიდი, გაყვითლებული წიგნი ეკითხა, ან სადმე მინდორში გასულიყო, მკლავები თავქვეშ ამოედო და ღრუბლებისთვის ეტყირა. ეს ფიქრი ეწეოდა ჯილაურს, ეს ოცნება სასწაულისა, ეს სიხარული მკვდრეთით აღდგომისა. ამ ფიქრში გართულმა აიარა უკანასკნელი აღმართი, ცხენი ბალახზე მიუშვა და ლოდზე ჩამოჯდა.

ქედის ქვემოთ ჯილაურის კარ-მიდამო მოჩანდა... კარი გამოკეტილი იყო. შინ არავინ ჩანდა. ძროხები იქვე, სახლის უკან, პატარა მინდორზე ძოვდნენ. დედაკაცს დაზარებოდა ზედა მინდორზე გარეკვა.

წელანდელი სიხარული იქვე, მეხდაცემული ლოდით დაიმსხვრა.

ჯილაური წამოდგა. ცხენს აღვირში სტაცა ხელი და ფერდობზე დაეშვა. ცხენი იქვე, ფერდობის ძირში გაუშვა და თვითონ ეზოს ბილიკი აირბინა. ეზოში შევიდა. სახლის კარი გააფრიალა. ბოსელი წიხლით გააღო. ბაკშიც შეიხედა, ბანზე ავიდა და გადაიხედა.

შინ არავინ იყო... დედაკაცი სადღაც წასულიყო..

ჯილაურმა მაშინვე იცოდა, როგორც კი თავის კარმიდამოს გასცდა: დედაკაცი შინ არ დარჩებოდა. ამდენი ხანი ითმინა, ჯილაურის შიშით და ხათრით ითმინა, და ახლა, როცა მთქმელი და დამშლელი აღარავინ ჰყავდა, სოფლიდან მიმავალ გზას დაადგებოდა. იმ გზაზე გასვლის ფიქრს დედაკაცი გულში დიდი ხანია ინახავდა. ის გზა დედაკაცისთვის იმედი იყო, საბოლოო იმედი და ბოლოს ერთხელ მაინც უნდა მოექმებნა ის გზა. ახლა წასულიყო საძებნელად. სახლი გამოეკეტა, საქონელი უპატრონოდ დაერჩინა და წასულიყო. მაგრამ მას მერე რა დრო გავიდა? რახანია რაც

დედაკაცი წავიდა? სად დადის ამდენ ხანს? ვინ ინახავს, ჭერს ვინ უთმობს, ლუქმას ვინ აწვდის?... და ამის გამოქვეყნებაზე ჯილაურს ახლა ბრაზი არ ჰქონია, დედაკაცის წასვლა ოჯახის დანგრევად მიიღო, საკუთარი ვარამის ქვეყნიერებაზე გამოქვენებად, ქვეყნის ყბაში ჩავარდნად. თითქოს ჯილაურის მთელი კარ-მიდამო უცებ დიდ ურემზე შედგა. ურემი დაძრულიყო და ამ კარ-მიდამოს, თავის წუხილითა და დარდით, ახლა სოფელ-სოფელ დაატარებდა. სოფლები გარეთ გამოფენილიყვნენ და ზედ დასდებოდნენ უცნაურ ურემს, თავისი ძველებური სახლით, ბაკ-ბოსლით, ბანზე ჩამომჯდარი ყვავივით ჩაშავებული დედაკაცით, თავის ჭირვარამზე რომ მოსთქვამდა, ასე ხმამაღლა და ქვეყნიერების გასაგონად. ამის გაფიქრება იყო და ჯილაურს მოუნდა, ეხლავე, ამ წუთში გაქცეულიყო, ხელი ეტაცა იმ ურმისთვის, გამოშლილი ხალხი დაეფანტა და ურემი თავის სახლ-კარიანად ისევ უკან წამოეყვანა. ამ ფიქრით აწყდებოდა დარბაზს და ჭერხოს, ბაკსა და ბოსელს. არბოდა საქონელთან და ისევ შინ შედიოდა, ვიდრე სახლის ბანზე არ ჩამოჯდა და ქვემოთ წასულ ბილიკს თვალი არ გაუშტერა.

იმავ წუთში ჯილაურის წინ ის ნაცნობი წინათგრძნობა აისვეტა! ის წინათგრძნობა, ჯილაურს ადრეც რომ მორევიდა.

ჯილაურს ყურში ჩაესმა მისი ნაცნობი ჩურჩული. მაშინაც ასე ჩურჩულებდა, როცა ბიჭი მიჰყავდათ. მაშინაც სულში ჩაუძვრა, როცა ბებერი თოთია სოფლიდან მიდიოდა, არ მოასვენა, აქ, ამ ბანზე დასვა, ფეხი არ მოაცვლევინა და დააჯერა, როგორც კი ბებერი თოთია შალას გასცდებოდა, მოკვდებოდა. ამის მოლოდინში იჯდა მაშინ ბანზე ჯილაური, იმ ჩურჩულით მონუსხული ელოდა, ვიდრე შუალამისას მართლა არ მოისმა კაცის ხმა: ჯილაურო, მოგვეშველე, თოთია გადმოვასვენოთო.

ჯილაური ეხლაც მაშინდელივით იჯდა, ბანზე და ელოდა. ფიქრისა ეშინოდა, მაგრამ მაინც ფიქრობდა. აქ უნდა



მჭდარიყო დღესაც და ამალამაც, ხვალაც და ხვალამაც, იქნებ იქითა დღეებშიც და იქითა ღამეებშიც, ვიღრე დედაკაცი არ ამოვიდოდა, ან ვიღრე დედაკაცის ნაცვლად სხვა უცხო ვინმე, — ქალი თუ კაცი, ბიჭი თუ ბერიკაცი, სულერთია ვინ, ამბავს არ ამოიტანდა.

რა იყო ეს ამბავი, ჭილაური ამას თავის თავს არ ეუბნებოდა.

მაგრამ ჭილაურმა იცოდა ეს ამბავი... ორი დღე და ღამე იჭდა ბანზე.

ორი დღე და ღამე თვალი არ მოუხუჭავს.

ცოტა არაყს მოსვამდა, ცოტა ხმიადს მიიტანდა, ეს იყო და ეს...

მესამე ღამეს, ჯერ შუალამე არ წამოსულიყო, ვიღაცამ ისევე ყრუდ და გაუბედავად ამოიძახა ჭალიდან, როგორც მაშინ, ბებერ თოთიას ღამეს.

— ჭილაურო!

ჭილაური წამოვარდა. იფიქრა, მომეჩვენაო, იდგა და ელოდა...

— ჭილაურო! — ისევე დაიძახა ვიღაცამ.

— რომელი ხარ? — გასძახა ჭილაურმა.

— კაცი ვარ, მგზავრი!

— თუ კაცი ხარ, ამოდი, თვალთ დამენახვე!

— ვერ ამოვალ, ჭილაურო!

— მაშ რა გინდა?

— რა უნდა მინდოდეს, — დაიძახა იმ ხმამ და გაჩუმდა.

ჭილაურიც გაჩუმდა.

— ჭილაურო! — მოისმა ისევე, ცოტა ხნის მერე.

— რა გინდა-მეთქი?

— შენი დედაკაცი მოძებნე, ჭილაურო...

— კაცი ხარ თუ მოჩვენება? ის მაინც მითხარი, სად მოვძებნო?

— რკინიგზისპირას, ჭილაურო, რკინიგზისპირას!

— იქ რა უნდა, კაცო?

— მემრე გაიგებ, ჭილაურო, ყველაფერს გეტყვიან.

ჭალიდან წამოსული ხმა ისევე მიწყდა.

ჭილაური ფეხს არ იცვლიდა, იდგა და ისევე ელოდებოდა.

ვიღაცა იყო, მეტის თქმას არაფერი რებდა და ჭილაურმა დაიძახა:

— მაინც, ვინა ხარ, კაცო!

— ჩემი სახელი რათ გინდა?

— მითხარი-მეთქი, რომელი ხარ!..

— რომელი კარგი მახარობელი მე ვარ?

— სახელი მითხარი, კაცო!

— შენი სოფელი ვარ, ჭილაურო, შენმა სოფელმა გამამგზავნა!

სოფელი მოსულა! ჭილაურს კარზე მოსდგომია და ახლა ჭალიდან ამ კაცის ყრუ ხმით იძახის. სოფელს გახსენებია ჭილაური. სოფელი უბედურების მაცნელ მოსულა. სოფელს ძილი გასტეხია. მაგრამ ჭილაურს ახლა აღარაფრისა ეშინია. საღარდებელი აღარაფრისა დარჩენია. არაფერი არა ყოფილა ძნელი. ყველაფერი ადვილი ყოფილა...

უცებ ბნელ ღამეს მოედო ჭილაურის ძახილი:

— ეჭვი!

— ეჭვი! — გამოსძახა უცხო ხმამ.

— გესმის ჩემი ხმა?

— მესმის, როგორ არ მესმის, ჭილაურო!

— კარგა დამიგდე ყურის!

— მესმის-მეთქი, კაცო!

— ვინც გინდა იყავი... ნუ იტყვი ვინა ხარ!

— ვერ ვიტყვი, ჭილაურო, ვერა!

— ერთ საქმესა გთხოვ!

— მთხოვე, ჭილაურო!

— უარი არ მითხრა, იცოდე!

— მთხოვე მეთქი, ჭილაურო!

— ემანდ, მინდორში... გესმის-მეთქი, კაცო?!

— მესმის, ჭილაურო! მესმის!

— ემანდ მინდორში ცხენი სძოვს..

— მემრე?

— მოჰკიდე ხელი და წაიყვანე!

— თავი დამანებე, ჭილაურო!

— ჰკვიანი ცხენია, უარს არ გეტყვის!

თამაზ ჰიზილუმი

ჩივილი

— თავი დამინებე-მეთქი, კაცო!  
 — წაიყვა-მეთქი, მართლა გეუბნები!  
 — ჩემგან რა გინდა, მე რას მერჩი, ჯილაურო!  
 — წაიყვა-მეთქი!  
 — დაგჭირდება, ჯილაურო!  
 — აღარ დამჭირდება!  
 — დაგჭირდება, კაცო!  
 — აღარ დამჭირდება, აღარ!  
 — ის მაინც მითხარი, სად წაიყვანა? ვის მივგვარო?!  
 — სადაც გინდა! სადაც გინდა იქ წაიყვანე!.. თუ გინდა, მოკალი...  
 ორივენი გაჩუმდნენ.  
 ერთმანეთს ელოდნენ და იცდიდნენ...  
 — კარგად გაიგონე, რაც ვითხარი? — ყრულ დაიძახა ჯილაურმა.  
 კაცმა ხმა არ გასცა.  
 — გაიგონე, ქრისტიანო?..  
 — შენი ნებაა, ჯილაურო, შენი ნებაა.. ჯილაურს გულზე მოეშვა.  
 ახლა ჯილაური თავისუფალი კაცი იყო.


ახლა მართლა დასრულდა ყველაფერი... ჯილაური იდგა და სიბნელეს გასცქეროდა. გარშემო სიჩუმე იყო. ცოტა ხნის მერე ცხენის ფრუტუნნი მოისმა. მერე ისმოდა, როგორ მიდიოდნენ ღამეში კაცი და ცხენი. კაცს აღარაფერი დაუძახია. აღარც ჯილაურს უთქვამს რამე. არაყი დაისხა და დალია. მერე პირქვე დაემხო...

შუალამისას, მთის ბილიკზე ცხენოსანი მიიკვლევს გზას. ცხენოსანი ის უცხო კაცია, ის მეჭურჭლე, დიდი ხნის წინათ, მკათათვის ერთ შუადღეს რომ ამოვიდა და ბიჭი წაიყვანა. მაშინაც ასე, ქვეითად მიდიოდა და ცხენი აღვირით ეჭირა, შორიასლოს კი დათვის ბულივით მოსდევდა ბიჭი.

ახლა ბიჭი აღარ მოსდევს... მერამ როგორც მაშინ, დიდი ხნის წინათ, ახლაც თავის ბედს ემდურის კაცი:  
 — მე რა შუაში ვიყავი?  
 — რაღა მე გამამგზავნეს?  
 — ჩემგან რა უნდათ?  
 — მე რა დავამავე?  
 — ან ეს ბებერი ცხენი რაღათ მინდოდა?  
 — სად წაიყვანაო?  
 — ვის მივგვარო?  
 მერე კაცს თავისი სახლ-კარი და თავისი ოჯახი ახსენდება:  
 — ბრმა ეძახონ... — თავის თავს ეუბნება კაცი.  
 — ბრმები სხვები არიან..  
 — მაგისტანა მეჭურჭლე ვინ არი?  
 — ბრმა რათ არი?  
 — სამი ბიჭი ჰყავ და ორი გოგო...  
 — ენაცვალოთ პაპა!..

საცაა გათენდება. ცხენოსანმა არ იცის, რომ სადღაც, შორიასლოს, ბარისკენ მიფრატუნობს ამ ცხენის პატრონი, ბებერი ჯილაური. ცხენოსანიც მარტოა და ჯილაურიც მარტო მიიკვლევს გზას ხელის ცეცებით... იმათ შორის მთის გრძელი ბილიკი გაწოლილა და ბნელი ღამე. ეს ორი კაცი ერთმანეთს ბედმა ორჯერ შეახვედრა: ერთხელ მაშინ, იმ ცხელ ზაფხულში, როცა კაცი ჯილაურის ბიჭის წასაყვანად ამოვიდა, მეორედ ამ ბნელ ღამეში, როცა კაცი ჯილაურის ეზოს ბოლოში ღამესავით იდგა და ჯილაურის უბედურების ამბავს სამარიდან წამოსული ხმით იძახდა. ახლა უკვე ყველაფერი დამთავრდა. ეს ორი კაცი, ჯილაური და მეჭურჭლე, ერთმანეთს აღარასოდეს შეხვდებოდა. მეჭურჭლეს თავის ოჯახში ეჩქარება, შინ დიდი ჯალაბი — ცოლ-შვილი და შვილიშვილები ელოდებიან. ჯილაური მიცვალებულებთან შესახვედრად მიდის...





# მსხვერპლი

მომთხრობა

8

სასამართლოში ყველაზე ადრე ჭაბახ თანაკურსელები გამოცხადდნენ და პირველი რიგები დაიკავეს, მობრძანდა გეგე ჩალაქე თავისი ქალიშვილიათ, მანანათი, ჭაბახ ნათესავებიდან მხოლოდ მამიდაშვილები იყვნენ. ბეჟანი და სიკოც მოვიდნენ, ბეჟანმა სულ რამდენიმე წუთს დაჰყო დარბაზში, შემდეგ რაღაც უჩუროჩულა სიკოს და წავიდა, ალბათ, თავის უუუუნანსთან. იგი რამდენიმე დღის წინ სამინისტროში გამოიძახეს და წინადადება მისცეს, გადამდგარიყო, სასტუმროს დირექტორის ადგილს შეიპირდნენ. გაუხარდა ლაბაქეს, იმ დღესვე მიართვა პატაკი მინისტრს. ამიტომ ახლა ჭაბახ ბედი მას სრულებით არ აინტერესებდა.

სიკომ კი წინ გადაინაცვლა და პროკურორის ტრიბუნასთან დაიკავა ადგილი.

მარჯვენა კარიდან ჭაბა გამოიყვანეს.

იგი წამით შეჩერდა, შეკრებილთ გადახედა, ხელი დაუქნია ამხანაგებს, გაუღიმა და საბრალდებლო სკამზე დაჯდა. სიკომ მუერა გააპარა მანანასკენ. მას სახეზე ალმური მოდებოდა, რაღაცას ანიშნებდა ჭაბახს, რომელიც მონუსხულივით შესცქეროდა მას. შემდეგ გეგე გაუწურა შვილს: წესიერად მოიქეცი, ხალხი გაუტრებსო. მართლაც უუტრებდნენ. შერცხვა გოგოს, დაჯდა და თავი ჩაღუნა.

— სასამართლო მობრძანდებ! — გამოაცხადა გამრიგებლმა.

ყველა ფეხზე ადგა. ქაღარა კაცმა შუა სავარძელი დაიკავა. სასამართლოს შემადგენლობას გადახედა. პროკურორი ადგილზე იყო, მდევანიც, ვეკილიც, რომელიც ჭაბახს პროტესტის მიუხედედავ, მაინც დანიშნეს.

ჩვეულებრივი პროცედურის შემდეგ, მოსამართლემ ჭაბახ დაკითხვა დაიწყო. იგი უკველ შეკითხვაზე მოფიქრებულ, ამომწურავ პასუხებს იძლეოდა. ლაბაქისათვის მიცემული ჩვენება გაიმეორა. დაპარაკობდა აუღელვებლად. როგორც ჩანდა, მოსამართლეს მოსწონდა მისი პასუხები, ამიტომ თითქოს განგებ აქიანურებ-

და დაკითხვას. შემდეგ, პროკურორი და ვეკილი ჩაერვივნენ საქმეში.

დაიწყო მოწმეთა დაკითხვა პირველად მირანდა ქავთარაძე გამოიძახეს. მან თხრობა თავისი გაქვლეტილი დედამთილით დაიწყო, შემდეგ დაწვრილებით ილაპარაკა 17 ავვისტოს მომხდარ ავარიასზე.

პროკურორი შეეკითხა:

— მოქალაქე ქავთარაძე, თქვენ ამბობთ, რომ მანქანაში იჭდა სქელი კაცი, წინ ჩამოურილი შავი თმა ჰქონდა, იხილეთ ტომი...

— საქირო არ არის. — შეაწუვეტინა მირანდა.

— თქვენ რას იტყვით, ბრალდებულ ერისთავო. აღსატურებთ მოწმის ჩვენებას?

— არა. მანქანაში მარტო ვიყევი.

— სტუყო, — შეუძახა მირანდამ. — ხელა აფარებს თავის მეინახეს.

მოსამართლემ მირანდას მოუწოდა წესრიგისაკენ და თვითონ განაგრძო დაკითხვა. შემდეგ როდესაც ჭაბახ მტკიცე უარს წააწყდა, არც მან გაამწვავა მდგომარეობა და მოწმე გეგე ჩააღმე გამოიძახა.

— რას იტყვით საქმის გარშემო, მოწმე ჩალაქე? — შეეკითხა.

— ამ საქმეში მეც მიმიძღვის ბრალი. მანქანისათვის უფრო მეტი უურადლება რომ მიმექცია, როგორც წესია, ჩამეკეტა ხოლმე, შეიძლება ასეთი სამწუხარო შემთხვევა არ მომხდარიყო. რაც შეეხება თვითონ ჭაბახს, მე მინდოდა დამეხანათებინა, მაგრამ თავს ვიკავებ, აქ არაან მისი თანაუტრსელები და ისინი უკეთ გააკეთებენ ამას.

— თქვენ როგორ ფიქრობთ, ერისთავმა მანქანა გაიტაცა, თუ... როგორც თვითონ ამბობს, გაისერიანა.

— გატაცება რომ ნდომებოდა, მანქანას უკან არ მოიყვანდა. — ჩაურთო სიტყვა ვეკილმა.

— ეს კიდევ სადგოვა, — თქვა პროკურორმა.

— ერისთავმა ავარიის შემდეგ დააბრუნა მანქანა, ავარია რომ არ მომხდარიყო?

— მე მინდა პატივცემულ პროკურორის შევასხენო: — დაიწყო ჭაბახ დამცველმა. — ფიზიოლოგიიდან ცნობილია, რომ ადამიანთა უმრავლესობაში მხედველობის ორგანო — თვალტვისნის შთაბეჭდილებას გადასცემს 0,9-0,85 წამში, ხოლო სმენის ორგანო — ყური — 0,15-0,30 წამში. მანასადამე, აუცილებელია გულდასმით გამოვიკვიროთ, მხედველობაში მივიღოთ...

— ბატონო დამცველო, თქვენი მარწმუნებელი იცინის. — შეაწუვეტინა სიტყვა პროკურორმა. ვეკილმა ალბაცერად გახედა ჭაბახს და განაგრძო.

— მხედველობითმა შეგრძნებამ გამოიწვია შიში, დაბნეულობა. საქირო იყო დრო, რომ ტვისნს აღექვა შექმნილი ვითარება...

მოსამართლე მშვიდად უსმენდა დამცველის

დასასრული. დასაწყისი იხ. „ცისკარი“ 1976 წ. № 12.

თეორიულ დასკვნებს. გულში ეციინებოდა, გრძობდა, რომ იგი კარგად არ იცნობდა საკმის პირადად მისთვის უველაფერი ნათელი იყო. გონებაში განაჩენიც ჰქონდა მოხაზული. მაგრამ ხასამართლოს პროცედურის დადგენილ წესს ხომ ვერ გადაუხვევდა? ამიტომ იძულებული იყო, უველასთვის მოესმინა.

მდივნის მიერ შედგენილ მოწმეთა სიაში ჩაიხედა და მოწმე დათო ამასუეკლი გამოიძახა.

პროცესის დამსწრე უველა სტუდენტი ფეხზე ადგა, როდესაც დათომ ლაპარაკი დაიწყო.

— ჩვენ უველამ მძიმედ განვიცადეთ მომხდარი უბედურება. ბრმა შემთხვევის გამო დასახიჩრდა ერთი ადამიანი და ახლა მეორეს ელის ეს ბედი. ეს მეორე ჯაბაა. თუ ვინ არის ჯაბა ერისთავი ჩვენ წარმოვადგინეთ უველა სახლში და მათი გამეორება არ არის საჭირო. ჩვენ ექვე არ გვეპარება, რომ პატივცემული თავმჯდომარე და მსაჯულები გაეცნობოდნენ. ჯაბა ახალგაზრდაა, ასეთ ახაკში ხშირად დგამს ადამიანი დაუფიქრებელ ნაბიჯს, ამიტომ აპატიეთ მას ეს უბედული დანაშაული. ჩვენ უველას გვწამს, რომ იგი თავისი შრომით, სწავლით, ხანძარში კვეთით გამოისყიდის მას!

ღარბაში სულგანაბული ისმენდა დათოს სიტყვას, დაამთავრა და თითქოს მამინ ამოიხუნებოდა მისმა ამხანაგებმა.

შემდეგ გამოიძახეს დაწარალებული — იხიდორე ჭიბული. იგი უვარჩენების ბაკუნით შემოვიდა დარბაზში. ორი დღის წინ გამოწერა საჯარდმყოფოდან და როგორც კი გაიგო სახამართლოა დანიშნული, არ დაიშალა, გამოცდა.

— სახამართლო ხელმძღვანელობის დამტკიცებული კანონებით — დაიწყო მან. — არის კიდევ დაუტკიცებელი, დაუწერელი კანონება. თუ დამტკიცებულით ვიხელმძღვანელებთ, ჯაბას უნდა წიხსაჯოს. მე დიდი ტრამვა გადავიტანე, უკან დარჩა საშინელი ტკივილები და აგონიის დღეები. მომხდარ ავარიში დამნაშავე მეტ ვარ. მე რომ არ გადამცვეთა ქუჩა აკრძალულ ადგილს, შეიძლება ეს ამბავი არ მომხდარიყო. მე დავიხაჯე, ახლა სასჯელს ელოდება მეორე. პატიმრობით გამოწვეულ სულიერ ტკივილთან, ჩემი ტკივილები მონაგონია. ამიტომ იხელმძღვანელებთ მეორე, დაუწერელი, დაუტკიცებელი კანონებით, თქვენ ამის უთლება გაქვთ.

შემდეგ პროკურორმა წარმოთქვა სიტყვა...

ვექილმაც ილაპარაკა...

ჯაბას ჰკითხეს რას სთხოვ სახამართლოსო, სასჯელსო, მოკლედ მოკრა მან.

თავმჯდომარემ გამოაცხადა:

— სახამართლო მიღის განაჩენის გამოსახატვად.

ჯაბა რიგინად განხრციეს და სხვებთან ერთად მანქანაში შეადგეს.

— სად მივდივართ? — იკითხა მან.

თანამგზავრებმა გაკვირვებით შეხედეს.

— ოპერაში, „ჩიო-ჩიო სანი“ უნდა ვხახოთ.

— თქვა ვილაცამ.

მართლაც, რა საკითხავი იყო, სად მივდივართო, სადაც მიუსაჯეს ორი წლით ყოფნა — იქ, შრომა-გასწორების კოლონიაში მიჰყავდათ. კიდევ შეავლო თვალს პატიმრებს. ისინი ვაზროტებული შესცქეროდნენ ერთმანეთს. მათთვის სულ ერთი იყო, მანქანა სად მიდიოდა. ასე კარგა ჯაყყაყის შემდეგ, ბადრაგის უფროსმა კარი გამოაღო და პატიმრებს უთხრა.

— გადმოდით!

ვილაც ტანმორჩილმა კაცმა ჩხავანა ხმით განკარგულება გასცა, ორ მსწკრივად მოეწყვეათ.

მავთულხლართს იქით მოჩანდა პირქუში, თვალუწვდენი ბარაკების კონსტრუქციები. ის იყო მისი ახალი სასტოვრისი.

რამდენიმე დღე კარანტინში აყურუტებს. სამოქალაქო ტანსაცმელი გახადეს და პატიმრისა ჩააცვეს. ამ ფერისცვალებას ჯაბა ისე შეხვდა, თითქოს შრომა-გასწორების კოლონიაში მეთაველ მოხვედრილიყო. ბოლოს, ის და ვინც მასთან ერთად მოუყვანეს, კოლონიის მმართველობის წინაშე წარდგნენ.

ჯაბა გამოიძახეს მაგიდასთან.

— ჯაბა ერისთავი... გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის მეოთხე კურსის სტუდენტი. რას იტყვი, რისი გაკეთება შეგძლია? — თქვა კოლონიის უფროსმა პოლკოვნიკმა ვასო ჟღენტმა.

— ჩემს არჩევანზე? — იკითხა ჯაბამ.

— არა, სადაც გვეპირდები, იქ გაგზავნით.

— დურგალი არ გვირდებათ?

— გვეპირდება.

— ჰოდა, გამიშვით დურგლად. თანრიგით მაქვს.

— სად ისწავლი, ბიჭო, დურგლობა?

— ყამირ მიწებზე.

— გაიგზავნოს მეცხრე ბრიგადაში.

იმავე დღეს მეშვიდე ბარაკში გადაბარგდა. აქ დახვდა აბრია — ბრაკონიერი, სოსო — სპეკულანტი, ბქქუა — ძროხის ქურდი, კაკო — თაღლითი, დიტო — ხულიგანი, სულიყო — უაღბისმქმენელი და ისიც მიემატა — ავტომობილზე.

ჯაბამ კარებშივე იკითხა:

— მეცხრე ბრიგადაა?

— ეგ რა. — უმასუხა აბრიამ. — მოხვედი?

— მოვედა. ვინ არის ბრიგადირი?

— არა გვეყვს.

— ეს როგორ?

— უბრალოდ, — თქვა დიტომ. — დავაშავე?

მომსახურე, მოვიხდი ნახჭელს. მუშაობა არ მინდა, რა ჩემი საქმეა ბრიგადირობა.

— ძალას გატანენ?

— სამი დღეა ბრიგადა მიდის და მოდის, თითქმის არაფერს აკეთებს.

— ხვალ რას აპირებთ?

— ბარაკში ვინ გავაჩერებს, წავალთ სამუშაოდ.

ჩაბას ბარაკის მორიგემ საწოლზე მიუთითა, აქ დაწვებიო, უთხრა.

— რა დანაშაულისათვის გამოგვწავნეს ამ სამოსხემი? — ჰკითხა აბრიაძე.

— ავტოავარია. — მოკლედ მოქრა ჩაბამ.

— მოკვდა?

— არა, დაშავდა.

— რამდენი წელი აგვიდეს?

— ორი.

— მე ექვსი.

— რატომ არ მუშაობთ, რა გინდათ?

— მიზეზ-მიზეზ დღის მარტილი აკლიაო. ასეა ჩვენი საქმე. უკვე რამდენჯერმე გავაფრთხილეს. ედენტს ხუმრობა არ უყვარს. გამბრაზდება და ყველას მოგვივლის.

— რას გვიწამს?

— ეტაპს გავაყოლებს, მე შენ გეტყვი, გაუძენდებო.

— დავიძინოთ, ხვალ ვნახოთ.

დილით, როდესაც შემოწმება დამთავრდა, მორიგემ დიტო გამოიძახა და აუხსნა, რა უნდა გაეკეთებინა ბრიგადას. დიტო აყვირდა, აჯაჯანდა, ხელებს იქნევდა, ყელზე ძარღვები ასკდებოდა.

— რა აყვირებს? — ჰკითხა აბრიაძე ჩაბამ.

— ყოველ დილით ასეა, ახლა განზრახ სტებს აურზაურს, გეგმა დიდიო, ზარმაცია.

აუღმავალი კარგა ხანს გაგრძელდა. საღ იყო და საღ არა, ვაჩნდა კოლონიის უფროსი, რომელიც ექიმთან ერთად შემოვლავზე იყო.

— მიტხრე ბრიგადა? — იკითხა მან.

— დიას, — უპასუხეს.

— რა აურზაურია?

— ბრიგადირი ამბობს, გეგმა დიდიო. — მოახსენა მორიგემ. — ასეა აქ ყოველ დღე. გამოუსწორებელი ხალხია. როგორც მოგახსენეთ, ბრიგადა უნდა დავშალოთ, სხვებს შეუერთოთ.

— აბა მაჩვენეთ, — ჟღერტმა უურადლები დაათვალიერა საბუთები, დიტო მწუხრიდან გამოაუვანინა და იკითხა:

— ამ ბრიგადაში გუშინ ერთი სტუდენტი გამოგვწავნეთ, სად არის?

— აქ ვარ. — თქვა ჩაბამ და წინ წამოვდა.

— ჩაბარე ბრიგადა. საღამოს შემოვივლო სამაქროში. დიტო ჭორბენამე კი გადაიყვანეთ მებეტონედ, მიოცე ბრიგადაში. ახლავე აუკარით გუდა-ნაბადი. ამასთან, ყოველდღიურად პირადად შეამოწმეთ, როგორც კი ცუდლუტობას შეამჩნევთ — ეტაპში. — უთხრა მორიგეს.

— ნუ შეშინდი, — უჩურჩულა აბრიაძე. — მაგას, შეილო, აქ ჯდომა ურჩევნია ჩვენ კუნდა ვიმუშაოთ, რათა ადრე გავიდეთ. აქედან და ჩვენ ცოლ-შვილს მივხედოთ.

ჩაბამ უხერხულად უთხრა თავისი ბრიგადის წევრებს, წავიდეთო. ისინიც უხალისოდ, ფხბართევით აედევნენ. ყველას სახეზე ერთი გამოეტყველება ჰქონდა: ეს მეტიჩარა საიდან გამოტყურა, გუშინ მოვიდა და დღეს ბრიგადირად ვაძვარო.

სამაქრო გრძელი, თითქმის ორმოცდაათ მეტრიანი ბარაკი იყო. ექვსი ბრიგადა ერთად მუშაობდა. ჩაბას ბრიგადას ბარაკის ბოლოში, პატარა ადგილი ჰქონდა დათმობილი. სამი სადურგლო დაზგა და ერთი ელექტროხერხე იყო მის განკარგულებაში. იმ დღეს, რომელიც სოფლის კლუბისათვის გრძელი სკამები უნდა დაეშაადებინათ. შეეკეთა არ იყო ძნელი. ნახაზი ხელთ ჰქონდათ. საქმე გაანაწილა, თვითონ ელექტროხერხითან დადგა და ზომების მიხედვით ხერხავდა მასალას.

ნაშუადღევს ნედლეული შემოაკლდათ.

— აბა, ბრიგადირო, — უთხრა კაკომ. — რა ვქნათ. ყოველ დღე აგრეა.

ჩაბამ ნახერხი ჩამოიხერხა და სამაქროს უფროსთან წავიდა.

— შენ ვინა ხარ, რად გამოგვწავნეს? ბრიგადირი სად არის? — შეეკითხა სამაქროს უფროსი იბრაჰიმოვი.

— ბრიგადირი მე ვარ.

— ვა, მერე?

— მერე რა...

— რა და აიკიდ ფიცრები და შეიტანე.

ამას კი გააკეთებდა, მაგრამ ბრიგადების მიერ უკვე დაშაადებული საქონლით ისე იყო ჩახერგილი ვა, რომ დასახერხი ფიცრების ადგილზე მიტანა თითქმის შეუძლებელი იყო.

ხელცარიელი დაბრუნდა.

— რაო, ბრიგადირო, აქედან შეაყოლო? — ჰკითხა აბრიაძე.

— არა. მასალა თქვენ თვითონ მოიმარაგეთო.

— მერე როგორ გინდა, აქ შემოიტანო?

— ეგა თქვი.

თითქოს ამ სიტყვებს ელოდნენ. სოსომ, ქაქუცამ, სულიკომ და აბრიაძე სადურგლო იარაღები დუარეს და ნახერხზე მოიკალათეს.

ჩაბამ ბარაკს შემოუარა. ყველა კუთხე დაათვალიერა და თავში ერთი აზრი მოუვიდა. სადაც მისი ბრიგადის განუყოფელი ადგილი იყო, კარი გაეკრა. ეს მასალის შემოტანას და მზა პროდუქციის დატვირთვას გააიოლებდა. მან არც არავის ჰკითხა, აბრიაძე და სოსოს დახმარებით კედელს ფიცრები აჰყარა. ეს რომ სამაქროს უფროსმა იუსუფ იბრაჰიმოვმა გაიგო, მოკვარდა და უშეგერი განებით აიძულა აბრია და

ირაბლი უგულუბავ  
მსხმარალი

ნონო მუშაობა შეეწყვიტათ. ჯაბა ანჯამების სა-  
შოვნელად იყო წასული. სწორედ იმ დროს მო-  
ვიდა, როცა იბრაგიმოვი რუსულ-ქართულ-  
აზერბაიჯანულად ავინებდა ბრიგადის წევრებს.  
კაკიმ ჯაბა დანიხა თუ არა, იბრაგიმოვს უთბ-  
რა:

— მოიცა, კაცო, ჩვენ რას დაგვერიე, აი  
ბრიგადირი, პასუხს ენ გაგვიცემს.

— რა ამბავია? — იკითხა ჯაბამ.

— ვინ მოგვცა ნება აქ კარის გაჭრისა?

— არავინ.

— როგორ არავინ? ვუშინ მოეთრიე და აქ  
შენი კანონები გინდა გაავრცელო?

— რა კანონები, რის კანონები. კარს გა-  
ჭრით...

— მოიცა. აქ მე ვარ საამქროს უფროსი. ახ-  
ლად ააქედეთ ფიცრები. მორჩა!

— არა. აქ ჩვენ ვმუშაობთ და კარიც ჩვენ  
გვჭირდება.

— შენ, გემის, ვილაც ხარ. ამ ჩაქურჩით თავს  
გაგინებთავ, თუ ჩემს ბრძანებას არ შეასრუ-  
ლებ.

ჩხუბი იწყებოდა. საამქროში მუშაობა შეწყ-  
და, ყველა ბარაკის ბოლოში წამოვიდა სვირის  
საყურებლად. კოლონიის ბადრავიც მოვარდა,  
მონხუბართა შუაში ჩადგა. ხალხი დაიშალა.  
იბრაგიმოვი კი არ ცხრებოდა, იგინებოდა, იქა-  
ჩებოდა. ჯაბა ერთი შეხედვით წყნარად იდგა,  
მაგრამ მზად იყო, თუ რამეს გაბედავდა ეს აჯა-  
მი, ყველას თვალწინ აქცა ესწავლებინა. იბრა-  
გიმოვმა შეამჩნია, რომ ამ ჯიუტ ბიჭთან უვირი-  
ლით ვერაფერს გახლებოდა, ამიტომ მორიგე-  
თან გაქცა. მორიგე მურჩაურის მიწეში კო-  
ლონიის უფროსს მოახსენა.

ფლენტი საამქროში მოვიდა. ყურადღებით  
მოუსმინა ჯაბას.

— აბა, წარმოიდგინეთ, საამქროში მანქანა  
ვერ შემოდის, ამიტომ იძულებული ვართ თი-  
თო-თითო ფიცარი ვათროთ. ახლა გახედეთ,  
როგორ ჩახერგილია გზა მზა პროდუქციით.  
ამიტომ გადავწყვიტეთ, აქ გავჭრათ კარი. ეს  
არავის ხელს არ შეუშლის, აქვე დავაწყობა-  
ნედლეულს და ხალხიც უსაქმოდ არ იქნება.

— იბრაგიმოვ, შენ რატომ არ გინდა კარი  
რომ გაჭრან?

ენა დაემა იბრაგიმოვს. მიკიბ-მოკიბა რაღაც.

— ხომ ხედავ, ვერაფრით ვერ ასახუტებ.  
მორჩი ყვირილს! წადი შენს საქმეს მიხედ.

— თუ მას ეშინია. — განაგრძო ჯაბამ. —  
რომ მზა პროდუქციას მოიპარვენ და ამ კარი-  
დან გაიტანენ, არც იმ კარს იცავს ვინმე. თუ  
გინდათ, ბრგვადამ გეგმა შეასრულოს, მამს  
ასე უნდა მოვიქცეთ.

— კარგი. მხოლოდ იცოდეთ! — თითი დაუქ-  
ნია ფლენტმა. — აქ უნივერსიტეტი არ არის,  
ნუ აიხედებთ ყველას.

კარის გაჭრამ კარგი შედეგი გამოიღო —  
ბრიგადის საქმე გამოსწორდა. კოლონიაში ყვე-

ლამ გაიგო, ვილაც სტუდენტმა იბრაგიმოვი  
გააშავა, კულამოძუებული გააგდო. ეს ვილაც  
სტუდენტი მალე კოლონიაში ცნობილი გახდა.  
მას თვით ძველი ბინადარიც აკატინს სტუდენ-  
ტს, ანგარიშს უწევდნენ, ერიდებოდნენ, იცო-  
დნენ, სტუდენტს ჰკუაც უჭრიდა და მუშტიც.  
ბეჭით შრომაში რამდენიმე თვემ განწლო.

პოლკოვნიკმა ფლენტმა გამოძახებულად  
მაქინაციებისათვის იბრაგიმოვი გააგდო და ეს  
დღიე ობიექტი ჯაბას ჩააბარა. იგი ახლა ბარაკ-  
ში აღარ იძინებდა, საამქროში საკუთარი ოთახი  
ჰქონდა.

დღეობი მიფრინავდნენ.

პატიმრობის ვადა მოკლებოდა... მაგრამ მის  
გულში დავალებული ბოღმა ღრუბელივით იფ-  
ლინებოდა, იბერებოდა და სუნთქვას უხუ-  
თავდა.

რა აწუხებდა ჯაბას?

წერილებმა იკლო თანდათან და ბოლოს სულ  
შეწყდა. მხოლოდ ამხანაგები მოდიოდნენ ხან-  
დახან. მღეთის ქუჩიდან აგერ უკვე სამი თვე  
იყო, ჩქამიც არ იხმოდა. კოლა გორგამე, მისი  
მამობილი, შეიძლება ავად იყო და წერილის  
მოწერას თავი არ ჰქონდა. გეგე როგორ იკად-  
რებდა მასთან, დამნაშავესთან „უპისკლარუ-  
ლი ურთიერთობის“ გაბმას. მანანა? აქ წყდ-  
ბოდა მისი ფიქრთა ჯაჭვი. მანანამაც დავიწყა?  
არა, ეს წარმოუდგენელია. პასუხობდა თავისი-  
ვე კითხვას და ყოველთვის მეორე დღის იმე-  
დით ცხოვრობდა — ხვალ აუცილებლად მოვა  
სანახავად, ან წერილს მიიღებს, ან ვინმე გად-  
მოსცემს მისგან დანაბარებს. საშუაოს შემდეგ  
ამოდ დადოდა მნახველთა ოთახში, ამოდ  
იცდიდა, ვიდრე ყველა არ წავიღოდა. ამოდ  
გასციქროდა თბილისისაკენ მიმავალ გზას.

დღით კოლონიის მორიგესთან იხმეს. ოთა-  
ხის კარი ღია იყო და შორიდანვე დანიხა სი-  
კო მთვარამე. მწარედ გაეღიმა. „რას გადაწყე-  
და, გაიფიქრა, რას ეტებს, რას ჩიჩქნის. ჭერ  
იყო და ძიების დროს წაიგდო ენა. მერე ცი-  
ხეში შეწვია, ახლა აქ, ბოლოს და ბოლოს არ  
უნდა გათავდეს“?

— გამარჯვება, ჯაბა, — უთხრა სიკომ —  
კართან გაჩერება არ ვარგა, ასე გამიგონია, შე-  
მოდი, აქ დაქეცი.

— თქვენ ჩემს დაკითხვას აპირებთ?


— შემოდი. რამდენიმე კითხვან უნდა მი-  
პასუხო.

— საერთოდ, მე მანტერეცებს, თქვენ ვინ  
მოგანდობთ უკვე გამოძიებული საქმის ხელახლა  
გამოძიება?

— ჩემმა სინდისმა. შენც ხომ შენმა სინდი-  
მა მიგოყვანა მილიციაში. ასე თქვი, ხომ გახ-  
სოვს, სინდისის ქენჯანმ შემაწუხა და იმითომ  
მოვედიო.

— მე ყველაფერი მახსოვს.

— ჰოდა, ძალიან კარგი. შემოდი, შემოდი,  
დაქეცი, მიხარია, რომ ასე კარგად ხარ. საამქ-



როს უფროსობა კოლონიაში პატარა საქმე არ არის. დავაუკაცებულხარ, ზოგი ქირი მარგებელიაო. პოლკოვნიკმა უღენტმა მითხრა, რომ მალე კოლონიაში სასამართლოს გამსვლელი სენია შედგება და ჯაბას სახლში გავუშვებთო. ჰა, რას იტყვი?

— რა მეთქმის.

— მე ერთი შეკითხვა მაქვს. ნუ გაფხუციანდები, არ შეგფერის. მაშ, ასე, თუ იცნობ ანდრო კანკიას?

— თქვენ ჩემი დაკითხვის რწმუნება გაქვთ?

— ისევ დიწყეთ. მე სინდისი მაქვს. იგი ყველა რწმუნებაზე მაღლა დგას. ვიმეორებ, ანდრო კანკიას იცნობ?

— არა.

— მე შემძლია დავიხსნათო. საქმოდ სქელია, შავი, წინ ჩამოყრილი თმა აქვს.

— ასეთს არავის ვიცნობ.

— იმ დამეს მანქანაში შენს გვერდით ვინ იჯდა?

— მე ერთხელ უკვე განაცხადე, არავინ!

— მას შემდეგ, თითქმის ერთი წელი გავიდა, შეიძლება გაგახსენდა, ან საერთოდ, აზრი შეიცვალე?

— არა.

— ჭუანშერ კანკიას იცნობ?

— ვიცნობ. მერე რა? — თქვა და თვალეშე შეხედა სიკოს.

— მერე ის, რომ ჭუანშერ კანკია ანდრო კანკიას შვილია.

— მერე რა?

— ანდრო კანკია გეგე ჩალაძის მოადგილეა.

— რა მესაქმება ვინ ვისი მოადგილეა?!

— იცი რა. ერთ საქმეზე მე გეგე ჩალაძესთან მივედი და იქ ანდრო კანკია ვნახე. გამახსენდა მირანდა ქავთარაძის ჩვენება. მძლოლის გვერდით იჯდა სქელი კაცი, წინ ჩამოყრილი შავი თმა ჰქონდაო, რომ თქვა.

— მერე რაო?

— მერე ის, რომ რაღაც მენიშნა.

— ჩემს გვერდით არავინ მჭდარა.

— ანდრო კანკია სულ სხვა საქმეზე დავიბარე და იქ მირანდა ქავთარაძე დავახვედრე, იცნო, დაადასტურა.

— თქვენი მირანდა მანიაკია. ლაბაძის მიერ გამოქვეყნებული მოწმეა.

— არა, მირანდა მართლას ამბობს.

— ამბობს და თქვას.

— მანანა არ გენატრება? — მოულოდნელად შეკითხა.

— გენატრება, მერე თქვენ რა? მიყვარს, მერე თქვენ რა?

— დაწყნარდი, დაწყნარდი. შენ რომ არ მოთხრას, ისედაც ვიცი.

— მაშ ასე. ანდრო კანკიას არ ვიცნობ. მანქანაში ჩემს გვერდით არავინ მჭდარა და მანანა მიყვარს. კიდევ რა გსურს გაიგო?

მეტე არაფერი.

— მე უნდა წავიდე. ბევრი საქმე მაქვს.

— ჯაბა, ნუ გავიწყდება, რომ შენ პატიმარი ხარ და თე...

— და თქვენ შეგიძლიათ უოველთვის გამომიძახოთ, დამკითხოთ, მაგრამ მე მაქვს უფლება, არ გიპასუხოთ.

— კარგი, დავამთავროთ. აღარ დაგაკავებთ. ხვალ გეგეს უნდა ვეახლო სახლში, საქმე მაქვს, ალბათ მანანას ვნახავ, რა გადავსცე?

— არაფერი. მე წერილები მომდის მისგან.

— მოგდის? საინტერესოა. მკაცრი კაცი ხარ ჯაბა ერისთავო. გეგესგანაც ხომ არ იღებ წერილებს?

— არა, მანანასგან ვიღებ.

— კარგი. წადი, მაგრამ იცოდე, ჩვენ სულ მალე შეხვდებით. მაშინ კი არ დაგიშვებ, მაშინ მოგთხოვ, გიბრძანებ...

გუნებაამღვრეული დაბრუნდა სამქროში, ტყუილად არ მოვიდა მთვარამე. მან რაღაც იცნოს, რაღაც დაუნოს. რა უნდა მანანასთან, რატომ არის დაინტერესებული მანანასა და მისი ურთიერთობით? განსაკუთრებით აღნიშნა: მანანა არ გენატრება? მერე რა ჰქნას პატიმარმა, ქვას ახლოს თავი? ენატრება! არც წერილი მოსდის მისგან და არც მყოფობა.

ექვსი თვე მასზე ფიქრში აქვს გატარებული. მთელი დღე გარინდული იჯდა თავის სამუშაო ოთახში, არავის ხმას არ სცემდა, სტუდენტი გაბრაზებულია და ახლოს არავინ ეკარებოდა. ბოლოს აბრია იხმო და საიდუმლო გაანდო.

— უნდა გავიქცე.

ამის გაგონებაზე აბრია ადგილზე ჩაიკეცა.

— ჰო, ისეა საქმე. უნდა გავიქცე, მხოლოდ რამდენიმე საათით. ერთი ვინმე უნდა ვნახო და მოვლად.

— უნდა მოვლად?

— არა. მხოლოდ უნდა ვნახო, გავიგო მისი ამბავი, გავიგო, რა ხდება ჩემს თავს.

— არა, შვილო, ეგ რამ გავფიქრებინა. მალე სულ გაგათავისუფლებენ. უნდა მოითმინო, თავს რად ილუპავ.

— შეგიძლიათ თუ არა დამესმარო? თქვა. ახლა მჭირდება კაცი.

— არა, შვილო, ეგ დასმარება არ არის. ეგ კაცი დალუპავა.

— მაშ რა ვქნა, რა? თანახმა ვარ კიდევ ქვესი თვით, ერთი წლით გამიზარდონ სასჯელი, ოღონდ რამდენიმე საათით გამათავისუფლონ.

მეორე დღით პოლკოვნიკმა უღენტმა სამქროები დათვალა. სადურგლო სამქროში ჯაბა მოიკითხა, ავად არისო, უთხრეს. მის მავიერ ეს მუშაობსო, მიუთითეს აბრიაზე. სიკო მთვარაძის წახვლის შემდეგ ჯაბას ურულო დააწყებინა, შემდეგ თითები მოეკრუნნა და ვერ გაშალა, აბრიას უთხრა, სიკვდილი მიახ-

ირბაძლი უგულუბა  
მსხვირაძლი

ლოდგება და ექიმამდე მიმავალიყო. საღამოს სიცხე მისცა, სხეული ეწვოდა, ბორგავდა, ბო-  
დავდა...

ერთი კვირა იწვა საავადმყოფოში. აბრიაც მოდიოდა სანახავად და მისი ბრიგადის წევ-  
რებიც. თვითუფს მუგობრული დიმილით აცი-  
ლებდა. არც ერთს არ ეკითხებოდა წერილი  
თუ მოვიდა, ან ვინმემ თუ მიკითხაო. რაღაც  
გაღწევითილება მიღებულია ჰქონდა და ახლა  
გამოჩანმრთებლას ელოდა.

უღენტი მკაცრი კაცი იყო. შრომა-გასწორე-  
ბის კოლონიის შინაგანაწესის ზედმწვენი  
იყავდა. არავის არაფერს აპატიებდა. მაგრამ  
ზოგიერთის გამოჩნდაც უყვარდა. როგორც კი  
ჭაბას ავადმყოფობის ამბავი გაიგო, იწო-  
ლატორში მიაკითხა. გატანჯული სახე ჰქონდა  
პატიმარს, შეეცოდა, დაუყვავა.

— რა იყო, გაცივდი?

— ალბათ, უფროსო.

— მუშაობა გიჭირს?

— არა.

— სხვაგან გადაგიყვან.

— თქვენი ნებაა.

— კვირაში სამჯერ რკინიგზის სადგურში  
ჩვენი საწარმოო კომბინატის ნედლეულით და-  
ტვირთული ოთხი ვაგონი ჩამოდგება ხოლმე.  
ვინც გაუშვი ზედამხედველად, არ გამოდგა. ან  
თვითონ მოიპარა, ან თავისი დოკლამობით  
სხვას მისცა მოპარვის საშუალება. ერთი სიტუ-  
ვით, აქაც, შრომა-გასწორების კოლონიაშიც  
იპარავენ. ეს საქმე შენ უნდა მოგანდო. უჩა-  
ლი ხარ, გიჭირებენ, ეშინიათ კიდეც შენი. რაც  
მთავარია, კოლონიის გარეთ გასვლის უფლე-  
ბა გექნება. მე გენდობი, ნდობა ბოროტად არ  
გამოიყენო, დაბიდან არსად წახვიდე, როდის  
გამოგწერენ?

— ალბათ, ზეგ.

— ჰო და, ზეგადან დაიწყო.

საღამოს აბრიაც ინახულა ჭაბა. როდესაც მი-  
სი სხვა სამუშაოზე გადაყვანის ამბავი გაიგო,  
ფრიალ გაიხარა.

— აი ეს საქმეა. — თქვა ბრაკონიერი. —  
ახლა უველაფრის გაცეთება შეიძლება, ახლა მე  
მაცალი.

ორი დღის შემდეგ ჭაბამ ოცდაათი პა-  
ტიმარი გაიყვანა კოლონიიდან.

შემოდგომის პირი იყო. დაბას ეძინა.

მსუფუქედ მიიბიჯებდა ტროტუარზე, ექვსი  
თვეა, პირქუში ბარაკებისა და საღურგლო სა-  
ამქროს მეტი არაფერი ენახა. ხარბად ათვლი-  
ერებდა მიღამოს, ხმაბლლა კითხულობდა აბ-  
რებზე წარწერებს...

ბაქანზე ვაგონები ჩამომდგარი დახვდა. ხა-  
ლბი გაანაწილა, თავისი მოადგილეები დანიშნა-  
და გადმოტვირთვა დაიწყო. თორმეტე საათისა-  
თვის ბაქანი გაივსო ყუთებით. ახლა საბარგო  
მანქანები გამოიძახა და მთელი საქონელი უკ-  
ლებლივ ჩააბარა საწყობს.

საღამოს ცხრა საათამდე თავისუფალი იყო  
შეძლო დაბაში ენეტიალა, ესეირნა ბარკში,  
შესუფლიყო კინოში...

მაგრამ მას სხვა გეგმა ჰქონდა. მისი  
ფოსტაში შევიდა და თბილისი შეუკეთა:  
გული აუტვინდა, როდესაც სარკმლიდან გოგო-  
ნამ გამოსძახა მესამე ჭიხურში შედიო.

— გამშენთ! — გაიგონა კაცის ხმა.

ეს გეგე არ იყო.

— მანანას სთხოვეთ! — ჩახახა მიკროფონ-  
ში.

— ვინ ხართ, როგორ გადავცი?

— უთხარი, რომ ჭაბა თხოვს.

ხუთი წუთი ხუთ საუკუნედ მოეჩვენა.

ხმას არავინ იღებდა.

სარკმლიდან გოგონამ გამოსძახა, დრო გა-  
თვდაო.

კიდეც შეუკეთა თბილისი.

ახლა საერთოდ არავინ გასცა ხმა. ამაოდ  
ყვიროდა, თბილისია? ჩალაძის ბინაა? ადო,  
ალო!...

იმ საღამოს აბრიაც უთხრა:

— ჩემი ნათესავი თავისი მანქანით დაგხდე-  
ბა სადგურთან, შეიღ საათზე. ათ საათზე უკან  
უნდა დაბრუნდეს. რას იტყვი, წაჰყვები?

— წაჰყვები. მეტი დრო არ მჭირდება.

## 9

ბარათაშვილის ხილთან მანქანა გაჩერდა.

— ჩვენი ძმა, ბევრს ნუ იხეტიალებთ. —  
გაღმოსძახა შოფერმა კაბინიდან.

— ფიქრი ნუ გაქვს. სრულ ცხრა საათზე აქ  
ვიქნები.

სანაპიროზე ჰადრებს ფოთლები სცივიაო.

მეზოვეები ერთად აქუჩებდნენ მათ და ცე-  
ცხლს უკიდებდნენ. ნაცრისფერი ბოლი აქა-იქ  
სვეტივით აღმართულიყო.

ქვის მოაჯირს დაეყრდნო და წულის მოკრა-  
ლებულ ზედამირს დააქერდა. იყო ერთხანს  
ასე. დრმაღ სუნთქავდა; სიცვიის მიუხედავად,  
სიამოვნებით გადახტებოდა წყალში, გაწვებო-  
და გულალმა და გაჰყვებოდა დინებას. ცას მია-  
პურობდა თვალებს და იცნებებდა, როგორც  
ამის აკეთებდა წინათ.

რესტორანს არავის რომ გასცდა, ორი მილი-  
ციელი დალანდა, მისკენ მოდიოდნენ სწრაფი  
ნაბიჯით. წამით შედგა, ვაი. თუ, მის დასაქე-  
რად მოდიან, უკვე გაიგეს მისი გაქცევა; გან-  
გაში გამოცხადდა კოლონიაში. აი ისინი სულ  
ახლოს მოვიდნენ. მაგრამ... გვერდი აუქციეს  
და თავის გზით წავიდნენ.

შვებით ამოისუნთქა. სახლამდე ვინმეს არ  
გადავეყარო, გაიფიქრა და ნაბიჯს უმატა.

ქალაქს ჯერ კიდეც ეძინა.

მღეთის ქუჩაზე რომ მოუხვია, გული აუქ-  
გერდა, თითქოს ყელში მოეჭინა. ხეს მიყურდ-  
ნო. მეთაე ნომერი სულ ახლო იყო.

ანაწდეულად უკან მოახდდა.





მეზღვე კორას ცოცხლი გაედო მხარზე და მოხაზბაჯებდა. იგი აუცილებლად იცნობდა ჯაბას და სიხარულისგან ცხენივით აჭიხინდებოდა, ან შეიძლება, უფირილი აეტეხა, პატიმარი გამოქცეულაო, ვინ იცის?

ნაბიჯი გადადგა. თავისი ეწოს ქიშკარს რომ მიუახლოვდა, ისევ აუჭკურდა გული. ცარციით ნაწერი შერჩენოდა თუნუქს, ქარსა და წვიმას ვერ წაეშალა საგულდაგულოდ გამოუყანილი ასობები. ამის დრო არ ჰქონდა, მაგრამ მაინც ჩაიკითხა ბოლო სტრიქონი — „შენ წახვედი, მწეცა წავალი, ვარდიც დაქვებუა უოილი“.

კარი შეიხინდან იყო დაკეტილი. დაბრახუნება ვერ გახდებდა. რად გუელვიძებინა ბერეკაცი. ამ კედელზე ბევრჯერ გადამძვრალა, როდესაც დაგვიანებით მისულა შინ.

თვალით დაწვერა იქაურობა — ქუჩაში სულიერის ქვაანება არ იყო.

დაუოვნება არ შეიძლებოდა. გამოცდილი ალპინისტისთვის აცოცდა კედელზე, ვადალაქა, შემდეგ ხის ტოტს ჩამოეკონწიალა და ძირს ჩახტა.

ეწოში ავტომანქანა არ ჩანდა. ეს უცბად ეცა თვალში. ეუცხოვა იქაურობა. აივნის ქვეშ უკავილნარი გაუშენებიათ, ნაჭის ბუჩქები დაურგიათ, ბებერი ცაცხვი მოუჭრიათ, კოლას დადგმული სკამი და მაგიდა აღუდიათ. პატარა ეწო თითქოს გარდაიღია, მშით ვავსებულა.

ფრთხილად წავიდა თავისი ოთახისაკენ. ათაოდე ნაბიჯიც კი არ ჰქონდა გადადგმული, რომ შეჩერდა, უცნაური რამ შენიშნა — მისი ოთახის ფანჯრები სადღაც გამქრალიყო, მის მაგიერ ერთი დიდი კარი შეებათ. ახლოს მივიდა, დაეჭაჭვრა, ვალეხა სცადა. მაგრამ ვერაფერი გააწყო. შემდეგ ქუქურტანა მოკებნა და შიგ შეიხედა — მის ოთახში ავტომანქანა იდგა. ტუჩი მოიკენიდა — გაახსენდა გეგვს ნათქვამი ძის ოთახის ვარაუდ გადაკეთების თაობაზე. მამ გეგვს შეუსრულებია თავისი გულის წადილი.

ახლა კოლა გიორგაძის ოთახის კარს მიადგა. აქაც სიახლედ: კოლას ოთახის ფარდალადა კარის მაგიერ მუხის, დარკინული შიშივე კარი შეუბამით, მიმდებარე კედლებით სიძებით ამოუშენებიათ. სად არის კოლა ძია? რად არის აქ გამეფებული ასეთი ამაზრზენი სიჩუმე? თითქოს უდაბნოში უოფილიყო, თითქოს ამ ეწოში, ამ სახლში, თავის დღეში არავის ეცხოვროს.

აივანზე ახლა დააპირა, მაგრამ შეჩერდა, მოაგონდა ბიძია პორფირე. იქნებ ის მაინც იყოს სახლში, გაიფიქრა და ახლა მის კარზე დააკაკუნა.

— ვინ არის? — მოესმა ხმა.  
— მე ვარ, ჯაბა, ბიძია პორფირე, გამიღე კარი.

კარი გაიღო და საცვლებს აშარა პორფირე გამოჩნდა. ნაშინარევა მოხუცმა თვალემა

მოიფშვინდა. განცვიფრებინან ხმა ვერ ამოიღო.

— ბიძია პორფირე... ვერ მიცნე?  
— ჯაბუკა, ქვე შენა ხარ? შემოდი ჩქარა. — თქვა და ჯაბა ოთახში შემოაგდო, შემდეგ ეწო დაათვალიერა და კარი ჩაკეტა.

— ბიჭო, გამოიქციე? ვა, შე კაცო, რავა გაბედე მაგი? მარა ნუ გეწინია, შვილო, დაგმაღავ. დღესვე რაქაში გაგმშვებ დისწულთან, იქ ეშმაკიც ვერ მოგაქმნის.

— გადლობთ, ბიძია პორფირე, კოლა სად არის?

— კოლა, შვილო, ქვე მოკვდა. კარგად დავახალავეთ. ისეთი შილაფლავი მოგხარე...

ჯაბას ცრემლი მოადგა თვალზე.  
— მე არ მახსენა? — თქვა მცირე პაუზას შემდეგ.

— გახსენა, შვილო, რავა არ გახსენა. შემნახველი სალაროს წიგნაკიც დაგიტოვა. ციხიდან რომ გამოვა, ხელმოკლედ იქნება და მოისმაროსო, დამიბარა.

— რატომ არის მისი ოთახი დაკეტილი?

— ცხოველული კოლა რომ დავახალავებო, მეორე დღეს გეგემ მისი ბარგი კორას გაატანა. მერე იატაკი აყარა. ახალი მიწა მოიტანა და ქურები ჩაყარა, ღვინო ჩაახსა. მუხის ტახლა და ჯორკოები გააკეთებინა. ბუხარი ამოაშენა, უახლებიდან სიძები ჩამოატანინა.

— მამ, გეგემ თავისი თავის გეგმა შეასრულა, ჩემს ოთახში ვარაუდ გაიკეთა, კოლას ოთახში — მარანი. სახლს მთლიანად დაეუფლა, მოიწყო სრა-სასახლედ. ჩემი კვალი წაშალა, არ მელოდა? ცოცხლად დამმარხა? — თქვა გაბოროტებულმა და კარი გამოაღო.

— ჯაბუკა, შვილო, ცოტუნუკა მერეცადე, დაწუნარდი და მერე ადი.

— გამიშვი, პორფირე ბიძია, ამაზე მეტი რა უნდა გავიგო? გამიშვი, მანანას ვნახავ, სულ ერთი საათი დრო მაქვს, მერე უკან უნდა დავბრუნდე, გამიშვი.

— დაეჭერებინა, ბიჭო.  
— არა. გამიშვი.

— მოხუცი გზიდან ჩამოაშორა და ეწოში გავიდა.

ფეხაქრებით აუყვა კიბეს. პირველ ოთახს რომ ჩაუარა, ძლიერი ხერხინვა შემოესმა. ეს გეგვს იქნა. ბედნერი კაცი იყო. ყველა საქმე მოგვარებულად ჰქონდა, ალბათ საამო სიზმრებს ხედავდა, სრულდებოდა არ ნაფლგობდა ჯაბას ბედზე. საბანკეტო ოთახის კარი ღია იყო. აულაგებელი სუფრა მოჩანდა. ეხეც მანანას ოთახში!

კარი ღრიჭოდ იყო დატოვებული. რამდენჯერ მდგარა ამ კართან მისი იმედი, რომ როგორმე მანანას სუნთქვა მოესმინა. ახლაც აქ

ირბაქლი უგულავა მსხმირალი

იდა, მაგრამ შესვლას ვერ ბედავდა, მუხლები უკანალებდა.

ბოლოს გაბედა...

მანანა ვიღაც კაცთან იწვა. თავი მის მკერდზე დაედო და ნებიერად ეძინა.

წაბარბავდა...

სკამს დაეურდნო რომ არ წაქცეულიყო.

მაშ ამიტომ დაივიწყა? მოიძულა, მიატოვა...

თავს ძალა დაატანა, რამდენიმე ნაბიჯი გადა-  
იდა და გარჩია: ის ვიღაცა, ანდრო კანკიას  
შვილი, ჭუანშიერი იყო.

რა ქნას ახლა მან? სკამი ჩასცხოს ორივეს  
თავში? არა, ჭერ გეგეს უნდა მოელაპარაკოს,  
იმან უნდა გასცეს პასუხი ყველაფერზე.

გეგე კი ხვრინავდა... პირაღმა იწვა და ხრი-  
ლებდა მომკვდავივით. არც მისი საწოლის კა-  
რი იყო დაეკტილი. ვისთვის უნდა დაეშო კა-  
რი? მის ცხენ-სიმაგრეში ხომ ჩიტიც ვერ გადა-  
ფრინდებოდა? ერთ ხანს უყურა გეგეს, რო-  
მელსაც ტუჩებზე დუფი მოსდგომოდა, მკერდი  
საბერველივით ებერებოდა, ქშინავდა. შემდეგ  
მძინარემ თითქმის იგრძნო გამკვალავი მხერა  
უცხო კაცისა, შეიშმუნა, გადაბრუნდა და შე-  
ზარავი ხვრინა შეწყვიტა.

— გეგე! — დაიძახა ჭაბამ.

მძინარე შეერთა, შეტოვდა, მაგრამ არ გა-  
ღობრუნებულა.

— გეგე! — ისევე გაისმა ხმა.

გეგე გაღმობრუნდა. უაზროდ იცქირებოდა  
აქეთ-იქით, ვერ გაერკვა, სად იყო, ან ვინ ადგა  
თავს.

— გეგე! ვერ მიცანი?

ახლა კი მიხვდა ყველაფერს. უცებ კედლი-  
კენ მიჩოჩდა, ფეხები ლოგინზე აკრიფა, მოი-  
კუნტა.

— ვინ ხარ? — იკითხა მანძი.

— ვერ მიცანი?

— ჭაბა ხარ, ბიჭო, გამოგეშვებს?

— არა.

— აბა, გამოიქეცი?

— ჰო.

— როგორ გაბედე, დანაშაულს კიდევ დანა-  
შაულს უშატებ?

— მე ჩემს სახლში მოვედი. აბა, ამაზე რას  
იტყვი?

— შე კაცო, მაგაზე წუხარ? შენ სასჯელი  
დაამთავრე და ისეთ ბინაში შეგასახლებ, რომ  
შენი მოწონებული.

— მეტი არაფერი?

— მეტი რა გინდა, ბინას გიშოვნის, ავეჯს  
მოგცემ, თუ დაგვირდება ფულსაც მოგცემ.

— მეტი არაფერი?

— მეტი რა გინდა, ბიჭო?

— მანანასთან ვინ წევს?

— ჰოო, ეგრე გეუბნა, შე კაცო. ვინ და  
მისი ქმარი.

— შე ვინდა ვარ?

— შენ... — ენა დაეხა გეგეს.

— ჰო მე. დამილოცინხართო, ხომ გახსოვს.

— როგორ? შენ მართლა მიპირებდი-სიმე-  
ბას?

— მაშ რა გეგონა?

— კაი ახლა, თუ კაცი ხარ. მაველები რაღა-  
ცას თამაშობდით, აქ რა მოსატანია. შენ მანა-  
ნას შესაფერი არა ხარ.

— რატომ? რითი ვარ დასაწუნი სიძე.

— არა, ბიჭად ბიჭი კარგი ხარ, მაგრამ...

— ლატაკი ვარ, არა? ამას როდის მიხვდი,  
შენს მაგიერ მე რომ ჩავგეტი, მაშინ?

— ჩაგეტი... რა მოხდა მერე. წლები გა-  
მავლობაში ჩემს პურს ქაბად, ჩემს ფულს ხარ-  
ჭავდი, სამადლოდ გინახავდი. რა მოხდა მერე.  
ამაგს ვადახდა ხომ უნდოდა. მერე, გენაცვალე,  
ვექილი ფული დამიჭადა, მოსამართლე ფული  
დამიჭადა. აბა, შენ რა გეგონა?

— მე რომ ახლა ყველაფერი კანაცხადო?

გეგეს სიცილი აუტყდა.

— კაი ერთი, თუ კაცი ხარ. ვინ დაგიჭერებს.

ახლა თვითონ მილიცია და სასამართლო ეცდე-  
ბა, თავიანთი მოკვლეული მასალა დაიცვან,  
ვინ დაგიჭერებს. ცილისწამებაში დაგდებენ  
ბრალს და სასჯელს მოგიმატებენ.

— აბა არ უოფილა საშველი, სამართალი,  
აბა ეს ქვეყანა ჩაღი უოფილა დასურული.

— ასეა, ბიძაო, ასე. წადი საიდანაც მოსულ-  
ხარ, თორემ მილიციას შევატყობინებ.

ჭაბას მშვილობიანმა კილომ გეგე გაათამაშა,  
ლოგინიდან ადგა, წელში გასწორდა. ჭერ გან-  
მკლავი გააკეთა, შემდეგ ზემკლავი, შეხტა კი-  
დეც ადგილზე. ისე იქცეოდა, თითქმის ჭაბა იქ  
არც უოფილიყო.

— წავალ ახლა, აბაზანას მივიღებ. — თქვა  
გეგემ. — შენ რას იზამ?

— ნუ აჩქარდები. გეგე ბატონო, ვიდრე აბა-  
ზანას მივიღებდე, ჩვენ ანგარიშები უნდა გვა-  
სწორით ერთმანეთში.

— მოკვლია ერთი! — თქვა გეგემ და ხე-  
ლი აუქნია ზოზლით.

ჭაბა აენტო, ის იყო უნდა ლატაკებოდა  
გეგეს, რომ კარი გაიღო და ოთახში ღამის პე-  
რანგის ამარა მანანა შემოვარდა.


გეგეს არ ესიამოვნა თავისი ქალიშვილის და-  
ნახვა და შეუღრინა:

— რას მოხვედი, წადი, შენს საქმეს მიხედე.

— არა. აქ დარჩი, შენც საჭირო ხარ.

— ჭაბა, თუ გიუვარკობ, ხმაურს ნუ ასტენ,  
მეზობლები გაიგებენ...

— რას? — თქვა მწარე ღმილით ჭაბამ —  
რას? — გაიმეორა მან. — თქვენ უოველთვას  
ასე იქცეოდით, სახლიდან ნავის გატანისა გე-  
შინოდით. ახლაც გეშინიათ, გაოგონ, თუ როგორ  
მოატყუეთ ახლგაზრდა კაცი? როგორ გასწი-  
რეთ იგი საკუთარი ოჯახის ბედნიერებისათვის?  
მოდი აქ, მოდი-მეთქი. — უუვირა და სავარ-  
ძელში ძალით დახვდა. — აქ იჯექი და ხმა არ  
ამოიღო.



— რას აპირებ, ბიჭო!

— უნდა გამოგემშვიდოლო, შენს მაგიერ მოსახდელი კიდეც რამდენიმე თვე დამრჩა.

— თავს ნუ იგდებ, — სცადა შემინება გეგემ და რამდენიმე ნაბიჯიც კი გადადგა მისკენ. — ვინ გგონივარ მე. აბა გაბედე!

სიტყვის დამთავრება არ დასცალდა. ჭაბამ მარცხენა ხელი შეაგება. გეგე წაბარბაცდა. ახლა მარჯვენა ხელი თხლიშა სახეში. გეგე გაიხილართა იატაკზე. მანანამ შეჰკვივლა და სახეზე ხელები აიფარა. ჭაბა კი შეუბრალებლად უბრაგუნებდა გეგეს, რომელსაც უკვე თქრიალით სდიოდა სისხლი ცხვირ-პირიდან. იგი ღმუროდა, კვნესოდა, ეხვეწებოდა ეცმარა მისთვის სასტელი, ათას რამეს ჰპირდებოდა, მაგრამ გონდაკარგულს არ ენსმოდა მისი მუდარა.

ბოლოს მოეშვა სისხლით დათხვრილს.

— მიხედე მამაშენს. ექიმს არ გამოუძახო, შენ თვითონ მოუარე. — უთხრა მანანას და კარი გამოაღო. გამოაღო და ჭუნანერს შეეჩეხა. ხმაურს გაედევებინა სიძე ბატონი, ისიც აპბის გასაგებად გამოსულიყო.

— რა მოხდა? — ჰკითხა ჭაბას ანგარიშმიუცემლად.

— შენი სიმაპრი თავს სუსტად გრძნობს, მიეშველე.

ბარბაცით ჩავიდა ეწოში...

ერთ წუთს მის თვალწინ გაიქროლა მისი ხანმოკლე ცხოვრების რამდენიმე სურათმა, გაიქროლა და ატირდა ვაჟკაცი, რატომ ისარგებლეთ ადამიანებმა მისი მიმდღობი, უანგარო გულთს, რად მოატყუეს ასე უსინდისოდ, რად დაასხეს თავს ლაფი?

გესმით ხალხო!

ქალაქში მგელი დადის! იგი არ გიკბენთ, შენი არც ძვალი უნდა და არც ხორცი. არა! იგი განსაკუთრებული ჭიშის მგელია. იგი გესლავს ადამიანებს, სულში ეძვრება. კარს დახურავთ და ფანჯარიდან შემოვა, ფანჯარას დახურავთ და ქუქურტანიდან შემოძვრება.

გესმით, ხალხო!

ამოქოლეთ, ამოყორეთ, ამოლესეთ ყველა გასაძრომ-გამოსაძრომი, ოჯახში არ შემოუშვათ, თორემ დაგჯახნით ყველაფრით. იგი მაძლარია, მდიდარია, ოქროთი, ლალით და ფირუშითაა შემკული. მას ჩვენი ქონება არ უნდა, მას ჩვენი სულბით უნდა, რათა გახბრწნას, დაარღვიოს, დაშლოს, აშალოს, წაშალოს და მერე დაჯდეს და იხიხითოს, იხიხითოს, იხიხითოს.

ხალხო! მგელი დადის ქალაქში!

განერიდეთ! გზა ჩაუხერგეთ, დაჰკარიოთ! შლეგიანივით გამოვარდა ეწოდან და სირბილით გაუყვა ქუჩას.

— ჭაბა! — მოესმა ზურგიდან.

ვინ უნდა მოსდევდეს? გეგე თუ ჭუნანერი? პორფირებს ხმა არ არის. მოიხედლოს თუ გაიციცეს?

— ჭაბა, მომიცადე. — მოესმა კიდეც.

მოიხედა.

მის წინ ლეიტენანტი სიკო მთვარაძე იდგა. ასე არ არის, ესეც გეგეს მიაყოლოს, ერთი მაგრად მიბეგვოს და რაც მოხდება, მოხდება.

— რა გინდა, რას დამდეგ აჩრდილივით, შენი... — თქვა და მუშტმოდერებული გაქანა.

— გონს მოდი, — თქვა სიკომ. — დაუშვი ხელი! ხომ ხედავ, არ გერჩი. აი ასე, სად იყავი, ვიცი, ახლა მოვითხოვ მითხრა, სად მიდიხარ?

— საიდანაც წამოვედი, იქ მივდივარ. მანქანა მელოდება ბარათაშვილის ხიდთან.

— ძალიან კარგი, მე მიგუყვან, აი ჩემი მანქანა! აქ დაქექი, საქესთან.

თვითონ მანქანას შემოუარა, მარჯვენა კარი გამოაღო და ჭაბას გვერდით მოთავსდა.

— აბა სანამ დავიძვრებოდეთ, მითხარი, აქ რა ჰქენი?

— მაგრად მივბეგვე.

— მტრი არაფერი?

— არა.

— მამა ვაცხოწე შენი. აბა წავიდე, მიდი: — ჭაბამ ხელები დაადო საქეს.

— დასძარი, გავვიანდებ.

იგი უძრავად იჯდა.

— არ გესმის, წავიდე.

მერე როგორ? მან ხომ მართვა არ იცის. არ იცის! ხუთი წელიწადი იდგა გეგეს მანქანა ეწოში და ერთხელაც არ აღძვრია სურვილი, ეწავლა მართვა! ახლა რა უპასუხოს სიკოა? — მართვა არ ვიცი. — ამოიხრიალა, როგორც იქნა.

— როგორ, მანქანის მართვა არ იცი?

— არა.

ორივე დიდხანს სდუმდა.

— აი საიდან უნდა დაეწყო ლაბაძეს საქმე! — თქვა ბოლოს სიკომ. — ადამიანს ავტოვარისათვის მიუსაჯეს და არავის მოფიქრებია შეემოწმებინა, იცოდა თუ არა ავტომანქანის მართვა. არაფერში ეჭვი არ შეპარვიათ. ლაბაძემ შენი საქმე მიაფურჩინა. თევზაძემ ნაადრევად მოახსენა მინისტრს დამნაშავეის შეპყრობის თაობაზე და ამით გათავდა ყველაფერი. ადამიანის ბედი ყველამ ფეხზე დაიკიდა. გამოიწი აქეთ.

სიკომ მანქანა დაძრა.

— კოლონიაში ხომ არ გაიგეს ჩემი წამოსვლა?

— არა. ხანაპიროზე შეგამჩნიე და აგედევნე.

— რატომ არ დამაკავე?

— შენ ხომ მანანას სანახავად მიდიოდი.

— კარგი რამეც ვნახე.

— ყველაფერი ვიცი, ახლა რას აპირებ?

— ვფიქრობ ღაჭურრო ჩემი თავგადასავალი, პატივმა ვითხოვო.

— შენი სასამართლოს შემდეგ მე გეგეს დავ-

ირაკლი უგულავა მსხმერპლი

დევ. ვიკლევ მის პიროვნებას, ბევრი რამ და-  
ვადგინე. ბევრი კი თვითონ განვსაზღვრე, ალ-  
ბათ ასე უნდა მომხდარიყო. გამომართვი. თუ  
ალსარებას წერ, გეგვს გვერდს ვერ აუვლი.

- გმადლობ.
- ახლა მინც მოთხარი, ვინ არის სქელი კა-  
ცი, წინ ჩამოყრილი შავი თმა რომ აქვს?
- არ ციცი. მანქანაში მე არ ვმჯდარვარ.
- მაშ...  
— გეგე!

ბარათაშვილის ხილთან საბარგო მანქანა იც-  
დიდა.

ჭაბამ მადლობა გადაუხადა სიყოს.  
რკინიგზის სადგურში ვაკონების გაღმობტირ-  
თვა გრძელდებოდა. აბრამ მის დანახვაზე ულ-  
ვაშებში ჩაივინა, თვალი ჩაუტყრა, ანიშნა, ყვე-  
ლაფერი რიგზეაო.

ნაშუადღევს კოლონიის უფროსს, პოლკოვნიკ  
შენტის სთხოვა რამდენიმე წუთი დეთმო მის-  
თვის.

- აბა რას მეტყვი? — ჰკითხა მან.
- ყველაფერი უნდა ვაღიარო.
- რა უნდა აღიარო? — გაიკვირვა შენტ-  
მა, — რამე ხომ არ მოხდა?
- ჭაბამ მოკლედ უამბო ყველაფერი.
- როდის გაიგე?
- დღეს დილით.

ახლა ის უამბო, როგორ ჩავიდა ქალაქში,  
როგორ დაადგა თავს მძინარე გეგესა და მა-  
ნანას.

— ასე იყოს. აღიარება არასოდეს არ არის  
გვიან. რას მოითხოვ ჩემგან?

— ორი დღით გამათავისუფლეთ სამუშაო-  
დან. საწერი ბევრი მაქვს.

— რომანს ხომ არ თხვავ? — სცადა გახუმ-  
რება უფროსმა.

— არა, ყველაფერი უნდა ვამცნო შინაგან  
საქმეთა მინისტრს.

— კარგი, ნებას გაძლევ. შენს მაგიერ კაცო  
შეარჩიე, საქმე არ ჩავარდეს.

10

შინაგან საქმეთა მინისტრს!  
უმორჩილებად გთხოვთ ეს წერილი თავიდან  
ბოლომდე წაიკითხოთ.

სამუშაოზე დასვ, ასე ზღედა ხოლმე: უფროსის  
თანაშემწე კანცელარიიდან მიღებულ კორეს-  
პონდენციებს ზერეულად გადააუღებს თვალს,  
მიხაზ-მოხაზავს წითელი ფანქრით და უფროსს  
შეუტანს. უფროსი, როგორც ყოველთვის, და-  
დლილია, ხალ აქვს გრძელი განცხადებების კი-  
თხვის თავი, ამიტომ თანაშემწეს ეკითხება  
გულგრილად, რა უნდა? ისიც ოფლის ღვრიო  
ნაწერს ორიოდ სიტყვით მოუყვება, უფრო-  
სიც ორიოდ სიტყვას დააწერს და იწყებს იმ  
უბედური კაცის განცხადება ზეტიალს.

ღიას, ასეა, ამიტომ, იძულებული ვარ, ამ აღ-  
სარებას (და არა განცხადებას) ასეთი თავხედუ-

რი შესავალი გავეუბნოთ — უმორჩილებად  
გთხოვთ, ბოლომდე წაიკითხოთ.

მე ოცდაერთი წლის კაცი ვარ. რა ჩავლი-  
ნე და რისთვის ვინილი სახელს, ამ აღსა-  
რებაში ამოიკითხავთ. ახლა, როდესაც ყველა-  
ფერი გამშლავნდა, მრცხენია ჩემს საქციელის,  
მაშინ კი მეგონა, გმირობას ჩავლიოდი, რადგან  
ურმოზიდან შევნატროდი ცოტნე დადიანს, იუ-  
რი გავაჩინს... ღამეები მითენებია იმაზე მსჯე-  
ლობით, თუ რა არის გმირობა, ვინ არის გმი-  
რი!

ერთხელ სკოლაში განგაში გამოცხადდა. მე-  
ოთხე სართულზე, ქიმიის კაბინეტში ცეცხლი  
გაჩნდაო, გავიქეცი. კუპრით შევი ბოლი გა-  
მოლიოდა კარიდან. დაუფიქრებლად შევევარი  
შიგ და ერთი მეორეზე გამოვიყვანე გულწასუ-  
ლი, ბოლისგან გაბრუებული გოგოები. შემდეგ  
სხვებმაც მომბაძეს და ვიდრე სახანძრო რაზმა  
მოვიღოდა, ხანძარი ჩავაქრეთ.

„ჭაბა ჩვენი გმირია!“ ასეთი ანშლავით გამო-  
ვიდა კედლის გაზეთი, სკოლის დირექციამ და  
სახანძრო რაზმის რაიონულმა განყოფილებამ  
სიგელებით დამაჩილდოვეს.

იმ დღეს მეგონა, მთელმა რესპუბლიკამ  
იცოლა ჩემი გმირობის ამბავი. მიხაროდა, ვამა-  
ყობდი. მაგრამ მეტად მძიმე ყოფილა გმირის  
ტვირთი და ეს სიმძიმე მაშინ ვიგრძენი, როდეს-  
აც ცხოვრების დიდ სარბიელზე გამოვედი.

გმირი წინათ ღმერთკაცად მიანდთ, მასზე  
თხზავდნენ ლექსებს, პოემებს, ლეგენდებს. ახ-  
ლა კი მას სხვადასხვაანარად უყურებენ. უმ-  
რავლესობა, რასაკვირველია, გმირს ისევ გმი-  
რად თვლის და ესახელება, მაგრამ გაჩნდა ამ-  
ზოგადოების ერთი ფენა, რომელიც გმირს  
გულუბრყვილო ადამიანად, არამითხე მოამბედ  
მიჩნევს. არიან აგრეთვე ისეთებიც, რომლებიც  
გმირს სულელად თვლიან, ხოლო გმირობას —  
სისულელედ. და თუ ახლაგაზრდას სურს თავისი  
ცხოვრება კეთილისინდისიერად განვლოს, ამ  
ადამიანების გამოცნობა უნდა შეძლოს. თუ  
არა აქვს ამის უნარი და ყველა ენდობა, მაშინ  
გმირობა გვერდზე დარჩება და ჩემსავით შრო-  
მა-გამასწორებელ კოლონიაში ამოყოფს თავს.

ახლა ვამთავრებ თეორიულ მსჯელობას და  
მოგივთხოვთ, როგორ აღმოჩნდა საბარლდებ-  
ლო საქმეზე ჭაბა ერისთავი.

ტრაგედიაში, რომელსაც შეიძლება „პირობი-  
თად „მოტუებული, შეგინებული, თავლაფდა-  
სხმული“ ვუწოდოთ, სამი მოქმედი პირია: გეგე  
ჩალაძე, მანანა ჩალაძე და მე — ჭაბა ერისთავი.

პატრიცეუმული მინისტრო, იმისათვის, რომ  
თქვენი გონება არ დავალლო და მომხდარი ამ-  
ბის ანალოგ გავაადვილოთ, ცალ-ცალკე დაგი-  
ხასიათებთ თითოეულს.

გეგე ჩალაძეს დახასიათებაში დიდად დამეხ-  
მარა თქვენი მუშაკის ლეიტენანტ სიყო, მთვა-  
რამის მოკვლეული მასალა. ბევრი რამ თვი-  
თონ დაუდგენია, ბევრი კი ამოტყუა, რომე-

ლიც სიმართლესთან ახლოა. მე ოდნავი შემოკლებით მომყავს ლეიტენანტის ნაწერი — ბიპოტეზაც და სინამდვილედ.

მაშ ლავიწყოთ:

### გეგმ ჩალაბამ

იგი ორმოცდახუთი წლისაა. განათლებით ეკონომისტი. სულ ხუთი წელია, რაც „თითით საჩვენებელი“ პირივდება გახდა. მანამდე? მანამდე ერთ-ერთი სამინისტროს ერთ-ერთი ტრესტის რიგითი ეკონომისტი იყო, რიგითი და არა მთავარი. მღეთის ქუჩაზე მამამისის დანატოვარი ოროთახიანი ბინა ჰქონდა და თავისი ხელფასით თვიდან თვემდე გაჰქონდა თავი.

არც სახით, არც ცოდნით, არც ხასიათით არავისგან არ გამოირჩეოდა. იქნა თავისთვის საერთო ოთახში და საჩვენებელი თითით უკაცუნებდა ელექტროგამომთვლელ მანქანის კლავიშებს. აჭამებდა ციფრებს, აღგენდა ნაკრებ ცრხილებს და თავისი ბედით... არა, თავისი ბედით კმაყოფილი არ იყო! ამ, ერთი შეხედვით. უწყინარ კაცს გული ბოლოში ჰქონდა სხვებს. სულ იმის ფიქრში იყო, როგორ წაწეულიყო წინ, როგორ მოეპოვებინა ძალაუფლება, როგორ მოეხვეჭა ფული, სიმდიდრე, გამხდარიყო პირველი კაცი, სხვებზე უკეთესი, ყველასათვის ზევიდან დაეხედოდა...

მაგრამ რა... ვერა და ვერ დაიმსახურა უფროსების უურადლება, ვერაფრით ვერ მოხიბლა ისინი. დამეებს ფიქრში ათენებდა, ყველაფერს აკვირდებოდა. ეძებდა ხერხებს, რომელიც მას ღირს გზაზე გაიყვანდა. მაგრამ მისი ბედის ვარსკვლავი ცის კაბადონზე არ ჩანდა. ის ვერაფერს ნახდა. არ ანათებდა, არ ათხოზდა აღრე დაქვრივებული ეკონომისტის სულს.

ერთხელ ტრესტში დიდი აურზაური ატეხდა. სამინისტროში გაგზავნილ წლიურ ანგარიშში უხეშო შეცდომები გაიპარა, სახუთები დააბრუნეს, ტრესტის მმართველობას დაავადეს, სასწრაფოდ განეხილათ და დამნაშავე დაესაჯათ. ანგარიში, რასაკვირველია, საეკონომ-საფინანსო განყოფილებამ შეადგინა, ვიზა განყოფილებაში გამგებ მისცა, ტრესტის მმართველმა ხელი მოაწერა! მაგრამ სასტიკლს მათ როგორ აკადრებდნენ, ვინც პირველადი მასალები შეადგინა, დამნაშავე ის იყო. ამიტომ ჩიჩქნეს, ჩიჩქნეს და შეცდომის სათავეც აღმოაჩინეს — გეგმ ჩალაბამის შედგენილ ცხრილებში აღმოჩნდა შეცდომა. ტრესტის მმართველმა მოითხოვა, დეპარტამენტულ კრებაზე განეხილათ ეს საქითხი და საბოლოოდ გადაეცხათ დამნაშავე.

გეგმს ბედის ვარსკვლავი კიდევ უფრო დააბურთა, თითქმის ჩაქრა.

ალბათ, სასტიკი საყვედურს აჰკიდებენ ან გაგდებდნენ, როგორც უპერსპექტივოს და ამით ბოლო მოედებოდა მის ტანჯვას, ბოლოს და ბოლოს დარწმუნდებოდა, რომ საშველი არ იყო, ამო იყო მისი თვითრად გათენებული და-

შეები და ფიქრი, გაუთავებელი ფიქრი დიდ მომავალზე...

კრება დაინიშნა.

საკითხის გარშემო ინფორმაცია ტრესტის მმართველმა დომენტი ყვარელიშვილმა გააკეთა.

კამათში ბევრი გამოვიდა: ამხილებს, გალანდებს, გათათხებს, მკაცრი სასტიკი მოითხოვს, ყველაფერი ეს ოქმში შეიტანეს და, როდესაც ეგონათ, ყველაფერი დაითვარდაო, გეგმ ჩალაბამს სიტყვა მოითხოვა.

კაცი, რომელსაც ზედმეტ სახელად „ფიქრის გორას“ უწოდებდნენ, რომელსაც არც ერთ კრებაზე კრინტი არ დაუქრავს, წინ წამოდგა, ჩაახველა და დაიწყო. დაიწყო და როგორც იტყვიან, ტომარასავით გადმოაბრუნა მთელი განყოფილების საქმიანობა.

ერთხელ მაინც შემოიხედეთ, ბატონო, ჩვენს განყოფილებაში. — მიმართა ტრესტის მმართველს, სიტყვის დასასრულს. — განყოფილება კი არა, საფიქრო არტელაა. ჩვენი განყოფილების მუშაებისათვის არავითარი სასწრაფო, პირველი რიგის საბასუხისმგებლო საქმე არ არსებობს. სამუშაო რვა საათი ასე აქვთ განაწილებული: ხუთ საათს ქსოვენ, ერთ საათს ისვენებენ, ერთ საათს ჭორაობენ. დარჩენილი ერთი საათის განმავლობაში დღის დავალებას აფუჩნიებენ და სახლში გარბიან. თვით უფროსი ეკონომისტი კვირაში ორ დღეს დაღას სამსახურში. როცა კი მოდის, თან მოაქვს შალის ძაფის ვეება გორგალი და დილიდანვე იწყებენ თვითნაირ ნახელავის საქარო განხილვას, ურთიერთონსულტაციას და შემდეგ თავაულებელ ქსოვას.

შეცდომა მე ლავიწვი, მაგრამ რატომ არ შეამოწმა მასალები უფროსმა ეკონომისტმა ან განყოფილების გამგემ ვიღერ მმართველს შეუტანდნენ? თქვენ გგონიათ, რომ მენდენ? არა. მთელი განყოფილება ჩვენს პირდაპირ მალაზიაში იმპორტული წინდების რიგში იდგა. მეც აღმოაჩინე ვარ და უნებლიედ შეცდომა გამეპარა. მე, საჭაროდ ვაცხადებ, ვეცდები ჩემი შეცდომა გამოვისყიდო კარგი მუშაობით, მაგრამ ტრესტის მმართველობამ თუ განყოფილებაში შრომის დისციპლინის საქმე არ მოაგვარა, უფრო უხეშო შეცდომებისაგან დაზღვეული არ ვიქნებით.

მეორე დღეს დომენტომ გამოიპაზა გეგმ. დაუყვავა, მაღლობა კი გამოუსვამდა კრებაზე გულწრფელი გამოვლენისათვის, შენ თვალში ამხილეთ. უთხრა, თურმე რა უხეშად ირღვეოდა შინაგანწესი და მე კი არაფერი ვიცოდიო. ნუთხადის და ნურაფერს მოერიდები, როცა ვნებავს, მოდი და მომახსენე საქმის ვითარება, არა მარტო თქვენს განყოფილებაში, არამედ

ირაკლი შავულაბაძე  
მსხპირალი

სხვაგანაცო, დანარჩენი მე ვიცო და ჩემმა კაცობამო.

დანაპირები ორი თვის შემდეგ შეასრულა დომენტი — გეგეს საყვედური მოუსხენს.

ამის შემდეგ იგი უფრო ხშირად დაძვრებოდა მმართველის კაბინეტში, ხელის მოსაწერად მიჰქონდა სამინისტროში ვასაგუნდა საბუთები. ერთხელაც შეუტანა და რაღაც უჩუჩუღღღო. თხუთმეტი წუთის შემდეგ დომენტი გამოვიდა თავისი კაბინეტიდან და პირდაპირ ეკონომისტების ოთახისაკენ წავიდა. რადიატორთან მიუყუდლდო ოთხი ქალი და ქსოვდა, მხოლოდ გეგე იქდა კუთხეში და საჩუჩუღღელი თითით უკაკუნებდა ელექტროგამომთვლელ მანქანას. დომენტი ისე გამოვიდა ოთახიდან, არც ერთს თავი არ აუწევია.

იმ დღეს ბრძანება გამოაკრეს. მარინა დემურხანაშვილი — უფროსი ეკონომისტი შრომის დისციპლინის დარღვევისათვის ჩამოქვეითებულ იქნა რიგით ეკონომისტად, ხოლო გეგე ჩალაქე დანიშნა უფროს ეკონომისტად.

გეგეს ბედის ვარსკვლავი აციმციმდა. მან პირველ რიგში, განყოფილების გამგეს თავისი პირობები წაუყენა, მე, როგორც შენა მოადგილეს, მაღალხარისხისადა შეხრულებული საბუთები მომთხოვეო, დანარჩენს მე მოვუვლიო. განყოფილების გამგემ გეგეში ტრესტის მმართველის კაცი დანიხა... და განა მართო მან, უკვე უკვლამ იცოდა გეგეს ამბავი, ამიტომ ერთდებოდნენ. განყოფილების გამგემაც დაუთმო, ხელი ჩაიქნია, რაც ღინდა ვაკეთეო, უთხრა.

გეგე შეიცვალა. იგი უკვე ბევრს ლაპარაკობდა და ლაპარაკში დომენტი პლატონის ასხენებდა: „მე რომ ვუთხარა“, „მან რომ მითხრა“, „ჰქვიანი ხარო, მითხრა“ და ა. შ. შემდეგ თანამშრომლებში ჩურჩული ატყდა, გეგე სამინისტროში დიდ თანამდებობაზე გადაუყვითო. ამ ამბავმა მის ყურებამდე რომ მიადწია, წარბიც არ შეუხრია, არც შეცდებიაო, განაცხადა ყველას ვასაგუნდად. გამოხდა ხანი.

დომენტიმ საფინანსო საბეგმო განყოფილების გამგე გამოიძახა და განუცხადა: სამოკ წელს გადასცილდი და პენსიაში უნდა წახვიდლო.

— ჩემს მაგიერ ვის ნიშნავთ? — შეეკითხა იგი.

— მოვძებნით.

— მანც?

— მე მგონია, გეგე ივარგებს მაც თანამდებობაზე, რას იტყვი?

— ესე იგი, მაგან გამოითხარა ძირი, არა?

— ქალბატონო დოლო, არ გეპაღრება, გეგე...

— გეგე შენც გამოგიბრის ძირს, დომენტი პლატონიჩ.

ერთ დღეს ტრესტში ცნობა მოვიდა, სამინისტროს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან სპეციალისტთა ჯგუფი ეწვია და შემდეგ ტრესტშიც მოვიდნენო. ტრესტშიც მისულა მარამ ტრესტს მეთად საბასუხისმგებლო დავალება მისცეს. სადმე, მტკვარის პირას, ბუნების წიაღში, თორმეტი კაცისათვის სუფრა გაეშალათ, სტუმრებს გზაზე შეგებდოდნენ, მიეპატიუათ და მამა-პაპური პატივი ეცათ.

გეგეს ადგილის შერჩევა, ხორაგის გადაწიდვა და სამხარეულოს ხელმძღვანელობა დაავალეს. მან მტკვარს არაგვი ამჯობინა და უნივალის ზევიით, არაგვის ქალღმერთში მოძებნა ედემის წალკოტი.

კვირას, როდესაც პატივცემული სტუმრები სიციხე შეაწუხა, ქალაქგარეთ გასიერება შესთავაზეს.

...ფასანაურისაკენ მიმავალ მანქანებს დომენტი გადაუდგა წინ.

— რად გავჩრდილი? — იკითხა სტუმარმა.

— ჩვენი ტრესტის მმართველია, — თქვა მინისტრმა. — უნახოთ რა უნდა.

მინისტრმა თავი გაყო მანქანის ფანჯრიდან და იკითხა:

— როგორ არის საქმე?

— უმაღლეს დონეზე.

— რა ვქნათ, გადმოვიდით?

— მამო როგორ.

მინისტრი თარჯიმანს მიუბრუნდა და უთხრა:

— ვადაციოთ დღეგაციის მეთაურს: ჩვენი ერთ-ერთი ტრესტის მმართველს ან წელი შეუსრულდა, გვაპატიუებს. თუ თქვენი თანხმობაც იქნება, ერთი საათით ვიწვიოთ.

უარი არავის უთქვამს.

უკვლავური გეგეს მიერ შედგენილი სცენარის მიხედვით მიმდინარეობდა.

არაგვის პირას სტუმრებს გაუღლიად შეხვდნენ.

ახლა მეთევზე უნდა შესულიყო მდინარეში და ბადე ესროლა. ასეც მოხდა. სტუმრები და მასპინძელი რიყეზე გაიწკანინენ. ბადეც გაიშალა პაერში და წყალში ჩაეშვა...

— ვის სახელზე ამოვიწვიო? — იკითხა მეთევზემ (ესეც სცენარის მიხედვით იყო).

— ჩემს სახელზე, — თქვა მინისტრმა.

ბადე ამოწვია წყლიდან, მაგრამ თევზი არ ამოყოლია.

— ბატონი შვარცი გთხოვთ მის სახელზე ესროლოთ ბადე. — თქვა თარჯიმანმა.

შვარცის სახელზეც ისროლეს ბადე, შვარცის მდივანი ქალისაც, მინისტრის მოადგილეებისაც, მაგრამ ვაწუდა თევზი, ერთი ლიფსატაც არ ამოყოლია ბადეს. პირველი შთაბეჭდილება განეღდა, სცენარის ნორმალური მსვლელობა ირღვევოდა.

— ახლაც უნდა გეფიქრათ ეს. — თქვა მინისტრმა წყენით. — დაბმული ხომ არ გეყოლებოდათ თევზი. კმარა, შეწვევით ტაკიმასხარაობა, სუფრასთან მიიწვიეთ სტუმრები.

ლომენტი მიუბრუნდა თარჯიმანს და ის იყო უნდა ეთქვა, სუფრასთან მობრძანდითო, რომ გეგემ შეაჩერა.

— მე ვცდი ბედს, მაცალეთ.

ეს თქვა და ფეხსაცმლიანად შევიდა წყალში — „ნეტავ გამიმართლოს, ნეტავ ხელი არ მომეყაროს, ერთხელ მაინც ამოყვეს თევზი მინისტრის სახელზე ნასროლ ბადესზე“ — ბუტბუტებდა თავისთვის. როდესაც ბადე ხელში მოიხრგო და ხასროლად მოემზადა, ნაპირზე მდგომთ გასძახა:

— მე ხელბედნიერი ვარ, ვის სახელზე ვისროლო ბადე?

— ჩემს სახელზე. — თქვა მინისტრმა. — ვნახოთ, რა ბიჭი ხარ.

ბადე გაიშალა...

გეგემ აუჩქარებლად მოსწია, შეაქუნა, დაბერტყა, მაგრამ არ ამოიღო, გულისფანცქალით ჩაყო ხელი წყალში:

— არის! — დაიძახა და ვერცხლისფერი თევზი ნაპირზე ისროლა. შემდეგ მეორე, მესამე...

ნაპირზე ტაშმა იგრიალა. კიდევ ისროლა ბადე გეგემ. ათჯერ ისროლა და შევიდჯერ ამოყვა თევზი. ნაპირზე გამოსულს ყველა გულწრფელად ულოცავდა, უქებდნენ მარჯვენას, განსაკუთრებით აღფრთოვანებული იყვნენ გერმანელი სტუმრები, „კოროზო, მოლოდენც“, ეუბნებოდნენ და ბეჭებზე ხელს უტყაბუნებდნენ.

ვიღერ გეგემ კოცონთან შრებოდა, არაგვის პირას ლხინი გაჩაღდა, მოვერცხლილი უანწები ხელიდან ხელში გადადიოდა. როცა საქმე მწვადებზე მიდგა, გეგემ ეს საქმე მზარეულს არ დაანება. თვითონ დათალა წნელები, საგულდაგულად შეარჩია ხორცი, შეწვა, შებრაწა და სტუმრებს ეხალა.

— ვინც მოვიდა, გაუმარჯოს! — შესძახა უკვე შემთვრალემა. — ყანწი მაგას!

— მოცაოთ. — თქვა მინისტრმა, — თქვენი სახელი ყმაწვილო?

— გეგემ, ბატონო.

— გეგემ გვახახელა, იგი ცალკე აღნიშვნის ღირსია, გადაუთარგმნე. — უთხრა მან თარჯიმანს.

— ბრავო, ბრავო! — ერთხმად დასძახეს სტუმრებმა და გარს შემოეხვივნენ მას. ზოგი კუქს უშახდა, ზოგი გეგემს, ზოგი კი — ქაქქეს.

— შენთან მუშაობს? — ჰკითხა მინისტრმა ლომენტის.

— დიახ.

— კარგი ბიჭია.

ის იყო და ის, გეგემ მარტო ტრესტში კი არა, მთლად სამინისტროს სისტემაში ცნობილი კაცი გახდა. ჯერ იყო და გერმანელებმა მიიწვიეს ლაიპციგში. შემდეგ უნგრეთში მიმავალი დელეგაციის საიში თვითონ მინისტრმა ჩაწერა, საპირო კაცია, გზაში გამოგვადგებაო. იუგოსლავიაშიც გაემგზავრა ტურისტული საგზურით. თბილისიდან წაღებულნი კონიაკები მამასისხ-

ლად მიყიდა ოფიციალებს. რამდენიმე ას დინარს თავი მოუყარა და მინისტრის ცოლს — საჩუქრად თორმეტი კაცის უნიკალური სასაღილო სერვიზი ჩამოუტანა.

ბოლოს მოხდა მოსახდენი. მინისტრმა ლომენტი პლატონიჩი გამოიძახა და უთხრა, დროა, ძმაო, პენსიაზე გახვიდე. ტრესტის მმართველობა უნდა გვაჯანსაღოთ, გადავახალისოთ.

— ვის ნიშნავ ჩემს მაგიერ?

— შევარჩევთ.

— მაინც?

— გეგემ გამოდგება...

— მაშ მან გამომიხებარა ძირი?

— ლომენტი, როგორ გეკადრება, გეგემ...

ყველაფერი ეს ორ წელიწადში მოხდა. რიგითი ეკონომისტი ტრესტის მმართველად დაჯდა, დაჯდა და დაიშვენა, შეიფერა. პირველი დღიდანვე წესრიგის დამყარებას შეუდგა. ხალხი რომ შეტრიაბა, განუცხადა, მეო წინა ხელმძღვანელების შეცდომები უნდა გამოვასწორო, არავის არ დავინდობ, ყველა ზარმაცი, უქანარა და თაღლითი ტრესტის სისტემიდან უნდა განვდევნოთო, პირველად გეგემ თავისი მოადგილე გაათავისუფლა და მის მაგიერ, მინისტრთან შეთანხმებით, თავისი მეგობარი ანდრო კანჯია დანიშნა. შოდა... თვითონ კაბინეტში დარჩა და ანდრო კანჯია მიუშვა ნებაზე... იგი დამწროდა საწარმოებში, საამქროებში, ბრივადებში, არავის სულის მოთქმის საშუალებას არ აძლევდა, მხოლოდ გეგემ ეტერა პირზე. გეგემ რამდენჯერმე მოსკოვში იმგზავრა და მოზღვადა ნედლეული, ახალი მანქანა-დანადგარები. გაიხსნა ახალი საამქროები, გამოვიდა ახალი სახის პროდუქცია...

როდესაც ტრესტი წელში გასწორდა, ანდრო ეახლა გეგემს, კარი ჩაქტა, და მოგრძო ქალაქი გადასცა. გეგემ შეათვალეირა ბლოკნოტის ფურცელი. ათი კაცის გვარი ეწერა, თათოფულის გასწვრივ კი ციფრი — სამასი.

— რა არის ეს? — მიამითურად იკითხა მან.

— ეს არის მთავარი, გეგემ ბატონო.

— მაინც?

— გვარები ჩვენი საწარმოთა უფროსებისა, თქვენ ეს კარგად მოგეხსენებათ. სამასი... სამასი მანეთია, რომელიც ყოველთვიურად პირადად უნდა მოგართვან. ახლა, როდესაც სიას გაეცანით, იგი უნდა დაიხეს. ყოველი თვის ბოლოს, თქვენ ურეკავთ საწარმოს დირექტორს და ეტყვიტ, „გამოიარეთ“. ეს საკმარისია, ეს ნიშანია იმისა, რომ მან უნდა მოგართვათ თქვენ თქვენი წილი. ამასთან, როდესაც მივლინებაში მოვიწვევთ წასვლა, თქვენ, ნებისმიერ დირექტორს დაურეკავთ და მოკლედ ეტყვიტ, მივდივარ მივლინებაში. მოგართმევენ ათას მანეთს და საგზულად რასაც ინებებთ, რასაც

ირბაქლი უშაულავა  
მსხმერბლი

დავალებით. ასეთია შეთანხმება. — თქვა ანდროსი და თვალბრუნებით შეაჩერდა.

გეგე ხმას არ იღებდა.

კი, ყველაფერი იმისათვის მოაწყო, ყველას იმით რომ გაუგორდა ფეხქვეშ, რომ ძალაუფლება და ცოტა ფულიც მოეპოვებინა. კი, ამისკენ მიისწრაფვოდა, მაგრამ ახლა, როდესაც ფაქტის წინაშე აღმოჩნდა, შეერთა. გამოდის, რომ კანკამ ჭკუფი შექმნა, სახელმწიფოს ქონებას ხელყოფენ, ისიც ჩაითრიეს. როგორ მოქცეულყო, უარი ეთქვა, გაეგლო ანდროსი? მამ რატომ მოიყვანა იგი? დიდხანს ჩასცვიროდა ბლოკნოტის ფურცელს, ციფრები და გვარები ერთმანეთში იხლართებოდა, ნაპერწკლებივით ხტოდნენ და ზღერში ქრებოდნენ. უკან დახევა გვიანა, ჩაეხმა ყურში და გამოერკვა. ქალადლი აუჩქარებლად დაკუნა და ანდროსს უთხრა.

— მერე?

— მერე, დანარჩენი მე ვიცი. ერთგული ხალხი შევაგროვე, არ გვიმტკუნებენ.

— ეს მე, მაგრამ სხვებს?

— ვინ სხვებსა?

— ცოტა... ზევით, ქვევით, მარჯვნივ, მარცხნივ.

— გეგეს ვინაცვალე, მაგაზე შენ როგორ შეგაწუხებთ. ეს ყველაფერი გათვალისწინებულია.

და ასე... ყოველი თვის მიწურულში ურეკავდა გეგე საწარმოთა დირექტორებს და ტუბილად ეუბნებოდა: „გამომიარე“. ხანდახან შეეშლებოდა და ერთი და იგივეს ორჯერ ეტყუოდა. მე უკვე ვიყავი, ბატონო გეგე, პასუხობდნენ. არა უშავს არ, კიდევ გამოიარე, ასწორებდა შეცდომას იგი. და... მოდიოდა და მოდიოდა ფული ნიაღვარივით.

ტრესტში რომ ყველა საქმე მოაგვარა თავის თავს მიხედა. ჩვენი სახლი ორსართულიანია. პირველ სართულზე მარტოხელა კოლა გორპიკო და მე ვცხოვრობდით. ზედა სართულზე ხუთი მოზრდილი ოთახია ფართო აივნით. ორი ოთახი ეკავა გეგეს, დანარჩენ სამ ოთახში მაცაბერძნის, არუთიონისა და კეკელიას ოჯახები ცხოვრობდნენ. გეგემ მოკლე დროში სამივე გაასახლა, დაემყოფილა ქალაქის საბჭოს დახმარებით, ორ-ორ ოთახიანი ოფლირებული ბინები ჩააბარა. შემდეგ არქიტექტორი მოიყვანა და მთელი ზედა სართული გადააკეთა. მოაწყო სადარბაზო, საბანკეტო, თავისი კაბინეტი, მანანას ოთახი. აბაზანა კი არ დადგა, აუზი ამოაშენა, ისეთი როგორც გოგირდის აბანოში. შემდეგ ეწოდა თეთრი ვოლგა შემოაგრიალა. ღობე შეაკეთა, აამაღლა, რკინის ქიშკარი დაკიდდა.

გეგე ყველაფერში გაიწაფა, ასე გასინჯეთ, გალამაზდა კიდევ, გამაღლდა. ქალბებმა შეამჩნიეს ფულიანი ქვრივი და სახლი აუტალახეს. მაგრამ, აქ, რაც მართალია, მართალია, გეგე გულწრფელი იყო, რასაკვირველია, სადღაც კი

დასუნსულებდა, მაგრამ ეს ყველაფერი საიდუმლოდ ხდებოდა. ისე, ყველას აგრძნობინებდა მანანას სახლი დედინაცვალს არ მოუყვანდა.

გეგემ კარგად იცოდა, რომ ფულის ნიაღვარი, რომელიც მისკენ მოედინებოდა, ბევრი მტერი ჰყავდა, ბევრმა იცოდა მისი მარსრუტი. შეიძლება ვინმეს შურით ჩაეხერხა, სხვა კალამოტში გადაეშვა, ამიტომ თითქმის ყოველ კვირას, სხვადასხვა მიზეზით სახლში სტუმრები ჰყავდა. შემდეგ წყნებით აგარაკი რომ აიშენა, იქ გადაინაცვლა.

ერთხელ ეწოდა ახალი მღვდელი გაჩნდა. კოლას ოთახის გვერდით ძველი მიგდებული საკუქნაო გაათავისუფლეს და შეაკეთეს. ამ პატარა ოთახში დაისადგურა მოხუცმა შპარტულმა პორფირემ. იგი გეგემ მოიყვანა. მამ რა ექნა? ამდენ სტუმრებს გაძლოდა არ უნდოდა? მანანა რის მაქნისი იყო. პორფირე დილიდან საღამომდე ჭარბსავით ტრიალებდა. სანოვაგესაც იგი ყიდულობდა, აკეთებდა ნაირ-ნაირ კერძებს და სტუმრებს გულუხვად უმასპინძლებოდა.

სიმართლე რომ ითქვას, გეგე მსმელი კაცი არ იყო. მაგრამ რევიზორებს რომ გააცილებდნენ მშვიდობიანად, ბანკეტი ხომ უნდა გადახალდა. ზემდგომი თუ ქვემდგომი ორგანიზაციებიდან შემოწმებაზე რომ მოვიდოდნენ, პატარვისცემა ხომ უნდოდა? ზოდა, ისიც ძალაუწებურად შეეჩვია სმას, თამაშობას, გაზებირებულ სადღეგრძელოების პათოსით წარმოთქმას. ერთხელაც, მშვიდობიანად დამთავრებული რევიზიის აქტი წყნებით, გაშლილ სუფრასთან წაიკითხეს, ხელც მოაწერეს, დალოცეს, დაახველეს. ღვინო თავისი რომ შეუჭდათ ანდროსი კანკამ აჩქრა, ჩვენ სუფრას თევზი აღლია, ამიტომ „მარბაღაში“ წავიდეთ თევზი ვჭამოთ. სტუმრები და მასპინძელი ორ მანქანაში მოთავსდნენ.

აი აქ, კინაღამ გატყუა კოლა წყაროზე.

სანაპიროზე, ჩოგბურთის კორტებთან, ქალს დააჯახა მანქანა!

მიხეველ-მოხვეული ქუჩებით რუსთაველის პროსპექტზე გაიქრა. შემდეგ ქალაქგარეთ გავიდა, სასტუმრო „უშნასთან“ გზიდან გადაუხვია, მანქანა დატოვა და თვითონ ტაქსით წამოვიდა.

ჩვენს პირდაპირ, სერგო თელიას ეწოდა, ყოველ დღე იკრიბებოდნენ მეზობლები, დომინი თამაშობდნენ, წაგებული წყვილი ღულა ყიდულობდა. გეგე მათთან ურთიერთობას არ კადრულობდა. უსაქმურები, ძვირფას დრავს ფუჭად კარგავდნენ, ამბობდა. მაგრამ ახლა იკადრა. გულლიად შეაღო თელიას სახლის ქიშკარი, მეზობლებს გაუმარჯოსო, თქვა და თამაშის სურვილი გამოთქვა. პირველად ყველას გაუკვირდა მისი მოულოდნელი გამოცხადება, მაგრამ გეგე ისე უშუალოდ იქცოდა, რომ ყველამ დაივიწყა მისი ამპარტუნობა, ქედმაღლუ-



არ გამოხედვად. გეგე, საერთოდ, ყველა თამაშის  
ოსტატი იყო, დომინოსაც თამაშობდა კარგად,  
მაგრამ ამჯერად ხელი მოეცარა, აგებდა და  
აგებდა. აგებდა და ყიდულობდა ლუდს. ლუდა  
მერე ღვინო დასაუბრეს. თელიამ ყველი და პო-  
მილორის ხალათა გამოიტანა, გვერდზე მეზო-  
ბელმა — ხაშლამა და გაიშალა სუფრა.

თორმეტი საათი შესრულდა, კეთილი გრძელ-  
დებოდა.

გეგემ მოიბოდიშა, მანქანა ქუჩაში მიყენია,  
გაზეხდავ და მოვალე, თქვა და ერთი წამიც არ  
იყო გასული, რომ ღრიალით შემოვარდა უკან.

— მიშველეთ, მეზობლებო, მანქანა გაუტა-  
ციათ. ვაი, არ დავიღუპე კაცი? — ოხრავდა,  
ქმინავდა, მეზობლები გულწრფელად ამშვიდე-  
ბდნენ, ნუ გეშინია, მოიძებნებაო, ეუბნებოდ-  
ნენ, ვილცამ მილიციის განყოფილებაში დარე-  
კა. რამდენიმე წუთში მილიციის სამი მუშაკი  
მოგრიალდა მოტოციკლით. მათი პირველი კი-  
თხვა იყო:

— როდის მოხვედით აქ?

— დაახლოებით ხუთ საათზე, მა, ასე არ  
იყო, მეზობლებო? ხუთი საათი ხომ იქნებოდა?

— კი იქნებოდა. — დაუდასტურეს.

— ხომ გესმით, შეადგინეთ ოქმი, რაღას  
უყურებთ. ხუთი საათი იქნებოდა აქ რომ მო-  
კვდი. სიმატლიე გითხრათ, არ გამოხედვადს გა-  
რეთ. ჩვენს ქუჩაზე ასეთი რამ არ მომხდარა.  
თამაშს გადაუყვეო... დაწვა ცეცხლმა. — თქვა  
და დომინო მაგიდიდან გადაურა.

მილიციის ლეიტენანტმა აქტი შეადგინა. ათმა  
მეზობელმა დადასტურა გეგეს ნათქვამი.

რამდენიმე დღის შემდეგ გეგეს დაურეკეს  
მილიციიდან: „გოლდა“ 17-ის სასტუმრო „უშ-  
ბასთან“ გზის იქით, ბურჭებში აღმოვაჩინეთო.  
ავტობულიგანებმა ექვს საათზე ეს მანქანა ქალს  
დააჩახეს და მიიშალნენ. ძიება წარმოებს.

მანქანა გეგეს მოპვარეს.

დანარჩენი თვითონ მოაგვარა.

გი დაწარალბულად ჩათვალეს და ულო-  
ცავდნენ მანქანის დაბრუნებას. მას კი ერთხე-  
ლაც არ აღძვრია სურვილი რაიმე გზით გაეგო  
რა ღემატათა მის მსხვერპლს, დახეიბრდა თუ  
მოკვდა.

ამ ამბავმა ხასიათი წაუხდინა გეგეს. ჭრე იყო  
და ავადმყოფობა მოიმიწვნა და ხახლიდან გა-  
რეთ არ გამოდიოდა. შემდეგ შევებულემა ადლო  
და მანქანით ბიჭვინთაში წავიდა დასახვედბ-  
ლად. იქიდან რომ დაბრუნდა, ისევ ლოგინში  
ჩაწვა. მაგრამ განცხრომა ცხვირიდან ამოადი-  
ნეს. ანდრო კანკია და ერთი ახმახი, მწითური  
კაცო ეახლა საღამოს, მისი ჭანმრთელობა მო-  
კითხეს, თანაუგრძნეს და ბოლოს, წასვლის წინ  
დაუბარეს:

— მორჩი სიმულიანტობას, სამუშაოზე გამო-  
დი. ხვალ დილით გიცდით... საქითხია გადახა-  
წვებო.

მორევი იყო, შუა მორევში, ნაპირზე ვერ

გამოვიდოდა. ამიტომ დაბრუნდა... ისევ ჩაება  
საქმეში.

მე მგონი, კმარა. არ ღირს გეგემ შეტევა  
პარაკი. მით უმეტეს, რომ მისი პირიგების შე-  
სწავლას სიკო მთვარაქმე მოჰკიდა ხელი. იგი  
ხვდა ლითონისაგან არის ნაქედი. არც ადლო  
ულალატებს და არც მოეშვება.

საერთოდ, პატივცემული მინისტრო, გეგე  
ჩალაქეს და მის კოლეგებს თქვენს იქით გზა  
არა აქვთ. ისინი მოვლენ თქვენთან. უფრო  
სწორედ, თქვენ მიიყვანთ ხალაც ჭრე არს. მო-  
და, მაშინ გამოკითხეთ ყველაფერი დაწეროლბ-  
ბით. ისინი გმირებთ არ არიან, ბედურის გულბ  
უძგერთ მკერდში, ყველაფერს იტყვიან, უფრო  
მეტს ვიღერე თქვენ მოვლით.

### მანანა ჩალაქე

მანანა ოთხი წლის დაობლდა. მამა მას დე-  
დაბლას უძახდა, როგორც შუაზე გაქრილი  
ვაშლი, დედას ისე ჰგვანდა. ცოლის ერთად-  
ერთი სურათი გეგეს საწოლთან ეყიდა, რამდენ-  
ჭერმე შემადარებია იგი მანანასთვის: ხახე,  
თვალეები, ცხვირი, ყველაფერი, ყველაფერი  
დედისა ჰქონდა.

როდესაც მღეთის ქუჩაზე გადმოვედით ხა-  
ტოვრებლად, მანანა ათი წლისა იქნებოდა. ქე-  
ტად ორიგინალური იყო ჩვენი გაცნობა. ორი  
თვის განმავლობაში ერთმანეთს ვზევარავდით და  
ხმის გაცემას ვერ ვებედავდი. ბოლოს მამა გაბე-  
და: მაშინ გეგეს მანქანა ჭრე კიდეც არ ჰქონდა  
ნაყრდ, ელო თავისუფალი იყო. ხკოლიდან რა-  
ტომლაც დარე გამოგვიშვეს. ჩანთა დანავადე და  
ეზოში ბურთის თამაში დავიწყეთ. მანანა ავიწახ  
მოაჭირს დაურდნობოდა და თვალს ადევნებდა  
ჩემს ყოველ მოძრაობას. მოხდა ისე, რომ ბურ-  
თი უნებლიეთ ავიწახ ავარდა. მანანა ისევ იმ  
ბოზაში იდგა და არც ფიქრობდა ბურთის გა-  
მოგდებას.

— თუ შეიძლება, ბურთი გადმოგადეთ. —  
ვთხოვე.

— ახლოს მოიწი. — მითხრა მან.

ავიწახანი მივედი და... ბურთის მაკეერ ვედ-  
როთი წყალი გადაოახხა. ავიწახე ავიქერი იმ  
განწრახვით, რომ თავხედი გოგო გამეტყუიბა და  
ბურთი წამომელო, მაგრამ ავიწახე აღარც გო-  
გო იყო და აღარც ბურთი, ყველა ოთახის კარს  
დავუკაქუნი, ყველამ უარი მითხრა, აქ არ შე-  
მოსულაო, ერთმა მეზობელმა, სხვენზე მიმა-  
თითა იმ აქკრებოდაო. ავედი, მაგრამ ვერაფერი  
ვხახე. ქარი დათარეშობდა სახურავის საბჭე-  
ნებს შორის. ბუზღუნით ჩამოვედი ეზოში. ჭა-  
ნბაბას მის გოგო, ბურთი დავკარგე, რამ გააქ-  
რო? ამ ფიქრებში ვიყავი, რომ ისევე დამეხხ  
თავზე ცივი წყალი. ისევ ავვარდა ავიწახე, მაკ-

ირაკლი უგულაბა

მსხმარალე



რამ ვერც ამჯერად ვნახე ვერავინ. გადავწყვიტე არ ჩამოვსულიყავი ეზოში, ვიღერე მას არ მოვძებნიდი. ფეხზე დგომით რომ დავიღალე კედელთან მიღგმულ მოზრდილ ზანდლუკზე ჩამოვჯექი.

გავიდა ერთი სათაი, ორი... უცებ, ზანდლუკში რაღაც გაფაჩუნდა, თითქოს ვილაკამ დაიკვნენ. საჩქაროდ ავხადე სახურავი და რას ვხედავ: მანანა თავვერე დამხობილა და ბურთი მკერდთან ჩაუბლუჭია.

— დედას გაფიცებ, არა მცემო. — შემეხვეწა.

— ამოდი, — ვთქვი და ნაწნავში ვწვდი. — ამოდი-მეთქი! რად დამახსი წყალი?

— იმიტომ, რომ უზრდელი ხარ. ორი თვეა, ჩვენს ეზოში ცხოვრობ და ხმა ერთხელაც არ გაგიცია, რას იპარნებები, თუ იცო?

ახე გავიცანით ერთმანეთი, ორივენი ობლები ვიყავით. ორივენი ერთ სკოლაში ვსწავლობდით. ორივენი ერთ სახლში ვცხოვრობდით. იგი მერორზე, მე კი პირველ სართულზე.

გასაკოდი რა გვქონდა? დავმეგობრდით, გეგიც გავიცანი.

ღრო გავიდა და მე მათთან შინაური კაცი გავხდი. გეგე თანახმა იყო, იაბლუხზე გაეშვა მანანა თუ მე წავეყვებოდი.

— მამა გამიშვი კინოში? — დაიწუწუნებდა მანანა.

— კი შვილო, კი მამა. — ეტყუა გეგე. — თუ ჯაბა წამოვა...

და... დამუავდა მანანა ყველგან: კინოში, თეატრში, ცირკში, ფეხბურთზე... ჩვენი ურთიერთობა უმწიკველი იყო და არც არავის შეპარვია ამაში ეჭვი. როდის ვიგრძენი, რომ მე იგი მიყვარდა?

თექვსმეტი წლის რომ შევესრულდი.

მამა გარღამეცვალა.

ამ მძიმე წუთებში ის პატარა გოგო გვერდში ამომიდგა, გულწრფელად ვაიჟიარა ჩემი უბედურება. დღენიადავ იმის ცდაში იყო, იმაზე ზრუნავდა, რომ მე არ მეგრძნო ობლობა. ამ მეგობრულმა სიტომ ჩემში გააღვივა სიყვარულის ნაღვერდალი.

თვითონ გრძნობდა ამას.

მე კი, რაც ღრო გადიოდა, სიყვარულის ცუცხლი უფრო მედებოდა. მისი სიახლოვე, კიანისი, საოცრად ვუყუენა, უძირო თვლები გონებას მიგრედა. რით გამომეხატა ჩემი გრძნობები არ ვიცი. ერთხელ მანანა ჩემგანთან ერთად მოსკოვში გამეგზავრა. ერთ კვირაში უნდა წამოვსულიყო. მაგრამ დაიგვიანა, ავფორიაქდი, თითქოს სახლი, ეზო, ქუჩა, ქალაქი დაცარიელდა. ჩამოვიდა და გულზე მომეშვა.

ამ ოარილის აღსანიშნავად ხალხური ლექსი მოვძებნე და ჭიშკარზე ცარცით დავეწერე — „შენ მოხველ, მზეც ამოვიდა, მეც აქ მოვშავდი ქოლვილი, შენ წახვალ, მზეცა წავალის, ვარდიც დაქენება ყორღი“.

მანანამ წაიკითხა და მოიწონა. კოლა ძია ქირქილებდა. ეს ლექსი გეგეს კაბინეტის კარზე უნდა დავაწებოდა. ერთხელ გეგემ დამიძახა და მითხრა:

— ჯაბა ბიჭო, წაყვერე მანანას თეატრში — „რომეო და ჯულიეტა“ ნახე. შენ უნდა გაინტერესებდეს, ვიღერე იმ ლლას, მოწიფული ბიჭი ხარ. წაყვები? ძალიან კარგი. ამა ფული. წინა რიგის ბილეთები იყიდე, ანტრაქტებზე მოკოლადით გაუმასპინძლო გოგოებს, ნუ გაწითლდი, გამომართვი. — ეს თქვა და ოცდახუთმანეთიანი გამოიწილა.

მანანამ ათი ამხანაგი წამოიყვანა თეატრში. როგორც გეგემ დამავალა, რაც შემეძლო, გავუმასპინძლდი. პარტერის პირველ რიგში დავსხი. ანტრაქტებზე მოკოლადები მივართვი. დილის სპექტაკლებზე, მოგესხენებოთ, ხალხი ნაკლებად ესწრება, იმ დღესაც, დარბაზს თითქმის ცარიელი იყო. ამის მიუხედავად, მასხობები თითქოს ერთმანეთს ეჯიბრებინათ — შესანიშნავად თამაშობდნენ.

გაბრუებულნი გამოვედით...

გზაში გოგოებმა კამათი წამოიწყეს. ჩვენც ავეყვით, ჩვენ, რასაკვირველია, შიშ-შარზე, პირველი შთაბეჭდილებით ვმსჯელობდით, ამ სიყვარულის და იმ მსხვერპლის მიზეზს ღრმად არ ვსუვირდებოდით. მოვიდიოდით და ყველა ერთხმად, ხმამაღლა გამოთქვამდა თავის აზრს. ხილზე გავჩერდით. მოაჭირს გადავეყრდნით.

— მომისმინეთ! რომეო ნამდვილი ვაჟაკია, — განაგრძო შეწყვეტილი კამათი მანანამ. — სიყვარული თავგანწირვისა და თავადების გარეშე არ არსებობს. გამოგონია, წინათ მიჭნურისათვის პირზე დამილით კვდებოდნენო.

— ეს წინათ! — შეაწყვეტინა ამხანაგმა.

— ახლაც არიან და რომეოზე უკეთესებიც.

— ზღაპარია.

— რომ მე მართალი ვარ, ახლავე დაგიმტკიცებთ.

— შენს ფანტაზიებს საზღვარი არ აქვს.

— არა-მეთქი.

— მშუ დაადე ხელი ვინ არის ასეთი თავადებულნი?

— ახლავე.—თქვა მან, მუჭლუგუნით გასწია ამხანაგები და ჩემს წინ დაღდა. მიწის ფერი ელო, ნესტოები დაბერვოდა, მძიმედ სუშუაქვდა.

— ჯაბა! — მითხრა მცირე პაუზის შემდეგ.—გუყვარვარ?

როგორ არ მიყვარდა. მამ რად ვათენებდი მასზე ფიქრით დამეებს, მე არა მარტო მანანა, მისი აჩრდილიც კი მიყვარდა თავდავიწყებით. არ ვიცი იმის პასუხს რა მოყვებოდა, მაგრამ რაღაც ეს ისურვა, ვუთხარა:

— მიყვარხარ!

— ხომ გაიგონეთ? ჯაბა! იმისათვის, რომ შე-



ნი ნათქვამი საქმით განამტკიცო, გადახტი ზი-  
დიდან წყალში.

ყველამ ერთად ამოიხვნეშა.

ალბათ, გავფითრდი, ან ყოყმანი აღმებეჭდა  
სახეზე.

— ჭაბა!—იყვია მან.

შევბრუნდი.

მოაჯირს გადავაღაჭე...

— ნეტავ ღრმა მინც იყოს!—გამიღვია თავ-  
ში და გადავეშვი.

ყველაფერი წამებში მოხდა...

ვიგრძობს სიცივე... ფეხით შევხევი ფსკერს,  
რაც ძალია მქონდა ავირტყენ, ხელები ავამოძრა-  
ვე... ხიდიდან მოშორებით ამოვყავი წყლიდან  
თავი, პაერი შევისუნთქე და გარემოს მოვავლე  
თვალი. ხილზე მხოლოდ მანანა იდგა.

ჭაშკართან ყველას თანდასწრებით მაკოცა  
და მითხრა:

— გმირი ხარ!

სადამოს გეგემ დამიბარა, დიდხანს მიყურა,  
თითქოს პირველად ვენახე. მერე მანანაზე მი-  
მითთა.

— მართალია, რაც თქვა?

— რა თქვა?

— მართლა გადახტი?

— დიახ.

ტუჩი აბზიკა, ზეწლით შემომხედდა და მითხრა.

— ბრძუვი ყოფილხარ.

ერთხელ მანანამ მკითხა: უნივერსიტეტს რომ  
დაამთავრებ, სად წახვალ.

— მთაში. — მოკლედ მივუგე მე. — გეოლო-  
გი იქ უნდა იყოს, სადაც სადანი, მალარია,  
შახტია, კარბერია, აქ რა უნდა გვაკეთოს.

— ცოლსაც წაიყვან?

— მამ როგორ. ცოლმა ქმრის ხვედრი უნდა  
გაიზაროს.

— თუ არ წამოვა? — თქვა ფიქრში წასულმა.

— არ წამოვა და არც ცოლი იქნება.—ფუთ-  
ხარი მტკიცედ.

იმ დღეს პირველად უჩემოდ წავიდა თეატრ-  
ში.

ვიწეკი ლოგინზე ტანგაუხდელი და ბოლმა  
პაღაროხდა.

გვიან ღამით ფანჯარაზე ფრთხილმა კაკუნმა  
გამომადგინა.

კარი გამოვადე და მანანა შემრჩა ხელში.

— წამოდი. — მითხრა.

— სად? — ვკითხე უნებლიედ.

— წამოდი. ჩქარა, ვიდრე მამა მოსულა.

ფეხაკრებით ავედი თივანზე.

მანანამ გეგეს ოთახში შემეყვანა და მითხრა.

— ზეგ ჩვენი კლასი ვარძიაში მიდის, მაგრამ  
სკოლამ მანქანა ვერ იშოვნა. სამაგიეროდ, ჩვენ  
ვიმოგნეთ, სამას მანეთს გვთხოვს, ორი დღით  
თქვენს განკარგულებაში ვიქნებით. ასე თქვა  
შოფერმა. მაგრამ ფული ვერ შევგაროვეთ.

— როგორ მოვიტყეო? — ვკითხე მე.

— შე ვიცი მამა სად ინახავს ფულს, მხოლოდ  
ლოდ სამასი მანეთი ავიღოთ.

— ეს ქურდობაა.

— ნუ სულელობ.

მანანამ კედელზე ჩამოკიდული თაროები  
შეათვალიერა. თითოეული ხელით მოსინჯა.

— ჩქარა, არ მოგვისწროს. — ხმის კანკა-  
ლით ვუთხარი.

— ხიდიდან გადახტომა არ შეგეშინდა და აქ  
რა მოგდის, ბაქიასავით ცახცახებ.

ისევ აფათურა ხელი კედელზე, ერთ ადგი-  
ლას შეჩერდა. გაისმა ტაკცანი და წიგნის თარო  
გვერდზე წვიდა. გამოჩნდა შავი კვადრატი.  
მანანამ ხელი ჩაყო სამალავში და გრძელი, ბი-  
ლიოთეკებში კართოტეკებს რომ ალაგებენ,  
ისეთი ყუთი ამოიღო.

— მივაგენი, — თქვა სიხარულით.

ვნახე და... რა ვნახე.

ფული!

ოცდაზუთმანეთიანები, ორმოცდაათმანეთი-  
ნები, ასმანეთიანები... მჭიდროდ ჩალაგებული  
შეკვრებით. თითოეულ მათგანს ეწერა „5.000“.  
რამდენი იყო, ვერ გეტყვით. თვალი ამიჭრელ-  
და.

მანანამ საში ასმანეთიანი ამოაცდო, ყუთი  
თავის ალაგას დადო, მერე ისევ აფათურა ხე-  
ლი კედელზე, გაისმა უკვე ნაღობი ტაკცანი და  
წიგნის თარო თავის პირვანდელ მდგომარეო-  
ბას დაუბრუნდა.

ვფიქრობ, აქ დავამთავრო მანანას ამბავი.  
მე მხოლოდ რამდენიმე მომენტი აღწერიე. ასე  
სჯობს, დანარჩენს ჩემს ბიოგრაფიაში გაეც-  
ნობით. უფრო სწორად, მიჭირს მანანაზე ლა-  
პარაკი. ალბათ იმიტომ, რომ თავდავიწყებით  
მიყვარდა.

### მე — ჯაბა პერისტავი

იმისათვის, რომ ჩემს ბიოგრაფიაზე სრული  
წარმოდგენა გქონდეთ, ამბავი შორიდან უნდა  
დავიწყო.

პაპარემი რაჭის ერისთავების ჩამომავალი  
ყოფილა, დიდი მამულები: — ტყეები, სახნავ  
სათეხი, ვენახი მქონია. როგორც კი მეჭვიდრე-  
ბა მიიღია, რაჭა მიუტოვებია, თბილისში და-  
სახლებულა და ხელგაშლილი ცხოვრება და-  
უწყია, როგორც საერთოდ ხდება ხოლმე, თან-  
დათან შემოღვია შემოსავალი. ხოლო რაც  
გალარჩა, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ  
ჩამოართვეს და დარჩა თბილისში ერთი სახლი-  
სა და ერთი ვაჟიშვილის ამარა. პაპას არასოდეს  
არ უშუშავნია. ჭერ იყო და, თავის ნათესავებს  
შეპყურებდა ხელებში, შემდეგ, როდესაც მა-

ირაკლი უშუშავა

მსხმინალო

მარში შალვა წამოიწარა იმას დაუწყო ბუნ-  
ღის:

— ტყუილად გაგაჩინე? მომარე, მასვი, მა-  
კამე, აბა მათხოვრობა დავაწყო?

ასეთ საყვედურებში დალია სული პაპამ.  
მოკვდა და თავი წამოყვეს მოვალეებმა. მო-  
დიოდნენ შორეული ნათესავები, მეზობლები,  
უცნობები, ყველას მოჰქონდა ხელწერილი  
„მე ერისთავმა თორნიკემ, ვისესხე...“

ერთ უბედურებას მეორე მოჰყვა — ღელაჩე-  
მაც გარდაიცვალა. ბედის უკუღმა ტრიალს და  
პაპაჩემის მევალებებს ვედარ გაუძლო მამამ, სახ-  
ლი და ავეჯი გაყიდა, ყველას თავისი გაუნაწი-  
ლა, მე მამილას მიმბარა და თვითონ რუსეთში  
წავიდა სამუშაოდ.

მამინ ოთხი წლისა ვიყავი.

მამილაზე ცუდს ვერ ვიტყვი. მზრდიდა რაც  
შეეძლო. თავის სამ შვილთან ერთად ამბავს არ  
მაკლებდა.

ერთხელ სახლში ვილაც ჭარბავი კაცი შემოვი-  
და, ჩემოდანი დაღო და ბავშვებს დაგვიწყო ჩა-  
ციებიანი ყურება.

— მამა, მამიკო! — ვიყვირე მე.

რვა წელიწადი არ მენახა, მისი ხატე არ მახ-  
სოვდა, მაგრამ მინაც მივხვდი, ვიგრძენი, მამის  
სახსლოვე.

მერე ის იყო, მღვთის ქუჩაზე გაღმოსახლ-  
დით. გვეყო სხვის კარზე ხეტიალი, შენ უკვე  
მზრდილი ბიჭი ხარ, ჩვენ თავს ჩვენვე მოფარ-  
ოთო, მითხრა მამამ.

სამი წლის განმავლობაში შეხმატბილებულე-  
ბი ვცხოვრობდით, ოთახი მოვაწყეთ, ტანსაც-  
მელაც შევიძინეთ. მე კარგად ვსწავლობდი, ყო-  
ველდღე მასწავლებლების ქებას ვიმსახურებდი.  
მამაჩემი გრძნობდა, რომ მისი შრომა ფუჭი არ  
იყო, ამიტომ ყოველმხრივ მიწყობდა ხელს.

მაგრამ ხანმოკლე გამოდგა ჩვენი ბედინერება.

მამა სამსახურში ცუდად გამხდარა, სახლში  
წყაყნა უთხოვია. მე გაკვეთილებს ვამზადებდი,  
როდესაც საკაცით შემოიყვანეს.

თავზარი დამეცა.

მამა უზაროდ აციცებდა თვალეებს, თითქოს  
ოთახში მყოფს ვერ ხედავდა.

— მიდი, ბიჭო, შენ გეძებს. — მითხრა ძია  
კოლაშ. — მიდი, არ გესმინა.

ლოგინთან ჩამოვჭექე.

მამას თანდათან სახე დაუწყუნარდა, გონს მო-  
ვიდა, ახლოს მოდიო, მანძილზე:

— ნუ გეშინია, შვილო. — დაიწყო მან ხე-  
ნებ-ხვედრებით. — გამიფლას, რაღა ახლა დამეწევა  
ხიჯდელი, როცა კალაპოტში ჩაღდა ჩემი ცხოვ-  
რება, რაღა ახლა, შენ რომ წამომეზარდი და  
ჩემს ცხოვრებას აზრი მიეცა.

ერთი თვე იავდამყოფა მამამ, იწვა ჩუმად,  
თითქოს სიკვდილს უტყდიდა. არც დაუკენისა,

არც საყვედური გამოუთქვამს თავის მზარე ბე-  
ლის მიმართ, ისე გარდაიცვალა.

მამილამ დაჩინა, მარტო გაგიჟირდება, ჩემ-  
თან წამოდო, მაგრამ არ წავეყვი. კოლა გიორ-  
გაძე, 75 წლის მოხუცი მარტო ცხოვრობდა, არა-  
ვის არ აწუხებდა, თავისი პენსიით გაჰქონდა თა-  
ვი და მე რატომ არ უნდა მეცადა დამოუკლებ-  
ლად ცხოვრებ? ძია კოლამ მითხრა: შენ ივარ-  
გი, შვილო და ლუკმა-პურს არ დაგიმადლო. შემდეგ  
მზარეული პორფირე გამაჩნდა შემწედ-  
გიმეზაც დამკრა თავის ყოვლისშემძლე ხელი  
მზარე.

— აგერ ვარ, ნურათვის გეშინია. — დამაი-  
მელა.

ძია კოლა როგორც კი პენსიას მიიღებდა, მა-  
გიდაზე დაღებდა და იტყუდა:

— ჭკუით გავხარჯოთ, შვილო, თვის ბოლომ-  
დე.

პორფირე ხშირად გაღმომახებდა:

— ჭაბუკა, ამოდი ბიჭო, გეგებს სტუმრები  
პყავს, მომეხმარე, მანანაც აგერ არის.

მე და მანანა ვითომ ვეხმარებოდით პორფი-  
რეს, რაღაცას ვჭრიდით, თევზებზე ვალაგებ-  
დით, სტუმრებთან მიგვექონდა... შემდეგ პორ-  
ფირე მანანასთან ერთად მკავსმებდა და დილი-  
სათვისაც გამომატანდა საუშვებს.

სხვათა შორის, არ იფიქროთ, რომ მე გულ-  
ხელდაკრეფილი, მხოლოდ მათ მოწყობილზე ვი-  
ყავი დამოკლებული. ბავშვებს ვამზადებდი  
გეოგრაფიასა და მათემატიკას. ახლომახლო მე-  
ზობლები კარგად მიცნობდნენ, იცოდნენ ჩემი  
წარჩინებული სწავლის ამბავი. ამიტომ დაუ-  
ფიქრებლად მანდეს თავიანთი შვილები.

წვეით ბევრი ვილაპარაკე გამირობაზე, ალბათ  
თავი მოვაბეჭდეთ. ამის მიუხედავად, მე მაინც  
ჩემსაზე ვდგავარ. მაგრამ ასლა გმირობის ასპა-  
რეში გაფართოვდა. ყველა საქმეში, ყველგან  
კაცს შეუძლია თავის გამოჩენა, თავის გამოჩენა  
კი ხშირად გამირობის ტოლია.

მამა აპრილში დავასაფლავე. მანში წარმა-  
ტებით ჩავაბარე დამოსაშვები გამოცდები და  
უნივერსიტეტში, გეოგრაფია-გეოლოგიის ფა-  
კულტეტზე დაღაწყვერე სწავლის გაგრძელებ-  
ბა. იმ წელს ოთხი ხუთიანი (გეოგრაფია-გეო-  
ლოგიის ფაკულტეტზე) მხოლოდ მე მივიღე.  
ეშ იყო უღიღესი ფიზიკური და სულიერი და-  
ძაბვას შედეგად მოპოვებული წარმატება,  
როგორ ფიქრობთ, ეს გამირობა არ იყო? ფა-  
კულტეტის დეკანი განცვიფრდა, როდესაც  
გაიგო ჩემი ამბავი, წორედ გეოლოგიის ნე-  
ბისყოფა გქონდა, მითხრა.

პირველ კურსზე ბევრი რამ მოხდა: კომკავ-  
შირში მიმიღეს. კრებაზე დეკანმა დამახასიათა.  
ყველამ უნდა მიხაძოთ ჭაბა ერისთავს სწავლა-  
სა და ყოფაქცევაშიო, არც ერთი დღე არ გაუ-  
ცდენია და პირველი სემესტრის ხანებში ფრი-

იღწე ჩაბარა, აგი ნაქველი ნაბჭოთა ახალ-  
გაზრდაო.

აეთივე წარმატებით დავამთავრე მეორე  
სემესტრი. ახლა უკვე კომპაგვირული ორგა-  
ნიზაციის ერთ-ერთი აქტიური წევრი ვიყავი.  
ყველა დავალებას ხალისით ვასრულებდი და  
აი, წლის ბოლოს ყანირზე მიმავალ რაწმში  
როდინცხე. უნდა გენახათ, რა ამბავი ატყდა,  
ჩამდისაც სია გამოქვეყნდა, ზოგმა უკმაყოფი-  
ლება გამოთქვა, ზოგმა ბებია-ბაბუები მოძებ-  
ნა, მოიგონეს ავადმყოფობა და თავი დაიძვ-  
რინეს, სია ყოველ კვირაში იცვლებოდა, მხო-  
ლოდ ჩემი გვარი ეწერა სიის თავში უცვლელ-  
ოდა.

მე შეგნებული მქონდა ის, რომ ყანირზე  
ჩვენს გამგზავრებას სახელმწიფოებრივი  
მნიშვნელობა მქონდა. კომპაგვირმა მოგვი-  
წოლა და ჩვენ, მის წევრებს თავის დაძვრენა-  
ზე კი არ უნდა გვეზრუნა, არამედ მოწოდებ-  
ბას საქმით უნდა გამოვხმარებოდით—დავე-  
დგეთ იქ, სადაც ქარიშხალია... ასეთი იყო  
ჩემი დევიზი და დაცივით ვუყურებდი ზო-  
გიერთი თანაკურსელის შეშინებულ და ატი-  
რებულ სახეს.

დიდი ზარზეიმით გაგვაცილეს. რაც მთა-  
ვარია, სადგურზე მანანა მოვიდა. მე მეტი  
არაფერი მინდოდა. მომიტანა ყვავილები და  
პორფირებს გამოცხვარი ღვეწილი. ჩემთან  
იყო, ვიდრე მატარებელი არ დაიძრა. შემდე-  
გაც ჩემთან იყო—ყოველთვის მასზე ვოცნე-  
ბობდი, ხატად მყავდა გულში.

სემიპალატინსკიდან 50 კილომეტრზე, თვალ-  
წინდელ ველზე შენდებოდა მარცხ-  
ვლიულის დიდი საბჭოთა მეურნეობა. ჩვენ იქ  
კომფორტაბელური სასტუმრო არ დაგვხვედ-  
რია. ფარღალა ბარაკში ვცხოვრობდით.  
ქვეშ ახალი თივა გვეგო და ზემოდან მოკლე  
ჭურჭლი გვეზურა. პირველ დღეებში გავე-  
ჭირდა, მაგრამ მალე შევეჩვიეთ, შევეგუეთ,  
გარემოს. ასე უჭირდათ თავის დროზე კომ-  
სომოლსკის მშენებლებს, მაგრამ გაუძლეს და  
სამარადისო დიდება მოიხვეციეს.

მე ღურგალთა ბრიგადა ჩამაბარეს.  
ორი თვე დავყავით თბილისელმა სტუდენ-  
ტებმა ყანირზე. ავაგეთ დიდი ბოსლი, ექვსი  
საცხოვრებელი კოტეჯი და საბავშვო ბაღი.  
კარგად უშუშავნიათო. გაიფიქრებთ თქვენ.  
კიდევ უფრო ბევრის გაკეთება შეეძლო 200  
ახალგაზრდას, მაგრამ გამოჩნდნენ სულმოკ-  
ლეები, რომლებმაც ხელი შევიკავეთ. მარ-  
თალია, ჩვენ ისინი დროზე მოვიკვიეთ, სა-  
თანადო დახასიათებით დავაბრუნეთ თბილის-  
ში (ალბათა მათი მიზანიც ეს იყო), მაგრამ  
საქმე მინც შეფერხდა.

ყანირელებს გულთბილი შეხვედრა მოგვიწ-  
ყეს. უნივერსიტეტის რექტორმა სახალხოდ  
წაიკითხა სემიპალატინსკის პარტიის საოლქო

კომიტეტის წერილი: ბედნიერია, ქვეყანა, რომ  
მელსაც ასეთი შესანიშნავი ახალგაზრდობა  
ერზრდებაო, ეწერა შიგ. შემდეგ ყანირის გზა-  
რებს,—ასე თქვა რექტორმა,—მოგვეცეს საბა-  
ტიო დიპლომები და საჩუქრები.

მზისგან გარუჯული, ფიზიკურად და სულიე-  
რად გაკაეებული დავებრუნდი მღეთის ქუჩას.  
მეორე კურსზე კომპაგვირის საფაკულტე-  
ტო ორგანიზაციის მდივნის მოადგილედ ამირ-  
ჩიეს, წარჩინებული სწავლისათვის სახელ-  
ბითი სტიპენდია დამინიშნეს. ყოველივე ამას-  
თან, ყანირელთა ათახულის შტაბის უფრო-  
სობა მანდეს. მოადღია ზაფხულმა და ჩვენს  
შტაბს თავსებაურელი საქმე გაუჩნდა—დავა-  
კომპლექტეთ რაწმები, შევეყვითეთ სპეცია-  
ლური ტანსაცმელი, კავშირი დავამყარეთ სე-  
მიპალატინსკის საოლქო კომიტეტთან და და-  
ვაზუსტეთ სამუშაოთა პუნქტები, მოცულო-  
ბა... ისე რომ როდესაც დადგა გამგზავრების  
დღე, შტაბს ყველაფერი მზად მქონდა.

ჩემს ბიოგრაფიაში ყანირის მიწვეზე ორგ-  
ზის მოგზაურობამ წარუშლელი კვალი დატო-  
ვა. აქ შევიგრძინე პირველად შრომისადმი  
პატივისცემა და შევიძინე დამოუკიდებლად  
ცხოვრების ჩვეები. იქ არც პორფირებს გა-  
მოცხვარი ღვეწილი მქონდა და არც ძია კო-  
ლას პენსია, მე ვიყავი და ჩემი ნაზალი. ვინც  
თავი დაიძვრინა და ყანირზე ჩვენთან ერთად  
არ წამოვიდა, ბევრი დააკლო თავის თავს.

ჩვენი ფაკულტეტი ისევ საბჭოთა მეურნეო-  
ბის მშენებლობაზე მუშაობდა. მე უკვე გამო-  
ცდილი ღურგალი ვიყავი, მიქებდნენ ნახელავს  
მე და ჩემს ბრიგადას, გარდამავალი დროსა სე-  
ზონის ბოლომდე შევინარჩუნე, თბილისში ჩა-  
მოვიტანე და შტაბს ჩავაბარე.

მესამე კურსზე მდგომარეობა შეიცვალა. დე-  
კანტში გამოცხადეს, რომ წელს ჩვენი კურსი  
სვანეთში წავიდოდა პრაქტიკაზე. ამიტომ შტა-  
ბის საქმეები სხვას გადააბარე და პრაქტი-  
კანტა ჭგუფის უფროსობა ჩამაბარე.

ათ აგვისტოს სვანეთიდან დავბრუნდი. კოლა,  
როგორც ყოველთვის, ხის ძირას იჭდა და  
თვლემდა, პორფირე სამზარეულოში ფუსფუ-  
სებდა. ჩემი მოწაფეები შოვიკოსებ და მათთან  
მეცადინეობას შევედგეთ. გეგეს სულ ერთხელ  
მოვკარი თვალი, მოკრძალებით მივესალმე მო-  
მავალ სასიმამროს. მან მხოლოდ რამდენიმე  
სიტყვა გაიმეტა:

— ჩამოხვედი? კარგია. სახლი ამ გამოყრე-  
ბული ბერბოლის ამაზა იყო. მიხედვ. მანანა ორ  
დღეში ჩამოვა.

17 აგვისტოს, საღამოს ბავშვებს ვამეცადი-  
ნებდი. ქმეარში გეგე გამოჩნდა, არავის ხმა არ  
გასცა. ონკანი მოუშვა და ცივი წყლით სახე

ირბაქლი უგზულებას  
მსხმარბლი



გაიგარია. მანქანა ეწოში შემოიყავნა და კო-  
ლას უყვირა:

— დახურე კარი!

— ბეგრს ნუ ყვირი! — შეუღრინა კოლამ.

— ვინც გააღო, იმან დახუროს. გამიჩნდა ბა-  
ტონა.

აღარ გავამწვავე მდგომარეობა, კარი დავხუ-  
რე და ურდულიც გავუგდე.

იმ საღამოს გეგესთან არავინ გამოჩენილა. გვიან, აღბათ, ორი საათი იქნებოდა, ანდრო კანკია მოვიდა. პორფირე გააღვიძეს, საუზმე და ცივი ლუდი მოატანინეს. შემდეგ ტელეფონის გაბმული რკვეა გაისმა. მანანას ელპარაკა გიგმი უთხრა, სვალზე გადმოფრინდი, სასწრაფო საქ-  
მეაო.

მეორე დღეს, კანკიასთან ერთად, სხვებიც ეწვივნენ გეგეს, მანანაც ჩამოფრინდა, დახუ-  
რულ კარებში დიდი ბუბა იყო. მხოლოდ სა-  
ღამოს ჩამოვიდა მანანა ეწოში, დაღლილი ჩან-  
და. ყველა კითხვაზე ძუნწად პასუხობდა: გავე-  
ხუმერი, სვანეთის ამბები მოვუყუვე, მაგრამ ვერ-  
აფერი გავაწყვე. გვიან საღამომდე ვიჭქით ხის ძირას, ხელგადახვეულნი, გაუურებულნი. ორივე ვფიქრობდით: მე მომავალზე, ის კი...  
აღბათ, ისიც. და უცებ მანანა შემეკითხა.

— ჯაბა, ჩემი გულისათვის კიდეც გადახტე-  
ბი ხიდიდან?

— მანანა, რა მოგდის?

— გადახტები?

— ხიდიდან გადახტომა რა არის, მე შენთვის უფრო დიდი მსხვერპლი შემიძლია გავიღო.

აივანზე გიგე გამოჩნდა, აღბათ ვერ შეგვამ-  
ჩნია, ერთხანს ათვალეირა ეწო, მერე თავის-  
თვის წაიდუღუნა, საღ წავიდა, ამ შუა ღამე-  
შიო.

მანანა კი მე მყავდა გულში ჩაქრული, საღ უნდა წასულიყო. მთელი ტანით ცახცახებდა, ფეხის ცერებზე დაგებოდა, ლოყანზე მკოცნიდა. და თან გრძნობამხიდილი ჩამიჭურჩულებდა: მი-  
ყვარხარ, მიყვარხარ, მიყვარხარ, ჩემი გმირი ხარ!

ისეც გამოჩნდა აივანზე გეგე. ახლა მე დამი-  
ძახა. კოლა შეეხმინა, ჭერ არ მოსულაო.

გვიან დღით კოლა შემოვიდა ჩემთან, სა-  
წოლზე ჩამოჯდა. პაპიროსს ახოლებდა და ხა-  
მუშ-ხამუშ ღრმად ამოიხენეშებდა. შემდეგ, როგორც იქნა, ამოშავრა:

— ბიჭო, ეგ გოგო არ არის საშენო.

— რატომ?

— შენ სხვა ხარ, ეგ სხვაა.

თქვა და თქვა, აღარ გაათავა.

მე მის ლაპარაკს არ ვუსმენდი. ჭერს შევც-  
ქროდი და მანანაზე ვფიქრობდი.

ორი დღე გავიდა...

მანანა არ გამოჩენილა ეწოში. ვგრძნობდი, რომ იქ, მეორე სართულზე, დაძაბული მდგო-  
მარეობა იყო. რაღაც არჩვეულებრივი ხდე-  
ბოდა.

ღილით უზნის ინსპექტორი, მილიციის უმ-  
ცროსი ლეიტენანტი კოტე დიდამდე შემ-  
მოვიდა ეწოში. შემოვიდა და მანქანას და-  
აღგა თვალა. რამდენჯერმე შემოუარა, გულ-  
დასმით დაათვალიერა და მარჯვენა ფრთასთან  
გაჩერდა.

— ვისია მანქანა?— იკითხა.

— პატრონისა. — მიუგო აკლებით ძია კოლამ.

— შენია?— შემეკითხა ახლა მე.

— ვითომ არ იცი?— არ მაცვალა კოლამ. —  
ყოველ შემოსვლაზე ეგ უნდა იკითხო?

— რა იყო კოტე, რას ეჩხუბები მაგათ? —  
გაღმოსძახა აივნიდან გეგემ. — მანქანა ჩქია.

— მანქანის შესამოწმებლად მოვედი.

— შეამოწმე მერე, ვინ გიშლის.

დიდიძემ კიდეც შემოუარა მანქანას, ში-  
გაც შეიხედა, განსაკუთრებით დიდხანს ათ-  
ვალეირა მარჯვენა ფრთა და გეგესთან ვიღია.  
რამდენიმე საათის შემდეგ უმცროსი ლეიტე-  
ნანტი ღიღინით ჩამოუყვა კბეებს, მანქანის-  
კენ არც კი გაუხედავს, კოლას ენა გამოუყო  
პატარა ბავშვივით და წავიდა.

თითქოს ინსპექტორის წასვლას უცდიდენ-  
ო, ისეც ატყდა მისვლა-მოსვლა გეგესთან.  
ბოლოს მილიციის პოლკოვნიკი მოვიდა,  
მაგრამ დიდხანს არ დარჩენილა. მთელ ამ  
ბუბას მანანაც ესწრებოდა. ჩემს გაკვირვე-  
ბას საზღვარი არ ჰქონდა. საერთოდ, გიგე  
თავის საქმეებში მანანას არ ირევდა ან რა  
რჩევა უნდა მიეცა, რა იცოდა გეგეს დახვ-  
ლიანჯული საქმის? გადაწვივით თუ იმ სა-  
ღამოს მანანა ეწოში არ ჩამოვიდოდა, მე უნ-  
და ავსულიყავი და გამეგო ყველაფერი.

თერმეტო საათი იქნებოდა, როდესაც მა-  
ნანა აივანზე გამოჩნდა, აუჩქარებლად ჩამო-  
უყვა კბეებს და პირდაპირ ჩემი ოთახისკენ  
წამოვიდა.

ტირილა...

გული დამეფუფქა... ვერა და ვერ გავაჩე-  
რე, მერე როგორც იყო, მითხრა, ოთახში შე-  
ვიდითო.

წყალი მივწოდე.

— მანანა!— დავიწყე მე. — უკვე საში დღეა,  
რაც კალაპოტიდან ამოვარდი, სულ სხვა ხარ,  
რა დაგემართა, გამიმხილე, მითხარო, იქნებ გა-  
მოგადგე, იქნებ შეგიმსუბუქო ღარდი, თქვი!

— მამას ავარია მოუხდა, ვილაცას დააჯახა  
და...

— მოკვდა?

— არ ვიციო.

— მერე?

— მერე... გამოქცეულა. ავტონსპექტო-  
რი იმიტომ მოვიდა, ეძებენ დამნაშავეს.

— როგორ? კაცს დააჯახა და მიიძალა,  
არც უპატრონა დაწარალებულს? ეს გიგე ბი-  
ძიამ გააკეთა?

— ახლა გვიან არის მაგაზე ლაპარაკი. ვი-

დუბები. თავს მოიკლავს მამა. რა ფასი ექნება მის სიცოცხლეს.

— მერე, მე რისი გაკეთება შემიძლია?

— მამაჩემის უბედურება ჩემი უბედურებაა. შენ ხომ გჭერა ეს. მამას დალუპავს ვერ ავიტან, შენ, მხოლოდ შენ შეგიძლია მისი ხსნა.

— მე? როგორ...

— შენ უნდა იკისრო ყველაფერი... ამით მამას დაიხსნი, ხოლო მამა—შენ.

— სათქმელი თქვა...

— სიჩუმი დაინსადგურა ოთახში.

— შეშინდი? ტყუილად მქონდა შენი იმედები?

— წავიდეთ გეგესთან, მე მინდა მისგან მოვისინხო ყველაფერი.

გეგე სავარძელში იჯდა. ხელებში ჩაერგო თავი. ფეხის ხმაზე უაზროდ შემოგვხედა და წაილაპარაკა.

— რაო, ბავშვებო, რას იტყვიო ახალს.

— თავში ხელის ცემით და ვაი-ვაის ძახილით არაფერი გამოვა. აგერ არის ჭაბა, რომელიც მზად არის ჩემი გულისათვის ცეცხლში ჩავარდეს. გამოიხედე აქეთ, უთხარი ყველაფერი.

— მანანა გიყვარს?—მკითხა.

— დიახ.

— დამილოცინებო, შევიღებო. მე კი წავალ, ჩავბარდები, ყველაფერს თქვენ გიტომე, მშვილობაში მოიხმარეთ. მე იქიდან გამოსვლა არ მიწერია...

— გეგე ბიძია, მე აქ ვარ, რაც შემიძლია, დაგეხმარები.

გეგემ მომიყვა ყველაფერს.

— აწი შენ იცი, ჩემი სიცოცხლე შენ ხელთაა. რაც მანანამ მოთხრა თუ... — სიტყვა ვერ დაასრულა გეგემ, ცრემლი მიორია, სახეზე ხელები აიფარა ისევ.

— დაწუნარდით, გეგე ბიძია, მე თანახმა ვარ.

გეგემ კიდევ გაიმეორა ყველაფერი. შემდეგ მანქანაში ჩამსვა და ავარიის ადგილას მიმიყვანა. მაჩვენა სად დააჯახა, სად დაეცა მისი მხსვერვალი, რომელი გზით მიიმალა. ერთი სიტყვით, ყველა წვრილმანი ჩამიქუდა თავში.

შენ გვიან დავბრუნდით. ფრანგული კონიაკი შემოდგა მაგიდაზე, პორფირე გააღვიძებინა მანანას და საუზუნე მოატანინა. ისევ აცრემლდა:

— მე არ მამატიებენ, ძველ შემთხვევასაც გამოიჩინებინა და დავიღუპები. შენ კი ახალგაზრდა ხარ, მოწინავე, ანგარიშს გაგიწევინ. გაპატიებენ, ყველაფერს გავაკეთებ, რომ შენ სასჭრელის მინიმუმი მოგცენ. დიდი-დიდი ორი წელიწადი მოგიხაჯონ. რა მოხდა მერე, გა-მოხვალ და ყველა უფლებას აღიდგენ, გა-მოხვალ და მანანა აქ დაგხვდება, ღმერთმა გაგაბედნიეროთ.

— როდის უნდა გამოვცხადდე? — მკითხე.

— ხვალ დილით. უკვე კვალს მოაგნებ, უბნის ინსპექტორს კი ამოუკუპრე შირბ, მაგრაშ არ არის სანდო. რაც მოვარია, კვალს მოაგნებს. მენდე, შეილო, ცოტა გაგვირდება, დანარჩენს მე მოვავარებ, შენს გვერდით ვიქნები, მამა არ გუყავს და მამად მიგულე.

როგორც მაშინ, ხილზე, ახლაც არ მქონდა უკან დასახევი გზა. უკან დახევა მანანას დაკარგვას ნიშნავდა, რაც არ შემეძლო.

შუალამე გადასული იყო, როდესაც ჩემს ოთახში დაებრუნდი. გეგემ იმდენი მიჩინა, რომ დავიჭერე, დავიჭერე, რომ მე მოვხადინე ავარია, გავიქციე მხალისით, მივატოვე მომავლადი. მე უკვე სისხლის სამართლის დამნაშავე ვიყავი. ხვალდან პატიმარი, ოთხ კედელში გამოიწყვედელი, უფლებააყრილი აღამიანი ვიქნებოდი.

დარტინანტულივით ლოგინზე გავაშოტე.

კარმა გაიქრალა...

ჩემს ახლოს შიშველი სხეული ვიგრძენი.

თითქოს ნისლიდან გამოვიდა მანანა!

— მე მოვედი შენთან. რათა დაგიმტკიცო, რომ შენი ვარ, მხოლოდ შენ გეკუთვნი.— წაიწურჩულა მან.

— მანანა... მანანა...—გუბებზე გუბები და ვგრძნობდი, რომ საღდაც, სიტკბობის მოკრეში ვიპირებოდი.

დილით კოლა შემოვიდა, ცხელი რძე მომიტანა და მითხრა, ბავშვები მოვიდნენ სამეცადინოლო.

ხმა არ გავეცი. უაზროდ ვიჭექი ლოგინზე და ტანსაცმლის ჩაცმის თავიც არ მქონდა.

ბავშვები წავიდნენ, რძე გაცვიდა.

ეწოში გეგე დავლანდე.

ეს იყო ძველი გეგე, ამ ხუთი წლის წინანდელი გეგე, დაჩივებული, ქლესა, მათხოვარი, ორ სიტყვას ერთმანეთს რომ ვერ აბამდა. შემოალო კარი და მითხრა:

— რა ბქენი, ბქეო, ხომ არ გადაიფიქრე.

— არა.

— აბა?

— აბა, რა? გეჩქარება?

— შეილო, ჭაბა...

— კარგი, კარგი. თქვენ წადით.

კარის ზღურბლთან შევეკონდი, ვაგვიანებდი გადაბიჭებას. მუხლი არ შემორჩილებოდა. გადაუბიჭებელი და პატიმარი ვიყავი.

აი მთელი ამბავი.

ახვ მოხვდი მე, სრულიად უღანაშაულო აღამიანი, საბრალდებულო სკამზე, შემდეგ გამასწორებელ კოლონიაში. ახლა იტყვი, გეგეს რას ერჩით, თქვენი თავი თქვენვე დაგიღუპიათო, სიყვარულს შეეწირეთ მხსვერვა-

ირბაქლი უკულავა

მსხმირაქლი



ლად არავინ ძალას არ გატანდაო. გეთქვა უარი და ამით ყველაფერი გათავდებოდაო. მართალი ბრძანდებით. მაგრამ უარის სათქმელად ძალა არ მეყო. ხიყვარულმა შემბოროკა, მოჰფიქრებინა, განჭვრეტის საშუალება არ მომცა. თავში მხოლოდ ერთი აზრის მიტრიალებდა— „ფუშველო მანანას“.

ჩემს მოქმედებას ანალიზი მაშინ გავუკეთე, როდესაც საპატიმროს საენის კარი გამოიკეტეს და მარტო დავრჩი. მივხვდი, რომ ჩემი საქციელი შორს იყო გამირობისაგან, თავდადებისაგან. მე ბოროტმოქმედს დავფარე ხელი, მას შევენაცვლე. მაგრამ უკვე გვიანდა იყო თითზე კბენანი.

ჩემს ტრაგედიას პირობითად „მოტყუებულობა“ შეგინებული, თავლაფასისხული“ ვუწოდებ. — შედგამოკრიბილი სათაურია. ხომ სწორი ვარ? ვისთვისაც თავი გავწირე, იმან მომატყუა. ჩემი ოცნებანი, ჩემი მიზნები შემოიგინეს, სულში ჩამაფურთხეს და თქვენ გგონიათ, რომ ყველაფერი ამით დამთავრდა, ბედმა დამინდო?

მომისმინეთ!

როდესაც წერა დავამთავრე, აბრია შეეცვალე საღვურში. „აღსარება“ დამთავრებული მქონდა, მაგრამ გაგზავნას ვერ ვბედავდი, თითქოს რაღაცას ველოდი, რაღაც მაკლდა, რომლითაც უნდა შემეფხო ჩემი ნაცოდვილარი. იმ დღეს ოთხი ვაგონის მაგიერ ექვსი ჩამოვდა, ხალხი კი ნაკლები მყავდა. ამიტომ დიდმა და პატარამ მკლავები დავიკარწყახეთ და გადმოტვირთვას შევუდევით. შუალედ იწურებოდა. როდესაც აბრია მითხრა, ვილად მოხუცი გჯიხთსულობსო. ვინ მოხუცი უნდა მოსულიყო, კოლა მკვდარი იყო. ნუთუ პორფირე ბიძია? გაიხელვა თავში.

დიახ, პორფირე მეწვია. გადამეხვია, მაკოცა, იტირა. გულწრფელად შევეცოდი, მოხუცს ასე უღმერთოდ გაუბედურებული, დანაგავილი, გათელილი კაცი.

— ქვე, ღვეწელი მოგატანე, შენ რომ გიყვარს ისეთი. დილით გამოვაცხებე. ჰამე შეილო, უარს ნუ მეტყვი.

ხელჩანთიდან ამოიღო ჭერ კიდევ თბილი ღვეწელი. გემრიელად შევაქეცი. პორფირე მიყურებდა და თავს აქიცინებდა, ბოლოს სიტყვა ჩაურთო:

- რაჟამი მივიღივარ.
- დროებით?
- სამუდამოდ. დის შეილმა მომწერა წერილი, ჩამოდი და გიპატრონებო.
- მერე გეგე? მისი ბანკეტები?
- გეგე ქვე დეიჭირებს.

ლუკმა ყელში გამეჩხირა, ხველა ამიტყდა. — ალალი, შეილო, ალალი. გუშინწინ საღამოს მოვიდნენ. გაჩხრეკეს, ყველაფერი ყიწაწე დააყენეს. მე მოწმედ დამისწრეს. და-

მის ხამ ხათამდე გაგრძელდა ჩხრეკა, შევკრიბი სიმდიდრე შეგაროვეს: ოქრო, ვერცხლი, ბრინჯიანი, ნაღდ ფულს ხომ ნულარ იტყვი, დილი ბარკი გაავსეს.

— მერე, მერე? — ვეჭოთებოდი მოხუცს და სულის მოთქმის საშუალებას არ ვაძლევდი.

— მერე, წაიყვანეს, გეგე და მისი სიძე ლელენდარა ჭუანშერი.

— ჭუანშერი, რატომ?

— რავა, დაგენანა? ჭუანშერის მამა ანდრო კანკიაც დოუჭერიათ. ერთი ბანდა ყოფილა.

— მერე მანანა?

— მანანა? დარჩა ამხელა სახლში მარტო.

— გეგე, გეგე! — ამოვიგმინე. — შენ დამლუპე მე და შენი შვილიც, ახია მაგაზე, ახი. მე დარწმუნებული ვარ, რომ მან აიძულა მანანა ჭუანშერზე გათხოვილიყო.

— ჭახუკა, ციხემ ჰკუა არ გასწავლა?

— რატომ მეუბნები მაგას, პორფირე ბიძია?

— გეგე თუ ხვადი მგელია, მანანა ძუ მგელია.

თქვა პორფირემ და წამოვდგა. მას ასე გადაქრით, მტკიცედ ლაპარაკი არ უყვარდა, არც ასეთ შედარებებს აკეთებდა, უბრალოდ საუბრობდა, ანლა კი...

— ვინ არის ძუ მგელი, მანანა?

— ბო, შეილო, ძუ მგელია. შენ მანანამ დაგლუპა.

— რას ამბობ, პორფირე ბიძია.

— ასეა, შეილო, ასე. შენი განწირვის გეგმა მანანას შეუდგენია. მე ქვე არაფერი ვიცოდი, გვიან გევივარ, დაქერის წინა დღეს ჭუანშერმა მითხრა ყველაფერი. იმ დღეს თურმე ხუთი კაცი ბეობდა და ვერაუფერი გამოიგონეს გეგეს საშველად. მერე კაცების ლაპარაკში მანანა ჩარეულა და უთქვამს: უნდა მოიტებნოს კაცი, რომელიც მამას მაგიერ იყოს. რებს ხასჭელსო და იქვე დაუსახელებიხარ. ჭაბა ჩემი გულისთვის ყველაფერს გააკეთებსო, უთქვამს. გეგეს წამოცდენია: ცოდვია ბიჭიო, მაშინ მანანა გაწყრომია: თავი მომამეზრა, აჩრდილივით დამდევს, ორი-სამი წელი თუ მომშორდებდა, გადავაიწყვლები და მეც ჩემს გზას ვიპოვებო. შეაქვს გოგო და ის იყო, შენთან გამოგზავნეს ნიადაგის მოხასინჯად.

— გაჩუმილი პორფირე ბიძია! გაჩუმილი, გაჩუმილი! კმარა! მეც აღამაინი ვარ, როგორ გავუძლო ამდენ ვარაზს. მაშ არ ვუყვარდი? რატომ მოკლენდა, რატომ დატოვა თავისი ქალწულობა იმ დამეს ჩემთან. ყველაფერი ეს თვალთმაქცობა იყო?

— კაი, ჭახუკა, კაი ბიძია. კაცი ხარ და გაუძელე ეს იმიტომ გითხარი, რომ სიმართლე გცოდნოდა. ვიცი, რა გულისაც ხარ, ვი-



ცო, რომ მანანა გუფარს, ვიცო, აქედან გახვ-  
ლისთანავე დაუბრუნდებოდი მას, აპატიებდი,  
აწი შენ იცი.

პორფირე ბიძია წავიდა.

როგორც ხედავთ, ბედში ყველას თავისი მი-  
უზღო. მეც დავისაჭე, როგორც უღანაშაულს  
დამანაშავე. მაგრამ მე ხელნახაქნივი, უმიმლო  
კაცი არა ვარ. გულით ისევ კომკავშირელი,  
მისი გაზრდილი ვარ და იგი ამ შეცდომას მა-  
პატიებს, შემინდობს დანაშაულს.

ამიტომ გთხოვთ, თქვენ, პირადად, შინაგან  
საქმეთა მინისტრს, რომელსაც არა მარტო  
დამანაშავეთა დაპატიმრება და ოთხ კედელში  
გამოწყვედვა ევალება, არამედ დამანაშავის  
სულში ჩახედვაც, მიშუამდგომლოთ უმაღლე-  
ის საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე, რათა მამა-  
ტიონ, მაკმარონ ის, რაც გადავიტანე. ჩვენ  
პატიმრები ვართ, მაგრამ ქურბი კი არ ვწი-  
ვართ. ვიცით, რაც რესპუბლიკაში ხდება. მე  
ძირითადად მივესალმები დაუნდობელ შეტევას  
ყველა ჭურის თაღლითის წინააღმდეგ. მე  
ხომ მათი მსხვერპლი ვარ.

უმორჩილესად გთხოვთ, ჩემი ბედი ახლა  
თქვენს ხელთაა.

ჭაბა შალვას ძე ერისთავი

14

გეგე ჩალაძის საქმე ქალაქში გახმაურდა.  
სულთანაი გაიზარდა, ზეფავით აგორდა და  
თუნ ერთანად მოხვეტა ყველა, ვინც კი  
ოღნსმე ხელის მოსახობადად მის ტრეხტს გა-  
კარბია. შემდეგ სიკო რამდენიმე თვით ხარ-  
კოვში მიავლინეს. გეგესა და ანდრო კანკიას  
ხელის დამცელებებს ეძებდა. ჩამოვიდა და კი-  
ევში გააგზავნეს. საქმე თავზე საყრელი ბქონ-  
და, ამიტომ ჭაბა არ მოგონებია.

ჭაბას „აღსარებაში“ იხებიალა და ბოლოს  
იქ მივიდა, სადაც უნდა მისულიყო—გეგეს  
საქმის საგამომიძებლო ჭკუფს გადაეცა.

— ვინ იცნობს ჭაბა ერისთავს?—ოკითხა  
ჭკუფის უფროსმა, რომელმაც მინისტრის სა-  
ხელზე დაწერილი, უცნაური „მოხსენებითი  
ბარათი“, როგორც იქნა, ბოლომდე წააკითხა.

— მე ვიცნობ.—თქვა სიკომ.

— შენც მიგიღია მონაწილეობა ამ „აღსა-  
რებაში“ დაწერაში.

სიკომ თვალი გადაავლო ჭაბას ნაწერს და  
თქვა:

— მე მხოლოდ პირველ ნაწილს ვიცნობ.

— ჰოდა, ახლა მთლიანად გაეცანი.

სიკომ ყურადღებით ჩაიკითხა ბოლომდე და  
იმ წამსვე უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში  
დარეკა. ყველაფერი გაიკო: ჭაბა შალვას ძე  
ერისთავს ეპატია, გათავისუფლებულია სას-  
ჭელისაგან, უთხრეს მას. იგი არც დაფიქრე-

ბულა, „აღსარება“ პორტფელში ჩაღო და  
მღეთის ქურჩისკენ გასწია. გეგეს უჩაფრლო ცნ-  
ხე-სიმეგრის ჭიშკარი დაგმანული უყო სა-  
დაბარაზოზე დააბარახუნა, როგორც იქნა, გაიხ-  
მა ხმა.

— ვინ არის?

— მილიცია. გააღეთ კარი.

კარი მანანამ გააღო და სტუმარს სახლში  
შეუძღვა. მას გრძელი, თამონური პენუარი  
ეცვა. აუჩქარებლად მიდიოდა და ტანს მთარ-  
ხევდა. „ასეთი ქალის გულიხსათვის ღირდა  
თავის, განწირვა“.—გაუღევა თავში სიკოს.

მანანა სავარძელში მოკალათდა.

— რას გვიბრძანებთ, რა გნებავთ კი-  
დევე?—იკითხა მან ტურების გრეხით და სიგა-  
რტეს მოუკიდა.

— სად არის ჭაბა ერისთავი?

მანანა არ ელოდა ამ კითხვას, ტურებთან  
მიტანილი სიგარეტი გაუვარდა. მეორე აიღო,  
მაგრამ ვერ მოუკიდა, ხელი უკანაკლებდა.

— არ ვიცი.—თქვა ნერვიულად.

— თქვეთთან არ მოსულა?

— არა და კარგი ქნა.

— რატომ?

— ძველი იარები გაიხსნებოდა.

— რომ მოსულიყო?

— არ მოვიდოდა. მან სიყვარულიც თავდა-  
ვიწყებთ იცოდა და სიძულვილიც.

სიკო იქიდან უნივერსიტეტში გაიქცა. კა-  
რებში დათო ამაშუკელს შეხვდა. ის იყო  
უნდა ეთქვა ჭაბას შესახებ თუ რამე იცოო,  
რომ კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ჩანთა  
გახსნა და კონვერტი დაანახა.

— ახლა გადმოძვის, არც გამიხსნია. გან-  
ვმარტოვადეთ და წაეიკითხოთ.

„ორჭერ გადავიტანე მძიმე ტრამვა. პირვე-  
ლად, როდესაც სახმართლოს წინაშე ვიდექი და  
ყველა მხდალს, უსინდისოს მიწოდებდა, მეო-  
რედ, როდესაც იძულებული გავხდი ჩემი  
თველაფდასმა შეღარებინა.

თბილისში არ დამელომება.

დრო არის საქირი, რათა ყველა ქრილობა  
განიკურნოს.

ამიტომ გადავწყვიტე წასვლა.


დათოქან! მივდივარ და \*გული სავსე მაქვს  
თქვენი სიყვარულით.

საპატიმროში ვიყავი და წერილს არ მაკ-  
ლებდით, ახლა რა ღმერთი გაგიწყრებათ. ჩემი  
მისამართია: ბამი. ერკუტსკის ოლქი, ნია-  
გრუხინსკაია, რუსთაველის პროსპექტი 8,  
დურგალთა ბარაკი.

როლის ჩამოვლა? რამდენიმე წელიწადში,  
როცა მშენებლობა დამთავრდება.

ეს ნაჩქარევად დაწერილი ბარათია. ბამის  
ამბებს არ მოგაკლებთ. თქვენი ჭაბა.

# „სიტყაჲჲ და ლექსი ერთია“



„ჩვენს პარტიას შემოქმედებითი ცვლის მომზადება და აღზრდა კულტურული მშენებლობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიაჩნია და ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობს მას. ამის ახალი დადასტურებაა ახლახან გამოქვეყნებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „შემოქმედებით ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ“.

„საქმე ისე უნდა დავაყენოთ, რომ დაწვება ავტორთა საუკეთესო ნაწარმოებებს დროულად აქვეყნებდნენ ცენტრალური და ადგილობრივი გამოცემლობები, კიდევ უფრო უნდა განვითარდეს ახალგაზრდათა შემოქმედებისადმი მიძღვნილი წიგნების სერიებისა და ჟურნალების ნომრების გამოშვების პრაქტიკა“.

„პრეზდა“. 22 ოქტომბრის მოწინავე, 1976 წელი.

## ბაბაი თევზაძე

### ლენინურ კომპაზვირს

დადექ დაზგასთან, ჩარხთან დადექი,  
მინდვრად გადი და მკლავი გამართე!...  
თუ მკერდს აუქცევ გრიგალს ატეხილს —  
ბელადის იმედს ვერ გაამართლებ!..

არ მახსოვს შენი დროშა დახრილი, —  
იბრძვი ცხოვრების ყველა უბანზე;  
შერცხვი — წინაპარს სისხლი დაღვრილი  
თუ ღირსეულად ვერ დაუფასე!

შენ ხარ კომუნის ბურჯის მგებელი,  
გმართობს პირველი სნულის გატანა!  
შენ უნდა შესძლო შეუძლებელი,  
აუტანელის შესძლო ატანა!

გინმობს საბრძოლო გზები დიდების,  
მზით ეს დღეებიც შენით ივსება,  
მწამს — სინდისივით გაუფრთხილდები  
დიდი ლენინის სახელს, ღირსებას!..

## აკოლონ ალონია

### შეინარუნე ახ სიდიადე

შენ მიწილადე ეს ტკბილი სიტობო  
შენი სისხლის და შენი სინდისის,  
შენს ცეცხლთან ვდაგვარ, სულ შენზე

ვფიქრობ

და სულ ვამაყობ შენი სიმდიდრით.

შენს სილამაზეს, შენს სიძლიერეს,  
რაც შენში ბრწყინავს ყველაფერს ერთად —

ველოლიავე, ბევრი ვეფერე  
და მიგიჩნიე ერთადერთ ღმერთად.

გზას გამოვყევ და მწვერვალი ვნახე,  
ცა ვნახე... შენი მზის სამფლობელო.  
ასლა ვდაგვარ და სურვილებს ვამხელ  
უბერებელო, დიდო მშობელო.

გქონდა უნარი ყოვლის ამტანი,  
როცა ებრძოდი მტერსა და დრო-ჟამს...  
მაინც გაძლებს, მაინც გატანის  
სურვილს და მიზანს სახავდი დროშად.

ბრძოლის, დაცემის, კვლავ წამოდგომის  
და გამარჯვების უნარი გქონდა  
და ასე მუდამ, ასე ყოველთვის  
შენს ირგვლივ წვიმდა და ქარი ქროდა, —

ქარი ბოროტი, ქარი კეთილი,  
ბნელქარი ნგრევის, მზექარი შექმნის.  
იდექი როგორც ციხის კედელი  
და ანათებდა სიწმინდე შენი...

და ანათებდა სიმაღლე შენი  
ჟამს, არსებობას შენსას, — წყვიდადებს...  
შესძელ სიცოცხლე უძლეველ რწმენით, —  
შეინარუნე ეს სიდიადე.

შენ ყველა ერის სულს ძმად ერგები, —  
არ გაწბილდები სირცხვილეული;  
შენს ძველ მუხნარში ახალნერგები  
კვლავ შრიალებენ რტოაწუელნი.

ისევ ანთია შენი ნათელი,  
შენი ოცნება უფსკრულგავლილი! —  
გალობ შენეულ მაღალსათქმელით  
და პოეზიის ბრწყინავს ყვავილი!..



მე თქვენ ისეთი სიყვარულით უნდა  
 მიყვარდეთ,  
 რომ ნატანჯი ჩემი სხეული, ორომტრიალით,  
 შესხლა-შემოსლით,  
 შემომეხსნას როგორც ნაჭუჭი და თეთრ  
 პეპელად შემოგვეგებოთ.  
 დაგათრთოთ თუნდაც ერთი წუთით  
 საკვირველი გულუბრყვილობით,  
 თავმოდრეკით და მოწინებით, — ისე  
 მიყვარდეთ,  
 რომ დანახვამ გული შეაკრთოს.

გადარეულა წვიმებისგან მთლად არემარე,  
 მზე იკოცნება და ხეთა სუნთქვა  
 ისე ხშიანად, ისე ხშირად ისმის სიცილად,  
 თითქოს მწვანეა ერთადერთი სიცოცხლის  
 ფერი,  
 თვალსაწიერზე მხოლოდ მწვანე, მწვანე,  
 მწვანე და მწვანე  
 სინორჩის სუნი, შუქი რბილი აბრეშუმისა,  
 თავმოწონება, აფეთქება, თავდავიწყება,  
 სიმღერა ერთი, მხოლოდ ერთი სიმღერა —  
 მწვანე, —  
 წვიმების შემდეგ, წვიმების შემდეგ,  
 წვიმების შემდეგ.

**ღ ე ღ ა ს**

ისე უბრალოდ ჩავივლის წყენა,  
 როგორც ფოთლებს ზაფხულის თქემი  
 და ზღაპრული ჭურჭელივით არ გაკლდება  
 სიყვარულის არც ერთი წვეთი...  
 ბერდები ასე თავგადაკლული,  
 დიდ სოფელში, ათას ხალხში, ათას საქმეში  
 და ჩუმი ცრემლით ალბობ შენი სიცოცხლის

ჩეროს.

რა პატარაა ჩემი ჩრდილი, უკან რომ  
 მომდევს,  
 როგორც ყლორტისა, პირველად რომ აიღო  
 პირი  
 და ქვეყანა თავის ეგონა, —  
 ორიოდუე ბალახის ღერს თუ დაჰფარავს  
 მცხუნვარებისას  
 და თვით ელტვის უზარმაზარ ხეთა  
 სივრილეს.

**რეზავა დანელია**

**გაგულისადმი**

ყანა რა ყანაა უმზეოდ,  
 კაცი რა კაცია უშენოდ!..  
 ჰეი, ჩვენც დავაგუგუნოთ  
 საგალობელი მზისა,  
 ვაზის და კაიკაცობის,  
 მთვარისფერება გზისა,  
 ენგურის გახელბეულის,  
 მზეანაყარი დღისა,  
 ჰეი და, გაიხარენით! —  
 დროშა წაიღოს ღირსმა!  
 ყანა რა ყანაა უმზეოდ,  
 კაცი რა კაცია უშენოდ!..  
 ზეცა მოშინდისფრო

ბევრჯერ დავკვიტალხეს,

მაინც არ დაეცი, არ გატყდი, —  
 ერთი ყველასათვის, ყველა ერთისათვის,  
 ესაა ჩვენი ადათი!..  
 ჰეი, ჩვენც დავაგუგუნოთ  
 საგალობელი მზისა,  
 ვაზის და კაიკაცობის,  
 მთვარისფერება გზისა,  
 დედისა ულამაზესის,  
 მზეანაყარი დღისა,  
 ჰეი, და გაიხარენით...  
 დროშა წაიღოს ღირსმა!..  
 ყანა რა ყანაა უმზეოდ,  
 გული რა გულია უშენოდ!

**გადღობა თქვენდა...**

(თ. და გ. ლამბაშიძეებს).

როგორც ჩიორას — ძირს დაცემულს  
მოტყეილ ფრთებით —  
ხელს შეამველებს ვინმე კეთილი,  
ისე მომნახეთ სულმთლად ბავშვი —  
გამხდარი მხრებით,  
სვედიანი და გულდაწყვეტილი...

მერე ბავშვობა მომიქარგეთ  
ვარდისფერებით  
და ჩამიდვარეთ თვალეში სითბო,  
კრძალვით მოვალ და მშობლებივით  
მოგეფერებით —  
ორი პატარას დედისგან თვითონ...

და ჩუმი გეტყვიან:  
— ახლა მზისფრად დაწინწკლულია  
ჩემი ოცნების თეთრი აფრები,  
თქვენს ზრუნვას ასე მშობლიურს და  
კეთილგულიანს,  
ვერ დამავიწყებს ველარაფერი...

**დეკემბერი**

ახლა სულ მალე დაათოვს ფიჭვებს,  
ციდან ჩამოვა ფიფქი მრავალი,  
ჯარიდან ახლად ჩამოსულ ბიჭებს  
არ დასჭირდებათ შუამავალი...

ცისფრად დაფიფქულ ქართულ სოფლებში  
ვერაგინ დათვლის ლხინს და ქორწილებს,  
მოგენატრება ბავშვური ცრემლი,  
სიმღერა ისე დაგიმორჩილებს...

თოვლში სიცივეს ვერაგინ იგრძნობს,  
იქნება ერთი სიცილ-ტკარცალი,  
დააძალებენ ერთმანეთს ღვინოს:  
— ე, ბიჭო, ერთი კიდევ დაცალე!...

სივრცეს აავსებს იღვშალებით  
„გაფრინდი, შავო მერცხალის“ ხმები...  
და ღამეს თუთრად გაათენებენ,  
ციდან მოსული ციციქა ფიფქები...



გამოცემის სახელია. ჩემს მამულს შვენი,  
გადაფიფქული ტყემლებით თრთოლვა,  
ამოუცნობი ტკივილი ჩემი,  
წაიყოლია თებერვლის თოვლი...

ღია ფანჯრებზე მზე სხივებს ჰკიდებს,  
კვირტებს აქვთ ერთი აურზაური,  
არ გაგიკვირდეთ, არ გაგიკვირდეთ,  
მე რომ დღეს ასე ვარ უცნაური...

გესმით? თების ჩურჩულიც ისმის,  
ირგვლივ ყველაფერს აქვს სხვა იერი,  
ვღგავარ, ვუღიმი თოთო ბალახებს,  
და გასაოცრად ვარ ბედნიერი...

**თამაზ ბერუჩაშვილი**

**შენს სადიდებლად**

აპა, მოვედით. —  
ჩვენ ახალი გვევია თაობა, —  
მკვდრეთით აღვსდებიან  
ათასობით სასაფლაოდან...

მოგვაქვს მიზანი —  
საამაყო და დიდებული, —  
გული —  
სამშობლოს სიყვარულში  
ჩამკვიდრებული!..

უნდა იდინოს ისევ მტკვარმა,  
როგორც დიოდა,  
შარავანდელი უნდა ადგეს.  
ზეცას სიონთან.

დიდი სინათლით აივსება  
ირგვლივ ყოველი,  
უნდა ავმალდეთ ცამდე,  
როგორც სვეტიცხოველი.

სულში გვინთია მამულის მზე, —  
გული ხშიანობს, —  
შენს სადიდებელს ვაგუგუნებთ —  
აღამიანო!

აკაკის მოღანდობა სსპიტორში

პერანგს ვეკრავდი ღრუბლის ნაჭრებით,  
ყოველი წუთი იყო მოსწრება,  
მზე ჩამოუშვეს ოქროს ჯაჭვებით  
ფრთამოსხატულმა ანგელოსებმა.

ვარდისფერ დილას მივაჭროლებდი,  
წერეთლის ქალი კვნესდა სულიკოს,  
ხე, დახუნძლული იადონებით,  
აკაკის ხმაზე გატრუნულიყო.

თბილისი

შემოსვლა მიყვარს მაისის დილის —  
მთებზე იღვრება მზის ჩანჩქერები...  
დავიჩოქებ და ჭაღარა თბილისს,  
ისე ვით დედას მოვეფერები...

ასწლოვან ხეთა ქათქათა ნისლით,  
ცხის გუმბათთა მტკივან შუბლებით,  
ხაჭართველოსთვის დაღვრილი სისხლის  
მემკვიდრეობის დიდი უფლებით, —

ავმხედრებულვარ ცხენზე ყიჟინით,  
შენსკენ მოგჭრივარ ჭენებ-ჭენებით,  
როგორც სიცოცხლეს სიკვდილისჯილი —  
მოვალ და ისე მოგეფურვებ.

ჯ ე მ ა

ჩემს ფანჯარასთან ფეთქებებიან  
წვეთები წვიმის, —  
ო, როგორ მინდა ძველ ჩონგურზე  
შერხვევა სიმის...

რომ გავიხსენო მოღუღუნე  
ჰანგები ლაზთა,  
რომ დამეუფლოს უნაზესი და  
ჩუმი განცდა...

რომ დამიბრუნდეს  
წინაპრის ხმა ამო, კეთილი, —  
საუკუნეთა უღრანებში გამოკვეთილი.

ნუთუ, ამისთვის  
წვიმა უნდა ინატრის კაცმა!



წამოგვიფრენენ მზეს რიჟრაჟები,  
ნუ გეშინია, ინათებს მალე,  
რომ მოგვახაროს დღის გამარჯვება  
ღამის ქვეყნიდან გადმოსულ მგზავრებს.

ნისლი დასტოვებს არაგვის ჭალას,  
შეიმოსება მწვანე ფარჩებით.  
ნუ დაღონდები, ინათებს მალე,  
წამოგვიფრენენ მზეს რიჟრაჟები.

ჩემოდნით ხელში სადღაც ვბრუნდები...

ვის დავეკარგე, ვის გავეჭეცი  
ან ვის განვშორდი, რომ ვუბრუნდები.  
ვინ მივატოვე, ჩემს დაბრუნებას  
რომ მოელოდეს და შენატროდეს.  
არ ვიცი, არა, ვერვის ვიგონებ,  
მაგრამ მე წავალ ამ ღამეს მაინც,  
რადგან ძალიან მინდა სხვებივით  
დავბრუნდე საღმე და მომეგებონ.

კონსტანტინე ამირიკი

ვერხვის ტოტებში მზე გაჩხიბული...  
კვერცხის გულივით  
ამოჩნდა დილა,  
ცა კი ირწვევა ჩიტების ფრთებზე.  
გაოცებული მწვანე ტოტები  
ელოდებიან ქარის შეხებას.

...შეწვევება:  
ჩაკრული ვარ მჭიდროდ აკვანში,  
და ეს ჩიტები ჩემს დანძილ ფრთებს  
დააფრიალებენ.  
მოდით კარგებო,  
ჩემს აკვანზე ჩამოისფენეთ, —  
და უგალობეთ მზის ამოსდთმას!

## ზაბურა არაბული

უუშორესი ქვეყნების მოვლით  
იხვე თბილისში მოვიდა თოვლი.

და ვარსკვლავების ვარდისფერ შუქით  
ყველა გამზირით და ყველა შუკით —  
გაქრა ფერები ხმობის და მწუსრის...

თოვლმა — დადლილმა თოლის გუნდმა —  
იხვე თბილისში მოხარა მუხლი.

შუბერტს თუ მოცარტს უსტვენდა სტეპი...  
ხან სხვის სურვილით, ხან ჩემი ნებით  
გზად მივდიოდი და მოვდიოდი  
და დამის გზებზე ელავდნენ მგლები.

მაგრამ ბრწყინავდა ნათელი სვეტიც  
და შენ ხარ მოწმე, მზეო დობილო,  
რომ კმაყოფილი არ ვიყავ სვეთი  
და არც ძალიან უკმაყოფილო.

## ამირან კალაძე

### პირველი ლექსის გაზიარ

ერთხელ მინდორში  
იდგა სიჩუმე,  
პაპანაქება,  
გამხმარი ხე და  
იმ ხეზე იჯდა ქორი მოწყენილი,  
როგორც მდუმარების  
შავი დროშა.

### გზაჯვარედინზე

ბევრი ვიარე თუ ცოტა ვიარე —  
გზაჯვარედინი გადავიარე...  
გზაჯვარედინი, რომელსაც ჰქონდა  
შხამიანი სოკოს მაცდური სილამაზე.

## ჯემალ კვიციანიძე



ნუ დამანახვებთ  
ჩამქრალ საკვამურს,  
ნუ დამანახვებთ  
დაქცეულ კერას,  
ნუ დამანახვებთ  
გადამხმარ ვაზებს,  
ნუ დამანახვებთ  
ჩალეწილ დობებს...

ნუ დამანახვებთ უეცარ სევდას,  
მოდუშულ ცას და  
მოწყენას მიწის...  
სულში მინთია ხალისი დღეა,  
როგორც ბრძოლის წინ ნათქვამი ფიცი.

## იმიდა არაბული

### სადღაც ტრაპალებში ნახულ კლდეს

რამ ამოგზიდა ასე ირაოდ  
ამ მოსაწყენი სტეპების წიაღ?...  
რად მოგისაჯა განგების ნებამ  
ასე ეულად ყელყელაობა?!  
შენ უნდა სადმე მთის ყელში იდგე  
მოლაშქრესავით...  
და ხორხთ ნიავე გინანავებდეს...

მატარებელმა ჩაუქროლა  
დადლილ მამა-შვილს, —  
ახალჩაყრილი ვაზის ბოლოში,  
მწკრივების გასწვრივ ბედნიერა  
სახით მომზირალთ,  
დემილით და  
ჩამავალ მზით  
განათებულებს.

ჩანჩქერის თავში ვზივარ სულწუხი,  
მიქადლებული მხრებით ქარაფებს...  
ვდარდობ კაცის სვეს, უფრთოდ დარჩენილს  
და... ყოველის მხრით ვზვერა ვასაფრენს...



**ღრუბლით მომწყდარი ღრმა უფსკრულებში**  
ჩაიკარგება ძერა კივილით,  
ქრუანტელივით დაუვლით უცებ  
გულსა და ფილტვებს რაღაც ტკივილი...

დაძარღვულია ჩემს წინ ქედები  
და დეღეები განიფესვება...  
ქვევით — ხეობა, კალთათ ნაკერი...  
ჭიუხის ყინვართ სხივი მესობა...

და მე ჩემს წილ კლდეს მკერდში ვეკრობი,  
მტკივანი მისით და უმისობით,  
და აფორთქლებულ გულისწადილში  
სუნთქვა ხშირდება უკმარისობით...

და ღრუბელივით დაჭფრენს მწვერვალებს  
ფიქრი, რომელიც ცაზე აღზევდა...  
„საგონ მაქვ, — ამაგოდენი  
თმაც არ მასხავ თავზედა“...

**იზა ჯოღობორდი**

**ატმის ყვავილი**

ვის უხარია გაზაფხული შენზე უფრორე,  
ატმის ყვავილო, ეს რა კაბით შეგებებიხარ  
შეგიღებია წამწამები მწიფე შინდისფრად,  
მოგიჩანს ოდნავ მოლისფერი ფოთლის  
საყელო.

რა გაკვირვებით შემომცქერი, ვერ ხედავ  
განა,

რომ მიაგავხარ ალიონის ამონათებას?  
(მზე ხატავს ხოლმე შენფერ ბავშვებს  
აღმოსავალზე —  
შემოქმედების ცეცხლით სავსე  
რომ მოადგება  
დიდილოსდარ, გამკამა ცარგვალს).

ვერ იგრძენ ნუთუ.  
შუალამისას რომ გეწვია ადგილის დედა  
და გაგიშალა ყვავილებად მოვის  
ფურცლები?

ჰკონცნია იგი შენს დაბურთულ, ნათია  
კვირტებს  
და აჩნდებოდი გამხდარ ტოტებს თოვლის  
ფიფქივით.

ატმის ყვავილო, მომისმინე...  
მეც მყავდა დედა, —

**გამისწორებდა**  
შენი ყვავილით მოჩითულ საბანს  
და თბილ დაწვებზე სასოებით მცოცნიდა  
ხოლმე.

და მეც ვიყავი ფრთაშესხმული,  
როგორც შენ ახლა  
მალალი ცისკენ აგიზიდავს ლამაზი ფრთები.  
იგი წავიდა ფეხაკრეფით...  
როგორც შენი ერთგული ძიძა.  
მე ყვავილებად შევაყარე  
დახრილი ფრთები.

რა სევდიანად შემომყურებ  
ატმის ყვავილო,  
ხომ გაგახსენდა,  
რომ მოგეახლა ჩაძინებულს ადგილის დედა  
და მზის ჩვილივით ააფერადა  
დაკვირტული ტოტები შენი?

**ტბათანა**

მალღა ყოფილა ტბათანა,  
ლურჯსა ტბასთანა ღრმასთანა,  
წამო, ვით შევძლო უშენომ  
დიდი ფიქრების ატანა...

**ლალი ჯაფარაშვილი**

**საქართველო**

აპრილის ხნულში დედისიმედა გაზაფხული  
გამობაჩუნდა!...  
ყრმამ ერთადერთი სიტყვა იცოდა „ხვალ“,  
და გზადაგზა ღულუნებდა სიმღერასავით.

**გადარჩენა**

ჩემს ვარდისფერ ქვეყანას წვიმამ გადაუარა:  
მადლი უფალს,  
მადლი უფალს, —  
არ წამიღო ზღვათა შინა  
და იმედის შვიდმა ჯუჯამ  
კეთილმა და პაწაწინამ,  
ერთიანად გაწუწული,  
შენს თაღებთან მომაცილა.



## წაგზარ კოზმონიძე

ჭურის თავზე ვართ მე და ჩემი ათი წლის ბიჭი,

რომელიც არ მყავს და იქნება არასდროს მყავდეს...  
ბაბუაჩემის სადღეგრძელოს ვასმევ კინჭილით,

მერე წყაროზე ვატან თუნგულას...

მთელი ცხოვრება მესიზმრებოდი...

და როცა გნახე —  
ვეღარ გიცანდი...

## ღევიშ გერსამია

ველზე შემაბი შენი ზარების  
უსასრულობა და იწკრილავე.  
გამომაფხიზლე ნამწუსარევი,  
ამაღორძინე,  
ამაწრიალე.

შენი ერთგული მნათე გამხადე.  
ძელქვა გამხადე — შენი საძვალე.  
მოდი, დამჭერი, მკერდი ამხადე,  
გული წაიღე და ინაცვალე.

მოდი, საწუთრო შემომირიგე.  
გადამიკარგე წკვარამს მაცილი.  
მოდი, ჩემგანაც სისხლი მიიღე —  
გადარჩენილი სისხლის ნაწილი.

## ნუნუ ზალვაზვილი

სალამურის ხმით  
ბინდი იმსხვრევა...

ცივ ზამთრის შემდეგ,  
ვგრძნობ, რომ ისევე,  
ამფეთქება გულში აპრილი,  
მხოლოდ თემებს შერჩათ ცოტა სისუფლე,  
სიცილ-ტირილის ცრემლად დაღვრილი...  
მზით სავსე ქუჩით ისე მოვდივარ,  
რომ ყველა ქალი შურით ივსება,  
ცარიელ გულის ლოცვა როდი ვარ, —  
სალამურის ხმით ბინდი იმსხვრევა...

## ნუნუ ზალვაზვილი

თითქოს ზღვა ვარ და ვივსები  
ცისფერი შენაკადებით,  
მთებო, გესვენებათ ნისლები,  
მამულო, უფრო კარგდები!  
წავალ და ისევ მოგივალ  
ღმერთის ნებით და განგებით,  
საითაც გინდა — გზებია  
და როგორ დავიკარგებ!

## მ ზ ე

შევეყურები ცაზე მზეს —  
დაკიდებულ დედოზარს,  
ხელი გამომიწოდა,  
როგორც კეთილ მეგობარს.

რა ნაღდი აქვს მიზანი,  
რა მაღალი, — ტრამპლინი —  
აყვავებულ ტოტივით  
მომაწოდა აპრილი.

## მერაბ ზრიგოლია

ტალღებზე მდგარი პატარა  
სახლი

და ჩემი მყუდრო ოთახის ახლოს  
ნიავჭარივით გაივლის ვიღაც,  
ის დამიცდიდა მეგონა ახლა —  
ახმაურებულ კარების მიღმა.  
დამიძახებდა მეგონა ფრთხილად  
და გავუღიმე განუყრელ ფიქრებს,  
იქნებ გათენდეს თვალების დილა  
და სიხარული მოზღვავედეს იქნებ...  
მივალ და უხმოდ დაგხედავ ჩემი  
სახლის სარკმელთან მოვარდნილ  
მინდვრებს,  
გულდაწყვეტილი ხანდახან ვრჩები,  
ხშირად გუმანი მიმართლებს იმედს,  
ეს მაშინ, როცა მოდიხარ ჩუმად —  
თეთრ ყვავილივით გახსნილი სახით  
და უხმაუროდ ირწევვა ჩემი  
ტალღებზე მდგარი პატარა სახლი...



უილიამ ზემსპირი

## აქამ გარჯა სიყვარულისა

მოამბელება მართხა

სურათი 1. პარკი.

შემოდან პრინცესა, როზალანტი, მარია, კეთრინი, ბოიტი, დი-  
დებულეები, ამაღა და მეტყვევ-

**პრინცესა**

ნეტავი მეფე ხომ არ არის, დაუზოგავად  
რომ მიაჭენებს ცხენს ციცაბო მწვერვალისაკენ?

**ბოიტი**

აჰა მგონია, რომ მეფე იყო.

**პრინცესა**

ვინც უნდა იყოს, აღზევება გვინგნა სულის.  
მაშ, ბატონებო, ხაჭმეს ჩვენსას დღეს მოვითავებთ,  
შაბათისათვის საფრანგეთში გავემგზავრებით.  
ძმარ მეტყვევებ, მიგვასწავლე ბუნქნარო, ხაღაც  
ჩავსაფრდებოდით, მკვლელობანას გავაჩაღებდით.

**მეტყვევ**

აქვე, სულ ახლოს, იმ ქაღის პირას,  
საუკეთესო ხანადირთა.

**პრინცესა**

მრავალი მეტრფის, ნადირობის მე ვარ ტრფიალი,  
ამად მისურვე ნადირობა საუკეთესო.

**მეტყვევ**

გთხოვთ მომიტევოთ, ეს არ უთქვამს ენას და ზაგის.

**პრინცესა**

უკან იბრუნებ სიტყვას შენსას, ამოდ მაქე?  
ხანმოკლე იყო, ვაი ქებას, დიდებას აგეთს.

**მეტყვევ**

თქვენ წარმტაცო ხართ.

**პრინცესა**

ვერ მიაღწევ შექებით მიზანს;  
ქება რას არგებს, სილამაზე აკლია ვისაც



აბა, ეს სარკე, შენ სიმართლის უოფილხარ მთქმელი:  
(ფულს აძლევს მას)  
ჯილდო ზიიდე ჩემს ლანძღვაში, სხვას რაღას ელი.

**მეტყუვე**

გაქვთ გარეგნობა, მონატული ნაირფერებად.

**პრინცესა**

დახე, ჯილდოთი შევიძინე მშვენიერება.  
პირმოთნეობა, ყალბი ხოტბა ჩვენს დროში ხდება!  
მოწყალები ხელი, თუნდაც გონჯი, მიითვლის ქებას.  
შნად ვარ სიკეთე: ვკლა და ვსოცო. მოგზიდავ, მშვილდო.  
ნადირობაში უწყალო ვარ, არაფერს ვინდობ.  
არ დავამცირებ მონადირის სახელს სრულიად,  
თუ ავაცდინე, აქ მიწერი სიბრაღულია.  
თუ ვტყორცნე, ვიტყვი, გამოჩენა მინდოდა თავის,  
ამად მოკალი, არ მქონია განზრახვა ავა.  
ახე იქცევა, ვინც ფუჭ სახელს გაეციდებო,  
დანაშაულის სათავეა ყალბი დიდება.  
უაზრო ხოტბა ნეტარება გვგონია სრული,  
პატივისათვის ლამის ეშმაკს მივყიდოთ სული.  
ოღონდ შემაქონ, შნად ვარ ირმის დავღვარო სისხლი,  
თუმც სიძულვილი ოღნავადაც არა მაქვს მისი.

**ბოიეტი**

განა ქებისტვის არ ელტვიან ძალაუფლებას  
ანჩხლი ცოლები, რომ მორჩილნი ვახადონ ქმრები?

**პრინცესა**

მხოლოდ ქებისტვისი და ვინც შესძლო ქმრის დამონება,  
უნდა ვახსენოთ ისინი ქებით.

**შემოდის გოგრა**

აბა, მოვიდა ერთი წვერიც მათი ამქარის.

**გოგრა**

სადამო მშვიდობისა ყველას. მითხარით, ღვთის გულისათვის,  
რომელია თქვენში მთავარი, თავიანი ქალი?

**პრინცესა**

ამას შენ თითონაც მიხვდები, ძმობილო, სხვები უთავოდ იქნე-  
ბიან დარჩენილნი.

**გოგრა**

ის ვინც უმთავრესია და უმაღლესი?

**პრინცესა**

უმსუქნესი და უგრძესი.

**გოგრა**

უმსუქნესია და უგრძესი? სწორი სიტყვაა.  
რომ ჰქონდეს თქვენს წელს მოქნილობა ჩემი გონების,  
შემოგწვდებოდათ, თქვენც, სარტყელი ამ გოგონების.  
თქვენა ხართ თავი? ყველა ქალზე თქვენ ხართ მსუქანი.

**პრინცესა**

მითხარით, ბრძანეთ, რისი თქმა გინდათ.

**გოგრა**

ლორდი ბირონი როზალაინს უგზავნის ბარათს.



პრინციპა

ო, წერილია? ვით მის დობილს, მომეცი ჩქარა.  
კეთილო მაცნევ, განზე გადექ. ბოიექ, ვახსენ  
შენ ეს ბარათი.

ბოიექი

მზად ვარ თქვენი სამსახურისთვის.  
აქ შეცდომაა. მისამართი შეშლია მაცნეს.  
უაქნეტასია ეს ბარათი.

პრინციპა

არაფერია.  
სანთელს კისერი მოუგრინებ, შეუდექ კითხვას.

ბოიექი

(კითხულობს)

ვფიცავ ზენას, ექვგარშეა, რომ შენ ლამაზი ხარ; სრული ჭეშმა-  
რიტებაა, რომ მშვენიერი ხარ; სილამაზეზე ლამაზო, მშვენიერებაზე  
მშვენიერი, თვით ჭეშმარიტებაზე ჭეშმარიტო, შეიბრაღე მამაცი  
ვასალი შენი. დიდსულოვანმა და სახელგანთქმულმა მეფე კოცდებუ-  
ამ მშერა მიაპყრო მავნესა და პირწავარდნილ მათხოვარას — ზე-  
ნელოფონს. აი, ვის ჰქონდა უფლება ეთქვა: „veni, vidi, vici“;  
რაც მდაბიოთა ენაზე გადატანილი (ო, მდაბალო, ბნელო ენავ!) ნიშ-  
ნავს: მიველ, ვნახე, გავიმარჯვე. მივიდა — ერთი; ნახა — მეორე;  
გაიმარჯვა მესამე. ვინ მივიდა? — მეფე. რისთვის მივიდა? — რომ  
ენახა. რისთვის ნახა? — რომ გაემარჯვა. ვისთან მივიდა? — მათ-  
ხოვარასთან. ვინ ნახა? — მათხოვარა. ვისზე გაიმარჯვა? — მათხო-  
ვარაზე. საბოლოო შედეგი — გამარჯვებაა. ვის ღარჩა გამარჯვება? —  
მეფეს. ტყვე გამდიდრდა. ვის მხარეზეა სიმდიდრე? — მათხოვარა-  
სი. კატახტროფა ქორწილში გამოვლინდება; ვისი მხრიდან? — მე-  
ფის მხრიდან. არა, ორივეს მხრიდან ერთში ან, ერთის მხრიდან  
ორივეში. მე მეფე ვარ; ამაზე მეტყველებს შედარება. შენ მათხო-  
ვარა ხარ, ამას ადასტურებს შენი მდაბიო წარმოშობა. შემიძლია  
გიბრძანო შეუვარება? შემიძლია. შემეძლო თუ არა ძალის დატა-  
ნება? შემეძლო. შეგვედრებო თუ არა სიყვარულს? ამას კი ვაპი-  
რებ, რაში გაცვლი მაც კონძებს? ჩასაცემელ-დასახურზე. სიტყვებს?  
ტიტულებზე. შენს თავს? ჩემზე. ველი რა პასუხს, ვიბილწავ ტუჩებს  
შენს ფიხებზე, თვალებს — შენს სახეზე, გულს — შენი სხეულის  
უფელი ასოთი.

ვშთები მარად ერთგული შენი სამსახურისა.  
ღონ ადრიანო დე არმადო“.

საბრალო კრავო, დაგეცემა არჩეულ ზვარაკს;  
გესმის? ღრიალებს ნემების ლომი;  
მეფურ თათებში გაუწექი მორჩილად, წუნარად,  
დაცხრება მაშინ, შენთან ლაღი თამაშის მდომი.  
ნურას ეცდები, შებრძოლება ჩაგივლის უქმად,  
განრისხებული მტაცებელის გახედები ლუკმა.

პრინციპა

ნეტა ვინ არი მამლაყინწა თავადერილი,  
ვინ ქარაფშუტამ გამოგზავნა მსგავსი წერილი?

ბოიექი

თუ არ მეშლება, ნაცნობია ენა და ხელი.

პრინციპა

წედან დახედეთ, თქმა ამისა არ არი ძნელი.



**ბოიეტე**

არმადო ვახლავთა, ესპანელი, მონარქოს დარი,  
უნდა გართოს, მზიარულში, სამეფო კარი, —  
მეფე და სხვებიც, მწიგნობარსა.

**პრინცესა**

(გოგრას)

შენზეა სიტუვა.

ვინ გზავნის წერილს?

გოგრა

ჩემი ლორდი, ვა უკვე ითქვა.

პრინცესა

გვითხარ, ვის უნდა მისცე და ვისვან?

გოგრა

ბატონიხვან, ქაღმატონს ჩემსას.

პრინცესა

გვამცნე სახელი ორივესი; კაცს და ქალის.

გოგრა

ბერონი, ჩემთვის მოვლენილი, მსხნელად და ფარად,  
ფრანგთა ბანოვანს — როზალიანს — უგზავნის ბარათს.

პრინცესა

შეგშლია, სხვისი წერილია. ახლა წავიდეთ.

(როზალიანს)

შენაც მიიღებ მალე წერილს.

პრინცესა და მისი ამაღა მიდის.

**ბოიეტე**

ნეტა ვინ ისვრის, ნეტა ვინ ისვრას?

როზალიანი

გაგანდოთ ვინაც ისვრას?

ბოიეტე

თქვი, ფეხადგმულო მშვენიერებაფ.

როზალიანი

ვინ და მფლობელი ისრის.

ხომ საუცხოო ნათქვამია.

ბოიეტე

რქოსანზე ვხედავ ნადირობას, ღირსი ხარ ქებისა.

შენ თუ გათხოვდი, დახვადება, იცოცხლე, რქები.

ხომ საუცხოო ნათქვამია.

როზალიანი

ახლა მე უნდა გავისროლო.

ბოიეტე

სად გუავთ ირემი?

როზალიანი

რქების მიხედვით, თქვენ ხართ ჩემი ნანადირევი.

ხომ საუცხოო ნათქვამია.



შარას

დანებდით, შუბლი გაგზავნათ. თავად ვარ მოწმე.

ბოიეტი

მას, შედარებით, დახლა მოხვდა. მეც მარჯვედ ვტყვორცნე.

როზალანინი

მარჯვედ ტუორცნაზე განდა ერთი ძველი მინამღერი ვითხრა, რომელიც ჭერ კიდევ ფრანგთა მეფის, პაპინის, ხელღრწაში აუო წვერებანი?

ბოიეტი

მეც შემოძლია ასეთივე მინამღერით გაბასუხო, რომელიც ჭერ კიდევ ინგლისის დედოფლის, ჯენერას, პატარაობაში კაი დედაბერი აუო.

როზალანინი

(მღერის)

სროლა არ გცოდნია, სროლა არ გცოდნია, მინაწში მოხვედრა, შენ ჩემო ლამაზო,

ბოიეტი

მე თუ ვერ შევძელი, მე თუ ვერ შევძელი მინაწში მოხვედრა, სხვა აზამს ამასო.

(როზალანინი და კეთრინი გადიან).

გოგრა

მინაწში მოხვდა, მინაწში მოხვდა ამას არ უნდა ფიცად

მარია

გასოცარი ვახლავთ სიუხსტე; სროლა ორივემ იცის

ბოიეტი

რისი სროლა და რისი მინაწი სროლას ნიშანი უნდა! ისარს სამიწენ სპირდება ზუსტი, რომ არ წავიდეს ბრუნდად.

მარია

ქალზე შორიდან მოწოდეთ მშვილდი, არ მიგიწვდებათ ხელი

გოგრა

ახლოს დადქით, მაშინ მოხვედრა აღარ იქნება ძნელი.

ბოიეტი

თუ ვერ ივარგა ჩემმა მარჯვენამ, თქვენზე ხელი მიხსნის,

გოგრა

ჯობს თქვენი ხელით სამიწისაკენ მიმართოთ წვერი ისრის.

მარია

რა უწმაწური ლაპარაკია; ბილწი აქვთ სიტუტებს გეშო.

გოგრა

ამას ისრებით ვერას დააკლებთ; ჩოგნის აჯობებს ცეშა.

ბოიეტი

ვაითუ ცუდად შევასკდრ ბოლოს; მშვიდონით, გოტო ჩემო (ბოიეტი და მარია გადიან).

გოგრა

გაუთღელია და ტუტის იერი დაკრავს!



სწორედ ამიტომ შევასურეთ ბატონი მაგრაღი  
 მახვილი სიტყვის, სუმრობათა მოღის მდინარე;  
 ზუსტი და სხარტა, თან უხეში, თან უწყინარი.  
 არმაღო! ის კი დახვეწილი მოარშიყუა.  
 როგორ მძებება ქალს, მარაოს რარიგად აწვდის;  
 ვით კოცნის ხელზე, ეფიცება როგორი განცდით.  
 ანდა რა ჭკუის კოლოფია ნამცეცა პაჟი  
 გინდ ზრდილობაში გაეჭიბრე, გინდ სიტყვის თქმაში.  
 ე-მე-ჭვი.

(გოგრა ვაღის.)

სურათი მეორე. პარკი.

შემოდინ ჰოლოფერნი, ნათანიელი და რეგენი.

ნათანიელი

დიდად კეთილშობილური თავშესაქცევია, ღმერთმანი, სინდისი  
 შემიძლია დავიმოწმო.

ჰოლოფერნი

ირემი, როგორც დანახეთ, sanguis იყო, წმინდა სისხლისა,  
 შაქარა ვაშლივით მწიფე, ძვირფას ქვასავით რომ ჰკილია coelum-ის  
 — ცის, კაბადონის, ზესენელის ყურზე და უცებ მათალისავით ეცემა  
 terra-ს — მიწის, ნიადაგის, აუალოს პირს.

ნათანიელი

ქემშარცხად, ბატონო ჰოლოფერნი, ეპითეტები ისე მოხდენილად  
 შეარჩიეთ, თვით სწავლულს რომ შეეფერება, მაგრამ, გარწმუნებთ,  
 სერ, ირემი კი არა, ახლადრქამაპურილი ნუკრი იყო.

ჰოლოფერნი

მამაო ნათანიელ, haud credo.<sup>2</sup>

რეგენი

haud credo არ ყოფილა, ნუკრი იყო.

ჰოლოფერნი

რა სიველურია! ერთგვარი ინსინუაცია, მოწყობილი in via —  
 გზაზე ახსნა-განსარტებისა, რომ facere<sup>3</sup> — მოკცეს რეპლიკა,  
 უკეთ astentare — ჩაწვდეს თქვენს ზრახვას, რათა ასეთი გა-  
 უწვრთნელი, გაუშალაშინებელი, დაუხვეწელი, გაუხეღნელი ან, უფ-  
 რო სწორად, უწიგნური, ან კიდევ უფრო სწორად უნიადაგო ხერ-  
 ხებით ჩემი haud credo ირემს დაუპირისპიროს.

რეგენი

მე ისა ვთქვი, რომ ნადირი haud credo კი არ ყოფილა, ნუკრი  
 იყო.

ჰოლოფერნი

ორგზის დადუღებული სირკვენე, bis coctus!  
 ო, უზრდელობავ, უსახური რადა ხარ ასე!

ნათანიელი

ჩვენსავით, წიგნის მან არ იცის გემო და ფასი.

როგორც იტყვიან, ქალაღა არ უჭამია, მელანი არ დაუღევია;  
 გონებას მისას საზრდო არ ნიუღია, იგი ცხოველივითაა, რომელ-  
 ხაც მხოლოდ უმდაბლესი შეგრძნებები გააჩნია.

1 სისხლი (ლათ.)  
 2 არა მჯერა (ლათ.)  
 3 გაკეთება (ლათ.)

სურვილს ადგვიძრავს უნაყოფო ხეთა იერი —  
სწავლის ნაყოფით მულდამ დავრჩით ჩვენ მადლიერო.  
უმჯობესია, ბაქია და სულელი ვიყუე,  
ვიდერ ვიხილო, როგორ სწავლობს ამგვარი ბრიყვი.  
მე მაინც ვიტყვი omni bene!, ნათქვამი არი:  
ზღვას გადურჩები, მაგრამ ზოგჯერ დაგახრჩობს ცვარი.

რეგვენი

ორო ბრძენკაცო, იქნებ მითხრათ, ვისზე უვებიათ:  
„როცა კენი დაიბადა, ერთი თვის ყუო,  
მეხუთე კვირა მერე აღარ მომატებია“.

პოლოფერნი

დიქტინაზე, ძვირფასო რეგვენო, დიქტინაზე.

რეგვენი

დიქტინა რალა?

ნათანიელი

სახელწოდება თებესი, მთვარის, მანგისა.

პოლოფერნი

როცა ერთი თვის იყო ადამი, ერთი თვის იყო მთოვარეც ძველი,  
ხუთი კვირისაც ვერ გახდა იგი, კაცს ხუთჯერ ოცი ერგუნა წელი.  
სახელის შეცვლით არსი არ იცვლება.

რეგვენი

სწორი ბრძანებაა, სახელის შეცვლით გარსი არ იცვლება.

პოლოფერნი

ღმერთო დიდებულო მე ვთქვი, რომ სახელის შეცვლით არსი  
არ იცვლება.

რეგვენი

მეც იმას ვამბობ, რომ სახელის შეცვლით მარსი არ იცვლება;  
მთვარეც, ერთი თვისაზე მეტი არასდროს არ არის. გარდა ამისა,  
იმას მოვახსენებდით, რომ შვლის ნუკრი პრინცესამ მოკლა.

პოლოფერნი

სერ ნათანიელ, გნებავთ სახელდახელოდ შეთხზული ეპიტაფია  
წაგიკითხოთ იმ მოკლულ ნადირზე? უვიცებს გავუწიე ანგარიში და  
პრინცესას ნანადირევს შველი ვუწოდე.

ნათანიელი

Perge,<sup>2</sup> ძვირფასო პოლოფერნ, perge, იმედია უხამსობას არ  
გამოურევთ.

პოლოფერნი

სიტყვების თამაშია ერთგვარი, სიმსუბუქე შემოაქვს.

პრინცესას ნასროლს აღარა შველის,  
შეტოკდა ნუკრი შველის.  
არის ძახილი: დაჭრა თუ არა,  
ყველა თავისას ელის.  
არის გნაისი უურისწამლები  
და მეძებრების ყველა, —  
თავგანწირული ნახტომი შველისა,

1 ყველაფერი კარგია (ლათ.)  
2 განაგრძე (ლათ.).



უველა რაღაცას უვება.  
 საბრალო ნადირს ბეჭებზე აწის  
 დადი პრინციხას ბრაზის,  
 რისი ნუკრიო, ქილიკობს ზოგი —  
 წლის იქნებაო ასის.

ნათანიელი

გაქანებული ნიჭია!

რეგენი

(გვერდზე)

გამოცალე, არ გაგიტანოს.

პოლოფერნი

ნიჭი, რომლითაც მე დამაჭილდოვა ბუნებამ, ძალზე. ძალზე უბრალოა; ესაა დაუოკებელი, თავაწუვეტილი წარმოსახვა, სადაც უბვად ირევა — ფორმები, ფიგურები, ხატები, საგნები, აზრები, მიხედვრები, მოძრაობები, ცვალებადობანი. მათი ჩასახვა მესხიერების კუნჭულში ხდება, pia mater-ის საშო აღმოაცენებს და ხელსაყრელი შემთხვევა სჭირდებათ, რომ დაიბადონ. ერთი კია, ეს ნიჭი მხოლოდ მაშინ იფურჩქნება, თუ სიმახვილე არ აკლია. ამ მხრივ, მადლობის მეტი არაფერი შეუძლებს.

ნათანიელი

ბატონო ჩემო, მადლობას ვწირავ უფალს, თქვენი თავი რომ მოგვივლინა, ამასვე აკეთებს ჩემი შრეველი. მათს ვაყვებს საუცხოოდ დამოძღვრავთ, არც ქალიშვილები დარჩებიან ვულნაკულუნნი. თქვენ კეთილი წვეფრი ხართ ჩვენი სამწყუსოსი.

პოლოფერნი

Mehercle,<sup>2</sup> თუ მათს ვაყვებს საზრიანობა არ აკლიათ, აღარ დასჭირდებათ დამოძღვრა, თუ უნარიანი გოგონები ჰყავთ, ვმუნარს არ დავუარგავ. თუმცა. vir sapit qui pauca loquitur.<sup>3</sup> რომელიდაც ქალი გვენახმება. შემოდიან ქაენტა და გოგრა.

ქაენტა

დიდა მშვიდობისა, ჩვენო მოძღვარო.

პოლოფერნი

მეცხვარეთ? სადაური მეცხვარე ვარ, რა შემატუო მეცხვარის?

გოგრა

პატივცემულო მასწავლებლო, მოცხარიო, ასე თქვა, რითია მოცხარი ცუდი ხილი?

პოლოფერნი

მეშ მოცხარი, არა? რა ენამოსწრებული უოფილა ეს პაწია ბელტი. ტაღისთვის საქამო ნაპერწკალი მოემეცება, ღორისთვის კიდევ — მარგალიტი.

ქაენტა

მოწყალოე მამაო, დამდეთ პატივი და წამიკითხეთ ეს წერილი; გოგრამ ეაღმომცა, დონ არმადოს გამოგზავნილი გახლავთ. გემუდარებთ, წამიკითხეთ.

1 ტუინის გარსი (ლათ.)  
 2 ჰერაკლეს ფფიცავ (ლათ.)  
 3 ბრძენაკცი ცოტას ლაპარაკობს (ლათ.)





Fauste, precor gelida, pecus omne sub umbra ruminat<sup>1</sup>

...და ახე შემდეგ. ომ, კეთილო ძველო მან-  
ტუდლო მე შემოდლა ისევე მოგმართო, როგორც მოგზაურები მი-  
მართავენ ვენეციას:

•Venegia, Venegia,

Chi non te vede, non te pregia<sup>2</sup>.

ძველო მანტუდლო, ძველო მანტუდლო ვინაც შენი ფასი არ  
იცის, არ უფასობს — დო, რე, მი, ფა.

მომიტყვეთ, ხერ, რა შინაარსისაა წერილი ანუ უფრო სწორად,  
როგორც მორაციუსი ამბობს თავის, რა ჰქვია, ღმერთო ჩემო, ლექს-  
ებში?

ნათანიელი

დაახ, ლექსებში და საქმიად ოსტატურშიაც.

პოლოფერნი

გთხოვთ წამოკითხოთ რომელიმე სტროფა, ბეკარი, სტრაქიონი.  
Lege, domine<sup>3</sup>.

ნათანიელი


(კითხულობს)

თუ ვუფაღატი, რაღად მივცე ხიუვარულს ფიცო,  
მშვენიერებას ერთგულდებას ჰქონა ფასი.  
თავს ვუღაღატი, მაქვს შენდამი მე რწმენა მტკიცე,  
მუხად ვიდები, შენთან ხუსტა ვუოფილვარ ვაზი.  
თვალები შენს ხაოცარი და ღრმა წიგნია,  
ცოდნას წუარო და ხიამენა თვალებში ბრწყინავს.  
შეიცნობ, ვატყვა — ცოდნისათვის მე მიმიგნია;  
განსწავლულაა, შენი ჰება შეიძლო ვინაც;  
შენს დანახაზე აღტაცებას ბრივე თუ მაღავს,  
მაქვს საამაუო, სიღამაზე მე შენი მისმის.  
ეღვა და გრგვინვა რომ ტრაღებს თვალებში წევსის,  
უძალ მუსიკად გადიქცვა, უნაზეს ალაღ.  
ო, ღვთაებრივო, ხიუვარული შემინდობს შენს,  
მშვენიერება რომ შეგიქმე მოკვდავს ენით.

პოლოფერნი

თქვენ მახვილებს სწორად არ უხვამთ და გამოთქმა გეშლებათ:  
წება მიზომით დავხედო კანცონეტას. აჰ, ერთადერთი, მარცვალთა  
რაოდენობაა დაცული. ხოლო დახვეწილობა, სიმსუბუქე, ოქროს კა-  
დენცია პოეზიისა — caret<sup>4</sup> ამ საქმის ოსტატი ოვიდოს ნაწონი  
აუო. რატომ უწოდებდნენ ნაწონს? ამიტომ რომ უნოსვით აგნებდა,  
წარმოსახვის ნაწ უვავილებს, შემოქმედების ცეცხლს. Imitari<sup>5</sup>  
არაფერს ნიშნავს. მიზაძვით მწვეარიც ბაძავს თავის პატრონს, მა-  
შუნი კიდევ — მომვლელს და ვახვითქული ცხენა — თავს მხე-  
დაარს. მაშ, ქალწულებრივო damosella,<sup>6</sup> თქვენ გეკუთვნით ეს ბარათი?

1 ფაუსტი, გვედინი, სანამ ჯოგი გრილოში ბალახობს (ლათ).  
2 ვენეციაჲ, ვენეციაჲ, ვისაც შენ არ უნახიხარ, მან შენი ფასი არ  
იცის (იტალ.).  
3 წამოკითხეთ, ბატონო ჩემო (ლათ).  
4 არ არის (ლათ).  
5 მიზაძვა (ლათ).  
6 ქალწული (დამახინჯ. ფრანგ.).



ქაქეტა

ლიახ, სერ, ბატონი ბირონი მიგზავნის, უცხოელი პრინცესა ერთ-ერთი დიდებული.

პოლოფერნი

მისამართს მინდა დაგხედო: „თოვლივით ქათქათა ხელში უმშვენიერეს ქალბატონ როზალანს“. ერთს კიდევ გადავუღებ თვალს წერილს, ვისგანაა გამოგზავნილი. „თქვენი უკეთილშობილესობის ერთგული მსახური ბირონი“ სერ ნათანიელ, ბირონი მეფესთან შეფიცულთაგანია; ეს წერილი მან უცხოელი პრინცესის ამალის ერთ-ერთ წევრს გაუგზავნა და შემთხვევის წყალობით თუ დანიშნულეზის მიხედვით აქ მოხვდა. აბა, გავარდი, ჩემო კარგო, პირდაპირ მეფეს მიეცი ხელში ეს წერილი; ამას დიდი მნიშვნელობა ექნება. გამომშვიდობებზე ღროს ნუ დაკარგავ; ამ მოვალეობისაგან გათავისუფლებ, მშვიდობით.

ქაქეტა

ძვირფასო გოგრა, გამომეცემა ღმერთი იყოს თქვენი მფარველი, სერ.

გოგრა

შენთან ვარ, ჩემო გოგონი.

(გოგრა და ქაქეტა გადიან).

ნათანიელი

სერ, თქვენ ისე მოიქცით, როგორც ღვთისმოშიშს ეკადრება, ძალზე ქრისტიანულად; და, როგორც ერთი წმინდა მამა ამბობს:

პოლოფერნი

სერ, ნუ მიხსენებთ წმინდა მამას; მე მაშინებს გადამეტებული ქება. მოდი ისევ ლექსს დავუბრუნდეთ: მოგეწონათ, მამაო ნათანიელ?

ნათანიელი

საუცხოოდაა დაწერილი.

პოლოფერნი

ღღეს ჩემი შეგირდის მამასთან მომიწევს სადილობა. თუკი, ქამად დასხდომამდე, იმ სუფრის კურთხევას იწებებთ, მენდეთ — ზემოხსენებული უმაწვილის ანუ შეგირდის მშობლებზე მე გავლენა მაქვს — თქვენ benvenuto! იქნებით; მე იქ დაგიმტკიცებთ, რომ ეს ლექსი უსუსურია და პოეზიის მადლის, ნიჭისა და შთაგონებისა არაფერი სცხია. გთხოვთ გამიწიოთ: შეინახეობა.

ნათანიელი

დიდად გმადლობთ. საღვთო წერილში ნათქვამია, რომ შეინახეობა ცხოვრების სისარულია.

პოლოფერნი

ქეშმარიტად, საღვთო წერილი აქაც შეუმცდარია. (რეგვენს) სერ, თქვენაც ვეპატიებებით; ძალიან გთხოვთ არ გამაწბილოთ: pauca verba.<sup>2</sup> წავედით. ბატონები თავიანთთვის ერთობიან, არც ჩვენ გვაწყენს გართობა.

(გადიან.)

სურათი III. პარკი

შემოდის ბერონი. მარტოა. ხელში ქალაღი უჭირავს.

1 სასურველი სტუმარი (იტალ.)  
2 უსიტყვოდ (ლათ.)



ბერონი

მეფე ირემზე ნაღობს: მე — საკუთარ თავზე. ისინი ფსიქოპათიკურ მახეს: მე კი თავად ჩავვარდი წებოში და ამოვიფისე. ამოფისვა. რა ბინძური სიტყვაა. რაღას ვიზამ, დამიჭექე, სევდავი ახე ამბობენო, თქვა მასხარამ, მეც ასე ვამბობ და მეც მასხარა ვარ. წყალი არ გაუვა ამას. ღმერთმანო, სიყვარულს აიპასვით შლეგაა. აიქის ცხვრებს კლავდა, ის კი მე მკლავს — მე ცხვარი ვყოფილვარ. ისევ სწორად ვმსჯელობ. არ მინდა შეეყვარებული ვიყო. თუ ვჭექო, მზადა ვარ ჩამომასრჩონ. მერწმუნეთ, არ მინდა. მაგრამ მისი თვალეზი ის თვალეზი რომ არა, არაფრით არ შევყვარებდი — მისი თვალეზი, რომ თვალის მე კა მხოლოდ იმას ვაკეთებ, ნაადაგ ვტყუო, ვატყუებ საკუთარ თავს. ღმერთია მოწამე, შეეყვარებული ვარ; სიყვარულმა მიმიჩვია ლექსების წერას და მეღანქოლიას. ამა, აჟა მაქვს ერთი ლექსთაგანი, აქვეა ჩემი მეღანქოლიაც. ერთი ჩემი სონეტი იმას უჭირავს ხელში. მასხარამ გაგზავნა იგი, სულელმა წაიღო და ქალბატონს მიერთვა: საყვარელი მასხარა, კიდეც უფრო საყვარელი სულელი, უსაყვარლესი ქალბატონი. ღმერთმანი არ ვინაღვლებდი, რომ სამივენი ჩემს ღღეში ჩავარდნენ. ერთი მათგანი აქეთ მოდის ქალაღიანად: ოხვრას და კვნესას ნუ მოუშლი, ღმერთო.

(ხეზე აძვრება.)

შემოდის მეფე, ხელში ქალაღი უჭირავს.

მეფე

ოოჰ!

ბერონი

ნამღვილად დაჭრილია. არ მოეშვა, ძვირფასო კუბიღონო. მარცხენა ძუძუს ძირში ძვრება შენი ფრთიანი ისარი. რაღაც ხაიღუმლოა.

მეფე

(კითხულობს)

აღრიან ღიღით ოქროსფერი სხივები მზისა,  
ვარღს, რომელზედაც მარგალიტად ბრჭყვიალებს ნამი,  
ვერ უაღერსებს, ვერ კოცნის ისე,  
ვით შენი მზერა ღოყებს ჩემსას, დაცვარულს ღამით,  
ვერცხლი მთვარისა ვერ ჩაატანს სიღრმეში ტბათა,  
ვერ გაანათებს წიაღს წყლისას იმგვარი კღემით,  
ვით სახე შენი, ანთებული ეღვარე ხატად,  
სახე, რომელსაც ირეკლავენ ცრემლები ჩემი.

ხარ ყველა ცრემლში, მე თვალთაგან რომელიც მწყლებლა,  
თითო ეტლია, დაღენილი, ცრემლი ყოველი,  
ყველაში ზისარ და სეირნობ შუქთა მთოველი  
და ჩემს ცრემლებში მოჩანს შენი ზეიმი, შვება.

ნუ შემეყვარებ, სულ მატირე, ვეღარას მარგებ,  
ჩემი ცრემლების დაიტოვე კამკამა სარკე,  
მეფეთა მეფავ; რა საოცარს ატარებ ჯაღოს.  
მოკვდავის ენამ შენი ქება ამაღ სცაღოს.

ვით შიგაწვდინო სატრფოს ურვა. ხშირო ფოთლებო,  
თქვენთან დავტოვებ მე ამ წერიღს. თქვენ დაიფარეთ  
სიშმაგე ჩემი. აქეთ ვინ მოღის.

შემოდის ღონგვილი. ხელში ქალაღი უჭირავს.  
ეს ღონგვილია? ყური ვუღღო, კითხულობს წერიღს.

ბერონი

მოკვმატება კიდეც ერთი, ჩემსავით შტერი.



ლონგვილი

მე ვარ, ვინც სიტყვას ვაღაფიდა.

ბერონი

ახე უჭირავს

ხელში ქაღალდი, უმბეველად ფიცი გატეხა.

მეფე

შეყვარებულს გავს. ამ სირცხვილში არა ვარ მარტო.

ბერონი

ახეა მუღამ; ლოთი ლოთზე ფიქრობს და დარღობს.

ლონგვილი

წუთუ პირველმა დავარღვიე აღთქმა და ფიცი?

ბერონი

დაწყნარდი. ორი შენნაირი მე თითონ ვიცი.  
შეაგებ ჩვენი სამეული. ხარ ბოლო ძელი  
სახარბოებლისა. ჩამოხრჩობა სამივეს გველის.

ლონგვილი

ვერ შეხძრავს შენს გულს, ჩემი ლექსი ძალზე მდარდა.  
მეუფევე ჩემი სიუვარულის, ჩემო მარია!  
ახლავე დავხევე. ეგებ ჭობდეს მოგწერო პროზად.

ბერონი

ლექსი სირმაა იმ შარვლისა, ამურს რომ მოხავს.  
არ წაუხდინო სამოსელა.

ლონგვილი

რაც ფეხს ფეხს

(კითხულობს სონეტს)

ბჭერმეტყველება ღვთაებრივი, შენი თვალბიხი,  
რომელსაც წინ ვერ აღუდგება ვერარა ძალა,  
ნეტავი ხომ არ მაძალეხდა მე ფიცის დალატს?  
არა ვგრძნობ ცოდვას და არც სასჯელს არ ვემალები.

მე ფიცი დავდე — არ შენახა უბრალოდ ქალი,  
შენ ქალღმერთი ხარ, ვინ დამწამოს ფიცის დაგმობა,  
მიწიერ აღთქმას ღვთაებასთან რა ესაქმება,  
შენის წყალობით მომცილდება ცოდვა და ბრალა.

ფიცი სუნთქვაა, ხოლო სუნთქვა — ორთქლია ოდენ;  
მზეო მცხუნვარევე, როცა ჩემსას ათბობდი მწაბს,  
შენ ოხვივარი შეისრუტე აღთქმად და ფიცად,  
რომც გატყდეს ფიცი, ვერვიან მტყვეის, რაიმე ვცოდდე.  
ბრყვასაც ექნება იმის ჭკუა — სიტყვა არ დამრახ,  
თუკი სამოთხე ეღიარებდა ამ ფიცის ნაცვლად.

ბერონი

მონა კერპის, მისთვის ხორცი ვამხდარა ხატო,  
დანრმავებულა, ეჩვენება ქალღმერთად ხატო.  
კვიშველი ღმერთო, გზას რომ ავცდილი ეს არის ცხადა.

ლონგვილი

ეს ვინ ვაღაცე? ჩუ, მოდიან, ხმა ისმის მათი.



(განყოფილება)

ბერონი

ღამალობანას თამაშობენ. ყველანი ასლა,  
ნახევარღმერთი ვიყო თითქოს, მე ვწვივარ მაღლა.  
ამ საცოდავთა საიდუმლოს მწაღია ნახვა.  
წისქვილს ტომარა მოემატა ო, რა წამია,  
ბა, ღიუმენიც! თეფშზე ოთხი ტყის ქათამია.

ღიუმენი

ო, ღვთაებრივო კატინა!

ბერონი

ო, შე მეტიჩარავ!

ღიუმენი

ვერ ნახავ უფრო ბეროვანს და უფრო ლამაზს.

ბერონი

ხორციელია; არ ჰირღება მტკიცება ამას.

ღიუმენი

თმები იმისი ეღვარებას დაჯანის ქარვის.

ბერონი

ქვეყნად ყორანი ქარვისფერი უნახავს არვის.

ღიუმენი

აშოლტილია, ვით კელარი.

ბერონი

იხარე ისემც;

ფეხმძიმელა აქვს თითქოს მხარი.

ღიუმენი

ანთია დღისებრ.

ბერონი

კი ემგვანება თუ ღრუბლიან ამინდში აღრი.

ღიუმენი

ამიხდეს ნატვრა!

ბერონი

ჩემიც გქონდეს, უფალო, ხათრი.

მეფე

ღმერთო კეთილო, მეც მაღირსე წყალობა უენი.

ბერონი

ამინ, მეც ასე! თხოვნას ლოცვაც ასეთი უენის.

ღიუმენი

დავივიწყებდი, მაგრამ სისხლში მიზის ცხელებად,  
ხელმწიფობს ჩემზე, აღარ ვიცი რა მეშველება.

ბერონი

ციებ-ცხელებამ თუ დაგტანჯა, გაუშვი სისხლი,  
საწებლის ჯამში ჩააქციე, თავს ამით იხსნი.

ღიუმენი

ერთხელაც მინდა წავიკითხო ეს ჩემი ოდა.

ერთხელაც ვნახავ, სიყვარულმა რამდენად სცოლა.

დიუმენი

(კითხულობს)

„ერთხელ, ო, ის დღე ხსოვნის ღირსია —  
სიყვარულისთვის სულ მაისია,  
გაშლილ მინდორზე, ბალახთა გვერდით,  
მე დავინახე ყვავილი ერთი.  
მივარდებოდა ნიავი უცებ  
და უკოცნიდა ხავერდის ფურცლებს.  
გახევებული ვიდექი სულმთლად.  
და შევნატროდი ლაფვარდის სუნთქვას.  
— ნეტავ მეც ასე, — აღმომხდა კვნესა, —  
ვეფერებოდე, ო, ლოყებს შენსას.  
მაგრამ მე აღთქმამ შემიკრა ხელი,  
შენი მოწყვეტა საქმეა ძნელი.  
რად უნდა ფიცი მძიმე და მკაცრო,  
ვარდების კრფა შეშვენის ყმაწვილს.  
შენი გულისთვის, მიყავი მადლი,  
ფიცის გატეხას ცოდვად ნუ ჩათვლი.  
შენს გამო ზევსი — მეუფე ცისა —  
ზანგად ჩათვლიდა მეუღლეს თვისას;  
შენთვის მეფობას დათმობდა ნაცვალს,  
გადიქცეოდა მოკვდავად, კაცად“.  
გავაგზავნიდი. დავურთავდი ორიოდ ფრაზას,  
დამწვარი გული მიჭნურისა აღმოთქვამს რასაც.  
მეფე, ბერონი და ლონგვილი რომ იყვნენ ასე  
შეყვარებული, ვინაღვლებდი, მითხარით, რაზე,  
მომშორდებოდა, სამარცხვინო, შეუბლიდან ლაქა,  
ყველგან მართალი ვიქნებოდი — ექაც და აქაც.

ლონგვილი

(მოუახლოვდება)

ბოროტი ჩანხარ, გულმოწყალე ყოფილხარ ვიღრე,  
მწუხარებაში ამხანაგებს უწყალოდ თორეც.  
გაფითრდი! მე კი დამივლიდა სიწითლე მყისვე,  
ეს რომ მეთქვა და ჩემთვის ყური დაეგდო ვისმე.

მეფე

(მოახლოვდება)

ბოლა, გაწითლდი; დაშავე იგივე შენაც,  
იმას რომ თათხავ, შენ ორმაგი გეკუთვნის წყენა.  
შენ არ იყავი, ვინც მარიას წელან მონებდი,  
შეყვარებულმა რომ უძღვენი სატრფოს სონეტი?  
მკერდზე ვის ეწყო ჭვარდიდან, მითხარ, ხელები,  
რომ დაეკირა გული ტრფობით განახელები?  
ბუჩქებში ვიყავ დამალული, გავიგე, რაც ხართ,  
თქვენ გაყურებით, ვწითლდებოდი ორივეს ნაცვალად.  
გაკვირდებოდით და ვისმენდი ლექსებს ცოდვიანს,  
ვნებით შეძრულეებს რა ოხვრა და კვნესა გცოდნიათ.  
ერთი „ოჰ“-ს ამბობს, „ო, ზევესო“, მეორე ყვირის.  
ერთ ქალს — ოქროს თმა, თვალნი უგავს მეორეს ირისს.

(ლონგვილს)

ფიცი გატეხე ამქვეყნიურ სამოთხის გამო.



**(დღეებში)**

ზევს აცთუნებდა თურმე თქვენი — ტურფა და ამო-  
ეს გაეგონა, რას იტყოდა ნეტავ ბირონი,  
ფიცის გამტენო, რომ ასეთი ხართ უპირონი?  
გაგამასხრებდათ, დაფრქვევდა ხუმრობას ბლომად,  
უნდა გენახათ მაშინ მისი ხარხარი, ხტომა.  
არ მსურს ქონება, მიჯობს მიწა გამისკდეს მაშინ  
თუ ამლაგვარად ჩავვარდები ბერონის უბაში.

**ბერონი**

**(დაბლა მოცოცავს)**

ღრთა ჩავიდე, ბირმოთნენი დავსაჯო, ვგვემო.  
თქვენთან ბოღში მომიხდია, ხელმწიფვე ჩემო.  
რადგან უყვარდათ, დაგმეთ ორი საბრალო ჭია,  
როს თქვენი გული ტრფობისათვის უფროა ღია.  
თქვენი თვალები ეტლებივით არ იყო განა?  
მათში ცრემლები ირეკლავდა პრინციხას ტანადს.  
ვერ მოგიწონებთ ამ საქციელს, ვერა და ვერა;  
მენესტრელების საქმე გახლავთ სონეტთა წერა.  
არა გრცხვენიათ? არ ხართ სავხე ტანჯვა-ვაებით,  
რომ სამივენი ამ საქმეში ერთად გაებით.  
ერთურთის თვალში ბეწვს ხედავდით ყველანი მცირეს,  
მე სამივეში აღმოვაჩინე ვეება ღირეს.  
ო, ღმერთო ჩემო, რა სულელურს შევესწარ სცენას,  
რა ოხვრა იყო, რა კვენსა და კბილების ღრქენა,  
ძლივს შევაკავე, შემომტყდარმა ტოტზე, სხეული,  
როცა ვიხილე ჩვენი მეფე, კოლოდ ქცეული.  
გმირი მერაკლე ვიოლინოს აწრიანებდა,  
ბრძენი სოლომონ საცეკვაო მოტავს მინებდა.  
ნესტორი ბიჭებს რიკ-ტაფელას ეთამაშებდა,  
ტიმონი ლაღობს, გაიხსენა მანაც ბავშვობა!  
ლიუმენ, მამცნე, ჩემო კარგო, რად ხარ მწუხარე?  
მითხარი, ლონგვილ, სევდას თავი რად მოუხარე?  
მეფეს რაღა ჭირს? მასაც სტიკვა გულ-მკერდის არე?  
ანებებთ წამალს?

**მეფე**

**ხუმრობაა ძალიან მწარე.**

ფარდა ახადე ცოდეებს ჩვენსას, საქვეყნოდ შევრცხვით?

**ბერონი**

ბირაქით, თავად წამიკიდეთ სირცხვილის ცეცხლი.  
არ შემილახავს ღირსება და ხინდისი ოღნავ,  
ფიცის გატეხა ამიტომაც მიმანდა ცოლვად,  
თავი მომჭერით, თქვენთან ძმობა აღარ მწაღია,  
თქვენი ხელობა მერყეობა და ლალატია.  
როდის გინახათ, რომ დამეწყოს ლექსების წერა,  
მეხენემოს ქალზე, ერთი წუთი არ მახსოვს ჭერაც  
სიკობტავეზე დახარჯული. თქვენ როდის მნახეთ,  
შემექოს ქალის — ხელი, ფეხი, თვალი ან სახე,  
წარბი, წამწამი, სიარული, თეძო ან მხარი,  
მკერდი, ბარძაყი —

**მეფე**

წყნარად. მითხარ, ხალ მიიჩქარი?  
მხოლოდ ქურდი და ავაზაკი თუ გარბის ასე.



ბერონი

საფეხურებს შინადა განვრდილო, ნუ დგახართ გზაზე,  
შემოდიან ქაენეტა და გოგრა.

ქაენეტა

ლოცვა-კურთხევა მვენს ხელმოწებს.

მეფე

ხელში რას მალავ?

გოგრა

ჩაღატ ღალატო უნდა იყოს.

მეფე

რა უნდა ღალატს?

გოგრა

ანუ არაფერია.

მეფე

თუ არეიხთვის მოაქვს შიანი,  
შენც და ღალატიც მომწოდით, ვიდრე არას ეფიანი.

ქაენეტა

მოწყულე მეფეც, ამ ბარათის წაკითხვას ველოო,  
რატომღაც ეტყობს, ღალატს ხელაგს ნაწერში მდგდელია

მეფე

ბერონ, წაკითხე.

(ბერონი კითხულობს)

შენ ვინ გაღმობცა?

ქაენეტა

გოგრაა.

მეფე

შენ ვინ გაღმობცა?

გოგრა

ღუნ არზიდიომ, ღუნ არზიდიომ.

(ბერონი ხეგს წერტილს)

მეფე

რა გეზარტება? რას ხილმბარ? რატომ ხეგ ქადალდს?

ბერონი

ხიხუღელელა. შიგ ვერაფერს იპოვი ახალს.

ლონგვილი

ღიჩდა წაკითხვა, ვაუბატონი აღელდა რაღაც.

ღიუშენი

(აყრფის ნაფუშებს)

ბერონის გახლავთ. ხელმოწერაც იკუთვნის ბერონს.

ბერონი

(გოგრას)

ჩემდა ჭირად ხარ გაჩენილი, ტუტუცო, შტერო.  
ღამნაშავე ვარ. ვაღიარებ.

მეფე

ვიდომ რატომო.





ბერონი

მეოთხე ბრიყვი მოგმამათო, ჩემო ბატონო.  
მეც და თქვენც მეფევე დიდებული, ისიც და ისიც, —  
ბაცაცები ვართ სიყვარულს, სიკვდილის ღირსი.  
ყველაფერს გეტყვიო. მოწმეები ზეღმეტი გახლავთ.

დიუმენი

წვეილი ვიქნებით.

ბერონი

მართალია, ოთხნი ვართ ახლა.  
გვრიტებო, წაღით.

მეფე

ბატონებო, იჩქარეთ. მარჯველ!

გოგრა

პატიოსნებო, აიბარგეთ, მტყუანნი — დარჩნენ.  
(ტყენეტა და გოგრა გადიან)

ბერონი

მოდით, ერთმანეთს მივეახლოთ ჩვენ ხაკოცნელად!  
ერთად ვიყავით, როგორც სისხლს და სხეულს შეფერებს,  
ცა სახეს გვიხსნის, ზღვის საქშეა მქცევე-მოქცევა;  
ჭედლის ხისხლი არ დაჰყვება ნებას ბებერებს.  
დაბადებიდან, ჩვენს ბუნებას ერთგულად ვიცავთ,  
არ შევასრულებთ, ფიცი მულამ დარჩება ფიცად.

მეფე

ნუთუ მიჯნურის ბარათია იხ ნაკუწები?

ბერონი

რად მკითხავთ? ვისაც როზალიანს მოუწევს ნახვა,  
მორჩილი მკერდით განერთხმება მიწაზე უცებ,  
როგორც ველურა ინდიელი, მზეს რომ სცემს თაყვანს.  
არწიეს თვალი, ზვიალი და მეფური მზერა,  
მისი ცაურა სახის ხილვა თუკა ენება,  
ბრწყინვალეებისგან დაბრმავდება, მე ასე მჭერა.

მეფე

რა საჭიროა ეს ხიშმაგე და აღტკინება?  
ჩემი სიცოცხლე, ჩემი სატრფო მთვარეა ბაღრი;  
მასთან ვარსკვლავის შეღარება აღარ გაბედო.

ბერონი

მამ ბრმა ვყოფილვარ და არაფრის მცოდნია ყალბი.  
არ გათენდება, რომ არ იყოს ჩემი სახედო.  
შეზავებული სილაშაზის ქაღო ფერებით,  
როგორც ბაზრობა, სახე მისი არის მდლდარი,  
ყველა ღირსება ბრწყინავს ერთი მშვენიერებით,  
ვერავინ ნახოს მასში ნაკლი ვერავითარი.  
ოქროპირებო, თქვენი ნიჭი მასხეხეთ დღი —  
თუმც არა ენა მოქარგული დაკარგავს ძალას!  
გჭარმა აქოს საქონელი, რომელსაც ყიდის;  
ის კი აქარბებს ყველა ხოტბას; შექება ბლალავს.  
ასი წლის მწირსაც, მისთა თვალო დაბუგავს ციციბლი,  
ორმოცდაათ წელს დაიფერთხავს ბეჭები მჩატე.  
ბებრის ყავარქენს, წამში, ჩვილის აკვანი შეცვლის,  
მშვენიერება აღამიანს ხელახლა ბადებს.  
მზეა ნათელი, არ ჭირდება იმას ქებანი.



მეფე

ებონს მაგონებს სატრფო შენი, შავია ისე,  
ბერონი

ღვთაებრივ ნერვად მიმიღია მაშინ ებონი,  
არ დავიწუნებ, მყავდეს ცოლი ასეთი ხისა.  
მსურს დავიფიცო, მომიტანეთ ბიბლია მალე!  
როგორ ვიწამო მათი ეშხი, მათი სინაზე,  
ვინც არ მიბაძავს ჩემი სატრფოს ცეცხლოვან თვალებს,  
ვისაც სიშავე არ ექნება როზალაინის,

მეფე

პირიქით არის! ჯოჯოხეთის ფერია შავი,  
შავად ზიშნიმებს საპურობილე და ლამე ქუფერი;  
სილამაზე კი ღვთაებრივი ნათელით მყვავის.

ბერონი

ანგელოზს რომ გავს, ის ეშმაკი გვაცოუნებს უფრო.  
თუ სატრფოს ჩემსას სახე შავად აქვს შებურვილი,  
მხოლოდ იმიტომ — გლოვობს: ყალბი თმა და ფერები  
თაყვანისმცემელთ აღანთებენ მძაფრი სურვილით.  
ის გაჩნდა ნიშნად შავი ფერის მშვენიერების.  
ო, იგი შეცვლის დღეის მოღას — ცრუს, სათაკილოს;  
ლოყებლაუღაუას შედეგილიად ჩათვლიან მრავალს;  
მრავალი ქალი, ველარავინ რომ ვერ გაკილოს,  
მიბაძავს მას და შეიღებავს პირსახეს შავად.

დიუმენი

ამიტომ სცხიათ მეტუხრებებს, ეტყობა, მური.

ლონგვილი

მუნახშირენი ბრწყინვალეობას ბაძავენ მისას.

მეფე

ზანგნი სიშავით ტრაბახობენ, წაიღეს ყური.

დიუმენი

არ ხმარობს სანთელს, წყვილიაღს შუქი მიეცა დღისა.

ბერონი

წვიმაში შიშით ველარ გავლენ თქვენი ქალები,  
რომ არ მოშორდეთ საღებავი, წაუხლეთ ნირი.

მეფე

თქვენი ლამაზი წვიმას ნურსად დაემალემა,  
პირდაპირ გეტყვით, არ აწყენდა დაბანა პირის.

ბერონი

განკითხვის დღემდე მის მშვენებას შევაქებ მდაგავს.

მეფე

ის დაგაფუთებს იმ დღეს ყველა ეშმაზე მეტად.

დიუმენი

პირველად ვხედავ — აფახებდნენ ამდენად ნაგავს.

ლონგვილი

ღამხედე ფეხზე, მერე სატრფოს შეხედე ნეტარს.  
(იჩვენებს თავის ფეხსაცმელს)



**ბერონი**

შენი თვალებით რომ მოაგო კილითი კიდე  
ქუჩები, იგი ძლივს გაივლის ამაყი რხევით.

**დიუმენი**

ო, მთელი ქუჩა აიხედავს ქვევიდან ზევით,  
თითქოსდა თქვენი ქალბატონი თავდაღმა ვლიდეს.

**მეფე**

ყველა ჩვენგანი, ხომ ცხადია, მიჯნური გახლავთ.

**ბერონი**

სწორედ ასეა; მას ცოდვებიც ვწილთ ზიარი.

**მეფე**

კმარა ლაუბობა; დაგვიმტკიცებს ბერონი ახლა,  
რომ სიყვარული ჩვენი იყო კანონიერი.

**დიუმენი**

მიზეზი გვინდა გამართლების, გვითხარით იგი.

**ლონგვილი**

რამე ისეთი მაგალითი, რომ დავრჩეთ წმინდად;  
გვინდა ეშმაკი გავაცუროთ, გვასწავლეთ სრკივი.

**დიუმენი**

ცოდვილთ მალამოდ რომ დაეღოთ

**ბერონი**

რამდენიც გინდათ.

ყური დამიგდეთ, რაინდებო სიყვარულითა,  
მოლით, განვსაჯოთ ფიცი ჩვენი, თავდაპირველი.  
რაიც ჩვენ დავთქვით — მარხვა, სწავლა და უქალობა —  
მეფური ყრმობის, უკადრისი არის ლალატი.  
შეძლებთ კი მარხვას? საამისოდ თქვენი კუჭები  
ძალზე ნორჩია, არ აგცდებათ დასნეულება.  
ო, ბატონებო, როცა ფიცი მიიღეთ სწავლის,  
ყველა თქვენგანმა ჭეშმარიტი უარყო წიგნი.  
გამუღმებული შეგიძლიათ ოცნება, ჰვრება?  
თქვენ ხელმწიფეო, თქვენა და თქვენ, შეიძლებთ განა  
გარეშე ქალის ღვთაებრივი სილამაზისა,  
ბოლომდე ჩაწვდეთ ცოდნის არხის სრულყოფილებას?  
ქალის თვალთაგან მე ამგვარი გამომაქვს აზრი:  
ფუძეა უოვლის, წიგნები და აკადემია,  
პრომეთემ მათში მოიპოვა ცეცხლი ნამდვილი.  
წიგნების ქექვა უთავბოლო, მუდამ კირკიტი  
სიცოცხლეს აუთოხბს, გვეყენება ძარღვებში სისხლი  
ისევე, როგორც მოგზაურსაც ეცლება ქანცი  
და უძღურდება, შორი გზები თუ მოიარა.  
ფიცით, რომლითაც აიკრძალებთ დანახვა ქალის,  
თქვენი თვალების უღალატეთ დანიშნულებას,  
აგრეთვე ცოდნას, თქვენი ფიცის მიზეზთა მიზეზს.  
რომელ მეცნიერს შეუძლია, ქალის თვალებზე  
ღრმად გვაგრძობინოს სილამაზე, მშვენიერება.  
ბოლოსდაბოლოს, ცოდნა ჩვენი დანამატია,  
მუდამ თან დაგვდევს, სადაც ჩვენ ვართ, იქვეა იგიც.  
ამდენად — როცა ქალს ჩაახედავთ თვალებში გზნებით,



განა მაშინვე არ ვხედავთ ცოდნას ხაკუთარს?  
 სწავლაზე აღთქმა დაგვიღია ჩვენ, ბატონებო,  
 ხოლო ამ აღთქმით უარვევად ვიგნებო ჩვენო.  
 ხაღდა მიაგნებთ, ხელმწიფეო, ანდა თქვენ, ირნი,  
 დაჩლუნგებული და მძიმე ჭვრეტით,  
 ცეცხლოვან ლექსებს, ასე უხვად რომ შთაგაცონეს  
 ლამაზ მოძღვართა ეშხიანმა, მწველმა თვალებმა,  
 ზოგა ცოდნა ტლიანა, უქმად ქვედლება ტვინში,  
 უნაყოფოა, მწირო იცის მან მოხაგალი,  
 არაფერს აძლევს ხაზღაურად ნაჭაფარს, მაშვრალს.  
 ის სიყვარული, რომ გვასწავლეს ქალის თვალებმა,  
 რადი ღარჩება მხოლოდ ტვინში გამოკეტილი,  
 ამოძრავდება უმალ ყველა სტიქიის ძალით,  
 ფიქრის სისწრაფით დაუფლის სხეულს.  
 გაგვიორკეცებს უფველგვარ უნარს,  
 რაც მათ თვისებებს გაცილებით აღემატება.  
 ხილვის უნარხაც, გახაოცარს, ეს აძლევს თვალებს,  
 შეყვარებულის თვალთა შუქი აბრმავებს არწივს.  
 უმცირეს ბგერებს იჭერს ყური შეყვარებულის,  
 რაც მოღარაჭე ქურდის ხმენას გაუხსნებოდა.  
 უფრო რბილია სიყვარული და მგრძნობიარე,  
 ვიდრე მოქნილი, რბილი რქები ლოკოინასი;  
 შეყვარებულს გემოვნებით აქარბებს ბახუსს,  
 სიამაღით კი უტოლდება იგი ჰერაკლეს,  
 მზად არის, ხეზე რომ აცოცდეს მესხეროდების.  
 გონიერია მსგავსად ხფინქსის; ტკბილმშოვანია,  
 ვით ახოლონის ქნარია, მიხივ თმით გაწყობილი.  
 როცა ღლაღებს სიყვარული, სხვა ღმერთთა ხმები  
 ცაბ აფნანას უგალობენ და აძინებენ.  
 პოეტო კალამს ნელს არ კიდებს საწერად, ვიდრე  
 არ შეერგვა მელანს ოხგრა სიყვარულისა,  
 მერეღა ხიბლავს ლექსი მისი ველურის სმენას,  
 ხანოებას და მორჩილებას უნერგავს ტირანს.  
 ქალის თვალთაგან მერ ამგვარი გამომაქვს აზრი.  
 მათში პრამეთეს ტეშმარტოც ცეცხლს გიზგიზებს,  
 მათშია ჩვენი წიგნები და აკადემია,  
 მათით ხაზრდოობს, მათგან სწავლობს სამყარო მთელი,  
 ვერვინ მიაღწევს მათ გარეშე სრულყოფილებას.  
 სიგჟეთ თუო უარის თქმა, ძმანო, ქალებზე,  
 სიგჟეთ არის ერთგულდება ამგვარი ფიცის:  
 სიბრძნისა გამო, იმგვარ სიბრძნის, რომ უყვარს ყველას;  
 სიყვარულისა, ყველასათვის რომ არის ხათნო;  
 კაცების გამო, ეს ქალები რომეღთაც შექმნეს;  
 ქალების გამო, კაცობა რომ გვადირსნეს კაცებს—  
 დავთმით ეს ფიცი და ჩვენ ჩვენი ვეპოვოთ თავი,  
 თუ შევიანხეთ, ხაკუთარ თავს დავკარგავთ მაშინ.  
 კურთხეულია ამნაირი ფიცის ღლატი.  
 ჩვენზე სიკეთე, მოწყალება მიიღო ზენამ,  
 ვის გაუყვია მოწყალება და სიყვარული.

მეფე

კუბიდონს ვუხმობი ბრძოლის ველზე, ჯარისკაცებო!

ბერონი

ღროშები მაღლა შეტევაზე გადახვლა გვმართებს;  
 ძირს დავცემთ ყველას. ამ უღმობელ შეტაკებაში—  
 უნდა გვახსოვდეს — ჩვენი მტრების მზე დავაბნელოთ.



გვეყო ლაუხობა; გადავწყვიტოთ გვინდა თუ არა—  
ფრანგის ქალებთან გაარშოყება.

**მეფე**

გვინდა და კიდევ გავიმარჯვებთ. ხოლო მანამდე  
მათ გახართობად მოგვენახა იქნებ რაიმე.

**ბერძენი**

ზარეულ ყოფილია, გაცილებსა გვმართებს ქალებს;  
თითოეულმა მამაკაცმა მოკიდოს ხელი  
თავის მშვენიერს. ხოლო ხალხის  
რამე უცნაურ გახართობით შევიქცევთ ყველას,  
ამ მოკლე დროში რაც მოხერხდება.  
ღმინო, ცეცხა და მახკარადი, მარად და მარად,  
უძღვის სიყვარულს და გზას მისას ვარდებით ფარავს.

**მეფე**

აბა, წავიდეთ! ნუ დავკარგავთ, დრო რახაც ბჭვია,  
გამოვიყენოთ იგო, ვიდრე არ არის გვიან.

**ბერძენი**

Allons! Allons! იფქვს ვერ მოიშკის, ვინაც ღვარძლი დაუთესია,  
ხახორი მუღამ ზუსტი გახლავთ მართლმსაჭუნების.  
კაბა ერგება მოლაღატის, ძველი წესია,  
ეს უყილი ხაგანდური ხურდა ფულებით.

**(დადიან)**

1 **წილი (ფრანგი)**

ანდროსურიდან თარგმნა მშენარ კვიტარვილმა.

გაბრიელ იანა





60

რევაზ

მარგიანი

60

**ბამონენილ ქართველ პოეტს რევაზ მარგიანს  
60 წელი შეუსრულდა**

როდესაც რევაზ მარგიანზე ვლაპარაკობთ, თვალწინ საქართველოს ერთ-ერთი ულამაზესი კუთხე, სვანეთი წარმოგიდგება მისი მარად თოვლიანი მთებით და მოვარდნილი მდინარეებით, მისი ისტორიული ძეგლებით და მდიდარი ტრადიციებით, მისი ლეგენდებით და ხალხური თქმულებებით, მისი მრავალჭირნახული, მაგრამ ამაყი, პატიოსანი, მშრომელი ხალხით. რევაზ მარგიანის პოეზიაში სვანეთის თემას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს და ეს კუთხური შეზღუდულობა როდია. ესაა შვილის მიერ ვალის მოხდა მშობლიური მხარის წინაშე, მხარისა, რომელსაც საუკუნეების მანძილზე დახშული ჰქონდა საქვეყნო ასპარეზზე გამოსვლის საშუალება. რევაზ მარგიანი პირველი სვანი პოეტი იყო, რომელსაც საშუალება მიეცა პოეტური სიტყვით საქვეყნოდ მოეფინა თავისი კუთხის სილამაზისა და სიდიადის ამბავი:

სულ უბრალო აქვს ჭუნირს სიმები,  
ცრემლ-სიხარულით მაქვს გასანთლული,  
მეც მთიელი ვარ, ვცოცხლობ იმედით,  
იქნებ გამოდგეს ჩემი ქართულიც.

რევაზ მარგიანმა დიდი სამამულო ომის ქარცეცხლიანი დღეები, იარაღით ხელში, ბრძოლის ველზე გაიარა. იგი ჩვენი სახელოვანი ფრონტელი პოეტების მირზა გელოვანის, სევერიან ისიანის და სხვათა გვერდით იბრძოდა. ომმა ღრმად კვალი დააჩინა მის სულს, მაგრამ ამავე ღროს გამოაწრთო ის, როგორც პიროვნება და ჩამოაყალიბა, როგორც პუმიანისტი და პატრიოტი პოეტი:

მე შენს კალთაზე მინდა ვიარო,  
მინდა დამალოს შენმა სერებმა,  
შენი გულისთქმა გავიზიარო,  
გავიყო შენი ბედნიერება.  
რასაც მოხვ, იმად გადავიქცევი,  
შენს წმინდა მიწას მტლად დავედები  
და თან წავიღებ თავდავიწყებით  
უჭვინობ სიყვარულს შენი ქედების.

რევან მარგიანის პოეტური სამყარო მშვენიერი და მრავალფეროვანია. თითქმის ორმოცი წლის მანძილზე პოეტი დაუღალავად ემსახურება თავის ქვეყანას, თავის ხალხს. მართალია სიტყვით დგას სიკეთის, სიწმინდის, სიყვარულის სადარაჯოზე.

ბევრი ვიარე, დარშიც და ქარშიც  
და ქართულ სიტყვას კვლავ ვეჭვიდები,  
შუა ხნის კაცი ისევ ვარ ბავშვი,  
იისფერ მელნით მოთხვრილ თითებში.

ვუსურვებთ პოეტს, კიდევ დიდხანს შეენარჩუნებინოს ბავშვური სული და „რისტერი მელნით მოთხვრილი თითები“.

### ვაზაყობ შენით

როცა დავმშვიდდე, მაშინ მითხარი,  
რომ ჩემი სისხლი ნახე დამცხრალი,  
შეუბრალებლად, განუკითხავად  
შემომყარე თვალში ნაცარი...

როცა მედიდურს მნახავ სხვასავით,  
შემოფრინდება სულში დიდება,  
სთქვი: — ჩაესვენა ჩემი ვარსკვლავი  
და არასოდეს ამობრწყინდება!..

ამ სტრიქონებში, რომელიც უკვე სახელმძღვანელო პოეტმა რევან მარგიანმა გამოაქვეყნა, მოსჩანს პოეტის დაუცხრომელი ბუნება. თავადაც აღსარებასავით რომ არ ეთქვა გულისნადები, მისი შემოქმედებითი გზა საგულისხმო მაგალითია, თუ როგორ უნდა იბრძოდეს ხელოვანი სიახლისათვის სიჭაბუქიდან მომწუხრის ყამამდე.

რევან მარგიანი იმ სვებედნიერ მგოსანთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებიც პირველივე ლექსით მიიპყრობენ ხოლმე მკითხველის ყურადღებას, მოიპოვებენ პოეზიის ჭეშმარიტ დამფასებელთა აღიარებასა და სიყვარულს.

ვაი, სად ხარ მირანგულა,  
ძაძიანი დედა გელის...

იმეორებდნენ ოცდათიანი წლების ქართველი მკითხველები სრულიად უცნობი ახალგაზრდა პოეტის პირველ სტრიქონებს.

„მირანგულამ“ და რევან მარგიანის სხვა შემდგომმა ლექსებმა „ლილეოს“ დიდებული ხმებივით შეახშიანა ქართველი მკითხველის გული. შემოიტანა ახალი შუქ-ჩრდილი, ახალი ინტონაცია ჩვენს პოეზიაში.

მას შემდეგ წელი წელს გაჰყვა.

ომის ქარიშხალმა თანშეზრდილი მეგობრები ერთმანეთს დაგვაშორა. სანგრიდან აგზავნიდა რევან ი ახალ ლექსებს, რომელთაგან რამდენიმე, უპირველესად „მე უბით ვატარებ პატარა ბარათს“, შევიდა ქართული პოეზიის საგანძურში.

ახლა რევან მარგიანს, მისი სახელოვანი იუბილის ყამს, მადლიერებით მი-აბყრობს თვალს მთელი ჩვენი ხალხი, მთელი საქართველო.

გილოცავ, ჩემო რევან, ამ დიდ აღიარებას. გაიხარე. ვაზაყობ შენით!

იოსებ ნონაშვილი.



რევაზ მარგიანის, ჩემთვის ამ შესანიშნავი შემოქმედისა და ძვირფასი აღმანიანის ცხოვრება ცოტა უფრო შორიდან იწყება. ახლა რომ ვუფიქრდები, რა ვიცი, იქნებ არც ისე შორიდან. იგი დღეს სამოცი წლისა შესრულდა... იქნებ ჩემთვის არც იყოს ძალიან შორი მისი ასაკი. თხუთმეტი წელი მაშორებს რევაზ მარგიანთან, მაგრამ ეს თხუთმეტი წელი, თხუთმეტი პერანგია, ჩემზე მეტი რომ გაიცივითა მწერლობაში, მოღვაწეობაში, კაცობაში, უღელში.

ჩემთვის, როგორც პოეტი, რევაზ მარგიანი მაინც „შირანგულადან“ იწყება, იმ გამჭვარტლული ქიანურიდან საკარცულთან რომ ეკიდა. ეს იყო ძაძიანი დედის მოთქმა, ეს იყო ქვითინი ადამიანისა, რომელიც ასე ეხმიანება ქვითინს მოყმის დედისას.

დრო გადიოდა, მტერი უტევდა სამშობლოს, რევაზ მარგიანი ქარიშხლიან გზაზე დგას. მე ვკითხულობდი ერთ პატარა წიგნს, რომლის ფურცლები ომის დროს ტალონებზე გამოტანილ შაქარს რომ ვახვევდით, ზუსტად ისეთი იყო. მე მიყვარდა ეს წიგნი, ჩემი სულისას ეპოულობდი მასში...

ლექსებს ასე ქონდა მიწერილი: „მოქმედი არმია“.

მე დღეს, რევაზ მარგიანს, ვუღღვგრძელებ იმ „პატარა ბარათს“, რომელსაც უბით ატარებდა პოეტი — ჯარისკაცი რევაზ მარგიანი, რომელსაც სჯეროდა გამარჯვება და შინ დაბრუნება.

რაც მართალია მართალია, არ დაჰკლებია მის ლექსებს მარილი, ისიც მორიდებული კაცის ნათქვამია — „არ მქუხარებენ ჩემი ლექსებით“, დიახაც მქუხარებენ რევაზ მარგიანის ლექსები და სიტყვაც ბასრი ხმალივით უჭრის.

ახლაც ბასრი ცელი აქვს რევაზ მარგიანს, კვლავაც ბევრი აქვს სათიბები, მის სათიბებს გაუმარჯოს:

ბიბა ამ მხემ ადრიანად დაამწიფა ქოლო,  
წითელ თვალებს აბრიალებს სათიბების ბოლოს.

შორია სათიბების ბოლო, ჯერ შუა გზაზე ვართ ძვირფასო ძმაო და მეგობარო. გილოცავ ამ ბედნიერ დღეს.

ჯანსუღ ჩარაქვიანი

„ნუ დამსჯი სიყვარულისთვის“

უჭირდა სვანეთს, მთელ საქართველოსაც უჭირდა, მაგრამ სვანებს, ბევრ რამესთან ერთად, უმაირლობაც აწუხებდათ!

აღზევანს წავალ მარილზე,  
მარილს მოვიტან ბროლსაო...

ვერ წასულა, მოუცლევლობისა და გამართული ურმის უქონლობის გამო ვერ წასულა!

და მაინც, აჩემებულად გაიძახოდა: აღზევანს წავალ მარილზეო... მაგრამ ახლა ვიცი, რომ ჩვენს წინაპარს ეს უფრო იმედიათობით მოსდიოდა — „ვიდრე მოიტანდა“ უმაირლობა ამ მოლოდინის სიხარულით გადაეტანა!

იქნებ აკლია ჩემს ლექსს მარილი  
და სვანეთითვით სხვას ვესესებო...





არა, თქვენს მშვენიერ ლექსებს მარლიც ზომაზე აქვს და ჩინებული ქართული სანელებელიც! შემოქმედმა კაცმა იცის ხოლმე ამგვარი დაეპყვება!

წავალ აღზევანს, ცხრა მთას, ცხრა წყაროს  
და ურმულივით გზებს გადავივლი,  
რომ საქართველოს შემდეგ ვახარო,  
როგორ ვიშოვე სვანმა მარლი .

დიდებული ლექსია, იგი ამითაცაა დიდებული: მარლზე წასული სვანი კაცი ანგარიშს საქართველოს რომ აბარებს!

ბატონო რევაზ! ახლახანს იყო „ინტურისტის“ მყუდრო დარბაზში ნაომარ პოეტებს ძმობის სუფრა გაგეშალათ: თვალში მომხვდა: ცოტანი იყავით. მე აღრინდელ თქვენ დიდ სუფრებს არ შევსწრებივარ, მაგრამ ბატონ ნიკასგან გამიჯიჟა: საძმოს ორდენში მრავლად ყოფილხართ, კაი ბიჭები ყოფილხართ, კაი პოეტები...

გული დამწყდა: იმდღევანდელ სუფრას, ქეიფს რომ ვერ დაარქმევდა კაცი, მირზა გელოვანი აკლდა, ლადო ასათიანი აკლდა, ალექსანდრე საჯაია და ვლადიმერ უბილაგაც აკლდა... სხვებიც აკლდნენ...

ეს ყმინვილი კაციც აკლდა, ფრონტზე მიმავალმა რომ თქვა:

რა ვუყოთ, ომში ბევრი წასულა,  
მაგრამ ყველა ხომ ვერ დაბრუნდება...

მირზა ვერ დაბრუნდა, ბევრი ვერ დაბრუნდა...  
ამიტომ მისტირიხარ ადრე წასული ბიჭების ხსოვნას:

წვიმს, მირზა, წვიმს, საოცრად ცრის,  
ცა დაბლა ჩამოდის, ელაგს და წვიმს...

შენ დამრჩე შორს, შენს ამაყ სულს  
მამულში ფრენა და სიმღერა სურს...  
მე რომ შემძლებოდა, უბეში ჩაგისვამდი,  
ჩიტივით ვატარებდი შენს ამაყ სულს...

მეგობრები დაკარგე და მამული გადაგიჩა. ძნელად და კარგად დამთავრდა მაინც ყველაფერი. გადარჩენილ მამულს ყველაზე მეტად სიყვარული სჭირდება. სიყვარული კი პოეტების მოგონილია!

თუ შენი შვილი ვიყო უღირსი,  
მომკალი, მომსპე, დამასამარე,  
ოღონდ ნუ დამსჯი სიყვარულისთვის,  
შეგფარებივარ მე შენს საგანეს..

ბატონო რევაზ! თქვენ უკეთ მოგეხსენებათ: სიყვარულისთვის არ ისვენებან, სიყვარულისთვის უცაბედად დასჯილ კაცს ღმერთიც ეწვევს!  
ღმერთმა მამულს თქვენნაირი მამულისშვილები უნდა უცოცხლოს!  
ასეც აქნება!

თამაზ წიგწივაძე.





# ზურღლები



ზახსანს ზელიძე

## «აბსურდის ზეიმი»...

თავიდანვე უნდა ვთქვა: ეს სიტყვები — „აბსურდის ზეიმი“ — ჩემი შერჩეული არ არის. ერთ წერილში შეგხვდი და დიდხანს ვცოყმანობდი, მიმეცია თუ არა განსაკუთრებული ყურადღება იმ წერილისათვის... ვფიქრობდი: იქნებ არც ღირდეს-მეთქი გამოშვებება იმისა, რასაც მზის სინათლე თავის დროზეც არ უნდა ეხილა: იქნებ არცა ღირდეს იმის საქვეყნოდ გამოტანა და გახსენება, რაც ერთხელაც არ იმსახურებდა დაბეჭდვას, და დავიწყებასაც მალევე მიეცა... მაგრამ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ, რომელიც შემოქმედ ახალგაზრდობასთან მუშაობას შეეხება და ახალგაზრდობას მიმართ განსაკუთრებულ ფაქიზ დამოკიდებულებას მოითხოვს, დამარწმუნა: აღნიშნული წერილის მიფუჩენება არ შეიძლება; ეს ქედმაღლური და შეურაცხყოფელი სიტყვები სწორედ ახალგაზრდების მიმართ არის გამოყენებული ზემოთ ნახსენებ წერილში...

ამასთან, საქართველოს მწერლების ბოლო ყრილობაზე ისიც ითქვა, რომ დაუსაბუთებელი, არაკვალიფიციური და არაობიექტური კრიტიკა, სამწუხაროდ, კვლავ საკმაოდ ბზირად გვხვდება და საქმის ინტერესები მოითხოვს, ასეთი კრიტიკული წერილი უყურადღებოდ არ დაეტოვოთ, მით უმეტეს, როცა კრიტიკის ცეცხლი, გასაგები მოსაზრებების გამო, ახალგაზრდობისაკენ არის მიმართული.

ღიჯს, ეს სიტყვები გამოთქმულია ახალგაზრდა ლიტერატორების მიმართ, რომელთა სადებუტო ერთობლივი და ჯერჯერობით ერთადერთი ნაშრომი ამ რამდენიმე წლის წინ გამოქვეყნდა...


საქართველოს მწერალთა მერვე ყრილობა...

ზე გულისტკივილით აღინიშნა: ჩერ კიდევ ვერ არის მოგვარებული ახალგაზრდა შემოქმედებთან მუშაობის საქმე; თუ გვინდა, რომ სასურველი ცვა მოვამზადოთ ლიტერატურისა და ხელოვნების სხვადასხვა ჟანრსა თუ დარგში, მეტი სითბო, მეტი გულისხმიერება და სათუთი დამოკიდებულება გვმართებს. დე, ახალგაზრდების მიმართაც კრიტიკა იყოს მკაცრი, მაგრამ ობიექტური, სამართლიანი და საქმიანი, თვით ამ ახალგაზრდების მიმართ სიყვარულით გამოთბარი, საქმის ინტერესებით ნაკარნახევი.

სწორედ ასეთი არ არის ის წერილი, სადაც ზემოთ მოტანილ სიტყვებსა გვიტოხულობთ და რაც სწორედ არაკვალიფიციურობით, არაობიექტურობით, ქედმაღლურობითა და საქმის ზერეღე ცოდნით გამოირჩევა. ხოლო რაკი ასეა, ახალგაზრდობის მიმართ გულისხმიერებასა და სათუთ დამოკიდებულებას, რაღა თქმა უნდა, ვერც მოვთხოვთ ავტორს...

სანამ პროფ. ნ. ნათაძის წერილს („რამდენიმე შენიშვნა ალმანახ „ხომლის“ დაბეჭდილი თარგმანების გამო“, ალმანახი „კრიტიკა“ № 5, 1973 წ.) წაიკითხავდით, იქნებ იმან გააკვირვოთ, რომ იგი ცოტა დაგვიანებით მოვევლინა ჩვენს ლიტერატურულ და კრიტიკულ სამყაროს — მხოლოდ მას შემდეგ, როცა ეს ალმანახი უკვე აღარ არსებობდა. ასე რომ ალმანახ „ხომლის“ სარედაქციო კოლეგია მოკლებული იყო საშუალებას ნ. ნათაძის შენიშვნები თავის მუშაობაში გაეთვალისწინებინა.

არადა, წერილის ბათობს და ხასიათი ისეთია, რომ თითქმის გულისხმიობს იმ რედაქციისა და სარედაქციო კოლეგიის არსებობას



**და მათ ენაუბრება.** თუმცა ეს უხერხულობა ბებრს არაფერს ნიშნავს, რადგან უოველგვარი საქმიანი საუბარი თარგმნის საკითხებზე ყოველთვის (და ყველასთვის) აქტუალურია: თუ ის არარსებული რედაქცია ვერ გამოიყენებს ამ შენიშვნებს, ვისაც წერილის ავტორი მიმართავს, სხვას ხომ მაინც გამოაღებება!

მეტე უხერხულობა იქნებ ის იყოს, რომ საკმაოდ დიდი მასალიდან, რაც აღმანახის ცხრანომერში გამოქვეყნდა, წერილის ავტორი ასე თუ ისე საფუძვლიანად მხოლოდ ერთ მოთხრობას განიხილავს. ეს არის კამიუს „უცხის“ თარგმანი, რომელიც, კიდევ ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, ახალგაზრდა მთარგმნელების ნაშუქეარია.

წერილის ავტორი თვითონვე მოგვგონებს აღმანახის პირველ ნომერში დაბეჭდილ სიტყვებს, რითაც სარედაქციო კოლეგია მკითხველს მიმართავდა: აღმანახის მიზანია „გააცნოს მკითხველს მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო მიღწევები, ხელი შეუწყოს მთარგმნელთა ახალგაზრდა კადრების გამოვლენასა და დაოსტატებას...“

ეს სიტყვები თავისთავად გულისხმობს, რომ ნიჭიერი შემოქმედი ახალგაზრდა გაბედულად გამოიყენებოდ და გულისხმიერად მოეკიდოთ, ხელი შეეწყობთ მის დაოსტატებას; კი არ შეურაცხყოთ და დაეპინოთ, არამედ სიყვარულითა და საქმიანი რჩევით დაეცხმაროთ და გვაშინებოთ... ვასწავლოთ, რაც მთავარია, ვაშეცვალოთ კონკრეტული მითითებებით, კონკრეტული შენიშვნებით... ამ შემთხვევაში, როცა მთარგმნელს ამა თუ იმ ფრაზას დაეუწყუნებთ, იქვე ვასწავლოთ, როგორ უნდა ეთარგმნა, რომ თარგმანი უკეთესი გამოსულიყო. შეტეობას კი ნუ მივუფუფუნებთ, გავაკრიტიკოთ, მაგრამ სიყვარულით და საქმიანად... ეს კი მხოლოდ თვით საქმისადმი და ახალგაზრდებისადმი კეთილად განწყობილ აღმანახს შეუძლია, რომელიც, ამასთან, რაღა თქმა უნდა, საქმის მოვლენე და კომპეტენტური უნდა იყოს.

ნ. ნათაქე სამართლიანად შენიშნავს, რომ კამიუ ძალიან ძნელი სათარგმნელია. და არ არის გასაკვირი, თარგმანს ნაკლი ჰქონდეს. მოთხრობის ახალგაზრდა მთარგმნელებს — თუკი ისინი გადაწყვეტენ კვლავ გააგრძელონ ამ სფეროში მოღვაწეობა, — დიდი, განუწყვეტელი მუშაობა მართებთ დაოსტატებისათვის, პროფესიული დონის ამადლებისათვის. ასეთი განუწყვეტელი მუშაობა, საერთოდ, ყველას მართებს, ახალგაზრდასაც და ხანდაზმულსაც, და არა მარტო თარგმანში, არამედ ლიტერატურის ყველა ეანრში, მათ შორის კრიტიკაშიაც.

იმის დასასაბუთებლად, რომ თარგმანი სუსტია, რეცენზენტი ანალიზებს ორიოდ აზრებს თარგმნილი მოთხრობიდან, და ამას მერე აწვო-

ვადებს, თითქმის იმის მიხედვით იფანტებს მთელი აღმანახის მუშაობას. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ავტორი აღმანახის მთელი მისცეს, თარგმნილ ფრაზებს იმავე ფრაზების თავისეულ თარგმანს უპირისპირებს, თელსაჩინოდ გვაჩვენებს — რა ცუდად უთარგმნიათ ეს ადგილი მთარგმნელებს და რა კარგად შეიძლეოდა თურემ მისი თარგმნა; როგორ უნდა ეთარგმნათ ეს ფრაზები, რომ მოთხრობა სასურველად აქედრებულყო ქართულადაც. დასანანი ის არის, რომ რეცენზენტს დაზარებია და მხოლოდ ორი აზრის შედარებით დაკმაყოფილებულა. უფრო მეტი რომ შეეცადრებინა და მეტი თავისეული თარგმანი მოეთა, რაღა თქმა უნდა, გაცვეთილიც უფრო კარგი იქნებოდა.

ასეთი ანალიზი ნამდვილად საჭირო და სასარგებლოა; ზოგი რეცენზენტი ზოგადად მიუთითებს ხოლმე, ზოგადად უწყენს მთარგმნელს ცალკეულ ფრაზებსა თუ მონაკვეთებს და საკუთარ ვარიანტს კი არ გვაწვდის, იმის თქმას ერიდება, რატომ არის ესა თუ ის ფრაზა დასაწუნე და როგორ უნდა ეთარგმნათ იგი. ასეთი კრიტიკა, რა თქმა უნდა, ნაკლებ ეფექტური და ნაკლებ სასარგებლოა.

როცა ვამბობთ, კრიტიკისი ორიოდ აზრებს ანალიზებს, ამას განმარტება სჭირდება. ნ. ნათაქე ცოტა უფრო განსხვავებულ ანალიზს გეთავაზობს. საერთო შენიშვნის შემდეგ, სადაც ჩვენი რეცენზენტი მიუთითებს მთარგმნელებს, რომ მათ „აზრების შიგნით ჩართული დილოგი“ არ უნდა გეშალოთ, არ უნდა შეეცვალოთ „ტექსტის ავტორისეული დანაწილება(?) წინადადებებდა...“, ნათაქეს მოტანილი აქვს ახალგაზრდა ლიტერატორთა მიერ თარგმნილი წინადადებები მოთხრობიდან, ზოგადად იწუნებს მათ და იქვე ამავე წინადადებათა თავისეულ თარგმანს გეთავაზობს. საგულისხმოა, რომ ზოგიერთ თარგმნილ ფრაზას არა ცვლის კრიტიკისი, თავის ვარაუდშიაღვადმოთქვს: უნდა ვივარაუდოთ, რომ ასეთ შენიშვნებში სადაც არაფერი არაფერი აქვს ახალგაზრდა მთარგმნელებთან. უფრო მეტს ცვლის — ამით იგი უკვე ელავება მთარგმნელებს; მაგრამ, ზოგიერთი გამოცხადისის გარდა, კი არ გვეუბნება, რატომ ცვლის, რას უწყენებს ამა თუ იმ ფრაზას; აღნათ ან ვერ მოცალა ასეთი ანალიზისათვის, ან განგებ აკეთებს ამას —

**ზახტანან ზელიძე**  
„ბასურდის ზიმიძე“

მკითხველს ანდომს, თავად შვადრის მოტანი-  
ლი აბზაცების ორი სხვადასხვა თარგმანი და  
სათანადო დასკვნა გამოიტანოს, მკითხველის  
აქტიურ ჩარევას ვულისხმობს. ესეც თავისე-  
ბური ხერხია და, როგორც უკვე ითქვა, საკმა-  
ოდ ეფექტურიც: მკითხველსაც, იმ მოთხრობის  
მთარგმნელებსაც და სხვებსაც, ყველას, ვინც  
კი ამ საქმით არის დაინტერესებული, უფ-  
რო თვალსაჩინო ვაკეთოთ ასევე. იმ აბზა-  
ციებიდან მხოლოდ რამდენიმე სიტყვაა საფუძ-  
ვლიანად გაანალიზებული.

„აბზაცის შიგნით ჩართული“ დიალოგის გაშ-  
ლის დავუბრუნდეთ. რეცენზენტი მკაცრად აკ-  
რიტიკებს ახალგაზრდა მთარგმნელებს — ეს დი-  
ალოგი არ უნდა გაეშალათ; და კრიტიკა მარ-  
თებული (ამდენად, დამაჩერებელიც) მასინ იქ-  
ნებოდა, ნოდარ ნათაძეს რომ მოეხერხებინა და  
კონკრეტული მაგალითებით დაემტკიცებინა —  
ამ „თვითნებობით“ მართლა თუ დაარღვიეს  
მთარგმნელებმა ორიგინალის განწყობილება. ეს  
არ უნდა გაჩნდებოდა კრიტიკის: რაკი იგი  
ახალგაზრდა ლიტერატორების მიერ თარგმნილი  
აბზაცების პარალელურად იმავე აბზაცების თა-  
ვისეულ თარგმანსაც ვთავაზობს, თვალსაჩინოდ  
შეეძლო ეჩვენებინა განსხვავება — როგორ ვერ  
მოუხერხებიათ ორიგინალის განწყობილების  
განმტკიცება მთარგმნელებს და როგორ გადმო-  
ტანა ეს განწყობილება რეცენზენტმა. კრიტიკო-  
ნის თავისებური „ანალიზის“ არსიც ხომ ეს უნ-  
და ყოფილიყო. სამწუხაროდ (თუ საბედნიე-  
როდ), ასეთ განსხვავებას ვერ იპოვით თარგმნი-  
ლი აბზაცების დაორიგინალით. აქ სულ სხვა  
განსხვავებას აღმოაჩენთ; კრიტიკოსი ვერ ამტ-  
კიცებს, „აბზაცის დიალოგის გაშლით“ მართლა  
თუ დაარღვიეს მთარგმნელებმა ორიგინალის გან-  
წყობილება. ამას რეცენზენტი ვერც დაამტკი-  
ცებს, რადგან ფაქტიურად ეს არ მომხდარა,  
ხოლო რაკი არ მომხდარა, შეცოდებაც უმნიშ-  
ვნელია და ისეთ მკაცრ განაჩენს არ იმსახუ-  
რებს; არც იმ განხვეწებულ თეორიულ მსჯელო-  
ბას საჭიროებს, რაც რეცენზენტის საყვედურს  
მოსდევს. ამდენად გაერთო ჩვენს რეცენზენტს  
ზოგადი მსჯელობით, რომ, როლში შესულმა,  
ალბათ „უჩვენებლად“, იმ აბზაცის „გაშლი-დანა-  
წილებაც“ დასწამა მთარგმნელებს, რაც მათ  
ფაქტიურად არ „დაუნაწილებიათ“, ისევე ვად-  
მოიდეს, როგორც ორიგინალში.

სხვათა შორის, ორიგინალისაგან ამგვარ „გა-  
დახვევას“ სრულყოფილ თარგმანებშიც ვხვდებ-  
თ ხოლმე და, ერთბაშად, დიდ შეცოდებად არ  
თვლით, თუკი ასეთ გადახვევა მხოლოდ ფორ-  
მალურია და ორიგინალის განწყობილებას არა  
ცვლის. თუ არა ვცდები, ამ მოთხრობის ორი  
რუსული თარგმანი არსებობს (ერთა „ინოსტ-  
რანის“ ლიტერატურაში“ დაიბეჭდა, მეორე კი  
„საბჭოეთის ლიტერატურაში“) და ორივე მთარგმ-  
ნელს — ნ. ვილსა და ნ. ნემნინოვსაც — ასე-

ვე „დაუნაწილებიათ“ ჩვენს კრიტიკოსს მთერ  
შერჩეული აბზაცი.


ახლა ერთმანეთს შევადაროთ ახალგაზრდა  
ლიტერატორების თარგმნილი წინადადებები  
და იმავე წინადადებების ნათამისეული ვარი-  
ანტები. ვნახოთ, როგორ დაეხმარება ნოდარ ნა-  
თაძის შენიშვნები გამოუცდელ მთარგმნელებს  
და სხვებსაც, რაღა თქმა უნდა, ვინც კი ამ  
სფეროში მუშაობს. მკითხველი ალბათ გაიფი-  
ქრება — ასეთ „შეჯიბრში“ ჩვენს ახალგაზრდა  
მთარგმნელებს წამგებიანი პოზიცია ერგათო.  
მართლაც ასეა, და არა მარტო იმიტომ, რომ  
ისინი გამოუცდელი არიან და მათი რეცენ-  
ზენტი კი — გამოცდილი, არამედ უმთავრესად  
იმიტომ, რომ ნ. ნათაძეს საშუალება ჰქონდა ჯერ  
თავისი სურვილის მიხედვით შეერჩია იმ დიდ  
მოთხრობიდან რამდენიმე სტრიქონი და მერე  
მეტე მონდომებითა და სიფრთხილით ეთარგმნა:  
იგი საგანგებოდ მოეშალა „შეჯიბრებისათვის“,  
ახალგაზრდა მთარგმნელები კი ამ უპირატესო-  
ბას მოკლებულნი იყვნენ.

როცა ახალგაზრდა ლიტერატორები თარგმ-  
ნიან: „თქვენ მისი შენახვა სად შეგეძლოთ?“  
(ლაპარაკია მოხუცი დედის რჩენაზე; ამ მო-  
ხუცის შვილს გარეშე კაცი მიმართავს), ნ. ნა-  
თაძე იწუნებს ამ ფრაზას და თავის ვარიანტს  
გვაწვდის. ამავე ფრაზის ნათამისეული თარგმ-  
ნი ასეთია: „თქვენ ვერ უზრუნველყოფდით  
მას“.

მკითხველს იქნებ მოეჩვენოს: აქ დიდი განს-  
ხვავება არაფერია და ან რეცენზენტი რას  
იწუხებდა თავს ასეთი უსარგებლო დარაგებე-  
ბით, ან ახლა რაღა საჭირო იყო მისი გასე-  
ნებობა. აზრი თითქმის ერთია — სათქმელს  
გამოუცდელი ახალგაზრდა მთარგმნელებიც მი-  
გვახვედრებენ და მათი გამოცდილი რეცენზე-  
ნტიც. როგორც მკითხველი გრძნობს, აქ საუ-  
ბარია ორ აღმამან შორის; ერთი მიმართავს  
მეორეს, თქვენ მისი (მესამის) რჩენა არ შეგე-  
ძლოთ. რაკი ეს აზრი გამოუცდელმა მთარ-  
გმნელებმაც გასაგებად გადმოსცეს და მინც  
საჭიროდ მიიხსნია გამოცდილმა კრიტიკოსმა  
შენიშვნა მიეცა, რაკი, ამასთან, კრიტიკოსს  
ველარ მოუცლია, განემარტა, რითა დასაწუნი  
ახალგაზრდა მთარგმნელების ჭრახა და რა  
უპირატესობა აქვს მისას, ჩვენს მინც აუ-  
ნდა დავფიქრდეთ და დასკვნა ჩვენ გამოვიტა-  
ნოთ. აბა, ისე რა გამოვა — თუკი ვერ გავი-  
გეთ, რატომ უწუნებს კრიტიკოსი, რაღა გა-  
კეთილი იქნება? მასინ მარტო კრიტიკოსის  
გულისწყრომას მივხედვით, ხოლო მისი ნაზ-  
რების სიღრმეს ვეღარ ჩავევდებით და ეფექ-  
ტური და სასარგებლო გაკვეთილი აღარ გა-  
მოგვივა.

აზრი კი ერთია, მაგრამ რატო დავევირ-  
დებთ, განსხვავებას მინც ვნახავთ.

პირველად აქ თვალში გვეცმათ ლექსიკური



განსხვავება: ახალგაზრდა მთარგმნელები წე-  
რენ, სად შეინახავდით თქვენ რეცენ-  
ზენტის უსწორებს — ვერ უზრუნველ-  
ყოფდით. ახრი თითქოს სწორად ვადმო-  
ცეს მთარგმნელებში, მაგრამ, ეტყობა, რადიკით  
მაინც შეუტოდავთ, რაჟი კრიტიკოსი დააფიქ-  
რეს და ამავე აზრის გამოსათქმელად ახალი  
სიტყვა ამებნინეს, რომ არ შეეცოდათ, რატომ  
შეიწუხებდა თავს კრიტიკოსი და ახალი სი-  
ტყუების ძებნას რატომ დაიწყებდა, მთარგმნე-  
ლებისავე სიტყვას დატოვებდა: აჟი ითქვა, გან-  
სახილველად შერჩეულ აბზაცებში, თავის თარ-  
გმანს რომ გვათავაზობს, კრიტიკოსი ზოგან ტო-  
ვებს ახალგაზრდა ლიტერატორების თარგმნილ  
ფრაზებსა თუ ცალკეულ სიტყვებს და ამით  
გვაგონობინებს, სადავო აჟ არაფერი მაქვსო.  
ხოლო რაჟი ეს ფრაზა დაიწუნა კრიტიკოსმა,  
ეტყობა სადავოც აქვს. ვნახოთ რას ელაგება.  
იქნებ სიტყვა „შენახვა“ „რჩენის“ სინონი-  
მად ვერ გამოდგება! თარგმანში იქვე „მარჩე-  
ნალიც“ არის ნახსენები და ახალგაზრდა მთარ-  
გმნელები, ეტყობა, განმეორებებს მოერიდ-  
ნენ. სხვა სიტყვა შეარჩიეს იმავე აზრის გამო-  
სახატავად. ალბათ გადაწყვიტეს, რამდენდაც  
ჟი შეეძლოს, ენის სიმდიდრე გამოყენებინათ,  
მკარამ ის სიტყვა, რაჟ უფრო მოგვიანებით  
რეცენზენტმა შემოგვთავაზა, მათ არ ვახსენ-  
დათ... ყველა ხომ ვერ მიაგნებდა — გამოც-  
დილი კაცის უფრო ადვილად მიაგნებს ხოლმე,  
ეს უპირატესობა აქვს გამოცდილებას.

აბა ჩვენს დიდებულ განმარტებით ლექსი-  
კონში რაჟიხედავთ: „ვისიმე კმაყოფაზე აყვანა,  
ყოლა, რჩენა“ — ასეთ განმარტებას წაიკით-  
ხავთ ლექსიკონში და იქვე საილუსტრაციო  
მასალასაც ნახავთ, ჩვენს კლასიკოსის ნაწარ-  
მობებიდან მოტანილი: „სანამ მამა ცოცხალი  
იყო, რაჟ ფულს შოულმობდა, სულ ნინოს სწე-  
ვლასა და აზიზად შენახვას ანდომებდა“. ეს  
შოთ არაკვისპირელის მოთხრობიდან არის ამო-  
წერილი. „ბუერი ძალღებეს... ამრავლებს და  
იმას ჟი აღარ ფიქრობს, თუ იმათ ჭამაც უნ-  
დათ და შენახვაც“ — ეს თედო რაზიკაშვილი  
ვახლავთ. „ტასოს მამა ძლივს ახერხებდა ხუთი  
სულის შენახვას“ — ეს დავით სულაშვილია,  
და კიდევ ერთი მაგალითიც, ეს უკვე „ახალ-  
გაზრდა კომუნისტიდან“ ამოუწერიათ ლექსიკონ-  
ის შემდგენელ მეცნიერებს, რათა ზოგი სკეპ-  
ტიკოსისათვის უფრო თვალსაჩინოდ ჩგვიყენებ-  
ნათ, რომ ეს სიტყვა ფართოდ იხმარება ცოც-  
ხალ მეტყველებაშიც და ლიტერატურაშიც:  
„სკოლებში უფასოა განათლება და მოსწავლე-  
თა შენახვაც“.

ახლა, როცა ასე დავუბრუნებთ ეს ორი  
სიტყვა ერთმანეთს, განსხვავება მართლაც გა-  
მოჩნდა, და თავიდან ჟი ეს ვერ შევამჩნიეთ.  
ის სიტყვა, რომელიც ახალგაზრდა მთარგმ-  
ნელებს გამოუყენებიათ, უფრო გაგრძელებუ-

ლია, უფრო ბუნებრივი, უფრო სასაუბრო,  
აზროთიკალური. მეორეს ყველა, ეს  
თვისება (და ბარემ აქვე შევინშნათ: იბტირაცი  
ამღვეს მას უპირატესობას რეცენზენტს. წყ-  
რილში აშკარად იგრძნობა, რომ ჩვენი კრიტი-  
კოსი არ არის ბუნებრივი მეტყველებისადმი  
კეთილად განწყობილი).

საუბარი აქვთ ახალგაზრდა კაცს, ვისი დე-  
დაც თავშესაფარში წვეს, და ამ თავშესაფარის  
ღირებუროს. საუბრის დროს ჭაბუკს შო-  
ვჩვენება, ღირებუროს მკიცხავს, რომ დედა  
თავშესაფარში მოვიყვანეო და თავისმართლებას  
ცილილობს (სწორედ ასე უწერია ახალგაზრ-  
და მთარგმნელებს — „თავისმართლება დე-  
დო“). ღირებუროს შეაწყვეტინებს:

საბოლოო რა გაქვთო, ეტყვის, „აგერ დე-  
დათქვენის ქალღლები გადავათვალიერე. მისი  
შენახვა სად შეგეძლოთ, დედას მომვლელი  
ესაქირობოდა. პატარა ხელუასი გქონიათ, მი-  
სთვის აჟა აჯობდა, აჟ უფრო ბედნიერად  
გრძნობდა თავს“.

და იქვე დასძენს: „რაც არ უნდა იყოს, აჟ  
მეგობრები ეხვია, თავისივე ხნის ხალხი.  
ერთნაირი ინტერესები ჭქონდათ. თქვენ ახალ-  
გაზრდა ხართ, თქვენთან მოიწყენდა“..

ერთი სიტყვით, ახალგაზრდა მთარგმნელებს  
უფრო მარჯვედ შეუჩრჩევიათ სიტყვა, რეცენ-  
ზენტი ჟი ცოტათი აჩქარებულა — ის დაუ-  
წყუნებია, რაჟ დასაწყუნი არ იყო.

მაგრამ ამ პატარა ფრაზაში სხვა პრინციპუ-  
ლი სკიოთხიც იმალება. კიდევ არის ერთი და-  
დი განსხვავება ახალგაზრდა მთარგმნელების  
ფრაზასა და რეცენზენტის ვარიანტს შორის.

მარტო ლექსიკური თვალსაზრისით ჟი არ  
არის შემცდარი რეცენზენტი, არამედ უმ-  
თავრესად იმათ, რომ საუბრის დინამიკობას  
(და, ამდენად, ბუნებრიობას) ახალგაზრდა  
მთარგმნელების მარჯვედ შერჩეული ფორმა  
აძლიერებს: თქვენ „მისი შენახვა სად შეგეძ-  
ლოთ?“... რა თქმა უნდა, „სად შეგეძლოთ“  
უფრო დინამიურია, უფრო ცოცხალი, საუბრის  
ძაღვს აბამს... აჟ ხომ ორი პერსონაჟის საუბრია —  
ამ საუბარს ვადმოგვეცემს მოთხრობის გვირი-  
და სასაუბრო ძაღვის გაბმას უდიდესი მნიშვნე-  
ლობა აქვს. ენის ქსოვილი ასეთი ნიუანსებისა-  
გან შედგება.

შინაარსიდანაც კარგად ჩანს, რომ ღირებუროს  
უადვილებს მდგომარეობას ჭაბუკს: როცა შე-  
ნიშნავს, თავის მართლებას აპირებსო, საბოდი-  
შო არაფერი გაქვსო, ეტყვის. და ახალგაზრდა  
მთარგმნელების მიერ შერჩეული ფრაზა, რომე-  
ლიც ამ სიტყვებს მოსდევს, რალა თქმა უნდა,  
უფრო ბუნებრივია: „საბოდიშო არაფერი გაქვს...  
თქვენ მისი შენახვა სად შეგეძლოთ?“..

სხვათა შორის, რეცენზენტი ამ გამოთქმასაც

**პახტანგ ვილიძე**  
„პახტანგის ზიმი“...

უწუნებს ახალგაზრდა მთარგმნელებს: „სანო-  
დღისო არაფერი გაქვთ“ კი არ უნდა დაეწერათ,  
არამედ: „თავის სამართლებელი არაფერი  
გაქვთ“, ასე უფრო ზუსტიაო. ესეც უმართებუ-  
ლო შენიშვნა უნდა იყოს. აბა ისევ გადავიკით-  
ხოთ ახალგაზრდა ლიტერატორების თარგმანი:

„...ის იყო, თავისმართლება ვცადე, რომ შემა-  
წყვეტინა: — საბოდიშო არაფერი გაქვთ“...

როგორც ვხედავთ, „თავისმართლება“ იქვეა  
ნახსენებია, ორი სიტყვის წინ და ახალგაზრ-  
და მთარგმნელებმა, ფეიქრობ, კარგი, ზუსტად  
ძმავე აზრისა და განწყობილების სინონიმი შე-  
აჩრის, რაკილა სიტყვის განმეორებას მოერი-  
დნენ. კონტექსტს კარგად უხვდება ეს სიტყვა,  
აზრისა და განწყობილებას სწორად გადმოსცემს.  
მით უმეტეს, რომ „თავის სამართლებელი“ ისე-  
დაც ვერა ძღერს კარგად, უხერხული გამოსა-  
თქმელიცაა...

აქაც უჩქარია რეცენზენტს.

იქვე: ახალგაზრდა მთარგმნელები რომ წე-  
რენ, „აქ უფრო ბედნიერად გრძნობდა თავსო“,  
ნ. ნათაძე უზუსტობას უსაყვედურებს და თავის  
ვარიანტს ვაყვდის: „ს ა ბ ო ლ ო უ ა მ ი ,  
აქ თავს უფრო ბედნიერად გრძნობდა“.

ახალგაზრდა მთარგმნელები რომ წერენ: „აქ  
მეგობრები ხვდია, თავისივე ხნის ხალხი“, კრი-  
ტიკოსი ნათაძე უსწორებს: „აქ მეგობრები ჰყავ-  
და, მისივე ასაკის ხალხი“.

დაუჭერონ ახალგაზრდა მთარგმნელებმა გამო-  
ცდილ კრიტიკოსს?

რამდენჯერმე ვახსენეთ „ბუნებრივი გამოთ-  
ქმა“ და ისიც შევნიშნეთ, როგორ არ წყალობს  
მას ჩვენი კრიტიკოსი. ეს პრინციპული საკითხია  
და უნდა შევჩერდეთ. ნ. ნათაძე ეკამათება ანონიმ  
ავტორს (თუ ავტორებს), რომელიც (თუ რომ-  
ლებიც) თარგმანში ბუნებრივ მეტყველებას მო-  
ითხოვს. ასეთ ბუნებრიობას კრიტიკოსი „სი-  
ზუსტეს“, „ზუსტი სიტყვის ესთეტკას“ უპი-  
რისპირებს და ძალათი აბნევს და ართულებს  
სავსებით მარტივსა და ნათელ საკითხს. ნ. ნათა-  
ძეს უნდა მოეხსენებოდეს: როცა თარგმანში ბუ-  
ნებრივ გამოთქმას მოითხოვენ, აქ „ზუსტი სი-  
ტყვის ესთეტკა“ თავისთავად იგულისხმება.  
ვის რად უნდა „ბუნებრივი გამოთქმა“, თუკი  
ორიგინალის აზრს არ გადმოსცემს? ეს მხატვ-  
რული თარგმანი კი აღარ იქნება, ეს იქნება ნა-  
წარმოების შინაარსის გადმოცემა, თავისი სიტ-  
ყვით მყოფლი. „ბუნებრივი გამოთქმის“ საკითხი  
ვინ ისევ მწვეედ დგას, მას ბევრი „თეორეტი-  
კოსი“ და „პრაქტიკოსი“ ემტერება (უმთავრე-  
სად ისინი, ვისაც თავად უძნელდებათ ასეთი  
ბუნებრიობის მიღწევა). მხატვრული ნაწარმოე-  
ბის თარგმანში ამ ორი ცნების — ბუნებრიო-  
ბისა და სიზუსტის — დაპირისპირება არ შეიძ-  
ლება; ეს ერთი ცნებაა. სიზუსტე, — ისევე  
როგორც ბუნებრიობა, — ფართო მნიშვნელო-  
ბით უნდა ვგავიოთ: როცა ვამბობთ, თარგმანი

ზუსტიაო, აქ ბუნებრიობაც უნდა იგულისხმე-  
ბოდეს. სამწუხაროდ, ასე არა ხდება. სიზუსტეს  
ბუნებრიობას უპირისპირებენ და უპირატესო-  
ბას „სიზუსტეს“ აძლევენ. ბუნებრივ ელერადო-  
ბას მოკლებული სიზუსტე მხოლოდ მოჩვენეზი-  
თი სიზუსტეა; სინამდვილეში იგი არც ორიგი-  
ნალის განწყობილებას გადმოსცემს და იმ ენა-  
საც ბლაღავს, რა ენაზედაც ნაწარმოები თარგ-  
მნება. ჩვენი კრიტიკოსის თეორიულ მსჯელო-  
ბას რომ წაიკითხოვ, იქნებ ისეთი მძაფრი არ  
მოგჩვენოს ეს დაპირისპირება, მაგრამ ნ. ნათა-  
ძის ანალიზი ხომ ორიგინალურია: წერილში იგი  
თვალსაჩინოებისათვის კონკრეტულ მაგალითებ-  
საც გვთავაზობს და სამუალებას ვაძლევს ერთ-  
მანეთს დავუბრისპირთ ორი — სწორი და  
მცდარი — ვარიანტი; როცა ამ მაგალითებსაც  
ამოუყენებთ გვერდში მისივე მსჯელობას, ყვე-  
ლაფერი აშკარა ხდება.

რეცენზენტის მიერ თარგმნილი ფრაზები იქ-  
ნებ მოჩვენებით ზუსტი იყოს, მაგრამ რაკილა  
ბუნებრივი არ არის და ჩვენი მეტყველებისათ-  
ვის უცხოა, რალა თქმა უნდა, სიზუსტესაც და-  
ლატობს და ორიგინალის განწყობილებას ვერ  
გადმოსცემს. როცა რეცენზენტის მიერ თარგმ-  
ნილ ფრაზებს კითხულობ (თუკი წინასწარ ირწ-  
მუნებ, პროფ. ნათაძე ალბათ კარგი მექართუ-  
ლეა და ეს ადგილიც კარგად ექნება გადმო-  
ტანილიო), უნებურად გაიფიქრებ: კამიუს პერ-  
სონაჟებს ფრანგული კარგად არა სცოდნიათ და  
ავტორი განგებ არაბუნებრივი გამოთქმებით  
ელაპარავებს მათ, რეცენზენტსაც ეს ორიგინა-  
ლისეული განწყობილება გადმოუციაო.

როცა ახალგაზრდა ლიტერატორები თარგმ-  
ნიან — „დირექტორს არ ეცალა. ლოდინი მო-  
მიხდაო“, ეს ბუნებრივი ქართული მეტყველე-  
ბაც არის და, ამდენად, ზუსტად გადმოგვეცემს  
ორიგინალის აზრს; ხოლო როცა რეცენზენტს  
უსწორებს: „ვინიდან დირექტორი დაკავებუ-  
ლი იყო, ცოტა ხანს ლოდინი მომიხდა“, ეს  
უკვე არც ბუნებრივია და, მოჩვენებითი სიზუს-  
ტის მიუხედავად, არც ზუსტი; ისევე, როგორც  
ბუნებრივი არ არის (და ამიტომ არც ზუსტია—  
ორიგინალის განწყობილებას ვერ გადმოსცემს)  
რეცენზენტის მიერ შემოთავაზებული წინადა-  
დება: „საბოლოო ჯამში, აქ თავს უფრო ბედ-  
ნიერად გრძნობდა“. სრული შთაბეჭდილებისათ-  
ვის ჭობს ამ პატარა ნაწყვეტის ორივე თარგმ-  
ანი მოლინად მოვტყობინოთ.

ჭერ ჩვენი კრიტიკოსის თარგმანი:  
„თავის სამართლებელი არაფერი გაქვთ, შეი-  
ლო, აგერ დედათქვენი საქმე ვადავთავლიე-  
რე. თქვენ ვერ უზრუნველყოფდით მას. დედა-  
თქვენს მომეღელი სჭიროდა. ხელფასს მცირე  
გეონიათ, და, საბოლოო ჯამში, აქ თავს უფ-  
რო ბედნიერად გრძნობდა“. მე ვუპასუხებ  
„დედას, ბატონო დირექტორო“. მან დასძინა „აქ  
მეგობრები ჰყავდა, მისივე ასაკის ხალხი. მათ-

თან ხაერთო ინტერესები ჰქონდა, წარსულ დროს რომ ეხება. თქვენ ახალგაზრდა ხართ და თქვენთან, ალბათ, მოწყენილი იყო“.

ახლა ვნახოთ, როგორ უთარგმნიათ იგივე ნაწყვეტი ახალგაზრდა ლიტერატორებს:

— „საბოლიშო არაფერი გაქვთ, ჩემო ძვირფასო. აგერ, დედათქვენის ქალაქები გადავათვალიერებ. მისი შენახვა სად შეგეძლოთ; დედას მომგლეო ესაჭიროებოდა. პატარა ხელფასი ჰქონიათ. მისთვის აქა სჯობდა, აქ უფრო ბედნიერად გრძნობდა თავს.“

— „დიახ, ბატონო დირექტორო“, — ეუბანს სუხე მე.

„შემდეგ დასძინა:

— „რაც არ უნდა იყოს, აქ მეგობრები ეხვია, თავისივე ხნის ხალხი. ერთნაირი ინტერესები ჰქონიათ. თქვენ ახალგაზრდა ხართ, თქვენთან მოიწყენდა“.

ამ ორ თარგმანს შორის განსხვავება აშკარაა. ჩვენთვის ის არის საყურადღებო, რომ ეს განსხვავება პრინციპულია. ახალგაზრდა მთარგმნელების ვარიანტი ნამდვილი შემოქმედებითი თარგმნის ნიმუშია, რეცენზენტის კი მოკლებულია ასეთ „შემოქმედებითობას“ და მოჩვენებით ზუსტი თარგმანია... სინამდვილეში კი არც ბუნებრივი, არც ზუსტი და ამიტომ არც ორიგინალის განწყობილების გადმოცემა. ახალგაზრდა მთარგმნელებმა გამოტოვეს რეცენზენტის შეთავაზებული „საბოლოო ჯამში“ და ამით ენის ბუნებრიობის შენარჩუნებას მიაღწიეს, ისე რომ ორიგინალის აზრი ერთი ბეწითაც არ დაზარალებულა. აზრი, რაც ამ გამოთქმამ („საბოლოო ჯამში“) უნდა გადმოგვეცეს, ქართულ ტექსტში ისედაც იგულისხმება, „საბოლოო ჯამში“ აქ (საბოლოო თარგმანში) სავსებით ზემდგობია, დიალოგიდან ამოვარდნილი გამოთქმა, „უცხო სხეულივით“ არის, არაბუნებრივია და, ამდენად, უზუსტო... ასევე გამოტოვებული აქვთ მთარგმნელებს ფრაზა „წარსულ დროს რომ ეხება“. აქ თვით თარგმნის რიტმი გვეხმარება ვიგულისხმობთ ის „გამოტოვებული“ ფრაზა, რომლის შემოტანამაც მხოლოდ მოჩვენებითი სისუსტე შემატა რეცენზენტის ვარიანტს, სინამდვილეში კი ბუნებრივი ძღერადობაც დაუკარგა და აზრის სისუსტეც.

სამაგიეროდ, რეცენზენტი გამოუტოვებია ის ფრაზა, რომლის გამოტოვებაც სასურველი არ არის.

„რაც არ უნდა იყოს, აქ მეგობრები ეხვია“... თარგმანს ახალგაზრდა ლიტერატორები და კრიტიკოსს არ მოსწონს — თავის თარგმანში მან გამოტოვა ეს ფრაზა. და, ვიმეორებ, ამ ფრაზის გამოტოვება სასურველი სულაც არ არის. ეს ფრაზა აქ საჭიროა. არ დაეიფინებ: იქნებ ჯობდა მთარგმნელებს სხვა, უფრო მარჯვე გამოთქმა შეერჩიათ ორიგინალის აზრის

გადმოსაცემად, მაგრამ საჭირო კი ნამდვილად არის. მართალია, აზრი უამისოდაც გასაგებია, მაგრამ, აბა, დააკვირდით: ეს ფრაზა დიალოგში ჰაბულის რეპლიკას და მცირე ხანს მთარგმნის ფრაზა, ერთგვარად, გაწყვეტილი სათქმელის დამაკავშირებელი ძაფია... ასეა ეს ორიგინალში... ამიტომაც ამ ფრაზის ზუსტ თარგმანს კი არა აქვს იმდენად დიდი მნიშვნელობა: თარგმანშიაც გაწყვეტილი საუბრის დამაკავშირებელი გამოთქმა უნდა შევარჩიოთ (რაკილა მოთხრობის ავტორს საჭიროდ მიუჩნევია ასეთი დამაკავშირებელი გამოთქმა), რაც ორიგინალის აზრსაც გადმოსცემს და დიალოგს ბუნებრივად შეერწყმის.

ალრავად ვამბობ იმაზე, რომ ამავე ნაწყვეტის სხვა ფრაზებზეც ახალგაზრდა ლიტერატორებს უფრო მარჯვედ უთარგმნიათ. ამაში ყველა ადვილად დარწმუნდება, როცა თარგმანის ორ ვარიანტს ერთმანეთს შეადარებს.

როგორც ვნახეთ, ახალგაზრდა ლიტერატორების თარგმანი შემოქმედებითია, რეცენზენტის კი, — უფრო მკაცრ გამოთქმას თუ მოვერიდებით, — მოკლებულია ამ სიკეთეს.

თვით რეცენზენტი სხვანაირად ფიქრობს: მისი აზრით, ახალგაზრდების თარგმნილი „ეს ადგილი ორიგინალისაგან განსხვავდება ემოციური და ლოგიკური აქცენტების განაწილებით“... ჩვენ უკვე ვნახეთ, თავის თარგმანში როგორ „გაუნაწილებია“ კრიტიკოსს ეს „ემოციური-ლოგიკური აქცენტები“...

ზემოთ, დირექტორის სიტყვები რომ მოვიტანეთ, „თქვენ ახალგაზრდა ხართ, თქვენთან მოიწყენდა“... ამ ფრაზას უშუალოდ მოსდებს აზარი: „მართლაც ასე იყო. შინ დედა ერთ-თავად მოწყენილი იჯდა და ჩუმად მიმზერდა. პირველ ხანებში, სანამ აქაურობას შეჩვეოდა, აქაც ტიროდა ხოლმე. მეერ გაშინაურდა და რამდენიმე თვეში ვინმეს რომ ეთქვა, აქედან უნდა წავიყვანო, ახლა ამაზე მორაბედა ტირილს“...

ასე აქვთ ეს თარგმნილი ახალგაზრდა ლიტერატორებს, ხოლო რეცენზენტი ასე უსწორებს:

„ეს მართალი იყო. შინ რომ იყო, დედაჩემი მთელ თავის დროს იმაში ჭტარებდა, რომ მღუმარედ თვალს მაცოლმობდა. თავშესაფარს ყოფნის პირველ დღეებში ხშირად ტიროდა. მაგრამ ეს მხოლოდ შეუჩვეულობის საქმე იყო. რამდენიმე თვის თავზე იგი ატირებოდა (და არა „ტირილს მორთავდა“, როგორც თარგმანშია. მერსოს ავტორი არ ხატავს იმ გულქვა მხეცად, როგორადაც იგი პრპუტორის წარმოუდგენია), თავშესაფრიდან რომ წამოეყვანათ“.

იმის განსჯას, თუ რამდენად სასურველია

ვახტანუ ჰელიძე

„ახტანუ ჰელიძე“...



ფრთხილად მიყოლებით დაიწერა „ეს მართალია თუ არა“ — ან ახალგაზრდების თარგმნულ ფრაზას „ერთთავად მოწყენილი იქნა და ჩემად მიმტრდა“ რატომ სჯობს „მთელ თავის დროს იმაში ატარებდა, რომ მღვთვარედ თავად მაყოლებდა“, ან „რამდენიმე თვის თავზე იგი ატარებდა“? რითია უკეთესი ახალგაზრდა ლიტერატორების თარგმნული ფრაზაზე, ან თუნდაც „ეს მხოლოდ შეუჩვევლობის ხაქმე იყო“ რა ქართულია... ამეების განსჯას ნ. ნათაძე მკითხველს ანდობს, და ჩვენი მკითხველისთვის მიგვიხატო.

მაგრამ დავაკვირდეთ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში რითი დაარღვევის მთარგმნელობითი თხრობის გარეგნულად ობიექტივისტური, თითქმის ტელეგრაფული სტილი, რომელიც ფონსა და კონტრაპუნქტსა ქმნის (სწორედ ასე უწერია კრიტიკოსს), ან ნ. ნათაძის ვარიანტი სად არის ეს ელემენტები? თარგმნულ სტრუქტურებს უშუალოდ მოპყუება კრიტიკოსის მკაცრი განაჩენი და ზოგადი შეფასება:

„მოყვანილი ეპიზოდი (ლაბარაკია სწორედ აქ მოტანილი ეპიზოდზე. — ე. ქ.) ტიპურია მთელი თარგმანისათვის. მთარგმნელებს თვითნებულად გამოაქვთ პერსონაჟთა რეპლიკები აზვაცს გარეთ და მით არღვევენ თხრობის გარეგნულად ობიექტივისტურ, თითქმის ტელეგრაფულ სტილს, რომელიც ფონსა და კონტრაპუნქტს ქმნის რომანის შინაგანი ემოციური და მუსულუმობის გამოხატვისათვის და იმ დრამატულად აზრობრივი კულმინაციისათვის, რომელსაც რომანის უკანასკნელ გვერდზე ვხედავთ“.

ეს უცვლადფერი კარგი, ახალგაზრდა ლიტერატორების თარგმანში, ვთქვათ, მართლაც ვერა ვხვდებით ამ ელემენტებს, მაგრამ ის მაინც ვითარდება კრიტიკოსმა, მის შემოთავაზებულ ვარიანტში სად ვეძებთ ეს „გარეგნულად ობიექტივისტური, თითქმის ტელეგრაფული სტილი“, ეს „ფონი და კონტრაპუნქტი“ და „შინაგანი ემოციური დამუხტულობა“... აქ ხომ მხოლოდ ის განსხვავებაა თვალსაჩინო, რომ პირველი ვარიანტი უფრო კარგი ქართულით არის თარგმნილი, ადამიანურად, მეორე — ნათაძისეული — ცუდად.

აქვე კრიტიკოსის ერთი უცნაური ენობრივი დავაყრება იპრობის ჩვენს ყურადღებას: ნ. ნათაძის ვადაუწყვეტია, რომ თუ კაცზე იტყვი „ტირილს მორთავდა“, „გულქვა მხეცად“ ვამოჩნდები, ხოლო თუ თქვე „ატირდება“, მაშინვე მოგვსნება ეს „უსამოვნო“ ეპითეტი. მკითხველი შენიშნავდა, რომ ახალგაზრდა მთარგმნელებს უცვლადფერი კარგად გაუთვალისწინებიათ: რაკილა თქვეს, „ტიროდა“, იქვე, რამდენიმე სიტყვის შემდეგ, განმეორებას მოეჩინნენ და ოდნავი ცვლილებით ზუსტად იმავე აზრის შემცველი შესანიშნავი გამოთქმა — „ტირილს მორთავდა“ — გამოიყენეს სწორედ

ამას პქვე „ხიზუნისა“ და „პუნებრიობისა“ შერწყმა, შემოქმედებით თარგმანს.

ნულარ გამოგვიკედებით ნათაძის ისეთ „უშინებულ“ სტილისტურ უხერხულობას, როცა შენიშნავთ (იგულისხმება ფრჩხილებში მოტანილი ფრაზა) ჯობდა სიტყვა „ავტორია“ „მერსოს“ წინ დაეწერა კრიტიკოსს, მაშინ ფრაზის მეორედ წაითხზა აღარ მოუხდებოდა მკითხველს და პირველივე წაითხზვით მიხედებოდა, რომ საუბარია არა მერსოს ავტორზე, არამედ იმაზე, თუ როგორა ხატავს ავტორი მერსოს... („მერსოს ავტორი არ ხატავს იმ გულქვა მხეცად“...).

ზემოთ ითქვა, თარგმნილი მოთხრობის ორიოდ აბზაცი გაუანალიზებია რეცენზენტს. იმ მეორე აბზაცში ახალგაზრდა მთარგმნელებს წერენ:

„... იმ წლების ბნელ სუნთქვით ვსუნთქავდი, რომელიც უნდა გამევიღო“...

მართლაც უხერხულად ვლერს. კარგი იქნება, ისევე თუ მიუბრუნდებიან მთარგმნელები ამ ადვილს და უფრო მარჯვედ თარგმანსა ცდიან; თუმცა ნ. ნათაძის თუ დუჯერებენ, თავისუფლებას არც დასაძრებდათ, მშაშრარულ ვარიანტს აქაც სთავაზობს მთ კრიტიკოსი.

„ვგრძნობდი ჩემი მომავლის ხილმიდან მოწინავე მრუმე სუნთქვას, რომელიც ჩემი ჯერ მოუსვლელი წლების გამოდმა ატანდა“...

ეს უკვე ნ. ნათაძის ვარიანტია და, ვგონებ, შედარებასა და ანალიზს აღარ საჭიროებს.

ისლა უნდა დავძინოთ, რომ რაკი ის „მომავლის ხილმიდან მოწინავე მრუმე სუნთქვა“ „ჯერ მოუსვლელი წლებიდან ატანს“, ნათაძისავე პრინციპის მიხედვით უმჯობესი იქნება, მომდევნო ფრაზაში კრიტიკოსის შერჩეული სიტყვა „გამოდმა“ „გაღმართ“ შეცვალათ: უნდა ვიფიქროთ, რომ ამას მოითხოვს „ზუსტი სიტყვის ესთეტიკის“ ნათაძისეული თეორია.

როგორც ვხედავთ, აქ მართლაც ძალიან აქარებულა ჩვენი კრიტიკოსი.

ახალგაზრდა მთარგმნელები წერენ: „როგორც... მარი, რომელსაც ჩემი ცოლობა სურდა“.

რეცენზენტი უსწორებს: „როგორც... მარი, რომელსაც ჩემზე გათხოვება უნდოდა“...

„დირექტორს არ ეცალა. ლოდინი მომიხდა“, წერენ ახალგაზრდა მთარგმნელები და რეცენზენტი ჩვეული სიმკაცრით უსწორებს:

„ინიდან დირექტორი დავაკვებულა“... იყო, ცოტა ხნით ლოდინი მომიხდა“.

ქალბატონი მერსოს სამი წლის წინათ მოვიდა ჩვენთან. თქვენ მისი ერთადერთი მარჩენელი იყავით, თარგმნიან ახალგაზრდა ლიტერატორები. ისევე დირექტორი მიმართავს ქაბუქს, დედათქვენი სამი წლის წინათ მოვიდა ჩვენთან, თავშესაფარში, და დასაწყენი ამ თარგმანში თითქოს არაფერია. მაგრამ ჩვენი რეცენზენტი, როგორც უკვე დავრწმუნდით, მკაც-



რის. მიანიც უსწორებს: „ქ-ნი მერსო აქ სამი წლის წინათ შემოვიდა. თქვენ მისი ერთდერთი მარჩენალი უყავით“.

და აქ ისევ უნდა შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება. აქაც თითქოს დიდი განსხვავება არაფერია: აზრს ორივე ვარიანტი — ახალგაზრდა ლიტერატორების თარგმანიცა და ნათამის-ულის — გასაგებად გადმოგვცემს. რატომ დანიშნა კრიტიკოსმა ახალგაზრდების მიერ თარგმნილი წინადადება და თავისი რატომ დაუპირისპირა, ამას არც ახლა გვიხსნის იგი და მკითხველს ანდობს, დასკვნა შენ თვითონ გამოიტანეო. მკითხველს დასკვნა, ამგვარდაც, ვერ იქნება ნათამისთვის სასარგებლო და სიამოვნო. მართალია, ორიგინალის აზრს ორივე ვარიანტი გასაგებად გადმოსცემს, მაგრამ მათ შორის დიდი განსხვავებაა: ნათამის ვარიანტი მხოლოდ გვაგებინებს აზრს, მეორე თარგმანი კი ესთეტიკურ სიამოვნებას ანიჭებს მკითხველს (აქვე ამ მკითხველს უნარი აქვს, ესთეტიკურ სიამოვნება განიცადოს მარჯვედ, შემოქმედებებთან თარგმნილი ფრაზით).

რომ უფრო თვალსაჩინო იყოს განსხვავება ამ ორ ვარიანტს შორის, გავიხსენოთ, ვინ წარმოთქვამს ფრაზას და რა ვითარებაში.

როგორც ითქვა, თავშესაფარის დირექტორი მამარათეს ახალგაზრდა კაცს, რომელსაც დედა ამ თავშესაფარში ვარდაცვლიდა. სწორედ ამ ფრაზით იწყება დიალოგი მათ შორის. ჯერ დირექტორს გვიხსიანთუბს ავტორი. ეს არის ჩიბოხუცი კაცი, მკერდზე საპატიო ნიშნის ორდენი უკეთა... „ნათელი თვალენით შემომხედა და იმდენ ხანს ებრა ჩემი ხელი, რომ აღარ ვიცოდა, როგორ გამომეგლიჯა“. უკვე კარგად ჩანს მოხუცი დირექტორის სათნოებაცა და დიდი გულსიმძვრეობაც. იქვე, ლაპარაკში, მისი სულს საოცარი სიფაქიზეც გამოემდინებდა. ზემოთ ჩვენ უკვე ვნახეთ, როგორა ცდილობს ეს კეთილი მოხუცი, მდგომარეობა შეუმსუბუქოს ახალგაზრდა კაცს, რა ტაქტს იჩენს, როგორ ამშვიდებს, სინდისის ქენჯნას როგორ უჭარბებს (აქ ვთქვით, დირექტორს მოეჩვენა, ახალგაზრდა კაცს სინდისი ქენჯნისო). ავტორი იმასაც კარგად გვაგრძობინებს, რომ მოხუცი კაცი ამავობს თავისი დაწესებულებით. პირდაპირ ამ სიტყვებით არ ამბობს დირექტორი, მაგრამ ისე კი მიგვანიშნებს, რომ მის თავშესაფარში ოჯახური სიბოთ და სიმშვიდეა, ოფიციალურ სამკურნალო დაწესებულებებს კი არა ჰგავს, საოცარი ინტიმო სუფევს.

ეს ყველაფერი კარგად ვუთვალისწინებოთ ახალგაზრდა ლიტერატორებს, და როცა ისინი თარგმნიან — დედათქვენი სამი წლის წინათ შემოვიდა და ჩვენთანო — ეს უკვე თარგმნილისადაა შემოქმედებითი დამოკიდებულება, თარგმნილი ფრაზა ავსებს მოხუცი დირექტორის ფტორისეულ დახასიათებას, გვაგრძობინებს,

რომ იგი ამავობს თავისი დაწესებულებით: მრახტები დირექტორი ამ ფრაზითაც მგვიჩვენებს, რა ინტიმური და ოჯახური ატმოსფეროა მის თავშესაფარში... თარგმნილი ფრაზა კარგად გრწმის დიალოგის ტსოვილი, აზრობრივად და განწყობილებით ესადაგება...

მგონი აღარ უნდა იყოს საპირო ვამტიკოთ, რომ ამ ფრაზის ნათამისეული ვარიანტი — „ქ-ნი მერსო აქ სამი წლის წინათ შემოვიდა“ — არც შემოქმედებითი თარგმანია, არც ბუნებრივი და, ამდენად, არც ზუსტი, თუმცა, ორიგინალს რომ შეადარებ, მოჩვენებით სიზუსტე აქ მეტია. რაც ერთ ენაზე ბუნებრივად ეღერს, „ზუსტი“ ვადატანით ყოველთვის ასე ბუნებრივად როდი აუღერდება მეორე ენაზე. მსატრუ-ლი ნაწარმოების თარგმანი ლექსიკონი არ არის. ზოგჯერ ლექსიკონური სიზუსტით თარგმნილი სიტყვა ორიგინალის განწყობილებას ვერ გადმოგვცემს.

მთარგმნელები წერენ: „სანამ ვიცდიდი, კარსკაცს ერთი წუთით არ გაუჩერებია ენა“. დარეცხვტი უსწორებს: „მთელი ამ ხნის განმავლობაში კარსკაცი განუწყვეტლივ მელაპარაკებოდა“.

ახალგაზრდა მთარგმნელები წერენ: „ჩაბტანის მოხუცი იყო, მკერდზე საპატიო ლეგიონის ორდენი ეკეთა“, და ნათამე უსწორებს: „ეს იყო ჩიბოხუცი, საპატიო ლეგიონის ნაშენი მკერდზე“.

სამწუხაროდ, მოთხრობის ავტორი არ გვეუბნება, რამხელა ცხვირი ჰქონდა ამ ბერიკაცს, თორემ რეცხვტი, ალბათ, დაწერდა: ოთახში შემოვიდა ჩიბოხუცი ვრძელი ცხვირითა.

დამახასიათებელია ერთი რამ: ის „თეორეტიკოსი“ და „პრაქტიკოსი“ ლიტერატორები, რომლებიც ზემოთ ნახსენებ „სიზუსტეს“ უპირისპირებენ „ბუნებრივ მეტყველებას“, სწორედ ჩვენი კრიტიკოსივით წერენ, სხვებისგანაც მოითხოვენ ასე თარგმნონ: იმიტომაც ხშირად შეხვედებით თარგმანებში მსგავს მავალათებს: „ოთახში იჭდა კაცი ვრძელი ყურებით“, „შემოვიდა კაცი ჩამოშვებული უღვაშით“, „ქუჩაში მიდმოვლო ქალი ვრძელი თა ვ ის კახათ“ (აქ „ორმაგად“ „ზუსტია“ ფრაზის თარგმანი; სხვათა შორის ამ ფორმასაც პატევს სცემს ჩვენი კრიტიკოსი)...

და მგონი შემოგველია კიდევც ეს ორი პატარა აბზაკი.

თუმცა არა, ავტორ კიდევ ერთი ადგილი მოთხორობიდან აქაც პრინციპულ პატირობაში გვიწვევს ჩვენი კრიტიკოსი; და იმხელა მნიშვნელობას აძლევს ამ პრინციპულ საკითხს, რომ სიტხრობილეს ხმარობს და გვეუბნება — აქ ჩემი

მანბანბნ ველიძე  
„ბსზრდისი ზიგზი“



თარგმანი „სიტყვა-სიტყვითი“ იქნება. ესე იგი, ახალგაზრდა ლიტერატორების თარგმნილ წინადადებებს იგი ამჯერად „სიტყვა-სიტყვით თარგმანი“ უპირისპირებს. ეს თავისთავად მიგვანიშნებს, რომ აქ რაღაც საშინელება დაუტრიალებიათ ახალბედა მთარგმნელებს — ორიგინალის აზრი დაუმხინჯებიათ, და რომ უფრო თვალსაჩინო იყოს გავეთილი, რეცენზენტი ამჯერად იმავე ნაწყვეტის სიტყვა-სიტყვით თარგმანს ვთავაზობს. მართლაც, — ამას ახლავი ვნახავთ, — აქ დავა სტილის სფეროში კი აღარ არის, როგორც აქამდე იყო, ახლა უფრო მაღალი პოზიციებიდან შეუტევს კრიტიკოსი ჩვენს ახალბედა მთარგმნელებს, ფილოსოფიის სფეროში გადავყავართ, და ის მეცნიერული სიფრთხილევ იმიტომ ამჯობნა — „სიტყვა-სიტყვითი თარგმანი“ შემოგვთავაზა.

კრიტიკოსი აღშფოთებით შენიშნავს, უზუსტობანი ძალიან ბევრი გვხვდება თარგმანში, და რაკი ყველას მოტანას ვერ მოახერხებდა, რამდენიმე მაგალითს დასჯერდა:

„დავითოწმებთ მხოლოდ ორიოდეს, სადაც არა მარტო გამომხატვლობითი დეტალია დაკარგული, არამედ თხრობის თვით ძირითადი აზრი იკარგება, მოვლენებისა და მსჯელობის ლოგიკა ირღვევა“, წერს ნ. ნათაძე და რაკი „ორიოდეს“ მაგალითი მოაქვს, თან, რაკი, თავისი დებულება უნდა დაამტკიცოს, რომ ახალგაზრდა ლიტერატორების ნაშუშვეარი უვარგისია, უნდა ვიფიქროთ, იგი ყველაზე აღმაშფოთებელ შეცდომას მოიტანდა. ვნახოთ ეს ორიოდე მაგალითი, სადაც მთარგმნელებს „გამომხატვლობითი დეტალებიც“ დაუკარგავთ, „თხრობის თვით ძირითადი აზრიც“ და „მოვლენებისა და მსჯელობის ლოგიკაც“... როგორც ვხედავთ, ბრალდება ძალიან დიდია და ბარემ წინასწარ შევეჩვიოთ იმ აზრს, რომ ასეთი ბრალდების შემდეგ ვანაჩინებ მკაცრი იქნება.

ახალბედა ლიტერატორები თარგმნიან: „თითქოს ცა გადაიხსნა, რომ ცეცხლის ღვართქაფი წამოსულიყო. დავიძაბე და ხელი რვეოლვერს მოვუჭირე“...

უფრო თვალსაჩინო რომ ვახდეს, რას უწუნებს ამ თარგმანს კრიტიკოსი, აქვე მოვიტანოთ მისეული თარგმანიც, ოღონდ, როგორც უკვე ითქვა, ეს „სიტყვა-სიტყვითი“ თარგმანია და მთავარი ყურადღება აზრის გადმოცემაზე უნდა გადავიტანოთ. თუმცა თავისთავად ცხადია, სიტყვა-სიტყვითი თარგმანი სულაც არ გვაძლევს უტყუბას სტილს დაუდევრად მოვეყიდოთ: სიტყვა-სიტყვითი თარგმანი ამ მხრივ არავითარ შეღავათს არ გულისხმობს. მაგრამ აქ ამაზე არც გვექნება დავა.

იმავე ადგილის ნათაძისეული სიტყვა-სიტყვითი თარგმანი ასეთი იქნება:

„მოიჩვენა, თითქოს ცა მთელ თავის სიფართვზე გადაიხსნა, რათა ცეცხლის ღვართქაფი ეწ-

ვიძა. მთელი ჩემი არსება დაიძაბა და ხელი რვეოლვერს მაგრად მოვუჭირე“.

ჭერ პირველ წინადადებას მივხედოთ, როგორც ხედავთ, კრიტიკოსი მთარგმნელებს აუჩინს უსაყვედურებს, რომ მათ ორიგინალის დიდი შთამბეჭდავი ძალა — ცა რომ „მთელ თავის სიფართვზე“ გადაიხსნა — გაანელეს და პატარა მასშტაბით გადმოგვეცეს, უბრალოდ თქვეს — ცა გადაიხსნაო.

აი, რა საშინელი ბრალდება წაუყენა კრიტიკოსმა ახალბედა მთარგმნელებს! აი როგორ დაუმხინჯებიათ მათ ორიგინალის აზრი! იმის მაგივრად, რომ გადმოეთარგმნათ, „ცა მთელ თავის სიფართვზე გადაიხსნაო“, ამდგარან და ეს „ართული და სათუთი ფსიქოლოგიური ნახაზი“ თვითნებურად და დაუდევრად შეუცვლიათ: უბრალოდ, გამარტივებულად გადმოუტანიათ — ცა გადაიხსნაო. სად ის შთამბეჭდავი გამოთქმა — ცა მთელ თავის სიფართვზე გადაიხსნაო და სად ეს უბრალო და გაღარიბებული — ცა გადაიხსნაო?! დაუდევრად მოჰკიდებიათ ორიგინალს, თორემ ამის ვაგებასა და გადმოტანას არ დიდი რამე უნდოდა?! ის თუ მოახერხეს ეთარგმნათ „ცა გადაიხსნაო“, ბარემ „მთელ თავის სიფართვზე“ დაემატებინათ! რა დიდი ფილოსოფია უნდოდა! სამაგიეროდ ფილოსოფია თარგმანში გადმოვიდოდა! სწორედ ამ დაუდევრობას გაუბრალებია ჩვენი კრიტიკოსი... და მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ახლავი ვნახავთ, გულის მოყვანა იცის, მაინც უნდა შევკადროთ:

ცა გადაიხსნაო, ქართული კაცო რომ იტყვის, ეს უკვე «ცის გადახსნის» უმადლესი და ემოციური თვალსაზრისით ყველაზე ძლიერად შთამბეჭდავი ფორმაა და მისი „გეოგრაფიულ ჩარჩოებში“ მოქცევა (გინდა „მთელი მისი სიფართით“ განსაზღვრო: და გინდა მილიარდი კილომეტრებით) მხოლოდღა დააენინებს ამ მართლაც კოსმოსურ გრანდიოზულობის შთამბეჭდვლებას, რომ არაფერი ვთქვათ თვით პოეტური გამომხატვლობის დაკნინებაზე. მხატვრული ნაწარმოების თარგმანში შემოქმედებითი პროცესია და ამ საზღვრების მიღმა კამათი ძალიან ძნელია. იმავე წინადადებაში სხვა დეტალსაც დააკვირდით: ახალგაზრდების თარგმნილი „ღვართქაფი წამოსულიყო“, რაღა თქმა უნდა, უფრო შთამბეჭდავი და ძლიერია, ვიდრე ნათაძისეული „ღვართქაფი ეწვი-

მა“.

ახლა მეორე წინადადებაზე გადავიდეთ. როგორც ვხედავთ, მთარგმნელებს გამოუტყვებიათ სიტყვა „მაგრად“: კრიტიკოსის სიტყვა-სიტყვით თარგმანში ეს სიტყვა არის.

აქ თითქოს ადვილად შეუძლიათ ახალბედა მთარგმნელებს თავის გამართლება: ორიგინალში ამ სიტყვას არა ვხვდებით, ნ. ნათაძის ჩამატებულია. ხომ ხედავთ, როლები შეიცვალა: ახალბედა მთარგმნელები ამ შემთხვევაში ზუსტად

მომყოლიან ორიგინალს, კრიტიკობს კი შემოქმედებითად მისდგომია ტექსტს, სათქმელის ძალა გაუძლიერება: რევოლუერს მაგრად მოეუჭირე ხელიო, გმირს ათქმევინა, მიუხედავად იმისა, რომ ორიგინალში ეს სიტყვა („მაგრად“) არ არის. შემოქმედებითად მისდგომია ტექსტს... მაგრამ ვერ ვიტყვი, კარგი შემოქმედებაა-მეთქი. ისე აქვს ავტორს აღწერაში მთელი სცენა, ისე თვალნათლად გვაჩვენებს გმირის სულიერ მდგომარეობას, რომ მისი სიტყვები — რევოლუერს ხელი მოეუჭირეო — თავისთავად მიგვანიშნებს: მაგრად მოუჭერდა ხელს; თვითონ სიტყვა „მოჭერაც“ გულისხმობს ამას; თუცა კრიტიკოსის სიმართლეს ვერ დავუკარგავთ: ორიგინალის სიტყვა — j'ai crispé — უფრო ძლიერად გამოხატავს აზრს, ვიდრე ქართული „მოეუჭირე“. ნათაძის შეცდომა ის კი არ არის, თითქოს მას უფლება არა ჰქონდა გაეძლიერებინა თარგმნალი სიტყვის ძალა და ორიგინალის შთამბეჭდავადამა დამატებით სიტყვით გადმოეცა; მისი შეცდომა ის არის, რომ აქ ამ სიტუაციაში, მსაზღვრელი სიტყვა გაძლიერების ნაცვლად უფრო ანელებს შთაბეჭდილებას. აქ მოქმედების სიძლიერეს თხრობის რიტმიცა ქმნის და, როგორც ვნახეთ, ყოველი ზედმეტ სიტყვა კი არ აძლიერებს, არამედ აღუნებს მოქმედების დაძაბულობას. თვალსაჩინოებისათვის აბა, ვცადოთ და კიდევ უფრო გავაძლიეროთ შთაბეჭდილება: მეროვ მსაზღვრელიც დავეუქმოთ და ვთქვათ, „ძალიან მაგრად მოეუჭირეო!“ ხომ აშკარაა, რომ შთაბეჭდილება კიდევ უფრო შეხუხდება? ენას თავისი მუსიკა აქვს, თავისი სტილი, და სმენას უნდა მიეცნოდოთ ხოლმე; ვინაშე ასეთი სმენა არა აქვს, ის ვერც თარგმნის... თუმცა ეს დიდი უბედურება არც არის; არსებობს ათასგვარი საშაბილი საქმე, რასაც ასეთი გამახვილებული სმენა არა სჭირდება. აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთივე სმენა იმისთვისაც აუცილებელია, ვინც სხვას უსწორებს თარგმანს.


მკითხველი გავაფრთხილოთ, ფილოსოფიური პაექრობისათვის მომზადებულიყო. ასეთი პაექრობა ახლა იწყება (თუმცა დაკვირვებული კაცი ასეთი პაექრობის ელემენტებს აქამდეც შენიშნავდა). როგორც ვნახეთ, მთარგმნელები მოთხრობის გმირს ათქმევინებენ: „დავიძაბე“ („დავიძაბე და ხელი რევოლუერს მოეუჭირე“). და აქ უკვე მეტისმეტად უბრაზდება კრიტიკოსი; აქამდე ასე თუ ისე ახერხებდა თავის შეკავებას, ახლა კი გულს მოიყვანს და პირველ ცეცხლს სწორედ ამ მაგალითის გამო დაანთებს. „მთელი არსება დამეძაბა“, უნდა დაეწერათ... სხვადა შორის, კრიტიკოს ნათაძის პრინციპს თუ გავიზიარებთ, მართლაც გულისმოსაყვანი და აღმამფოთებელი ფაქტია, საშინლად დაუმახინჯებით მთარგმნელებს ავტორის აზრი: „დავიძაბეო“ გმირს ათქმევინებენ და ამით თურმე

ცილსა-სწამებენ; იმ კაცს თურმე ნაჯანგებოდ კი არ გადაუწყვეტია, დაეძაბებოი! მკითხველი ალბათ ცოცხათ დაძაბა, კაპო, გადვერ გავაგებინე, რა ხდება. ეს იოლი საქმე არ არის, რადგან კრიტიკოსს სულ სხვაგვარად ესმის ზოგი რამ. ჯობს მასვე მოუესმინოთ:

„განა აქტიური ნებისით პროცესი — „დავიძაბე“ და სრულებით პასიურია, პიროვნების ნების გარეთ მყოფი მდგომარეობა — „მთელი არსება დამეძაბა“ — ერთია და განა მხატვრული დეტალების ასე ფანტაზიითა და თვითნებური ცვლით შეიძლება ორიგინალის ძალიან რთული და საბუთი ფსიქოლოგიური ნახაზი მიახლოებით მაინც გადმოცეთ“. მკაცრად შესძახებს რეცენზენტი, ალბათ შენიშნავდით: აქ კრიტიკოსის მხატვრული თხრობის ძალაც გამოჩნდა — თვალსაჩინოდ და დიდი დამაჯერებლობით დაგვიხატა, როგორ დაუდევრად ფანტაზენ ახალგაზრდა მთარგმნელები ქარში „მხატვრულ დეტალებს!“ მაგრამ ჩვენს საქმეს დაეუბრუნდეთ.

ახლა მეორე გასაგები ვახდა: „დავიძაბე“ „აქტიური ნებისით პროცესი“ ყოფილა. ესე იგი, ისეთი სულიერი მდგომარეობა აღაშინისა, როცა იგი ვადაწყვეტს: მეტის მოთმენა აღარ შეიძლება, დადა ღრო, უნდა უსათუოდ დავიძაბო; ალბათ თავსაც შეამზადებს ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად... და დაიძაბება. ამიერიდან, როცა აღაშინის ასეთი სულიერი თუ ფიზიკური მდგომარეობის გამოხატვა მოგვიწევდა, „დავიძაბე“ კი აღარ უნდა დაეწერათ (თუკი „აქტიური ნებისით პროცესი“ არ არის ეს), არამედ „არსება დამეძაბა“. მართალია, ორი სიტყვით მოგვიხდება ამ აზრის გამოხატვა, მაგრამ სამავიეროდ უფრო ზუსტი და შთაბეჭდავი ყოფილა, იმის შიში მაინც არ გექნებათ, რომ ფსიქოლოგიურ მეცნიერებაში კარგად გათვითცნობიერებული კრიტიკოსი გაგვიცხავთ. ამის მიხედვით, გაოგნებულმა ახალგაზრდა მთარგმნელებმა, რომელთაც, თავისთავად ცხადია, ანგარიში უნდა გაუწიონ პროფესორის ავტორიტეტსა და გამოცდილებას, მომავალში — თუკი ახლაც არ აუცრუვდათ გული და კვლავ გააგრძელებს მუშაობა, — როცა, ვთქვათ, „გავმწარდის“ ცნება ექნებათ, გადმოსატანა ქართულად, უნდა თარგმნონ: „ჩემი არსება გამწარდა“; „გავმწარდი“ აქტიური ნებისით პროცესი ყოფილა, ხოლო „ჩემი არსება გამწარდა“, „პიროვნების ნებისგარეთ მყოფი მდგომარეობა“, და რაკი არავინ ისურვებდა, უსათუოდ უნდა გავმწარდო, უნდა ვთქვათ, „ჩემი არსება გამწარდაო“. ანალოგიურად: ამის შემდეგ უნდა თარგმნონ და დაწე-

ვახტანგ პალიძე  
„აბასურდის ზემიმი“...



რონ არა „გაგეცხლდი“, არამედ „ჩემი არსება გაციცხლა“, არა „აღშფოთდი“, არამედ „ჩემი არსება აღშფოთდა“ (ან „მისი არსება აღშფოთდა“, როგორც კონტექსტს მოუხდება)...

როგორც ვნახეთ, ნ. ნათაძე საქმალ მკაცრად შეუწყრა ახალგაზრდა მთარგმნელს ასეთი დაუდევრობისათვის. მაგრამ უბრალო გაკიცხვასაც არ დასჯერდა და რომ უფრო მეტი შთაბეჭდილება მოეხდინა მათზე, შეურაცხყოფელი სიტყვებიც მოაყალა (ესეც ფიქოლოგიური ზეგავლენის ერთ-ერთი საშუალებაა): „ქვეშ მარტად ახსურდის ზემოთა“ წერს კრიტიკოსი და მეტი ემოციურობისათვის ამ სიტყვებს ძახილის ნიშნისაც უსვამს. „ოღონდ არა იმ „ახსურდისა“, — განაგრძობს კრიტიკოსი, — რომელიც ბურჟუაზიული ფელოსოფიის ერთ-ერთი თანამედროვე მიმდინარეობის დღეიზად იქცა, არამედ იმ ტრადიციული ახსურდისა, ყველა უფლოგიკო და გაუმართავად დაწერილი ტექსტის სტრიქონებიდან რომ შემოგვეყურებს“.

რატომ, პატივცემულო კრიტიკოსო? შეურაცხყოფა რა საკადრისია?! რა დავიშავებს, რა გაწყინინებს ახალბედა მთარგმნელებმა? არაკვალიფიციური და უმართებულო კრიტიკა აღარ აქმარებთ და ღანძღავთ კიდევ?! თარგმნის სფეროს ხომ არ სცილდება თქვენი გაგულისება?!

„გაუმართავად დაწერილი ტექსტის სტრიქონებიო“, რხიბთ ამოზბს ნ. ნათაძე და უკან აღარ იხედება, რომ თავისისავე პატარა წერილში მართლაც გაუმართავი სტრიქონები მოკერიფოს. ჩვენ დავეხმარებთ, ოღონდ ამჯერად ყველას ვერ მოვკრებთ, დიდი დრო დაგვეჭრდება.

„...ბრუნების თითქმის უქონელი ენაში, როგორც ინგლისურია“, წერს რეცენზენტი და ამის შემდეგ, როცა აზრის ლაკონიურად გამოთქმა მოუხდება ადამიანს, თავისუფლად შეუძლია თქვას — „ბრუნების უქონელი ენა“.

„მკითხველს ძალიან იშვიათად თუ ექმნება შთაბეჭდილება — ზოგჯერ, ალბათ, სამართლდანი და ზოგჯერ მატყუარა — რომ იგი მონტეზუდ კონტექსტში უფრო შესაფერქარათულ სიტყვას ან გამოთქმას იხმარდა“.

„იან (მთარგმნელმა) შეიძლება ორიგინალში ნახმარი სიტყვა მიახლოებით იმავე შინაარსის დღეინისეული სიტყვით თარგმნოს“ „...დღენის ამ სიტყვის ნაცვლად ორი სიტყვა, ხუთი სიტყვა თუნდა მთელი წინადადება იხმაროს, (ხედავთ, რა ხელგაშლილობას იჩენს კრიტიკოსი) ოღონდ ისე, რომ იგი თბრობის ხაერთო სტილისტურქარდაში ჩახტოს“.

„ცხადია, აზრი უფრო ძალდაუტანებლად ეხატება ენებოდა, რომ მთარგმნელს შენოეტანა ორეგინალში უხმარი ლექსიკური ერთეული“...

აქცი ნმდვილოდ უნდა შეეცდეთ კრიტიკოსნათაძეს: ნახმარი საქონელს, რაქმნა უხმარი ჯობს, მაგრამ თუკი გემოდება ნახმარობითაც არ დაიწყუნება.

„ამით კი ზარალობს ტექსტის კითხვისა და მისი აზრის მიყოლის სიადვილი“...

ასე გადავიღებულები აქვს სტილის საქმე ჩვენს კრიტიკოსს!

„ეს და ამგვარი საკითხები მთარგმნელისათვის მუდმივმდგომი, ყოველდღიური, თუ გნებავთ, ტობიური საკითხებია“...

„თარგმანზე დასხუთალებულ ორგანოში ამგვარი თავისუფლების ნებას ჩვენს თავს ვეღარ მივიცემთ“.

„ადამიანის დამოკიდებულებას სამყაროსადმი განსაზღვრავს მისი ბოლოვადობა“...

„მისი გადმოტანა (იგულისხმება სტილის) არც კია ნაცადი“, წერს რეცენზენტი. და მკითხველი ალბათ კარგა ხანს უნდა დაფიქრდეს, იქნებ „საყოთარი არსების დაძაბვაც“ მოუხდეს, სანამ მიხედვბოდეს, რომ აქ ნ. ნათაძე მართლა „ნაცადს“ ანუ „გამოცდილს“ კი არ გულისხმობს, აქ იმ მარტად აზრის გამოთქმა სურს, ახალგაზრდა მთარგმნელები არა ცდილან, არც კი უცდიათ.

„სწორედ ამ ცეცხლოდებულ პლაფისკენ გაბრუნების უსურველობაში... არ მისცა მერსოს არაბის წინაშე უკან დახევის შესაძლებლობა“.

ამის შემდეგ, თუ კი ჩვენს ახალგაზრდა ლიტერატორებს მოუნდებათ თქმა — მეტი არ ვიცილთ და უკეთ თარგმნა ვერ მოვახერხეთო, უნდა თქვას: უსურველობის გამო კი არ გამოგვივდა ცული თარგმანი, ცოდნამ არ მოგვცა უკეთ თარგმნის შესაძლებლობაო.

„მერსოში... თავის გრძნობას აფეთქების ნება მისცა და ეს მაშინ მოხდა, როცა მან მასთან, უდავოდ, წრფელი გულით მისული მღვდლის ნუგეშის სიტყვა უთქვამო“...

როგორც ვხედავთ, ზემოთ რომ არსების დაძაბვა ვახსენეთ, ის პრინციპი თავად კარგად ჰქონია შეთვისებული პროფ. ნათაძეს, რაკილა გრძნობების აფეთქებასა და დაწყნარებას ასე მარჯვედ აწესრიგებს: ხან აძლევს აფეთქების ნებას, ხან არა. დასანანი მხოლოდ ის არის და ისლა უნდა ვესაყვედუროთ, რომ ახალბედა ლიტერატორების მიმართ ასეთი აფეთქების ნება არ უნდა მიეცა თავისი გრძნობებისათვის.

ამავე წინადადებაში ალბათ ნაცვალსახელებების სიმარჯვემ მიიპყრო თქვენი ყურადღება. ესეც ნ. ნათაძის პრინციპებიდან გამომდინარეობს. რაკი ისედაც გაგვიპიანურდა, კიდევ ერთი მაგალითით დაგვამაყოვილდეთ.

„მერსოს მთავარი ინდივიდუალური ნიშან-თვისება, რომელიც მას მის გარშემო მცხოვრებ ადამიანთაგან ასხვავებს, თურმე, იმაში მღვდლმარეობს, რომ მასში განსაკუთრებით ცხოვლია

მისი არსებობის ბოლოვადობის შესახებ განცდა, რომელიც მას უოველივესადმი გულგრილსა და ინფორმირებულს ხდის, და არა მის თანდაყოლილ ინტერესობასა და უფერულობასში, როგორც ეს მთელი რომანის კითხვის მანძილზე გვეჩვენებოდა...“

მკითხველი ალბათ იფიქრებს, ამ სტილის პატრონს რაღა სხვისი სტილის სწორების თავი აქვსო! ნუ ვიწმინდებთ ასეთი მკაცრნი. ამასაც თავისი გამართლება აქვს, ხომ გავიგონათ: სხვა სხვის ომში ბრძენიაო! თუმცა აქ იქნებ მეორე, მწიგნობრული გამოთქმა ჯობდეს — კაცია რომ სხვის თვალში ბეწვსა ხედავს, საკუთარში კი ამისთანა უბედურებაც ვერ შეუძნწნევია.

ასეთი სტილისტური ძიებანი შორს წავიყვანს — სხვა რამეცა გვაქვს სათქმელი.

საყურადღებოა, რომ პატარა წერილში კრიტიკოსი ნათამე ახერხებს ერთსა და იმავე საგანზე ორი ერთმანეთის სრულიად საწინააღმდეგო აზრი გამოთქვას. როცა ახალბედა მთარგმნელების, დებიუტანტების, თარგმანს განიხილავს, ე. ი. როცა „დაბალ ლობის“ მიაღვება, ერთი კრიტიკერიუმი აქვს მომარჯვებული, მკაცრ მოთხოვნებს უყენებს; ხოლო, როცა მაღალ ზღვდეს მიაღვება, ხელად შეეცალა კრიტიკერიუმი. ზემოთ ანა ითქვა, წერილში რეკენწენტი მეორე თარგმანსაც მოიხსენიებსო. ეს თარგმანი მართლაც კარგია და უსათუოდ ქებას და მადლობას იმსახურებს. მაგრამ აქ თვითონ კრიტიკოსის პრინციპულობაა დამახასიათებელი.

ჯერ წერს:

თარგმანში „მკითხველმა უნდა დაინახოს ის, თუ რა შექმნა ავტორმა (?), დაინახოს მის მიერ სახის, სიტყვის, ეკონომიური გამოთქმის ძიების სიმწიფე (ჩვენ ნ. ნათაძის სტილს უკვე გვეცანით და ახლა აღარ გვიკვირს, ამაოდ აღარ შეუფუხებთ თავს იმის რეკვიით, თუ „მის მიერ სახის... ძიების სიმწიფე“ რას ნიშნავს), ისე როგორც ამას ორიგინალში ხედავს, განიცადოს მისი სტილის პარამონია თუ დისპარამონია, მისი ფრაზის სირთულე თუ სისხადვე, მისი პერიოდების სიგრძე თუ სიმოკლე, მისი პროზისა თუ ლექსის მუსიკა და უღერადობა“.

და იქვე, იმავე წერილში:

„დაბალი თარგმანს ვერც მოვთხოვთ, რომ მისი თხრობის მდინარება იმდენადვე ბუნებრივი ან ზუსტად ისეთივე კილოსი იყოს, როგორც ორიგინალისა“.

ულოგობრივად ნუ ჩავთვლით ამას, აქ ძალიან მარტივი ცხოვრებისეული ლოგიკაა: პირველი კრიტიკერიუმი „დაბალი ლობის“ წინააღმდეგ არის მომარჯვებული, მეორე — გამოცდილი ლიტერატორის მიმართ, თუმცა, კიდევ ვიმეორებ, შედევითი სულაც არა სჭირდება ამ ლიტერატორს — მწეიენერად უთარგმნია ძნელად სათარგმნე ტექსტი.

აქვე უნდა ითქვას, კრიტიკოს ნათაძეს ძალიან

მცდარი წარმოდგენა ჰქონია არა მარტო თარგმანის საკითხებზე, არამედ საერთოდ მხატვრულ ლიტერატურაზე. თავისი წერილის შესავალშივე იგი მტრად საეჭვო დებულებას გვთავაზობს. ლიტერატურულ ორგანოებს ახარისხებს სპეციალიზებულად და არასპეციალიზებულად. რაკი აღმანახში („ხომლი“) მხოლოდ თარგმანები იბეჭდება, სპეციალიზებულია, ხოლო სხვა მხატვრული ჟურნალები, რომელთაც ნ. ნათაძე „ჩვეულებრივ პოპულარულ ჟურნალებს“ უწოდებს — არასპეციალიზებული.

აი, რას წერს ნ. ნათაძე:

„არასპეციალიზებულ ჟურნალში მთარგმნელის ამოცანა ზოგჯერ (მაგრამ მხოლოდ ზოგჯერ!) შეიძლება იმით შემოიზღუდოს, რასაც ჟურნალში დასაბეჭდი ორიგინალის ნაწარმოების ავტორი ესწრაფვის ხოლმე — მკითხველზე შთაბეჭდილება მოახდინოს — ოღონდ ამი. სათვის უცხოენოვანი ავტორის თხზულება გამოიყენოს. ასეთ შემთხვევაში მთარგმნელს უფლება აქვს შეაფასოს ნაწარმოები, მისი ერთგვარი ცალმხრივი, თუ გნებავთ, შემოქმედებითი ინტერპრეტაცია სცადოს, მასში შეგნებული სტილისტური სიახლე და თავისებურება შეიტანოს“.

იქნებ სწორედ „სტილის თავისებურება“ იყოს ამის მიზეზი, მაგრამ კრიტიკოსის სიტყვები ვერ გავიგე. ალბათ ეს სხვებსაც გაუძნწნევია, როგორადაც არ უნდა „დაძაბონ არსება“.

საერთო აზრი კი ასეთი უნდა იყოს: ვისაც სურს შთაბეჭდილება მოახდინოს, შეუძლია „გამოიყენოს უცხოენოვანი ავტორის (?) თხზულება“, მეერ მოსდგეს და ამოკლოს ეს ნაწარმოები, როგორც სურს და როგორც მოუხერხდება, „სცადოს მისი ერთგვარი ცალმხრივი(?) და თუ გნებავთ შემოქმედებითი ინტერპრეტაცია“ (ეს ალბათ ისე უნდა გავიგოთ, რომ რაც კი მოგუწუნებება ჩაწეროს), თანაც „შეიტანოს მასში შეგნებული სტილისტური სიახლე და თავისებურება“ (ანუ უფლება ეძლევა ისეთივე სტილით თარგმნოს, რასაც ზემოთ გვეცანით) და ასეთი „თარგმანი“ წარადგინოს არა „დახსენიცილებულ“ ჟურნალში, არამედ „პოპულარულ“ (ანუ „არასპეციალიზებულ“) ორგანოში. როგორც ვხედავთ, ძალიან გაუადვილება საქმე ჩვენს კრიტიკოსს, ანუ, მისივე სიტყვით რომ ვთქვათ, „სიადვილეს“ უტყუნებია. ოღონდ საჭირო იქნება ეს ინსტრუქცია ახლავე დაუგზავნოს იმ „არასპეციალიზებულ“ ჟურნალებს, რათა არც სხვა მთარგმნელები და არც ჩვენი კრიტიკოსი (როცა იგი საკუთარ თარგმანს დასაბეჭდად წარადგენს) უარით არ

პასხანზხ ზეღიძე

„ბაზურდის ზიმი“...

გამოისტუმრონ და ასეთი ორიგინალური შრომა წყალში არ ჩაუყარონ.

თანამედროვე მთარგმნელის საქმე გადავიღებულა — ჩვენნი წინაპრები უფრო ცუდ დღეში ყოფილან. ახლა ბევრი ლიტერატურული ორგანო გამოდის და მთარგმნელს წინასწარვე შეუძლია, თადარიგი დაიჭიროს: თუ „დასპეციალებულ“ ჟურნალში ამბობს დაბეჭდვას, რეცეპტი უკვე აქვს, როგორ უნდა თარგმნოს; თუ „არადასპეციალებულ“ ჟურნალში წაიღებს („მნათობში“, „ციცქარში“, „განთიადში“ „დროშაში“ ან „ნიანგში“), ხომ ნახეთ, მით უფრო გადავიღებული ჰქონია საქმე — ამის რეცეპტსაც გავცანივთ. მაგრამ ისიც წარმოიდგინეთ, რა დღეში იქნებოდნენ ჩვენნი წინაპრები, რომელთაც ბუნდვლით ორგანო სულაც არა ჰქონიათ?! ის საგანგებო გამოკვლევას მოითხოვს — ცალკე სადისერტაციო თემა.

რეცენზენტი რომ პატარა წერილშიაც ხშირად ახერხებს თავისი შეხედულებების შეცვლას და ეს უხერხულად არ მიაჩნია, ამის მაგალითს კიდევ მოვიტან. ჯერ ხომ ისა თქვა, „არასპეციალიზებული“ ჟურნალისაგან განსხვავებით დასპეციალებულ ორგანოში მთარგმნელს განსაკუთრებული სიფრთხილე მართებს; ნახეთ იმავე რეცენზიაში, ცოტა უფრო ჭკვიანთა რას იტყვის: „ვერც მთარგმნელებს მოვთხოვთ, რომ თავიანთი მუშაობის წესი ცვალონ იმის მიხედვით, თუ რომელი ორგანოსათვის თარგმნიან“.

საერთოდ, ავტორის ღირსებად უნდა ჩაითვალოს, რომ ამ პატარა წერილში ბევრი ორიგინალური აზრის გამოთქმას ახერხებს. ზოგიერთს აქვე მოვიტან.

„რთული წინადადების დამოკიდებულ წინადადებაში მოქცეული აზრი ქართულ ენაშიც იმდენადვე ნაკლებ აქცენტირებულია, ხაზგაუსმენელია, ასე ვთქვათ, „შემოპარებული“ დეტალის გამოშვატვლია მთავარ წინადადებაში ან ცალკე გამოყოფილ წინადადებაში გამოთქმულ აზრთან შედარებით, რამდენადაც ფრანგულში“.

(კიდევ ვიმეორებ, ციტირებული ტექსტი ყველგან ავტორისეულია).

„აბზაცის უხვი გამოყენება ქართულშიც იმდენადვე ამოღებებს, ანელებს, ამშვილებს თხრობას, რამდენადაც ფრანგულში, ხოლო უაბზაცობა, ტექსტის გრძელი და გარეგნულად დაუნაწევრებელი მონაკვეთების ერთმანეთზე მიბმა ორსავე ენაში თანაბრად ქმნის თხრობის დინამიკურობას, თუ განებავთ — ნერვულ და ძაბულობას და ა. შ.“

დასანანია, რომ ავტორს მალე მომბერებია ორიგინალური აზრების ჩამოყალიბება და დაშურებია „ა. შ.“-ს დაწერას. ცოტა მაინც რომ გავგრძელებინა, ასეთი აზრები მეტი იქნებოდა.

თუმცა მოწადინებული აღამიანი კიდევ ამოკრებს სენტენციებად ჩამოყალიბებულ აზრებს. ვთქვათ, ასეთს:

„აღამიანის დამოკიდებულებას სამუაროსადმი განსაზღვრავს მისი ბოლოვადობა“.

„ქართულში არტიკლი არა გვექვს და არტიკლიანი სიტყვები, როგორც უნის, არტიკლის მოშორებით ითარგმნიან. მაგრამ ამ შემთხვევაში ასეთი თარგმანი აბნეის მკითხველს“.

როგორც ვხედავთ, ეს საკითხი სპეციფიკურია.. და იქნებ მართლა დაგვანბნოს.

მიიტომაც შიშობს წერილის ავტორი — მკითხველი არ დაიბნესო; ის კი ვეღარ გაუთვალისწინებია, რომ მთარგმნელიც ადვილად შეიძლება დაიბნეს! ამიტომ ჯობს თავიდანვე ფრთხილად იყოს: ჯერ უნდა დააშოროს არტიკლი სიტყვებს და მერე თარგმნოს... ოღონდ კარგად უნდა დააშოროს და ფრთხილადაც იყოს, რომ დააშორებულ არტიკლი, ბრმა შემთხვევით, ისევ არ დაუახლოვდეს სათარგმნ სიტყვას და მუშაობაში ხელი არ შეუშალოს.

სიმართლეს ვერ დავუყარავთ: რაკი ავტორი ახალგაზრდა ლიტერატორების თარგმანების განხილვით შემოიფარგლა, იმ პრაქტიკულ გავეთილთან ერთად, რასაც ზემოთ ნაწილობრივ გავცანივთ, იქვე ზოგიერთ თეორიულ დარღვევასაც იძლევა, ოღონდ უფრო გასაგები რომ იყოს, მოძღვრება მხოლოდ იმ მთარგმნელებს შეუძლიათ გააოიყენონ, რომლებიც „თარგმანზე დასპეციალებულ ორგანოში“ მოღვაწეობენ.

ამიტოვად:


„თარგმანზე დასპეციალებულ ორგანოში... მთარგმნელის მიზანია მკითხველს წარმოუდგინოს უცხოენოვანი ნაწარმოები ისეთად, როგორც იგი თავისთავად არის: არ შეამოწმოს იგი სათანადო ანლიშენის გარეშე, არ წამოსწიოს ნებისმიერად მისი სტილისტური სიმდიდრის რომელიდაც ერთი მხარე, არ სცადოს მისი ენის არქაიზაცია ან მოდერნიზაცია, არ დაუშვას მისი სტილისა და მანერის უჩვეო გამარტივება, არ დაუყაროს ავტორს მის მიერ არჩეული ლიტერატურული საშუალებები და არ მოახვიოს მას თავზე მის მიერ უკუგდებული ან დაწუნებული“...

აქ ის აზრია გატარებული, რომ როცა მთარგმნელი, ვთქვათ, შექსპირს ან სტენდალს თარგმნის, ვაღებულა, არ დაუყაროს მას (ამ შემთხვევაში შექსპირს ან სტენდალს) „მის მიერ არჩეული ლიტერატურული საშუალებები“... ეს შედარებით ადვილია!... „და არ მოახვიოს მას თავზე მის მიერ უკუგდებული ან დაწუნებული“... ეს ცოტა უფრო ძნელი ჩანს, მაგრამ მიუღწეველი არც ეთქება...

მკითხველი ალბათ იკითხავს: ხომ არ არის ეს დიდი შემოქმედებითი პროცესების ძალიან გაუბრალოება?

და ისიც ვიკითხოთ: დაეხმარება ასეთი კრიტიკული წერილი ვინმეს?

ძალიან ძნელია მთარგმნელის შრომა... იქნებ უმადურად. ვისაც თავად არ გამოუცდია, ვერც



გარეგნულ... მილიონობით სიტყვასთან შეიძლება, შენი ენისა და მეტყველისათვის საესებით უცხო ხასიათების, სიტუაციების, ენობრივი ნიუანსების, ვადმოტანა ისე, რომ საკუთარი კოლორიტოც შეუნარჩუნო ნაწარმოებს და თან შენს ენაზედაც ბუნებრივად ააღერო... ძნელია ყველაფერი ეს (რა თქმა უნდა, მისთვის, ვინც სინდისიერად ეკიდება საქმეს). ამიტომ ყოველი კრიტიკული წერილი ძალიან ფრთხილი და ფაქიზი უნდა იყოს (ვიმერება, თუკი დარწმუნებული ხარ, რომ მთარგმნელი სინდისიერად ეკიდება საქმეს). როცა მილიონობით სიტყვას თარგმნი, იქნებ შეცდომაც მოგივიდეს. ცალკეული შეცდომების გამოჩნტვაზე აღილირა არის. მით უმეტეს, შეფასება ყოველთვის სუბიექტურია ხოლმე. საჭიროა თარგმანი მთლიანობაში შეაფასო, საერთო განწყობილებას როგორ გადმოსცემს, ნაწარმოების სულს როგორ გადმოსცემს, შენს საკუთარ ენას (ანუ იმ ენას, რა ენაზედაც თარგმნა) ხომ არა რყენის და ხომ არ ბიალავს... ჯერ სიკეთე უნდა ეძებო და ამის შემდეგ ნაკლს რომ წააწყდები და აღნიშნავ, ეს გულსატკეცი აღარ იქნება. სამწუხაროდ, ასეთ ფაქიზ დამოკიდებულებას იშვიათად ვხვდებით. უმეტესად არაკვალიფიციურად და არაობიექტურად იწერება რეცენზიები და წერილები თარგმანებზე: ან ხელაღებით ქება ისეთი მთარგმნელებისაც კი, ვინც სწორედ სინდისიერად არ ეკიდებიან საქმეს, ან დაუფარავი მტრობით ნაკლის ჩხრეკა.

შემთ ვთქვი, დიდი ხნის ყოყმანის შემდეგ გადავწყვიტე ნ. ნათაძის წერილისათვის ყურადღება მიმიქცია... როგორც ვნახეთ, ნათაძის წერილია სწორედ არაკვალიფიციური და არაობიექტური; იგი მხოლოდ დააშინებს და დახმარებით კი არ დაეხმარება ადამიანს. არა იმის გამო, თითქოს წერილი მკაცრი იყოს. არა. იმის გამო, რომ იგი არაკვალიფიციურია, უსამართლოა, შეტრაცხყოფელია, განქიქების მიზნით არის დაწერილი.

შეგვიძლო აქვე დაგვემთავრებინა ჩვენი სათქმელი, მაგრამ ახალგაზრდა მთარგმნელებს — ლ. გოგოლაშვილს და მ. მემძარიაშვილს — მცდარი შთაბეჭდილება რომ არ ჩამოუყალიბდეთ, რაკილა ერთ არაკვალიფიციურ წერილში ქედმაღლურად, საქმის არცოდნით, ზერულად და არაობიექტურად არის განხილული მათი თარგმანი, ისეთი შთაბეჭდილება რომ არ შეექმნეთ, თითქოს დამწვიდების უფლება ჰქონდეთ, აქ სხვა რამეც უნდა შეგნიშნოთ: ეს მოთხრობა რთულია, და როცა მთარგმნელები ნაწარმოების ცალკე გამოცემას გადაწყვიტენ, დიდი გულმოდგინებით უნდა გადაამუშაონ, დახვეწონ, დაზუსტონ. თვით გენიალურ მაჩაბელსაც კი თავისი თარგმანების ყოველ ახალ გამოცემაში შესწორებები შეჰქონდა, ახსურებდა, ხვეწავდა. დიდი კლასიკური

მემკვიდრეობის ათვისება და კარგი ტრადიციების მოვლა იმასაც გულისხმობს, რომ ეს მწიგნულები ვენელოვანი მხარეც გავითვალისწინოთ.

და კიდევ ერთი საკითხი. ისეთი შთაბეჭდილება რომ არ შეიქმნეს, თითქოს მარტო ახალგაზრდა მთარგმნელებზე იყოს განაწყენებული ნ. ნათაძე, ერთი ფაქტიც უნდა აღვნიშნო.

ჯერ ერთი, აღმანახის იმავე ნომერში „უცხოის“ ქართულ თარგმანს კამიუსავე მეორედ დიდი მოთხრობის თარგმანიც მოსდევს, შესრულებული გამოცდილი და ნიჭიერი ლიტერატორის მზია ბაქრაძის მიერ. მზია ბაქრაძის საინტერესო წერილს კამიუს შემოქმედებაზე, რომელიც აღმანახის იმავე ნომერშია დაბეჭდილი, ვაჯერით ასვენებს ნ. ნათაძე, თარგმანზე კი არაფერი ამბობს, თუმცა საქმის ერთგული და თვით აღმანახისადმი კეთილად განწყობილი კაცი, თუკი იგი ამავე დროს კომპეტენტურიც იქნებოდა, უსათუოდ მოიხსენიებდა ამ ფაქტს და კარგ თარგმანსაც აღნიშნავდა; პოცა კამიუს თარგმანის სირთულეზე ჩამოაგდება სიტყვას, ახალბედა მთარგმნელებს უსათუოდ მიუთითებდა, თუ როგორ დამლია ეს სინდნე უფრო გამოცდილმა ლიტერატორმა. ეს ახალბედა მთარგმნელებსაც გამოადგობდათ მომავალ მუშაობაში და სამართლიანიც იქნებოდა.

მაგრამ არა. ეს არ ისურვა რეცენზენტმა. არ ისურვა იმიტომ, რომ მისი მიზანი თავიდანვე აშკარა იყო...

...მას უნდა გავზვიადებინა ახალგაზრდა მთარგმნელების შეცდომები და „შეცოდებანი“. ერთი პატარა დეტალი კარგად მიგვანშინებს, თუ როგორ „ესწრაფვის“ კრიტიკოსი ახალგაზრდა მთარგმნელების „ბრალდება“ დაამძიმოს.

როცა რომელიმე რეცენზენტი თარგმნილ ნაწარმოებს განიხილავს, ჩვეულებრივ იტყვის ხოლმე (თუკი ამის თქმას საჭიროდ მიიჩნევს): მთარგმნელმა მკითხველს ასეთი თარგმანი შესთავაზო. დადებითად აფასებ თარგმანს თუ უარყოფითად, სულერთია, ასე უნდა თქვა. ყველაფერს თავისი ფორმა აქვს, თავისი „სისულტე“ სჭირდება. ჩვეულებრივ, ასეთ კონტექსტში, არ იტყვიან ხოლმე: მთარგმნელმა ქართულ საზოგადოებას (ან ქართველ ერს) ასეთი თარგმანი შესთავაზო. ეს მეტისმეტი ამაღლებაა, სათქმელისათვის ძალიან დიდი და ფართო მნიშვნელობის მიცემა. ასეთ რამეს მთარგმნელებზე და ივანე მაჩაბელზე თუ იტყვის კაცი. ისიც ვანსაკუთრებულ შემთხვევაში. მით უმეტეს, არ შეიძლება ასეთი რამის თქმა, როცა უარყოფითი ემოციის აღძვრა გსურს; მეტისმეტი იქნება, ძალიან დიდი შეცოდება უნდა ამ-

**პასხანაშ ბელიძე**  
„ბასურდის ზინიძე“...

ძიებდეს. ადამიანს (და არა ჩვეულებრივი შეცდომები თარგმანში), ასე რომ გასწირო. მით უმეტეს, არ შეიძლება ასეთი რამის თქმა ბრალდების დასამძიმებლად და უარყოფითი ემოციების გასაძლიერებლად, როცა საქმე შეხება ახალბედა მთარგმნელებს, რომელთაც თავიანთი პირველი ნამუშევრის გამოქვეყნება გადაუწყვეტიათ და შინა და თრთოლით ელიან შეფასებას. საქმან შენიშვნებს, გულისხმიერ დამოკიდებულებას... მით უფრო უცნაური მოგეჩვენებათ, როცა ასეთ რამეს მოთხრობის თარგმანის ცალკეულ აბზაცზე წაიკითხავთ. მართლაც ძნელი წარმოსადგენია კაცმა დაწეროს — მთარგმნელმა ქართველ საზოგადოებას (ან ქართველ ხალხს) ამ ნაწყვეტის ასეთი თარგმანი შესთავაზაო. დაუჭერებელიცაა ეს. მაგრამ რაი ფაქტია, უნდა დავიჭეროთ.

წერილში, სწორედ იმ ადგილის წინ, როცა გაბრაზებული და ვენებადუოკებული კრიტიკოსი შესძახებს, „აბსტრდის ზემიანო“ და ემოციის გასაძლიერებლად ისედაც ბევრია მიტყმულ სიტყვებს ბოლოში ძახილის ნიშანს დაუხვამს... ვკითხულობთ: ეს უხვირო ნაწყვეტი (იგულისხმება ჩვენ მიერ უკვე განხილული ერთ-ერთი თარგმანი აბზაცი) „თარგმანის ავტორებმა ქართველ საზოგადოებას შესთავაზეს...“ არა მგონია, რომ ეს ერთი შეხედვით უწყინარი სიტყვები იმ შეურაცხყოფელ გამოთქმაზე უფრო „რბილი“ და სასიამოვნო იყოს...

ეს „დეტალი“ იმიტომ გავიხსენეთ, რათა გვეჩვენებინა კრიტიკოსის სუბიექტური დამოკიდებულება ახალბედა მთარგმნელების მიმართაც და საქმის მიმართაც.

რეცენზენტი სხვა რამესაც არ მოერიდა და მკითხველის შეცდომაში შეყვანა სცადა: წერილში ნათქვამია, რომ აღმანახის ზერელე გადათვალერების დროსაც კი მკითხველს... „თვალშია გეცემა მეორეხარისხიანი ავტორთა გვარებს სიუხვე და პირველი სიდიდის ვარსკვლავთა ნაკლებობა“. ესე იგი, მომდგარა აღმანახის სარედაქციო კოლეგია და რაც კი ქუყანაზე სუსტი, უინტერესო, მეორე და მეათე ხარისხიანი ავტორი ყოფილა, საგანგებოდ ის უთარგმნია: კარგები (ანუ, კრიტიკოსის გამოთქმით, „პირველი სიდიდის ვარსკვლავები“): მიუჩქმალავს. მართლაც რომ გასაკვირი და ძნელად ასახსნელია: ამ დიდ და მომზილავე მსოფლიო ლიტერატურაში რაღა მინცდამინც უნიუობები და უინტერესობები არჩია? მკითხველს უმტრო, საკუთარ თავს, თუ ორივეს ერთად? მართლა ასეა საქმე?

ერთი ანდაზისა არ იყოს, მივყვებ ბოლომდე ჩვენს რეცენზენტს, ოღონდ წინასწარ ბოდიშს უნდა წიგნადლა მკითხველის წინაშე... და იმ დიდებული სახელეღის წინაშეც, რომელთა შეწუხება და მოსმობა მსოლოდ იმიტომ, რომ


ჩვენი კრიტიკოსი არასკადრის საქმეში გვემხილებინა, ვერაფერი სასიამოვნოა.

სულ გამოვიდა აღმანახის კენტი წიგნები და ვინც ამ კრებულების სარჩუნვს გადათვალერებდა, შეხედვება: ჰემინგუეის, ფრანსუა მორიას, ლუი არაგონის, ჰაფეზს, პოლ ელუარს, ანრი მისოს, რენე შარს, ჯეიმს ჯოისს, ჰაინეს, სელინჯერს, ალბერ კამიუს, კონსტანტინ გალჩინსკის, ტომას ელიოტს, კარლ სენდბერგს, ედვინ რობინსონს, აზიზ ნეისინს, ჟაკ პრევერს, შერ-ვულ ანდერსონს, ჯონ გოლზუორთის, ფრანს კაფკას, ჯამილ ზადეს, ისიკავა ტრეუბოკუს, ჯოვანი პირელს, ლუის მაკინის, რეი ბრედბერს, ეან სარტრს, ალან სილიტოუს, მიეი კუინს, პრიეტს, სომერსეტ მოემს, თადეუშ რუჟევიჩს, ორლეკს, მაქს ფრზოს, სადეუ ჰედიოთს, აპოლინერს, ედვარდ პოს, ჰერბერტ უელსს, ალფონსო ერნანდეს კატას, ჰაჯ ას-სირ ჰასანს, ჩოსერს, სეგრენსკის, ანა ზეგერსს, ბერტოლდ ბრეტს, ბაიროსს, ჰალდუნ თანერს, ირვინ შოუს, მარსელ ემეს, სიმონ ბოუჟარს, უილიამ ფოლკერს, მოსე ეზრას, ივკუდა ჰალვეს, ნაზიმ ჰემეტს, ოლდოს ჰაქსლის, აკუტაგავას, გოეთეს, სტივენ ლიკოკს, ჯაკომო ლეონარდის, ხუან ვიტიტისოლოს, ერსკინ კოლდუელს, ფლეტჩერს, ჰერმან ჰესეს, ოპონანს ბეზერს, იანის რიციოსს, სტანისლავ მისაკოვსკის, სიაეუშ ქესარის, ხულიო კორტასარს, ნიკოლოზ კინჩევს, ლორკას, სამუელ ბეკეტს, სპაფოს, ალკეოსს, ანაკრეონტს, ენდოს, ეუჟენიო მონტალეს, ლი ბოს, კერტინ მენსფილდს, ბოლდერს, მალარმეს, ვერლენს, კეპოტს, ვოლფგანგ ვორჰერტს, ანდრე მალროს... ყველა მწერალი არ ჩამოგვივლია. ამას ემატება ქართველი მეცნიერების წერილები ცალკეულ უცხოელ ავტორებზე (ბორჰერტზე, რალფ ელისონზე, მუზილზე, აპოლინერზე, ანდრე მალროზე, ლორკაზე...), მიმოხილეთ ხასიათის ძალიან მნიშვნელოვანი წერილები (როგორც, მაგალითად, ვლადიმერ მაკავარიანის წერილი აზია-აფრიკის ქვეყნების ლიტერატურაზე, მზია ბაქრაძის ვრცელი წერილი „ახალი ფრანგული რომანი“, რომელიც გაგრძელებებით იბეჭდებოდა, ზვიად გამსახურდიას წერილი თანამედროვე ამერიკულ პოეზიაზე...).

რა მოხდა, რატომ ასე ეპატარაება ეს ავტორები ნ. ნათაძეს? ან უფრო სწორი იქნება, თუ ვიკითხავთ, ასე რამ გაანაწყუნა პროფ. ნათაძე, რომ აღარაფერს ერიდება, მკითხველის შეცდომაში შეყვანასაც კი არ თაკილობს?

წერილში ნოდარ ნათაძეს ერთი საგულისხმო ფრაზა წამოსცა და უნებურად თავი გასცა. ზემოთ უკვე მოვიტანეთ ეს ფრაზა: ეურნალში დასაბეჭდი ორიგინალური ნაწარმოების ავტორი თურმე მუღამ იმას ესწრაფვის, („ესწრაფვის ხოლმეთ“, ასე უწერია); „მკითხველზე შთაბეჭდილება მოახდინოს“...





აშკარად ეტყობა, კრიტიკოსს ძალიან აწუხებს შკითხველზე შთაბეჭდილების მოხდენის სურვილი და ამისთვის არაფერს ერიდება. უხერხულად მიმანია გავიხსენო, სხვა დროს რა ზომებისათვის მიუშართავს ჩვენს კრიტიკოსს ასეთი შთაბეჭდილების მოსახდენად...

ამ წერილის მიზანიც „შთაბეჭდილების მოხდენაა“, ნათაძისავე სიტყვით რომ ვთქვათ, ეს აქვს „ნაცადი“, იმიტომაც შეხვდებით შედარებით პატარა მოცულობის წერილში იმ „ორიგინალური“ თეორიების კორიანტელს, ციტატებს ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ ენებზე, თუმცა ამისი საჭიროება, უნდა გამოგიტყვეთ, ყოველთვის არ იგრძნობა.

ამრიგად, ერთი მიზეზი წერილის ავტორის ქედმალღობრ ტონისა და განუყოფლობისა, ალბათ ის „შთაბეჭდილების მოხდენის“ მწველი სურვილია.

მაგრამ გულუბრყვილობა იქნება, მარტო ამას დავაბრალთ ნ. ნათაძის ასეთი თავგამოდება.

არის სხვა მიზეზებიც, და მათი აქ დასახელება იქნებ ზოგს უადგილოდ მოეჩვენოს, მაგრამ მე კი მგონია, საჭიროა და ამიტომ თავს ნებას ვაძლევ ვთქვა. ამის მიზეზი კიდევ ორი კონკრეტული საკითხია: ერთი ის, რომ ნ. ნათაძემ თავის დროზე საკუთარი თარგმანი წარადგინა „ხომლის“ რედაქციაში და, გასაგებში მიზეზის გამო, ამ თარგმანის დაბეჭდვა ვერ მოხერხდა; სამწუხაროდ, მთარგმნელი (ე. ი. ნ. ნათაძე) მაშინ თავის გრძნობებს ვერ მოერიდა და გაგვიანაწყენდა. მეორეც, ნ. ნათა-

ძის იმ გამომცემლობაში, სადაც აღმანახი გამოდიოდა, კატეგორიული უარი უთხრეს წერილების წიგნში შეეტანა თავისი მკრეხელური გამოკვლევა „ვეფხისტყაოსნის“ გმირების შესახებ. ამ გამოკვლევას სპეციალისტები კარგად იცნობენ, უხერხულად მიმანია მისი საჯაროდ გამოტანა.

ეს წერილმანი არ არის, არც ერთეულები გახლავთ; როგორც ითქვა, ასეთ წერილებს — არაკვალიფიციურს, ტენდენციურს, არაობიექტურს და არაკომპეტენტურს ბევრს შეხვდებით. ბუნებრივია, რომ ხშირად ასეთი წერილების ავტორები განაწყენებული და „ჩასაფრებული ადამიანები“ არიან. სწორედ ესა სწვეს ჩვენს კრიტიკოს უკან, სახელს უტეხს, ავტორიტეტს უქარგავს, საერთოდ მუშაობაში ხელს გვიშლის... ხელს გვიშლის, უპირველეს ყოვლისა, ახალგაზრდა ლიტერატორების აღზრდის საქმეში.

ნუ მივცემთ ამნაირ ხალხს უფლებას, ლაფში ამოსვაროს ჩვენი ლიტერატურის ღირსება. ვისაც ერთი ღამეც არ გაუთვია სიტყვისათან ჭიდილში, სხვათა ნაწარმოებების განქიქება უნდა აეგრძალოთ. ვინც სოფელს კარგად იცნობს და არა მხოლოდ სუფრაზე მორთმეული პროლეტების მიხედვით, უსათუოდ ეცოდინება: ნახირში გამოერევა ხოლმე ცუდად მობალახე საქონელი — ადღერს თავს და ცოტას აქ მოძოვს, ცოტას — იქ. ცოტას — იქ, თუხით გადაქელავს ბალახს... ასეთი „ცუდი მობალახეები“ ჩვენს კრიტიკასაც შემოეჩვივნენ და არ არის სასურველი მათი საქოვარზე გაშვება.





# „კანტი-მაჭავარი“

„შევიმოსნეთ ჭაქვად სიმართლენი, შევიბნეო მახვილად მოყვასთა სიყვარულნი“.

ს ა ზ ა

ჩვენს დროში, როცა სახელმწიფოს პოლიტიკის წყალობით ასე გონიერულადაა მოგვარებული ნაციონალური საკითხი, ქართველი ერის ისტორიული ბედ-იღბალი საბოლოოდ და მჭიდროდაა დაკავშირებული მოძმე საბჭოთა ხალხების მთლიან ოჯახთან. კარგა ხანია წავიდა ის დრო, როცა ცნებები: ერი, სამშობლო, პატრიოტი — ცალკეულ ლიტერატორთა მიერ იდეგნებოდა და მათი გამოყენება მწერლობაში იდეოლოგიურ მკრეხელობად ითვლებოდა. დღეს საქართველო, ქართველი ხალხის ერთიანობა ზრუნვისა და ყურადღების საგანია არა მარტო ჩვენთვის, არამედ ერთა სოციალისტური კავშირისთვისაც საზოგადოდ. ამიტომაც, რომ დღეს ქართულ ლიტერატურაში აგრე რიგად ჰყავის ეროვნული თემა თუ პატრიოტული მოტივი. სამშობლოს თანამედროვე ცხოვრება და ისტორიული წარსული კვლავაც რჩება ქართველი საბჭოთა მწერლების შემოქმედების უპირველეს საგანად.


ვინ მოსთვლის რამდენ ქართველ პოეტს უღმერია თავისი ქვეყნისათვის, ან რამდენი შთაგონებული ლექსი დაწერია ჩვენს სამშობლოზე? ბევრ მათგანს ქართველი სიკითხველი გულით ატარებს და საკუთარი სიცოცხლის განუყრელ ნაწილად აქვს მიჩნეული.

საერთოდ, შემოქმედებითი ფაქტის წარმატების განსაზღვრელი საფუძველი არჩეული თემის აქტუალობა, ან მისი დიდი მნიშვნელობა კი არ არის, არამედ ამ თემის ორიგინალური დამუშავებაა. თვითმყოფადი ხელოვანი სხვების მიერ მრავალჯერ და მრავალნაირად ასახულ საგანს თავისებური რაკურსით და თავისებური ელვარებით წარმოაჩენს. ამაშია სწორედ ნამდვილი ხელოვანის ძალა და სა-

ერთოდ მაღალ შემოქმედებასაც. ეს ფაქტორი განაპირობებს.

თუ კი საჭიროა დავასახელოთ მუხრან მაჭავარიანის პოეზიის ყველაზე უფრო ნიშნეული თვისება, ეს, პირველყოფლისა, სამშობლოს მთლიანობის იდეა და ამ აზრის ორიგინალური წარმოსახვა არის („ამერ-იმერი-არასოდეს მორჩილი ბედის. ამერ-იმერი-სიცოცხლეზე სიცოცხლით მეტი“). მეტად თავისებურია იგი როგორც თემის მიგნების, ისე მისი გრძნობადი აღქმისა და მხატვრული განსხვავებულების მიხედვით. წაეკითხავთ მ. მაჭავარიანის ლექსებს და ბუნებრივად აღმოგჩნდებათ სასიამოვნო სიმართლის წინაშე: მთელი ეს პოეტური ორიგინალურობა გარდღვალად ეყრდნობა ეროვნული კულტურის სამიზნეულს, მშობლიური მიწის წიაღს. მისი პოეზიის მასაზრდოებელი ძეძუ ქართული ბუნების რძეაგისილი მტევანია. ამ მხრივ, მას თავისუფლად შეუძლია გაიმეოროს გალაკტიონის შთაგონებულ სიტყვები: „წვეთი სისხლის არ არის ჩემში არაქართული, ძაფი ნერვის არ არის ჩემში არაპოეტის“. რამდენჯერ გამიგონია თვით მუხრანისგანაც. ეუროვნულობე არის პოეზიის უპირველესი ნიშან-თვისება; ეროვნულ სულისკვეთებასა და ელფერს მოკლებული პოეზია საერთოდ არა მწკამს.

ახლახან, როცა სამშობლო ქვეყნის ორიგინალურ, სხვებისაგან განსხვავებულ წარმოსახვაზე ვსაუბრობდით, მუხრან მაჭავარიანის ნაწარმოებსაც ვგულისხმობდით. დიახაც, მას მომადლებული აქვს განსაკუთრებული ნიჭი იყოს სამშობლოს რჩეულ მომღებლა შორის. ჩვენ ბმის თქმა გვინდა, რომ მუხრანს გამომუშავებული აქვს თავისებური, სხვებში გასარჩევი, პოეტური ფრაზა და, საერთოდ,



სტილიც კი თავისი მთავარი სათქმელის გად-  
მოსაცემად. ეს ფრაზა შედარებით ზეაწეული,  
უღრესად მოკვეთილი და ხაზგასმით დრამა-  
ტიზირებულია. როგორც ვხედავთ, არც ერთი  
ამ თვისებათაგანი უცხო არ არის ქართული  
ლექსისათვის. უფრო შორიდან რომ არ და-  
ვიწყოთ, ეს ნიშნები საკმაოდ მეტად ახასია-  
თებთ ცნობილ საბჭოთა პოეტებს: გიორგი  
ლეონიძეს, ტიციან ტაბიძეს და ლალო ასა-  
თიანს. მაგრამ მუხრან მაჭავარიანის ლექსის  
ფხა სწორედ ის არის, რომ, მიუხედავად ასე-  
თი ტრადიციისა, მან შესწლო სიახლეების  
მიგნება და თავისი სიტყვის თქმა ამ მხრივაც.  
ორიოდე მაგალითის ჩვენება ნათულს გახდის ამ  
აზრს:

შენ—სისხლო ჩემო—სად არ  
დაღვრილო...  
შენ—სად არ გხვრებდა შავი ყორანი...  
ვინ გააკვირვოს, რამ გააკვირვოს,—  
ნადიდგორალი, ნაშამქორალი.

ბეჭი მტკიცება არ დასკირდება მოყვანი-  
ლი კონტექსტის თავისებურებას. იგი ახალია  
როგორც სათქმელის, ისე მისი გამოხსახველო-  
ბის მხრივ. აზრის გადმოსაცემად პოეტს აურ-  
ჩევია შუალაბითი კონტაქტის ხერხი. მხატვ-  
რული გრძნობა გაშუალებულია ისეთი მძაფ-  
რი ცნების საშუალებით, როგორიცაა „სისხ-  
ლო“. ამ სიტყვას დაისრებული აქვს გადა-  
ტანითი ფუნქცია; ე. ი. ის გამოხატავს საერ-  
თოდ ქართული კაცის მეტროლ ბუნებას,  
რაც საბოლოოდ მხატვრული განზოგადების  
ხარისხში მდლდება. მამსადამე, აღნიშნულ  
ეფექტს ხელს უწყობს ის ფაქტი, რომ შუა-  
ლობითი გრძნობის ქმედების ძალა ბუნებრი-  
ვად უშუალო აღქმის სფეროში გადადის.

მეორე მაგალითი:

ტა, ტა, ტა, ტა—  
რანაირად ბრღღვინავს არაგვი!  
ხო, ხო, ხო, ხო,—  
ხმელეთს როგორ ეხეთქება ზღვა!  
არა!  
სხვიხი მისაბაძი რა მჭირს,  
თვარა—კი...  
სხვა როცა მე შემომნატრის,  
მე მივბაძო სხვას?!

აი, მუხრან მაჭავარიანისეული ტიპური  
პოეტური ფრაზები, სადაც აგრეთვე თავისე-  
ბური საშუალებებით არის მოწოდებული  
პატრიოტული გულისთქმა. ლექსი მიმართუ-  
ლია ყოველგვარი უცხოურისადმი ბრმა მიმ-  
ბაძველობის წინააღმდეგ; იგი ამავე დროს  
განმსჭვალულია უღრმესი ეროვნული სიამაყის  
გრძნობით. ავტორი სწორედაც რომ თავის  
სტიქიაშია:

მე პატრონმა,  
მე—პატრონმა ამისთანა ზღვის,  
მე—პატრონმა,  
მე—პატრონმა ამისთანა ცის,—  
თუ ღმერთი გწამს,  
თუ კაცი ხარ—  
სხვას მივბაძო ვის?!

სათქმელის ასეთი მხატვრული ორგანიზა-  
ცია, მართლაც, იშვიათია. შეგვეცდებით და-  
ვამტკიცოთ ჩვენი აზრი.

მოულოდნელი, ეფექტური დასაწყისი ნა-  
წარმოების წარმატების ერთ-ერთი პირობაა,  
ამ შემთხვევაში ლექსის დასაწყისი არა მარ-  
ტო მოულოდნელია და ეფექტური, არამედ  
ზოგ შემთხვევაში უცნაურადაც კი მოეჩვენოს,  
აბა, სად გავიგონია ასეთი რამ („ტა, ტა, ტა,  
ტა!—რანაირად ბრღღვინავს არაგვი!“ და  
სხვ.)? აქ სრულიად უბრალო, ავტორის მიერ  
ბედნიერად ნაოვნი მხატვრული ილუთი ახ-  
დენს შესაბამის შთაბეჭდილებას. ეს არის  
ძალზე გულწრფელი გაოცება, ან, თუ გნე-  
ბავთ, ბავშვურად მიაბიტური უშუალობა.  
ემოციების გამოხატვა შორისდებულების მე-  
შეობით ჩვეულებრივი რამაა, მაგრამ და-  
მოწმებულ ტაქტებში ეს მომენტი თავისი და-  
ყინებით საესეებით გარკვეულ სტილისმიერ  
საშუალებად არის ქცეული. აქვეა აღსანიშნა-  
ვი ერთი და იგივე ცნების მიჯრით გამოყენე-  
ბის ხერხი. ერთნაირ ნაცვალსახელთა და არ-  
სებით სახელთა მხატვრულ კონტექსტში პა-  
რალელური გამეორება ხაზს უსვამს სათქმე-  
ლის მნიშვნელობას და ერთიორად აღიე-  
რებს ნაწარმოების ზემოქმედებობს უნაზს.

მე სრულებითაც არ ვაპირებ ცალკე საკით-  
ხად გამოვეყო პატრიოტული თემა მუხრან მა-  
ჭავარიანის შემოქმედებაში. ამას არ მოით-  
ხოვს არავითარი აუცილებლობა, რადგანაც  
სამშობლოს საყვარულის გრძნობა არის  
არამც თუ ერთი მხარე, არამედ ბალავარი და  
სისხლმიმოქცევის არტერია მისი ლექსებისა.  
ამიტომ მოუხერხებელიც კია მთლიანი პოე-  
ტური ორგანიზმიდან მექანიკურად ამოვკლი-  
ოთ მისი ძირითადი ნაწილი.

ყოვლად შეუძლებელია, მაგალითად, მუხ-  
რან მაჭავარიანის შემოქმედებითი და მოქა-  
ლაქებრივი მრწამსისა თუ ინტერესების  
მთლიანობაში წარმოდგენის გარეშე სისრუ-  
ლით აღვიკვათ სულხან-საბა ორბელიანის სა-  
ხე, რომელიც მონუმენტად აღმართულა მის  
პოეზიაში. ჩვენი პოეტისათვის დიდი წინაპა-  
რი არის არა მხოლოდ მხატვრული შთაგონე-  
ბასა და ინტერესის წყარო (ამის თქმა ძალზე  
ცოტა იქნებოდა).. არამედ იგია სამშობლო-

ბრიგოლ ხარხაულიძე  
„ბასტი-მასპაპარი“



სათვის სიცოცხლის უმაღლესი ნიშნის, მოძღვრებულ-მოძღვარი ყოფიერების ურთულეს საკითხებში. უფრო მეტიც, სულხან-საბას მხატვრულ სახეში ჩვენს წინაშე გაცოცხლებულია ძველი საქართველო თავისი მოცუვენარი ცხოვრებით, ბრძოლებითა და გარჯა-შრომით. ცრემლითა და იმედის სხვიით.

გერ გეტყვი, რომ მ. შავჭავჭავაძის საბასადმი ბევრი ლექსი ეძღვნას, ან მის ნაწარმოებებში ძალზე ხშირად ჩნდებოდეს ამ ამაგდარი წინაპრის სახე, მაგრამ ყოველი მისი გამოვლენა რაიმე საკანგებო აზრთანაა დაკავშირებული და ღრმა ფიქრების აღმძვრელია.

**ორი ცრემლიდან საქართველოს გამყურებს საბა:**

ვერ დაუნახავს ღღეს უცრემლოდ ქართველსა ქართლი.

— **ორბელიანმა თვალისჩინა დაპყარჯა ალბათ!**

— **პირიქით!**

**ერთობ კარგად ხედავს და მითომ სტირის.**

შემთხვევითი არ არის, რომ ამ უსათაურო ლექსს ეპიგრაფად წამძღვარებული აქვს საბას სიტყვები: „ჩემს უკან, ღმერთმა ქნას, ჩემს ქვეყანაში უკეთესობა შეიქმნას“. ეს გამოთქვამია სწორედ აღნიშნული ლირიკული ნაწარმოების დედააზრის ვასალები. იგი წარმოადგენს წარსულსა და აწმყოს შორის შემართებელ რგოლს.

1949 წელს დაწერა მუხრან-მაკეაბრისაშვილი თავისი ცნობილი ლექსი „საბა“, რომელშიც დამწყებ ავტორს იმთავითვე ნიჭიერი პოეტის რებუტაცია შეუქმნა. საქმე ის იყო, რომ აღნიშნული ნაწარმოები მკითხველმა აღიქვა, როგორც დიდი წინაპრის სახელის საკადრისი მხატვრული ფაქტი. ავტორმა ამ შემთხვევაში ასახვის საგნად აირჩია გმირის მოღვაწეობის ერთი მხარე, რომელიც აგრეთვე ანოვადებს მთელი მისი ცხოვრებისა და შემოქმედების აზრს.

როგორც ცნობილია, 1713—1716 წლებში საბამ თავს იღვა დიდი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური საქმე—დიპლომატიური მისიით იმოგზაურა იტალიასა და საფრანგეთში. ყველასათვის ცხადი იყო ამ მოგზაურობის მიზანი: საქართველო ქრისტიანულ ევროპაში ექებდა მძლავრ მოკავშირესა და მფარველს ეროვნული დამოუკიდებლობის აღსადგენად და შესანარჩუნებლად. ეს იყო ჩვენი საგარეო და საშინაო პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი პუნქტი. მიუხედავად იმისა, რომ ლირსეული შეხვედრა მოუწყეს, საბა მაინც ხელკარიელი დაბრუნდა ევროპიდან. ქართველი ხალხის სატიკვარი უცხოელებმა გულთან არ მიიყარეს.

სულხან-საბას ცხოვრების ეს ეპიგრაფიკული მნიშვნელოვანი ბერიოლი ლირიკული ნაწარმოებში ამეტყველების დიდ საცთურს წარმოადგენდა და მუხრან-მაკეაბრისაშვილს ხელიდან არ გაუშვა ეს შესაძლებლობა. მაგრამ ეს ცრემლი ჩვენ აქ მოწმენი ვხვდებით მხატვრული სიტყვის არჩევულებრივი გამარჯვებისა. ლექსის ავტორი აღწევს სრულ პოეტურ გარდასახვას; იგი საყვებით თავისუფლად ექცევა ძველ სამყაროში და თავისი ლირიკული გმირის სახეს ექსოვება.

ფორმა, რომელიც ავტორს თავისი ჩანადჭირის განსაზოცილებლად გამოუყენებია, ორიგინალურობით გამოირჩევა. ეს არის ტრადიციული და თავისუფალი ლექსის (ვერლობრი) საუცხოო შენადნობი, რაც აზრისა თუ მოქმედების განვითარების ფართო შესაძლებლობას ქმნის. ჩვენ აქ ცნება „მოქმედება“ იმ გაგებით და იმითმ გამოვიყენეთ, რომ სახანალო ნაწარმოების სცილდება ჩვეულებრივი ლირიკული ლექსის ჩარჩოს და ეპოსის ელემენტებსაც მოიცავს.

„საბა“ დინჯი თხრობითი კილოთი იწყება: „ორბელიანი ლუღოვიკო მეთოხმეტესთან ალოდინეს და... მეთხუთმეტე კაცად შევიდა“. განვარტობით კითხვას და თანდათან უფროს საგარტობი ხდება სიღინჯის განწყობების გადასვლა მღელვარებაში. ეს გამოწვეულია შექმნილი დრამატული სიტუაციით. საბას დიპლომატიური მისია უშედეგოდ მთავრდება; იგი, მძიმე ფიქრებით შეპყრობილი, იძულებულია გამოსწიოს სამშობლოსაკენ. აქ აუცილებელი იყო მეტად დაძაბული გარემოს შექმნა: საჭირო იყო, თუ შეიძლება ასე ითქვას, მაკორული ელგეის ტონები. რადგანაც მხოლოდ ღრმა მწუხარება ცალმხრივად წარმოგვიდგენდა გმირის ეროვნულ გულსიტქმის. ავტორმა შესძლო ამ ორი, თითქმისა ურთიერთგამომრიცხავი საწყისის (ელგეია და მაკორი) შერწყმა და ამით მხატვრული სახის ჩაყენება ბუნებრივ მდგომარეობაში. ავტორმა მიაგნო ძნელი სიტუაციის აბსოლუტურად შესატყვისი გამომსახველობით. საშუალებებს. ზუსტ ცნება-მეტაფორებს. აი ეს ადგილიც:

- წვიმა არ არის
- საბას კაბა დაუსველა რამ?! \*
- თოვლი არ არის
- საბას თავი გაუთეთრა რამ?! \*
- ყინვა არ არის
- სულხან-საბას აკანკალებს რა?! \*
- რამ დაასველა?! \*
- რამ დათეთრა?! \*
- რა აკანკალებს?! \*

**საქართველოა**

**მისთვის:**

**წვიმაც,**

**თოვლიც და ყინვაც!..**

ლკონური და მეტად შთამბეჭდავი პოეტური კონტექსტია! მოკვეთილი და ენერგიული მხატვრული ფრაზები, კითხვა-პასუხის თავისებური ფორმა, თვით სტრიქონთა უჩვეულო განლაგებაც კი, ქმნის მთლიან, გამორჩევით ორიგინალურ სურათს.

პოეტი ცდილობს ჩასწვდეს საბას სულის ყოველ მიმოხერხას მისთვის ესოდენ მძიმე წუთებში. უპირველესად, საბას თვალწინ სამშობლოს სახე რიალებს: „...მზე ეთხოვება ალბათ ახლა ტურფა ტანძისა... ეს სიცხადეა, სულხან-საბა, თუ ფანტაზია?!“ გავხსნათ ეს მხატვრული ქვეტექსტი: საქართველოს საკეთილდღეოდ გადადგმული ნაბიჯის მოცდენა იქ ასოცირებულია ტანძის დაისთან, რამიც, რასაკვირველია, მთელი სამშობლო იგულისხმება. სხვათა შორის, ეს სტრიქონებიც გვექონდა მხედველობაში, როცა აღვნიშნეთ ამ ლექსის ლირიკული გმირისა და ავტორის ურთიერთმედულებების შესახებ.

მაგრამ ეროვნულ-პატრიოტული მრწამსი სულხან-საბასი (და თვით პოეტისაც) დავვირგინებელია ლექსის ფინალურ სტროფით, რითაც მამულოს უკეთესი მომავლის იმედი და საბას ღვაწლის უკვდავება დადასტურებულია ქართველი ბოქისა და ფესვებგარი მუხის მეტაფორულ სახეებში:

ახე ფიქრობდა სულხან-საბა ხელჯოხიანი.  
მხარდამხარ ხაბას ის პაწია ბივი

მოსდევდა...

— მოგწყინდა განა უნაყოფოდ, ელჩო,  
ყალი?! —

გულს ნუ გაიტეხ! — მუხა კვლავაც  
შეიმოსება!

„საბა“ ისეთი ლექსია, რომლის წაკითხვის შემდეგ ღრმა ფიქრები გვიპყრობს, ფიქრები ჩვენი ქვეყნის წარსულზე, აწმყოზე და მომავალზე. მუხრან მაჰავარიანმა შექმნა საქრესტომათიო ლექსი, რომელიც თავისი იდეური გამოხატულებითა და მხატვრული შესრულებით საუკეთესოა სულხან-საბა ორბელიანისაღმის მიძღვნილ ლირიკულ ნაწარმოებთა შორის.

მუხრან მაჰავარიანი არა მარტო თანამედროვეთა, არამედ წინაპართა სიცოცხლითაც ცოცხლობს. მისთვის მამა-პაპათა გმირობა და შემოქმედებითი თავდადება ცხოვრების გზის გამკვლევი სხივია. „ქართლის ცხოვრებისა“ თუ გასული საუკუნის უდიდესი მოვლენები მის გონების ყოველ ნაოჭში, სულის უღრმეს ხვეულებში აქვს გამოტარებული და ისე გათვითცნობიერებული. ასეთი სერიოზული და ყოველმხრივი აღქმის შედეგია მის

პოეზიაში წარსულის ფაქტებისა თუ სახელგანთადამიანების მხატვრულ სახეებში გაცოცხლება. საბასთან ერთად მ. მაჰავარიანის ნაწარმოებებს ამშვენებენ: ფარნაოზი, გრაგასალი, დვით ამლამენებელი, თამარი, რუსთაველი, ვახტანგ მეექვსე, ცხრა ძმა, ერეკლე, გურამიშვილი, გრიგოლ ორბელიანი, ბარათაშვილი, არსენა, ილია, აკაკი, ვეჯა და სხვა საამაყო სახელები. იქვე ვხვდებით აგრეთვე უსახელოდ გადაგებულ, რიგით აღამიანებს, ქიტესებსა და მეღანოებს, რომლებმაც თავიანთი ქედით გასწიეს ქართლის ჭაპანი.

მ. მაჰავარიანის ლექსების ლირიკული გმირი ამქვანებს წარსულის ისეთ პატრივისეზმას და გავებას, როგორც შეფერება თანამედროვე ნამდვილ მოქალაქესა და პატრიოტს. ბუნებრივია, წინაპართა ასეთ სიყვარულს არ შეიძლებაოდა გარკვეული გავლენა არ მოეხდინა მ. მაჰავარიანის მხატვრულ აზროვნებასა და მეტყველებაზე. ეს ასეც არის. მის ლექსებში აქა-იქ გამოპყრობის რემინისცენციები წინამორბედთა პოეტური საუნჯიდან („ქართველსა გულმა როგორ გამიძლოს“, „ფილტვებში ჩამდის პაერი მთვარის; გავკვეთე ქარი, გავაბე წყალი“, „ისმენდინ, — გავკვირდიან, რა ატირდას, — ატირდიან... — რა პატრია ქვეყნდინა... რა დიდა!..“). პარალელების დაქებნა შეიძლება უფრო მახლობლუბთანაც, მაგალითად, ვალაკტიონთან („ოცდასამი საუკუნის წინათ“, „მთები, — ქლიავს ნადარები, — ჩანან ლურჯნი ღონწირობე“).

ამგვარი შეხვედრები თუ პარალელები მხოლოდ იმას მოწმობენ, რომ მუხრანს ღრმად აქვს შეწოვილი ქართული ეროვნული კულტურის მადლიანი დვრიტა და შემოქმედებითად იყენებს მას თავისი მეტად ორიგინალური პოეზიის გასანოყიერებლად.

მ. მაჰავარიანი ეკუთვნის იმ კატეგორიანს პოეტებისას, რომლებიც სიცოცხლეზე უზომოდ არიან შეყვარებულნი. მისთვის ყოველდღიურ ცხოვრების ფერხულში ყოფნა, მომავალზე ზრუნვა და გარჯა, ბუნების მშვენიერებითა და სინოყიერით სუნთქვა, მოუცილებელ მოთხოვნის ლებას შეადგენს. ამიტომაც, რომ ჩვენი პოეტის ლექსებში სრული უფლებით სარგებლობს ყოველივე ამქვეყნიური, რაიც სიცოცხლის ნიშანწყალს ატარებს და აღამიანის ცედი მიხნენისათვის არის განკუთვნილი. ამ გრძნობას გამოხატავს მისი ბევრი ენერგიული სტრიქონი, აი, თუნდაც ეს: „ვისინთქო და ვილორძინო წყართიან-ბორცივან; გავუფენითო დაღამიწი სულიანა, ხორციანა“.

სამყაროს შეგრძენების ასეთ საფუძველს ემყარება მ. მაჰავარიანის ესთეტიკური მრწამსი.

**გრიგოლ ხარბაშლიძე**  
„ახსნ-მხატვარი“

პოეტ და მისი შთაგონების ნაყოფი გარემო-  
მცველ ბუნებაში არიან გადამდნარი:

ლექსს როცა დაწერ

და სახლიდან გამოვალ გარეთ

და იმ დროს თბილი საღამოა

და ოდნავ ბნელა...

სალამი, ცაო!

გამარჯობა, ნათელი მთვარე!

ყველაში მე ვარ და ჩემშია იმ დროს

სუყვალა.

(„იმ დროს“).

შემოქმედებითი შრომით გამოწვეული სიხა-  
რულის შერწყმა ბუნების მშვენიერებით აღძ-  
რულ აღტაცებასთან, რაც დამოწმებულ სიტყ-  
ვებში თვალნათლივ იგრძნობა, პოეტური აზ-  
როვნების ორიგინალურობაზეც მიგვითითებს  
და ამავე დროს გაგვახსენებს „პირველყოფილ  
ფილოსოფიურ“ წარმოდგენებს ადამიანისა და  
ბუნების მოვლენების განუყოფლობაზე.

და კიდევ ერთი მთავარი ბურჯი აქვს მ. მაჭა-  
ვარიანის ლიტერატურულ კრედიტს. ესაა ადა-  
მიანი. რწმენა ადამიანის უსაზღვრო შესაძლებ-  
ლობებისა, მისი ნათელი გონებისა ახალი ენერ-  
გიით ავსებას პოეტის არსებას, უბიძგებს მას  
ახალ-ახალი შემოქმედებითი შემართებისაკენ.  
ეს რწმენა მასში თვით სამწერლო ცხოვრების  
დასაწყისიდანვე ჩანერგილა და მას შემდეგ ამ  
ნათელს მაჰყვება იგი. პოეტის გულწრფელი  
მადლობის სიტყვებია: „და წამოვიდი, და წა-  
მოვიდი, და წამოვიდი ასული ცაში... და ამის  
შემდეგ. და ამის შემდეგ—ადამიანი როგორ არ  
მწამდეს“, („ეს იყო წუხელ“). აქედან ნათლად  
ჩანს, თუ როგორი ძალითაა გამჯდარი პოეტის  
არსებაში ჰუმანიზმი, ნდობა ადამიანისადმი,  
როგორც ამაძღვლებელი საწყისის, როგორც სუ-  
ლიერი კათარსისის უშრეტო წყაროს მიმართ.

საერთოდ ზედმეტია სერიოზული ლაპარაკი  
ისეთ შემოქმედებაზე, რომელიც მხოლოდ ვარ-  
დისფერი სათვალთ უყურებს სინამდვილეს  
და არ გვაგრძნობინებს ავტორის რაიმე იქნა  
და დაფიქრებას. ხელოვანი, ვინც ხბოს აღტა-  
ცებას შეუპყრია, არ დაფიქრებულა თავისი ნა-  
მუშავევის რაობაზე, ერთი სიტყვით, ხელოვანი,  
ვინც ზედმეტად დაჭერებულა და უზომოდაა  
შეყვარებული საკუთარ თავში, ის არცაა ხელო-  
ვანი. პოეტს, მხატვარს, მსახიობს ყოველთვის  
თან უნდა სდევდეს რაღაც უკმარობისა და  
შინაგანი სევდისის მსგავსი რამ, რაც მას  
მუდამ ფხიზლად ამყოფებს, არ მოუდუნებს  
საკუთარი ძალების კრიტიკის უნარს. ჩვენ სიამ-  
ოვნებით ვდასტურებთ ამგვარი საღი უნარის  
არსებობას მ. მაჭვარიანის პოეზიაში. მიუხე-  
დავად იმისა, რომ მუხრანი ჯერ კიდევ სიჭარბე-  
ში არ შესულა, მას უკვე აქვს გამოქუშავე-  
ბული თავისი თავისადმი კრიტიკული მიდგო-  
მის თვისება:

ზეცაა როდესაც ლურჯი,  
ვარსკვლავებს როდესაც ვხედავ,  
ეჭვი გამყრავს ხოლმე გულში  
თავს ხომ არ ვიტყუებ ნეტა?  
ვაითუ, მერმისთან შევცრცხე,  
ვით უინფლიო,—ქუჩილის შემდეგ;  
ვაითუ, ღირსია ცეცხლის,  
რაც მოვისისხლფახე ღღემდე.

მხოლოდ მკითხველისადმი ასეთი პასუხის-  
მგებლობის, მხოლოდ ასეთი დაფიქრებისა და  
თავისადმი მომთხოვნელობის გრძნობით შეუძ-  
ლია ხელოვანს უმაღლეს შემოქმედებითს  
მწვერვალზე მიღწევა. და მხოლოდ ამის-  
თანა პოეტს დაუჭერებს მკითხველი დარდსაც  
და სიხარულსაც; აღსარებასაც და საიდუმლო-  
საც. მხოლოდ ამგვარ პოეტს აქვს უფლება  
შეეგებს და თვალი გაუსწოროს ამომავალ  
მზისფერ ლექსებს: „—სალამი ლექსებს!.. გულ-  
მხურვალე სალამი ლექსებს—განთიადისას მზე-  
სთან ერთად დაბადებულებს!“ მეგობრებთან  
საუბარში მუხრანს არაერთხელ უთქვამს: „ლექ-  
სი ის არის, ახალი რომ იტყვი“. ასე, რომ სახა-  
ლის შეგრძნებაც უნდა ჩაითვალოს მისი პოე-  
ზიის ერთ-ერთ მთავარ წყაროდ.

შევეიძლია დაეასვენათ, მუხრან მაჭვარიანის  
პოეტური მრწამსი, მისი ფიქრები პოეზიის  
რაობისა და დანიშნულების თაობაზე, საამდრო  
გზით მიემართება და შემდგომი წარმატებების  
ნაღვ გარანტიას იძლევა.

მუხრან მაჭვარიანი სამწერლო სარბიელზე  
ორმოცდაათიანი წლების გარიყრავზე გამოჩნ-  
და და ერთბაშად მოექცა მკითხველთა ინტერე-  
სის ფოკუსში, როგორც უადრესად თეათმყო-  
ფალი ნიჭიერება.

ორმოცდაათიანი წლების მიჯნა ჩვენს საზო-  
გადოებრივ ცხოვრებაში გარკვეული სახალე-  
ებით აღინიშნა. ეს ის პერიოდია, როცა სამამუ-  
ლო ომის ეჭო დიდი ხნის გადასული არ იყო  
ჯერ და გამარჯვებული საბჭოთა ხალხი შემოქ-  
მედებითი შრომის ახალ აღმავლობას განიცდი-  
და. ადამიანები, რომლებმაც მშვედლობიანი ცხოვ-  
რება დაიწყებდნენ, შეუდგნენ პარტიის მიერ  
დასახული ახალი ამოცანების შესრულებას.  
შესამჩნევად გახალისდა მათი სულიერი სამყა-  
რო; ისინი წარსულისა თუ თანდროლოდების  
ფაქტებს თავისებურად აფასებდნენ და მომავ-  
ალსაც უფრო იმედინად გასცქეროდნენ. აი,  
სწორედ ამ დროს წამოიჭრა მ. მაჭვარიანის  
პოეტური სიტყვა, ამ ეპოქის ამონაყარია სწო-  
რედ მისი შემოქმედების ნერგა, რომელმაც  
მაშინვე მკვიდრად გაიღვა ფესვები მშობლიურ  
მიწაში.

გავიხსენოთ მ. მაჭვარიანის იმდროინდელი  
ლექსები: „ახალი წელი“, „ტირიფები“, „კომუ-  
ნიზმი“, „სამშობლო“, „ლენინის ქუჩა“, „შუ-  
ლიერესი გაზაფხული“, „შადარს ეტყვის ჭიდა-  
რი“, „მინარია“, „სტალინგრადი“, „გზადაგზა“,

„მიღის... მიღის...“, „გაიგონეთ“, „ლაშურა“, „კარგი დღე“, „ფართო ნაბიჯით“. ეს არის იმ ლექსების მხოლოდ ერთი ნაწილი, რაც გამოქვეყნებულია პოეტის პირველ წიგნში, რომელიც 1955 წელს დაისტამბა. უკვე ამ ლირიკული ნაწარმოებების მიხედვით შეეძლო მკითხველს ემსჯელა ავტორის პოეტურ შესაძლებლობასა და შემოქმედებითს თავისებურებაზე. უკვე აქ იგრძნობოდა სიცოცხლის სიხარულით ავსებული გული, ფართო სუნთქვა, ყველაფრისადმი ინტერესი, პირდაპირობა და უშუალობა და ყოველივე ამის ორიგინალურად გამოსახვის ნიჭი. დროის ფეხდაფეხ, დროის მხარდამხარაი, რა შინაგანი ემოციური იმპულსი ამორავებდა პოეტს ხსენებული ლექსების წერისას.

არა ერთხელ აღნიშნულა, რომ მ. მაჭავარიანის ლექსი „კომუნისმი“ ორიგინალური ნაწარმოებია. ჩვენ დავუმატებთ, ავტორმა ამ მეტად საპასუხისმგებლო თემის ასახვა ზოგადად პოეტური მიგნებით გაამდიდრა. ავიღოთ, თუნდაც ფართოდ გახმაურებული მხატვრული სახე:

— ამ ვიწრო ქუჩაში კომუნისმი ვერ  
შემოეტყვია!—  
სახლებმაც იფიქრეს და სახლის  
პატრონებმაც.

ქუჩის დასაწყისთან მოდგა კომუნისმი,—  
ელვის უსწრაფესად ქუჩები ფართოვდება.

აქ, პირველყოვლისა ყურადღებას იქცევს უაღრესად თავისებური და გაბედულად შემობრძანებული პოეტური ფრაზები. რაც ემყარება სათქმელის საგნებით მოულოდნელ ყალიბში მოქცევას. ერთი შეხედვით ჩვეულებრივ, ყოფითს საგნებში გახსნილი მეტაფორები დამაჯერებლობის სრული ძალით აღგვამევიანებენ მოვლენის შინაარსს. აქვე, სხვა სტროფში, ლექსის ძირითადი იდეა ვარაიციული სახეცვლილებით ვითარდება. ამჯერად მოვლენა უკვე სოფლის ენარული სურათით ივსება:

—ჩვენ ვერ ვუმასხამნებთ კომუნისმს  
საკადრისად,—  
მინდვრებმაც იფიქრეს და მინდვრას  
მტეხავებმაც,—

ყუარაიანი ყანის მღელვარება  
თუ ზღვას ვარსკვლავიანს არ შეეხარება.

უბრალოება შეზავებული ფერადოვნებასთან ქმნის განსახილველი ნაწარმოების საერთო ტონს. აღნიშნული თემის წარმოსახვა ამდაგვარი მხატვრული ხერხებითა და უშუალო შეგრძნებით იშვიათობადაც კი შეგვიძლია მივიჩნიოთ.

პოეტის შემოქმედებითი გზის დასაწყისის გასათვალისწინებლად გამოგვაადგება სხვა ლექსიც იმავე კრებულიდან, მაგალითად, „გზადაგზა“. აქაც არაჩვეულებრივი თითქმის არაფერია. ახალგაზრდა პოეტი მშობლიურ სოფელთან მიახლოებისას სიხარულს აუტაცინია.

აქ ყოველი ადგილი და ყოველი კუნძული მისთვის მახლობელი ძვირფასი და ბევრფერადი გამღვივებელია. ასეთი შინაარსის ლექსებით საცხება მსოფლიო პოეზია. მსგავსი მ. მაჭავარიანი არ მიჰყვება გატყეპნილ გზას, მასში ძალუშია ცნობილი თემისადმი ახლებურად მიდგომის სურვილი. და აი, შედეგიც; შექმნილია ახალი პოეტური სახეები, ახლებური სურათი: წლების მანძილზე წვიმა, სტყევა, თოვლი შლის სიყმაწვილში ნარბენ ბილიკებს და ამ ბილიკებზე აღბეჭდილ ნატერფალებს, რაც სინანულს იწვევს ადამიანში. მას გულწრფელად ჰგონია, ყოველი მისი დღე, ყოველი მისი სიტყვა თუ ნაბიჯი სამუდამოდ უნდა აღიბეჭდოს. დროის სატყევე. ამაში ვლინდება მისი განუზომელი სიყვარული სიყრმის წლებსადმი, რაც, თავის მხრივ, ახალ სტიმულს იძლევა შემდგომი წინსვლისა და იმედებისათვის:

— ცაო შენი ბრალია, მიწას რომ არ აჩნია  
ჩემი პატარაობის მკრთალი ნაფხურები;  
ცად გაშლილო ჩეჯილო!  
ცავ, ჩეჯილად გაშლილო  
ვერა!  
მე ვერ გავძლები  
საქართველოს ყურებით.

ყველაფერთან ერთად აქ აღსანიშნავია მძლავრი საპირისპირო შედარებები, რომლებიც წარმოქმნილია ვითარებით ბრუნვაში დასმული სიტყვების მეოხებით („ცად გაშლილო ჩეჯილო! ცავ, ჩეჯილად გაშლილო!“)

როგორც ვხედავთ, შემოქმედებითი გზის დასაწყისშივე მუხრან მაჭავარიანის ლექსებში მეტად საგრძნობია ორიგინალური მხატვრული მეტყველების მიმოქცევა.

გამორჩეული თავისებურება, რაც მ. მაჭავარიანის სიტყვას ემთავისებურად დაეკვება, განუყრელად თან ახლავს მას. რა თემაზედაც არ უნდა წერდეს პოეტი, სიახლის შეგრძნება არასოდეს არ გეტოვებს მისი ლექსების კითხვის დროს.

საბჭოთა პატრიოტიზმის გრძნობა, რომ ჩვენი თანამედროვე პოეზიის საერთო და ყოვლისმომცველი თემაა, ეს ცნობილია. მაგრამ არ კმარა დაკმაყოფილება მხოლოდ აღნიშნული თემის აქტუალობით; საჭიროა აღნიშნული გრძნობის გატარება პოეტური სულის ჯერ გაუქვლელ ლაბირინთებში, რათა იქიდან იგი განსხვავებულ ყალიბში ჩამოსხმული იერით გამოვიდეს.

ახალი თემის გამოხატვის ახალი ფორმა შეეფერება. ახლებური ინტონაცია ავტორისა ხელს უწყობს სიახლის შეგრძნებას ამა თუ იმ ნაწარმოებში. ახალ თემებსა თუ მოტივებს

**ბრიგოლ ხმრხუღიძი**

„ტანტო-მანტანტო“

პოეტი თითქმის ყოველთვის ახალ-ახალი ნიუ-ანსებით და ხალისიანი საღებავებით გვთავაზობს. ამ მხრივ, საინტერესო სურათი წარმოვადგება თვალწინ, როცა პოეტი მშობლიურ გარემოს ხატავს:

მოწარწყარებს ლაშურა... იღვიძებენ

ქალები...

სიხარულით ხავსეა პოხიერი გარემო...

სიშინდს ტეხენ ვენახში კოლმეურნე

ქალები:

— გამარჯობათ, ქალებო!

გამობრძანდა მ.პალიც...

დაღმა...

კოხნი შეტყარა,

და...

გარემოს ისეთი სიამაყით გაჰყდა,—

უმაღლოდეს უნდა მას თითქოს მთელი

ქვეყანა,—

რომ...

ასეთი კარგი და მზიანი ღღე გათენდა.

(„კარგი ღღე“)

ამ პოეტური ფრაგმენტიდან ორი მომენტი უნდა გამოვყოთ. ერთია მხატვრული მიმართვის ხერხი, რომელიც სიცოცხლის სიხარულით აღტაცებული ავტორის გრძობას ვაღმოგვცემს, ხოლო მეორე—სოფლის განთავადის აღცილებელი „პერსონაჟის“—მამლის გამოჩენა. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ფრინველთა ფსიქოლოგიაში ამგვარი ღრმავოეტური ჩაწვდომის ცდა არც თუ ისე ხშირია ქართულ პოეზიაში. აღნიშნული მხატვრული სახე—მეტაფორა ერთდროულად შეიცავს მსუბუქ იუმორსაც და სერიოზულ განსჯასაც.

მუხრან მაჭავარიანის ლექსებში გამოვლენილი მხატვრული აზროვნების სითამამე პირდაპირ-პროპორციულია მისი პოეტური სტილის ორიგინალურობისა. ეს დებულება ადვილი გასაგებია უნდა იყოს. ანდა, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, რამდენადაც ღრმია ჩვენი პოეტის შემოქმედების ფილოსოფიური ნაყადი, იმდენად უფრო ტევალი და თავისებურია მისი სალექსო ფრაზა.

მუხრან მაჭავარიანის პოეზია თავისუფლად იძლევა იმის საშუალებას, რომ მასში ცალკე გამოვყოთ მედიტაციური ხაზი. აქ ჩვენ შევხვდებით ისეთ პოეტურ დაფიქრებებს თუ განსჯებს, რომლებიც ყურადღებას იქცევენ სამყაროს მოვლენათა განსხვავებულ რაკურსში წარმოღვევით. არაიშვიათად პოეტი სამყაროს ცნობილი კატეგორიებსა და ჩვეულებრივ საგნებში პოულობს მანამდე გაუხსნელ კონსტრუქციებს და თვისებებს. ამ მხრივაც, მუხრანის ლირიკა უერთდება ქართული კლასიკური და თანამედროვე პოეზიის იმ მოტივს, რასაც მხატვრულ-ფილოსოფიური აზროვნება ავითარებს.

ამ ბლო დროს მედიტაციური ლირიკის სა-

კითხი მკვეთრად დგას ჩვენს წინაშე. საქმე ის არის, რომ ძალზე მომრავლა ისეთი ლექსები, რომელთაც ფილოსოფიური ყურის დაუტყარავი პრეტენზიები აქვთ, ფაქტობრივად კი მათ ამ წესად ნაყოფიერი მცენარის ჩეროში ერთი წუთითაც არ ამოუსუნთქავთ.

საერთოდ ცნობილია, ფილოსოფიური განსჯა ლექსში თვითმიზანს არ უნდა წარმოადგენდეს; იგი არ უნდა ჩრდილავდეს ნაწარმოების გრძობად-კონკრეტულ, ემოციურ საძირკველს. რასაკვირველია შეუძლებელია ლირიკულ ქმნილებაში ფილოსოფიური აზრის დოზირება, მაგრამ ეს კია, რომ იგი არ უნდა იყოს მოცემული შიშველი სახით და თავს არ უნდა გვაბეზრებდეს. საყოველთაო ქეშმარიტებაა, ლექსი მხატვრული ფეროშენი და, ამდენად, პოეტური სახის შექმნას ემსახურება, პირველყოფისა. აქვე დროული იქნება გავიხსენოთ გოეთეს აზრი შილერის პოეზიის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ვიამარელი ბრძენი დიდად აფასებდა თავისი უმცროსი თანამოკალმის ბრწყინვალე ტალანტს, მან მაინც საჭიროდ მიიჩნია მიეთითებინა შილერის გადაპარბებულ მიდრეკილებაზე ფილოსოფიური აზროვნების მიმართ, რაც ზოგჯერ ვაკევეულ ზიანს აყენებდა მის მაღალ შემოქმედებას. აქედან ცხადი უნდა იყოს გოეთეს სამართლიანი აზრი პოეზიაში მისაბამი ზომიერებისა და დახვეწილი სისადავის თაობაზე.

საკითხვია, აღწევს თუ არა მ. მაჭავარიანის მხატვრული მედიტაცია ბუნებრივების საფეხურს და განზოგადების როგორი ძალითაა აღჭურვილი ის? და, თვით პოეტის სიტყვამ უბასუხოს ამ კითხვას.

მას შემდეგ, რაც პოეზია არსებობს, მისი ყურადღების ორიბტი მისი მოქცეულია ადამიანი. ქვეყანაზე, ალბათ, არც მოიბოვება ისეთი პოეტი, რომელსაც თავისი ლექსების საგნად ადამიანზე ფიქრი, მისი არსებობის საჭირობის ტო საკითხავი არ გაეხადოს. ყველა ცდილობს აღნიშნულ თემას თავისებურად აღმიაწეროს, აღმოაჩინოს ახალ-ახალი ნიუანსები ადამიანური სიცოცხლის საიდუმლოებაში, ჩასწვდეს მისი სულიერი სამყაროს სიღრმეებს. ყველაზე მეტად კი ვინაშემოდ სიკვდილ-სიცოცხლის პრობლემა აინტერესებთ, რამდენადაც სწორედ მათი ურთიერთობისა თუ დაპირისპირების საფუძველზეა ძირითადად დამყარებული ცხოვრების განვითარებისა და ცვალებადობის კანონზომიერებანი.

ეს ე. წ. მარადიული თემა თავისი კეთილი უფლებამოსილებით მოკალათებულია მ. მაჭავარიანის პოეზიაში. ამისთანავე, უნდა აღინიშნოს, ეს პრობლემა ბუნებრივად არის ჩამჭდარი მისი ლექსების თემატიკაში და არ გამოირჩევა რაიმე პრივილეგიებით, არ ხმაურებს და არ ცდილობს ყურადღება მიიქციოს.



პოეტო თითქოს სხვათა შორის ჩამოვადებს ხოლმე სიტყვას ამ საგანზე, მაგრამ, როცა კი იტყვის, სერიოზულობის ბეჭედი უტყუარად აზის მის ნათქვამს, რაღა ბევრი ვეძებოთ, აი, ლექსი „ადამიანი“, რომელიც სულ ოთხი სტრიქონისაგან შედგება:

კაკლის ჩეროში წამოვდექი კაკლის  
აყვნიდან,  
მახსოვს: ენატრობდი, რომ მესწავლა წერა  
გაკრითა.  
დღეს ჩემს კუბოზე მე ჩაქუჩის მესხის  
კაყუნი,  
და ეს სიტყვები იწერება ხელით  
გაკრულით.

როგორც ვხედავთ, წარმოსახვის საგნად აქ აღებულია ორი საპირისპირო მომენტი ადამიანის მიერ განვლილი გზისა: ბავშვობა და გარდაცვალება. ამ ორი პოლუსის საერთო მნიშვნელობად გამონახულია სრულიად ჩვეულებრივი მომენტი. კაცი წერას სწავლობს იმ მიზნით, რომ ბოლოს თავისი ეპიტაფია თვით გამოჰკვეთოს. რა არის ეს, ბედისწერა თუ ცხოვრების გარდუვალი კანონი?

ამავე პლანში, სიკვდილ-სიცოცხლის დაუნდობელი ჭიდილის დამაფიქრებელი შედეგის გათვალისწინებით არის შესრულებული შემდეგი სტროფიც:

ცაცხებიდან გამოჩანს თეთრი საყდარი;  
არ ჰგავს საფლავის ქვა წისქვილის

ქვას—  
არც მოყვანილობით, არც ბრუნვის  
სისწრაფით;

მაინც, ეს სიმიწვს ფქვავს,  
ის ადამიანს ფქვავს.

(„წისქვილის დამე“)

წისქვილის ქვა და საფლავის ქვა ორი საპირისპირო მხატვრული სიმბოლოა, რომლებშიც წუთისოდლის ჩარხის ბრუნვის დიალექტიკა იგულისხმება.

არავის ეგონოს, რომ სიკვდილ-სიცოცხლის ურთიერთობის ამგვარი ფილოსოფიით მუხრან მაჰავარიანს სურდეს მკითხველის განწყობილება დამამძიმოს. სრულებითაც არა! ჯერ ერთი, ჩვენ ბავშვები არა ვართ და უნდა შეგვეძლოს სინამდვილეს თვალი გავუსწოროთ, და მეორეც, სიკვდილის ძალისა და გარდუვალობის ასეთი დაინებელი გახსენება პოეტს შესაძლებლობას აძლევს მასზე უფრო ძლიერი მოკლენის—სიცოცხლის გამარჯვება იქადაგოს. სიცოცხლის გამარჯვებას უამრავი ფაქტორი განაპირობებს, ხოლო ამათგან ერთ-ერთი უმთავრესია მომავლის მიმღი. მერმისის რწმენა ასულდგმულებს ადამიანს, ჰმატებს სამოქმედო ენერჯიას, აზრთანა და გამიზნულს ჰხდის მის არსებობას, ხოლო რწმენისა და იმედის გარე-

შე ადამიანის სიცოცხლე ჰკარგავს ყოველგვარ აზრსა და მნიშვნელობას, სწორედ ამ იდეის დამკვიდრებას უწყობს ხელს მუხრანის ერთი პატარა ლექსიც, რომლის სტროფს ვთავაზობთ მკითხველს:

როგორ ფიქრობენ არ ვიცი სხვანი,  
ჩემი ღრმა რწმენით კი ასე გახლავთ:  
რომ არა ქვეყნად იმედი ხვალის,—  
უმაღ სულ-ხორცის მოხდება გაყრა.

შეიძლება გამოვიდეს რომელიმე ურწმუნო თომა და განაცხადოს: ჯერ რწმენა რა არის და ახლა მასზე დაწერილია ლექსი რაღა უნდა იყოსო? ჩვენ ვუპასუხებთ: ჯერ ერთი, რწმენა ისეთი მაღალი, რამ არის, რომ ყველას გულში არ დაიდებს ბინას და მეორეც, თვით ნამდვილი ლექსიც დადი რწმენისა და იმედის ნაყოფია; ასე რომ არც ის იწერება ყველასათვის. მაგრამ, საბედნიეროდ, ჩვენი საზოგადოებრივი განვითარების ტენდენცია მომავლის რწმენაზეა დამკვიდრებული და პოეზიაც მის გამარჯვებას ემსახურება.


სიცოცხლისა და ბედნიერების ზემოხათვის, სხვათა შორის, ერთი თვისებაც აუცილებელია. ესაა, სახელდობრ, ურთიერთგაგება ადამიანთა შორის, მოყვასის სიყვარული, მისი ჭრისა და ლხინის გაზიარება. იყო ნამდვილი ადამიანი, ნაშნავს საკუთარი „მე“ არ გაიხადო ფეტიშად, სხვასაც მიხედო, შენად მიიჩნო სხვისი დარდი თუ სიხარული, სხვასთან ერთად ერთ ტაფაში იწყოფი. ჩვენ განგებ მოვიშველიეთ ეს ქართული იდიომა, რამდენადაც იგი ზუსტად გამოხატავს ურთიერთობის თვალდებობს აზრსა და მნიშვნელობას. აი, კიდევ ერთი ლამაზი, ვაყვარული თვისება, რასაც მუხრანის მხატვრული სიტყვა ასე თავამოდებით ნერგავს. „თითქმის სიხარულობს ჩემი მწუხარებაც, შენ რომ იზიარებ, ის რომ იზიარებს“—ამბობს პოეტი და თვითონაც მზად არის ხელი გამოგიწოდოს:

თუა სიხარული!—  
ასეთი კაცი ვარ  
არახდროს ვიკითხავ:—  
ვისიც არა?  
ვისიც უნდა იყოს,  
თუა ქეშმარტი,  
ვიზიარებ.

ასე გადმოვიცემა თაობიდან თაობას ქართულ ყოფასა და მწერლობაში დამკვიდრებული ეს რაინდული კოდექსი, რასაც მ. მაკავაია იანა თავისებური ელფერი შეჰმატა. მისი ლექსების ლირიკული გმირი სწორედ ის მოყმეა, „ვის

გრიბოლ ხარხაულიძე

„ტანამ-მამამარცა“



სიკვდილი მოყვრისათვის თამაშად და უჩინ მღერად“.

მ. მაჭავარიანის განსჯისთვის ლექსებში, სამწუხაროდ, შიგა და შიგ მაინც შეიმჩნევა განზრახ გართულებისა და ბუნდოვნების ელემენტები. ასეთ შემთხვევებში ძნელი ხდება ნაწარმოების მთლიანი აზრის გაგება და მკითხველს გაურკვეველობის გრძნობა ეუფლება. ნათქვამი რომ ლიტონი განცხადება არ გამოვიდეს, მოვიტანო ერთ. მაგალითს. ესაა პატარა უსათურო ლექსი:

აზროვნებს თუკი,—ვინ არის რომ—არ  
არის მარტო?  
ვინც არის მარტო, განა მარტო იგია  
მარტო?  
იცის კი ყველამ, ვინც მარტოა, რომ არის  
მარტო?  
ფიქრობს კი ყველა, მარტო რაა,  
მარტოა რატომ?  
უფრო მარტოა, ვინც მარტოა, თუ  
ფიქრობს:—  
რატომ?

ჩვენის ფიქრით, აქ მარტივად სათქმელი გაკვიანტრებულა და, ამის გამო, საერთო აზრი შეიძლება ხელიდან გამოგვეცალოს. გარდა ამისა, ამ სტროფში ერთმანეთს ეცილება ფიქრი და მისი, რადაც არ უნდა დაჯდეს, ორიგინალური გადმოცემის სურვილი. ყველაფერი ეს კი ხელოვნურსა და ძნელად აღსაქმელს ხდის ციტირებულ ლექსს.

თუ ვესურს კარგად გავცნოთ მ. მაჭავარიანს, როგორც ქართული ჩანახატების ოსტატს, უნდა გულდასმით წავიკითხოთ მისი ლირიკის ორი ციკლი: „ჩვენებურება“ და „დიადოგები წვიმაში“. აღნიშნული ქანის ნიმუშებში ისეთი ლექსები, როგორცაა: „პარასკევი“, „გამარჯობა, როგორა ხარ?“, „ღერე-ფანში სხედან, აბოლებენ, კოკისპირულად წვიმს“. საგანგებოდ უნდა გამოვყოთ უსათურო მინიატურა:

გარეთ ხმაურობს წვიმა...  
ოთახს ანათებს ლამაზა...  
— პეტრუშა ვახსოვს?  
— იმე!  
— რა ბიჭი იყო...  
— აპა!

აქ უმთავრესი ის არის, რომ პოეტს შეუძლებოდად დაუტყერია განწყობილება; ეს კი ლექსის საფუძველია... წვიმიან ამინდში, სამფეხსა სკამებზე, მცირე ტაბლას შემოსხლოშია ორი მეგობარი, რომლებიც დაკარგულ ძმაცაც იგონებენ. იქმნება სრული წარმოდგენა, რომ მათს საუბარს აუცილებლად მოჰყვება პეტრუშას „შესანდობარი“. ამგვარად, მოსაწყენი გარემოს და სევდიანი, კუთხური კოლოცა-

ვით შეზღუდული დიალოგის ბუნებრივი შეწყობა ქმნის საერთო, ტიპურ განწყობილებას, აი, რატომ მიგვაჩნია ჩვენ ციტირებული ლექსი ქართული ჩანახატის საუცხოო ნიმუშად.

როცა ვამბობთ, რომ მუხრან მაჭავარიანს გამოუმუშავებული აქვს თვითმყოფადი ხმა, მხოლოდ მისთვის ნიშნული თავისებურებები, პირველყოვლისა, გველისხმობთ მის პოეტურ სტილს. ხელოვნება მხოლოდ მაშინ უნდა ჩათვალოს თავი უმაღლესი ბედნიერების მწვერვალზე, როცა ის საკუთარ ხელწერას მიაგნებს და დიმიკვიდრებს. ამ მწვერვლიდან იგი ამაყად გადმოჰყურებს სხვა სიმაღლეებს, სიყვარულით თვალს ავლებს თავის ქვეყანას, მშობელ ხალხს და მისი გულის თქმით ცოცხლობს.

მუხრან მაჭავარიანი გულადი თამასველივით უტყევს შემოქმედების ამ მწვერვალს. და მე ასე წარმომიდგენია, თითქოს ამ სიმაღლიდან ისმის მისი ხმა:

მიწას—  
ჩემსას, შენსას მისას—  
ცა დაჰყურებს—  
არავისი.

ბოლოს და ბოლოს, რაც არ უნდა იყოს, როგორც პროზა, ისე ლექსი ფრანგებისაგან შედგება;

გადავხედოთ მუხრან მაჭავარიანის მხატვრულ ფრანგოლოგიას და იმ წუთშივე თვალში გვეცემა მისი სინტაქსის თავისებურება.

„სიტყვა თქმული ფილადელფოს ჯენაძის მიერ ძმათა თვისთა თანა შუამთაში“—ესაა ლექსის სათაური, ხოლო მიემართოთ მის ტექსტს: „ამას, იმას რომ: ხელში ხმალი უნდა გვეჭიროს, ჩვენ კი, ხმლისა წალ, ჭიხვისანი გვეჭირავს რქანო, ვინ, ვინ შეგვიწოდოს, ანდა რატომ უნდა შევეინდოს,—ერთი მოთხარი!“ აქ მარტო ფრანგის არქაიზაცია როდია. არა! აქ თვით სიტყვათა უჩვეულო განლაგება ჰქმნის ორიგინალურ წინადადებას, რაც სასვენებო შეეფერება ასასახე სიტუაციას. ერთი მაგალითი თავისებური პოეტური სინტაქსისა:

ქვითინებს მუხა,—ალაზნს ვალმა.  
ილიას თვალწინ რომელიც ვახმა...  
კახურით გულის ხშირდება ძგერა,  
პირზე ღიმილი ახებდა გულათხ,  
თვალეში ცრემლით ევსება ხახმატს:  
ვერ იღავითა პატარა კახმა  
ვერ იღავითა პატარა კახმა  
(„ლხინი ალაზნის ჭალაში“)

აზრითა და ემოციით დატვირთულ ამ შესა. ნიშნავ ტაქტებში ერთმანეთთან კარგადაა მორიგებული სინტაქსურ-მორფოლოგიური სიახლენი.

მუხრან მაჭავარიანის პოეტური სტილის თავისებურებას ამირობებს ის გარემოებაც, რომ მის ლექსებში შიგა და შიგ გაიფიქრებს ხელში

არქული გამოთქმები. შატერული ენმა არქაიზაცია ცნობილი ხერხია პოეზიაში. მას მიმართავენ სხვაგანაც და ჩვენშიც როგორც ძველად, ისე ახლა. თანამედროვე ქართულ პოეზიაში აღნიშნული მხატვრული ხერხის ყველაზე უფრო თანამიმდევრული დამკველბუ არიან ანა კალანდაძე და მუხრან მაკავარიანი. მათს ლექსებში იმდენად საგრძნობი დონითაა შეტრილი ძველი ქართულის ფორმები, რომ თავისუფლად შეგვიძლია ეს მომენტი მათი პოეზიის ერთ-ერთ დამახასიათებელ სტილურ ნიშნად ჩათვალოთ.

მუხრან მაკავარიანს ძალზე აქვს განვითარებული სიტყვის გემო. თუ შეიძლება ასე ითქვას, იგი ქართული სიტყვის ჩინებული ღვეუსტარტორია, კარგად იცის ახალი და ძველი ქართულიც. არქული ფორმების გამოყენებას მის პოეზიაში გარკვეული შინაარსობრივი ფუნქცია აკისრია. იგი ხელს უწყობს ამა თუ იმ სიტყუიის სრულქმნას, სურათს ანიჭებს თავიბურ კოლორიტს. მაგალითად, შეინიშნება, რომ ფრანგის არქაიზაციას პოეტს უმეტეს შემთხვევებში მიმართავს წარსულზე უპყლობის დროს: „იყოს კურთხეულ აწ და მარადის; მიწა ასპინძის, მიწა მარაბდის...“ გასაგებია, ასპინძელი და მარაბდელი გმირი წინაპრების მოხსენება ძველქართული ტერმინოლოგიით კარგად ესადაგება მოვლენის არსს, სხვა დროს ავტორის მიერ „ეფესისტყაოსანი“ შედარებულია ისეთ უძველეს ცნებასთან, როგორიცაა „ძელი უღობველი“, რაც ნიშნავს გამძლეობით განთქმულ ხეს. ერთგან ფარნაოზ მეფის ცნობილი ნაღირობის პირობებს პოეტმა ასე გადმოგვცემს: „ღღამომში, გოღლეგის უბანთან. — ღვართქაფმა უფროე უმატა“. განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენს ალუდა ქეთელაურის სახის განცდა მუხრანის მიერ. მას შესაბამისად აღუქვამს ერთი დრამატული ეპიზოდი ვაჟა-ფშაველას პოეზიაში და თავისი თანაგრძნობა ხეცსურთ რაინდისადმი ძველქართული ლექსიკით შეუფერადებია: „კაცი მოჰკალი, — ტირილი იყავი ბოროტი როდი! იყავი ბოროტი როდი! ც რ ე მ ლ ო ო დ ა და ტირილი. ხაზგასმული გამოთქმა პოეტს უსესხებია ახალი აღთქმიდან („და ცრემლოდა იესოცა“, იოანე, II, 35) და შესაფერისი ეფექტისთვისაც მიუღწევია. ილიასადმი მიძღვნილ ლექსში შენარჩუნებული უნდა ყოფილიყო ილიასეული მეტყველების სიღრბისა და ეს ასეც მოხდა: „მატარებელმა მოკაილა თბილისს ხაყვარლად! — იქნებ ილია ჩამობრძანდა პეტერბურდილიში!“

მაგრამ მ. მაკავარიანს ძველი ქართული გამოყენებული აქვს არა მარტო წარსულის სურათების ჩვენებისას, არამედ თანამედროვე გრძნობების გამოსახატავლაც. ერთ-ერთ ლექსში, მთავალითად, ავტორი ავითარებს იმ აზრს,

რომ პოეტისა და შვითხელის გაცდებმა ისე უნდა იყენებდნენ შეთვისებულნი „გაფრთხილებას“ ნიშნად წარმოადგენს ზღვათათვის წინააღმდეგობა სუნთქვა წარმოადგენს ნაცნობს ქარისთვის! ახალი სამგორისადმი მიძღვნილ ლექსში პქვია „ფერადი სიმღერა“, სადაც საკმაოდაა მოხმობილი ძველი ლექსიკა. კერძოდ, აქ შევხვდებით უძველესი ქართულისათვის დამახასიათებელ ისეთ მოვლენას, როგორიცაა ტმენი: „სამგორში ვარდი ამოდის... შეიმღერა ცოლიკაური... მოვიმევიდა, იმღერა, გადაიარა იორა“ გავისხენდა შუშანიკის წამებებიდან: „შემოვიმევიდა“. სხვა ლექსში ავტორი მიბარდას მშობელს თუ სამშობლოს: „ვერ ვიარსებებ თვინიერ შენსა, ვითა სულისა თვინიერ ხორცი“. და ისევე ღაღადისი საქართველოს მიმართ: „ხარ სავსავი ჩემთვის ტაძარი“. ეს უკვე ქართული ენის უძველესი პლასტიკაა.

ბუნებრივია, სულხან-საბას ლექსიკონი მ. მაკავარიანის არამც თუ სამავილო, არამედ სასულთმოლო წიგნია. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მისი პოეზია საკმაოდ დატვირთულია საბას ენობრივი საუფიციოც („საღართა“, „ნოღართა“, „მარანი“, „ღვამე“, „პატრუცივი“, „ლეშტერი“).


როგორც თვალნათლივ ჩანს, მუხრან მაკავარიანის ლირიკაში ლექსიკური არქაიზებმა არ არის თვითმიზანი, არ არის ვითომ სიბრძნეში გადასული აღამიანის პოზა, არამედ მათი საშუალებით იქმნება კოლორიტული სურათები, შესანიშნავი მხატვრული სახეები და, ამდენად, ისინი სავსებით ამართლებენ თავს.

მ. მაკავარიანის ლექსების მხატვრული ენის კიდევ უფრო მდიდარსა და მრავალფეროვანს ხდის მისთვის აგრეთვე სისხლბოროტული ხალხური ინტონაციები, სასაუბრო მოქცევები. ეს არა ერთხელ აღნიშნულა და ჩვენც გვინდა გავამახვილოთ მანზე ყურადღება.

ამ შემთხვევაში შედეგი იგივეა: ხალხური კილოცავი ლექსში შემოდის ძალდაუტანებლად, ბუნებრივად, დროულად; იქმნება დამახასიათებელი პოეტური კონტექსტები შეფერადებული შინაურული, თბილი ტონებითა და კუთხუთი იერიით.

ჩვენს მიერ აღნიშნული ლექსის („შენ — სისხლო ჩემო...“) ფინალში გამოყენებული ხერხი — გამაზმნეველი შორისდებულები — მოხდენილად ამთავრებს ნაწარმოებს ზეაწვეულ შინაარსს: „საბედნიეროდ, საბედნიეროდ. — ჰაი, ჰაი, რომ კიდევ ხმარობ“. „ქართლის ცხოვრების“ ძირითადი ხასიათის გამოხატველია სტიქონება: „— იგი დედასა მტრისასი! — შეხლა-შემოხლა გმირთა...“ პოეტმა ეთანდილის სიმღერას („რა ესმოდეს მღერა

ბრძოლ ხმრხმულიძე  
„ბრძოლ-მარხმრძე“



ყმისა...\*) შესანიშნავად გამოუქმებნა ხალხური  
მჭივიალენტი: „ტყე-ტყე მიდის... ტყე-ტყე მი-  
დის... იწი მიწი ფერად შინდი... იმღერს  
ლექსთა საბრალოთა... მიდის... მიდის...“ საე-  
სტობით გასაგებია, რომ ეს მხატვრული კონტექ-  
სტი ნათლად მიგვანიშნებს ავთანდილის (იგივე  
რუსთაველის) სიმღერის უკვდავებას. პოეტი  
მიმართავს მეგობარს: „აკაცი კი არა,—ალიცვა-  
ლი გარიყრაჲი ხარ!“ ერთ ლექსში ავტორი  
კუთხურ გამოთქმას იყენებს ხევერული ყო-  
ფითი სიბრძნის დასახსიათებლად: „ხევესურ  
ჩამოდის ლქოკით: მოყმენი ფრანგულს უქე-  
ბენ... რამდენი რამე იყო ყვ კარგი და ჩემი  
ურგები!“ აი, ქალაქური ნოტივე პოეტურ მე-  
დიტაციოში გარეული: „და შუქი იგი—ღირს  
მართლაც რაღად, მუდამდღე ბნელი—რასაცა  
აბლავს, მასლას“. განსჯათს ნაკადში სამშობ-  
ლოსადმი მიმართული ეს ვედრებაც გამოირჩე-  
ვა: „წუთისოფელი როცა მიყვლებს,—თიხად  
ქე მიინც გამოიყენე!“

მ. მაკავარიანის მიერ მოშველიებულ კუთ-  
ხურ გამოთქმებს პოეტური დიალექტობები  
უნდა ეწოდოთ, რადგანაც ისინი ყურს არა  
გვეჭრად და მხოლოდ და მხოლოდ პოეზიას ემ-  
სახურებინან.

ამგვარად, მ. მაკავარიანის მხატვრული ლექ-  
სიკა ზომიერად არის შეზავებული არქაიზმე-  
ბითა და ხალხური ტონებით, რაც უფრო სიან-  
ტერესოსა და დაეკლავიანს ხდის მას.

ენობრივი მარაგი არის მასალა მხატვრული  
სახის შესაქმნელად. ხოლო მასალის მარჯვე  
გამოყენება ოსტატის საქმეა. რა აღვიღს მიუ-  
ჩენს და როგორ ჩუქურთმას გამოიყვანს ოს-  
ტატი ამა თუ იმ სიტყვიდან, თუ სიტყვათა  
კომპლექსიდან—აი, ის უმთავრესი ხელოვნება,  
რომაც ვაფასებთ საბოლოოდ პოეტურ ქმნი-  
ლებას.

შეიძინევა, რომ მ. მაკავარიანი არჩევს და  
ქმნის სიტყვათა ისეთ კავშირებს, რომლებიც  
ყურადღებებს იპყრობენ თავიანთი ხორციანო-  
ბით და ღონით. მაგალითად, ავიღოთ ასეთი  
მხატვრული სახე: „ღრუბლის ხარებზე ელვა  
წითლად მიმოისახრა“. ენერგიული მხატვრული  
კონტექსტია, რომლის საშუალებითაც სავეს-  
ბით ორიგინალური პოეტური სახეა შექმნილი.  
ამ მხრივ, საინტერესოა ასეთი სტრიქონი: „ვით  
ამოდებულ მოვლივარ ხმალი“.

აქვს, აგრეთვე, მუხრანს „საკუთარი“ სიტ-  
ყები, რომლებიც მან ვულთთან ახლო მიაქვს  
და დიდად ენდობა მხატვრული მეტყველების  
დროს. ერთ-ერთი ასეთი სიტყვაა, მაგალითად,  
„სისხლი“. აღნიშნული ენება, საერთოდაც,  
დრამატულ მოვლებთანაა, უმთავრესად, და-  
კავშირებული და თითქმის ყველთვის მძიმე  
ასოციაციებს იწვევს. ამ სიტყვას მუხრანის  
ლექსებში დიდი მხატვრული ფუნქცია აქვს და-  
კისბებული და ისიც კარგად ახსრულებს ამ

ამოცანას. ჩვენ უკვე განვიხილეთ ლექსი,  
„შენ—სისხლო ჩემო—სად არ დაღვრილო...“,  
რომელიც მთლიანად აგებულია სისხლს ღრმად  
შინაარსობრივ გაგებაზე. ასეთივე როლი აქვს  
დამოძილი აღნიშნულ სიტყვას პოემა „ვახ-  
ტანგის ეპილოგში“. „და დღეს—შოთაის ნაქო-  
ნის სისხლი, და დღეს—ვახტანგის ნაქონი  
სისხლით, და დღეს—სულხანის ნაქონი სისხ-  
ლით—თბილისის ფართო ქუჩებში დადის:  
ლეილა, ლონდა, ნათია, ნანი, ელისო, ვაჟა,  
გიორგი, გივი და... იარონ! იარონ! იარონ! ამ-  
ინ!“ ჩვენ ვხედავთ, რომ ამ ერთი ენების ფარ-  
თო გახარებით დამყარებულია ორგანული  
ურთიერთობა წარსულსა და აწყოს შორის.  
ერთი მაგალითიც: „მწყურთა: მგერლიდან იშ-  
ხველოს სისხლმა და თბილი, თბილი,—მსუნთ-  
ქვე სისხლი სოველ ბელტებში ენებინან მი-  
მოიღვაროს“. პოეტი საფრთხის წინაშე დგას,  
როცა ლექსებში ასე დაენიებით იყენებს აღ-  
ნიშნულ სიტყვას, მაგრამ მ. მაკავარიანის პოე-  
ზიაში საფრთხე თავიდან აცილებულია, რად-  
გან „სისხლი“ მის სტრიქონებში ისე ჩქედს,  
როგორც არტერიამში და არავის არ უნდა ჰქონ-  
დეს უფლება პატივით არა სცეს პოეტის ასეთ  
ღრმად დრამატიზებულ გულწრფელობას:  
„სისხლზე გოდებენ სხვები დაღვრულზე, მე  
დასაღვრელი მედარდვის სისხლი“.

აქვე არ შეიძლება არ აღნიშნოთ ზოგიერ-  
თი აშკარად ფორმალისტური გადახვევა მ. მა-  
კავარიანის სახეობრივ სტრუქტურაში. მაგ. ხე-  
ლოვნური შეთანხმებებია: „ვარდილო თუ თა-  
მარ!.. ბელურა აქ თუთამა!“ იაფფასიანი რით-  
მები: „აკაციები—აქაციები“. ნატურალიზმის  
იერი დაპყრავს ასეთ მხატვრულ სახეს: „ძრო-  
ხის ვარდისფერ ცურთან რძის თეთრი ჩხი-  
რები წარდაუწუმ გამოსხივდებიან ხოლმე“. სა-  
ბედნიეროდ, ასეთი მხატვრული ლაფსუსები  
ხშირად არ გვხვდება მ. მაკავარიანის ლექ-  
სებში.

საერთოდ, მუხრან მაკავარიანი, ძირითადად,  
აწყული განწყობილებისა და მეორეული ტო-  
ნების პოეტიკა. სიცოცხლის დინამიკა, ცხოვრე-  
ბის ყრიაშული ვადამდებლ მოქმედებს მასზე  
და ისიც მზად არის გულგაშლით შექმდებოს ყო-  
ველივე სიკეთეს. „დღეს ჩემს გულში, შეიქ-  
ლება არ იცოდე შენ, მოელი თავის სიდიადით  
მოიკეცა მზემ“—ამბობს პოეტი ერთ თავის  
ლექსში. ამ სტრიქონებით ავტორი გადავიწო-  
ნის მთელ თავის შინაგან სამყაროს, რომელიც  
აესებულია უდიდესი სინათლით. ეს სინათლე  
და შემაერთებელი განწყობილება არის მ. მა-  
კავარიანის პოეზიის საყრდენი ბერკეტი. ეს  
არის მისი საიმედო საძირკველი როგორც ძვე-  
ლი, ისე განსაკუთრებით ახალი ცხოვრების  
წარმოსახვის დროს. აქაც შესანიშნავი სტრი-  
ქონები მინდა დავიმოწმო: „არაფერი არ ყო-  
ფილა სიყვარულზე მაღალი. მე ლენინის ქუჩა



მისმენს და კიროვის ბაღნარი. ყურადღებას  
სამყურებო. ყურადღება! გრივალა. ყურადღ-  
ღება! ლაპარაკობს საქართველოს მთა-ბარი“,  
მეოთხედსაუკუნოვანი მალანტიეიერი პოეტუ-  
რი ღვაწლი მუხრან მაჭავარიანისა უფლებას  
აძლევს მას დღესაც გაიმეოროს ეს სიტყვები  
სამშობლოს სახელით. ამავ აზრით აღვიქვამთ  
მის ნათქვამს:

**მგონია:**  
ჩემი სუნთქვით სულდგამულობს  
ყოველივე,  
წვიმას გადაუღია, მიწა სოველია.  
მწყურია:  
შევისუნთქო ტყემლები, წყარო.  
(„ის სინანულით..“)

აი, ვერლიბრის ჭერიც დაღა. რამდენი უსი-  
ამოვნო შეხლა-შემოხლა გამოიწვია მან უკა-  
ნაქნელ წლებში ჩვენს ლიტერატურულ კრი-  
ტიკაში! ჩვენ არ ვაპირებთ ამ პაექრობაში ჩაბ-  
მას. არც ისე ეგონოს ვინმეს, ვერლიბრს ზე-  
მოღან ვუყურებდეთ. არა, მას ჩვენი დასაწუნი  
რა სკირს? მარტო უიტმენისა და აპოლინერის  
გახსენებაც კმარა, რომ თავისუფალ ლექსს შე-  
საფერი პატივისცემით მოგეპყრათ. ვიტყვი  
მხოლოდ, რომ ამ ბოლო ხანს მეტად მოგვეძა-  
ლა ლექსის ეს ფორმა და ბევრმა მდარე ნაწარ-  
მოებმა მისი ნიღაბი მოირგო. ავიწყდებათ,  
რომ ვერლიბრიც ლექსია და მისთვისაც აუცი-  
ლებელია სინათლე და, თუ გნებავთ, თავისე-  
ბური სიმწყობრე, რიტმი. უამრავ მასალაში  
იშვიათად თუ შეგხვდება ნამდვილი თავისუ-  
ფალი ლექსი. სამაგიეროდ ბლომდაა ყოველ-  
გვარ აზრსა და ლოგიკას მოკლებული ნაწარ-  
მოები, რომელიც ლექსის გარდა ყველაფერია.  
ასეა, როცა კაცი რაიმეს აიჩემებს და თვითმიზ-  
ნად გაიხდის. აი, როგორი ვერლიბრის წინა-  
აღმდეგი ვართ ჩვენ.

მუხრან მაჭავარიანი ვერსიფიკაციული ძიებე-  
ბითაც გამოირჩევა. მისი პოეზიის მრავალფე-  
როვნებას რიტმულ-მეტრიკულა ნაირსახეო-  
ბაც ჰქმნის. აქ, რასაკვირველია, ვერლიბრსაც  
უჭირავს თავისი კუთვნილი ადგილი. უფრო  
ხშირად პოეტი კლასიკურ და თავისუფალ  
ლექსს ორგანულად აზვავებს ერთმანეთში და  
თავისებურ შენაერთს დებულობს. ასეთი ლი-  
რიკოს შესანიშნავი ნიმუშია, მაგალითად, „სა-  
ბა“, რომელიც ჩვენ უკვე განვიხილეთ. ამ მო-  
საზრების დასამტკიცებლად ავიღოთ კიდევ „რა-  
ტომ“. ამ ლექსის დასაწყისი სტრიქონები გა-  
რითმულია, ხოლო შემდეგ ამას მოსდევს ჩვე-  
ულებრივი ვერლიბრი. ოცნებაგაწილებული  
ლირიკული გმირი, რომელიც ბავშვობისას  
ექიმობას ნატრობდა, ეკითხება საკუთარ თავს:

გავიდა ხანი.  
დღეს შენ უკვე ვუჟაკი ხარ.  
შენ არ ხარ ექიმი.

**ლექსებს წერ შენ**  
და მე გავითხები შენ:—  
რატომ გააწილევ პატარა მუსხრანს!

როგორც ვრწმუნდებით, აქ თავისუფალი ლექ-  
სის ფორმაში გამოთქმულია მეტად კონკრეტუ-  
ლი და პოეტური გამგედაობით აღბეჭდილი  
გრძნობა, რაც, ამიტომ, ნათელია და გასაგები.

ისე კი პოეტს უნდა ვერჩიოთ, ყურადღება  
არ მოაღუნოს ახალი რიტმული ვარიაციების  
შექმნის დროს, რათა ლექსის კომპოზიციური  
მთლიანობა არ დაირღვეს, რასაც აქა-  
ეჭვდებით.

გადაუქარებლად შეიძლება ითქვას, მ. მა-  
ჭავარიანის მთელი რიგი ლექსების კითხვის  
დროს ჩვენ შეუცდომლად ვგრძნობთ დიდ ში-  
ნავან ძალს და შემართებას. ამის კიდევ ერთ-  
ხელ დასადასტურებლად მთლიანად მოოყვანთ  
ერთ პატარა ლექსს:

საშველს რომ აღარ მაძლევს ხოლმე  
მამულზე ფიქრი;

**ხანდახან**  
გულში  
ლიმილით  
ვიტყვი:—

რა ჩემი ქეუის საქმეა ნეტა,  
მამულო ჩემო, გილინს თუ გიქირს!—  
რომელი მეფე ვერტლენ მე ვარ!  
ანდა რომელი მსაჯული მისი!  
პასუხად მყისვე,  
ვითარცა სეტყვა,  
ვინც კი და რაც კი არსებობს ირგველი,—  
იხუვლებს ხოლმე,  
იხუვლებს ერთხმად  
ღალატიაო  
მაგვარი  
ფიქრი!

ჩვენ იძულებული ვართ გავიმეოროთ ნათქ-  
ვამი: ძველ სათქმელს პოეტმა ახალი კუთხე,  
ახალი ფორმა, ახალი ფერები უნდა გამოუძებ-  
ნოს; ძველდება არა სათქმელი და აზრი, არა-  
მედ ფორმა, გამოხატვის საშუალებანი. ზემო-  
მოყვანილი ლექსის მაგალითზე მშვენიერად  
მტკიცდება, რომ ბედნიერად მიგნებული ახა-  
ლი შტრიხი თუ საღებავი უკვდავს ხდის, უფ-  
რო მეტად აძლიერებს საუკუნეებით განმტკი-  
ცებულ ეროვნული ღირსების გრძნობას.

მოვიდეთ პირველ სიტყვაზე. ეროვნული  
ღირსებისა და თავმოყვარეობის შეგნება ეწყა-  
რება, პირველყოვლისა, სამშობლოს მთლიანო-  
ბის საძირკველს. ჩვენი ეპოქის შემოქმედი  
მკვიდრად დგას ამ საძირკველზე. იგი სიამაყით  
გაპყურებს თავისი ქვეყნის თვლუწმდენ პორი-

**გრიგოლ ხარბაშულიძე**  
„ბახთი — მახაზანი“

ზონტებს და მადლიერების გრძნობით იკონებს  
იმ წინაპრებს, რომლებმაც მცირე წვლილი  
როდი შეიტანეს ხალხის გაერთიანებისა და გა-  
მარჯვების საქმეში.

როგორც ყოველ ჩვენთაგანს, მუხრანსაც  
ჰყავს თავმოსაწონებელი წინაპრები. ძველ სი-  
გელ-გუჯრებში მან ნახა ერთი საბუთი. ეს არ-  
ის ერეკლე მეორის მიერ იესე მაჭავარიანი-  
სადმი მიწოდებული სიგელი, რომელშიაც ნათქ-  
ვამი ყოფილა:

„...სამღვდლო მსახურებითაც გემსახურებ-  
დი და იარაღის მოხმარებითაც... ფრიადისა  
ერთგულებისა შენისათვის, სანატრელი პატ-  
რანი მამა ჩენი და ჩვენ გარეთ მყოფობაში,  
ქალაქს გარეთ აღსარებას შენთან ვიტყო-  
დით...“ ეს სიტყვები ეპიგრაფად აქვს წამძღვა-  
რებული ლექსს, რომლის სათაურია „კახთ-  
მაჭავარი“:

საუღრით გამოდის პატარა კახის  
კარის მოძღვარი კახთ—მაჭავარი,  
რომელიც თურმე ყოფილა ნაღდი  
კაცი და, მერე, კაცი რავარი!—  
ჩემი არ იყოს, ქართველი ხალხი  
ყოფილა თურმე მისთვის მთავარი.

ამ ლექსში მოქცეულ შინაგანად ამაღლე-  
ბულ ემოციას რამოდენიმე ფაქტორი კვებავს:  
პირველი და გადამწყვეტი სტიმული კახთ—მა-  
ჭავარი გახლავთ. ამ სახეშია სწორედ ხორც-  
შესხმული პოეტის სული მთავარი. მისი წინა-  
პარი განაზოგადებს საქართველოს მთლიანო-  
ბის იდეას: ერეკლე მეორის კარის მოძღვარია  
მაჭავარიანი. ამასთან ერთად ქართლ-კახეთის  
მეფეს იგი მხარში უდგას არა მარტო სამღვდ-  
ლო მსახურებით, არამედ მეომრობითაც. და  
კიდევ, ხალხის ერთიანობის იდეითა და გმი-  
რული სულისკვეთებით იჭედება შემაერთებ-  
ლი ჯაჭვი აწმყოსა და წარსულს შორის.

მუხრან მაჭავარიანი ამქამად შემოქმედბი-  
თი სრულყოფის ასაკში შედის. მისი პოეტური  
გარჯის ნაყოფი ზეაერიელია და წინ კიდევ  
შთაგონებული მოღვაწეობის ახალი სანახებია  
გადაშლილი. გვჭერა, კვლავაც სიხარულის  
ბევრ კალოზასა თუ რთვლობას მოიწევს  
ხელბედნიერი ოსტატი და ჩვენც შეგვეძლება  
სიმართლით შევეხმიანოთ ძვირფას პოეტსა  
და გულითად მოყვასს:

ბარაქა შენს კალოსა და რთველსა, მუხრან!





# ადამიანის რენესანსული იდეალის ბანეითარება

„გაგებდავ ვთქვა, რომ ადამიანური სიკეთე, თვისთა ნაყოფთა სიმრავლით, ერთიანად ანგელოზთა სიკეთეს აღმატება და უფრო ღვთაებრივია.“—წერდა დანტე „ნადიმში“ (IV, XIX, 6).

დანტე გამოთქვამს აზრს, რომელიც თავისივე შენიშვნით, „გასაბედია“, დანტე, გარკვეულ აზრით („კეთილშობილების ნაყოფთა სიმრავლის“ მიხედვით), ადამიანს ანგელოზებზე ზეაღმატებულად სახავს. ამის თქმაც კი გაბედულებად მიაჩნია დანტეს. მაგრამ გაცყეუთ ამ იერარქიას: ანგელოზებზე მალა დგას ლმერთი. საბოლოოდ დანტე ადამიანს ღვთაებას უკავშირებს; შეიძლება ითქვას სწორედ „გარკვეული აზრით“ მას უთანასწორებს კიდევაც. ეს პირდაპირ არ უთქვამს დანტეს (იგი გამომდინარეობს მისი მხატვრული სახეების წილიდან). ხოლო პირდაპირი სახით ასეთი რამ გამოითქვა ქართული აზროვნების მიერ: ადამიანი ღვთაების ტოლია, ადამიანი თვითონ გაიანზრება ღვთაებად,—ასეთ პრინციპამდე მივიდა რუსთაველის ხანის ქართული აზროვნება, კონკრეტულად, ქართული მხატვრული აზროვნება.

რა საფუძველზე და რა ფორმით შეიძლება თქმულიყო ეს? როგორი იყო მისი ფილოსოფიური საფუძვლები? რა მოპქონდა ასეთ შეხედულებას ქართული თეორიულ-ლიტერატურული და ესთეტიკურ-ფილოსოფიური აზროვნებისათვის? რა გავლენა მოახდინა მან ქართულ მწერლობაში ადამიანის ესთეტიკური იდეალის განვითარებაზე?

ამ საკითხების კვლევას გვიკარნახებს შემდეგი გარემოებანი.

რუსთაველის ხანის რენესანსულობა უპირველესად მქადვდებოდა „ადამიანთმცოდნეობის“ მაგალითზე. როგორადაც არ უნდა განვითარებულიყო გონებრივი შემოქმედების ნებისმიერი ღარყო, თუ მათი წარმატებანი არ აირეკლებოდა

ბოდა საკუთრივ „ადამიანთმცოდნეობაში“, ძნელი იქნებოდა გველაპარაკა ეპოქის რენესანსულ ხასიათზე. ამას გვიკარნახებს რენესანსის უპირველეს ნიშნად ჰუმანიზმის მიჩნევა (ესაა მისი აუცილებელი, თუმცა არასაკმარისი ნიშანი). ესთეტიკური ანთროპოცენტრში ვულისხმობს, რომ ნებისმიერი წარმოდგენის თუ შეხედულების სტრუქტურა ანთროპომორფისტულია, ე. ი. ადამიანის თვისებების ანალოგიით გაიანზრება. ამრიგად, მთავარია, რომ თვით აზროვნების მე თ ო ღ ი ა ანთროპომორფისტული და ამიტომ არაა საკმარისი იმის აღნიშვნა რომ აზროვნების ძირითადი ს ა გ ა ნ ი ა ო ადამიანი. ამასთანავე, ადამიანის თვისებების ანალოგიებზე რომ ვლაპარაკობთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს არაა აბსტრაქტული ადამიანი, არამედ ე. წ. „მოთიანი ადამიანი“, სრულყოფილი ადამიანი (პომო უნივერსალის). სხვაგვარად: როცა რუსთაველი თავის კოსმოლოგიურ, ან თუნდაც, ასტროლოგიურ შეხედულებებს გამოთქვამს, მისი აზრთა წყობის საფუძველი ადამიანზე ფიქრი. ნებისმიერი წარმოდგენა მიემართება ადამიანს. სამყაროც „გაადამიანურებულია“. ესაა „პოეტური პანთეიზმი“. ყველაფერი ემსახურება ადამიანთმცოდნეობას. ასეთი პოზიცია გულისხმობს, რომ სამყაროს განვითარების მიზანია ადამიანი. აქედანვე: ნებისმიერ პრობლემას ეთიკური ასპექტი გააჩნია. (გოეთეს მკვლევარები აღნიშნავენ, იგი განცდებს ასაკობრივებდა და შემდეგ განცდლათ ურთიერთკავშირს სავანთა ურთიერთმიმართებით გვაჩვენებდაო). რუსთაველი საგნებშიაც კი ადამიანურ თვისებების სიმბოლოებს ხედავს, ოღონდ აბსტრაქტუალნიად ღვთაებრივი გამოვლინების სახით. ამაშია რუსთაველის თავისებური „რომანტიზმი“. „რომანტიზმზე“ საუბარი ცხადია, აქ ისევე პირობითია, როგორც საუბარი რუსთაველის „რეალიზმზე“. ე. ი. ინტერესი ნებისმიერი პრობლემებისადმი იზადება ადამიანთმცოდნეობის რომელიმე ასპექტის განვითა-

წყაითხულია მოხსენებლად უნივერსიტეტში 1970 წ.



რების მიზნით. აღამიანიდან ამოსვლით იზადება პრობლემა და ვითარება აღამიანთმცოდნეობის ასპექტში. ამიტომ თუ რაიმე სისტემაზე შეიძლება ლაპარაკი „გეფხისტყვისანში“, ეს უპირველესად აღამიანთმცოდნეობას მოიცავს.

როგორ მიემართება სამყარო ღმერთს? როცა ასეთი პრობლემა დაისმის, რუსთაველისათვის ამას აქვს არა თავისთავადი მნიშვნელობა, არამედ იგი იმთავითვე მიემართება აღამიანის საზრისს, ე. ი. კითხვა იმთავითვე ასეთ შინაარსსაც შეიცავს: რა მნიშვნელობა აქვს ამ მიმართებას აღამიანისათვის?

ეს უკანასკნელი პრობლემა განსაკუთრებით მნიშვნელობას იძენს რენესანსულ ჰუმანიზმში. რენესანსული აზროვნება უნდა მივიჩნიოთ არა მხოლოდ ანტიკის აღორძინებად, არამედ ფაქტურად მთელი წინაურ ცივილიზაციის მონაპოვართა ათვისებად: ანტიკურისა, ქრისტიანულისა და მაჰმადიანურისა. რუსთაველი „აღამიანთმცოდნეობაც“ ამ წყაროებს მოიცავს.

ღერძი რენესანსული მსოფლგაგებისა თუ მსოფლშემეცნებისა აღამიანის შემეცნებაა. აღამიანთმცოდნეობა კი უნდა ღონეს მხატვრული აზროვნების სფეროში აღწევს.

მოდერნობათა ნებისმიერი სხვა ფორმა, მაგალითად, ფილოსოფიური, სოციალური, თუ იურიდიული, სრულიადაც ვერ აღწევს იმ სიმაღლეს, როგორსაც იმდროინდელი პოეტური წარმოდგენები.

რენესანსული ეპოქის ძირითადი პრობლემაა აღამიანის სრულყოფილებების იდეა. აღამიანის სრულქმნის იდეა მთავარია აგოგრაფიისა და ჰიმნოგრაფიისაშიც. მაგრამ მათ შორის სხვაობას ქმნის სრულყოფილების მისაღწევად სხვადასხვაგვარი გზების დასახვა. აღრეულ ეტაპზე ითვლება, რომ აღამიანი სრულყოფილებას აღწევსო ლეგიური გამოცხადებით, რენესანსული პიროვნება კი ამას ახორციელებს საკუთარი შინაგანი ძალებით (სხვა საქმეა ის, თუ საიდან მომდინარეობს ასეთი ძალა).

ესთეტიკურ იდეალთა სეკულარიზაციის ეპოქაში, თუ შეიძლება ასე ითქვას, ხდება აღამიანობის იდეალის სეკულარიზაციაც, იდეალთა — ზოგადი ეროვნული იდეალი იქმნება არა სასულიერო-საეკლესიო იდეოლოგიის წარმომადგენელთაგან, არამედ ახლადდაწინაურებული, განადლებული ფეოდალური არისტოკრატიის ფენის მიერ. უკვე ეს უკანასკნელი ქმნის სულიერ ფასეულობათა კრიტერიუმებს, მათ შორის ლიტერატურულ-ესთეტიკურსაც.

მისი მთავარი იდეოლოგიური საყრდენია ერთმმართველობის იდეა. ერთმმართველობის იდეის ასპექციური განსახიერებაა თამარ მეფე, ამისი ზეციური ანარეგლია ქრისტე — „პანტოკრატორი“ (ყოვლისმპყრობელი) და არა ქრის-

ტი-მწყემსი, ან ქრისტე-კრავი და ა. შ. ფილოსოფიაში მას შეესაბამება მკაცრა მანოთეიზმი („პე ღმერთო ერთო...“) და არა მანოთეიზმი (გეფხისტყვით, რომ ჯერ კიდევ ეესიევი კესარიელი აღნიშნავდა: პანთეიზმი შეესატყვისება პოლიარქიასო). ხომ ცნობილია, რომ ზეცისა და ამქვეყნიური იერარქიების ურთიერთმსგავსების პრობლემები არსად ისე არ დამუშავებულა, როგორც არეოპატიკაში. ეს მსგავსება გააზრებოდა, როგორც ამქვეყნიურობაში ღვთაებრიობის ანარეკლი. იგივე მსგავსება საბოლოოდ ამქვეყნიურობის ღვთაებრიობამდე ამოღების საწინდარად ითვლებოდა (შ. ხიდაშელი).

კარგა ხანია მეცნიერული ინტერესების საგანია თამარის ეპოქაში ჩამოყალიბებული ფრიად საყურადღებო აზრი: თამარი IV ჰიპოსტაზია, თამარ მეფე სამეფოს მეთოხვე წეგრიაო; ამ თვალსაზრისით უპირველესად გამოსაყოფია ისტორიანი და აზმანი შარავანდელთანი“.

აქ გვითხულობთ: „მეცა ესრეთ ვიწყო ამის თამარის სანატრელისა და სამეფისაგანოთხად თანააღწევებულისა, რომელ ეთეროვან იქმნა ხელმწიფეთა შორის“.

იმავე თხზულებაში სხვა ადგილას ნათქვამია: „თუ მაშინ ნაბუქოდნოსორო სამთა ყრმათა თანაოთხებდა იხილა ერთი სამებისთავანი, აქა კულა სამებისა თანა იხილებებისოთხებდა თამარ, მისწორებული და აღმატებული“.


მაშასადამე, თამარი მამა ღმერთის, ძისა და სული წმინდის გვერდით დასახულია ახალ, მეოთხე წვერად, ერთ-ერთ ამ ოთხთავანად. ის, როგორც „ოთხების“ წევრი, თვით სამების სწორად და მასზე აღმატებულადაც კი ცხადდება.

გასათვალისწინებელია შემდეგიც: არაა ლახუსტებულთა, თუ რა სახით შეემატება იგი სამეხას, როგორი წევრია იგი ამ „ოთხებისა“. ტექსტის მიხედვით გამოდის, რომ თამარი თავისი აღამიანური, მეფური სახებით ხდება „ოთხების“ წევრი. მაგრამ ვანა შეიძლებაო, რომ აღამიანური ბუნება სამების ტოლფარადღე შეერაცხათ? ხომ არაა საკულებელი, რომ თამარის სახე ამ შემთხვევაში იძენს სხვა რამ მნიშვნელობას? ვფიქრობთ, რომ ესენი არსებითი მნიშვნელობის კითხვებია, რომლებზედაც პალუსის გაუცემლად ჩვენი საკითხი ვერ გაირკვევა. რა საფუძველზე უნდა მოხდეს ამ კითხვათა ნათელყოფა?

საამისოდ უნდა გაირკვეს: რა საფუძველზე შეიძლებაოდა მისულყო ქართული აზროვნება ასეთ მოსაზრებამდე? ამ თვალსაზრისით გამოსაყოფია შემდეგი წინამძღვრები: 1. კულტურულ-ისტორიული საფუძვლები; 2. ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივი წინამძღვრები; 3. ლიტერატურული წყაროები.

ნიშნადობლივია, რომ თეორია IV ჰიპოსტაზიისა საკუთრივ თამარის ეპოქაში შეიქმნა, ესაა





ერთ-ერთი სიახლე, რომელიც ამ ხანამ შეიტანა ადრიდანეც ცნობილ მეფის ღვთაებრიობის ზოგად იდეაში. ეს თეორია, —თამარი IV ჰიპოსტაზისა, —უნდა მივიჩნიოთ იმდროინდელი საქართველოს სახელმწიფოებრივი სტრუქტურის შესატყვის იდეოლოგიად. საკითხი უფრო გასაგები გახდება, თუ წარმოვიდგენთ, რომ თამარი იყო მეფე, შეიძლება ითქვას, იმპერიის ტიპის სახელმწიფოს, რომელსაც მეფის ტიტულატურის მიხედვით მხოლოდ „საქართველო“ როდი ერქვა. ეს იყო სახელმწიფო, რომელიც აერთიანებდა ამიერკავკასიის ყველა უმთავრეს სახელმწიფოს და ხალხებს, მართალია, მათ მეთაურობდა საქართველო და ქართველთა სამეფო კარი, მაგრამ იდეოლოგიურ-პოლიტიკური მოსაზრებით, ცდილობდნენ ეს მომენტი არ ყოფილიყო წინწამოწყული. იდეოლოგია მოითხოვდა იმასაც, რომ დასაბუთებულიყო თამარის უფლება: იგი აღმატებული ყოფილიყო ყველა ქვეშევრდომ მეფეზე, თამარის ქვეშევრდომი მეფენი, ბუნებრივია, სარგებლობდნენ მეფეთა ღვთაებრიობის იდეით, ამიტომ თამარი, ვითარცა მეფეთა მეფე, უნდა წარმოსახულიყო ყოველივე ზედაშემოქმედებული ღვთაებრიობით. ამგვარი იყო სწორედ IV ჰიპოსტაზის იდეა. იგი ფართოდ აისახა თამარისდროინდელი მწერლობის სხვადასხვა ძეგლში (ფრიად საყურადღებოა მ. კარბელაშვილის დაკვირვება იმის თაობაზე, თუ ხელნაწერებში როგორ ქრება მეფის ღვთისწორობის შემცველი აღვლილები იმ ეპოქაში, როცა საქართველოს ხელმწიფენი კარგავენ უწინდელ ძლევაგამოსილებას (მაცნე, 1971 № 2, გვ. 23 და სხვა). „სწავლულ კაცთა“ კომისია იმდენად „თანმიმდევრულია“, რომ ბურღუნან დედოფლის „ღვთისმშობლობასაც“ აღარ ტოვებს პარკანდელ ტექსტში (იქვე, გვ. 24). მ. კარბელაშვილის დაკვირვებით, ანალოგიური ცვლილებანი განუცდია „ვეფხისტყაისის“ ტექსტს).

IV ჰიპოსტაზის იდეა მეფის ღვთაებრიობის თეორიებიდან სრულიად განსაკუთრებული და, ვიტყვით ჩვენ, უნიკალურია. სხვა მრავალრიცხოვან მავალითებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, როგორც ცნობილია, ჩვენშიაც გავრცელებული იყო აზრი ბაგრატიონთა ბიბლიური შთამომავლობის თაობაზე. მხედველობაში გაქვს გრ. ხანეთელის მიერ ამოტკურაპალატისადმი მიმართული ცნობილი სიტყვები: „წინაწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულ ხელმწიფეო, მეფობა და სათნოებანიცა მისნი დაიკვიდრენ ქრისტეშიან“.

ეს იდეა დიდხანს შემორჩა ქართულ იდეოლოგიას. გიორგი IV ეტენებოდა თემურ ლენგს: „არა უწყია, რამეთუ ძირთაგან დაკით წინასწარმეტყველისათა აღმოცენებულ ვართ, და მის გამო ღმრთისა მიერ ცხებით განეგების მეფობა ჩვენ ბაგრატიონთა და ტომნი ვართ დავით მე-

ფისა და წინასწარმეტყველისა? განეგებითა გამოვალმწყალისა ღმრთისათა მეფეც დაიკვიდრებულ ვართ სრულიად საქართველთა შვილად (ქართლის ცხოვრება, II, 1959, გვ. 461; მ. კარბელაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 22).

მეფის ღვთაებრიობა სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვაგვარად გაიზარებოდა: 1. მეფეს ძალუფლებას ღმერთი ანიჭებს; 2. მეფე ღმერთის შთამომავალია; 3. მეფე ღმერთს ემსახურება; 4. მეფე ღმრთისწორია. მაგრამ ყველა ამაზე აღმატებულია იდეა: მეფე-IV ჰიპოსტაზი.


თამარ IV ჰიპოსტაზის თეორიის არ შეუძენია დოგმის მნიშვნელობა. ეს იყო მოაზრება თამარის პიროვნებისა და არა სამების გადაზარება. (სამება, ცხადია, სამებად დარჩა). მაშასადამე, ეს იყო არა დოქტრინა, არამედ იდეოლოგიური მიზანდასახულების შემცველი აზრი. ეს რომ ასეა, შემდეგინადაც ჩანს: იმავე თხზულებაში, სადაც თამარი IV ჰიპოსტაზად ცხადდება, სხვა ადგილას იგი ღვთისმშობლის სახებადა წარმოდგენილი:

„მიუდგა თამარ გაწმენილთა ჯონებითა დეტარისა ღმრთისა აღმსუქალულისა სანთლითა სხეულისათა, მხურვალთა გულთა და განათლებულთა სულითა ტაბახელასა ბეთლემყოფელმან მუნ შუა ძე, სწორი ძისა ღმრთისა“ („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“) გამოდის, რომ თამარი ღვთისმშობელს ედარება, ლაშკა — ქრისტეს. მაგრამ გაიხსენებთ, რომ თამარის დედაც — ბურღუნან დედოფალიც შედარებულია ღვთის მშობელს: „დედა თამარისი, სწორი ძისა ღმრთისა დედისა“.

გამოდის, რომ თამარი ერთ შემთხვევაში ღვთაებადა წარმოსახული, მეორე შემთხვევაში იმავე ავტორის მიერ ღვთისმშობალადა დასახულა. როგორ შეიძლება ორი ასეთი ურთიერთსაპირისპირო გააზრების შეთანხმება? ვფიქრობთ, რომ აქ დასაშვებია მხოლოდ ერთი შესაძლებლობა: თითოეული გამოთქვამი პოეტური ხასიათისა და კატეგორიული მნიშვნელობის შემცველი არაა. კატეგორიული აზრით არც ერთი მათგანის თქმა არ იქნებოდა შესაძლებელი. ეს იყო უფრო პოეტური სურვილის გამოვლენა, სწორედ სურვილი იმისა, რომ უკოდურესი ვგზალტირებული ფორმით წარმოსახონ დიდება თამარისა. ქართველ ავტორებს ტრიადოლოგიის დარღვევა და ოთხპირობისადმი დღევანდელი შექმნა კი არ განუზრახავთ, არამედ სურდათ სამებასთან თამარის ზედმიწევნით დაახლოება.

საერთოდ ასეთია იმ ავტორთა პოზიცია, რომლებიც მეფის იზოთეოსისა (ღმერთის მსგავსობის) თუ თეოზისის (განღმრთობის) იდეას

**რამაზ სირაძე**  
 ადამიანის რენესანსული იდეალის  
 ბანკოტარება



გამოქვეყნებ. მიუხედავად ამისა, არ იყო გამოირჩეული, რომ ეკლესიის ზოგიერთ წარმომადგენელს მსგავსი გამოანთქევებში არაორთოდოქსალურად, ერთკუთულად ჩაეთვალა. აქ შეიძლება მივმართოთ ანალოგიებს დანტოლოგრიდან. მავალთად, სპეციალურ ლიტერატურაში აღინიშნება, რომ „განსაწმენდელის“ XXX სიბერეაში, სადაც პირველად გამოჩნდება ბეატრიჩე, ანგელუსები მღერიან: „In te, Domine, speravi“ (შენ, უფალო გესავ“ ფსალმერი 30), — ყოველივე ეს ეკლესიისათვის იყო და რჩება ერსად. ი. ბელზა ვაღმონსეცმს თეოლოგი მწერლის ბაპინის თვალსაზრისს: „ბეატრიჩეს ღვთაობა, როგორი აზრიდაც არ უნდა გვესმოდეს ეს სიმბოლო, ყოველთვის რჩება თავსატეხე შესმარავ მოუქნად“. ბაპინი აღნიშნავს, რომ არა თუ განღმრთობა, არამედ ქრისტიანა და ღვთისმშობლის ატრიბუტების სხვის მიმართ გამოყენება მწვალებლობააო. (საკითხავები დანტეზე. მ., 1972, გვ. 204).

მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, რომ არ უნდა იყოს დამაჯერებელი სიმონ ყაუხჩიშვილის შენიშვნა, რომელიც თამარის IV ჰიპოსტაზობის საკითხთანაა დაკავშირებული. იგი წერს: „ისტორიითა და აზმითა“ ავტორს ხიბლავს თამარის მაღალი ზნეობრივი თვისებები და იმდენად აღტაცებულია თამარის სახებით, რომ ავიწყდება მანინდელი საეკლესიო დოკმატებიო“ (ქართლის სტოგერა II, გვ. 35).

„ისტორიანი და აზმანი“ ქართლმწერლობა და სამეფო კარის ოფიციალური იდეოლოგიის გამოხატველი ძეგლიც. ოფიციალური იდეოლოგიის გამოხატველი თხულებობისაგან მოუკიდნელია „ავიწყდებოდეს მამინდელი საეკლესიო დოკმატები“. ამის დაშვების უფლებას არ გვაძლავს მისი ავტორის საერთო მსოფლმხედველობითი კონცეფციის გათვალისწინებაც.

ოფიციალური საეკლესიო დოკმატების დაიწყებას ვერ გაამართლებდა ვერავითარი აღტაცება თამარის მაღალი ზნეობრივი თვისებებით და თამარის სახებით. მეორეს მხრივ, თამარის ეგრერაგად აღტაცებულ იდეოლოგს მისი სამეფო კარისა ქრისტიანობის უიპრველესი დოკმატის დაიწყება არ შეეფერებოდა. IV ჰიპოსტაზობის იდენს თვისებებზეათა შესწავლა ცხადყოფს, რომ ზემოთრ ვაგარება საეკვოა. საეკვოა, რომ ოფიციალურ იდეოლოგიურ დოკუმენტში ეკლესიისათვის შეუწყნარებელი გამოთქმა ყოფილიყო, თანაც ასეთ პრინციპულ საკითხზე. ამიტომ უფრო მართებულად მიგვაჩნია კ. გრგობლის მოსაზრება, რომ დავით აღმაშენებლის ისტორიებში „აღნიშნული იზოთეოსი ისეთი რენესანსული მოვლენა იყო, რომელსაც ოფიციალური ეკლესია იწყნარებდა... ასე ხდებოდა იმიტომ, რომ აღნიშნული იზო-

თეოსი მხოლოდ მეფის გაღმრთობას გვლისხმობდა“ (კრ.: „მ. რუსთაველი“, 1966, გვ. 62). მართლაც, იზოთეოსი მეფეს, გეტლს, მხოლოდ ჯერ კიდევ სინესიოს კვირინელი ამბობდა: აღმნიანთაგან ყველაზე ღვთაებრივი მეფეაო, მაგრამ საჭიროა შევნიშნოთ, რომ IV ჰიპოსტაზობა „იზოთეოსი“ როდია, არამედ „თეოზისია“, ანუ განღმრთობა. „იზოთეოსი“ მხოლოდ ღმერთისადმი მსგავსებას ნიშნავს. IV ჰიპოსტაზობით მეფის განღმრთობა ითვალისწინებდა საერთოდ აღამიანის განღმრთობას, თანაც არა მხოლოდ სასულიერო გზებით.

ამრიგად, თამარ IV ჰიპოსტაზობა, — არ უნდა გვესმოდეს ისე, რომ, თითქოს, ტრადიციული დიორღვა ახალი დოგმატით, რომ ნაცვლად სამებისა: მამა ღმერთი, ძე, სული წმინდა, მივიღეთ: მამა, ძე, სული წმინდა და თამარი. მეორე მხრივ, რადგუნად თამარ IV ჰიპოსტაზობა პოეტური შინაარსითაა აღმუქვლილი, ეს არ ნიშნავს, რომ ამ სახეს, მის აზრს გარკვეული საფუძველი არ ჰქონდა.

IV ჰიპოსტაზობა სპეციფიკური და ორიგინალური იდეაა. რამდენადაც ჩვენ ვიცით, IV ჰიპოსტაზობის იდეა ქართული მწერლობის ორიგინალური ნააზრებია და ამგვარი რამ არც ერთ სხვა მწერლობაში არ გვხვდება, მით უფრო საეკლესიო მისი სპეციფიკური საფუძველი მოიძებნოს და არ კმარა თეოზისის თუ იზოთეოზის თეორიებზე ზოგადი მითითება, თანაც არავის უცდია, კონკრეტულად გაერკვია, თუ როგორ მივიღეთ იზოთეოსის თეორიიდან IV ჰიპოსტაზობის იდეა, არც ის აღნიშნულა საგანგებოდ, რომ იზოთეოსი და თეოზისი ერთიადიგივე არაა, არ ყოფილა ცნა ერთ კომპლექსში განხილული იყო ზემოხსენებულთან დაკავშირებული სხვა ისტორიული და ლიტერატურული შინაარსის მქონე იდეები: მეფის აბსოლუტისში და თეოზისის პრობლემა, ისტორიის მიზნობრივი განვითარების თეორია და თეოზისის საკითხი, საქართველო — ზეციური ედემის ამქვეყნადის სახე, გულათი — ახალი რომი, ახალი ადამის იდეა, აღამიანის გამოხატვა ღვთაების ატრიბუტებით, აღამიანის ხორციელი განღმრთობის ესთეტიკური გზა და ა. შ.

არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ IV ჰიპოსტაზობის იდეები ხდება იდეოლოგიური სასაქციო რეგამქვეყნიურობის თვითმყოფადი ესთეტიკური ფასეულობის აღიარებისა, ოღონდ გართულებული გზით, არა ძირითადი თეორიების მოხსნით, არამედ მათი ახლებური მოდელირებით.

აღამიანის ცხოვრებაში, თვით მის ყოფაში, ღვთაებრიობის დანახვა იყო ქართული რენესანსული ჰუმანიზმის ერთერთი ძირითადი მსოფლმხედველობითი ტენდენცია. საერო ლიტერატურამ ამის გამოსახატავად ორი გზა აირჩია:



ცხოვრებაში ღვთაებრიობის წარმოსახენად მიმართავენ „ჩვეულებრივ“ მოვლენათა ამოღებას მათი ესთეტიზებით. მეორე აუთ საერთო-სახელმწიფოებრივი ასპექტი; ამ მხრივ, ბუნებრივი იყო, რომ ღვთაებრიობის ყველაზე რელიგიური გამოვლენა მეფის პიროვნებაში დაენახათ; იგი იყო უმაღლესი ადამიანი ადამიანთა შორის. პიროვნება და არსებითი რამ, რაც საჭიროა ამ საკითხის გასარკვევად, არის შემდეგის ვითარებისა: თამარის IV პიროვნება და გამოვლენა და მისი დემოკრატიული გამო, არამედ მისი აღმართული სრულყოფილების საფუძველზე. ე. ი. უმთავრესია, რომ თამარის სახეში, ქართველ ავტორთა მიხედვით, განხორციელდა იდეალი ადამიანობისა, სრულქმნა ადამიანისა.

ამ ვაგებით, თამარი წუთისოფლისთვის მოვლენილი ღვთაება კი არაა, არამედ ღვთაებრიობამდე ამოღებული ადამიანია. ამ შინაარსით გვესმის ცნობილი პრინციპი, რომ ქართული მხატვრული აზროვნება გვთავაზობს ადამიანის გაღმერთებას და არა ღმერთის გადაადამიანებას. რენესანსული ეპოქის იტალიელმა მხატვრებმა; როგორც ეს ნახვენება სპეციალურ ოლტერატურაში, ზეცა გადაადამიანურეს, ქრისტე და მარია მღვთისმშობელი მიწიერი ვნებებით გამსჭვალეს, მათი მხატვრული სახეები წარმოვიდგინეს არა ფრესკათა „უხორცო“, ანგლოზური ფორმით, არამედ — ადამიანობით აღსავსე შინაარსით.

თამარის IV პიროვნება განმტკიცებულია ისტორიის ტელეოლოგიური კონცეფციით, რომელიც, როგორც მაშინდელი ძეგლების სპეციალური შესწავლა გვარწმუნებს, თამარის ეპოქის იდეოლოგიის ერთ-ერთი აქტიური იდეათაგანი გამხდარა. ამ კონცეფციით, კაცობრიობის ისტორიული განვითარების მიზანია თამარის წარმოშობა.

ამასთანავე არსებობდა ზოგადი იდეა ისტორიოსოფიისა, რომ ისტორიაში ღვთაებრივი აზრია, ისტორია ღვთაებრივი აზრის განხორციელებაა. ასე დაუკავშირდა ერთმანეთს ზოგადი იდეა ისტორიოსოფიისა და კლასიკური ხანის ქართული ოფიციალური იდეოლოგია, რის შედეგადაც მივიღებ „ლოგიკური“ შედეგ: თამარის წარმოშობა ისტორიაში ღვთაებრივი იდეის განხორციელებად ჩაითვალა.

თამარის წარმოშობა რომ კაცობრიობის მთელი ისტორიის უმთავრესი მიზანი იყო, ეს იდეა რუსთაველის ხანის სხვა ძეგლებიდანაც ჩანს, მგრამ ეს განსაკუთრებით მწყობრად გადმოცემულია „თამარიანში“.

ჩანს იგი „აბდულმესიანშიც“: „ვკონებ ყოველნი შენთვის შექმნილადო“, — წერდა ი. შავთელი (98).

ისტორიის განვითარების ტელეოლოგიური

პრინციპისა და პროვიდენციალური ისტორიოსოფიის გვერდით დგას ერთი მნიშვნელოვანი იდეა, რომელიც „აბდულმესიანშიც“ — გამოცემის 105-ე ოდაში ნათქვამია:

ახალო რომო, შენთვის თქვეს, რომო  
უფროს იქმნესო მყოფთა  
ყოველთა,  
ვნატრი ელადას, თვით მას გელათსა,  
სად რომ დაკრძალვენ წმიდათ სხეულსა.“

ამ სტროფიდან ჩვენთვის ყურადსაღებ სტრიქონთა შინაარსი ასეთია: ახალო რომო, შენს შესახებ თქვეს, რომ ყოველივე არსებულზე ზეადმატებული გახდება.

ამათვეთვე შევნიშნავთ, რომ აქ წარმოდგენილი იდეა „ახალი რომისა“, მართლმად დაკვირვება აღნიშნული, მაგრამ მას უნდა ჰქონოდა მნიშვნელოვანი საფუძველი და მრავალსიმოცველი აზრობრივი დატვირთულობა, თუ იდეოლოგიური მიზანდასახულობა.

აღსანიშნავია, რომ ზემოთყვანილ ადგილს ეხმიანება 66-ე სტროფის სტრიქონებიც: „აწყარომითა აწყარო მითა, ეს მიგვენიჭა ქრისტეს მიერად“, რომლებშიაც, გამომცემლის ი. ლოლაშვილის აზრით, ასეთი შინაარსია: „აი ახლა რომიდან (თამარის სახით) ქრისტეს მეშვეობით მოგვენიჭა (სიბრძნის) წყარო“ (დასახ. ნაშრ., გვ. 225). 105-ე სტროფშიც „რომს“ — გელათს უკავშირდება სიტყვები: „... სწავლის ენაშით წყალს წყაროდ“, რაც წამოჭრის კითხვას: ასეთი თანხვედრა ხომ არ ნიშნავს, რომ გელათის („ახალი რომის“) მხატვრული ეპიქეატა — „სიბრძნის წყარო“?

ქართული მეხოტბე, თამარის ხანის იდეოლოგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოხატულება, გელათს ახალ რომად წარმოიდგენს, გელათს, რომელიც, მემბრანის სიტყვით დახასიათებულა „მეორედ იერუსალემად, სასწავლოდ ყოველისა კეთილისად, მოძღუარად სწავლულებსად, სხუად ათინად, ფრიად უადრეს მისსა“.

გელათა წარმოადგენდა „არა მხოლოდ საკულტო დაწესებულებას, არამედ კულტურულ-საგანმანათლებლო და სასწავლო-სამეცნიერო შემოქმედების დიდ ცენტრს“. (ლ. მენაბდე) ასე რომ, გელათი იყო სიმბოლო საქართველოს კულტურული დიდებისა. იგი, როგორც მასალებიდან ჩანს, ითვლებოდა საქართველოს რელიგიურ ბურჯად („მეორედ იერუსალემად“), განათლებისა და მეცნიერების კერად („სხუად ათენად“) და, ამასთანავე, პოლიტიკურ ცენტრად („ახალ რომად“). ეს იდეები ჩვენ შეგვიძლია პოეტურ ნააზრევთა უკუფენად მივიჩნიოთ, მაგრამ ეს არ გამოორიცხავს, რომ ისინი

**რამაზ სირაძე**

ადამიანის რამესანსული იდეალის განვითარება



შეიცავენ სრულიად გარკვეულ კულტურულ-ისტორიულ შინაარსს.

ჩვენს ყურადღებას ამჯერად ბავრობის „ახალი რომის“ იღვია.

შავთელის ზემომოტიანილი სიტყვების მიხედვით, თამარის ეპოქაში იქმნება იდეა, რომ საქართველოშია „ახალი რომი“.

როგორი შინაარსი ჰქონდა ამ იდეას? რა საფუძველზე წარმოიშვა იგი?

იმ ეპოქაში გავრცელებული აზრით, ისტორიულად არსებობდა ორი მსოფლიო იმპერია. პირველი იყო რომის იმპერია, ანტიკური, წინაქრისტიანული ხანისა. რომის იმპერია წარმართული რელიგიის დამცველი იყო. მისი დიდება დაცვა. მისი ბატონობა შეცვალა ბიზანტიის იმპერიამ. ბიზანტიის იმპერია იყო მემკვიდრე რომის იმპერიის დიდებისა. ბიზანტიელები თავის თავს „რომაელებს“ ეძახდნენ, კონსტანტინეპოლს კი ერქვა „ახალი რომი“. „ახალი რომი“, ანუ „მეორე რომი“ მარადიულ, ღვთაებრივ იმპერიად ითვლებოდა, რადგანაც იგი იყო ბუტჯი ქრისტიანობისა მთელს მსოფლიოში. საქართველოში კარგად იყო ცნობილი ეს შეხედულებანი და გავრცელებული იყო ტერმინი—„ახალი რომი“. ასევე ცნობილი იყო ბიზანტიელების აღმნიშვნელი ტერმინი „პრომინი“.

წმინდა ქალაქის“ იდეა მრავალნაირადაა წარმოდგენილი შუა საუკუნეებში. ჯერ კიდევ ავტორებს ავგუსტინესთან იჩენს თავს იგი მისი უმთავრესი თხზულების სათაურში — „ღვთაებრივი ქალაქისათვის“. (ქალაქი აქ ანტიკური „პოლისიდან“ მომდინარე ცნებაა და ფაქტიურად რისწავს იმას, რასაც ფილოსოფიის ენაზე ქართული „სოფელი“ გამოხატავს). „ღვთაებრივი ქალაქი“ კი ეხმანება „ზეციური იერუსალიმის“ იდეას. მისი სახეცვლილებაა „ზეციური ათენი“, რომელიც არაერთგზის გვხვდება დანტესთან („ნადიმო“, III, XIV; „ჯოჯოხეთი“, I, 128; „განსაწმენდელი“, XIII, 25; „სამოთხე“, XXX, 130). დანტეს კომენტატორები აღნიშნავენ, რომ ეს უკანასკნელი გულისხმობს ზეციური სიბრძნის წყაროს.

შუა საუკუნეებში მეტად გავრცელებული ი. წ. მსოფლიო სიმაპათის კანონის თანახმად, ზეციური იერარქიის შესატყვისება, თუნდაც შორეული მიმსაგავებით, ამქვეყნიური იერარქია. ამიტომ ზეციურ ღვთაებრივ „ქალაქს“ ამქვეყნად შეიძლება შეესაბამებოდეს „ახალი რომი“, რომლის ადგილი ქართულ წარმოდგენაში გელათს დაუკავებია.

„აბდულმესიანი“ დაწერილია 1204-1206 წლებში.


ეს თამარის ეპოქის უმაღლესი ძლიერების ხანაა. საქართველო აღმოსავლეთის საქრისტიანოს უძლიერესი ქვეყანაა. მისვან მოელის სხნას აღმოსავლეთის არაერთი ქრისტიანი ერი. ე. ი. საქართველოს, გარკვეული აზრით, უნდა

ეტეირთა ის მისია, რომელიც მანამდე მისიონერების იმპერიას—„მეორე რომს“ ეკუთვნებოდა. აქ გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი გარემოება:

ბიზანტიის იმპერიამ ამ პერიოდში საგრძნობლად დაკარგა ადრინდელი ძლიერება. ეს გამოწვეული იყო ჯვაროსანთა შემოსევით. ბიზანტიის—საღვთო იმპერიის დასუსტება კატასტროფის შეგრძნებას ბადებდა საქრისტიანო სამყაროში. სუსტდება იმპერია, რომელიც თავად იყო სიმბოლო ქრისტიანობის ძლიერებისა. მაგრამ მიუღებელი იქნებოდა, რომ საზოგადოდ ექვემდებარებინათ ქრისტიანობას დიდების იდეა. საქრისტიანო სამყაროს მომავალი ვერ დადგებოდა ექვს ქვეშ. ასეთი იდეის დაცვა კი პოლიტიკური საყრდენი სჭირდებოდა. აი, სწორედ ამ საფუძველს ქმნიდა თამარის ეპოქის საქართველოს სახელმწიფოებრივი და კულტურულ-კონფესიური ზეადმავლობა. მართლაცდა, საქართველო ცხადდება ქრისტიანობის მცველად, მისი მეფის ღვთაებრიობა წარმოსახება ყველაზე ზეადმავლობადა, თამარი IV ჰიპოსტაზად მიიჩნევა, ისტორიის განვითარების მიზნად თამარის წარმოსაბა ცხადდება. ყოველივე ამის გვერდით, ვფიქრობთ, ლოგიკური იყო, რომ „ახალი რომი“ საქართველოში ეგულვებინათ. საქართველო ცხადდება უმთავრეს მემკვიდრედ ბიზანტიის იმპერიის დიდებისა.

როცა ვიხსენებთ, „ახალი რომის იდეას“ და მის გვერდით ჩამოყალიბებულ თეორიებს: საქართველოა ახალი ედემი, ისტორიის განვითარების მიზანია თამარი, თამარია IV ჰიპოსტაზი,—აი, ამ იდეათა კომპლექსში, რომელც საქართველოს კულტურულ-პოლიტიკურმა აღმავლობამ გამოიმუშავა, არ შეიძლება, არ ვახსენოთ იოანე-ზოსიმეს ნახევრად პოეტური და ნახევრად ესქატოლოგიური იდეა: მეორედ მოსვლის დროს ყოველი საიდუმლო კაცობრიობას ქართული ენით ეუწყებათ. ქართული ენა მსოფლიო ღირსების ენად იქნა გამოცხადებული.

ასეთი იყო ის კულტურულ-ისტორიული წინამძღვრები, რომელთა მიხედვით იოანე შავთელს შეიძლებოდა წამოეყენებინა იდეა „ახალი რომისა“. მაგრამ ეს ზოგადი საფუძველი იოანე შავთელის სიტყვებით კი „ახალი რომი“ კონკრეტულად გელათს გულისხმობს, როგორც ეს მიჩნეულია სამეცნიერო ლიტერატურაში. მაგრამ გელათი გამოხატულება იყო საქართველოს სარწმუნეობრივი, კულტურულ-მეცნიერული და პოლიტიკური ძლიერებისა. ამიტომ ის, რაც თქმულია გელათზე, შეიძლება საერთოდ საქართველოზედაც ვრცელდებოდეს. თუმცადა ამ შემთხვევაშიაც ფაქტი-ფაქტად რჩება, რომ იდეა—საქართველო „ახალი რომია“—მოწოდებულია არაპირდაპირი, სახეობრივი



ფორმი. ე. ი. პოლიტიკურ იდეას პოეტური ფორმა აქვს. გელათი—ახალი რომი—მატერულად განასახიერებს იდეას: საქართველო ახალი რომაო.

აი, ამგვარად ეხმაურება „ახალი რომის“ ზოგად იდეას „აბდულმუსლიანის“ სტრიქონები, რომლებიც გელათს „ახალ რომად“ აცხადებენ.

თუ როგორი განვითარება მიეცა ამ იდეას სხვა მხრივ, საამისო მასალები, სამწუხაროდ, აღარ მოგვეპოვება. საგულგებელია მხოლოდ, რომ ამ იდეამ საქართველოში შემდგომი განვითარება ვეღარ ჰპოვა. ეს გამოწვეული იყო იმ დიდი კატასტროფით, რომელიც „აბდულმუსლიანის“ შექმნიდან სულ რამდენიმე წლის შემდეგ დაატყდა თავს საქართველოს.

უფრო გვიან, როგორც ცნობილია, იდეა „ახალი რომისა“ რუსეთში გამოიყენეს და შეიქმნა თეორია, რომ „მოსკოვია მესამე რომი, მეოთხე რომი აღარ იქნებოა“.

ჩა თეორიულ თუ რელიგიურ-ფილოსოფიურ საფუძველზე შეიძლება ვაზარებულები თამარი ღვთაების შეოთხე ჰიპოსტაზად? ეს კითხვა სხვა საკითხებსაც წამოჭრის: ჩვენ ვგულისხმობთ, რომ გამოთქმა თამარა—IV ჰიპოსტაზია ათ სამების უარყოფას არ ნიშნავს. თანაც ასევე ვაზარება არაა ჩვეულებრივი იმდროინდელი ფილოსოფიური და, მეტადრე, თეოლოგიური მოსაზრებებისათვის. ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ქართულმა აზროვნებამ დაამსხვრია არსებული დოგმატები და ღვთაების ჰიპოსტაზთა ახალი გათვლა წამოაყენა? ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ქართულმა რენესანსმა ქრისტიანული მოძღვრების უმთავრესი დებულება ეპიკვემ დააყენა?

უპირველესად ვავიხსენებთ, რომ მთელ ქრისტოლოგიაში და, განსაკუთრებით, არეოზაგიტიაში ფრიად ვერცელებული იყო იდეა ადამიანის განღმრთობისა (თეოზისი, დეიფიკაცია). „განღმრთობის“ თეორია ორმხრივად ვაზარებულ: ერთი მხრივ, იგი გულისხმობს ცალკეული ინდივიდების მისწრაფებას ღვთაებისაკენ. მეორე მხრივ, „განღმრთობა“ არის მთელი კაცობრიობის საერთო მიზანი, ე. ი. ისტორიის ტელელოგიური პრინციპი.

შეიძლება თუ არა თამარის IV ჰიპოსტაზობა აიხსნას მხოლოდ ადამიანის ინდივიდუალური განღმრთობის პრინციპით? ვფიქრობთ, რომ არა. ინდივიდუალური განღმრთობა გულისხმობს „ღვთაებრივი ნისლის“ ჰერეტას გონებრივი თვალთ. ინდივიდუალური განღმრთობის გზა აგრეთვე ის ვაა, რომელიც მოცემულია აგიოგრაფიაში, წმინდანობა განღმრთობის უმაღლესი ამქვეყნიური ფორმაა. წმინდანობა გულისხმობს პიროვნების სულიერი ძალების აბსოლუტურ მობილიზებას და ხორციელი ბუნებას იგნორირებას.

სრულიად განსხვავებულადაა წარმოდგენილი

თამარის ღვთაებრიობა იმ ნაწარმოებებში, რომლებიც მის IV ჰიპოსტაზობას ქადაგებენ. ამ თხზულებების მიხედვით, თამარი ცდომილად სულითაც და ხორცილთაც, ოღონდ მისი ხორციელი ბუნება ღვთაებრივად ცხადდება არა იმიტომ, რომ იგი დათრგუნვულ იქნა. პირიქით, თამარში ხორციელი ბუნებაც აბსოლუტურად სრულყოფილია, აღზევებულია. ავიოგრაფიისაგან განსხვავებით, თამარის სახეში თვით ხორციელი ბუნების აბსოლუტური სრულყოფილება ღვთაებრიობის გამოვლენადაა ჩათვლილი.


ამდენად, ინდივიდუალური თეოზისის იმ პრინციპებით, რომლებსაც არეოზაგიტია გვთავაზობს, თამარის IV ჰიპოსტაზობა ვერ აიხსნება. არეოზაგიტია ინდივიდუალური განღმრთობის უმაღლეს ფორმად თვლის ღვთაების მისტიკურ ჰერეტას, თუ რელიგიური ხილვის გზას. თამარი ღვთაებრიობას ცხადყოფს სხვა ასპექტში.

მიუხედავად აღნიშნულისა, ჩვენ რომი ვამტყობთ, რომ თამარის IV ჰიპოსტაზობის იდეას არაფერი აქვს საერთო განღმრთობის არეოზაგიტულ იდეასთან. პირიქით, არეოზაგიტიაში ინდივიდუალური განღმრთობის გვერდით შეიძლება დავინახოთ მთელი კაცობრიობის ღვთაებისაკენ მისწრაფების იდეაც. იგი გულისხმობდა, რომ კაცობრიობა მთელი თავისი ისტორიული განვითარებით ერთი ღვთაებრივი იდეისაკენ მიემართება. სწორედ ამას შეიძლება დამყარებოდა IV ჰიპოსტაზის თეორია არეოზაგიტიაში.

როგორც ცნობილია, ადამიანის გაღმერთების იდეა ერთ-ერთი საფუძველადმდებ იდეათგან იყო რენესანსული ჰუმანიზმისათვის. თეოცენტრიზმის შეცვლა ანთროპოცენტრიზმით ეყრდნობა სწორედ იმას, რომ ღვთაებრიობის უმაღლესი გამოვლენა ადამიანში დინახეს. ადრეულ ხანაში ღმერთის ხატად ითვლებოდა მხოლოდ ადამიანის სული. ეს გულისხმობდა, რომ ადამიანის ხორცი ცოდვანაზარებიაო. ეს ცოდვა პირველადამიანის ცოდვაა. მაგრამ განღმრთობილმა უნდა შეისხას ის პირველადი უცოდველი ხორცი, რომლითაც ადამი შექმნა ღმერთმა.

სულითა და ხორცილთაც განღმრთობის იდეა თავისებური სახით ცნობილი იყო ქრისტიანული ნეოპლატონიზმის ფუძემდებლებმა (ეს საკითხები განსაკუთრებით დამუშავებულია გრიგოლ ნოსელის მიერ. — ლ. გრიგოლაშვილი). ცხადია, მას ვერ უარყოფდა არეოზაგიტია. ამ თვალსაზრისით, თამარის IV ჰიპოსტაზობის იდეა უკავშირდება არეოზაგიტიას.

**რამაზ სირაძე**  
 ადამიანის რწმენასწული იდეალის  
 განვითარება



„მგარამ“ არეოპაგიტიაში ეს მოძღვრება არ იყარა ფაშლილი, თუშკა იგულისხმებოდა.

როგორც აღნიშნეთ, ინდივიდუალური განღმრთობის თეორიის გვერდით არსებობდა თეორია მთელი კაცობრიობის განვითარებაში ღვთაებრივი იდეის განვითარების შესახებ. ეს თეორია, უფრო ზუსტად, — ასეთი ასპექტი განღმრთობის ზოგადი თეორიისა, — შეეხება არა ცალკეულ ინდივიდთა განღმრთობას, არამედ მთელი კაცობრიობის საერთო მომავალს, კაცობრიობის ისტორიაში ღვთაებრიობის განვითარებას. ესაა ისტორიის მიზნობრივ განვითარებაში განღმრთობის განხორციელება. ამას უშუალოდ უკავშირდება ესქატოლოგიური მოძღვრება. ესქატოლოგის პირველ გამოვლინებას ქრისტეს მოსვლაში ხელდავლენ. ქრისტემ კაცობრიობას უჩვენა ადამიანური სრულყოფის მავალით და ამით წარმოაჩინა გზაც საბოლოო ხსენისათვის. აქ განღმრთობის ინდივიდუალური და საკაცობრიო გზები ერთმანეთს ერწყმოდა. მეფის განღმრთობის იდეამ დაყრდნობით ლიტერატურაში ისახება გზა და საშუალება საერთოდ ადამიანის განღმრთობისათვის. მეტადრე ასეთ ნაზრევს „სანქციირებას“ მისცემდა იდეა — თამარი IV ჰიპოსტაზიათ. ლოგიკური თვალსაზრისით, როგორც ეს ზემოთაა აღინიშნა, აქედან ეძლევა მეოთხე ჰიპოსტაზიის იდეას საფუძვლებამდები მნიშვნელობა ახლებური ესთეტიკური პრინციპების შემუშავებისათვის. თუ ადამიანის ღვთაებრიობის ესთეტიკური იდეალის შემქნა სურდათ, მისი დაფუძნება მეფის ღვთაებრიობის მტკიცებით უნდა დაეწყეთ. იმ დროისათვის სხვა გზები დახსული იყო. განსაკუთრებით ყურადსაღებია ის, რომ მეფე ვალდებულია ადამიანური ნიშან-თვისებებით. ე. ი. მაღალადამიანურ ნიშან-თვისებებს მიენიჭა ღვთაებრივი მნიშვნელობანი. ამით თვით ღვთაებრიობის ატრირებულად ჩაითვალა ის, რაც ადამიანში ელნიდება.

მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ ზემოაღნიშნული ჭერ კიდევ არ ნიშნავს ყველა ადამიანის გაღმერთებას, მათი ღვთაებრიობის აღიარებას. გაღმერთებულა მეფე. მეფის თვისებანი ჩვეულებრივ — ადამიანური როდია. მეფე თამარი განღმრთობილია ისტორიის მიზნობრივი განვითარების პრინციპებზე დაყრდნობით. მართა ამით კი უმოველი ადამიანის განღმრთობა ვერ ჩაითვლებოდა შესაძლებლად. მაგრამ ამას დაერთო მეორე კონცეფცია: ეს იყო ქრისტიანული იდეალი ინდივიდუალური თეოზიისა. ეს თეორია ყველა ადამიანის განღმრთობის შესაძლებლობას უშეშებდა, ოღონდ ადამიანს უნდა დაემსახურებინა ეს.

აი, ამ ორი პრინციპის შეთანხმება-შერწყმა ხდება ქართულ რენესანსში: ერთი მხრივ, განღმრთობა ამქვეყნიური ადამიანური თვისებე-

ბით და მეორე მხრივ, განღმრთობის საყოველთაო შესაძლებლობა. აი, ასეთი გართულებული გზით ხდებოდა სიახლეთა დაშვებილება. სწორედ ამ რთული პრობლემის წყდომას უნდა ითვალისწინებდეს რენესანსული აზროვნების კვლევა-ძიება, განსაკუთრებით კი — ძიებანი ადამიანის ესთეტიკური იდეალის განვითარებისა.


რა კონკრეტულ ფილოსოფიურ საფუძველზე დამყარებით შეიძლებოდა გაემართლებინათ იდეა — თამარი IV ჰიპოსტაზიათ?

ამ საკითხის ძიებას მივყავართ არეოპაგიტკასთან. არეოპაგიტკაში მოცემულია სწორედ განღმრთობის ის რელიგიურ-ფილოსოფიური საფუძველები, რომლებიც ამ შემთხვევაშიც საფუძველამდები გამხდარა ქართული აზროვნებისათვის.

მაგრამ საყოველთაო განღმრთობის ზოგადი იდეა, რომელიც უდარესად აქტუალური ხდება დასავლეთისა თუ აღმოსავლეთის რენესანსულ ნააზრევში, არეოპაგიტკაში წარმოდგენილია შეუქმნელი სახით. არეოპაგიტკაში განღმრთობის პრობლემათა ზოგადმეტაფიზიკური საფუძვლებია მოცემული. ასეთ შემთხვევაში ხშირად ძნელი ხდება ხოლმე მოძღვრებათა სრული სახით გათვალისწინება. მაგრამ ჩვენ ამ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე გვაქვს ფრიალ საყურადღებო ვითარებასთან: სამყაროს მიზნობრივი განვითარების არეოპაგიტული კონცეფცია გაშლილი სახით მოცემულია დასავლეთის ცნობილ ფილოსოფოსის იოანე სკოტ-ერიუგენას (810-877) თხზულებაში: „განყოფისათვის უნებისა“. აქ ნაშრომში ერთუგენამ დაამუშავა არეოპაგიტული მოძღვრება სამყაროს მიზნობრივ განვითარებაზე, რომლის მთავარი დებულება ასე შეიძლება გამოითქვას: პირველმიზეზი სამყაროს მისი განვითარების უმადლესი მიზანიცაა. სამყაროში განვითარებადია მხოლოდ ადამიანი (აქ „განვითარება“ პირობითია). ბიბლიური კრეაციის შემდეგ, ე. ი. მას შემდეგ, რაც ღმერთმა დაამთავრა თავისი შესქმნე, შემოქმედებას აგრძელებს ადამიანი. ამიტომ სამყაროს მიზანი — საბოლოო მიზანი — ადამიანია.

არეოპაგიტკა არაერთგზის ეხება სამყაროს ღვთაებრივ გამოვლისა და უკანონობუუნების საკითხს (იხ. „საღმრთოთა სახელათვისი“, IV, 10, IV, 7). იგივე საკითხებს ეხება პეტრიწიცი (თავი 34-ე). მათი მოსაზრებანი მრავალმხრივადაა შესწავლილი სამეცნიერო ლიტერატურაში. ჩვენ მხოლოდ იმისი ხაზგასმა გვსურს, რომ ღმერთის „განსხვისებისა“ (იგივე — ემანაცია) და უკანონობუუნების (ე. ი. „ზიარება“, თუ საღმრთო ტრფიალება) ყველა შესწავლულ თეორიაში ცენტრალური ადგილი უჭირავს ადამიანს.

ასე რომ, ადამიანის განღმრთობა სამყარომ განვითარების საბოლოო მიზანია.



ეს დებულება წაერთო არეოპაგიტკასა და ერთუგენას ნაზრევთა შორის. ამასთანავე: თუ არეოპაგიტკაში მხოლოდ ასეთ ზოგად დონეზე განიხილება პრობლემები, (მაგალითად, წიგნი II, XV, I და სხვა), ერთუგენასთან ისინი შემდგომ კონკრეტირებას პოულობენ. სხვაგვარად: ის რაც იგულისხმება არეოპაგიტკაში, რაც მასში მოცემულია საგულვეტელი აზრის სახით (ანუ იმპლიციტურად), ერთუგენასთან გამოვლენილია, ე. ი. ექსპლიციტურადაა წარმოდგენილი, წარმოდგენილია სრული, ვაშლილი სახით.

აქ ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ სამყაროს ღვთაებასთან კვლავიმბრუნების ფილოსოფიური თვალსაზრისი არეოპაგიტკაში შესულია პროკლედან (ასე რომ, ქართულ აზროვნებაში მის გავრცელებას სხვა გზაც აქვს: პროკლემ პეტრიწი, ემანაელისა და ზიარებას პრინციპი არსებითა პეტრიწისათვის, მაგრამ ანალოგიური იდეები მსოფლიოში უფრო არეოპაგიტკის საშუალებით გავრცელდა). თვით დანტე ამ სფეროშიაც არეოპაგიტკას ეყრდნობა, ამიტომაც მათ არეოპაგიტკის მიხედვით განვიხილოთ.

ერთუგენას თვალსაზრისით, რომელიც, ვიშორებთ, არეოპაგიტკას ემყარება, სამყაროში ყოველფე, რაც არსებულია, არსებობს, ან შეიძლება არსებობდეს, წარმოდგენილია ოთხი ბუნების სახით („ბუნება“ აქ ზოგადი, „არსების“ შინაარსით იხმარება და არა იგივე ტერმინის დღევანდელი მნიშვნელობით).

ეს „4 ბუნება“ ერთუგენასთან ასეა წარმოდგენილი:

- I. ბუნება, — შეუქმნელი და შემოქმედი;
- II. ბუნება, — შექმნილი და შემოქმედი;
- III. ბუნება, — შექმნილი და არაშემოქმედი;
- IV. ბუნება, — შეუქმნელი და არაშემოქმედი;

შეიძლება ითქვას, რომ ეს 4 ბუნების თეორია საბოლოო ჯამში ემყარება პროკლეს ტრიადას: ღმერთი — სამყარო — ღმერთი, რომელიც შემდეგ პეცელის ფილოსოფიაშიც პოუვებს ვარდასახვას (მაგალითად, თეზა—ანტითეზა—სინთეზი). სამყაროში მოძრაობის ციკლურობის ეკლესიასტისეული (1,9-11) თვალსაზრისი შუა საუკუნეებში ფართოდ ვრცელდება. ჩვენს აზრით, ერთუგენას შეხედულებანი გადმოსცემენ მხოლოდ იმას, რასაც არეოპაგიტკა შეიცავდა. ასე რომ, თვით არეოპაგიტკიდან გამომდინარეობდა კონცეფცია „4 ბუნების“ თაობაზე.

ადამიანი არა მარტო უმაღლესი ფენომენია ხილული სამყაროს არეოპაგიტკად ირეაქციაში, ამასთანავე ისაა შემოქმედი სამყაროს ყოველგვარი კანონზომიერებისა. მასში მოცემულია არა მხოლოდ ყველა მასზე დაბლამდგომი მოვლენების თვისებანი (ცხოველის, მცენარის თუ მკვდარი ბუნებისა), არამედ მასშივეა საფუძველი იმისა, რომ შეიქმნას ჭერარყოფილი რა-

ობანი. ამიტომ ადამიანის განმრთობის წყალობით ფაქტიურად განმრთობილიც უნდა მთელი სამყარო. ადამიანი განმრთობისას თან გაიყოლებს სამყაროს სულ სხვადასხვაგვარ მოვლენებს, რომლებსაც მისი ბუნება შეიცავს. ადამიანში ხდება „შექმნილი და არაშემოქმედი ბუნების“ გადასვლა „შეუქმნელ და არა შემოქმედ ბუნებაში“.

მაშასადამე, განმრთობილი ადამიანი არის გამოხატულება მსოფლიო პროცესის ღვთაებრიობასთან მიხლოებისა, სამყაროში „IV ბუნების“ გამოვლინებისა. თუკი რომელღმერთს კონკრეტული ადამიანი წარმოსახება კაცობრიობის განმრთობის გამოხატულებად, იგი ღვთაებასთან მიხლოებულადაც უნდა დაისახოს.

ამით კი, ვფიქრობთ, ნათელი ეფენება ჩვენს საკითხს: თამარი მისი ეპოქის იდეოლოგია მიხედვით, წარმოსახულია როგორც მონანი კაცობრიობის განვითარებისა. იგი კაცობრიობაში ღვთაებრიობის გამოვლინების უმაღლესი სახეა. ამდენადვე იგი იერსახება თვით ღვთაებრიობისა, ანდა ე. წ. IV ბუნებისა. ე. ი. თამარის ღვთაებრიობის იდეა უშუალოდ შეესაბამება განმრთობის ზოგადსაკაცობრიო იდეალს.

ასე შეიძლება აიხსნას იდეა თამარის IV ჰიპოსტაზობისა არეოპაგიტკიდან მომდინარე განმრთობის თეორიის საფუძველზე.

შ. ნუტუბიძემ ფართოდ დაამკვიდრა ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არეოპაგიტკის პრობლემატკა და „ვეფხისტყაოსნის“ აზრებით არეოპაგიტკული წყაროც წარმოაჩინა. ასევე დანტოლოგიაში კარგადაა ნაჩვენები, თუ როდენ დავალებულია არეოპაგლიდან „შუა საუკუნეების უკანასკნელი და ახალი დროის პირველი პოეტი“. საბჭოურ მეცნიერთაგან ეს განსაკუთრებული სისუსტითა აქვს ნაჩვენები ი. გოლენიშჩიკე-კუტუზოვს „ღვთაებრივი კომედიის“ რუსული გამოცემის კომენტარებში და სხვა სპეციალურ გამოკვლევებში. მაშასადამე, არსებობს სრულიად მყარი მეცნიერული საფუძველი დანტეს და რუსთაველის შესწავლისათვის ტიპოლოგიურ ურთიერთმიმართულებაში. მაგრამ, როგორც ვთქვით, მათავარი არა სპერა ლიტერატურულ წყაროებზე მითითება, არამედ იმის წარმოჩენა თუ მხატვრობის თვალსაზრისით როგორაა გამოყენებული ეს წყაროები. ა. გაწერლიას სპეციალურ გამოკვლევაში ნაჩვენებია, თუ როდენ ესგავსებთან ან როგორ სხვაობენ ისინი ერთმანეთს ზეცის მხატვრული მოდლის წარმოდგენისას. მართებულადაა გააზრებული, რომ წარსუ-

**რამზაზ სირამაძე**

აღამიანის რენესანსული იდეალის განვითარება

ლის ფილოსოფიას რუსთაველი უპირველესად ითვისებდა, როგორც პოეტი.

რა მნიშვნელობა ჰქონდა ლიტერატურულ-ესთეტიკური აზროვნებისათვის თამარის IV ჰიპოსტაზობის იდეას?

ზოგადი პასუხი ასეთი იქნება: რენესანსული ლიტერატურულ-ესთეტიკური აზროვნების ტენდენციას შეესაბამებოდა ის, რომ ადამიანში დაენახათ ღმერთი. ამისათვის უმთავრესი იდეოლოგიური საფუძველი უნდა ყოფილიყო სწორედ IV ჰიპოსტაზობის იდეა. სხვა რომ არა ვიყოფოდა რა, მართკ ამ იდეის მიხედვით შეიძლება და გვეთქვას, რომ რუსთაველის ხანის ქართულმა აზროვნებამ ადამიანთმცოდნეობის თვალთახედვით მოიპოვა მოძღვრებათა საფუძველთა-საფუძველი, ადამიანს დაუკავშირა ყველაფერი და თვით პირველი დოგმატი ქრისტიანობისა: სამპიროვნების დოგმატი. ეს იყო სწორედ ანთოპოცენტრიზმის თვალნათლივი გამოვლინება მხატვრულ აზროვნებაში, ანდა, გამოვლინება „ყოველისმომცველი ჰუმანიზმისა“.

IV ჰიპოსტაზობის იდეა დოგმატური დებულება არ გამხდარა. ის არ გამხდარა არც ფილოსოფიური პრობლემა. ეს იყო პოეტური ნააზრებო, გაშუალებული ეგვიპტული ფილოსოფიური შინაარსით. ასეთი გზით იგი იდეოლოგიური ხასიათის მოსაზრების მნიშვნელობას იქნადა. ჩვენ მტიციე საყრდენი გვაქვს ვთქვათ, რომ იმდროინდელ იდეოლოგიას პოეტური აზროვნება უფრო უკარბად ასაზრდოებდა, ვიდრე, თუნდაც, ფილოსოფია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ „აღორძინების ხანის კულტურის ერთ-ერთი ყველაზე უფრო დამახასიათებელი ნიშანთაგანი იყო მისი ყოველისმომცველი ჰუმანიზმი“. და აქ წამყვანი როლი ენიჭება სახეით ხელოვნებას, რომელიც ადამიანს „ხელოვანი ახალ გზებს აგნებდნენ ფილოსოფოსებზე, პოლიტიკურ მოაზროვნეებზე და ბუნებათმცნიერებზე უფრო ადრე და ახალი მსოფლმხედველობის ამოცანებს აყალიბებდნენ“.

რომ IV ჰიპოსტაზობის იდეა დიდ გავლენას ახდენდა იმდროინდელ მხატვრულ აზროვნებაზე, ეს სტილის სფეროშიც გამოვლინდა.

რუსთაველის ხანის ორიგინალურ ქართულ საერთო თხზულებებს ახასიათებს ერთი საერთო ტენდენცია: ადამიანთა სახეები წარმოდგენილი არიან ღვთაებრივი ატრიბუტებით. ხშირ შემთხვევაში არეოპაგიტული საღმრთო სახელები მიემართება ლიტერატურულ პერსონაჟებს. ასეთი იყო ერთ-ერთი გზა პოეზიაში ადამიანის ღვთაებრიობის წარმოსაჩენად. გამოდის, რომ ღვთაების თვისებებს ატარებს ადამიანი. საკითხი უფრო საყურადღებო ხდება შემდეგი მომენტის გათვალისწინებით: საღვთო ატრიბუტებ-

ით მობისენებთან თვით „ვეფხისტყაოსნის“ გამოწვევით პერსონაჟები, გამოდის, რომ გამოწვევა ე. ი. პოეტის ფანტაზიის ნაყოფი, შეიძლება ღვთაებრიობის მატარებელი იყოს. ამას თვით პოეტური შემოქმედების პროცესის ღვთაებრივ აქტად აღიარებამდე მივყავართ.

ზემოაღნიშნულის ერთ-ერთი მაგალითია პერსონაჟთა ღვთიური ნათელმოსილებით წარმოდგენა; ამ მხრივ, შეიძლება გამოყოფილი იყოს ორი სახისა: „მზე—ქრისტე“. ამის ანალოგები: მზე—თამარი და ნათელი—თამარი. „ვეფხისტყაოსანში“ თამარს ასეთ სახეებში სხვა გმირები ჩაენაცვლება. (ე. ხინთიბიძე).

ცნობილია მისი მყარი მეტაფორები, რომლებიც ჩვეულებრივ ღვთაებას გამოხატავენ. მაგალითად, „მზე დაუვალი“ იყო ქრისტეს აღმნიშვნელი მყარი მეტაფორა. სამისო მაგალითებზე ქართული ჰიმნოგრაფიიდან ვერ ვიძვევებ. ნუტუბიძემ მითითა (რუსთაველის კრებული, თბ., 1938, გვ. 185-186). იგივე სახე, როგორც ი. ლოლავილი აღნიშნავს, გამოყენებული აქვს იოანე შავთელსაც (72) და ჩახრუხაქისაც (11,5)

მაშასადამე, „მზიურობა“ და „ნათელმოსილება“ პერსონაჟთა ღვთაებრიობის მაჩვენებელია მებობებთა მხატვრულ აზროვნებაში.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ბუნებრივად დგება საკითხი ადამიანის ღვთაებრიობის შესახებ „ვეფხისტყაოსანში“.

ვეფხისტყაოსნის საზოგადოებრივებულების მიხედვით, პოემიდან უდაოდ გამოსკვივის ადამიანთა ღვთაებრიობისაყენ სწრაფვის იდეალი. თუნდაც ფორმალური თვალსაზრისით იყოს, „ვეფხისტყაოსანში“ უდაოდ ჩანს გამოძახილი ესქატოლოგიური იდეისა;

„მივან მათა საბრძანისთა თხა და მგელი ერთგან სძოდეს“ (1595), — „ვეფხისტყაოსნის“ ეს სტრიქონი, როგორც არაერთგზის აღნიშნულა, ესაიხსი სიტყვებს ეხმიანება: „მაშინ ძოდეს მგელი კრავთა თანა და ვეფხვი თიყანთა თანა“ (11,6), ან: „მაშინ მგელი და კრავნი ძოდდნენ ერთბაშად“ (65,25); ვეფხისტყაოსნის საზოგადოებრივებულებაში ისიც აღნიშნულა, რომ ესქატოლოგიური ჰარმონიის მიმსგავსებულ სურათს ხედავს მემატანე თამარის დროინდელ საქართველოში. ეს ქმნის ფონს იმისათვისაც, რათა ადამიანებშიც დინახონ იდეალური სახეები.

„ვეფხისტყაოსანში“ პერსონაჟთა ღვთიურობა, თუ „განღმრთობა“, წარმოჩენილია სხვადასხვა სახით:

1. პირველია მეფის ღვთიური წარმოშობის ტრადიციული იდეის ქადაგება. ამას განეკუთვნება შემდეგი ადგილები: „თუკა ქალია ხელმწიფე, მართ ღმრთისა დანაბალი“ (40); „ქართველთა ღმრთისა დავითის, ვის მზე ჰმსახურებს მარებლად“ (1597).



ანალოგიური შინაარსის შემცველი აბრეშვის შემდეგი სტრიქონები: 1 („მისგან არს ყოელი ხელმწიფე სახითა მის მიერითა“), 856 („ღმრთისა სწორნი მოვიმდურენ“), 1172 („ბრძანებაა ღმრთისა სწორთა“).

2. ადამიანურ მისწრაფებათა ღვთაებრიობა: ა) პოეტური შთაგონების ღვთაებრიობა; ბ) სიყვარულის ღვთაებრივი ბუნება; გ) სიბრძნის სუბსტანციური ღვთაებრიობა.

3. საერთო პირთათვის, ამქვეყნიურ მაღალადამიანური სრულყოფილებით მოსილ პერსონაჟთათვის წმინდათა ხეყდრის (სამოთხის) განწყობება;

4. გმირთა იდეალიზაცია ღვთაებრივი ატრიბუტებით;

5. იდეალურ გმირთა ხორციელი მშვენიერების ღვთაებრიობის გამოვლინებად მიჩნევა.

რაც შეეხება ადამიანთა მისწრაფებათა ღვთაებრიობას, აქედან სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია ყურადღებას იქცევს პოეტური შთაგონების ღვთაებრიობა. რუსთველურ ნაზრებიდან, ჩვენი აზრით, გამომდინარეობს ასეთი გაგება: პოეტური შთაგონების ფაქტი თვითონ წარმოადგენს ადამიანის სულიერი განმრთობის ერთ-ერთ სახეს. ადამიანის სულში ღვთაებრიობის გამოვლენის დადასტურებაა პოეტური შთაგონება.

„თამარიაში“ ნათქვამია:

„ვთქვი შიშით მერთალმან: საღმრთო მან  
ძალმან

მობერა სიონს ბრძნად მეცნიერსა,  
მუქ თქმული მან ცნა, მაუწყა, მამცნა,  
მისა გასწაყებდ და მის მიერსა“ (101).

მაშასადამე, ჩაბრუნებულ თავის ქმნილებას ღვთიური შთაგონების ნაყოფად თვლის. მანამდე იშვიათია, რომ ავტორი ასე პირდაპირ ამბობდეს — ღვთის შთანაგონებს ვუწერო. „თამარის ასეთი განდიდება, მისი გამოცხადება ზეციურ არსად და ღვთაებრივ ძალად, რომ მკრეხელობა არ დაბრალდებოდა, ხოტბის ავტორი თავის სიტყვებს აღიარებს საღვთო ჩაგონების გამოხატულებად“ (ა. ბარამიძე).

ამ აზრით მიმართავს რუსთაველიც ღმერთს: „ძალი მომეც და შეწევნა შენგით მაქვს, მივსცე გონება“ (6,2), ან: „ჰე ღმერთო ერთო, ... მომეც მიჯნურთა სურვილი“ (2). შემოქმედი ღმერთის ნების აღმსარებლობად ითვლებოდა ანტიკურ ხანაშიც და შუა საუკუნეებშიც. თუ როგორც მსგავსება მათ შორის, ამის ნათელსაყოფად გავიხსენოთ, რომ ჰომეროსის თქმით, პოეტე წერს, მაგრამ ქმნის მუზა და შევადაროთ მერჩულეს სიტყვებს, რომ სავალბებლნი დაწერილი იყო გრიგოლ ხანძთელის ხელით, მაგრამ სული წმინდის მიერ. მაგრამ არც ერთ შემთხვევაში არ ჩანს რუსთაველური მოთხოვნა — შთაგონებით სულიერად უნდა გარდაქ-

მნასო პოეტე („ძალი მომეც და შეწევნა შენგით მაქვს, მივსცე გონება“), არ ჩანს „პოეტური თეოზისის“ მოთხოვნა, პოეტური თეოზისისა, რომელიც შემოქმედით ათქმვენივლია, არა ძლიერი ხარ ჩემში, ღმერთო“.

შემოთქმულს უშუალოდ უკავშირდება სიყვარულის ღვთაებრიობის პრობლემა. აქ გასათვალისწინებელია ერთი ზოგადი საკითხი: რუსთველურ ნაზრების რენესანსულობა ღვთაებრიობის უარყოფაში კი არ გამოიხატება (ღვთაებრივი საწყისი არ უარყვია რენესანსის არც ერთ წარმომადგენელს); რენესანსული ხასიათი რუსთაველის ნაზრების იმაში მტკიცედ დგება, რომ პოეტმა ადამიანური მისწრაფებანი ღვთაებრივად გამოაცხადა და დაპირისპირებულობა ღვთაებრივსა და ადამიანურს შორის ფაქტიურად მოხსნა ადამიანურის ღვთაებრიობამდე ამაღლებით. რუსთაველის მიხედვით, ადამიანური სიყვარულის კანონზომიერებანი სრულადაც არ ეწინააღმდეგება ღვთაებას, პირიქით, სიყვარული თავისი არსით ღვთაებრივია.

ასეთ გაგებას ემყარება რუსთაველის განცხადებაც „სიყვარული აგვამალუბსო“, რომელიც მოცემულია დამოწმებითაა მოტანილი და, მაშასადამე, კაცობრივი სიყვარული რელიგიურადაც „სანქციონებული“ ცხადდება. რუსთაველისთვის იდეა სიყვარულისა (ანუ „მიჯნურთა პირველი და ტომი გვართა ზენათა“ (20) არის „საქმე საზეო, მომცემი აღმაფრენათა“, თვით ადამიანური სიყვარული მართლაცაა „ტომია“ (სახეა) სიყვარულის ზოგადი იდეისა. რუსთაველისთვის პოეტური შთაგონების უშუალო სათავე სიყვარულია (აქი ღვთაებას შეთხოვს მომცეს „მიჯნურთა სურვილით“). იგი კოსმოსური ძალაა, თუმცა პოეტური შთაგონებისას ეს იდეა შეიძლება განსახიზვენებულ იყოს კონკრეტულ პიროვნებაში. რუსთაველისათვის ესაა თამარის სახე. თამარის სახეს მიჯნურობის იდეა ღვთაებრიობით მოსავს. გარკვეული აზრით, იგი შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც სიყვარულის ემანაციის გარკვეული ფორმა. გავიხსენოთ, რომ იმავდროინდელ ისტორიკოსებთან თუ მეხილბეგებთან თამარი ხან ქრისტეს ედარება და ხან ღვთისმშობელს. ამიტომ არ მიგვაჩინა დამატებრად ი. ბელსის განცხადება, რომ „ღაენტეს ფარად არც ერთ სხვა პოეტს არ მიუცია თავისთვის თავის ნებ... თავისი საყვარელი შეადაროს ქრისტეს ან მარიამს“ (ეს, კარგად გვიჩვენებს, რომ დანტოლოგიისათვისაც მიზანშეწონილია გაითვალისწინოს რუსთაველოლოგიის საკითხები). რომ მხოლოდ დანტე არ ადარებს თავის საყვარელს ქრისტეს ამის ნათელსაყოფად გავიხსენოთ დ. გურამიშვილის „ზობოგაც“.

რამაზ სირაძე

აღამიანის რეინსანსული იდეალის განვითარება

მართალი, ამ ქრისტიანი და-საყვარლის „მეღა-რება“ ერთობ გართულბული გზითაა წარმო-დგენილი, მაგრამ მხატვრულობის თვალსაზრი-სით უღაო მსგავსებაა ზემოაღნიშნულთან.

„ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟებს ახლავთ რე-ლიგიური გრძნობა, გრძნობა მეგობრობისა, სი-ყვარულისა და ა. შ. ამათგან ყველაზე უფრო ეგზალტირებულად პოემისში მქლავდება სიყვა-რულის გრძნობა. ამ თვალსაზრისით მას ვერ შეედრება რელიგიური გრძნობა. მაგრამ გასა-თვალისწინებელია, რომ ეგზალტირებულნი გრძნობა სიყვარულისა არაა გამოირიცხველი ვმირთა რელიგიურობისა. პირიქით, სიყვარულ-ის გრძნობის მაღალი გამოვლინება თვით მიიჩ-ნევა ღვთაებრიობით გამსჭვალვად. ესაა ერთ-ერთი ყველაზე ძირითადი გზა „ვეფხისტყაოს-ნის“ პერსონაჟთა დეიფიკაციისა (განმმრთობი-სა). ერთი დაზუსტებაცაა საჭირო: ვახტანგ VI მიიჩნევა, რომ როცა პოემის ვმირები ერთმან-ეთის სიყვარულზე ლაპარაკობენ, სინამდვილე-ში ქრისტეს სიყვარულიაო საგულისხმებელი.

არაერთგზის აღუნიშნავთ, რომ ანუთი გეგება ხელოვნური ვააზრების ნაყოფია. ვახტანგ VI იმდენად შორს მიპყვა ეგზეგეტიკულ ზრინციებზე (კერძოდ, „ქება ქებათაის“ ეგზეგეტიკული გან-რებისას), რომ დაივიწყა ასეთი შესაძლებლო-ბა: სიყვარულით გამსჭვალვა თავის თავშივე შეიძლება გულისხმობდეს ღვთაებრიობით გამ-სჭვალვას, თუნდაც ტრფობის თბიექტი იყოს მშვენიერი ქალი და არა საყოთრთივე ღვთაება.

რუსთაველის მსოფლშეგრძნების საფუძვე-ლია ანთროპოცენტრიზმი. ყველა ფილოსოფიე-რი კონცეცტია ადამიანთმცოდნეობას ემსახუ-რება. ადამიანთმცოდნეობიდან კი არსებობთა სიყვარულის საკითხი. ადამიანის ადგილი საყ-ვაროში რუსთაველის მიერ გარკვეულია სიყვა-რულის მაგალითზე. გამოდის, რომ საბოლოო ჯამში რუსთაველის მსოფლმხედველობის სა-ყრდენი სიყვარულის ფილოსოფიაა. მსოფლ-მხედველობითი სისტემის რენესანსული ჰუმან-იზმის გამომატველია. ასეთი ნიშნითაა აღ-ბეჭდილი მისი პოეტური მსოფლშეგრძნება.



**ნაზატი დიმიტრი-ერისთავისა**

**ტექნიკური ხელმძღვანელი ს. ციციშვილი.**

კრიტიკისა და პუბლიცისტიკის განყოფილება მასალებს მიიღებს არა უშეტეს ერთი საავტორო თაბახისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი, შალვა დადიანის ქ. № 2.

ტ რ ე ლ ე ო ნ ე ბ ი: მთავარი რედაქტორი — 99-89-44. მდივანი-მემანქანე — 99-58-85. პ. მგ. მდივანი — 99-71-69. განყოფილებათა გამგეები — 99-85-81. პრპოზის — 99-84-66. ლიტერა-ტურული თანამშრომლები — 99-75-69. „ცისკრის“ დამატება — 99-17-63. საკორექტორო — 99-85-28.

გაღენცა ასაწყობად 16/XI-76 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/I-77 წ., ქალაღის ზომა 70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ-საგ. თაბახი 14,35. შეეკეთა №3850. უე 00601. ტირაჟი 30.550.

საქ. კპ ცკ-ის გამოქვეყნობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Типография Издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.



საქართველოს  
სამშენობლო-საგებობათა  
მეცნიერებათა



ფანდი 60 კპპ.

*Handwritten signature*



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-  
ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И  
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ  
ЖУРНАЛ

**«ЦИСКАРИ»**

ИЗДАТЕЛЬСТВО  
ЦК КП ГРУЗИИ  
ИНДЕКС 76236